რიდერი

თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
მაგისტრანტებისათვის

ბრიტანეთის პოლიტიკა და პოლიტიკური გეოგრაფია

(პროფ. რევაზ გაჩეჩილაძე)

ძირითადი ლიტერატურა:

რ. გაჩეჩილაძე, გაერთიანებული სამეფო: სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016 (შემდგომში: *გაერთ. სამ.*)

თემა 1. გაერთიანებული სამეფოს ძირითადი პოლიტიკური და პოლიტიკურ-გეოგრაფიული მახასიათებლები. სახელმწიფოს განვითარება, ასახული მის სახელებში.

ლიტერატურა: გაერთ. სამ. გვ. 15-21,25-29

ბრიტანეთის ისტორიისა და მისი პოლიტიკური განვითარების გაცნობა იძლევა უნიკალურ შესაძლებლობას, ***თვალი გავადევნოთ თანამედროვე სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესს***, რომელიც მრავალი საუკუნის მანძილზე მისდევდა შინაგანი განვითარების ლოგიკას და ბოლო ათასი წლის განმავლობაში ნაკლებად განიცდიდა გარეშე ძალის უხეშ ჩარევას. ბრიტანეთის შემთხვევაში საქმე გვაქვს სახელმწიფო მშენებლობის მრავალსაუკუნოვან და, ძირითადად, წარმატებულ გამოცდილებასთან. განვითარების ასეთ თავისებურებას, რასაკვირველია, ხელს უწყობდა ***ბრიტანეთის გეოგრაფიული მდებარეობა*** – ერთგვარად იზოლირებულად ყოფნა კუნძულებზე, მაგრამ, იმავდროულად, არცთუ დიდი დაშორებით ევროპის კონტინენტისაგან.

ბრიტანეთი კარგა ხანს იყო მსოფლიო ჰეგემონი. ეს ეპოქა დასრულდა. მაგრამ, მიუხედავად მსოფლიო ფონზე მისი „ფარდობითი დაპატარავებისა“, ***ეს სახელმწიფო ჯერაც ანგარიშგასაწევი ძალაა*** როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური, სამხედრო თუ კულტურული თვალსაზრისით.

ამ კუნძულებზე ჩამოყალიბებული ***ინგლისური ენა ერთაშორისი ურთიერთობის საშუალებად იქცა*** მთელი მსოფლიოს მაშტაბით და ჯერჯერობით არ ჩანს ნიშნები, რომ მის ამ ფუნქციას რომელიმე სხვა ენა შეეცილება. ეს ბრიტანეთის „რბილი ძალის“ გლობალური გამოხატულებაა.

ნულოვანი მერიდიანი ისევ გრინვიჩზე გადის და მსოფლიო დროის ათვლა ლონდონიდან იწყება

ხშირად ამბობენ ხოლმე, რომ „*ბრიტანეთი პარადოქსების ქვეყანაა*“. და მართლაც,

- ბრიტანეთი ევროპული სახელმწიფოა, მაგრამ პოლიტიკური კულტურითა და ცხოვრების წესით ის საკმაოდ განსხვავდება კონტინენტურ ევროპაში მდებარე სახელმწიფოებისაგან, რომელთაც ბევრად მეტი მსგავსება აქვთ ერთმანეთთან, ვიდრე ბრიტანეთთან. თუმცა 1994 წლიდან ლონდონი სარკინიგზო გვირაბის მეშვეობით სახმელეთო გზით უკავშირდება პარიზსა და ბრიუსელს, ევროპა მისთვის მაინც „*კონტინენტია*“, მაშინ როცა თვითონ ის „*კუნძულია*“!
- ბრიტანეთი კონსტიტუციური მონარქიაა, მაგრამ მას არა აქვს დაწერილი და მუხლებად ჩამოყალიბებული კონსტიტუცია: მისი კონსტიტუციის ნაწილებად მიჩნეულია პარლამენტის ზოგიერთი მნიშვნელოვანი აქტი და XIII საუკუნეში დადგენილი წესებიც კი.
- ბრიტანეთი მონარქიაა, მაგრამ XVII საუკუნის ბოლოდან მომდინარე წესით, მონარქი პოლიტიკის გარეთ (ან „პოლიტიკაზე ზემოთ“) უნდა იდგეს. თავისი ზეობის 66 წლის მანძილზე დედოფალი *ელიზაბეთ* II ზედმიწევნით მისდევს ამ წესს და ჟურნალისტების მრავალგზისი მცდელობა – „დაეჭირათ“ მისი ჩარევა პოლიტიკაში – ყოველთვის წარუმატებლად მთავრდებოდა. გაერთიანებული სამეფოდან შოტლანდიის გამოყოფის საკითხზე 2014 წელს ჩატარებული რეფერენდუმის დროსაც კი დედოფალს საჯაროდ არ გამოუხატავს თავისი პოზიცია, თუმცა, ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ ის სამეფოს ერთიანობის მომხრე უნდა ყოფილიყო. სხვათა შორის, ტახტის მემკვიდრე *უფლისწული ჩარლზი* (*Prince Charles*) დედამისივით მიუკერძოებელი არ ჩანს და მისი გამეფების შემთხვევაში ჟურნალისტებს დიდი საკბილო გაუჩნდებათ! თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ჩარლზის ზოგიერთი „მიკერძოება“, მაგალითად, გარემოს ან არქიტექტურული ძეგლების დაცვასთან დაკავშირებით, სავსებით სამართლიანი მეჩვენება.
- სეკულარულ ევროპაში ინგლისი (ვგულისხმობ სწორედ *ინგლისს* და არა მთელ ბრიტანეთს) ძალიან იშვიათი ქვეყანაა, სადაც არსებობს *სახელმწიფო ეკლესია* (*established church*). ინგლისის ეკლესიის მეთაური XVI საუკუნიდან მოყოლებული არის მონარქი. 1952 წლიდან ეკლესიის მეთაურია დედოფალი ელიზაბეთი. მაგრამ ის არ ერევა ეკლესიის მართვაში და ადვილად ეგუება იმას, რომ, ზოგადად ქრისტიანობისათვის უჩვეულოდ, ინგლისში მღვდლები და ეპისკოპოსები, კაცებთან ერთად, ქალებიც შეიძლება იყვნენ, რაც ნამდვილი გენდერული თანასწორობაა!

- სახელმწიფო ეკლესიის არსებობის მიუხედავად, ინგლისი რეალურად სეკულარული ქვეყანაა და გამოირჩევა ნამდვილი, არადეკლარაციული, რელიგიური ტოლერანტობით. როგორც *ვოლტერმა* აღნიშნა ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში, „*ბირჟამ და ინგლისის ბანკმა ყველაზე მეტი გააკეთეს რელიგიური შემწყნარებლობისათვის*“, რაც ასე დამახასიათებელი გახდა მთელი ბრიტანეთისთვისაც. მოსახლეობის თეორიული უმრავლესობა, რომელიც ინგლისის ეკლესიის მრევლადაა მიჩნეული, რელიგიის მიმართ საკმაოდ გულგრილია, ყოველ შემთხვევაში, „ეკლესიური“ არაა. რელიგიური დღესასწაულების – შობისა და აღდგომის – აღნიშვნა მხოლოდ და მხოლოდ ტრადიციის ერთგულებაა და, უფრო მეტად, დასვენების ლეგალური საშუალება. ქუჩაში საჯაროდ პირჯვრის წერას აქ ვერ დაინახავთ, თუ ამას ვინმე შეშლილი ფანატიკოსი არ სჩადის.

  თუმცა, ასეთივე რელიგიურ ინდიფერტულობას ვერ ვიტყვით ბრიტანეთში ჩასახლებული მრავალრიცხოვანი მუსლიმებისა თუ იუდეველების, ინდუისტების, სიქჰებისა და ბუდისტების შემთხვევაში!
- ბრიტანეთის სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციების, საზოგადოებების, სამხედრო ნაწილების არცთუ მცირე ნაწილის სახელში ისმის სიტყვა „*როიალ*“, ანუ „სამეფო“.

  საბუნებისმეტყველო დარგებში მეცნიერებათა აკადემიას შემოკლებით „*სამეფო საზოგადოება*“ (*დოყალ შოციეტე*) ჰქვია.

  მაგრამ ის, რომ არსებობს *სამეფო ფოსტა* (*დოყალ აილ*), *სამეფო საჰაერო ძალები* (*Royal Air Force*), *სამეფო სამხედრო ფლოტი* (*Royal Navy*), რომლის ყველა სამხედრო ხომალდის სახელს წინ უძღვის *HMS* (*His/Her Majesty's Ship,* ანუ *მისი უდიდებულესობის გემი*), სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მონარქი ფლობს ფოსტას, მართავს არმიას ან სამხედრო-საზღვაო ძალებს. არსებობს ხელოვნების, დრამატული ხელოვნების, საინჟინრო და სხვა „სამეფო აკადემიები“, არის „სამეფო თეატრები“ და „სამეფო კოლეჯები“. მათი აბსოლუტური უმრავლესობა კერძო კომპანიაა და სახელმწიფოს მიერ არ ფინანსდება. ყველა მათგანმა თავის დროზე, ზოგიერთ შემთხვევაში, ჯერ კიდევ XVII-XVIII საუკუნეებში, მიიღო *სამეფო სიგელი* (*Royal Charter*), რომელიც გარკვეული სახეობის საქმიანობის უფლებას ანიჭებდა. ეს არის და ეს! უბრალოდ, დასახელებაში შეტანილი სიტყვა „სამეფო“ მორალურად ავალდებულებს ასეთ ორგანიზაციებს, შეინარჩუნონ უმაღლესი სტანდარტი თავის მუშაობასა და პროდუქციაში.
- თუმცა „ბრიტანეთის იმპერია“ აღარ არსებობს, ქვეყნის დამსახურებულ პირებს დღემდე ანიჭებენ 1917 წელს დაარსებულ ექვსი სხვადასხვა კლასის „*ბრიტანეთის იმპერიის ორდენს*“ (*Order of British Empire*, შემოკლებით *OBE*) რასაც ამ ორდენის ყველა კავალერი თავის გვარის შემდეგ უთითებს ხოლმე.
- ბრიტანეთი მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანაა, სადაც სახელწიფოს უმაღლეს ორდენს ფეხის წვივზე ატარებენ (მართალია, მკერდზე დასაკიდ ატრიბუტებთან ერთად).

- წვერულვაშიანი, მრისხანე სახის შოტლანდიელი მამაკაცები საომარი სულისკვეთების აღმძვრელ გუდასტვირებზე უკრავენ უჯრედებიან ქვედატანში (*kilt*), გამოწყობილნი, მაშინ, როცა მოველით, რომ ქვედატანს მხოლოდ ქალები უნდა ატარებდნენ.
- ბრიტანეთი (ირლანდიასთან და კვიპროსთან ერთად) იშვიათი ქვეყანაა *ევროპაში*, სადაც მოძრაობა მარცხენამხრიანია. ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ XIX საუკუნემდე სადმე თუ იყო მოძრაობის წესები, ის მარცხენა მხარეს იყო: ეს, ალბათ, უკავშირდება იმას, რომ შუა საუკუნეების ევროპელ რაინდებს, შუბით მარჯვენა ხელში, შერკინებისას მარცხენა მხარე უნდა დაეჭირათ. ყოფილი ბრიტანული კოლონიების საკმაო ნაწილში (მაგალითად, ინდოეთში, პაკისტანში, შრი ლანკაში, ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში), აგრეთვე, იაპონიასა და რამდენიმე სხვა ქვეყანაში მოძრაობა ასევე მარცხენამხრიანია.
- ბრიტანეთი მსოფლიოში ყველაზე პოპულარული სპორტის სახეობის – ფეხბურთის – სამშობლოა, მაგრამ ფეხბურთზე არანაკლებ (იქნებ, უფრო მეტადაც კი), ბრიტანელებს უყვართ მათივე გამოგონილი *კრიკეტი*. მსოფლიოში ეს თამაში ვერ გავრცელდა: ბრიტანეთისა და მისი „თანამეგობრობის“ გარეთ ის გაუგებარი რჩება. ამერიკელებმა სპორტის ეს სახეობა თავისებურად განავითარეს და ბეისბოლი გამოუვიდათ. ბრიტანელები ეთამაშებიან კრიკეტს მხოლოდ ყოფილ კოლონიებს, რომელთაც შეაყვარეს ეს თამაში. ინგლისის ნაკრების მიერ შრი ლანკასთან, პაკისტანთან ან ზიმბაბვესთან კრიკეტის მატჩის მოგება ან წაგება გაზეთებს პირველ გვერდზე გამოაქვთ ხოლმე!

ბრიტანულ „უცნაურობებზე“ საუბარი უსასრულოდ შეიძლება, სხვათა შორის, ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა ქვეყნის „უცნაურობებზე“, რომლებიც ასეთად გარედან გვეჩვენება.

სხვა ქვეყნებისგან განსხვავება ისაა, რომ „ბრიტანული პარადოქსები“ მსოფლიოში უკეთაა ცნობილი. წლიურად ათეულობით მილიონი ტურისტი ჩამოდის გაერთიანებულ სამეფოში, რომ დაინახოს სამეფო გვარდიის შეცვლა და სამხედრო მარში ბუკინგემის სასახლესთან, ლონდონში; მოუსმინოს გუდასტვირების ანსამბლებს ედინბურგში; დაესწროს საერთაშორისო *ეისტედვოდს* – მუსიკალურ ფესტივალს უელსის სოფელ *ჰლანგოჰლენში* (*Llangollen*), რომელიც მშვიდობას ეძღვნება.

ის, რომ ტურისტებს უყვართ იმის საკუთარი თვალით ნახვა, რასაც თავის სამშობლოში ვერ ნახავენ, ტურისტული ატრაქციულობის (მიმზიდველობის) უპირველესი ფაქტორია. ბრიტანული ტრადიციები და „პარადოქსები“, კარგა ხანია, ასეთ მიმზიდველობაზეა გათვლილი – ბოლოს და ბოლოს, ესეც ხომ ეკონომიკაა!

უფრო მნიშვნელოვანი, ჩემი აზრით, არის ***კანონზომიერებები*** ქვეყნის განვითარებაში.

ხშირად უჩნდებათ ხოლმე ასეთი ან მსგავსი კითხვები:

რატომ არის ბრიტანეთი ასეთი განსხვავებული კონტინენტური ევროპისაგან?

როგორ ახერხებს ბრიტანეთი, მიუხედავად ძველი ტრადიციების ერთგულებისა, იყოს თანამედროვე, დემოკრატიული სახელმწიფო?

როგორ მოხდა, რომ ასეთი პატარა ქვეყანა საუკუნეზე მეტხანს მსოფლიოს ხმელეთისა და მოსახლეობის მეოთხედზე მეტს უწევდა კონტროლს?

მოკლედ შეიძლება ითქვას შემდეგი:

კონტინენტური ევროპისაგან განსხვავებულობას ქმნის ბრიტანეთის *კუნძულოვანი მდებარეობა* და *პოლიტიკური განვითარების თავისებურება* ბოლო ათასი წლის მანძილზე.

დემოკრატიული სისტემის ეფექტიანობას უზრუნველყოფდა *არისტოკრატიისა და ბურჟუაზიის არაკონფლიქტური თანაარსებობა საუკუნეების განმავლობაში*, რასაც, თავის მხრივ, ხელი შეუწყო ჯერ კიდევ XIII საუკუნეში შექმნილმა თავისებურმა საპარლამენტო სისტემამ. თანამედროვე პირობებში მონარქიზმი და ტრადიციული ცერემონიები მხოლოდ გარეგნული ფორმაა, რომელიც გარკვეულ ჩარჩოებში აყენებს ადამიანთა ქცევას და სულაც არ უშლის ხელს სახელმწიფო ორგანოებისა და დემოკრატიული ინსტიტუტების ეფექტიან საქმიანობას.

ფეოდალური წესების კონტინენტურ ევროპასთან შედარებით უფრო ადრე დაძლევამ, კაპიტალისტური ურთიერთობის შედარებით ადრე გაბატონებამ ხელი შეუწყო ეკონომიკურ ზრდას, რაც XVIII საუკუნეში გადაიზარდა მსოფლიოში პირველ *სამრეწველო რევოლუციაში*. ამას ხელი შეუწყო კუნძულ დიდ ბრიტანეთზე ბუნებრივი რესურსების (ქვანახშირი, რკინის მადანი და სხვ.) არსებობამაც. ადრე მიღწეულმა ტექნიკურმა პროგრესმა გააადვილა ბრიტანეთის მრეწველობის აღმავლობა და ძლიერი სამხედრო-საზღვაო ფლოტის შექმნა. ფლოტმა უზრუნველყო ოკეანეთა გადაღმა კოლონიების დაპყრობა და იქ დიდი შემოსავლის მიღება, ხოლო ლონდონის ეფექტიანმა ადმინისტრირებამ კოლონიების დიდხანს შენარჩუნებას შეუწყო ხელი.

მართალია, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მოხდა დეკოლონოზიცია, მაგრამ ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალი შენარჩუნდა და გაიზარდა კიდეც, განსაკუთრებით, კონტინენტურ ევროპასთან კავშირების გაძლიერების შედეგად.

ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს ც ვ ა ლ ე ბ ა დ ი ს ა ხ ე ლ ე ბ ი.

სახელმწიფო, რომელსაც ამ სალექციო კურსში ვიხილავთ, ყალიბდებოდა ათასწლეულების განმავლობაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შედეგად. ამ პროცესებმა ასახვა პოვა კუნძულებზე მდებარე პოლიტიკური ერთეულების *ცვალებად სახელებშიც*, რომლებიც ერთიმეორეს ხან ენაცვლებოდნენ, ხანაც თანაარსებობდნენ.

ანგლოსაქსური სამეფოების გაერთიანება ***ინგლისის სამეფოდ*** დამთავრდა ჩვ. წ. IX საუკუნეში. „***ინგლისი***“ ხანდახან დღევანდელი სახელმწიფოს სახელის სი-

ნონიმადაც გამოიყენება, თუმცა ის კუნძულის მხოლოდ ნაწილს (მართალია, უდიდესს) მოიცავს.

იქამდე, მე-5-6 საუკუნეებში, ევროპის კონტინენტიდან მოსული გერმანული ტომების მიერ დაარსებული მომცრო სამეფოების სახელები ძირითადად იმ ტომების სახელებზე იყო აგებული, ვინც ესა თუ ის ტერიტორია დაასახლა. ამიტომაც გაჩნდა ინგლისის ტოპონიმიკაში დღემდე შენარჩუნებული სახელები, მაგალითად, *უესექსი, სასექსი, ესექსი* (იხ. ქვემოთ), რომლებიც საქსების ტომის განშტოებებმა დაასახლეს. *ისტ ანგლია* აშკარად ანგლების ტომის მიერ იყო დასახლებული. მაგრამ გარედან მოსული მოგზაურის, ქრისტეს რჯულის მქადაგებლის თუ დამპყრობლისათვის კუნძულის ძირითადი ნაწილი ანგლების მიერ დასახლებულად ჩანდა, ამიტომაც დამკვიდრდა, მაგალითად, ფრანგულად „Angleterre“ (ანგლების მიწა) და აქედან წარმოიშვა სახელწოდება England. სხვათა შორის, შოტლანდიის მკვიდრნი იმავე ტერიტორიას დიდხანს “Sassenach”-ს უწოდებდნენ, ანუ “საქსებს”!

XIII საუკუნეში ინგლისის სამეფომ დაიპყრო *უელსის სამთავრო*, რომელიც ერთხანს ინარჩუნებდა გარკვეულ ავტონომიას. XVI საუკუნის შუა წლებში ინგლისის მონარქიამ მთლიანად დაიქვემდებარა უელსი. ***ინგლისი და უელსი*** იმდენად ურთიერთშერწყმულია, რომ ხშირად მათ ერთადაც განიხილავენ.

კუნძულ დიდი ბრიტანეთის ჩრდილოეთ ნაწილში არსებული მომცრო პოლიტიკური ერთეულების გაერთიანება ***შოტლანდიის სამეფოდ*** მოხდა ჩვ. წ. IX საუკუნეში. XIV საუკუნეში შოტლანდიის სამეფომ სრული სუვერენიტეტი მოიპოვა და ინგლისმა ეს ცნო.

XVI საუკუნის დასაწყისში ერთი დინასტიური ქორწინების წყალობით, შოტლანდიის მეფე სტიუარტების დინასტიიდან ერთი საუკუნის შემდეგ ინგლისის ტახტის მემკვიდრე აღმოჩნდა. 1603 წელს შოტლანდიის მეფე ინგლისის მეფეც გახდა, ლონდონში გადასახლდა და 1604 წელს თავი გამოაცხადა ***დიდი ბრიტანეთის მეფედ***, თუმცა სახელმწიფოს ოფიციალურ სახელად „დიდი ბრიტანეთი“ კიდევ ერთი საუკუნე ვერ დამკვიდრდა.

XVII საუკუნის შუა წლებში, ინგლისის რევოლუციის ხანაში, როდესაც სტიუარტების დინასტია დროებით დაემხო, ხოლო ინგლისმა დაიპყრო ირლანდია და შოტლანდია, მთელ კუნძულებს ერქვა ***ინგლისის რესპუბლიკა*** (*the English Commonwealth*).1660 წელს, სტიუარტების რესტავრაციის შედეგად, ინგლისის სამეფო აღდგა.

1707 წლის ინგლისისა და შოტლანდიის „გაერთიანების აქტით“ მათი პარლამენტები შეერთდა და შეიქმნა ***დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფო***.

1800 წლის „გაერთიანების აქტებით“, რომლებიც ლონდონსა და დუბლინში მიიღეს, შეიქმნა ***დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის გაერთიანებული სამეფო***.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ირლანდიაში ეროვნულ-გამანთავისუფლებელმა მოძრაობამ იმძლავრა და 1921 წელს გაერთიანებულ სამეფოს გამოეყო კუნძულ ირლანდიის დიდი ნაწილი, სადაც შეიქმნა „ირლანდიის თავისუფალი

სახელმწიფო“ – *ეირე.* ირლანდიის ჩრდილოეთი ნაწილი კი გაერთიანებული სამეფოს შემადგენლობაში დარჩა. 1927 წელს ოფიციალურად დადგინდა სახელმწიფოს დღემდე გამოყენებული სახელი – ***დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო*** (***The United Kingdom of Great Britain and Northern Ireland***).

სახელმწიფოს ამ ოფიციალურ, საკმაოდ გრძელ სახელს, ჩვეულებრივ, ამოკლებენ და მას „*გაერთიანებულ სამეფოს*“ უწოდებენ, რაც ინგლისურად კიდევ უფრო მოკლდება, როდესაც იყენებენ მის აბრევიატურას – *the UK.* ამიტომაც ბრიტანელები თავიანთ სახელმწიფოს ხშირად მოიხსენიებენ, როგორც “*იუ-კეი“.*

„*იუ-კეის*“ პრაქტიკული სინონიმია „*დიდი ბრიტანეთი*“, თუმცა ფორმალურად ეს ტერმინი აღნიშნავს მხოლოდ კუნძულ დიდ ბრიტანეთზე მდებარე სამ ისტორიულ ქვეყანას – ინგლისს, უელსსა და შოტლანდიას.

გაერთიანებული სამეფოს დროშა შეიქმნა სამი სამეფოს გაერთიანების შედეგად. ინგლისის მფარველის, *წმ. გიორგის ჯვარს* (წითელი ჯვარი თეთრ ფონზე)1707 წელს დაედო შოტლანდიის მფარველის, *წმ. ანდრიას ჯვარი* (თეთრი დიაგონალები ლურჯ ფონზე), ხოლო 1801 წელს, ირლანდიის სამეფოს შემოერთების შემდეგ, დაემატა ირლანდიის მფარველის, *წმ. პატრიკის ჯვარი* (წითელი დიაგონალები თეთრ ფონზე). ამ კომპოზიტურ დროშას *იუნიონ ჯეკს* (Union Jack) უწოდებენ, რომელიც გაერთიანებულ სამეფოს დარჩა ირლანდიის დიდი ნაწილის გამოყოფის შემდეგაც.

უელსის მფარველად *წმ. დავითი* ითვლება. მის დროშაზე *დრაკონია* გამოსახული, მაგრამ ეს სიმბოლიკა *იუნიონ ჯეკზე* წარმოდგენილი არაა, რადგან XVI საუკუნიდან უელსის სამთავრო ინგლისის სამეფოს ნაწილად იქცა.

გარდა ამისა, ყველა სამეფოს აქვს “მცენარეული სიმბოლოც”: ინგლისს – ვარდი, შოტლანდიას – ნარშავი, ირლანდიას – სამყურა. უელსის სიმბოლო არის პრასი!



ნახ. 1. მარცხნიდან: ინგლისის, შოტლანდიის, ირლანდიის დროშები და „იუნიონ ჯეკი“

აქაც ვერ ავცდით შემოკლებას: “*დიდი ბრიტანეთი*-ს“ ნაცვლად ხშირად გამოიყენება „*ბრიტანეთი*“.

ზემოხსენებული სახელწოდებების სინონიმად ამ კუნძულების გარეთ სახელმწიფოს სახელად ხშირად იყენებენ „*ინგლისს*“ (*England*). ეს რომ არასწორია,

აუცილებლად მიგვითითებს ყველა შოტლანდიელი, უელსელი და ჩრდილოირლანდიელი. ტერმინ „*England*“-ს, მართლაც, გარკვეული სიფრთხილით უნდა მოვეპყრათ და უელსის, შოტლანდიისა და ჩრდილოეთ ირლანდიის მიმართ ეს სახელი არ უნდა გამოვიყენოთ. თუმცა ისიც ფაქტია, რომ სწორედ ინგლისი იყო პოლიტიკური და ენობრივ-კულტურული თვალსაზრისით ამ სახელმწიფოს შემაკავშირებელი ბირთვი.

> როგორ შემოვიდა სიტყვა „*ინგლისი*“ ქართულ ენაში?
>
> სახელმწიფოს სახელის ასეთი გამოთქმა უნდა შემოსულიყო იტალიურიდან თურქული ენის გზით. იტალიურად ინგლისს *Inghilterra* ჰქვია, ინგლისელს კი *Inglese* (*ინგლეზე*). ეს სიტყვები იტალიურიდან თურქულში შევიდა, როგორ *Ingiltere* და *Ingiliz*, იქიდან კი, როგორც ჩანს, ქართულში გადმოვიდა (*ingiliz>ინგლისი*).

დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოზე მსჯელობისას ტერმინები ***ბრიტანეთი, დიდი ბრიტანეთი*** და ***გაერთიანებული სამეფო*** სინონიმებადაა გამოყენებული.

ბოლო პერიოდის პოლიტიკური განვითარება, კერძოდ, 2016 წლის 23 ივნისის საყოველთაო რეფერენდუმზე მიღებული გადაწყვეტილება ევროპული კავშირიდან გაერთიანებული სამეფოს გამოსვლის შესახებ, ტოვებს თეორიულ შესაძლებლობას, რომ სახელმწიფოს სახელი კიდევ შეიცვალოს. მაგრამ თვალმისაწვდომ მომავალში სახელწიფოს სახელად „გაერთიანებული სამეფო“ ისევ დარჩება.

დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო იშვიათი გამონაკლისია ევროპაში, რომლის სახელშიც არ ჩანს ის ენა (ენები), რომელზეც მისი მოსახლეობა საუბრობს. არც „*დიდბრიტანული* “ (თუმცა ოდესღაც იყო *ბრიტული* ენა) ენა არსებობს და არც „*ჩრდილოირლანდიური*“. *ირლანდიური* ენა კი არსებობს, მაგრამ მას მეტ-ნაკლებად ფლობს ჩრდილოეთ ირლანდიის მოსახლეობის სულ 6 პროცენტი, დანარჩენი ინგლისურად საუბრობს.

> ევროპის ქვეყნებისა და პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების უმრავლესობის *თვითსახელში* ძირითადი ეთნოსის ენაა ასახული, მაგალითად, France-ში ფრანგულია ძირითადი ენა, Deutschland-ში – გერმანული (თვითსახელი *Deutsche*), Eesti-ში – ესტონური, Turkmenistan-ში – თურქმენული და ა.შ. ევროპაში სულ რამდენიმე გამონაკლისია: ავსტრიაში, ლუქსემბურგსა და ლიხტენშტაინში ადგილობრივი მოსახლეობის ენა გერმანულია (ლუქსემბურგში ადგილობრივი დიალექტი და ფრანგულიც გამოიყენება), ბელგიაში – ფრანგული და ფლანდრიული, მონაკოში – ფრანგული, სან-მარინოში – იტალიური, ანდორაში – კატალონიური, ბოსნია-ჰერცეგოვინასა და ჩერნოგორიაში – სერბული (სერბულ-ხორვატული), კოსოვოში, რომელიც გაეროს ჯერ არ უცვნია სახელმწიფოდ, ენა ალბანურია, ხოლო შვეიცარიას სამი სახელმწიფო ენა აქვს.
>
> მაგრამ ევროპის გარეთ *თანხვედრა სახელმწიფოს თვითსახელსა და ძირითადი ეთნოსის ენას შორის*, პირიქით, ძალიან იშვიათია: აზიაში სულ რამდენიმე მაგალითის მოყვანა შეიძლება (იაპონია, კორეა, ვიეტნამი, ლაოსი, მონღოლეთი, თურქეთი, საუდის არაბეთი და

სამიოდე სხვა), აფრიკაში – სულ ორიოდესი. ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში ან ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში ერთი ასეთი შემთხვევაც კი არ გვხდება.

თემა 2. გაერთიანებული სამეფოს მდებარეობა და ადმინისტრაციული გეოგრაფია.

ლიტერატურა: *გაერთ. სამ.* გვ. 29-46

მ დ ე ბ ა რ ე ო ბ ა. გაერთიანებული სამეფოს მთელი ფართობია 242,4 ათასი კვ. კმ. რასაკვირველია, ეს არც ისე მცირე ფართობია, თუმცა ევროპაში იგი ამ მაჩვენებლით მხოლოდ მე-12 სახელმწიფოა, რომ აღარაფერი ვთქვათ მთელ მსოფლიოზე, სადაც ქვეყნებს შორის ფართობით ის არის მე-80 ადგილზე.

ის, რომ *გეოგრაფიული მდებარეობა* მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ნებისმიერი ქვეყნის ისტორიას, განსაკუთრებით კარგად ჩანს ბრიტანეთის მაგალითზე. კუნძულოვანმა მდებარეობამ, შეიძლება ითქვას, განსაზღვრა მისი პოლიტიკური ბედ-იღბალი, ეკონომიკური განვითარება, მოსახლეობის მიგრაციების ისტორიული და თანამედროვე თავისებურებები, განსახლების სტრუქტურა, რასაც მომდევნო თავებში შევეხები.

ამავე დროს, გეოგრაფიული მდებარეობის ზეგავლენა ზემოხსენებულ საკითხებზე ისტორიულად ყოველთვის ერთნაირი არ ყოფილა.

მდებარეობას შეიძლება მივუდგეთ ყველაზე მდგრადი *ფიზიკურ-გეოგრაფიული,* ცვალებადი *ეკონომიკურ-გეოგრაფიული* ან ასევე ცვალებადი *პოლიტიკურ-გეოგრაფიული* კუთხიდან. ამასთან, სამივე მიდგომა ერთმანეთთან საკმაოდ მჭიდროდაა გადაჯაჭვული.

ბრიტანეთის ***ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობის*** მთავარი ნიშანია განლაგება ატლანტის ოკეანისპირეთის აღმოსავლეთ ნაწილში, რომელზეც ზემოქმედებს *გოლფსტრიმის* განშტოება – *ჩრდილოატლანტური თბილი დინება.* მისი წყალობით, ბრიტანეთის ჰავა ევროპის ცენტრალურ ნაწილებთან შედარებით რბილია.

ბრიტანეთის კუნძულები[1], რომელთა რიცხვშიც შედის ევროპის უდიდესი კუნძული – *დიდი ბრიტანეთი* (ფართობი 224 ათასი კვ. კმ.), კუნძული *ირლანდია* (87 ათასი კვ. კმ.) და ექვსი ათასამდე მცირე ფართობის მქონე კუნძული (მათგან დასახლებულია მხოლოდ 139), მდებარეობს ევროპის კონტინენტის ჩრდილო-დასავლეთით. ამ არქიპელაგის შემადგენელი *შეტლანდის კუნძულების* ყველაზე ჩრდილოეთი წერტილი მდებარეობს ჩრდილოეთის იმავე განედზე (60^0), რომელზედაცაა

[1] ირლანდიის რესპუბლიკაში არ მოსწონთ გეოგრაფიული ტერმინი „ბრიტანეთის კუნძულები" (*British Isles*), რომელიც მათ კოლონიურ წარსულს აგონებს. მის ნაცვლად, ირლანდიელები ამ არქიპელაგს უწოდებენ „დიდი ბრიტანეთსა და ირლანდიას".

ოსლო (ნორვეგია) და პეტერბურგი (რუსეთი), უკიდურესი სამხრეთი წერტილი კი – პრაღისა (ჩეხეთი) და კიევის (უკრაინა) განედზე (50^0).

ლონდონის უბან *გრინვიჩზე* (*Greenwich;* ადრე ის ცალკე დასახლება იყო) გადის 1884 წლიდან საყოველთაოდ მიღებული ***ნულოვანი მერიდიანი*** და ამიტომაც, *ფიზიკურ-გეოგრაფიული* თვალსაზრისით, კუნძულ დიდი ბრიტანეთის დიდი ნაწილი და ირლანდიის მთელი კუნძული დასავლეთ ნახევარსფეროს განეკუთვნება. *პოლიტიკურ-გეოგრაფიული* თვალსაზრისით კი, ამ კუნძულებზე მდებარე სახელმწიფოები ევროპას განეკუთვნებიან, ისევე, როგორც კიდევ უფრო დასავლეთით მდებარე ისლანდია.

კუნძულ დიდი ბრიტანეთის ***გეოგრაფიული ცენტრი*** მდებარეობს ლანკაშირის ქაუნთის სოფელ *დანსოპ ბრიჯთან* (*Dunsop Bridge*): ეს საძოვარია!

რაც შეეხება ბრიტანეთის ***ეკონომიკურ-გეოგრაფიულ მდებარეობას***, ის პერიოდულად იცვლებოდა. ორი-სამი ათასი წლის წინ ეს კუნძულები „მსოფლიოს დასასრულად“ აღიქმებოდა ძველი ბერძნებისა და რომაელების მიერ – მის იქით *ultima thule* იყო, ცნობილი სამყაროს გადაღმა მდებარე უცნობი მხარე. ჩვ.წ. I საუკუნიდან რომის იმპერიის შემადგენლობაში შესული *Britannia* პერიფერიული პროვინცია იყო, მაგრამ ეკონომიკურად საკმაოდ მჭიდროდ დაკავშირებული კონტინენტურ ევროპასთან.

I ათასწლეულის შუაგულიდან, ხალხთა დიდი გადასახლების პერიოდში, ეს კუნძულები იზიდავდა ანგლებს, საქსებსა და სხვა გერმანულ ტომებს, მოგვიანებით კი – სკანდინავიელ ვიკინგებს, როგორც მათთვის ახალი საცხოვრებელი ადგილი. ეკონომიკური კავშირები კონტინენტთან იმ დროს სუსტი იყო.

შუა საუკუნეებში ინგლისის ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა გაუმჯობესდა. მას გაუჩნდა ეკონომიკური კავშირები ახლომდებარე ფლანდრიასთან (დღევანდელი ბელგიის ნაწილი), სადაც ის ცხვრის მატყლს ყიდდა. საფრანგეთთან კი, რომელთანაც XI-XV საუკუნეებში მნიშვნელოვანი პოლიტიკური კონტაქტი ჰქონდა (ხშირად – ომის სახით!), ეკონომიკური კავშირი ძირითადად ღვინისა და მარილის იმპორტში გამოიხატებოდა.

ბრიტანეთის ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა ძალიან ხელსაყრელი გახდა XVI საუკუნიდან. ამერიკის აღმოჩენის შემდეგ ეს კუნძულები „სამყაროს ცენტრში“, გაცხოველებული საზღვაო ვაჭრობის მაგისტრალზე აღმოჩნდა და XIX საუკუნის ბოლომდე სარგებლობდნენ ამ მომგებიანი მდებარეობით.

ამჟამად უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური პარტნიორი ბრიტანეთისათვის ახლომდებარე კონტინენტური ევროპაა: იქ მიდის ბრიტანული ექსპორტის უდიდესი ნაწილი და იქიდანვე მოდის იმპორტი.

გარდა ამისა, ბრიტანეთს ეკონომიკურად ძალიან წაადგა ის, რომ მის წიაღში აღმოჩნდა კარგი ხარისხის *ქვანახშირი* და *რკინის მადანი.* ინდუსტრიალიზაციის საწყის ეტაპებზე ამ ნედლეულმა დიდი სამსახური გაუწია ქვეყანას.

თუმცა, ახლა ორივე ამ ნედლეულის მოპოვება წამგებიანი გახდა და, პრაქტიკულად, შეწყვეტილია.

პოლიტიკურ-გეოგრაფიული მდებარეობის პოზიციიდან ბრიტანეთის ირგვლივ მდებარე ზღვა შესანიშნავი ზღუდე იყო გარეშე მტრების წინააღმდეგ, განსაკუთრებით იმ დროიდან, როცა ინგლისის ფლოტი მომძლავრდა (XVI ს.). კონტინენტიდან მოსული უცხოელი დამპყრობლის ფეხი ამ კუნძულებზე არ დადგმულა 1066 წლიდან. XIV-XV საუკუნეებში ინგლის-საფრანგეთის „ასწლიანი ომი“ თითქმის მთლიანად საფრანგეთის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა: ფრანგების არაერთი ცდა, გადაესხათ დესანტი ინგლისში, წარუმატებლად დამთავრდა. XVII-XIX საუკუნეებში ბრიტანეთის სავაჭრო და სამხედრო ფლოტის სიძლიერემ ხელი შეუწყო იმას, რომ მან შეძლო ოკეანეთა გადაღმა მდებარე ქვეყნების დაპყრობა და დიდი იმპერიის შექმნა. იმავე კუნძულოვანი მდებარეობის გამო, XX საუკუნის მსოფლიო ომებში ბრიტანეთი გადაურჩა მტრის შემოსევას, თუმცა II მსოფლიო ომის დროს ის ნაცისტური გერმანიის სამხედრო-საჰაერო ძალების, *ლუფტვაფეს*, მძიმე დაბომბვის ობიექტი გახდა.

თანამედროვე პირობებში ზღვა ადარ თამაშობს სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით ისეთივე ზღუდის როლს, როგორსაც ადრე თამაშობდა. ახლა უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ ბრიტანეთის უახლოესი მეზობლები ევროპის კონტინენტზე მისი მოკავშირეები არიან და არა მტრები. არსებითად, საგარეო მტერი ბრიტანეთს უშუალო სამეზობლოში ახლა არცა ჰყავს. თუმცა რუსეთის ფედერაციის ჰეგემონისტურმა გამოცოცხლებამ ბრიტანეთს თავისი მოწყვლადობა გაახსენა და მან მეტი ზრუნვა დაიწყო თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაზე.

მეორე მხრივ, შიდა *პოლიტიკურ-გეოგრაფიული თავისებურებაა* ის, რომ ბრიტანეთის ეთნიკურად განსხვავებული რეგიონები, უპირველესად, შოტლანდია და ჩრდილოეთი ირლანდია, თეორიულ და, ბოლო დროს, ერთგვარ პრაქტიკულ საფრთხესაც კი უქმნიან გაერთიანებული სამეფოს მთლიანობას.

ა დ მ ი ნ ი ს ტ რ ა ც ი უ ლ ი გ ე ო გ რ ა ფ ი ა

როგორც ზემოთ აღინიშნა, გაერთიანებული სამეფო შედგება ოთხი ისტორიული პროვინციისაგან, რომელთაც „*შიდა ქვეყნებს*“ (*Home countries*) უწოდებენ: ესენია *ინგლისი, შოტლანდია, უელსი* და *ჩრდილო ირლანდია* (იხ. ნახ. 2).

ეს დაყოფა არაა მხოლოდ ტრადიციული ხასიათისა: „შიდა ქვეყნებს“ შორის დღესაც საკმაოდ დიდი კულტურული და, ზოგიერთ შემთხვევაში, ლინგვისტური სხვაობაა. განსხვავებულია „შიდა ქვეყნების“ სასამართლო და საგანმანათლებლო სისტემები. ქვეყნები ნაწილობრივ დაშორებულია ერთმანეთს სპორტული თვალსაზრისითაც, მაგალითად, ფეხბურთისა და რაგბის ჩემპიონატები ცალცალკე ტარდება და საერთაშორისო ტურნირებში ოთხივე „შიდა ქვეყანა“ დამოუკიდებლად მონაწილეობს.

ბრიტანეთის შესახებ ხშირად გვსმენია, რომ ის ძველ ინსტიტუტებს ვერ ელევა. ეს ნაკლებად ითქმის მის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაზე, რომელიც XX საუკუნეში ხშირად იცვლებოდა. კონსერვატიზმი იმაში თუ ჩანს, რომ როდესაც ახალი დაყოფა ძველს ცვლის, ძველსაც გარკვეული სახით ინარჩუნებენ, მაგალითად, „ცერემონიული საგრაფოების“ სახით (იხ. ქვემოთ).

ნახ. 2 გაერთიანებული სამეფოს „შიდა ქვეყნები“და ძირითადი ქალაქები

ვინაიდან გაერთიანებული სამეფოს ჩამოყალიბება თანდათანობით ხორციელდებოდა, მისი ადმინისტრაციული გეოგრაფიაც რთულად ყალიბდებოდა. უცხოელისათვის ეს რთული გასაგებია, თუმცა ბრიტანელებს ამის გაგება არ უჭირთ!

თითოეულ „შიდა ქვეყანას“ საკუთარი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა აქვს. ქვემოთ ისინი ცალ-ცალკეა განხილული.

***

ინგლისს (*England*) უჭირავს კუნძულ დიდი ბრიტანეთის სამხრეთი და შუა ნაწილი და რამდენიმე ახლომდებარე კუნძული, მათ შორის უდიდესია კუნძული *უაიტი* (*Isle of White*) ლა-მანშის სრუტეში და სამხრეთ-დასავლეთით – ატლანტის ოკეანეში საკმაოდ შეჭრილი *სილის* კუნძულები (*Isles of Scilly*). ინგლისის ფართობია 130,4 ათასი კვ. კმ. 2011 წლის აღწერით მისი მოსახლეობა 53 მილიონ ადამიანს ითვლიდა.

შუა საუკუნეებში ინგლისი იყოფოდა *შაირებად* (საგრაფოებად), რომელთაც ადმინისტრაციულად მართავდა მეფის წარმომადგენელი – *შერიფი*. XIII საუკუნეში ინგლისის მიერ უელსის დაპყრობის შემდეგ იქაც საგრაფოები შეიქმნა. შოტლანდიაში საგრაფოები ინგლისთან გაერთიანებამდეც (1707 წ.) არსებობდა. საგრაფოები იყოფოდა საეკლესიო სამრევლოებად (*ecclesiastical parish*). ახლა იმავე მცირე ტერიტორიულ ერთეულს “სამოქალაქო პერიშად “ (*civil parish*) მოიხსენიებენ.

ინგლისი ტრადიციულად იყოფოდა 48 საგრაფოდ. ზოგიერთი მათგანი გაუქმდა ან დაიშალა (მაგალითად, დიდი ისტორიული საგრაფო *იორკშირი* ახლა ოთხ ნაწილად იყოფა). დღემდე არსებობს *ბარკშირი, ბედფორშირი, ბუკინგემშირი, გლოსტერშირი, დარბიშირი, დარემი, დევონი, დორსეტი, ესექსი, კემბრიჯშირი, კენტი, კორნუოლი, ლანკაშირი, ლესტერშირი, ნორთამბერლენდი, ნორფოლკი, ნორთჰემპტონშირი, ნოტინგემშირი, ოქსფორდშირი, სარეი, საფოლკი, სომერსეტი, სტაფორდშირი, უილტშირი, უორიკშირი, შროპშირი, ჩეშირი, ჰართფორდშირი, ჰემპშირი.*

1999 წლიდან ამ ტერიტორიულ ერთეულებს „***ცერემონიული საგრაფოები***“ (*ceremonial counties*) დაერქვა. ყველა მათგანში თავის წარმომადგენლად მონარქი ნიშნავს *ლორდ-ლეიტენანტს*, რომელსაც მხოლოდ ცერემონიულ-წარმომადგენლობითი ფუნქცია ეკისრება. ადმინისტრაციულ-მმართველობით ფუნქციას „ცერემონიული საგრაფოები“ აღარ ასრულებენ.

ინგლისელების გარკვეული ნაწილი აიგივებს თავს იმ „ცერემონიულ საგრაფოსთან“, საიდანაც წარმოშობითაა თვითონ ან იყვნენ მისი წინაპრები. ინგლისური ენის ნიუანსების კარგი მცოდნე შეიძლება მიხვდეს, რომელ „ცერემონიულ საგრაფოში“ (ან მეზობელი „*ცერემონიული საგრაფოების*“ ჯგუფში) აღიზარდა კაცი, რადგან მათ მკვიდრებს ხშირად აქვთ ხოლმე სპეციფიკური კილო. მაგალითად, *იორკშირელები* თავს განსხვავებულ „ხალხსაც“ კი უწოდებენ, ხოლო *იორკშირი* მიჩნეულია ცალკე *„კულტურულ რეგიონად“*.

ანგლოსაქსების ენიდან მოდის ბრიტანეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის, საგრაფოს, აღმნიშვნელი ტერმინი *shire*, რომელიც სიტყვის ბოლოს ხშირად გამოითქმის, როგორც *შირ*. მაგალითად, *ლანკაშირი, იორკშირი, გლოსტერშირი, ოქსფორდშირი* და სხვ.

შაირის სინონიმად შუა საუკუნეების ინგლისში დამკვიდრდა და დღემდე გამოიყენება *ქაუნთი* (*county*) ძველი ფრანგული *conté*-დან, რაც *comte*-ის (გერმანულად *Graf*-*ის*) იურისდიქციის ქვეშ მყოფ ტერიტორიას აღნიშნავდა. რუსულად *county* ითარგმნება, როგორც *графство* და, ამის მიბაძვით, ქართულში შემოვიდა *საგრაფო*.

ისტორიული, იგივე ***„ცერემონიული“, საგრაფოების*** ქართულად მოხსენიებისას ტრადიციული ტერმინის, „***საგრაფოს***“, გამოყენება ჯობს.

თანამედროვე ადმინისტრაციული ერთეულების სახელებად კი „საგრაფოსა“ და „სამრეველოს“ ნაცვლად, უმჯობესად მივიჩნიე მათი ინგლისური სახელების – „***ქაუნთი***“ და „***პერიშ***“ – გამოყენება.

შედარებისათვის, ასე ვიქცევით, როდესაც, მაგალითად, თურქეთის ან ეგვიპტის თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფას აღვწერთ: ვახსენებთ „*ილ*“-ს, „*ილჩ*“-ს, „*ბუჯაკ*“-ს, ეგვიპტის შემთხვევაში – „*მუჰაფაზას*“, „*მანტიკას*“ და არა *გუბერნიას, ოლქს, მაზრას, რაიონს* და ა.შ.

თანამედროვე ინგლისის *ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა* ყველაზე ჩახლართულია.

ნახ. 3 ინგლისის რეგიონები

1. დიდი ლონდონი, 2. სამხრეთ-აღმოსავლეთი, 3. სამხრეთ-დასავლეთი,
4. უესტ მიდლენდსი, 5. ჩრდილო-დასავლეთი, 6. ჩრდილო-აღმოსავლეთი,
7. იორკშირი და ჰამბერი, 8. ისტ მიდლენდსი, 9. აღმოსავლეთ ინგლისი.

ინგლისის უმაღლესი დონის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებად 2011 წლამდე ითვლებოდა ცხრა ***რეგიონი*** (იხ. ნახ. 3), რომლის ***გეოგრაფიულ ბადეს*** დღესაც იყენებენ ხოლმე ქვეყნის დახასიათებისას.

2011 წლიდან „რეგიონული განვითარების სააგენტოები“ გაუქმდა და რეგიონებმა დაკარგეს ბევრი ადმინისტრაციული ფუნქცია: საგეგმო და სხვა უფლებამოსილება გადანაწილდა უფრო მცირე ტერიტორიულ ერთეულებზე.

რეგიონებიდან ადმინისტრაციული ფუნქცია შეინარჩუნა მხოლოდ 1965 წელს შექმნილმა ***დიდმა ლონდონმა*** (*Greater London*), რომელიც შედგება 32 *ბოროსა* და *ლონდონის სიტისაგან.* 1998 წლიდან მას მართავს *დიდი ლონდონის ხელისუფლება* (*Greater Londor Authority*), რომელშიც შედიან არჩეული *ლონდონის მერი* და *დიდი ლონდონის საბჭო.* 32-ვე ბოროს მართავს საკუთარი *ბოროს საბჭო.* დიდ ლონდონში შემავალი 33-ე ერთეული, ***ლონდონის სიტი***, არ არის *ბორო* – მას შუა საუკუნეებიდან მართავს *ლონდონის სიტის კორპორაცია,* რომელიც XIII საუკუნიდან ყოველწლიურად ირჩევს თავისი წევრებიდან *ლონდონის ლორდ-მერს*

ბორო (*borough*) მომდინარეობს ანგლოსაქსური სიტყვიდან, რაც თავის დროზე ნიშნავდა შემოზღუდულ/გამაგრებულ ადგილს (შდრ. გერმანული *Burg,* დანიური *Borg*). ახლა *ბორო* აღნიშნავს ქალაქს ან *დიდ ლონდონში* – ქალაქის ნაწილს, საქალაქო რაიონს.

ამჟამად ინგლისში არსებობს 83 *მეტროპოლიტენური* (დიდი ქალაქების ბაზაზე) და *არამეტროპოლიტენური* ქაუნთი. ისინი იყოფა ჯამში 326 *დისტრიქტად.* ;ამ დისტრიქტს შეიძლება ერქვას *სიტი, ბორო, სამეფო* (*Royal*) *ბორო, მეტროპოლიტენური ბორო,* თუმცა ეს, უბრალოდ, ტრადიციული სახელწოდებებია. დაბალ იერარქიულ დონეზე არსებობს *სამოქალაქო პერიშები* (*civil parish).* ლონდონში პერიშები არაა.

თვითმმართველობა ქაუნთის, დისტრიქტისა და პერიშის დონეზე ხორციელდება არჩეული ადგილობრივი *საბჭოების*[2] მიერ.

***

კუნძულ დიდი ბრიტანეთის ჩრდილოეთი ნაწილი უჭირავს ***შოტლანდიას*** (*შოტლანდ*). მასვე განეკუთვნება *ჰებრიდის, შეტლანდისა და ორკნის* არქიპელაგები. შოტლანდიის მთელი ფართობი 77,1 ათასი კვადრატული კილომეტრია, მოსახლეობა – 5,3 მილიონი. 1707 წელს შოტლანდიის პარლამენტი გაუქმდა და ქვეყანამ დაკარგა დამოუკიდებლობის უკანასკნელი ნიშანი. თითქმის სამი

[2] *საბჭო* (*council*) დიდი ხანია ბრიტანეთის ადგილობრივი მმართველობის ორგანოა. კომუნისტური რუსეთის „საბჭოს“-თან *Council*-ის აღრევის თავიდან ასაცილებლად, რუსულ „საბჭოს“ (*Совет*) ინგლისურად *Soviet*-ად მოიხსენიებენ. *საბჭოთა კავშირი* (*Советский Союз*) ინგლისურად იყო *Soviet Union*.

საუკუნის შემდეგ, 1999 წელს, დევოლუციის პოლიტიკამ ედინბურგში აღადგინა *შოტლანდიის პარლამენტი*, რომლის 129 წევრს ირჩევენ შერეული, მაჟორიტარულ-პროპორციული, სისტემით. ვინაიდან პარლამენტი მდებარეობს ქ. ედინბურგის *ჰოლირუდის* (*Hollyrood*) სასახლის უბანში, შოტლანდიის პარლამენტს არაფორმალურად „***ჰოლირუდს***“ უწოდებენ.

ნახ. 4 შოტლანდია ბრიტანეთის კუნძულებზე

ეროვნული თვითშეგნებითა და საკმაოდ ბევრი კულტურული ასპექტით, შოტლანდიელები განსხვავდებიან ინგლისელებისაგან. შოტლანდიას აქვს დამოუკიდებელი საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ინგლისისაგან განსხვავებული ეკლესია (*Scots Kirk*), საკუთარი განათლების სისტემა, საკუთარი სასამართლო: იქ მოქმედებს *შოტლანდიური სამართალი* (*Scots Law*), განსხვავებით ინგლისში მოქმედი *ინგლისური სამართლისაგან* (*English Law*).

ადრე შოტლანდია, ისევე როგორც ინგლისი, იყოფოდა საგრაფოებად, შემდეგ კი – რეგიონებად. 1996 წლიდან კი, ადგილობრივი მმართველობის მიზნით, შეიქმნა 32 *საბჭოს რაიონი* (*Council areas*[3]). *საბჭოს რაიონებზე* უფრო დაბალ იერარქიულ დონეზეა *კომიტეტები* (*committees*), რომლებიც შედარებით დიდ სასოფლო არეალებში მოქმედებს, და *მცირე სათემო საბჭოები* (*small community councils*).

[3] ***„area“*** აქ ნიშნავს ტერიტორიის ნაწილს, რომელიც შეიძლება ითარგმნოს, როგორც *მხარე, არე, ოლქი, რაიონი.* ვამჯობინე უკანასკნელი ტერმინის გამოყენება.

კუნძულ დიდი ბრიტანეთის დასავლეთით დიდი ნახევარკუნძული უჭირავს მთაგორიან მხარეს – ***უელსის სამთავროს*** (*Principality of Wales;* უელსური თვითსახელია *Cymru,* რაც გამოითქმის, როგორც *„კამრი“;* იმავე ძირისაა უელსში მდებარე *კემბრიის* მთები). უელსს 20,8 ათასი კვ. კმ უჭირავს, რაც მოიცავს ახლომდებარე დიდ (714 კვ. კმ) *კუნძულ ინგლსის* (*Anglesey,* უელსურად *Ynis Môn,* გამოითქმის "*ინის მოონ*"), რომელიც ორი ხიდითაა დაკავშირებული საკუთრივ უელსთან.

უელსში 3,1 მილიონი ადამიანი ცხოვრობს. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი კუნძულის ძველ მკვიდრთა – კელტების – შთამომავალია. ინგლისის მეფემ უელსი დაიპყრო XIII საუკუნის ბოლოს და მას შემდეგ მოხდა მისი ინტეგრირება ინგლისთან. მაგრამ უელსი მაინც საგრძნობლად განსხვავდება ინგლისისგან.

1972-1996 წლებში უელსი შედგებოდა რვა ქაუნთისაგან. დღეს ისინი *ცერემონიული საგრაფოებია,* სადაც დედოფალი ნიშნავს თავის ლორდ-ლეიტენანტებს. 1994 წლის ადგილობრივი მმართველობის რეფორმის აქტით, რომელიც ძალაში შევიდა 1996 წლიდან, ადმინისტრაციულ თვითმმართველობას უელსში ახორციელებს 22 თვითმმართველი ერთეული, რომელთაც *Principal area*-ს უწოდებენ (ქართულად შეიძლება ითარგმნოს, როგორც *ძირითადი რაიონი*). სხვათა შორის, პრესა და ტელევიზია, მათ შორის ბი-ბი-სი, ასეთ „უცნაურ სახელს“ ვერ ეგუება და 22-ვე ერთეულს კვლავაც მოიხსენიებს, როგორც *ქაუნთის*!

ამ 22 *ძირითადი რაიონიდან* ათი არის *ქაუნთი ბორო* (*ჩოუნტყ ბოროუგჰ*), ცხრა – *ქაუნთი* (*County*) და სამი – *დიდი ქალაქი* (*City – კარდიფი, სუონსი* და *ნიუპორტი*). უფრო დაბალ ადმინისტრაციულ დონეზეა *სათემო საბჭოები* (*community councils*), რომელთა უფლებამოსილება ინგლისის პერიშის საბჭოების ანალოგიურია, ანუ უმნიშვნელოა.

1999 წლიდან უელსს მართავს პროპორციულ-მაჟორიტარული სისტემით არჩეული 60 წევრისაგან შედგენილი *ეროვნული ასამბლეა,* რომელსაც 2006 წლიდან უფლებები გაუფართოვდა. უელსურად მას *შენედდ*-ს (სენატს) უწოდებენ. ასამბლეა ირჩევს პირველ მინისტრს, რომელიც უელსის ადგილობრივ მთავრობას ქმნის.

***

კუნძულ ირლანდიის ხუთი მეექვსედი ამჟამად დამოუკიდებელ *ირლანდიის რესპუბლიკას* წარმოადგენს, ხოლო მისი ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი – ისტორიული *ულსტერის* (*Ulster*) ნაწილი, რომელსაც ***ჩრდილოეთ ირლანდიის*** სახელით იცნობენ, 1921 წლის შემდეგ, როდესაც კუნძული გაიყო, რჩება გაერთიანებული სამეფოს შემადგენლობაში.

ჩრდილოეთ ირლანდიის ფართობი 14,1 ათასი კვ. კილომეტრია. იქ ცხოვრობს 1,82 მილიონი ადამიანი. საყოველთაოდ გამოყენებული ენა ინგლისურია. ირლანდიური ენა მოსახლეობის 6-7-მა პროცენტმა თუ იცის.

ჩრდილოეთ ირლანდია ისტორიულად შედგებოდა ექვსი საგრაფოსაგან, მაგრამ ახლა მათაც, ისევე, როგორც სხვა საგრაფოებს გაერთიანებულ სამეფოში, მხოლოდ ცერემონიული ფუნქცია შერჩათ, ხოლო რეალური ადმინისტრაციული თვითმმართველობის განხორციელების მიზნით შექმნილია 26 დისტრიქტი.

ჩრდილოეთ ირლანდიას აქვს საკუთარი, ავტონომიური უფლებების მქონე *ასამბლეა* (ადგილობრივი პარლამენტი), რომელსაც ***„სტორმონტს“*** (*Stormont*) უწოდებენ, იმ უბნის მიხედვით, სადაც სამთავრობო დაწესებულებები მდებარეობს. 1972-1999 წლებში ასამბლეა არ მოქმედებდა, რადგან ოლსტერში მძიმე სექტარული დაპირისპირება იყო, ფაქტობრივად – სამოქალაქო ომი. 1999 წელს *სტორმონტმა* საქმიანობა განაახლა და მას უფლებები გაუფართოვდა კიდეც.

***

ჩენელ აილენდსი[4] (*Channel Islands*), განლაგებული საფრანგეთის *კოტანტენის* ნახევარკუნძულის დასავლეთით (იხ. ნახ. 1.4), არ შედის გაერთიანებული სამეფოს შემადგენლობაში (თუმცა მისი მეშვეობით აქვს ურთიერთობა ევროპულ კავშირთან). ამ კუნძულების საერთო ფართობია 194 კვ. კმ. 2015 წელს იქ 168 ათასი ადამიანი ცხოვრობდა.

მათი ისტორია ასეთია: ინგლისის *მეფე ჯონი* 1204 წელს დამარცხდა საფრანგეთის მეფესთან ომში და მოუხდა კონტინენტზე თავისი სამემკვიდრეო მამულის, ნორმანდიის სამთავროს, დათმობა. მაგრამ მან შეძლო ამ კუნძულების შენარჩუნება. მას შემდეგ ისინი „გვირგვინის სამფლობელოებია“ (*Crown dependencies*), ანუ უშუალოდ მონარქის კუთვნილი ტერიტორიები, სადაც უესტმინსტერის პარლამენტის იურისდიქცია არ ვრცელდება.

ადმინისტრაციულად, ცალკე ***ჯ. ჯერზი*** და ცალკე ***ჯ. გერნზი,*** ხუთ მომცრო დასახლებულ კუნძულთან ერთად, ორი თვითმმართველი *ბეილევიკია* (*bailiwicks;* კუნძულების ისტორიულ ენაზე, ფრანგულად, მათ *bailliages* ეწოდება: გამოითქმის “*ბაიაჟ*”). ბეილევიკები უესტმინსტერის პარლამენტში წევრებს არ ირჩევენ. მათ მართავს არჩევითი ხელისუფლება, ხოლო დედოფალს იქ წარმოადგენენ გუბერნატორები, ოფიციალურად – *Her Britannic Majesty's Lieutenant-Governor and Commander-in-Chief of Jersey / for Guernsey*.

კუნძულებზე მოქმედებს ადგილობრივი პაუნდი, რომელიც გაერთიანებულ სამეფოში არ გადის, ბრიტანული პაუნდი კი ბეილევიკებში თავისუფლად ტრიალებს. იქ მხოლოდ ირიბად მოქმედებს ლონდონში მიღებული კანონები და არ მოქმედებს ინგლისური საგადასახადო სისტემა. ბრიტანეთის ხაზინას არავინ არაფერს უხდის, თუმცა ყველას ბრიტანული პასპორტი აქვს! ეს კუნძულები „საგადასახადო სამოთხეს“ წარმოადგენს: იქ უამრავი ოფშორული კომპანიაა დაარსებული.

---

[4] ადრე გამოყენებული გეოგრაფიული ნომენკლატურით, მათ *ნორმანდიის კუნძულებს* უწოდებდნენ.



ნახ. 5 ჩენელ აილენდსი

უესტმინსტერის პარლამენტი გეგმავს იმგვარი ზომების მიღებას, რომლებიც მდიდარ ბრიტანელებს (და სხვებსაც) შეუზღუდავს საშუალებას ოფშორულ ანგარიშებზე ფულის გადარიცხვის გზით თავი აარიდონ სახელმწიფო გადასახადს.

***

ირლანდიის ზღვაში მდებარე ***კუნძული მენი*** (*Isle of Man*; 532 კვ. კმ, 85 ათასი მცხოვრები), *ჩენელ აილენდსივით,* უშუალოდ მონარქს დაქვემდებარებული ქვეყანაა. ის არაა გაერთიანებული სამეფოს ნაწილი, თუმცა შედის ევროკავშირში მისი მეშვეობით. ბრიტანეთის მონარქის ვრცელ ოფიციალურ ტიტულატურაში შეტანილია, რომ ის არის *Lord of Mann* (ტრადიციულად ასე იწერება, *nn*-ით!).

ამ კუნძულს 979 წლიდან უწყვეტად მართავს მსოფლიოს უძველესი პარლამენტი *ტინვალდი* (*Tynwald*).

***

დიდ ბრიტანეთს, ისევე, როგორც საფრანგეთს, ჰოლანდიას და დანიას, ძველი კოლონიებიდან შემორჩა ოკეანეთა გადაღმა მდებარე ტერიტორიები.

დიდი ბრიტანეთის 14 „**ზღვისგადაღმა ტერიტორია**“ (*Overseas Territories*) მცირე ფართობისა და მოსახლეობის მქონე ყოფილი კოლონიებია. ყველა მათგანი, გიბრალტარის გარდა, კუნძულებზე მდებარეობს. 1983 წლამდე მათ „ბრიტანეთის გვირგვინის კოლონიები“ ერქვათ. ამჟამად მათ მინიჭებული აქვთ ადგილობრივი თვითმმართველობის უფლება, ზოგიერთს ჰყავს პრემიერი ან მთავარი მინისტრი. *ჩენელ აილენდსისა* და *კუნძულ მენისაგან* განსხვავებით, „*ზღვისგადაღმა ტერიტორიები*“ ბრიტანეთის მთავრობას და პარლამენტს ექვემდებარება.

ბრიტანეთის „ზღვისგადაღმა ტერიტორიებიდან“ ერთი ევროპის კონტინენტზეა – *გიბრალტარი* (*Gibraltar*). ექვსი უესტ-ინდოეთშია – *ბერმუდა* (*Bermuda*), *ანგიია* (*Anguilla*), *ბრიტიშ ვერჯინი* (*British Virgin Islands*), *მონტსერატი (Montserrat*), *ტერკს ენდ კეიკოსი* (*Turks and Caicos Islands*), *კეიმენი* (*Cayman Islands*).

სამხრეთ ატლანტიკაში მდებარეობს *სენტ ჰელენა* (*Saint Helena*), *ესენშონი (Ascension Island)* და *ტრისტან და კუნია* (*Tristan da Cunha*), რომლებიც ერთ „ზღვისგადაღმა ტერიტორიადაა“ მიჩნეული და მათ საერთო გუბერნატორი ჰყავთ. ასევე სამხრეთ ატლანტიკაშია *ფოლკლენდი* (*Falkland Islands*), მუდმივი მოსახლეობის არმქონე *საუთ ჯორჯია და საუთ სენდვიჩი* (*South Georgia and the South Sandwich Islands*). „*ბრიტანეთის ანტარქტიკის ტერიტორია*“ უკაცრიელია.

წყნარ ოკეანეში მდებარეობს „ზღვისგადაღმა ტერიტორია“ *პიტკერნი* (*Pitcairn Islands*), ხოლო ინდოეთის ოკეანეში – “*ინდოეთის ოკეანის ბრიტანული ტერიტორია*” (*British Indian Ocean Territory*). ეს უკანასკნელი წარმოადგენს *ჩაგოსის არქიპელაგს*, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა აღარ დარჩა: 1971 წელს ორი ათასამდე იქაური ადამიანი იძულებით გადაასახლეს მავრიტიუსში, მართალია, კომპენსაციის გადახდით. ამ არქიპელაგის უდიდეს კუნძულზე, *დიეგო გარსიაზე*, განლაგებულია ამერიკულ-ბრიტანული სამხედრო ბაზა.

გარდა ამისა, ერთიან „ზღვისგადაღმა ტერიტორიად“ არის მიჩნეული კუნძულ კვიპროსზე განლაგებული სამხედრო ბაზები *აკროტირი და დეკელია* (*Akrotiri and Dhekelia*), საერთო ფართობით 255 კვ. კმ, რომლებიც ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროს მიერ იმართება. აკროტირის აეროდრომს „სამეფო საჰაერო ძალები“ იყენებენ ახლო აღმოსავლეთში (ძირითადად, სირიასა და ერაყში) მიმდინარე სამხედრო კონფლიქტების დროს.

გიბრალტარზე პრეტენზია აქვს ესპანეთის სამეფოს და ის პერიოდულად მოითხოვს მის „დეკოლონიზაციას“, თუმცა ადგილობრივ მოსახლეობას ეს არ სურს: 1967 და 2002 წლების რეფერენდუმების დროს უმრავლესობამ ბრიტანეთის მონარქის ქვეშევრდომობა არჩია. გიბრალტარს აქვს თავისი პარლამენტი.

ფოლკლენდზე, საუთ ჯორჯიასა და საუთ სენდვიჩზე პრეტენზიას აცხადებს არგენტინა. 1982 წელს ბრიტანეთს მასთან ომიც კი მოუხდა ამ ტერიტორიების შესანარჩუნებლად.

„ზღვისგადაღმა ტერიტორიების“ ადგილობრივი მოსახლეობა მცირეა: სულ 48 ადამიანი – *პიტკერნში* და 268 ადამიანი – *ტრისტან და კუნიაში*, 59 ათასამდე – *კეიმენში* და 65 ათასამდე – *ბერმუდაში*.

„ზღვისგადაღმა ტერიტორიებს“ შორის ფართობით უდიდესია *ფოლკლენდის კუნძულები* – 12173 კვ. კმ, მაგრამ იქ სულ სამ ათასამდე მცხოვრებია (რომელთაც მილიონზე მეტი ცხვარი ჰყავთ!). მათ გარდა, ამ კუნძულებზე მუდმივად მონაცვლეობს 1300-ზე მეტი ბრიტანელი სამხედრო მოსამსახურე.

უესტ-ინდოეთში მდებარე „ზღვისგადაღმა ტერიტორიების“ პლაჟები მრავალ ტურისტს იზიდავს. გარდა ამისა, ზოგიერთი მათგანი (განსაკუთრებით, *კეიმენი, ბრიტიშ ვერჯინი, ბერმუდა*) ცნობილია იმით, რომ იქ ათეულ ათასობით ოფშორული კომპანიაა დარეგისტრირებული, რომლებშიც, გადასახადებისაგან თავის ასარიდებლად, დაბანდებულია სხვადასხვა ქვეყნის მდიდარი მოქალაქეების, ზოგიერთ შემთხვევაში, არცთუ კანონიერი გზით, შეძენილი კაპიტალი.

თემა 3. პოლიტიკური განვითარების ისტორიული ნიშანსვეტები (1): ადრეული ეპოქები.

ლიტერატურა: გაერთ. სამ. გვ. 81-97

წ ი ნ ა კ ე ლ ტ უ რ ი დ ა კ ე ლ ტ უ რ ი ხ ა ნ ა. უკანასკნელი გამყინვარების დროს, რომელიც დაახლოებით 115 ათასი წლის წინ დაიწყო და 10-12 ათასი წლის წინ დამთავრდა, ბრიტანეთის კუნძულები თითქმის მთლიანად ყინულით იყო დაფარული და, ბუნებრივია, ამის გამო უკაცრიელიც იქნებოდა. მხოლოდ ამჟამინდელ კუნძულ დიდი ბრიტანეთის სამხრეთ ნაწილს არ შეხებია გამყინვარება. იმ დროს სამხრეთი ბრიტანეთი ევროპის კონტინენტის გაგრძელებას წარმოადგენდა, რამაც განაპირობა ის, რომ გამყინვარების დასასრულისათვის იქ გავრცელდა ევროპული ფლორა და ფაუნა.

მეზოლითის ხანაში (დაახლოებით VII-VI ათასწლეულები ჩვ. წ-მდე) ბრიტანეთის კუნძულები, როგორც ევროპის ყველაზე განაპირა მხარე, ხალხთა მიგრაციების უკანასკნელ ნავსაყუდლად იქცა. უფრო ჩრდილოეთით მდებარე ისლანდია სკანდინავებმა მხოლოდ ჩვ. წ. IX საუკუნეში დაასახლეს.

არქეოლოგიური კვლევების მონაცემებით, უკვე მეზოლითის ხანიდან ძირითადი ფიზიკურ-გეოგრაფიული სხვაობები კუნძულ დიდი ბრიტანეთის ჩრდილოეთისა და დასავლეთის მთიან მხარეებსა და სამხრეთისა და აღმოსავლეთის ბარს შორის განსაზღვრავდა ადამიანის განსახლებისა და სოფლის მეურნეობის თავისებურებებს.

მთიანი მხარის დაცვა შედარებით ადვილი იყო, ამიტომაც ადრე დასახლებული ტომები, მათი ენები და ცხოვრების წესი მთაში დიდხანს შენარჩუნდა. სამხრეთ-აღმოსავლეთი დაბლობი მხარე კი, რომელსაც მხოლოდ ვიწრო სრუტე აშორებდა ევროპისაგან, უფრო ღია აღმოჩნდა სხვადასხვა მიგრანტებისათვის, რომლებიც ტალღებად მოდიოდნენ კონტინენტიდან და ჩრდილოეთის ან დასავლეთის მიმართულებით სდევნიდნენ მათზე ადრე მოსულ ტომებს.

დაახლოებით ძვ. წ. 3700 წელს ბრიტანეთის კუნძულებზე უკვე ჩანს მიწათმოქმედება, რომელიც ახლო აღმოსავლეთში ძვ. წ. X ათასწლეულში გაჩნდა და თანდათანობით ევროპაშიც გავრცელდა. მიწის დამუშავების კულტურა ბრიტანეთში შემოიტანეს ტომებმა, რომლებიც ნეოლითურ იარაღს ხმარობდნენ და ხმელთაშუაზღვსპირული რასის წარმომადგენლები უნდა ყოფილიყვნენ: მათი ნაშთების ანთროპოლოგიური რეკონსტუქცია ამ უკანასკნელთ წარმოგვიდგენს შედარებით მომცრო ტანის, როგორც ჩანს, შავგვრემან ადამიანებად. ასეთი ტიპი ჯერაც შეიძლება აღმოვაჩინოთ ადგილობრივ (არა იმიგრანტ) ბრიტანელებში, განსაკუთრებით, უელსელებს შორის.

ისტორიკოსები ამ უძველეს ადამიანებს „იბერიელებს“ უწოდებენ, ვინაიდან მიიჩნევენ, რომ მათი წინაპრები *იბერიის* (იმავე *პირენეის*) ნახევარკუნძულიდან მოვიდნენ ამ კუნძულებზე.

ბრიტანეთის უძველესი მკვიდრებისათვის მეცნიერებმა მხოლოდ XIX საუკუნეში შემოიღეს ტერმინი „იბერიელები“. ამიტომაც, *მხოლოდ და მხოლოდ სახელების მსგავსებიდან გამომდინარე,* სრულებით არამეცნიერულია იმის მტკიცება, თითქოს კავკასიის იბერიელები (ეს ჩვენი თვითსახელი არცაა!) და ბრიტანეთის „იბერიელები“ მონათესავე ტომები იყვნენ: ამაზე კი ხანდახან სრულებით დაუსაბუთებლად წერენ!

ასეთი რამის მტკიცებას უფრო სერიოზული არგუმენტაცია სჭირდება.

ძვ.წ. III-II ათასწლეულებში ამ ე.წ. „იბერიელების“ შემდეგ (ან მათივე დროს?) კუნძულებზე ცხოვრობდნენ ე.წ. „მეგალითების მშენებელი“ ტომები. მათი რიტუალური მონუმენტებიდან აღსანიშნავია უილტშირის საგრაფოში, სოლსბერის ველზე, ძვ. წ. 1900-1700 წლებში აღმართული *სტოუნჰენჯის* მეგალითური (*mega lithos* – ბერძნულად „დიდი ქვა“) კომპლექსი: ესაა მაღალი, საგანგებოდ გათლილი ქვების რამდენიმე კონცენტრული წრე, როგორც ჩანს, რელიგიური დანიშნულების ადგილი და/ან, შესაძლოა, ობსერვატორია ქურუმებისათვის. ბოლო პერიოდში სტოუნჰენჯის ირგვლივ აღმოაჩინეს კიდევ უფრო ძველი მეგალითების კვალი.

ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოდან კუნძულებზე ჩანს ადრეული ბრინჯაოს იარაღი. ამ ეპოქიდან იწყება ვაჭრობა კონტინენტური ევროპის ქვეყნებთან. ბრიტანეთიდან მიაქვთ კალა, ოქრო, სპილენძი.

სულ ბოლო პერიოდში, 2015 წელს, აღმოსავლეთ ინგლისში არქეოლოგებმა აღმოაჩინეს ძვ. წ. II-I ათასწლეულების დასახლება (ის საკმაოდ კარგად შემოინახა, რადგან ნასახლარი ჩაეფლო თიხნარში). იმდროინდელი ჭურჭელი, ბორბალი და ქსოვილის ნაშთი გვიჩვენებს, რომ ბრინჯაოს ხანის მოსახლეობა „ველური“ სულაც არ იყო.

ძვ. წ. I ათასწლეულის შუაგულიდან კუნძულზე უკვე ჩანან *კელტები*, რომლებიც რაინისპირეთიდან მოვიდნენ. არქეოლოგიურ მონაცემებზე დაყრდნობით, ისინი მაღალი, ალბათ, ღია ფერის კანის და ცისფერთვალება ადამიანები იყვნენ. კელტები ინდოევროპული ენობრივი ოჯახის წარმომადგენლები არიან, თავდაპირველად, როგორც ჩანს, ცენტრალური ევროპის მკვიდრნი. ისინი ერთხანს ფართოდ გავრცელდნენ მთელ ევროპაში და მის გარეთაც. კელტები იყვნენ *ჰელვეტები* – დღევანდელ შვეიცარიაში, *გალები* – დღევანდელ საფრანგეთსა და ჩრდილოეთ იტალიაში, *გალატები* – მცირე აზიაში, *გოიდელები* – ირლანდიაში, *გალისიელები* – ესპანეთში და სხვ.

მოგვიანებით კელტურ ენებზე მოსაუბრენი ევროპაში შეავიწროვეს გერმანიკულ-, რომანულ-, სლავურ-ენოვანმა ტომებმა. კელტურენოვანი ხალხები ამჟამად შემორჩნენ მხოლოდ ევროპის უკიდურეს დასავლეთ მხარეებში – ირლანდიაში, ჩრდილოეთ შოტლანდიაში, უელსში, ბრეტანში (საფრანგეთის ჩრდილო-დასავლეთში) და გალისიაში (ჩრდილოეთ ესპანეთში).

ძვ. წ. VI საუკუნეში ბრიტანეთში მოსულმა პირველმა კელტებმა, ბრინჯაოს მახვილებით შეიარაღებულმა *გელებმა,* დაამარცხეს ადგილობრივი წინაკელტური მოსახლეობა და განდევნეს ის ჩრდილოეთისა და დასავლეთის მთებისკენ. ყოველი შემდგომი შემოსევის დროსაც ადგილობრივ მკვიდრთა უკანასკნელი თავშესაფარი ისევ ეს მთები და ირლანდიის კუნძული იყო.

ძვ. წ. V საუკუნეში მოვიდა კელტების ახალი შტო (მათ შორის ვარაუდობენ *ბრიტებს*). ბრიტებს ჰქონდათ რკინის მახვილები, რომელთაც ადრე დამკვიდრებული მოსახლეობის ბრინჯაოს მახვილები დიდ წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა. ბრიტებმა ჩრდილოეთისაკენ განდევნეს გელები და სხვა ტომები. ძვ. წ. I საუკუნეში კიდევ ერთი კელტური ტომი – *ბელგები* – ბრძოლით დასახლდა სამხრეთ და აღმოსავლეთ ინგლისში.

ორი ათასი წლის წინ კელტებმა დაიკავეს ბრიტანეთის კუნძულები, მათ შორის, ირლანდიაც. შოტლანდიის მთიანეთში ცხოვრობდნენ *პიკტები.*

რომაელები დღევანდელ შოტლანდიას *კალედონიას* უწოდებდნენ. *კალედონიის* აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ ნაწილის მკვიდრებს რომაელები იცნობდნენ *პიკტების* სახელით, რაც, როგორც ჩანს, უკავშირდება მოსვირინგების ან მოხატვის ტრადიციას (ლათინურად pictus „მოხატულს“ ნიშნავს). პიკტების თვითსახელი და მათი ენა უცნობია. *პიკტებს* კელტურ ხალხად მიიჩნევენ, მაგრამ, შესაძლოა, ისინი იყვნენ წინაკელტური მოსახლეობის ნაშთი, რომელიც საბოლოოდ შეერია კელტური მოდგმის გელებსა და სკოტებს. ჩვ. წ. I-II ათასწლეულების მიჯნიდან შოტლანდიის ჩრდილოეთი მთლიანად კელტიზებული ჩანს. *სკოტების* კელტური ტომი VI საუკუნემდე ჩრდილოეთ ირლანდიაში სახლობდა. შემდგომში ეს ტომი გადასახლდა კალედონიაში და, საბოლოოდ, კუნძულ დიდი ბრიტანეთის ჩრდილოეთ ნაწილს ეწოდა მისი სახელი – *სკოტლანდი,* რომლის გერმანული გამოთქმა – *შოტლანდი* (*Schottland*) – რუსულის გავლით შემოვიდა ქართულში.

ბრიტებმა კუნძულებზე კონტინენტიდან შემოიტანეს რკინისბუნიკიანი ხის მსუბუქი სახნისი, რომელიც მიწას ღრმად ვერ ხნავდა და ამიტომ მინდორს ორჯერ ამუშავებდნენ, მეორედ – გარდიგარდმო. ამიტომ ე. წ. *„კელტური მინდვრები“* კვადრატული ფორმისა იყო და არქეოლოგებს ისინი აღმოჩენილი აქვთ, ძირითადად, ბორცვების თხემებსა ან ფერდობებზე, საიდანაც ჭარბი ტენი ბუნებრივად იწრიტებოდა.

ბელგებმა შემოიტანეს უფრო მძიმე რკინის გუთანი, დაიწყეს დაბლობების ათვისება და კუნძულ დიდი ბრიტანეთის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი ქვეყნის ბეღლად აქციეს. კირქვიანი ბორცვების თხემებსა და ფერდობებზე მოსახლეობა თანდათან გაქრა. ეს ადგილები დღემდე რჩება საძოვრებად.

კელტების დროს მიწა თემის საკუთრება იყო. ტომის ბელადები თანდათან მდიდრდებოდნენ და დიდ ძალას იძენდნენ. ქურუმები – *დრუიდები* – მრავალ ღმერთს ემსახურებოდნენ. მათი საკურთხევლები მორთული იყო წმინდა მცენარით – *ფითრით.*

ქრისტეშობის აღსანიშნავად ბრიტანეთში სახლებს დღემდე რთავენ ფითრის ტოტებით, რაც დრუიდების დროინდელი ტრადიციაა.

რ ო მ ა უ ლ ი *B r i t a n n i a.* ძალიან ხშირად ისტორიკოსები ბრიტანეთის ისტორიას იწყებენ ძველი წელთაღრიცხვის 55 წლით, რადგან ამ დროიდან გაჩნდა წერილობითი წყაროები ბრიტანეთის შესახებ და თვით ეს სახელიც – „*Britannia*" – სწორედ მაშინ ჩნდება. რომაელების ბატონობის ეპოქის განხილვისას სწორედ ამ გამოთქმას – *ბრიტანიას* – გამოვიყენებ, რომ არ აგვერიოს ის თანამედროვე ბრიტანეთში. რომაელები ბრიტანიას *ალბიონსაც* უწოდებდნენ: ამ სახელს, „*ალბას*" სახით, შოტლანდიაში დღემდე ინარჩუნებენ (იხ. ქვემოთ).

ძვ. წ. 55 წელს რომაელი მხედართმთავარი *იულიუს კესარი (ცეზარი),* 12 ათასი მეომრის თანხლებით, პირველად გადმოჯდა ალბიონის ნაპირზე. ამ დროისათვის მას დაპყრობილი ჰქონდა მთელი *გალია* – დღევანდელი საფრანგეთი და ზოგი მეზობელი მხარე მდ. რაინამდე. გამარჯვების დასაგვირგვინებლად მას უნდოდა ბარბაროსების კიდევ ერთი ბუდის განადგურება, რომელიც გალებს ეხმარებოდა. *ბრიტებმა* – ასე უწოდებდა ყველა იქაურ კელტს კესარი თავის თხზულებაში „*De bello Gallico*" – სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიეს რომაელებს. ამიტომაც ძვ.წ. 54 წლის ზაფხულში კესარმა მოიყვანა ორჯერ მეტი ლაშქარი, დაამარცხა ბრიტები, შეაწერა ხარკი და მძევლებით დაბრუნდა კონტინენტზე. მოგვიანებით (ძვ.წ. 46 წ.) რომში კესარს გაუმართეს ტრიუმფი, როგორც მრავალი ქვეყნის, მათ შორის ბრიტანიის, დამპყრობს. სინამდვილეში კი, კიდევ ერთ საუკუნეს ეს კუნძული რომისაგან დამოუკიდებელი იყო.

მხოლოდ ჩვენი წელთაღრიცხვის 43 წელს, *იმპერატორ კლავდიუსის* დროს, მოიცალა რომმა ბრიტანიის დასამორჩილებლად. წინააღმდეგობა ხანგრძლივი და სასტიკი იყო. აჯანყებულმა *იკენების* ტომმა, „დედოფალ" *ბოუდიკას* მეთაურობით, 61 წელს დაწვა ახალი რომაული ქალაქები – *ვერულამიუმი, კამულოდუნუმი, ლონდინიუმი* – და გაწყვიტა მათი რომანიზებული მოსახლეობა, რომელთაგან უმეტესობა ბრიტი უნდა ყოფილიყო. რომაელ მხედართმთავარ *სვეტონიუსს* დიდი ბრძოლა დასჭირდა მამაცი ქალის დასამარცხებლად, რომელმაც სამარცხვინო ტყვეობას თავის მოწამვლა ამჯობინა.

საბრძოლო ეტლზე ამხედრებული *ბოუდიკას* ფიგურა ლონდონში, უესტმინსტერის პარლამენტთან, „*ბიგ ბენის*" წინ, 1902 წლიდან დგას, როგორც „ბრიტანელების გმირული ბრძოლის" სიმბოლო. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ძირითადად ანგლოსაქსური წარმოშობის ინგლისელებმაც დაიწყეს თავის გაიგივება კუნძულზე ადრე მცხოვრებ კელტურ ტომებთან და ამით საკუთარი „ისტორიის დაგრძელება" სცადეს, რასაც სხვა ხალხებიც ხალისით აკეთებენ ხოლმე.

ბოუდიკას აჯანყების ჩახშობის შემდეგ რომაელებმა უფრო ადვილად დაიმორჩილეს ბრიტანიის დაბლობი მხარეები, მაგრამ დღევანდელ უელსსა და შოტლანდიაში ფეხი ვერ მოიკიდეს. იქ არც არაფერი იყო, რასაც რომი დახარბდე-

ბოდა! პირიქით, [დღევანდელი] შოტლანდიის მკვიდრი ღარიბი მთიელი *პიკტები* განუწყვეტლივ ესხმოდნენ თავს [დღევანდელი] ინგლისის ტერიტორიაზე მცხოვრებ *ფედერატებს* – რომის მოკავშირე უფრო შეძლებულ კელტურ ტომებს, რომლებსაც რომაული ლეგიონები იცავდნენ.

"ისტორიის დაგრძელება" ინგლისის შემთხვევაში რომანტიკის სფეროს არ გასცილებია: ინგლისელებს მიწის მოცილე არავინ ჰყავდათ!

მაგრამ მსოფლიოს სხვა რეგიონებში ანალოგიურ ქცევას პოლიტიკური დატვირთვა აქვს. ერთსა და იმავე ტერიტორიაზე ადრე მცხოვრები წინამორბედი ხალხების ხარჯზე საკუთარი „ისტორიის დაგრძელება" საკმაოდ ხშირი მოვლენაა და ამჟამად განსაკუთრებით იგრძნობა შედარებით ახალშექმნილ ეროვნულ სახელმწიფოებში, მათ შორის, პოსტ-საბჭოთა სივრცეში და ახლო აღმოსავლეთში, სადაც ამ გზით უნდათ დაუმტკიცონ მეზობლებს, რომ „ეს მიწა ოდითგანვე ჩვენი იყო და მას ნუ შეგვეცილებითო!"

122-128 წლებში, იმპერატორ *ადრიანეს* დროს, პიკტების თარეშის აღსაკვეთად რომაელებმა ააგეს გრძელი „*ადრიანეს კედელი*" (*Hadrian's Wall*) ზღვიდან ზღვამდე – ირლანდიის ზღვის ნაპირზე მდებარე ამჟამინდელი ქ. *კარლაილიდან* ჩრდილოეთის ზღვამდე, მდ. ტაინის შესართავამდე. ამ კედლის ნაშთები დღესაცაა შემორჩენილი და საინტერესო ტურისტულ ობიექტს წარმოადგენს.

142 წელს იმპერატორმა *ანტონინუს პიუსმა* ბრძანა სამხედრო საზღვრის გადატანა უფრო ჩრდილოეთით, დღევანდელ ცენტრალურ შოტლანდიაში, სადაც ისევ ზღვიდან ზღვამდე აიგო 69 კილომეტრი სიგრძის, 3 მეტრი სიმაღლისა და 5 მეტრი სიგანის „*ანტონინის კედელი*" მდ. კლაიდის შესართავიდან მდ. ფორთის შესართავამდე. ამ საზღვრის დაცვა ძნელი აღმოჩნდა. უშედეგო იყო III საუკუნეში მისი აღდგენის მცდელობა იმპერატორ *სევერუსის* დროს. სამხრეთით მდებარე „ადრიანის კედლის" დაცვა უფრო ადვილი საქმე იყო. ამ უკანასკნელის ნაშთები უკეთესადაა შემორჩენილი, ვიდრე „ანტონინის" (იმავე – „სევერუსის") კედლისა.

რომაელების ბატონობამ ბრიტანიაში სამ-ნახევარ საუკუნეს გასტანა. მათი საქმიანობის ფიზიკური ნაკვალევი ჩანს ქვით მოკირწყლული 6-7 მეტრი სიგანის გზების ნაშთებში. „რომაული გზები" პირდაპირი ხაზით კვეთდნენ ქვეყანას და ერთმანეთთან უმოკლესი მანძილით აკავშირებდნენ სტრატეგიულ პუნქტებს. რომაული გზების ტრასას ხშირად გასდევს თანამედროვე ავტოსტრადები.

არქეოლოგთა სანუკვარ აღმოჩენას, განსაკუთრებით, სამხრეთ და აღმოსავლეთ ინგლისში, წარმოადგენს რომაელების მიერ აგებული შესანიშნავი მოზაიკური იატაკის მქონე ვილები, სადაც ჰქონდათ წყალსადენი, კანალიზაცია და ცენტრალური გათბობაც კი.

რომაელებმა დააარსეს ბევრი ქალაქი, რომელთა ნასახლარებზე ახლა 50-ზე მეტი თანამედროვე ქალაქი დგას. ზოგ რომაულ ქალაქს *მუნიციპიის* უფლება ჰქონდა, ანუ იქ მცხოვრებნი რომის მოქალაქეებად ითვლებოდნენ. ესენი იყვნენ: *ვერულამიუმი* (თანამედროვე სენტ-ოლბენსი), *კამულოდუნუმი* (კოლჩესტერი),

ებორაკუმი (იორკი), *ლინდუმი* (ლინკოლნი) და *გლევუმი* (გლოსტერი). კუნძულზე ერთადერთ ცხელი წყლის გამოსავალთან, ბრიტანიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, რომაელებმა დააარსეს ქალაქი *Aquæ Sulis,* რომლის ადგილზე XVIII საუკუნიდან განვითარდა ბალნეოლოგიური კურორტი *ბათი* (*Bath*).

ლონდინიუმი (ლონდონი) იქცა იმ დროისათვის საკმაოდ დიდ სავაჭრო ცენტრად. მდ. ტემზის შედარებით ვიწრო ადგილზე, სადამდეც ზღვის მოქცევას თავისუფლად შეეძლო ამოეყვანა იმდროინდელი გემები, რომაელებმა ააგეს პირველი ხიდი. მის ადგილზე ახლა თანამედროვე *ლონდონის ხიდია* (*London Bridge*). რომაული კედლებისა და ამფითეატრის ნაშთი ლონდონში დღესაც არსებობს.

ბევრი თანამედროვე ინგლისური ქალაქი არსებობს რომაული სამხედრო ბანაკის ადგილზე. ლათინური *castra* ("ბანაკი") ინგლისურში შემორჩა, როგორც *„ჩესტერ"* ან *„კასტერ"*: ასეთი ქალაქებია *მანჩესტერი, კოლჩესტერი, უინჩესტერი, ჩესტერი, სილჩესტერი, ჩიჩესტერი, საირენსესტერი, ლანკასტერი, ტადკასტერი, დონკასტერი, ბრანკასტერი, გლოსტერი, ლესტერი* და მრავალი სხვა.

საერთო ჯამში, რომაელები ბრიტანიის ოკუპანტები უფრო იყვნენ, ვიდრე კოლონისტები. კუნძულზე წესრიგს იცავდნენ რომაული ლეგიონები. ბრიტანია მეტროპოლიას აწვდიდა კალის მადანს, ტყავს, ხორბალს, ჯარისკაცებსა და მონებს. IV საუკუნიდან იქ ვრცელდებოდა რომში უკვე გაბატონებული რელიგია – ქრისტიანობა.

მაგრამ მოსახლეობის მხოლოდ უმაღლესი ფენა იყო ჭეშმარიტად რომანიზებული, ის ლაპარაკობდა ლათინურად. ქალაქების მოსახლეობა შერეული, რომაულ-კელტური, გახდა, ხოლო სოფელი კელტური რჩებოდა. ტომობრივი დაყოფა რჩებოდა და რომი ამას ერთგვარად ახალისებდა კიდეც. ერთიანი „ბრიტანელი ერი" არ შექმნილა და რომის ბატონობის პირობებში ვერც შეიქმნებოდა. რომაელების დიდი მასის გადასახლება ბრიტანიაში არ მომხდარა. განსხვავებით *გალიისაგან* (დღევანდელი საფრანგეთი), სადაც საყოველთაო ენებად იქცა ლათინურის ვარიანტები (მომავალი ფრანგული, პროვანსული, კატალონიური ენები) და ისინი ვერც გალიის დამპყრობელმა გერმანულმა ტომებმა შეცვალეს – *ბრიტანიაში* თუკი იყო ლათინურის ენობრივი გავლენა, რომაელების წასვლის შემდეგ ის მალე გაქრა. ქვემოთ ვნახავთ, თუ რატომ მოხდა ასე.

როდესაც მეხუთე საუკუნის დასაწყისში თვით რომს შეუქმნეს სასიკვდილო საფრთხე გერმანულმა ტომებმა, ბრიტანიიდან გამოიძახეს უკანასკნელი ლეგიონები. ეს დაახლოებით 409 წელს მოხდა. ჯართან ერთად წავიდნენ რომაელი მოხელეები და იქ ჩასახლებულ რომაელთა დიდი ნაწილიც. ამით რომის ბატონობის ხანა ბრიტანიაში დასრულდა.

ა ნ გ ლ ო - ს ა ქ ს ე ბ ი. V საუკუნის პირველ ნახევარს ზოგჯერ „კელტურ აღორძინებას" უწოდებენ, მაგრამ ეს პერიოდი ცუდად დამთავრდა. რომაელების წასვლის შემდეგ ბრიტანიაში აღარ დარჩა ცენტრალური ხელისუფლება. კელტურმა ტომებმა ისეთივე შინაომები გააჩაღეს, როგორსაც რომაელების

მოსვლამდე ეწეოდნენ. საქალაქო ცხოვრება ჩაკვდა. რომაელთა წასვლიდან სულ ერთი თაობის შემდეგ იქამდე აყვავებული ქალაქი ლონდინიუმი გაუკაცრიელდა.

ყოფილი რომაული *Britannia* გახდა ჩრდილოეთიდან *პიკტების*, ირლანდიიდან (რომაელები მას *Hibernia*-s უწოდებდნენ) – *სკოტების*, ევროპის კონტინენტიდან სხვადასხვა გერმანული ტომების – *იუტების, ფრიზების, საქსების, ანგლების* – თავდასხმის ობიექტი.

გადმოცემის თანახმად, ბრიტების ერთ-ერთმა ბელადმა, *ვორტიგერნმა,* ჩრდილოელი პიკტების წინააღმდეგ საბრძოლველად მოუხმო დღევანდელი დანიის ტერიტორიაზე მცხოვრები გერმანულ ტომს – *იუტებს.* იმ ნახევარკუნძულს, სადაც ახლა დანიის სამეფო მდებარეობს, *იუტლანდია* ჰქვია. ისტორიკოსები ახლა იხრებიან აზრისაკენ, რომ იუტები ბრიტანეთში რაინისპირეთიდან წამოვიდნენ და არა დანიიდან. იუტების რაზმი *ჰენგისტისა* და *ჰორსას* მეთაურობით დაახლოებით 450 წელს გადმოჯდა კუნძულ თანეტზე, აღმოსავლეთ კენტში, კონტინენტთან ყველაზე ახლოს მდებარე ტერიტორიაზე და დაეხმარა ვორტიგერნს პიკტების მოგერიებაში.

იუტები აღარ დაბრუნდნენ სამშობლოში. პირიქით, სხვა გერმანული ტომებით გაძლიერებულებმა, ომი დაუწყეს ბრიტებს.

მომდევნო საუკუნე-ნახევარი ბურუსითაა მოცული: მწირი წერილობითი წყაროები არაფერს გვამცნობენ, თუ რა ხდებოდა კუნძულებზე. როდესაც 597 წელს რომის პაპის წარგზავნილი ბერი *ავგუსტინე* ქრისტეს სჯულის საქადაგებლად მოვიდა კენტის სამეფოში, აღმოჩნდა, რომ კუნძულ დიდი ბრიტანეთის საგრძნობი ნაწილი გერმანული ტომებით იყო დასახლებული.

რომის იმპერიის დაკნინებისა და დაცემის ხანაში ევროპაში მიმდინარეობდა გერმანული და სლავური ტომების გადასახლება. გერმანელი *ფრანკების* ტომმა დაიპყრო გალიის საგრძნობი ნაწილი და ამ ტერიტორიას საბოლოოდ დაუმკვიდრდა სახელად *France*; ჯერ გერმანელმა *ოსტროგოთებმა*, მერე – *ლანგობარდებმა* დაიპყრეს ჩრდილო იტალია. ამ უკანასკნელთაგან მოდის სახელი *ლომბარდია*; გერმანელმა *ვანდალებმა* გადაიარეს ესპანეთზე. ფიქრობენ, რომ მათგან მოდის სახელი *Andalusia*. იმავე ვანდალებმა და, ცალკე, ოსტროგოთებმა დაიპყრეს და გაძარცვეს თვით ქალაქი რომი. VI საუკუნეში სლავურმა ტომებმა დაასახლეს დღევანდელი სლოვაკეთი, ჩეხეთი, ბულგარეთი, ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორია.

კონტინენტზე მიგრაციებისას შედარებით მცირერიცხოვანი გერმანული ტომები დროთა განმავლობაში შეერივნენ ადგილობრივს ხალხებს და დაპყრობილთა რომანიზებული კულტურის გავლენის ქვეშ აღმოჩნდნენ. მაგალითად, *ფრანკების* ენად იქცა გალების სალაპარაკო ლათინურის დიალექტი (მომავალი *français* – *ფრანგული* ენა); *ლანგობარდებმა* ლათინურის სხვა ვარიანტი, *ლომბარდიული*, განავითარეს. გოთებისა და ვანდალების ცისფერი თვალები და ქერა თმები მალე გამუქდა იტალიასა და ესპანეთში.

დიდი ბრიტანეთის კუნძულის აღმოსავლეთ, სამხრეთ და ცენტრალურ ნაწილებში კი გერმანული კოლონიზაცია სრული აღმოჩნდა. აქ მოსული ჩრდილოგერმანული ტომები (მათ ტრადიციულად *ანგლო-საქსებს* უწოდებენ) ეკონომიკურად და კულტურულად სხვა გერმანულ ტომებზე ჩამორჩენილებად ითვლებიან, მაგრამ მათი გვაროვნული ორგანიზაცია და მებრძოლი სული ძალიან ხელსაყრელი აღმოჩნდა ბრიტების შედარებით სუსტი და დაქუცმაცებული წინააღმდეგობის დასაძლევად. ვარაუდობენ, რომ ბრიტების ტომები არც ცხოვრობდნენ ერთიან მასივად დიდი ბრიტანეთის კუნძულზე, მათი განსახლება უფრო ლაქების სახით იყო წარმოდგენილი, რომელთა შორისაც დიდი დაუსახლებელი ტერიტორია რჩებოდა და ანგლოსაქსებმა ეს სივრცე ადვილად აითვისეს.

ბრიტების მომდევნო ბედ-იღბალი ბუნდოვანია. როგორც ჩანს, ანგლოსაქსებმა მათი უმეტესობა განდევნეს ან გაანადგურეს. რასაკვირველია, უნდა ვიფიქროთ, რომ ბრიტების ნაწილი გადარჩებოდა: ზოგ ტყვეს მონად დატოვებდნენ; რადგანაც ანგლოსაქსი მეომრები უმეტესწილად უოჯახოდ მოდიოდნენ, ისინი ბრიტების ახალგაზრდა ქალებს შეირთავდნენ, რომლებიც მათი შვილების დედები გახდებოდნენ. ასეთი სახის ეთნიკური შერევა აუცილებლად მოხდებოდა.

მაგრამ კულტურული შერწყმა თითქმის არ მომხდარა. ამას ადასტურებს ის, რომ ინგლისურ ენაში კელტური წარმოშობის ძალიან ცოტა სიტყვა შევიდა.

ანგლოსაქსებმა აღმოფხვრეს რომის დროს გავრცელებული ქრისტიანობა და სანაცვლოდ მოიტანეს თავიანთი პანთეონი, მრავალი ღვთაების კულტი, რომლის ხსოვნა შემორჩა თანამედროვე ინგლისურ ენას, მაგალითად, კვირის დღეების სახელებში.

Woden გერმანული ტომების მთავარი ღვთაება იყო (აქედან მოდის *Wednesday, ოთხშაბათი*); *Thunor* – ზეცისა და მეხის ღვთაება (აქედან მოდის *Thursday, ხუთშაბათი*); *Tiw* – ომის ღვთაება (აქედან მოდის *Tuesday, სამშაბათი*); *Frige* – სავარაუდოდ, ნაყოფიერებისა და სიყვარულის ქალღმერთი (აქედან მოდის *Friday, პარასკევი*). რომაულ ღვთაება *Saturnus*-ს უკავშირდება *Saturday* (*შაბათი*). *კვირა დღე* (*Sunday*) გვახსენებს მზის (*Sun*) კულტს, ხოლო *ორშაბათი* (*Monday*) მთვარის (*Moon*) კულტს უკავშირდება.

VIII საუკუნეში *პატივცემული ბედა* წერდა, რომ ქრისტიანობის მიღების შემდეგაც *აღდგომის* დღესასწაულთან დაკავშირებულ თვეს ანგლოსაქსები ძველებურად უწოდებდნენ *Eosturmonath*, რომელიც განთიადის ქალღმერთ *Eostre*-ს ეძღვნებოდა. აქედან მოდის *აღდგომის* თანამედროვე ინგლისური სახელი *Easter*.

ადგილებს გაუჩნდა ანგლოსაქსური სახელები. ასეთია დაბოლოება „უიკ/უიჩ“ (*wick/wich*) – *სოფელი* (მაგალითად, *Berwick, Warwick, Norwich, Ipswich*), „ტონ“ (*ton*) – *დასახლება*, შემდგომში *ქალაქი* (მაგალითად, *Kingston, Kensington*), „ჰემ“ (*ham*) – *ფერმა, სოფელი* (მაგალითად, *Birmingham, Nottingham*), „ფორდ“ (*ford*) – *ფონი* (მაგალითად, *Oxford, Bradford*) და სხვ. ზოგი ქალაქის ლათინური სახელი ანგლოსაქსურად გადამუშავდა, მაგალითად, *Londinium* გახდა *Lundenwic, Eburacum* –

York, Dubris – Dover და ა.შ. როგორც ზემოთ ითქვა, ლათინურ ძირს – *castra*-ს დაეფუძნა ბევრი ინგლისური ტოპონიმი.

ძველი, კელტური სახელები, ძირითადად, მდინარეებს შერჩათ, ასეთებია, მაგალითად, *Avon, Don, Ouse, Dee*.

ჰიდრონიმები ყველაზე მდგრადი სახელებია და ახალმოსული მოსახლეობა, ძირითადად, ინარჩუნებს ხოლმე მდინარეებისა და ტბების სახელებს. ამის მაგალითებია ადგილობრივ ინდიელთა ენებიდან შემორჩენილი *მისისიპი* ან *მისური* – ამერიკაში, ფინური ენებიდან შემორჩენილი *ვოლგა, ოკა, კამა, მოსკვა, ნევა, ლადოგა, ონეგა* – რუსეთში, ბერძნული ენიდან შემორჩენილი *მენდერესი* (*მეიანდროს*), *საკარია* (*საგარიოს*) – თურქეთში და ა.შ.

თუმცა ანგლოსაქსური დაპყრობის დეტალები ისტორიკოსებისათვის ნაკლებადაა ცნობილი, ვიცით, რომ იგი ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა. ბრიტებს თითქოს მეთაურობდა ნახევრად ლეგენდარული *მეფე არტური*. გადმოცემით, *მაუნტ-ბედონთან*, სამხრეთ-დასავლეთ ინგლისში, დაახლოებით 520 წელს, ბრიტებმა დაამარცხეს მტერი და შეაჩერეს მისი წინსვლა. მაგრამ დადასტურებული ფაქტია, რომ VI საუკუნის ბოლოსათვის ინგლისისა და სამხრეთ შოტლანდიის უდიდეს ნაწილზე ბატონობდა ანგლოსაქსური ენა და წარმართული კერპები.

კელტურ ტომებს დარჩათ კუნძულ დიდი ბრიტანეთის დასავლეთისა და ჩრდილოეთის მხარეები: ეს იყო *კორნუოლი*, სადაც კელტური ენა XVIII საუკუნემდე ისმოდა; *უელსი*, სადაც მთიანეთმა დღემდე დაიცვა ძველი ბრიტების ნაშთი; *სტრეთკლაიდი*, რომელიც ჩრდილო-დასავლეთ ინგლისსა და სამხრეთ-დასავლეთ შოტლანდიას მოიცავდა და რომლის შესახებაც არაფერი ვიცით, გარდა სახელისა. კელტური მოსახლეობა შენარჩუნდა *ირლანდიის* კუნძულზე. მთიან და კუნძულოვან *შოტლანდიაში* კელტები პიკტებს შეერივნენ.

უკვე IV საუკუნიდან ბევრმა ბრიტმა დაიწყო გადასახლება კონტინენტზე. დღევანდელი საფრანგეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, *არმორიკუმის* ნახევარკუნძულზე, ადგილობრივ გალებთან შერევის შემდეგ მათ დააარსეს *ბრეტანის სამთავრო*. ინგლისელები მას *Britanny*-ს უწოდებენ.

ტრადიციულად მიღებულია ბრიტანეთის გერმანელი დამპყრობლების დაყოფა სამ ძირითად შტოდ: *ანგლებად*, რომელთაც კუნძულის ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი დაიპყრეს, *საქსებად* და *იუტებად*, რომლებიც სამხრეთში დამკვიდრდნენ. მაგრამ იმდროინდელი მცირერიცხოვანი მემატიანეები ხშირად ყველას ერთად ან *ანგლებს* უწოდებენ, ან *საქსებს*. ბრიტებისათვის ყველა მომხდური „საქსონელი“ იყო, მაგრამ, ალბათ, ანგლები მაინც ჭარბობდნენ, რახან ქვეყნის საერთო სახელი – *England* (< *Angleland*) – ბოლოს მაინც მათი ეთნონიმიდან წარმოსდგა.

ანგლოსაქსები, მართალია, რომაელებთან შედარებით განვითარების უფრო დაბალ დონეზე იდგნენ, ქალაქში ცხოვრებას თავის კომპაქტურ სოფლებს ამჯობინებდნენ, მაგრამ ველურები ისინი არ ყოფილან.

მიწას დანატრებულმა ხალხმა დიდად გააფართოვა სახნავ-სათესი. დაბლობში ანგლოსაქსებმა გაჩეხეს ტყე და დაიწყეს ახოს დამუშავება სამმინდვრიანი სისტემით. ერთსა და იმავე ნაკვეთზე ჯერ თესდნენ ქერს, ხორბალს, ჭვავს, ან შვრიას. მომდევნო წელს იმავე ნაკვეთზე კულტურას ცვლიდნენ და მესამე წელს იმავე ნაკვეთს „ასვენებდნენ“, ანუ ანეულად ტოვებდნენ, სადაც სოფლის მცირერიცხოვანი ნახირი ძოვდა. სოფელს სამი დიდი, შემოუღობავი მინდორი ჰქონდა. თემის ყველა წევრს რომ თანაბარი წილი ჰქონოდა, თითოეულ შემოუღობავ მინდორს თემის წევრები ყოველწლიურად კენჭისყრით იყოფდნენ ვიწრო ზოლებად, რომელსაც მძიმე გუთნით ხნავდნენ. ანგლოსაქსური „ღია მინდვრები“ ყოველთვის *ვიწრო ზოლებით* გამოირჩეოდა კელტური „*კვადრატებისაგან*“.

ანგლოსაქსურმა „ღია მინდვრების“ სისტემამ ფეოდალიზმის დროსაც იარსება, როდესაც მიწის გამგებელი ლორდი გახდა, ხოლო მიწას ისევ გლეხები ამუშავებდნენ და მოსავლის ნაწილს ლორდს აძლევდნენ. XIV-XVIII საუკუნეებში კი ინგლისში სახნავ-სათესის დიდი ნაწილი შემოიღობა და მიწა დაისაკუთრა მემამულემ ან ფერმერმა.

ანგლოსაქსური დაპყრობის ადრეულ პერიოდში ცალკეული რაზმები ან ტომები ქმნიდნენ ეფემერულ გაერთიანებებს, რომელთაც *კიუნინგი* (*cyning,* მეფე) ედგა სათავეში.

VI საუკუნის ბოლოს ჩამოყალიბდა შვიდი ანგლოსაქსური სამეფო, რომელიც *ჰეპტარქიის* („შვიდმეფობა“) სახელითაა ცნობილი. *იუტების* მიერ დაარსებულადაა მიჩნეული სამხრეთში მდებარე *კენტის სამეფო* (*Kent,* დღევანდელი კენტის ქაუნთი).

საქსების სამეფოები იყო *ესექსი*[5] (*Essex,* „აღმოსავლეთის საქსები“), *სასექსი* (*Sussex,* „სამხრეთის საქსები“) და უესექსი (*Wessex,* „დასავლეთის საქსები“). ანგლების სამეფოები უფრო დიდი ზომისა იყო: აღმოსავლეთი ინგლისი ეჭირა *ისტ-ანგლიას* (*East Anglia*). ჩრდილო-აღმოსავლეთით, ანგლების ორი დიდი პოლიტიკური ერთეულის, *დეირას* (*Deira,* ძირითადად, დღევანდელი *იორკშირი*) და *ბერნისიას* (*Bernicia,* ძირითადად, დღევანდელი *ნორთამბერლენდი* და *სამხრეთ-აღმოსავლეთ შოტლანდია*), დაახლოებით 604 წელს გაერთიანების შემდეგ წარმოიშვა *ნორთუმბრიის* (*Northumbria*) სამეფო. ცენტრალურ ინგლისში, მდინარეების ჰამბერისა და ტრენტის გაყოლებით შეჭრილმა ანგლების ტომებმა კელტების (დღევანდელი უელსის) მეზობლად დააარსეს „*მარკა*“ (საზღვარი) – შემდგომში მას *მერსიას* (*Mercia*) სახელით იცნობდნენ.

ანგლოსაქსები დასახლდნენ რომაელების დროიდან შემორჩენილ ნაქალაქარებში – *უინჩესტერში, საირენსესტერში, გლოსტერში, როჩესტერში, კენტერბე-*

[5] სამეფოების სახელები გადმოცემულია ჩვენში ტრადიციულად დამკვიდრებული სახით. თანამედროვე ინგლისურში გამოითქმის „ესიქს”, „ბერნიშა”, მერშა” და ა.შ.

რიში, გლასტონბერიში, ბათში, იორკში, ლონდონში და რამდენიმე სხვაში (იხ. ნახ. 6).

ნახ. 6 ინგლისის, უელსისა და სამხრეთ შოტლანდიის მიახლოებითი პოლიტიკური რუკა VI-VII საუკუნეებში (დახრით ნაჩვენებია ბრიტების სამეფოები, სწორად – ანგლოსაქსებისა)

ყველა სამეფოში დიდი გავლენა ჰქონდა *უიტენაგემოტს* (ბრძენთა საბჭოს), სადაც გარდა წარჩინებულებისა და მეფის გავლენიანი რაზმელებისა, სასულიერო პირნიც ისხდნენ. *უიტენაგემოტის* რჩევის გარეშე მეფე კანონს არ გამოსცემდა.

თემა 4. პოლიტიკური განვითარების ისტორიული ნიშანსვეტები (2): შუა საუკუნეები.

ლიტერატურა: გაერთ. სამ. გვ. 97-110

გ ა ქ რ ი ს ტ ი ა ნ ე ბ ა. ანგლოსაქსური სამეფოები, კელტებთან ბრძოლის გარდა, პირველობისათვის ერთმანეთსაც ებრძოდნენ და მორიგეობით აღწევდნენ წარმატებას.

კენტის სამეფოს აღზევება თუმცა ხანმოკლე, მაგრამ დიდმნიშვნელოვანი აღმოჩნდა. VI საუკუნის ბოლოს კენტის მეფე *ეთელბერტმა* დაიმორჩილა ესექსი, ისტ-ანგლია, მერსიის ნაწილი და დაამყარა კავშირი კონტინენტთან. მან ცოლად მოიყვანა ქრისტიანი *ბერტა*, პარიზის მეროვინგთა დინასტიის მეფის ასული. ბერტას ამალაში ქრისტიანი მოძღვრებიც იყვნენ.

როდესაც 597 წელს რომის პაპის, *გრეგორიუს დიდის,* მიერ გამოგზავნილი მისიონერი, შემდგომში წმინდანად შერაცხული, ბენედიქტელი ბერი *ავგუსტინე* და ორმოცი სხვა ბერი გადმოსხდნენ კენტში, ამ სამეფოში უკვე არსებობდა სოციალური და პოლიტიკური საფუძველი ხალხის ქრისტიანად მოსაქცევად. ცენტრალიზებული მართვისათვის სამეფო კარს ხელს აძლევდა ეკლესიის კარგად ჩამოყალიბებული იერარქიული მართვის სისტემა, სჭირდებოდა წერა-კითხვის მცოდნე მოხელეები, ასეთები კი ქრისტიანი ბერები იყვნენ.

კენტის მეფე და დიდებულები მალე მოინათლნენ. უბრალო ხალხი ახალ რჯულს ეჭვით უყურებდა, მაგრამ მას არავინ ეკითხებოდა. პირველი ქრისტიანული სამეფო ინგლისში გახდა *კენტი. კენტერბერი* (რომაელების დროინდელი *Durovernum*), სადაც ქრისტეს სჯული იქადაგა *ავგუსტინემ,* სრულიად ინგლისის არქიეპისკოპოსის საკათედრო ქალაქად იქცა.

მომდევნო ეტაპზე გაქრისტიანება ხორციელდებოდა გეოპოლიტიკური აქსიომის თანახმად: *„ჩემი მტრის მტერი ჩემი მოკავშირეა“*. შემდეგი სამეფო, სადაც ქრისტიანობა დამკვიდრდა, იყო ჩრდილოეთით მდებარე *ნორთუმბრია.* მის მეფეს პოლიტიკური მიზნით დასჭირდა შორს მყოფი *კენტის* მოკავშირეობა: მათ შორის მდებარეობდა ორივე სამეფოს მტერი – *მერსია*, რომელსაც წარმართი მეფე *პენდა* მართავდა.

620-იან წლებში ნორთუმბრიის მეფე *ედვინმა*, რომელიც კენტის გაქრისტიანებული მეფის სიძე გახდა, დაიპყრო შუა და აღმოსავლეთი ინგლისი, უესექსი, დაამარცხა პიკტები და სკოტები (ვარაუდობენ, რომ *ედვინმა* დააარსა ქალაქი *ედინბურგი*) და თავის სამეფოშიც ქრისტიანობა გამოაცხადა სახელმწიფო რელიგიად.

ახალ სარწმუნოებას ჯერ მტკიცედ არ ჰქონდა ფესვები გადგმული. ამას ამტკიცებს ის, რომ, მაგალითად, ისტ-ანგლიაში ერთსა და იმავე ტაძარში დიდხანს იდგა ქრისტიანული და წარმართული საკურთხეველები, აგრეთვე ისიც, რომ

შესაფერის მომენტში ადვილი იყო ძველი რწმენის აღდგენა: როდესაც მერსიის მეფე *პენდამ* დაამარცხა და მოკლა *ედვინი*, ნორთუმბრიის ხალხი სასწრაფოდ დაუბრუნდა ძველ რჯულს.

ნორთუმბრიაში კიდევ რამდენჯერმე შეიცვალა რელიგია, იქამდე, სანამ 655 წელს ირლანდიელი ბერების, *ეიდანისა* და *კათბერტის*, მეცადინეობით გამარჯვება საბოლოოდ ქრისტიანობას დარჩა.

აღსანიშნავია, რომ ირლანდია ინგლისზე ადრე ეზიარა ქრისტეს რჯულს. V საუკუნის ირლანდიაში ქრისტიანობის მქადაგებელი იყო *პატრიკი*, რომელიც შემდგომში *წმ. პატრიკის* სახელით ირლანდიის მფარველ წმინდანად გამოცხადდა.

VII საუკუნის ბოლოს დიდი ბრიტანეთის კუნძული საბოლოოდ გადაიქცა რომის პაპის სამწყსოდ, თუმცა ჩრდილოეთში თავიდან ბატონობდა ქრისტიანობის ირლანდიური ნაირსახეობა, რომელიც არ ცნობდა რომის რთულ საეკლესიო იერარქიას და უფრო შეეფერებოდა კლანობრივ დაყოფას.

ნორთუმბრიის ქალაქ *იორკის არქიეპისკოპოსი* ჩრდილოეთ ინგლისის პრიმასი გახდა. ***დღემდე ინგლისის მხოლოდ ორ ქალაქშია საარქიეპისკოპოსო კათედრა:*** ესენია ***კენტერბერი*** და ***იორკი***.

გარდა იმისა, რომ გაქრისტიანება მჭიდროდ უკავშირდებოდა პოლიტიკური ერთიანობის მიზნის მიღწევას, ის ჩამოყალიბების პროცესში მყოფ საერთოევროპულ კულტურულ ფასეულობებთ ან აახლოებდა ინგლისს. მონასტრები გადაიქცა სალიტერატურო და საგანმანათლებლო მოღვაწეობის კერებად.

ჯეროუს მონასტერში, ნორთუმბრიაში, გაატარა მთელი თავისი ცხოვრება (673-735) შუა საუკუნეების ყველაზე ცნობილმა ინგლისელმა სწავლულმა ბერმა, ინგლისის მემატიანემ ***პატივცემულმა ბედამ*** (*Bede the Venerable*). ის არის იმდროინდელი მეცნიერების ყველა დარგში ორმოცდახუთი შრომის ავტორი (ისინი ლათინურადაა შეთხზული), მათ შორის ყველაზე ცნობილია მისი „ინგლისელი ერის საეკლესიო ისტორია“ (*Historia ecclessiastica gentis Anglorum*), VI-VII საუკუნეების ინგლისის ისტორიის ყველაზე სრულყოფილი წყარო.

ანგლოსაქსური სამეფოების ურთიერთბრძოლა დამთავრდა მათი გაერთიანებით, რაც მოახერხა სამხრეთით განლაგებულმა *უესექსის* სამეფომ. მას ყველაზე კარგი გეოგრაფიული მდებარეობა ჰქონდა: შედარებით თბილი ჰავა და ნაკლებჭაობიანი მიწა ხელსაყრელი იყო მიწათმოქმედებისათვის. ამიტომ იქ მოსახლეობაც მომრავლდა. უესექსი ახლოს იყო კონტინენტურ ევროპასთან და იქაური კულტურის გავლენა ძლიერი იყო. *შარლემანის* (კარლოს დიდის) მიერ იმპერიის შექმნა, როგორც ჩანს, მაგალითად იქცა *უესექსის მეფე* ***ეგბერტისათვის*** (800-838), რომელმაც ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ გატეხა ჯერ მერსიის, შემდეგ კი ნორთუმბრიის წინააღმდეგობა, შემოიერთა ყველა სხვა სამეფო და 829 წელს ეკურთხა *სრულიად ინგლისის მეფედ* – ***ოვერლორდად*** (*Overlord*). მისი სატახტო ქალაქი იყო ***უინჩესტერი***.

დღევანდელი ბრიტანეთის მონარქი, დედოფალი ელიზაბეთ II, მეფე ეგბერტის შორეულ შთამომავლად მიიჩნევს თავს.

იმავე პერიოდში მიმდინარეობდა *პოლიტიკური გაერთიანების პროცესი* კუნძულ დიდი ბრიტანეთის ჩრდილოეთ ნაწილში, დღევანდელ შოტლანდიაში.

როგორც ზემოთ ითქვა, VI საუკუნეში კელტური მოდგმის სკოტების ტომმა დაიწყო გადასახლება კუნძულ ირლანდიიდან დიდ ბრიტანეთში, დღევანდელი ქ. გლაზგოს მიდამოებში. სკოტები ეომებოდნენ აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ შოტლანდიაში მცხოვრებ პიკტებს და სამხრეთ შოტლანდიაში, ზემოხსენებულ *ბერნისიას* სამეფოში, მცხოვრებ ანგლოსაქსებს. სკოტებმა და პიკტებმა V-VII საუკუნეებში მიიღეს ქრისტიანობა, რომელიც იქ ირლანდიელმა მისიონერებმა შეიტანეს.

843 წელს სკოტების მეფე (*King of Scots*) *კენეთ მაკალპინი* (*Kenneth MacAlpin. გელურ ენაზე Cínaed mac Ailpín*) ავიდა გაერთიანებული სკოტლანდისა და პიკტლანდის სამეფოს ტახტზე. ამ სამეფოს *Alba*-ს უწოდებდნენ, რაც, როგორც ჩანს, უკავშირდება ბრიტანეთის პირველ რომაულ სახელს – *ალბიონს.* **დღემდე შოტლანდიის თვითსახელი გელურ ენაზე არის *Alba*.**

მაგრამ ტერმინმა *სკოტიამ* თანდათან გამოდევნა სხვა სახელები: XI საუკუნის ბოლოდან შოტლანდიის მეფეები საკუთარ თავს ლათინურად უწოდებდნენ *Rex Scottorum* (სკოტების მეფე) და სახელმწიფოსაც დაუმკვიდრდა სახელად *სკოტლანდი* (*Scotland*).

ალბა/სკოტლანდის სამხრეთ ნაწილში დამკვიდრებული ინგლისური ენის *სკოტური დიალექტი* თანდათან ფართოდ გავრცელდა. ამასთან, კუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში, მთიან შოტლანდიაში, XVIII საუკუნემდე ძირითადად *გელურ ენაზე* ლაპარაკობდნენ. ეს ენა დღემდეა შენარჩუნებული, ოღონდ მკვეთრად შემცირებული ზომით (იხ. თავი 4).

IX საუკუნეში სკოტების ქრისტიანობა, ისევე, როგორც ინგლისელთა და ირლანდიელთა ქრისტიანობა, საბოლოოდ მოექცა კათოლიციზმის სფეროში, ანუ დაემორჩილა რომის პაპს.

ამრიგად, IX საუკუნემ გაერთიანება მოუტანა დიდი ბრიტანეთის კუნძულის ორ სახელმწიფოს – ინგლისსა და შოტლანდიას.

ვ ი კ ი ნ გ ე ბ ი. ვიკინგების რაზმები VIII-X საუკუნეებში მთელ ევროპას სცემდნენ შიშის ზარს. *სკანდინავები, დანიელები, ვიკინგები, ვარიაგები, ვარანგები, ნორმანები* – ყველა ეს სახელი მონათესავე ენებზე (თავიდან – დიალექტებზე) მოლაპარაკე ტომებს აღნიშნავდა და, ზოგჯერ, ერთსა იმავე ტომსაც კი. ინგლისში სკანდინავებს, ძირითადად იცნობდნენ, **როგორც** *დანიელებს* (*the Danes*).

სკანდინავიისა და *იუტლანდიის* ნახევარკუნძულებზე – დღევანდელი შვედეთის, ნორვეგიისა და დანიის ტერიტორიაზე – მოსახლე ტომებს ჩრდილოეთის მკაცრი ბუნება და თავისუფალ ადამიანად აღზრდის წესი დიდ ამტანობასა და სი-

მამაცეს ანიჭებდა. თავისი დროისათვის ვიკინგები ევროპაში ყველაზე უკეთ იყვნენ შეიარაღებულნი. მაღალხარისხოვანი შვედური რკინის მადნიდან გამოდნობილი ლითონი საუკეთესო საბრძოლო და სამეურნეო იარაღის დამზადების საშუალებას იძლეოდა. ასეთი ცულებით სკანდინავიაში ამუშავებდნენ მუხის მასალას, ამზადებდნენ გამძლე, სწრაფმავალ ხომალდებს, რომელთა მეშვეობითაც ვიკინგებმა აღმოაჩინეს და დაასახლეს იქამდე უკაცრიელი *შეტლანდისა* და *ფარერის კუნძულები, ისლანდია*, აღმოაჩინეს *გრენლანდია*. X საუკუნის ბოლოს ვიკინგებმა მიაღწიეს ჩრდილოეთ ამერიკას, კერძოდ, კუნძულ ნიუფაუნდლენდს, მათ მიერ *Vinland*-ად წოდებულს. მაგრამ ამერიკაში ისინი ვერ დამკვიდრდნენ. ეს მატერიკი ევროპელებს ხელახლა აღმოსაჩენი გაუხდათ XV საუკუნეში.

VIII-IX საუკუნეებში იმავე ფოლადის ცულებით შეიარაღებული ვიკინგები არბევდნენ და ძარცვავდნენ ევროპის ზღვისპირა და უფრო ღრმად მდებარე ტერიტორიებს. მათ დაიპყრეს კუნძული სიცილია, სამხრეთი იტალია, გაძარცვეს პარიზი. მთელი აღმოსავლეთ ევროპის გავლით, მდ. დნეპრის დაყოლებით შავ ზღვაში გასული ვიკინგები თავს ესხმოდნენ შავიზღვისპირეთის ბიზანტიურ ქალაქებს და კონსტანტინოპოლსაც კი შემოარტყეს ალყა. ისინი საქართველოშიც გამოჩენილან და მემატიანე მათ *ვარანგების* სახელით მოიხსენიებს.

VIII საუკუნეში ვიკინგებმა ხელი მიჰყვეს ირლანდიის რბევას, რომელიც წელში გატეხა ამ თავდასხმებმა. მისი აყვავებული ქრისტიანული კულტურა დაეცა. ამის შემდეგ ვიკინგებმა (ინგლისელებისთვის – *the Danes*, „*დანიელებმა*“) ინგლისს დაადგეს თვალი. 835 წელს ოვერლორდმა *ეგბერტმა* დაამარცხა დანიელების ჯარი, მაგრამ მათი ახალ-ახალი რაზმები მოდიოდნენ მდინარეების აყოლებით. IX საუკუნის მეორე ნახევრიდან დანიელები უკვე სახლდებოდნენ კიდეც ჩრდილოეთ ინგლისსა და სამხრეთ შოტლანდიაში. ადგილობრივი მოსახლეობის საგრძნობი ნაწილი ტოვებდა სახიფათოდ ქცეულ ზღვისპირა მხარეს და კუნძულის სიღრმეში გარბოდა.

უესექსის მეფე *ალფრედ დიდის* (871-899) დროს ინგლისის სახელმწიფოებრიობა შენარჩუნდა მხოლოდ მისი გაყოფის ხარჯზე. 879 წლის *უედმორის ხელშეკრულებით* ალფრედს დარჩა კუნძულის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი, მაგრამ ის იძულებული გახდა, ეღიარებინა ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ ინგლისის ტერიტორიაზე დანიელთა სამეფოს არსებობა, რომელსაც იცნობენ „*დეინლო*“-ს (*Danelaw*, იმდროინდელი მართლწერით – “*Danelagh*“) სახელით – იქ დანიური სამართალი მოქმედებდა. ხელშეკრულების ერთი პირობა იყო დანიელების გაქრისტიანება, რაც შესრულდა კიდეც – დანიელები მოინათლნენ.

გვიანდელმა ისტორიკოსებმა *ალფრედს* „დიდი“ უწოდეს მისი მოღვაწეობის გამო. მეფე ზრუნავდა თავისი სამეფოს კულტურულ განვითარებაზე, ევროპიდან იწვევდა სწავლულებს, აარსებდა სკოლებს. მან დაუდო სათავე ანგლოსაქსურ ლიტერატურას, როდესაც *ბედას* „ინგლისელი ხალხის საეკლესიო ისტორია“ ლათინურიდან ანგლოსაქსურ (ძველ ინგლისურ) ენაზე თარგმნა. ალფრედმა დაუდო

საფუძველი ინგლისურ საერთო სამართალს (*Common law*), როდესაც შეკრიბა ძველი ანგლოსაქსური სამეფოების სასამართლო პრეცედენტები. მისი ზრუნვის საგანი იყო სამხედრო ძლიერების განმტკიცება. მან შექმნა პირველი ინგლისური ფლოტი, რისთვისაც, სხვათა შორის, ვიკინგები დაიქირავა.

განუწყვეტელი საომარი ურთიერთობის მიუხედავად, დეინლოს და უესექსის მოსახლეობა ერთმანეთს დაუახლოვდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც დანიელები გაქრისტიანდნენ. თავიანთი ენითა და კულტურით ისინი ბევრად როდი განსხვავდებოდნენ ანგლოსაქსებისაგან და X-XI საუკუნეებში მთლიანად შეერივნენ მათ.

ანალოგიური ბედი ეწიათ ჩრდილოეთ საფრანგეთში IX საუკუნეში დამკვიდრებულ ვიკინგებს, რომელთაც *ნორმანების* (ანუ „ჩრდილოელი ადამიანების“) სახელით იცნობდნენ. ნორმანებმა მალე შეითვისეს ფრანგული ენა. მათ მიერ დაპყრობილ ტერიტორიას *ნორმანდიის სამთავრო* ეწოდა. ნორმანდიას და ინგლისს ბევრი ექნებათ საერთო XI საუკუნიდან მოყოლებული.

ანგლოსაქსების შერევას დანიელებთან დადებითი მხარეც ჰქონდა. დანიელები მამაცი, შრომისმოყვარე და გამრჯე ხალხი იყო. მათ ვაჭრობა მეკობრეობაზე ნაკლებ როდი იტაცებდა: წარმართობის დროინდელი მათი სამარხების გახსნის შემდგომ გაცხადდა, რომ, საბრძოლო ცულის გარდა, საიქიოში მათ სასწორსაც ატანდნენ! ისინი საქალაქო ცხოვრებას ანგლოსაქსებზე უფრო მეტად მისდევდნენ. დ ანიელების დაარსებულია რამდენიმე ქალაქი, მათ შორის, *დუბლინი* – ირლანდიაში, ინგლისში – *ნოტინგემი, ლესტერი, დარბი* და სხვ. „*by*“-თი დამთავრებული ქალაქების სახელწოდება (*Derby, Kirkby, Rugby, Lokerby, Keelby, Aylesby* და სხვ.) მათ სკანდინავიურ წარმოშობაზე მიგვითითებს. დანიურად და შვედურად *by* (იქ ეს გამოითქმის როგორც „*byu”*) დასახლებას ან ციხესიმაგრეს აღნიშნავს (შდრ. გერმანული *Burg* და ანგლოსაქსურიდან შემორჩენილი *burgh/bury/borough*).

1017-1035 წლებში ხელახლა გაერთიანებული ინგლისი, დეინლოსთან ერთად, შედიოდა დანიელი *კნუდის* (ინგლისურად *Canute*) ვრცელი სკანდინავიური იმპერიის შემადგენლობაში, რომელიც მოიცავდა დანიას და ნორვეგიასაც. კნუდის მემკვიდრეებისა და უესექსის დინასტიის უკანასკნელი მეფის *ედვარდის,* მეტსახელად *აღმსარებლის* (*Edward the Confessor*), მეფობის დროს (1042-1066) ინგლისელებისა და დეინლოს სკანდინავების შერწყმა ერთ ხალხად არსებითად დასრულდა.

ედვარდ აღმსარებლის სახელი უკვდავყოფილია ერთი არქიტექტურული ძეგლით, რომელიც (მართალია, ძალიან გადაკეთებული) ინგლისის ეროვნულ სიამაყეს წარმოადგენს. ეს არის *წმინდა პეტრეს ეკლესია*, ამჟამად ცნობილი ***უესტმინსტერის სააბატო*** (*Westminster Abbey*) სახელით. ეკლესიის მშენებლობას მეფე *ედვარდი* 1052 წელს შეუდგა და 1065 წელს იქვე დაიკრძალა. ეკლესია აშენდა მდ. ტემზაში მდებარე *თორნის* კუნძულზე (*Thorney Island*), ლონდონის დასავლეთით. აქედან მოდის მისი სახელი „*დასავლეთის მონასტერი*“. X საუკუნიდან იქ

ბენედიქტელ ბერთა მონასტერი იყო. დღეს კუნძული აღარ არსებობს და ეკლესიაც ქალაქ ლონდონის ცენტრშია.

უილიამ I-დან მოყოლებული ინგლისის 38 მონარქი უესტმინსტერის სააბატოში ეკურთხა მეფედ (გარდა *ედვარდ* V-სა და *ედვარდ* VIII-სა, რომელთა კურთხევაც ვერ მოესწრო: ერთი ბავშვობისას მოკლეს, XV საუკუნეში, და მისი საფლავი უცნობია, მეორე – XX საუკუნეში გადადგა). მეფეების დიდი ნაწილი იმავე ეკლესიაშია დაკრძალული, ისევე, როგორც დიდი ინგლისელი მწერლები და სხვა გამოჩენილი პირები, მათ შორის, *უინსტონ ჩერჩილი.* მონარქების განსასვენებელია აგრეთვე უინძორის ციხე-დარბაზის სენტ ჯორჯის ეკლესია და რამდენიმე სხვა ტაძარი.

XIII საუკუნეში მეფე *ჰენრი* III-მ უესტმინსტერის ტაძარი გოთიკურ სტილში გადააკეთა, რაზეც დახარჯა იმ დროისათვის კოლოსალური თანხა, 17 მილიონი პაუნდი, და საკუთარი განსასვენებელი მოიმზადა *ედუარდ აღმსარებლის* საფლავის გვერდით.

ტაძრის ახლოს აშენდა დიდი დარბაზი – *უესტმინსტერ ჰოლი*, რომელშიც შუა საუკუნეებში იჯდა ინგლისის პარლამენტი. ახლა ეს დარბაზი ბრიტანეთის პარლამენტის შენობის ნაწილია.

უშვილო ედვარდ აღმსარებლის გარდაცვალების შემდეგ, 1066 წლის დასაწყისში, *უიტენაგემოტის* გადაწყვეტილებით, ტახტზე ავიდა მისი ცოლისძმა, უესექსის ელდორმენი *ჰაროლდი.* მაგრამ ინგლისის ტახტზე უფრო დასაბუთებული პრეტენზია ჰქონდა ედვარდის ახლო ნათესავს, ნორმანდიის ჰერცოგ *გიიომს* (ინგლისში მას *უილიამს* უწოდებენ), რომლის წინაშეც ჰაროლდს ადრე თითქოს დადებული ჰქონდა ფიცი, რომ სწორედ მის გამეფებას შეუწყობდა ხელს. გიიომმა/უილიამმა მიიღო რომის პაპის კურთხევა ლაშქრობისთვის „ფიცის გამტეხი და უზურპატორი“ ჰაროლდის დასამხობად.

1066 წლის შემოდგომაზე ნორმან რაინდთა ლაშქარმა გადალახა ლა-მანშის სრუტე და გადაჯდა სამხრეთ ინგლისში. ლაშქარში ნორმანებს გარდა თავი მოიყარეს ფრანგმა, ფლანდრიელმა, ბრეტონელმა და სხვა ეროვნების რაინდებმა, რომელთაც, რასაკვირველია, აინტერესებდათ ნადავლი და ახალი მამულების დაუფლება.

1066 წლის14 ოქტომბერს ქ. *ჰასტინგსის ახლოს, სენლაკთან,* ჰაროლდი შეება უილიამს. ვიკინგებისგან გადმოღებული წესისამებრ, ინგლისელები ცხენებით მიდიოდნენ ბრძოლის ველზე, მაგრამ იბრძოდნენ ქვეითად, საბრძოლო ცულებითა და შუბებით, შემჭიდროებული რაზმებით, რომელთაც ფარების კედელი იცავდა. ნორმანებს კი, გარდა მძიმედ შეიარაღებული მხედრობისა, მოისარნიც ჰყავდათ.

თავიდან ჰაროლდმა მოხერხებული პოზიცია აირჩია ბორცვზე და კარგა ხანს წარმატებით იგერიებდა ნორმანთა იერიშებს. მაგრამ ბოლოს ის აჰყვა მტრის მანევრს, ჩამოვიდა ბორცვიდან, სადაც მისი ქვეითი ჯარი აბჯარასხმულ ცხენოსან

რაინდებთან ვერაფერს გახდა. ისარი თვალში მოხვდა მეფე ჰაროლდს და განგმირა იგი. ამის შემდეგ ინგლისელთა ლაშქარი აირია და გაიქცა.

იმავე წლის 25 დეკემბერს უესტმინსტერის საბატოში *ინგლისის მეფის გვირგვინი უილიამს თავზე* დაადგა იორკის არქიეპისკოპოსმა: კენტერბერის არქიეპისკოპოსი ამას არ დათანხმდა.

ნ ო რ მ ა ნ ე ბ ი. 1066 წელს მთავრდება ბრიტანეთის დაპყრობათა სერია და იწყება მისი განვითარების ახალი ეტაპი.

მოსულმა ხალხებმა – „იბერიელებმა“, კელტებმა, რომაელებმა, სკოტებმა, ანგლოსაქსებმა, დანიელებმა, ფრანგ-ნორმანებმა – დატოვეს თავიანთი ეთნიკური თუ კულტურული კვალი ამ კუნძულზე. მათი შერევით ჩამოყალიბდნენ თანამედროვე ბრიტანელები.

ინგლისელები, ძირითადად, ანგლოსაქსების, სკანდინავებისა (დანიელების) და ფრანგ-ნორმანების შერევის საფუძველზე წარმოიშვნენ. მათი ენაც კი ანგლოსაქსურისა და ძველი ფრანგულის ერთგვარი სინთეზია.

შოტლანდიელები, უპირატესად, კელტური მოდგმის გელების, სკოტების, აგრეთვე პიკტების, ანგლოსაქსებისა და სკანდინავების ნარევს წარმოადგენენ.

თითქმის იგივე შეიძლება ითქვას თანამედროვე *ირლანდიელებზე,* რომელთა კელტურ სისხლს სკანდინავიური, ანგლოსაქსური და ნორმანულიც ერთგვარად შეემატა.

უელსელებმა კელტური გენი ძირითადად შეინარჩუნეს, თუმცა ცხადია, რომ მათ ანგლოსაქსებიც საკმაოდ შეერივნენ.

ნორმანები კიდევ დიდხანს გრძნობდნენ თავს დამპყრობლებად ამ კუნძულებზე. 1340 წლამდე მოქმედებდა *ინგლიშრი* (*Englishry*< *Englescherie*), ნორმანი მეფეების მიერ დადგენილი კანონი, რომლის თანახმადაც, ნებისმიერი ნორმანის მოკვლის სისხლის ფასი უახლოეს *ჰანდრიდს* (ინგლისურ სოფლებს) უნდა ეზღვია. ფეოდალთა კლასის ეთნიკური შემადგენლობა მკვეთრად შეიცვალა: ნორმანები ფრანგულენოვან არისტოკრატიად გადაიქცნენ. ინგლისელების უმრავლესობა ყმა გლეხად იქცა.

უილიამმა, რომელიც თავს ინგლისის კანონიერ ხელმწიფედ აცხადებდა, არ ააოხრა ქალაქი ლონდონი, რომელმაც ის მეფედ აღიარა, არამედ მიანიჭა მას „თვითმმართველობის ქარტია“. ამ ქარტიას ლონდონის სიტი დღემდე იმოწმებს ხოლმე თავისი თვითმმართველობის საბუთად.

დამორჩილებულ ინგლისელ ლორდებს უილიამმა მამული შეუნარჩუნა, ურჩები კი ამოწყვიტა და მათი მიწა თავის ბარონებს დაუნაწილა. დაუმორჩილებელ ჩრდილოეთ ინგლისს უილიამი ისე სასტიკად გაუსწორდა, რომ საუკუნეზე მეტხანს კაცი იქ ლამის არ ჭაჭანებდა. სწორედ ამის გამო შეერქვა მეფეს მეტსახელად „*დამპყრობელი*“ (*William the Conqueror*).

ნორმანთა ინგლისში ფეოდალური პოლიტიკური ინსტიტუტების უმეტესობა მზამზარეული სახით შემოვიდა ევროპის კონტინენტიდან, სადაც ფეოდალიზმი უფრო ადრე ჩამოყალიბდა.

ფეოდალიზმის პირობებში მეფე აძლევდა მიწის დიდ ნაკვეთს (ფეოდს) თავის ვასალს, მსხვილ ფეოდალს (მაგალითად, ბარონს ან გრაფს), და სანაცვლოდ ღებულობდა მისგან სამხედრო სამსახურს. მსხვილი ფეოდალი იმავე პირობით აძლევდა თავისი ფეოდის ნაწილს იერარქიულად უფრო დაბლა მდგომ ვასალს (მაგალითად, რაინდს). ყველაზე დაბალ საფეხურზე იდგა ყმა გლეხი – *ვილანი*, რომელიც მისთვის მოზომილ ნაკვეთს ამუშავებდა და მოსავლის ნაწილს თავის უშუალო ბატონს აძლევდა. გარდა ამისა, ვილანი ამუშავებდა ბატონის მიწასაც.

თუკი ევროპელი მონარქების მსხვილი ვასალები ხშირად მიიჩნევდნენ, რომ მამული მემკვიდრეობით მიიღეს და ის არაა მეფის მიერ ნაბოძები, ინგლისში ნორმანული დინასტიის მეფეების ვასალები ვერ „დაივიწყებდნენ“ თავიანთ ვალდებულებას.

უილიამმა კარგად იცოდა, თუ რა არის ურჩი ფეოდალი: როგორც ნორმანდიის ჰერცოგი, ის თვითონ იყო საფრანგეთის მეფის არცთუ თვინიერი ვასალი! ამიტომაც მან პირადად დაუნაწილა დაპყრობილი მიწა-წყალი თავის *ბარონებს* (ნორმანდიაში და ინგლისში ასე უწოდებდნენ მსხვილ ფეოდალურ არისტოკრატიას, რომლის პარალელურად გამოიყენებოდა ანგლოსაქსური ტიტული *ლორდი*). ჩვეულებრივ, მეფის ვასალების ფეოდი ერთი დიდი მასივი არ იყო: მათი მამულები გაფანტული იყო ნორმანდიაში, ინგლისის ან სამხრეთ შოტლანდიის რამდენიმე საგრაფოში და, ხშირად, მოქცეული იყო მეფის პირად მამულებს (*დომენი*) შორის. სამეფო დომენი კი ინგლისის სახნავ-სათესი ფართობის ერთ მეშვიდედს მოიცავდა: მეფე მას უნაწილებდა თავის უშუალო ვასალ რაინდებს, რომლებიც პირადად მის სამხედრო სამსახურში იყვნენ. ნორმანთა ინგლისში არ ჩამოყალიბებულა ისეთი დიდი საჰერცოგოები, როგორც ეს კონტინენტზე იყო. სიმდიდრითა და ლაშქრის სიდიდით ინგლისის მეფეს ვერავინ შეეცილებოდა პირველობას.

ყმა ყოველთვის როდი ცდილობდა, გაჰქცეოდა ბატონს, რადგან უმიწობა და „უპატრონობა“ მაშინ უფრო საშინელი იყო, ვიდრე ყმობა, ხოლო ლორდი მას იცავდა გარეშე საფრთხისაგან. მხოლოდ თავისი ლორდის წინაშე იყო ყმა დაუცველი.

უილიამ დამპყრობელი და მისი უშუალო მემკვიდრეები არ აძლევდნენ უფლებას ვასალებს, აეგოთ ციხეები (გარდა სასაზღვრო მხარეებისა ჩრდილოეთით და დასავლეთით). მაგრამ ერთი საუკუნის შემდეგ მთელი ქვეყანა მაინც მოიფინა ციხე-დარბაზებით.

თემა 5. სამართლებრივი სახელმწიფოს პრელუდია: „საერთო სამართალი“, „მაგნა კარტა“ და პარლამენტის წარმოშობა.

ლიტერატურა: გაერთ. სამ. გვ. 110-121

ჰენრი I-ის (1100-1135) გარდაცვალებით ნორმანული დინასტიის პირდაპირი მამრობითი ხაზი შეწყდა. ლონდონმა მეფედ აღიარა ჰენრის დისწული *სტივენი, ბლუას გრაფი* (ბლუა საფრანგეთშია), რაც არ ცნო ჰენრის ასულმა *მატილდამ* და ომი დაუწყო მამიდაშვილს. სამოქალაქო ომმა ინგლისში ისეთი ანარქია გამოიწვია, რომ მემატიანემ ამ ეპოქას უწოდა *„ცხრამეტი გრძელი ზამთარი, როდესაც ღმერთსა და ანგელოზებს ეძინათ“*. ბარონები უკანონოდ აგებდნენ ციხე-კოშკებს და ანგარიშს უსწორებდნენ ერთმანეთს.

ხანგრძლივი ფეოდალური აშლილობა ჩვეულებრივი რამ იყო შუა საუკუნეების ევროპაში. მაგრამ ინგლისში ეს უფრო გამონაკლისი იყო, ვიდრე წესი. ევროპასთან შედარებით, ფეოდალური ამბოხება მეფის წინააღმდეგ ინგლისში სწრაფად მთავრდებოდა „სამეფო მშვიდობის“ აღდგენით, როდესაც მეამბოხე თავს კარგავდა, უფრო იშვიათად – მეფის დათმობით. ეს განასხვავებდა შუა საუკუნეების ინგლისის ისტორიას ევროპის ბევრი სხვა ქვეყნის ისტორიისაგან. შედარებითი სიმშვიდე იყო მიზეზი შუა საუკუნეების ინგლისის საკმაოდ სწრაფი ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის სწრაფი ზრდისა.

საბოლოოდ, სტივენი და მატილდა მორიგდნენ და სტივენის გარდაცვალების შემდეგ,1154 წელს, ტახტზე ავიდა *მატილდას* 18 წლის ვაჟიშვილი *ჰენრი* II. მამის მხრიდან ის საფრანგეთის ერთ-ერთი მხარის, *ანჟუს,* გრაფი იყო.

ანჟუს გრაფები სიმბოლოდ იყენებდნენ *კურდღლისცოცხას* ყვითელი ფერის ყვავილს, რომელსაც ლათინურად *Planta genista* ჰქვია. აქედან წარმოდგა მათი დინასტიის სახელი *პლანტაგენეტი* (ინგლისურად გამოითქმის *პლანტაჯენეტ*). დინასტიას *ანჟუელებსაც* (*Angevins*) უწოდებენ.

პლანტაგენეტების დინასტიამ ინგლისში 1154-1399 წლებში იმეფა, თუ მის განშტოებებს – *ლანკასტერებსა* და *იორკებს* – მივათვლით, 1485 წლამდეც კი.

პლანტაგენეტების ფრანგული წარმოშობის მიუხედავად, სწორედ მათ დროს მოხდა ინგლისური კულტურის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი ცვლილებები – სახელმწიფო მმართველობის ფრანგულიდან ინგლისურ ენაზე გადასვლა, თანამედროვე ინგლისური ლიტერატურის დაბადება.

ზოგი პოლიტიკური ცვლილება პლანტაგენეტი მეფეების *სუბიექტური* სურვილის წინააღმდეგ განხორციელდა. სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბების

დაწყება, საკანონმდებლო ორგანოს შექმნა, ქალაქებისათვის თვითმმართველობის მინიჭება, ბატონყმობის ფაქტობრივი გაუქმება – მეფეების ნება როდი იყო: ისინი იძულებული იყვნენ, წასულიყვნენ ამაზე. *ობიექტურად* კი, პლანტაგენეტებმა თავისი მოქმედებით (და, არცთუ იშვიათად, შეუგნებლად დაშვებული შეცდომებით!) ხელი შეუწყვეს შუა საუკუნეების დასრულებას ინგლისში.

ჰენრი II, ნორმანდიის ჰერცოგებისა და ანჟუს გრაფებისაგან მემკვიდრეობით მიღებულ ვრცელი მამულების წყალობით და თავისი ქორწინებით მასზე ცხრა წლით უფროს *ელინორ აქვიტანელზე*, რომელსაც მზითვად მოჰყვა აქვიტანიის საჰერცოგო, თითქმის ნახევარი საფრანგეთის მფლობელი გახდა. საფრანგეთისა და ინგლისის საქმეები დიდი ხნით გადაიხლართა ერთმანეთში.

ჰენრი II-მ აღადგინა წესრიგი ინგლისში და მიწასთან გაასწორა იქამდე უნებართვოდ აგებული მრავალი ციხე-კოშკი. მისმა რეფორმებმა განამტკიცა სამეფო ხელისუფლება.

სამხედრო რეფორმა გულისხმობდა სპეციალური „ფარის გადასახადის“ (*Scutagium*) მეშვეობით ვასალებისათვის ყოველწლიური 40-დღიანი სამხედრო ვალდებულებისაგან თავის დახსნის საშუალების მიცემას. ამოღებული თანხა მეფეს საშუალებას აძლევდა, დაექირავებინა ჯარი და ვასალების ჭირვეულობაზე არ ყოფილიყო დამოკიდებული.

ადმინისტრაციული რეფორმით განმტკიცდა მეფის პირადი რწმუნებულის – *შერიფის* – როლი თითოეულ საგრაფოში.

სასამართლო რეფორმით აღდგა *ჰენრი* II-ის პაპის, *ჰენრი* I-ის შემდეგ თითქმის მივიწყებას მიცემული კანონები (*Leges Henrici Primo*) და დასრულდა სასამართლო საქმის ცენტრალიზაცია. სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეების უმეტესობა უნდა განეხილათ არა ბარონებს, არამედ სამეფო სასამართლოს, რომელიც წელიწადში ოთხ გამსვლელ სესიას მართავდა თითოეულ საგრაფოში. ამ წესმა საუკუნეები იარსება. შემოღებულ იქნა სამეფო სასამართლოში აპელაციის უფლება. შუა საუკუნეებში ცნობილი გამოთქმა „*Iustitia est emolumentum*“ („მართლმსაჯულება [სამართლის განჩინება] მომგებიანია“) – ამიერიდან ბარონების კი არა, არამედ სამეფო ხაზინის სასარგებლოდ მოქმედებდა.

ჰენრი II-ის დროს ინგლისში ვითარდება ჯერ კიდევ *ალფრედ დიდის* დროიდან მომდინარე „***საერთო სამართალი***“ (**Common law**), რომელიც სასამართლო პრეცედენტებსა და საღ აზრს ემყარება და გარკვეული მოდიფიკაციებით დღემდე მოქმედებს ამ ქვეყანაში. *ჰენრი* II-ის ეპოქაში, აგრეთვე, საბოლოოდ დამკვიდრდა დღემდე არსებული ***12 ნაფიცი მსაჯულის ინსტიტუტი***, რომელმაც სასამართლო პაექრობის შემდეგ უნდა გამოიტანოს ვერდიქტი – “დამნაშავეა“ თუ „უდანაშაულოა“ ბრალდებული.

უშედეგოდ დამთავრდა ჰენრის *საეკლესიო რეფორმის* მცდელობა, როდესაც მონარქიამ სცადა, ეკლესია იურიდიულად დაექვემდებარებინა სამეფო ხელისუფლებისათვის. ინგლისის ეკლესია, როგორც კათოლიკური ეკლესიის ნაწილი,

რომის პაპის დაქვემდებარებაში დარჩა. კენტერბერის არქიეპისკოპოსი *თომას ბეკეტი* ამ ბრძოლას ემსხვერპლა – ის მეფის რაინდებმა მოკლეს. კათოლიკურმა ეკლესიამ ბეკეტი *წმინდა თომასად* შერაცხა და მეფე ჰენრი კი იძულებული გახდა, მოენანიებინა ცოდვა და ფეხშიშველი მისულიყო კერტერბერიში.

ჰენრი II-ის შემდეგ ათი წელი იმეფა მისმა ვაჟმა *რიჩარდ* I-მა, მეტსახელად *ლომგულმა* (*Richard Cœur de Lion,* 1189-1199), რომელმაც მეფობის თითქმის მთელი დრო ჯვაროსნულ ლაშქრობებსა და საფრანგეთის მეფესთან ომში გაატარა. მესამე ჯვაროსნულ ლაშქრობაში *რიჩარდი* წავიდა ასი გემით, ათი ათასი ჯარისკაცითა და ხუთი ათასი ცხენითურთ. ასეთი დიდი სამხედრო ოპერაციის მოსამზადებელი თანხის შესაგროვებლად მეფეს მოუხდა საკუთარი ციხე-დარბაზებისა და მამულების გაყიდვა, ვასალებისაგან ფულის პირდაპირი გამოძალვა და ინგლისის ებრაელებისგან ვალის აღება (რაც, რასაკვირველია, არ დააბრუნა!). გარდა ამისა, ინგლისის სამეფო ხაზინას სასწრაფოდ დასჭირდა დიდძალი ფული მეფის გამოსასყიდად, როდესაც ის ჯვაროსნული ლაშქრობიდან უკან დაბრუნებისას ავსტრიის ჰერცოგს ჩაუვარდა ტყვედ. ფული ქალაქებში აკრიფეს, რისი **პოზიტიური შედეგი იყო ის, რომ ინგლისის ბევრმა ქალაქმა მეფისაგან "გამოისყიდა" თვითმართველობის უფლება, რაც მათი ეკონომიკური განვითარების საწინდარი გახდა**.

რიჩარდ I-ის შემდეგ ტახტზე ავიდა მისი უმცროსი ძმა *ჯონი* (1199-1216). საფრანგეთის მეფე *ფილიპ აუგუსტუსთან* 1204 წელს წაგებული ომის შედეგად *მეფე ჯონმა* დაკარგა თავისი მამა-პაპის მიერ კონტინენტზე მემკვიდრეობით მიღებული თუ მისი წინაპრების მიერ ბრძოლით მოპოვებული თითქმის ყველა ტერიტორია, მათ შორის, ინგლისის მეფეების სამემკვიდრეო სამფლობელოები – ნორმანდია და ანჟუ. ისტორიაში ის შევიდა *„ჯონ უმიწაწყლოს"* სახელით (*John Lackland; ფრანგულად, რომელიც მისი მშობლების, მისი ძმის რიჩარდ ლომგულის, ჯონის შვილისა და შვილიშვილის მშობლიური ენა იყო – Jean sans-terre*).

ისტორიულ პერსპექტივაში ინგლისის მეფის მიერ საფრანგეთის ნაწილების დაკარგვამ ინგლისის სოციალ-პოლიტიკური განვითარებისათვის ობიექტურად პოზიტიური შედეგი მოიტანა: ბარონებს, რომლებიც ერთდროულად ინგლისსა და საფრანგეთში ფლობდნენ მამულებს, საბოლოოდ უნდა განესაზღვრათ – ისინი ფრანგ-ნორმანები არიან თუ ინგლისელები. *ჯონის* მარცხს შედეგად მოჰყვა ფრანგულ-ნორმანული წარმოშობის ფეოდალების უფრო საფუძვლიანი დამკვიდრება ინგლისში და საბოლოოდ მათი გაინგლისელება.

მაგრამ XIII საუკუნეში ფეოდალები ასეთ „პატრიოტულ პერსპექტივაზე" სულაც არ ფიქრობდნენ: მათ საკუთარი შემოსავლის შემცირება აწუხებდათ. საფრანგეთში მამულების დაკარგვამ ბარონებში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ინგლისის ისტორიისათვის აღმოჩნდა *ჯონის* სხვა პოლიტიკური წარუმატებლობა .

საფრანგეთის მეფესთან ახალი ომის საწარმოებლად (რომელიც *ჯონმა* 1214 წელს ისევ წააგო) ინგლისში უზომოდ გაიზარდა გადასახადები. გარდაცვლი-

ლი ბარონების ვაჟიშვილებს მეფე დიდხანს არ უმტკიცებდა წოდებას და მამულს, რაც, მაშინდელი წესისამებრ, სამემკვიდრეო მამულიდან მიღებული შემოსავლის მთლიანად სამეფო ხაზინაში გაგზავნის უფლებას იძლეოდა. მეფე ზღუდავდა ან აუქმებდა ქალაქების თვითმმართველობის უფლებას, რაც ინგლისის მრავალმა ქალაქმა გამოისყიდა *რიჩარდ* I-ის მეფობის დროს.

მეფე *ჯონმა* სცადა კათოლიკური ეკლესიის ქონების ხელყოფაც კი, რაც მას ძალიან ძვირი დაუჯდა: 1208 წელს პაპმა *ინოკენტიუს* III-მ მეფე *ჯონი* ეკლესიიდან განკვეთა. *ჯონს* ვეღარ უშველა 1213 წელს ეკლესიასთან შერიგებამაც კი, როდესაც მან თავი ცნო რომის პაპის ვასალად და ინგლისი პაპისგან „მიიღო", როგორც ფეოდი.

ბარონები მეფეს აუმხედრდნენ.

ფეოდალების უარესი ურჩობა ბევრ სხვა ქვეყანაშიც ყოფილა, მაგრამ ისტორია მათ ნაკლებ ყურადღებას აქცევს. ინგლისის შემთხვევაში კი ამ ურჩობას მოჰყვა ისეთი შედეგი, რომელმაც საუკუნეებს გაუძლო.

1215 წლის 15 ივნისს მეფე *ჯონი* იძულებული გახდა, *უინძორის* ახლოს, *რანიმედის ველზე* მიეღო ბარონებისა და ეპისკოპოსების დეპუტაცია და სამეფო ბეჭდით დაემტკიცებინა დოკუმენტი, რომელიც „***თავისუფლებათა დიდი ქარტიის***" (*Magna Carta Libertatum*) სახელით შევიდა ისტორიაში. შემოკლებით მას „მაგნა კარტად" მოიხსენიებენ.

„**მ ა გ ნ ა კ ა რ ტ ა**" ძალიან საინტერესო დოკუმენტია. ის დაწერილია მეფის სახელით (პირველ პირში), ლათინურად. 63 მუხლად ის დაყო ისტორიკოსმა *სერ უილიამ ბლეკსტოუნმა* 1759 წელს, თორემ ორიგინალში ტექსტი უწყვეტია.

ქარტიაში *ჯონი* ჰპირდებოდა თავის ვასალებს ქვეყნის მართვას *ჰენრი* I-ისა და *ჰენრი* II-ის კანონების დაცვით, აგრეთვე, ეკლესიის, ბარონებისა და ქალაქებისათვის პრივილეგიების აღდგენას.

ქარტიის ზოგიერთი პუნქტი აყალიბებდა მეტ წესრიგს სახელმწიფოს მართვაში: მაგალითად, სამეფო სასამართლოს არ უნდა ევლო მეფესთან ერთად, ის უნდა ყოფილიყო ერთ ადგილას, ლონდონში (მუხლი 17); სასამართლოს ყოველ საგრაფოში წელიწადში ოთხჯერ უნდა მოეწყო გამსვლელი სესია – ასიზები (მუხლი 18). ეკონომიკისათვის დიდმნიშვნელოვანი იყო თავისუფალი საგარეო ვაჭრობის შემოღება (მუხლი 41). ვაჭრობის განვითარებისათვის კარგი იყო ქვეყანაში ერთიანი ზომა-წონის დაწესება ღვინის, ლუდის, ხორბლისა და ქსოვილებისათვის (მუხლი 35; სხვათა შორის, იქ არაფერია ნათქვამი ერთიანი ფულადი სისტემის შემოღებაზე).

„მაგნა კარტას" ყველაზე ცნობილი 39-ე მუხლი აცხადებდა: „***არც ერთი თავისუფალი ადამიანი არ შეიძლება დაპატიმრებულ იქნეს, ციხეში ჩაისვას, ან ჩამოერთვას ქონება, ან კანონგარეშე გამოცხადდეს, ან განიდევნოს, და არ გამოვიყენებთ მის წინააღმდეგ ძალას, და არ გავაგზავნით მის წინააღმდეგ სხვებს, თუ არ იქნება მის თანასწორთა კანონიერი განჩინება ქვეყნის კანონის შესაბამისად***".

ასეთი კანონი სამართლებრივი სახელმწიფოსათვის არის დამახასიათებელი. ამასთან, სიტყვა „თავისუფალი“ ყველას თავის ადგილზე აყენებდა: კანონი ეხებოდა მხოლოდ თავისუფალ უმცირესობას. მაგრამ მოგვიანებით, ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ, კანონი ბევრად მეტ ხალხზე გავრცელდა.

ასევე მნიშვნელოვანი იყო მე-40 მუხლი: ***„არავის მივყიდით, არავის ვეტყვით უარს, არავის გადავუდებთ კანონსა და სამართალს“***.

მაგნა კარტას 39-ე და მე-40 მუხლები დღემდე ითვლება დაუწერელი „ბრიტანეთის კონსტიტუციის“ ნაწილებად. „კონსტიტუციაში“ შედის აგრეთვე მე-13 მუხლი (1297 წლის ვერსიაში ის მე-9 მუხლია), რომლის თანახმადაც, ***ქალაქ ლონდონს უნარჩუნდებოდა ძველი თავისუფლებანი და წესები,*** რომლებიც მას ადრე ჰქონდა. „ძველი თავისუფლებანი და წესები“ ჩამოთვლილი არ იყო, მაგრამ, როგორც ჩანს, მაშინ ყველამ იცოდა, რას გულისხმობდნენ ისინი: ერთ-ერთი უმთავრესი პრივილეგია იყო *ლონდონის ლორდ-მერის არჩევის უფლება*. ეს მუხლი გავრცელდა ყველა სხვა ქალაქზე, ბოროსა და ნავსადგურზე, რომელთაც ადრე ჰქონდათ თვითმმართველობის უფლება და მეფე ჯონმა გააუქმა ის, ახლა კი *მაგნა კარტა* აღადგენდა მას.

„ბრიტანეთის კონსტიტუციაში“ დღემდე შედის *მაგნა კარტას* პირველი მუხლიც, რომელიც ამტკიცებდა ***ინგლისის ეკლესიის თავისუფლებას***, ოღონდ, XIII საუკუნეში ეს იყო არა ცალკე ეკლესია, არამედ კათოლიკური ეკლესიის ნაწილი და მაშინ გულისხმობდა „თავისუფლებას მონარქისაგან“.

ქარტიის ბოლოში ეწერა, რომ შეიქმნებოდა ბარონებისაგან *არჩეული 25-წევრიანი კომიტეტი*, რომელიც თვალყურს მიადევნებდა მეფის მიერ მიცემული პირობის დაცვას. ბარონები გამოდიოდნენ, როგორც სახელმწიფოს ერთიანობის მცველნი, რაც საკმაოდ იშვიათი მოვლენა იყო ფეოდალიზმის ხანაში.

დოკუმენტი შეადგინეს საეკლესიო პირებმა. ჩვენთვის უცნობი განათლებული ბერი (ან ბერები) წერდა ტექსტს ლათინურ ენაზე, ბუნებრივია, ინგლისის გავლენიანი ბარონების კარნახით, რომელთა უმრავლესობამ წერა-კითხვა, სავარაუდოდ, არც იცოდა. სხვათა შორის, ბარონები და მეფე ერთმანეთს ფრანგულად ესაუბრებოდნენ და არა ინგლისურად!

XXI საუკუნეში მეცნიერებმა დაადგინეს, რომ დღემდე შემორჩენილი ზოგიერთი ასლი ლინკოლნისა და სოლსბერის კათედრალების გადამწერების მიერაა შესრულებული.

რადგან მეფე ჯონის “პატიოსან სიტყვას” კაცი ვერ ენდობოდა, ეპისკოპოსების მოთხოვნით, *მაგნა კარტას* ტექსტის 250-მდე ეგზემპლარი მაშინვე გადაიწერა, დამოწმდა მეფე ჯონის ბეჭდით (მეფის ხელრთვა მაშინ წესი არ იყო), დაიგზავნა მთელ ინგლისში და ისინი ეკლესიებში საიმედოდ შეინახეს. ამიტომაა, რომ 800 წლის შემდეგაც ამ დოკუმენტის რამდენიმე ორიგინალი შემორჩა.

1215 წელსვე, როგორც კი ბარონები დაიშალნენ, *ჯონმა* მართლაც გადათქვა თავისი პირობები და სამოქალაქო ომი ბარონებთან ისევ გაჩაღდა. მაგრამ

მომდევნო წელს მეფე *ჯონი* გარდაიცვალა, ხოლო მის 9 წლის მემკვიდრე *ჰენრი* III-ს რეგენტებმა განაახლებინეს „*მაგნა კარტა*“ და მისი ბეჭდით დაამოწმეს.

ინგლისის პლანტაგენეტ მეფეებს ხელახლა უხდებოდათ „*მაგნა კარტას*“ დამტკიცება. XIII საუკუნის ბოლოს მეფე *ედვარდ* I-ს შოტლანდიასთან ომის გამო დასჭირდა დამატებითი თანხების მოძიება და 1297 წლის 12 ოქტომბერს განაახლა „*მაგნა კარტა*“. ძირითადი მუხლები უცვლელი დარჩა, მაგრამ მკაფიოდ ჩაიწერა, რომ ლონდონს შეუძლია აირჩიოს ლორდ-მერი, რასაც ლონდონის სიტი დღემდე აკეთებს. მთავარი კი ის იყო, რომ „*მაგნა კარტას*“ 1297 წლის ვერსია ინგლისის „*სამაგალითო პარლამენტმა*“ (იხ. ქვემოთ) დაამტკიცა და მას *სტატუტის*, ანუ საპარლამენტო კანონის, ძალა მიანიჭა. ამიტომაც მეფეები მას ადვილად ვეღარ გადათქვამდნენ.

თიუდორების აბსოლუტიზმის ხანაში, XVI საუკუნეში, „მაგნა კარტა“ აღარ გახსენებიათ. XVII საუკუნის ინგლისის რევოლუციის დროს კი ის ხელახლა გამოიტანეს დღის შუქზე და მას შემდეგ მოწიწებით ეპყრობიან, როგორც „ინგლისურ თავისუფლებათა საფუძველს“.

„მაგნა კარტა“ თავისი არსით გასცდა ფეოდალიზმის ფარგლებს. ***მასში გაცემულ დაპირებათა აღსრულება ინგლისში სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის ერთ-ერთი ქვაკუთხედი აღმოჩნდა.***

2015 წელს ბრიტანეთში დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნეს „მაგნა კარტას“ მიღების 800 წელი და არაერთხელ ითქვა, რომ ის ***დღემდე რჩება ქვეყნის დაუწერელი კონსტიტუციის ნაწილად.***

საერთაშორისო დონეზეც მას მიიჩნევენ „სამართლის უზენაესობის ჩანასახად“ (*The Rule of Law in Embrio*).

1948 წელს გაეროს მიერ მიღებულ „*ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას*“, რომელსაც ხელს აწერს მსოფლიოს ყველა ქვეყანა (გარდა ორიოდე ფუნდამენტალისტური ისლამური სახელმწიფოსი და ისრაელისა), 1998 წელს უწოდეს “***მაგნა კარტა მთელი კაცობრიობისათვის***“.

* * *

XIII საუკუნემ კიდევ ერთი ისეთი სიახლე შესძინა ინგლისს, რომელიც დღემდე შემორჩა მას – ესაა ***პ ა რ ლ ა მ ე ნ ტ ი.***

ფრანგული სიტყვა *Parliament* უფრო ადრეც იხმარებოდა სხვადასხვა ფეოდალური სათათბიროს მნიშვნელობით. მაგრამ როდესაც *ჰენრი* III (1216-1272) დაადგა მამამისის – *ჯონის* კვალს, სუბსიდიების უკანონო მოთხოვნით აიმხედრა ვასალები და ქალაქები, მოწვეულ იქნა ახალი ტიპის პარლამენტი, რომელიც მხოლოდ ბარონების ოლიგარქიას არ წარმოადგენდა.

სამოქალაქო ომში, რომელიც 1263 წელს დაიწყო, მეფის მოწინააღმდეგეთა ბანაკს სათავეში ჩაუდგა წარმოშობით ფრანგი დიდებული *სიმონ დე მონფორი* (*Simon de Monfort*), რომელიც ინგლისში *ლესტერის გრაფი* იყო. მის მხარეს იბრძოდ-

ნენ წვრილი რაინდები და თვითმმართველი ქალაქების წარმომადგენლები, რომელთაც ყველაზე მწარედ იწვნიეს ჰენრი III-ის გამომძალველობა, აგრეთვე, ბარონების ნაწილი. მეფის ტყვედ ჩაგდების შემდეგ, 1265 წლის 20 იანვარს *მონფორმა* უესტმინსტერში მოიწვია „*დიდი პარლამენტი*“, სადაც ყოველ საგრაფოს წარმოადგენდა ორ-ორი რაინდი (*knights of shire*) და ყოველ თვითმმართველ ქალაქს – ორ-ორი მოქალაქე (*members of borough*). მსხვილი ბარონები იმ პარლამენტში უმცირესობას შეადგენდნენ: მათი უმეტესობა, უბრალოდ, არ მოვიდა. ***მონფორი „ინგლისის პარლამენტის მამად“ არის მიჩნეული***.

1265 წლის ზაფხულში *ივშემთან* (*Evesham*) ბრძოლაში ტახტის მემკვიდრე *ედვარდმა* დაამარცხა და მოკლა სიმონ დე მონფორი. პარლამენტის საქმე თითქოს წასული იყო. მაგრამ 30 წლის შემდეგ იმავე ედვარდმა, ახლა უკვე მეფე *ედვარდ* I-მა (1272-1307), რომელიც შოტლანდიაში სალაშქროდ ემზადებოდა და ფული ესაჭიროებოდა, მოიწვია პარლამენტი ზუსტად ისეთი შემადგენლობით, როგორც ეს მონფორმა გააკეთა. 1295 წლის პარლამენტს „სამაგალითო“ (*Model Parliament*) ეწოდა.

1347 წელს, *ედვარდ* III-ის დროს, ორპალატიანი პარლამენტი საბოლოოდ ჩამოყალიბდა იმ სახით, როგორც მან იარსება მომდევნო ხუთი საუკუნე, 1832 წლამდე, როდესაც განხორციელდა პარლამენტის პირველი რეფორმა.

შუა საუკუნეების პარლამენტში წამყვან როლს ასრულებდა ზედა, მემკვიდრეობითი *ლორდთა პალატა* (*House of Lords*). საერო ლორდების გარდა, იქ სასულიერო ლორდებიც, ანუ არქიეპისკოპოსები და ეპისკოპოსები, ისხდნენ.

ქვედა, არჩევით, *თემთა პალატაში* (*House of Commons*) ქალაქების წარმომადგენელთა გვერდით ისხდნენ რაინდები. ერთ დარბაზში (პალატაში) მსხდომი ყველა საგრაფოს ორ-ორი რაინდი (არისტოკრატიის წარმომადგენლები) და ყველა თვითმმართველი ქალაქის ორ-ორი მოქალაქე (*burgesses*, იმავე ძირიდანაა ფრანგული სიტყვა *ბურჟუაზია*, ანუ, ძირითადად, ვაჭრები) ერთმანეთის *თანასწორად* მოიაზრებოდნენ.

ეს მკვეთრად განასხვავებდა ინგლისის პარლამენტს ევროპის სხვა ქვეყნებში არსებულ მეფის საკონსულტაციო ორგანოებისაგან (მაგალითად, საფრანგეთის “გენერალური შტატების”, ესპანეთის “კორტესების”, სხვა სამეფო სათათბიროებისაგან). ფეოდალური საფრანგეთისა და სხვა ევროპული სამეფო-სამთავროების არისტოკრატია, თუნდაც ყველაზე დაბალი რანგისა, „მესამე წოდების ვაჭრუკანებთან“ ერთ სათათბირო დარბაზში არც დაჯდებოდა!

ინგლისში ბურჟუაზიისა და არისტოკრატიის მომავალი კავშირი პარლამენტში დადგინდა და ამან მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა ქვეყნის განვითარება.

რასაკვირველია, არც *სიმონ დე მონფორი* და არც *ედვარდ* I ასე შორს არ იხედებოდნენ: პარლამენტის შექმნა და მისი სტრუქტურა იმდროინდელმა გარემოებებმა განაპირობა. შედეგი კი ქვეყნის პოლიტიკური მომავლისათვის გადამწყვეტი აღმოჩნდა.

ინგლისის პარლამენტი წარმოადგენდა თავისუფალი მოსახლეობის თითქმის ყველა ფენას. იმდროინდელი არჩევნები, რასაკვირველია, საყოველთაო არ იყო: თემთა პალატის წევრებს ღია კენჭისყრით ირჩევდა „რჩეული საზოგადოების“ – მემამულე რაინდებისა და მდიდარი ბურჟუაზიის – ძალიან ვიწრო წრე. ნაკლებ შეძლებული და ღარიბი ფენები, რასაკვირველია, პარლამენტში წარმოდგენილი არ იყვნენ – ამისათვის მათ XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე (ქალებს – სულაც 1918 წლამდე) მოუწევთ დაცდა!

კანონების გამოცემის გარდა, რომელიც ძალაში შედიოდა მეფის მიერ მისი დამტკიცების შემდეგ, ინგლისის *პარლამენტის ძირითადი ფუნქცია იყო ბიუჯეტის შემუშავება* – რამდენი უნდა გადაიხადონ ქვეშევრდომებმა და რას უნდა მოახმაროს აკრეფილი თანხა მეფემ, ანუ აღმასრულებელმა ხელისუფალმა. პარლამენტის მოწვევა მეფისათვის ხელსაყრელი გახდა, რადგან პარლამენტის მიერ ხმამიცემული გადასახადი სამეფოში ნაკლები გართულებით იკრიფებოდა. მაგრამ ხანდახან პარლამენტი არ იძლეოდა გადასახადის აკრეფის უფლებას, სანამ მეფე არ გააუქმებდა რომელიმე ბრძანებულებას, რომელსაც პარლამენტი უკანონოდ მიიჩნევდა.

პარლამენტის არსებობამ შეცვალა ფეოდალური ოპოზიციის ხასიათი – ამიერიდან მან *საპარლამენტო სახე* მიიღო. მაგალითად:

- 1327 წელს – მეფე *ედვარდ* II-ის, ხოლო 1399 წელს მეფე *რიჩარდ* II-ი*ს* გადაყენება საპარლამენტო პროცედურის გზით განხორციელდა, რამაც ინგლისისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი პრეცედენტები შექმნა (თუმცა, რეალურად, ეს გადატრიალებები იყო!).
- XVI საუკუნეში *ჰენრი* VIII თავის ცოლებს ეყრებოდა და თავს ინგლისის ეკლესიის მეთაურად აცხადებდა პარლამენტის დადგენილებით.
- XVII საუკუნეში პარლამენტში დაიწყო ის პოლიტიკური პროცესი, რომელიც ინგლისის რევოლუციაში გადაიზარდა.

თემა 6. რეფორმაციის გავლენა პოლიტიკურ განვითარებაზე. შედარება სხვა ქვეყნებთან.

ლიტერატურა: *გაერთ. სამ.* გვ. 146-158

ჰენრი VII თიუდორის გარდაცვალების შემდეგ ტახტზე ავიდა მისი ძე, 18 წლის *ჰენრი* VIII (1509-1547). ახალგაზრდა მეფეს ხაზინაში დახვდა მამამისის მიერ დაგროვილი ორი მილიონი პაუნდი სტერლინგი, რაც იმ დროისათვის უზარმაზარი თანხა იყო ღარიბი და, მაგალითად, საფრანგეთთან შედარებით სუსტად განვითარებული ინგლისისათვის.

თიუდორების დინასტიის ზეობის დროს ძველი ტიპის ფეოდალი დიდებულები სულ უფრო ნაკლებ როლს თამაშობდნენ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ურჩი და თავგასული ბარონები წარსულს ჰბარდებოდნენ (ბევრი მათგანი – ძალადობრივი გზით!). მათ ადგილს უმეტესწილად იკავებდა „მიწათმფლობელი ჯენტრი“ (*landed gentry* – ტერმინი 1540-იან წლებში გაჩნდა) – საშუალო და წვრილი თავადაზნაურობა. სხვადასხვა *სესილები, კავენდიშები, სეიმურები, ბეკონები, რასელები, კრომველები* და სხვა გვარების წარმომადგენლები, რომელთა ხსენებაც არ იყო იორკების ან ლანკასტერების კარზე, თიუდორების სამსახურში კარისკაცებად იქცნენ, მიიღეს გრაფებისა და ჰერცოგების ტიტულები.

მაიორატის წესის თანახმად, როდესაც ტიტული და მამული მემკვიდრობით გადადიოდა მხოლოდ უფროს ვაჟზე, *ჯენტრის* უმცროს, უმიწაწყლო ვაჟიშვილებს არისტოკრატის სახელიღა რჩებოდათ. მათ უხდებოდათ წასვლა ქალაქში ან ზღვაზე, სადაც ისინი ხდებოდნენ მეფის მოხელეები, მოსამართლეები, *პრივატირები* ანუ *კორსარები* (*privateer, corsair*) – მტრის სავაჭრო გემებზე თავდასხმის სახელმწიფოს ნებართვის მქონე კერძო გემის მფლობელები, რაც მეკობრისაგან დიდად არ განსხვავდებოდა. ამ უმიწაწყლო არისტოკრატებისათვის ადვილი იყო საერთო ენის გამონახვა ქალაქელ ვაჭრებთან, გამდიდრებულ ოქრომჭედლებთან, მემაუდეებთან, მევახშეებთან, ანუ იმდროინდელ „ბანკირებთან“, სხვანაირად – *ბურჟუაზიასთან.* ხშირად ხდებოდა ჯენტრისა და ვაჭართა ოჯახის წევრების დანათესავებაც, რის შედეგადაც ჩნდებოდა „ახალი თავადაზნაურობა“ – გარეგნულად არისტოკრატიული, მაგრამ შინაარსითა და მისწრაფებით ბურჟუაზიული, რომლისთვისაც ყველაზე მეტად ფასობდა ფული.

„ახალი თავადაზნაურობის“, ბურჟუაზიისა და მონარქიის დაუწერელი, მაგრამ რეალური კავშირი გახდა *თიუდორების აბსოლუტიზმის* საფუძველი. თიუდორების დროინდელი პარლამენტი, სადაც თემთა პალატაში სწორედ ამ „ახალი თავადაზნაურობისა“ და ბურჟუაზიის წარმომადგენლები ისხდნენ, არ ეწინააღმდეგებოდა მეფეების ერთპიროვნულ მმართველობას იმიტომ, რომ ვერ ხედავდა *აბსო-*

ლუტური მონარქის მიზნების პრინციპულ წინააღმდეგობას საკუთარ მიზნებთან. ქალაქელ ვაჭრებს, საშუალო და წვრილ მემამულეებს სჭირდებოდათ მტკიცე წესრიგი და მშვიდობა ქვეყანაში. ეს კი მეფის სურვილიც იყო.

თიუდორების აბსოლუტიზმის განმტკიცებას განსაკუთრებით შეუწყო ხელი საეკლესიო რეფორმაციამ.

შუა საუკუნეებში კათოლიკური ეკლესია იყო „ზესახელმწიფოებრივი ორგანიზაცია“ და რომის პაპი, თეორიულად, ზოგ შემთხვევაში კი – პრაქტიკულადაც, ბატონობდა თვით მონარქიებზე.

დიდ სახსრებს მოითხოვდა რთული საეკლესიო იერარქიის შენახვა, რომლის სათავეშიც იდგა რომის პაპი მის გარშემო შეკრებილი დიდი აპარატით. ეკლესიის შემოსავალი კათოლიკურ ქვეყნებში გროვდებოდა. მონასტრებს უზარმაზარი მამულები ჰქონდათ. გარდა ამისა, ძალიან მომგებიანი იყო წერილობითი *ინდულგენციით*, ანუ ცოდვების „ფასიანი“ მიტევებით, ვაჭრობა.

ევროპაში, განსაკუთრებით მის ცენტრალურ და ჩრდილოეთ ნაწილებში, ეროვნული სახელმწიფოების თანდათან ჩამოყალიბებას მოჰყვა სამართლიანი შეკითხვა – რატომ უნდა აფინანსონ ადგილობრივმა მეფე-მთავრებმა და ხალხმა თავისი გადასახადით რომის ეკლესიის მსახურთა უზნეობა და გამომძალვებლობა? წიგნის ბეჭდვამ და ცოდნის გავრცელებამ გაზარდა უკმაყოფილოთა რიცხვი.

XIV-XV საუკუნეებში ეკლესიის დიდი რეფორმატორი, ჩეხი *იან ჰუსი*, რომლის იდეები მთელი საუკუნით უსწრებდა *ლუთერისა* და *კალვინის* რეფორმაციულ მოძრაობას, წერდა: *„ადამიანმა უნდა იხადოს ადსარებისათვის, ზიარებისათვის, მესისათვის, ცოდვების მიტევებისათვის, დალოცვისათვის, ნათლობისათვის, პანაშვიდისათვის, დაკრძალვისათვის, ლოცვაში მოხსენიებისათვის... უკანასკნელი გროში, რომელსაც მოხუცი ქალი ქურდების შიშით ძონძებში მალავს, ისიც კი ხარბი მღვდლის ხელში მოხვდება“.*

ყოველთვის არსებობდნენ ეკლესიის რეფორმის მომხრენი. როგორც *ერაზმ როტერდამელი* ამბობდა, *„რაც უფრო მეტია დოგმატი, მით უფრო მეტია ერესი“*. კათოლიკური ეკლესია ერეტიკოსებს სასტიკად სდევნიდა. ბევრგან, მათ შორის ინგლისშიც, არსებობდა ცოცხლად დაწვის პრაქტიკა: 1401 წელს შემოღებული კანონის შესაბამისად, ინგლისში კოცონზე წვავდნენ ერეტიკოსებს, რომლებიც ინგლისურ ბიბლიას მოითხოვდნენ და ზოგი თარგმნასაც კი ბედავდა. ინგლისის გარეთ, სხვა კათოლიკურ ქვეყნებში, ბიბლიის თარგმნას ეროვნულ ენებზე უფრო ლმობიერად უყურებდნენ: არსებობდა ბიბლიის ფრანგულ, კატალონიურ, პოლონურ და სხვა ენებზე შესრულებული თარგმანები.

XVI საუკუნის დასაწყისში ევროპაში მომწიფდა სოციალურ-კულტურული სიტუაცია იმისათვის, რომ ეკლესიის რეფორმაცია განხორციელებულიყო. ის დაიწყო გერმანიაში *მარტინ ლუთერის* ხელმძღვანელობით, შვეიცარიაში – *ჟულდრიხ ცვინგლის*, და ცალკე – *ჟან კალვინის* მეთაურობით. რეფორმირებული ეკლესია ხალხის საკმაოდ ფართო მასების განწყობას ასახავდა. რეფორმაციას მხარი დაუ-

ჭირა არისტოკრატიის ნაწილმა, განსაკუთრებით, წვრილი გერმანული სამფლობელოების მთავრებმა.

ოფიციალური კათოლიციზმის წინააღმდეგ გამოსულებს *პროტესტანტებს* უწოდებდნენ.

თავიდანვე გაჩნდა *პროტესტანტიზმის* რამდენიმე მიმართულება, მათ შორის ყველაზე გავლენიანი – *ლუთერანობა და კალვინიზმი,* რომლებიც ერთმანეთის მიმართ „ძმურად განწყობილნი“ სულაც არ იყვნენ. *ლუთერანობა* ძირითადად ჩრდილოეთ გერმანიაში, სკანდინავიაში, ფინეთში, ლატვიასა და ესტონეთში გავრცელდა, *კალვინიზმი* – შვეიცარიაში, საფრანგეთში (“ჰუგენოტები“), ნიდერლანდებში, უნგრეთში, შოტლანდიაში. პროტესტანტიზმი თითქმის ყველგან უკავშირდებოდა ნაციონალიზმის (სიტყვის პოზიტიური მნიშვნელობით) აღმავლობასაც.

ინგლისში რეფორმაცია ზემოდან განხორციელდა და ის მეფის კარზე შექმნილი პოლიტიკური სიტუაციით უფრო იყო განპირობებული, ვიდრე ნამდვილი „პროტესტანტული განწყობით“. 1517 წელს, როდესაც ლუთერი ანტიპაპისტურ „95 თეზისს“ ასაჯაროებდა, ინგლისის მეფე *ჰენრი* VIII ერთგული კათოლიკე იყო. *ჰენრიმ* გამოაქვეყნა მარტინ ლუთერის საწინააღმდეგო პამფლეტი და ამ დამსახურებისათვის 1521 წელს რომის პაპისაგან მიიღო საპატიო წოდება – „სარწმუნოების მცველი“ (*Fidei defensor,* შემოკლებით *F.D.*). ეს წოდება დღესაც კი, ხუთი საუკუნის შემდეგ, ბრიტანეთის მონარქის ერთ-ერთი უმთავრესი ტიტულია და ბრიტანულ მონეტებზე მონარქის სახელის შემდეგ წერია *F.D.,* თუმცა ბრიტანეთის მონარქი სულაც არ არის ქრისტიანობის იმ მიმართულების „მცველი“, რომელსაც მეთაურობს რომის პაპი.

ინგლისში რეფორმაციის უშუალო საბაბი გახდა ის, რომ რომის პაპმა ნება არ დართო *ჰენრი* VIII-ს, გაყროდა თავის ცოლ *კეთრინს* (ესპანურად *Catalina*) – ესპანეთის იმდროინდელი მეფის მამიდას. დედოფალმა ჰენრის ვერ გაუჩინა ნანატრი ვაჟი, რომელიც ტახტის მემკვიდრე გახდებოდა. მას მხოლოდ ქალიშვილი შერჩა: მომავალში ის დედოფალი *მერი* I გახდება. გაყრის საბაბად ჰენრიმ გამოიყენა ის, რომ *კეთრინი* იყო *ჰენრის* ადრე გარდაცვლილი ძმის, *არტურის,* ქვრივი; ძმის ქვრივთან ქორწინებას კათოლიკური წესი კრძალავდა. მაგრამ თავის დროზე ჰენრიმ საგანგებო ნებართვა გამოითხოვა წინა პაპისაგან *კეთრინის* ცოლად შესართავად, რაც მაშინ ესპანეთთან დასაახლოებლად სჭირდებოდა. ახლა მას ისევ დასჭირდა რომის პაპის თანხმობა, ოღონდ, საწინააღმდეგო მიზნით.

მეფე ჰენრის გაყრის პროცესის ჩაშლაზე არაპირდაპირ იმოქმედა ერთმა გარეშე მოვლენამ. 1525 წლის 24 თებერვალს ქ. პავიასთან დიდ ბრძოლაში ესპანელებმა სასტიკად დაამარცხეს საფრანგეთის მეფე *ფრანსუა* I, რომელიც ტყვედ ჩავარდა. იტალიაში გაბატონდა ესპანეთის მეფე და რომის პაპი ვერ გაბედავდა მისი ახლო ნათესავის დამცირებას ინგლისის მეფის „უმსგავსო პრეტენზიის“ გამო. ჰენრი VIII-ის თხოვნაზე ცოლთან გაყრის თაობაზე ინგლისის ელჩიონმა პაპისაგან უარი მიიღო. ბუნებრივია, ამას ჰენრის განრისხება მოჰყვა.

უახლოესმა მრჩევლებმა *თომას კრანმერმა* (შემდგომში კენტერბერის არქიეპისკოპოსმა) და *თომას კრომველმა* მეფეს ურჩიეს ცოლთან გაყრის გაფორმება საპარლამენტო აქტით. 1533 წელს გაყრა გაფორმდა. კეთრინი სასახლიდან წავიდა, მისი ასული *მერი* უკანონოდ შობილად გამოცხადდა.

კრანმერი და *კრომველი* საეკლესიო რეფორმაციის მთავარი შთამაგონებლები გახდნენ. მონასტრების წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლის გამო, *თომას კრომველს* „ბერების ურო“ უწოდეს. *თომას კრანმერის* რედაქციით გამოვიდა ბიბლია ინგლისურ ენაზე.

თომას კრომველი უბრალო წარმოშობის ადამიანი იყო (მამამისი თავიდან მჭედლობას მისდევდა, მერე თანდათანობით გამდიდრდა), რომელმაც საკუთარი ნიჭით მიაღწია ესექსის გრაფობასაც კი. ის არ უნდა აგვერიოს XVII საუკუნეში მოღვაწე *ოლივერ კრომველში*, რომელიც იყო თომას კრომველის დის, *კეთრინის*, შვილთაშვილი: კეთრინის ვაჟიშვილმა ამჯობინა, დედამისისა და გამოჩენილი ბიძამისის გვარი – *კრომველი* – აეღო.

ინგლისში რეფორმაციის ერთ-ერთ რეალურ მიზეზად სამეფო ხაზინის დაცარიელებაც იქცა, რასაც ხელი შეუწყო *ჰენრი* VIII-ის კარის ფუფუნებამ და მფლანგველობამ. ამ უკანასკნელ ფაქტს ერთგვარი გამართლება ჰქონდა: მეფე თავისი ხელგაშლილობით კარზე იზიდავდა და თავის პირად სამსახურში აყენებდა დიდებულებს.

ხაზინაში ფულის გამოლევის გამო, *ჰენრი* VIII-მ სცადა, პარლამენტის ჩაურევლად აეკრიფა ზოგი ახალი გადასახადი. ის წააწყდა ბუნებრივ წინააღმდეგობას, ვინაიდან მთელი შუა საუკუნეების მანძილზე მონარქისა და პარლამენტის კონფლიქტის მთავარი მიზეზი ყოველთვის იყო მეფის მიერ დაუსაბუთებელი სუბსიდიის მოთხოვნა, რაზეც პარლამენტი არ თანხმდებოდა.

ამ წინააღმდეგობის დასაძლევად მეფის გაქნილმა მრჩევლებმა (უპირველესად, *თომას კრომველმა*) მისი ყურადღება მდიდარ საეკლესიო ქონებას მიაპყრეს.

„რეფორმაციულმა პარლამენტმა“ თავისი 1531 წლის აქტებით დახურა 376 პატარა მონასტერი, რომელთა ქონება სამეფო ხაზინას გადაეცა. ბერები ქუჩაში გამოყარეს. გაპარტახდა ბევრი მონასტრის შენობა, რომელთა ნანგრევებს ინგლისში ახლაც მრავლად შეხვდებით.

1534 წელს ინგლისის პარლამენტმა გაწყვიტა კავშირი რომთან და *ჰენრი* VIII გამოაცხადა „*ინგლისის ეკლესიის ერთადერთ უზენაეს მეთაურად დედამიწაზე*“. მეფისათვის რომის პაპის მიერ მინიჭებულმა ტიტულმა – „*Fidei defensor*“ – დიამეტრულად შეიცვალა მნიშვნელობა!

1538 წელს ინგლისის პარლამენტმა დახურა დარჩენილი მონასტრები, 1539 წელს კი დაადგინა ბიბლიის ინგლისურ ენაზე გამოქვეყნება, თუმცა მისი მთარგმნელი *უილიამ ტინდელი* (*William Tyndale*) რამდენიმე წლით ადრე იძულებული იყო, გაქცეულიყო ინგლისიდან. იმ დროს კათოლიკურ ფლანდრიაში კი 1536 წელს ის სიკვდილით დასაჯეს, როგორც ერეტიკოსი.

დიდძალი სამონასტრო ქონება მეფის ხელში გადავიდა და მან მალევე გაასაჩუქრა ან მიჰყიდა მიწა ჯენტრის, შეძლებულ გლეხებს, ქალაქელ სპეკულანტებს. ქვეყნის ტერიტორიის ერთ მეხუთედს პატრონი შეეცვალა. ამით რეფორმაციამ შეიძინა ათასობით ახალი მომხრე, რომელიც სისხლხორცეულად იყო დაინტერესებული, არ დაეშვა პაპიზმის აღდგენა ინგლისში.

„ინგლისურ ეკლესიას“ (*English Church,* ლათინურად – *Anglicana Ecclesia,* საიდანაც წარმოდგა ტერმინი ***ანგლიკანიზმი***), ფაქტობრივად სათავისოდ რეფორმირებულ ეკლესიას, *ჰენრი* VIII *„ჭეშმარიტად კათოლიკურად“* აცხადებდა. რეფორმაცია ინგლისში სანახევროდ განხორციელდა. უბრალოდ, ინგლისის მეფემ დაიჭირა რომის პაპის ადგილი, ხოლო დიდწილად შენარჩუნებულ კათოლიკურ რელიგიურ წესებს ლათინურის ნაცვლად ინგლისურ ენაზე აღასრულებდნენ. ანგლიკანურმა ეკლესიამ შეინარჩუნა კათოლიკური ტიპის საეკლესიო იერარქია, მათ შორის, ორი არქიეპისკოპოსი და მრავალი ეპისკოპოსი, მაშინ, როცა ლუთერანობა, კალვინიზმი და სხვა პროტესტანტული მიმართულებების დიდი უმრავლესობა არ ცნობს ეპისკოპოსებს.

ჰენრი VIII ებრძოდა როგორც „პაპისტებს“, ისე ნამდვილ პროტესტანტებს, რომლებიც შემდგომში *პურიტანების* სახელით გახდებიან ცნობილი. ჰენრის სამეფოში კი მრავლად იყო როგორც ერთი, ისე მეორე მიმართულების მიმდევარი.

ირლანდიაში, რომლის მეფედაც 1541 წელს გამოაცხადა თავი *ჰენრი* VIII-მ, ინგლისური ბიბლიისა და „ახალი რელიგიის“ გავრცელება დიდ წინააღმდეგობას წააწყდა, რადგან ირლანდიელებმა არ იცოდნენ ინგლისური ენა და არ ესმოდათ, რატომ იყო სახარების ყდაზე იესო ქრისტეს ნაცვლად გამოსახული ინგლისელთა ხელმწიფე. ამიერიდან ისინი უფრო თავგამოდებულ კათოლიკეებად გადაიქცნენ, რადგან ანგლიკანიზმი მათი ეროვნული მტრის რელიგია იყო.

ინგლისმა წარუმატებლად სცადა *ანგლიკანიზმის* შეტანა ***შოტლანდიაშიც.*** ამის საპასუხოდ, შოტლანდიელი ლორდების ნაწილმა ინგლისის ტრადიციული მტრის – საფრანგეთის – ლაშქარს მოუხმო. მაგრამ სწორედ ამ მოკავშირემ აბრუნებინა საბოლოოდ პირი შოტლანდიელთა უმრავლესობას პროტესტანტიზმისაკენ, რადგან ფრანგების მრავალწლიანმა პარპაშმა პროტესტანტი შოტლანდიელები „პატრიოტებად“ აქცია, ხოლო კათოლიკეებად დარჩენილები – „მტრის თანამშრომლებად“.

ჟან კალვინის მიმდევრის, მოძღვარ ***ჯონ ნოქსის*** (*John Knox*), მეთაურობით, შოტლანდიაში ბევრად უფრო დემოკრატიული რეფორმაცია ჩატარდა, ვიდრე ინგლისში.1560 წელს ედინბურგში შეკრებილმა „რეფორმაციულმა პარლამენტმა“ გააუქმა „ძველი სარწმუნოება“, აკრძალა კათოლიკური რელიგიური წესები და პროტესტანტულ ქვეყნად აქცია შოტლანდია. შეიქმნა დღემდე მოქმედი *პრესბიტერიანული ეკლესია.* საეკლესიო თემები შოტლანდიაში დამოუკიდებელი და თვითმმართველია. ეპისკოპოსები იქ არ ჰყავდათ. უმაღლეს რელიგიურ ორგანოს წარმოადგენს არჩეული მამასახლისების (*პრესბიტერების,* სიტყვასიტყვით – *უხუცესების*)

კრება. შოტლანდიაში არსებული დემოკრატიული სული გარკვეულად უკავშირდება „ახალ სარწმუნოებას".

ჰენრი VIII-ის გარდაცვალების შემდეგ ტახტზე ავიდა მისი ცხრა წლის ვაჟი *ედვარდ* VI (1547-53), რომლის რეგენტებმა გაამძაფრეს რეფორმაცია, მაგრამ უფრო საკუთარი ჯიბის გასქელებაზე ფიქრობდნენ. ძარცვავდნენ იმას, თუ რამ დარჩათ მონასტრებს და ყოფილ კათოლიკურ ეკლესიებს. იმ პერიოდში განადგურდა კულტურის ბევრი ძეგლი.

მოზარდობისას გარდაცვლილი მეფე *ედვარდ* VI-ის შემდეგ თიუდორების დინასტიას მამრობითი მემკვიდრე არ დარჩა. *ედვარდ* VI-ის ყოფილმა რეგენტებმა სცადეს, ტახტზე აეყვანათ თიუდორების შორეული ნათესავი, პროტესტანტი *ლედი ჯეინ გრეი*, მაგრამ ჩაეშალათ საქმე და ჯალათის ცულქვეშ დაკარგეს თავები ავანტიურაში სულ ტყუილად ჩათრეულ 16 წლის ჯეინ გრეისთან ერთად.

პარლამენტმა უკანონოდ შობილის სტატუსი მოუხსნა *ჰენრი* VIII-ის უფროს ქალიშვილ *მერის*, სწორედ იმ ესპანელი პრინცესას ასულს, რომელთანაც მამამისის გაყრამ ინგლისის ეკლესიის რეფორმაციას მისცა ბიძგი.

ინგლისში პირველად გამეფდა ქალი. ***ტახტზე მერის ასვლამ შექმნა პრეცედენტი ქალის გამეფებისათვის ინგლისში***, რაც იქამდე არასოდეს მომხდარა[6]. *მერი* I თიუდორის შემდეგ ინგლისში/ბრიტანეთში იმეფა ხუთმა ქალმა – *ელიზაბეთ* I თიუდორმა, *მერი* II სტიუარტმა, *ენ* სტიუარტმა, *ვიქტორია* ჰანოვერმა, 1952 წლიდან კი *ელიზაბეთ* II უინძორი მეფობს.

თავგამოდებულმა კათოლიკე *მერი* I-მა (1553-1558) ინგლისში კონტრრეფორმაცია განახორციელა. სახელმწიფო რელიგიად აღდგა კათოლიციზმი, თუმცა გაყიდული საეკლესიო ქონების უკან დაბრუნება შეუძლებელი აღმოჩნდა.

მერი I უმკაცრესად ებრძოდა პროტესტანტებს. მის დროს ცოცხლად დაწვა მიესაჯა 280-ზე მეტ, მისი აზრით, „სახიფათო ერეტიკოსს", მათ შორის, კენტერბერის არქიეპისკოპოსს *თომას კრანმერს* და ხალხში დიდი გავლენის მქონე ეპისკოპოსებს – *ჰიუ ლატიმერს, ნიკოლას რიდლის* და რამდენიმე სხვას. ქ. *ოქსფორდის* ცენტრში, *ბროუდ სტრიტზე*, გზის სავალ ნაწილში ქვებით გამოსახულია ჯვარი იმ საბედისწერო კოცონის ადგილზე, სადაც ზემოხსენებული ეპისკოპოსები ცოცხლად დაწვეს; შორიახლოს აღმართულია *წამებულთა მემორიალი* (*Martyrs' Memorial*).

დაშინების ეფექტის ნაცვლად, *მერიმ* საყოველთაო სიძულვილი დაიმსახურა. ხალხი, რომელიც იქამდე უკმაყოფილო იყო *ედვარდ* VI-ის რეგენტების გამომძალველობით, კიდევ უფრო გააბოროტა „*სისხლიანი მერის*" (*Bloody Mary*: ასეთი მეტსახელი შეარქვეს დედოფალს თანამედროვეებმა) მოქმედებამ. მამამისმა ჰენრი VIII-მ, შესაძლოა, მეტი ადამიანი ჩამოახრჩო, მის დროს წამება ნორმალურად ითვლებოდა, მაგრამ ადამიანის ცოცხლად დაწვა ჰენრის არ უყვარდა.

---

[6] XII საუკუნეში ტახტისათვის იბრძოდა ჰენრი I-ის ასული *მატილდა*, მაგრამ მისი მეფედ კურთხევა არ შემდგარა.

ხალხის უკმაყოფილებას იწვევდა ისიც, რომ 1554 წელს ინგლისის დედოფალი მისთხოვდა ესპანეთის ტახტის მემკვიდრე *ფელიპეს,* რომელთანაც შვილი არ ეყოლა. *ფელიპე* II მალე *ჰაბსბურგთა* უზარმაზარი სამფლობელოს მეთაური გახდა, რომელიც ესპანეთსაც მოიცავდა თავის ამერიკულ კოლონიებთან ერთად. ესპანეთი კი იმდროინდელი ინგლისისათვის უმთავრესი მტერი ხდებოდა.

1557 წელს *ფელიპე* II-მ ინგლისი ჩაითრია მისი ინტერესების საწინააღმდეგო ომში საფრანგეთთან. ინგლისი დამარცხდა და 1558 წელს დაკარგა ორასზე მეტი წლის განმავლობაში მის ხელთ მყოფი უკანასკნელი ქალაქი ევროპის კონტინენტზე – *კალე* (*Calais*), რომელიც ინგლისური ვაჭრობისათვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო.

1558 წელს დედოფალი *მერი* გარდაიცვალა და მის ნაცვლად ტახტზე ავიდა მისივე ნახევარდა, *ჰენრი* VIII-ის მეორე ასული, ანგლიკანურ სარწმუნოებაში აღზრდილი 25 წლის ***ელიზაბეთი*** (1558-1603), რომელიც უკანასკნელი თიუდორი აღმოჩნდა.

ელიზაბეთ I-ის თითქმის ნახევარსაუკუნოვანი მმართველობის დროს შუა საუკუნეების ინგლისი თანდათან დაადგა ახალი დროებისაკენ, არსებითად – კაპიტალიზმისაკენ – მიმავალ გზას. მიწამფლობელობისა და მიწათსარგებლობის ფეოდალური წესები თანდათან წარსულს ჰბარდებოდა; შუა საუკუნეების გილდიური შეზღუდვები ნელა, მაგრამ სუსტდებოდა; საგარეო ვაჭრობას სახელმწიფო ახალისებდა; ქვეყანაში მეწარმეობა ვითარდებოდა. ერთი სიტყვით, წინ გამოდიოდა წმინდა ეკონომიკური ინტერესები. არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ძვრები საზოგადოებრივ ცნობიერებაში, ადამიანთა მისწრაფებაში მეტი თავისუფლებისაკენ, მზარდ სულიერ და კულტურულ მოთხოვნებში. ეს აირეკლებოდა ინგლისურ კულტურაში.

დედოფალი *ელიზაბეთი* ზემოხსენებულ ძვრებს არც გეგმავდა და არც იცოდა, რომ, თურმე, „კაპიტალიზმის განვითარებას“ უწყობდა ხელს! უბრალოდ, მას ჰყოფნიდა ნიჭი და ინტუიცია, რომ ყური დაეგდო ჭკვიანი მრჩევლებისათვის და მიმხვდარიყო, თუ რა არის მნიშვნელოვანი მისი ხალხისათვის, არ წასულიყო საზოგადოების განვითარების დინების წინააღმდეგ, რაც ვერ შეძლო მისმა წინამორბედმა *მერიმ.* ელიზაბეთი უაღრესად პოპულარული მონარქი გამოდგა, მისი მეფობა კი ინგლისური კულტურის „ოქროს ხანას“ დაემთხვა.

ახალგაზრდა ქალმა ტახტზე ასვლისთანავე დიდი მოქნილობა გამოამჟღავნა და რელიგიურ კომპრომისს მიაღწია. ***ანგლიკანიზმი აღდგა, როგორც სახელმწიფო რელიგია,*** მაგრამ კათოლიკეებს ნაკლებ მკაცრად დევნიდნენ და შემწყნარებლობას იჩენდნენ პურიტანების (იხ. ქვემოთ) მიმართაც. საბოლოო შედეგი იყო ის, რომ XVI საუკუნის ბოლოსათვის ინგლისის მოსახლეობის უმრავლესობა სხვადასხვა მიმართულების პროტესტანტი გახდა.

საგარეო ვაჭრობის მიზნით, თიუდორების დროინდელ ინგლისში შეიქმნა რამდენიმე კომპანია, რომლებმაც მონარქისაგან მიიღეს სიგელი (*Charter*) რომელიმე

რეგიონთან ვაჭრობის მონოპოლიაზე. ასეთი იყო რუსეთთან სავაჭროდ 1554 წელს დაარსებული *Muscovy Company* („*მოსკოვიის კომპანია*“), 1579 წელს დაარსებული *Eastland Company* („აღმოსავლეთის კომპანია“) – სკანდინავიასთან და ბალტიისპირეთთან სავაჭროდ, 1585 წელს დაარსებული *Barbary Company* („ბერბერიის კომპანია“) – მაროკოსთან ვაჭრობის მიზნით, 1592 წელს დაარსებული *Levant Company* („ლევანტის კომპანია“) – ოსმალეთთან სავაჭროდ, და სხვა. ეს კომპანიები შუასაუკუნეობრივი გილდიური პრინციპით იყო აგებული, ანუ გემებს ცალკეული პირები ფლობდნენ და რისკი ინდივიდუალური იყო.

ინგლისური *East India Company* („აღმოსავლეთ ინდოეთის კომპანია“: ვამჯობინებ, გამოვიყენო უფრო მოკლე ინგლისური სახელი „*ისტ-ინდია კომპანი*“), რომელიც 1600 წელს დაარსდა, წარმოადგენდა ***პირველ სააქციონერო კომპანიას*** ინგლისში: მისი გემები აგებული იყო სხვადასხვა ვაჭრების მიერ შეგროვებული ფულით, რომლებიც თავისი წილის მიხედვით იყოფდნენ მოგებას. კაპიტნებსა და მეზღვაურებს კომპანია ქირაობდა. „*ისტ-ინდია კომპანის*“ აქციონერებისათვის რისკი შემცირდა, რადგან დაღუპული გემების დანაკარგს (პატარა აფრიანი გემების ეპოქაში გემის დაკარგვის ალბათობა დიდი იყო) ფარავდა გადარჩენილი გემებით შემოტანილი საქონლისგან მიღებული დიდი მოგება.

„ისტ-ინდია კომპანი“ ნამდვილი კაპიტალისტური წამოწყება იყო. მის მოდელზე იქმნებოდა სხვა კომპანიები ეკონომიკის მრავალ დარგში.

„*ისტ-ინდია კომპანი*“ აარსებდა თავის ფაქტორიებს ინდოეთის ნაპირებზე, სადაც მათ შედარებით ადვილად დაძლიეს იქ ადრე მისული პორტუგალიელების წინააღმდეგობა. კომპანია იქვე ინახავდა საზღვაო ფლოტს ევროპელი მეტოქეების მოსაგერიებლად და სახმელეთო არმიას – ინდოელი *რაჯებისა* და *მაჰარაჯების* მორჩილებაში ყოფნის უზრუნველსაყოფად. კომპანიის მიერ ინდოეთში მოხვეჭილმა ზღაპრულმა მოგებამ მალე ყველანაირ მოლოდინს გადააჭარბა. ერთი ხანობა ის მსოფლიო ვაჭრობის ნახევარს აკონტროლებდა.

ინგლისური „*ისტ-ინდია კომპანის*“ საქმიანობამ დაუდო საფუძველი ინგლისის პოლიტიკური ინტერესების გავრცელებას მთელ ინდოეთზე და ინგლისის კოლონიად მის ქცევას. „*ისტ-ინდია კომპანის*“ კერძო არმიამ თანდათანობით მთელი ინდოეთი დაიპყრო. კერძო კომპანიის მიერ ორ-ნახევარი საუკუნის განმავლობაში ინდოეთის უკონტროლო ძარცვის შემდეგ ბრიტანეთის სახელმწიფო ჩაერია ინდოეთის მართვაში: 1858 წელს მთავრობამ კომპანიისაგან ჩაიბარა მთელი ინდოეთი და დანიშნა იქ თავისი პირველი მეფისნაცვალი (*Viceroy and Governor-General of India*), რეზიდენციით ქ. *კალკუტაში*. მეფისნაცვლის ოფისი მხოლოდ 1911 წელს გადავიდა ქ. *ნიუ-დელიში* (ძველ ქალაქს სახელად *დელი* შერჩა), რომელიც ახლა ინდოეთის დედაქალაქია.

XVI-XVII საუკუნეებში ევროპელებმა სხვა კონტინენტებიდან შემოიტანეს მათთვის ახალი სასოფლო-სამეურნეო კულტურები (ან პროდუქტები), მაგალითად, *სიმინდი, მზესუმზირა, პომიდორი, გოგრა, ლობიო, წიწაკა, თამბაქო, კაკაო, ფეიხოა*

– ამერიკის სამხრეთ და ჩრდილოეთ კონტინენტებიდან, *ფორთოხალი* და *ჩაი* – აზიიდან, *ყავა* – აფრიკიდან. ზოგიერთი კულტურა ევროპაში მყარად დამკვიდრდა. მაგალითად, სამხრეთ ამერიკიდან შემოტანილი *კარტოფილი* მალე გავრცელდა ევროპაში, ხოლო ირლანდიაში მთავარ საკვებად იქცა. ირლანდიის მთლიანი დამოკიდებულება კარტოფილზე, როგორც ძირითად სასურსათო პროდუქტზე, XIX საუკუნეში დიდი ტრაგედიის მიზეზი გახდება (იხ. ქვემოთ).

მეზღვაურმა, კორსარმა, პოეტმა, პოლიტიკოსმა და კარისკაცმა *უოლტერ რელიმ* (*Sir Walter Ralegh,* 1554-1618; გვარს ხანდახან ასეც წერენ – *Raleigh*) XVI საუკუნის ბოლოს ინგლისში შემოიტანა ზემოხსენებული *კარტოფილი* და, აგრეთვე, *თამბაქოს* წევის მოდა. ამის გამო მოკლე ხანში ჩრდილოეთ ამერიკისა (განსაკუთრებით, *ვირჯინიის*) და *უესტ-ინდოეთის* თამბაქოს პლანტაციებს ბევრად მეტი ფასი დაედო. თამბაქოსა და ბამბის პლანტაციებში სამუშაოდ საჭირო გახდა იაფი მუშახელის, კერძოდ, დასავლეთ აფრიკაში ნაყიდი შავკანიანი მონების შემოყვანა, რომლებმაც, საბოლოოდ, მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა შექმნეს კარიბის ზღვის კუნძულებზე.

დღეს საყოველთაოდ დაგმობილი მონათვაჭრობა, რომელმაც დემოგრაფიულად და ეკონომიკურად გაანადგურა აფრიკა, ქრისტიანული ევროპისათვის იმ დროს ცოდვად არ ითვლებოდა!

თემა 7. თანამედროვე სახელმწიფოს ფორმირების ძირითადი ნიშანსვეტები (1): ინგლისის რევოლუცია და სტიუარტების მონარქიის რესტავრაცია.

ლიტერატურა: *გაერთ. სამ.* გვ. 165-184

1603 წელს, *ელიზაბეთ* I-ის გარდაცვალებასთან ერთად, თიუდორების დინასტია შეწყდა და, გარკვეული თვალსაზრისით, დამთავრდა შუა საუკუნეებიდან ახალ ეპოქაზე გარდამავალი ხანაც. შოტლანდიის მეფე ჯეიმზ VI *სტიუარტი* ინგლისის ტახტის ერთადერთი მემკვიდრე აღმოჩნდა.

ინგლისში ჯეიმზი მეფობდა *ჯეიმზ* I-ის სახელით. მისი და მისივე ვაჟიშვილის, *ჩარლზ* I-ის, პიროვნულმა თვისებებმა არცთუ უმნიშვნელო როლი ითამაშეს რევოლუციური სიტუაციის წარმოშობაში.

ღატაკ შოტლანდიაში პრესბიტერიანული ეკლესია ზღუდავდა მეფის ძალაუფლებას, ხოლო შოტლანდიის პარლამენტი ფეოდალური ინტრიგების ბუდე იყო. *ჯეიმზ* I-ს კი გაცილებით მდიდარ ინგლისის სამეფოში დახვდა კარგად ორგანიზებული ანგლიკანური ეკლესია, რომლის მეთაურიც თვითონ აღმოჩნდა. ინგლისის პარლამენტიც თიუდორების ხანაში ნაკლებ აქტიურობას იყო დაჩვეული.

პირველი სტიუარტები – *ჯეიმზ* I *და ჩარლზ* I – პირადი ძალაუფლების განმტკიცების მიზნით ცდილობდნენ, შემოედოთ ფრანგული ტიპის ბიუროკრატიული დესპოტიზმი, მაგრამ ასეთი დესპოტიზმის საყრდენი – მუდმივი არმია და/ან პოლიცია, ინგლისში არ ჰქონდათ. ინგლისელებს უკვე ჩამოუყალიბდათ თავისუფლებისმოყვარე სული. აბსოლუტიზმისათვის შესაფერისი პირობები ქვეყანაში აღარ არსებობდა. ფეოდალიზმის პოლიტიკურმა სისტემამ XVII საუკუნის ინგლისში დრო მოჭამა. წარუმატებელი აღმოჩნდა ჯეიმზის ცდა, დაენერგა ინგლისში მონარქის „*ღვთიური უფლების*“ (*Divine Right*) კონცეფცია, რაც აბსოლუტიზმის ლეგალიზაციას ნიშნავდა.

ინგლისის პარლამენტი სწორედ პირველი სტიუარტების დროს გამოფხიზლდა ლეთარგიული ძილისაგან. ჯეიმზს ხშირად ესაჭიროებოდა პარლამენტის თანხმობა თავისი მზარდი ხარჯების დასაფინანსებლად, შეკრებილი პარლამენტი კი მუშაობას იწყებდა მეფის მინისტრების კრიტიკით, მერე მთელი საშინაო და საგარეო პოლიტიკის განქიქებას მიჰყოფდა ხოლმე ხელს და სულ ბოლოს იწყებდა მსჯელობას მეფის მოთხოვნის ნაწილობრივ დაკმაყოფილებაზე. ამიტომაც მეფე თითქმის ყოველთვის სწრაფად ითხოვდა პარლამენტს, მაგრამ მუდამ უწბილდებოდა იმედი, რომ თემთა პალატის ახალი შემადგენლობა უფრო მორჩილი აღმოჩნდებოდა.

ჯეიმზ I-ის დროს მოხდა ოფიციალური ანგლიკანური ეკლესიის მკვეთრი დაპირისპირება *დისიდენტებთან* (*dissenters, non-conformists*). ესენი იყვნენ სხვადასხვა პროტესტანტული ჯგუფები, უმეტესად – ვაჭრები, ხელოსნები, ჯენტრი, საშუალო

ან წვრილი ფერმერები. დისიდენტების მრავალ ჯგუფს, რომელთა შორის განსხვავება დიდი არც ყოფილა, ხშირად აერთიანებენ საერთო სახელით – ***პურიტანები,*** თუმცა თავიდან ეს იყო მხოლოდ ერთ-ერთი პროტესტანტული სექტის სახელი.

რელიგიური თვალსაზრისით, ***პურიტანობა***, ანგლიკანობასთან შედარებით, დემოკრატიულ პროტესტანტიზმს წარმოადგენდა; პურიტანები არც ეპისკოპოსების ავტორიტეტს ცნობდნენ და არც მეფეს – ეკლესიის მეთაურად. პურიტანის იდეალი იყო საოჯახო წრის რელიგია, სადაც საღამო ჟამს ოჯახის უფროსი ბიბლიას ხმამაღლა წაუკითხავდა ცოლ-შვილს და თვითონ გაუკეთებდა კომენტარს, ყოველგვარი მოძღვრის გარეშე.

პურიტანები მოითხოვდნენ სარწმუნოების სრულ *განწმენდას* (*purification* – აქედან წარმოდგა მათი სახელი) მათი აზრით, მცდარი კათოლიკური დოგმებისაგან, რომლებიც მრავლად შემორჩა ანგლიკანურ ეკლესიას, და „ჭეშმარიტ საწყისებთან“, ანუ ძველ აღთქმასთან, დაბრუნებას. ამ კუთხით დანახვისას, თანამედროვე ტერმონოლოგიით, მათ *ფუნდამენტალისტები* შეგვიძლია ვუწოდოთ!

პროტესტანტები ხშირად ნათლავდენ შვილებს *ძველი აღთქმის* სახელებით, რომლებიც, ბუნებრივია, ებრაული იყო. მათი დროიდან ინგლისში (იქიდან – ჩრდილოეთ ამერიკაშიც) ფართოდ გავრცელდა ბიბლიური სახელები, რომლებიც XVI საუკუნემდე ინგლისელებს შორის თითქმის არ გვხდებოდა. ასეთი იყო, მაგალითად, *ეიბრჰემ* (ებრაულად აბრაჰამ), *დენიელ* (დანიელ), *აიზეკ* (იცხაკ), *ჯერემი* (იერემია), *ჯუდით* (იეჰუდით), *სოლომონ* (შლომო), *ჯოზეფ* (იოსეფ), *ჯოშუა* (იეჰოშუა), *სემიუელ* (შმუელ), *ჯონათან* (იონათან), *სარა, რებეკა* და სხვ. XVII და მომდევნო საუკუნეებში დაბადებული, ტიპური ებრაული სახელების მქონე *აიზეკ ნიუტონი, დენიელ დეფო, სემიუელ ჯონსონი, ჯონათან სვიფტი, ჯოშუა რეინოლდსი, ჯერემი ბენთამი, ეიბრჰემ ლინკოლნი, ნეთენიელ კერზონი* ქრისტიანულ-პროტესტანტულ ოჯახებში გაჩნდნენ.

პურიტანებს ჰქონდათ საკუთარი სიმართლის დიდი რწმენა და მაღალი მორალი, ისინი მკაცრად იცავდნენ ბიბლიის დოგმებს, ზიზღით შეჰყურებდნენ ფუფუნებას, თუმცა შრომით მიღებულ, მათ შორის სავაჭრო, მოგებაზე უარს არ ამბობდნენ – ეს პროტესტანული მორალის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია.

სოციოლოგიის, როგორც მეცნიერების, ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, გერმანელმა მეცნიერმა *მაქს ვებერმა* (*Max Weber*, 1864-1920) თავის ნაშრომში „*პროტესტანტული ეთიკა და კაპიტალიზმის სული*“ კარგად აჩვენა პროტესტანტიზმის როლი დასავლური საბაზრო კაპიტალიზმისა და რაციონალურ-სამართლებრივი ეროვნული-სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში.

მაგრამ *ჯეიმზ* I-ს ასეთი თეორიული მსჯელობა არც სმენია და არც მოუსმენდა ვებერს, მას სამი საუკუნით ადრე რომც ეცხოვრა! ჯეიმზს პურიტანები საკუთარი სამეფოსათვის მავნე ელემენტად მიაჩნდა.

განუწყვეტელმა დევნამ მრავალი პურიტანი აიძულა, დაეტოვებინა სამშობლო და გადასახლებულიყო ჩრდილოეთ ამერიკაში. 1620 წელს გემ „*მეიფლაუერით*“

(*Mayflower*) ქ. პლიმუთიდან 102 მათგანის გამგზავრება მიჩნეულია ინგლისელების მიერ ჩრდილოეთ ამერიკის დასახლების სიმბოლურ დასაწყისად. პირველი სტიუარტების დროს 60 ათასამდე ინგლისელი პურიტანი გადასახლდა ოკეანის გადაღმა, სადაც მათ *ახალი ინგლისის* (*New England*) რამდენიმე კოლონია დააარსეს, რომელთაც საბოლოოდ დიდ ეკონომიკურ წარმატებას მიაღწიეს.

სტიუარტთა დინასტიის მეორე მეფეს, *ჩარლზ* I-ს (1625-1649), მამამისზე მეტი მოწინააღმდეგე აღმოაჩნდა ბურჟუაზიასა და ახალ თავადაზნაურობაში. როდესაც „ოცდაათწლიან ომში“ (1618-1648) ჩართულ მეფეს დასჭირდა დიდი თანხა, პარლამენტმა, ამ საკითხის განხილვის ნაცვლად, მეფის მინისტრების, უპირველესად, ბუკინგემის ჰერცოგის, მიერ დაშვებულ უკანონობაზე დაიწყო მსჯელობა.

1628 წლის პარლამენტის თემთა პალატამ *ჩარლზ* I-ს წარუდგინა „***პეტიცია უფლებათა შესახებ***“ (*Petition of Right*). იქ იყო სულ ოთხი მოთხოვნა: *მეფეს არ უნდა აეკრიფა არავითარი გადასახადი პარლამენტის სანქციის გარეშე; არ ჩაეყენებინა ჯარისკაცები და მეზღვაურები კერძო პირთა სახლებში მათ მფლობელთა ნებართვის გარეშე; არ უნდა დაეტუსაღებინა ხალხი კანონიერი ბრალდების წარდგენისა და სასამართლოს განჩინების გარეშე* (ეს „*მაგნა კარტას*“ მე-40 მუხლის გამეორება იყო); *უნდა აღმოეფხვრა სამხედრო მდგომარეობის გამოცხადების გამო წარმოქმნილი ბოროტებანი.*

„პეტიციის“ მოთხოვნათა შესრულება, ფაქტობრივად, ***კონსტიტუციური მონარქიის*** დამყარებას მოასწავებდა. მისი ზოგი მუხლი საუკუნე-ნახევრის შემდეგ ამერიკის კონსტიტუციაში შევიდა

მეფე ჩარლზს იმდენად სჭირდებოდა ფული, რომ იმავე წლის 7 ივნისს დაამტკიცა „პეტიცია“. მაგრამ უკვე 1629 წელს დაითხოვა პარლამენტი, მომდევნო თერთმეტ წელს აღარ მოუწვევია იგი და „პეტიციის“ მოთხოვნათა შესრულებაზე აღარც უფიქრია.

ჩარლზისათვის საბედისწერო აღმოჩნდა თავის სამემკვიდრეო სამეფოში – შოტლანდიაში – ანგლიკანიზმის გავრცელების მცდელობა 1637 წელს. შოტლანდიელები თითქმის ერთსულოვნად წინაღუდგნენ მათ ქვეყანაში ეპისკოპოსების დანიშვნას, რაც ანგლიკანიზმის წესია. მათ შექმნეს „*წმინდა ლიგა და კოვენანტი*“, შეკრიბეს ჯარი და მოემზადნენ საბრძოლველად. ჩარლზმა ეს ამბოხებად მიიჩნია და ჯარი გაგზავნა, რომელმაც არ ისურვა შოტლანდიელ „*კოვენანტერებთან*“ ბრძოლა. ჩარლზი იძულებული გახდა, დაზავება შეეთავაზებინა შოტლანდიელებისათვის, თუმცა მათი დასჯა არ გადაუფიქრებია. ახალი ჯარის დასაქირავებლად საჭირო ფინანსების მოსაგროვებლად მეფე იძულებული გახდა, პირველად 1629 წლის შემდეგ, მოეწვია პარლამენტი, რომელიც 1640 წლის აპრილში შეიკრიბა უესტმინსტერში.

„ხანმოკლე პარლამენტმა“, რომელმაც სულ სამი კვირა იმუშავა და სადაც საგრძნობი (ყოველ შემთხვევაში – ყველაზე აქტიური) ნაწილი პურიტანები აღმოჩნდნენ, მაშინვე მეფის პოლიტიკის განხილვას მოჰკიდა ხელი. ასეთ ვითარებაშიც

კი ჩარლზი არავითარ დათმობაზე არ წავიდა. მან დაითხოვა „ხანმოკლე პარლამენტი“. ამასობაში შოტლანდიელებმა გადმოლახეს საზღვარი და დაიკავეს ქალაქი ნიუკასლი.

1640 წლის 3 ნოემბერს მეფემ მოიწვია ახალი პარლამენტი, სადაც ისევ მისმა მოწინააღმდეგე პურიტანებმა მოიყარეს თავი. არჩევნების გაყალბება მაშინ არ იცოდნენ! ბურჟუაზიამ ანდო საერთო ინტერესების დაცვა ახალ თავადაზნაურობას, რომელსაც მეტი პოლიტიკური გამოცდილება ჰქონდა. კავშირი ბურჟუაზიასა და “ახალ თავადაზნაურობას” შორის იმდენად მტკიცე იყო, რომ თემთა პალატა თითქმის მთლიანად დააკომპლექტა წვრილმა არისტოკრატიამ -- ჯენტრიმ და სკვაირებმა, რომლებიც ქალაქების სახელითაც კი აირჩიეს.

შემდგომში ამ პარლამენტს „ხანგრძლივი“ უწოდეს, რადგან ის ცამეტ წელიწადს, 1653 წლამდე, ფეხმოუცველელად იჯდა უესტმინსტერში და მისი ნარჩენები უფრო გვიანაც კი ხელახლა მოიწვიეს.

1640 წელი მიიჩნევა „*ინგლისის რევოლუციის*“ დასაწყისად, თუმცა მონარქისტი ისტორიკოსები მთელ იმ ეპოქას „*დიდი ამბოხის*“ (*Great Mutiny*) სახელით მოიხსენიებდნენ.

1640-1641 წლებში, პარლამენტის დადგენილებით და მეფის დასტურით, გაუქმდა ცენზურა; საპყრობილიდან გამოუშვეს პურიტანები – მონარქიის ტერორის მსხვერპლნი; ყველა უკანონო გადასახადი აიკრძალა, ხოლო ახალი გადასახადების აკრეფა ნებადართული იქნა მხოლოდ პარლამენტის სანქციით; გაუქმდა მონოპოლიებისა და პრივილეგიების პატენტები; გაუქმდა ჯერ კიდევ *ჰენრი* VII-ის მიერ შექმნილი პოლიტიკური ტერორის ორგანო – „*ვარსკვლავიანი პალატა*“ (საგანგებო სასამართლო) და ანგლიკანური ეკლესიის უმაღლესი სასამართლო ორგანო – „*მაღალი კომისია*“, რომელსაც უფლება ჰქონდა, საერო პირებიც კი დაესაჯა „*რელიგიისა და ზნეობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისათვის*“.

1641 წლის მაისში პარლამენტმა დაადგინა, რომ პარლამენტის დათხოვნა მეფის პრეროგატივა აღარ არის და ის შეიძლება დაიშალოს მხოლოდ საკუთარი გადაწყვეტილებით. მეფე იძულებული გახდა, ამ კანონზეც მოეწერა ხელი.

რევოლუციური პროცესები თითქმის მთლიანად რელიგიური საბურველით მიმდინარეობდა. ძირითადი არგუმენტები ბიბლიური ფრაზები იყო. თუმცა ხანდახან ამტკიცებენ, რომ ინგლისის რევოლუციის დროს რელიგიური მოთხოვნები ნიღბავდა კლასობრივ ინტერესებს, ეს არასაკმარისი ახსნაა: მხოლოდ კლასობრივი პოზიციიდან („ბურჟუაზია ფეოდალების წინააღმდეგ“) მიდგომა ბევრ რამეს აუხსნელს დატოვებს. არსებობდა სუბიექტური მომენტებიც, ბევრი პირადი ინტერესის შეჯახება.

ერთი რამ ფაქტია: რევოლუციამ მისცა დიდი ბიძგი ინგლისის და, შემდეგში, დიდი ბრიტანეთის გადაქცევას თანამედროვე სამართლებრივ სახელმწიფოდ და, საბოლოოდ, მის ჩამოყალიბებას დემოკრატიად. ასეთი ცვლილება ვერ გან-

ხორციელდებოდა რევოლუციის (1640-1660 წწ.) შედარებით ხანმოკლე პერიოდში: დემოკრატიის საბოლოო დამკვიდრებას კიდევ ორიოდე საუკუნე დასჭირდა.

რევოლუციის ეპოქაში საბრძოლო იარაღი მარტო ბიბლია როდი იყო. „სულიერი მახვილი“ მალე შეცვალა რეალურმა მახვილმა. *ოლივერ კრომველის*, თავიდან რევოლუციის ერთ-ერთი ბელადის, საბოლოოდ კი – სამხედრო დიქტატორის, სამოქალაქო ომისდროინდელი მოწოდება თავისი რაზმისადმი სიმბოლურად ჟღერს: „*ირწმუნეთ ღმერთი და დენთი მშრალად შეინახეთ*“.

როგორც ხშირად ხდება ხოლმე, გარეშე ძალებმა ისარგებლეს დესტაბილიზაციით ქვეყანაში. კათოლიკური რელიგიის დაცვის ლოზუნგით 1641 წელს ირლანდიაში დაიწყო აჯანყება. კათოლიკე ირლანდიელებთან ერთად აჯანყდნენ იქ ადრე ჩასახლებული ინგლისელებიც, ასევე კათოლიკეები. ბევრი პროტესტანტი გამოიქცა ინგლისში. ისინი ავრცელებდნენ ხმას, რომ ირლანდიაში (ძირითადად, ოლსტერში) კათოლიკეებმა „დახოცეს ათი ათასი პროტესტანტი“. რიცხვი, შესაძლოა ძალიან გაზვიადებული იყო, მაგრამ ჟლეტა მართლაც მოხდა.

ბუნებრივია, ინგლისის საზოგადოებრივი აზრი ანტიირლანდიურად აბობოქრდა. ამ ნაციონალისტურ ტალღაზე 1641 წლის შემოდგომაზე მეფემ პარლამენტს მოსთხოვა სუბსიდია ირლანდიაში ჯარის გასაგზავნად. მაგრამ პარლამენტმა გადაწყვიტა, თავად გაეწია კონტროლი შეიარაღებული ძალებისათვის. ამას უკვე მეფე წინაღუდგა.

დედაქალაქში მეფეს თითქმის აღარ დარჩა მომხრე. ლონდონი პარლამენტის მხარეს იდგა. ქუჩებში ხშირად ხდებოდა შეტაკება *როიალისტებსა* (მეფის მომხრეებს) და პარლამენტის მომხრე *პურიტანებს* შორის. ერთიმეორის დასამცირებლად ისინი მეტსახელებს იყენებდნენ: როიალისტებს ეძახდნენ „*კავალიერებს*“ (*Cavaliers*: ესპანური *Caballeros*-იდან), პარლამენტის მომხრეებს კი – „*მრგვალთავიანებს*“ (*Roundheads*: პურიტანების ერთი ნაწილი თმას მოკლედ იჭრიდა). სამოქალაქო ომისას მეტსახელები დაპირისპირებულ არმიებზეც გავრცელდა, თუმცა თვითსახელებად მათ არ იყენებდნენ.

1642 წლის 10 იანვარს ჩარლზი წავიდა ქ. იორკში, სადაც კონსერვატიული არისტოკრატიის იმედი ჰქონდა. მას თან გაჰყვა ლორდთა პალატის ორი მესამედი და თემთა პალატის ძალიან მცირე ნაწილი. მეფემ მალე შეაგროვა მცირერიცხოვანი, მაგრამ მამაცი მეომრებით შედგენილი ჯარი და გადაწყვიტა, „ჭკუა ესწავლებინა მეამბოხეებისათვის“. მაგრამ მეფის ჯარს ხელფასს ყოველთვის უგვიანებდნენ და ჯარისკაცები მხოლოდ ძარცვასა და ალაფზე ფიქრობდნენ. „კავალიერების“ დისციპლინა ძალიან მოიკოჭლებდა. ხალხი მათ მტრულად ხვდებოდა.

პარლამენტმა (იგულისხმება, უპირველესად, თემთა პალატა) დაიქირავა უფრო მრავალრიცხოვანი არმია, რადგან ინგლისის მდიდარი სამხრეთ-აღმოსავლეთი და აღმოსავლეთი ნაწილი მთლიანად მას ემხრობოდა და მზად იყო გაეღო თანხა არმიის შესაკრებად. პარლამენტის მხარეს იყო ქვეყნის სამრეწველო ცენტრები და ყველა ნავსადგური, სადაც პურიტანები აშკარად დომინირებდნენ. მაგრამ „მრგვალ-

თავიანების“ ჯარი ცუდად იყო გაწვრთნილი; პარლამენტის არმიის არისტოკრატი მხედართმთავრები განსაკუთრებით არ იდებდნენ თავს გადამწყვეტი გამარჯვებისათვის.

მხოლოდ კრომველის „ახალი მოდელის“ არმიამ აქცია „ჯენტლმენების ომი“ „იდეოლოგიების ომად“ და მეტი სიმძაფრე შემატა მას.

ომის დასაწყისში ქრონიკულმა მარცხმა აიძულა პარლამენტი, მოკავშირედ მოეწვია შოტლანდიის არმია და სანაცვლოდ 1643 წლის ბოლოს გამოაცხადა შოტლანდიური ტიპის *პრესბიტერიანობა* ინგლისის სახელმწიფო რელიგიად. „პრესბიტერიანების“ სახელით შემდგომში იცნობდნენ პარლამენტის ყველაზე მემარჯვენე წევრებს, რომელთა უმრავლესობასაც უმდიდრესი ვაჭრები და მიწათმფლობელები შეადგენდნენ. პოლიტიკური თვალსაზრისით, *პრესბიტერიანები* მომხრე იყვნენ მეფის ძალაუფლების აღდგენისა, ერთგვარი საპარლამენტო შეზღუდვებით.

ამავე დროს, აღმოსავლეთ ინგლისის ერთმა საშუალო შეძლების აზნაურმა *ოლივერ კრომველმა* საკუთარი სახსრებით დაიწყო „*ახალი მოდელის არმიის*“ შექმნა. თავიდან, 1643 წელს, ეს იყო „რკინისგვერდიანების“ რაზმი (*Ironsides*, ასე უწოდეს რკინის სამკვლავურებისა და საბარკულების გამო), რომელშიც შედიოდნენ პურიტანები სხვადასხვა *დამოუკიდებელი* (*independent*) რელიგიური თემებიდან, რომლებსაც სძულდათ ეპისკოპოსები და ოფიციალური ანგლიკანური ეკლესია. ისინი არც პრესბიტერიანობას ემხრობოდნენ. ეს სახელი – *ინდეპენდენტები* – გავრცელდა რელიგიურ-პოლიტიკურ პარტიაზე, რომელმაც დიდი როლი ითამაშა რევოლუციის დროს.

მალე „რკინისგვერდიანების“ პრინციპით შედგა პარლამენტის „*ახალი მოდელის არმია*“.

„რკინისგვერდიანების“ კავალერიამ გადაწყვიტა ბრძოლის ბედი *მარსტონმურთან* 1644 წლის 2 ივლისს, ხოლო 1645 წლის 14 ივნისის ბრძოლის შემდეგ, რომელიც შუა ინგლისში, სოფელ *ნეზბისთან* მოხდა, ფაქტობრივად, მანვე გადაწყვიტა პირველი სამოქალაქო ომის ბედი.

პირველი სამოქალაქო ომის (1642-1646) შემდეგ პოლიტიკურმა ბრძოლამ პარლამენტში ახალი ძალით იფეთქა. აქტიურად ჩაერთო პოლიტიკაში „*ახალი მოდელის არმიაც*“, რომლის პოლიტიკური მართვა დემოკრატიულ პრინციპებზე იყო აგებული: ჯარისკაცები ყოველი პოლკიდან ირჩევდნენ ორ-ორ „*აგიტატორს*“, რომლებიც მაღალი რანგის ოფიცრებთან – „*გრანდებთან*“ (*Grandees*) ერთად ქმნიდნენ „არმიის საბჭოს“.

პრესბიტერიან წევრებს პარლამენტში, სადაც ისინი უმრავლესობას შეადგენდნენ, მიაჩნდათ, რომ დროა, ძველი პირობებით დააბრუნონ მეფე ლონდონში. *ინდეპენდენტები* კი, რომელთაც „გრანდები“ უჭერდნენ მხარს, საჭიროდ მიიჩნევდნენ ჯერ რელიგიური საკითხების გადაწყვეტას, შემდეგ კი შეზღუდული მონარქიის შემოღებას.

იმავე დროს არმიაში გაძლიერდა მემარცხენე ფრთა, რომელთაც მეტსახელად *ლეველერები* (*levellers,* გამთანაბრებლები) შეარქვეს. მათი იდეური ხელმძღვანელი იყო ოფიცერი *ჯონ ლილბერნი* (*John Lilburn*, 1614-1657). მათ ემხრობოდა არმიის რიგითი შემადგენლობის დიდი ნაწილი და ზოგიერთი ოფიცერი, ლონდონის წვრილი ბურჟუაზია.

ლეველერები მოითხოვდნენ ინგლისში რესპუბლიკის დამყარებას და პარლამენტის თემთა პალატის ყოველწლიურ არჩევნებს, სადაც ხმის უფლება უნდა ჰქონოდა 21 წლის ასაკს მიღწეულ ყველა მამაკაცს, რომელიც დაქირავებით არ მუშაობდა; ისინი მოითხოვდნენ სასამართლო სისტემის დემოკრატიზაციას და სრულ რელიგიურ თავისუფლებას.

ლეველერთა პროგრამა წინ უსწრებდა თავის ეპოქას. XVII საუკუნის შუა წლების ინგლისში ის სრულად ვერც განხორციელდებოდა. ***საუკუნე-ნახევრის შემდეგ კი ლეველერთა პოლიტიკური თეორიის ნაწილები ამერიკის კონსტიტუციაში შევიდა.***

1647 წელს პარლამენტის *პრესბიტერიანმა* წევრებმა გადაწყვიტეს, დაეთხოვათ „ახალი მოდელის არმია“ და, ფაქტობრივად, დაემთავრებინათ რევოლუცია. საპასუხოდ, არმიამ, რომლის ოფიცრებშიც *ინდეპენდენტები* დომინირებდნენ, საკუთარი ზედამხედველობის ქვეშ აიყვანა მეფე და 1647 წლის აგვისტოში განახორციელა ლონდონის ოკუპაცია.

მომავალი საკონსტიტუციო მოწყობის შესახებ „*პატნის დებატების*“ დროს, რომელიც 1647 წლის ოქტომბერ-ნოემბერში გაიმართა ლონდონის გარეუბან პატნის (*Putney*) ეკლესიაში, *ლეველერების* დემოკრატიული პოლიტიკური გარდაქმნების პროგრამას წინაღუდგნენ *ინდეპენდენტები.* “*პატნის დებატები*“ მალე შეწყდა, რადგან *ჩარლზ* I-მა ისარგებლა უთანხმოებით მის აქტიურ მოწინააღმდეგეებს შორის, 1647 წლის ნოემბერში გაიქცა საშინაო პატიმრობიდან, რომელიც მძიმე და მკაცრი არც ყოფილა, და აამხედრა მომხრეები ინგლისსა და შოტლანდიაში. დაიწყო მეორე სამოქალაქო ომი.

არმია აღშფოთდა. ჯარისკაცები მიდიოდნენ ომში იმის სურვილით, რომ სამაგალითოდ დაესაჯათ „*ეს სისხლისმსმელი ჩარლზ სტიუარტი*“. ამ საქმისათვის ლევერელები და ინდეპენდენტები გაერთიანდნენ.

1648 წლის 17 აგვისტოს *პრესტონთან* ბრძოლაში კრომველმა გაანადგურა ამჯერად *ჩარლზ I სტიუარტის* მხარეს მებრძოლი შოტლანდიის 9000-კაციანი არმია: ორი ათასი შოტლანდიელი დაიღუპა, დანარჩენი ტყვედ ჩაჰბარდა. მეფე დააპატიმრეს. მეორე სამოქალაქო ომი მალე დამთავრდა.

პარლამენტის პრესბიტერიანმა წევრებმა ისევ სცადეს მეფის გადარჩენა, მაგრამ 1648 წლის 6 დეკემბერს პოლკოვნიკმა *თომას პრაიდმა* მოაწყო ის, რასაც შეიძლება ეწოდოს ***ინგლისის ისტორიაში ერთადერთი სამხედრო გადატრიალება***. პრაიდის რაზმმა ჩაატარა „წმენდა“ (*Pride's Purge*): პარლამენტში არ შეუშვა და დროებით დააპატიმრა პარლამენტის რამდენიმე ათეული პრესბიტერიანი წევრი.

პარლამენტის წევრების დიდი ნაწილი უესტმინსტერში აღარც გამოცხადდა, როდესაც გაიგო, თუ რა ბედი ელოდა.

პარლამენტისაგან დარჩა „ნაბოლარა“ (*Rump Parliament*): ასე უწოდეს თანამედროვეებმა იმ 100-ზე ცოტა მეტ წევრს, ვინც პარლამენტის სახელით მოქმედებდა. „პრაიდის წმენდამდე“ კი თემთა პალატაში 471 წევრი იყო.

„პარლამენტის ნაბოლარამ“, სადაც მხოლოდ *ინდეპენდენტები* და მცირერიცხოვანი *ლეველერები* დარჩნენ, სწრაფად შექმნა მართლმსაჯულების უმაღლესი სასამართლო *ჯონ ბრედშოუს* (*John Bradshaw,* 1602-1659) თავმჯდომარეობით.

სასამართლომ ჩარლზ სტიუარტს ბრალი დასდო, როგორც *„ტირანს, მოღალატეს, მკვლელს და ამ სახელმწიფოს კეთილი ხალხის საზოგადოებრივ მტერს“*, და მიუსაჯა მას სიკვდილი.1649 წლის 30 იანვარს მეფეს საჯაროდ მოჰკვეთეს თავი.

პირველი შემთხვევა იყო ევროპაში, როდესაც მეფეს სახელმწიფო ღალატის ბრალდებით სჯიდნენ. ამ ამბავმა შეაძრწუნა მონარქები ევროპის კონტინენტზე: ისინი პრეცედენტმა შეაშინა! ინგლისს ერთხანს სრულ დიპლომატიურ იზოლაციაში მოუხდა ყოფნა.

1649 წლის თებერვალში პარლამენტმა გააუქმა ლორდთა პალატა. გაუქმდა მონარქიაც. იმავე წლის ***19 მაისს ინგლისი გამოცხადდა რესპუბლიკად*** (*English Commonwealth*). ლონდონის ტაუერში დაცული სამეფო ძალაუფლების სიმბოლოები, სამეფო გვირგვინები, კვერთხები და სხვა ძვირფასეულობა დაამსხვრიეს და ოქროს მონეტებად გადაადნეს.

ინგლისის რესპუბლიკის პირველი საგარეო პოლიტიკური აქტი იყო *ირლანდიის ხელახალი დამორჩილება.* ჯარისკაცებს ხელფასის დავალიანების ანგარიშში დაჰპირდნენ ირლანდიაში დასაპყრობ მიწას და თითქმის უფასო მუშახელს. ლეველერთა სული, რომელიც იქამდე არმიაში ტრიალებდა, უმალ გაქრა. ხალხი, რომელიც თავისუფლებისათვის იბრძოდა, ახლა სხვა ხალხს ართმევდა თავისუფლებასა და ქონებას.

1649 წლის 15 აგვისტოს კრომველი „ახალი მოდელის“ არმიითურთ გადაჯდა *დუბლინში,* ირლანდიის ერთადერთ ქალაქში, რომელიც პარლამენტის მომხრეებს იქამდეც ეჭირათ ხელში და მალე აიღო მის ჩრდილოეთით მდებარე ქალაქი *დროჰედა* (*Drogheda*), როილისტთა საყრდენი. კრომველის არმია სასტიკად მოექცა დამარცხებულებს: ჟლეტდნენ დანებებულ ინგლისელ როიალისტებს; არც კათოლიკურ სამღვდელოებას ინდობდნენ, არც სამოქალაქო პირებს და არც ქალებსა და ბავშვებს.

„ირლანდიაში კრომველმა გამოიყენა თავისი ჭარბი ძალა უწყალო ბოროტებით, ტალახში ამოსვარა ადამიანური ქცევის ნორმები და დააბნელა კაცობრიობის გზა... ჩვენ ყველა ჯერ კიდევ ვატარებთ „კრომველის წყევლის ბეჭედს“. ეს სიტყვები *სერ უინსტონ ჩერჩილს* ეკუთვნის.

მთელ კუნძულზე, შეფასებით, ნახევარი მილიონი კათოლიკე ირლანდიელი დაიღუპა (დიდი უმრავლესობა – შიმშილით). უესტ-ინდოეთი, განსაკუთრებით კუნძული ბარბადოსი, მონად გაყიდული ტყვე ირლანდიელებით აივსო.

მიწა, რომელიც კრომველმა ირლანდიელ კათოლიკეებს ჩამოართვა, „ახალი მოდელის არმიის“ ჯარისკაცებს ხელფასის ანგარიშში დაუნაწილეს. ჩამორთმევამდე ირლანდიელებს ეკუთვნოდათ მთელი სასოფლო-სამეურნეო ფართობის 60 პროცენტი, ხოლო რეკვიზიციის შემდეგ მათ ხელში ფართობის სულ 8 პროცენტი დარჩა. სწორედ ამ პერიოდიდან დაიწყო მომრავლება პროტესტანტულმა ელემენტმა – ინგლისელებმა და შოტლანდიელებმა – ჩრდილოეთ ირლანდიაში, რომელთა შთამომავლებთანაც იქაურ კათოლიკეებს კონფლიქტი XXI საუკუნეშიც კი ჰქონდათ.

1650 წელს კრომველი ინგლისში დაბრუნდა და იქიდან შეიჭრა შოტლანდიაში, სადაც მეფისწული ჩარლზი მეფედ გამოცხადდა. იმავე წლის 3 სექტემბერს, ქ. *დანბართან* (*Dunbar*) სასტიკად დაამარცხა შოტლანდიის არმია. შოტლანდია ინგლისის რესპუბლიკას შეუერთდა.

მესამე სამოქალაქო ომი დამთავრდა 1651 წლის 3 სექტემბერს წელს, როდესაც ქ. *ვუსტერთან* (*Worchester*) ბრძოლაში კრომველმა გადამწყვეტი მარცხი აგემა როიალისტებს.

მომდევნო ომში ჰოლანდიასთან (1652-1654) ინგლისის ფლოტმა გაიმარჯვა. *ესპანეთის* დამარცხებამ საზღვაო ომში (1655-1656) ინგლისს მოუტანა ახალი კოლონია – კუნძული *იამაიკა*, რომლის თამბაქოსა და შაქრის ლერწმის პლანტაციებს დიდი მოგება მოჰქონდა. ამ გამარჯვებებმა მკვეთრად გაზარდა ინგლისის რესპუბლიკის ავტორიტეტი და მოუტანა *ოლივერ კრომველს* საერთაშორისო აღიარება ევროპელი მონარქების მხრიდან.

რესპუბლიკის სახელით ქვეყნის მართვა დაიწყო „სამხედრო საბჭომ“, რომლის ხელმძღვანელიც იყო ოლივერ კრომველი. 1653 წელს რესპუბლიკა შეცვალა *პროტექტორატმა. ოლივერ კრომველი* გახდა ინგლისის *ლორდ-პროტექტორი* (1653-1658). 1657 წელს ოლივერს მეფის გვირგვინიც კი შესთავაზეს, მაგრამ მან უარი განაცხადა: მოერიდა არმიის გენერლების გაღიზიანებას. მაგრამ ლორდ-პროტექტორის თანამდებობა მემკვიდრეობითად გამოცხადდა, რაც, პრაქტიკულად, მეფობის ტოლფასი იყო.

ამასთან, არმია აღარ იყო პოპულარული ხალხში, მისი შენახვა ძვირი ჯდებოდა. ძველი პარლამენტისა და სტიუარტების აღდგენის მომხრეთა რიცხვი იზრდებოდა.

1658 წლის 3 სექტემბერს ოლივერ კრომველი გარდაიცვალა. ის უესტმინსტერის საბატონოში მეფეების გვერდით და სამეფო პატივით დაკრძალეს. ფორმალურად ქვეყანაში საყოველთაო გლოვა იყო გამოცხადებული, მაგრამ ხალხის უმეტესობა სულაც არ გლოვობდა – დიქტატორი არავის უყვარს. კრომველის როლი ინგლისის ისტორიაში ბევრად უფრო გვიან, თითქმის საუკუნის შემდეგ, დაფასდა.

ახლა ლონდონში მისი სახელობის ქუჩაცაა და პარლამენტის წინ მისი ძეგლიცაა აღმართული.

ლორდ-პროტექტორად გამოცხადდა ოლივერ კრომველის ვაჟიშვილი *რიჩარდი.* მაგრამ მას არ აღმოაჩნდა მამის ნიჭი და სიმტკიცე. 1659 წლის 6 მაისს არმიამ გადააყენა წარუმატებელი რიჩარდ კრომველი. ისევ შეკრიბეს „ხანგრძლივი პარლამენტის ნაბოლარა“, მაგრამ ქვეყანა, ფაქტობრივად, უხელმძღვანელოდ რჩებოდა.

შოტლანდიაში განლაგებული „ახალი მოდელის არმიის“ ნაწილების მთავარსარდლის, გენერალ *ჯორჯ მონკის* (*George Monck*) წინადადებით, 1660 წლის 4 აპრილს უფლისწულმა *ჩარლზ სტიუარტმა* ჰოლანდიის ქალაქ *ბრედაში* გამოსცა დეკლარაცია (*Declaration of Breda*), სადაც ის ჰპირდებოდა პოლიტიკურ ამნისტიას და რჯულშემწყნარებლობას ქვეშევრდომებს, ხოლო არმიას – სახელფასო დავალიანების გადახდას. საპასუხოდ, სახელდახელოდ არჩეულმა ე. წ. „პირობითმა პარლამენტმა“ (*Convention Parliament*: „შეთანხმებითი, პირობითი“ პარლამენტი არ მიიჩნეოდა „ნამდვილად“, რადგან, დადგენილი წესით, ის მეფეს უნდა მოეწვია) ტახტი შესთავაზა ჩარლზს. იმავე წლის 25 მაისს უფლისწული გადმოჯდა დუვრში და მალე ეკურთხა უესტმინსტერში, როგორც *ჩარლზ* II (1660-1685).

სტიუარტების რესტავრაცია უმტკივნეულოდ მოხდა. ჩარლზი გაკვირვებულიც კი დარჩა იმ ენთუზიაზმით, რომლითაც ის ინგლისელებმა მიიღეს. საერთოდ, რელიგიური აღტყინება, რომელიც ასე დამახასიათებელი იყო რევოლუციის საწყისი ეტაპებისათვის, ჩაცხრა.

როგორც ისტორიკოსი *ტრეველიანი* (*George Macaulay Trevelyan*, 1876-1962) წერდა, *„ინგლისელები მიესალმებოდნენ ძველი ანგლიკანური ეკლესიის დაბრუნებას ძირითადად იმის გამო, რომ ის ნაკლებად მოითხოვდა რელიგიური გულმოდგინების გამოჩენას ყოველდღიურ ცხოვრებაში. პურიტანები იქამდე აიძულებდნენ ხალხს, 'მიეღო რელიგია პურთან ერთად', ვიდრე ხალხმა ზიზღი არ იგრძნო პურიტანობის მიმართ“.*

თუმცა მონარქია აღდგა, ეს არ ნიშნავდა რევოლუციის საბოლოო მარცხს. უბრალოდ, რევოლუციის გამარჯვება გადაიდო, როგორც მოგვიანებით გაირკვა, 28 წლით!

მეფესთან ერთად ინგლისში დაბრუნდნენ განდევნილი როიალისტები. მაგრამ მათ მოახერხეს მხოლოდ „ახალი მოდელის არმიის“ დაშლა, თხუთმეტიოდე „მეფისმკვლელის“ სიკვდილით დასჯა, *კრომველის, აირტონისა* და *ბრედშოუს* გვამების ამოთხრა და მათი გახრწნილი გვამებისათვის თავის მოკვეთა. აღადგინეს ანგლიკანური ეკლესია.

ფეოდალური წესების საბოლოო გაუქმებას კი თავად *ჩარლზ* II დაეთანხმა და მისმა მომხრე არისტოკრატებმაც ბევრი ვერაფერი დაიბრუნეს, ვინაიდან ადრე თვითონვე გაყიდეს მამულები.

გარეგნულად თითქოს ყველაფერი აღდგა. ინგლისის მეფის გარემოცვა ისევ ცდილობდა, მიებაძა საფრანგეთის სამეფო კარისათვის ფუფუნებით, წარმოდგენებითა და დღესასწაულებით, კარისკაცებისა და თვით მეფის უზნეობით (*ჩარლზ* II-ს თოთხმეტი უკანონო შვილი ჰყავდა, მაშინ როცა ტახტის კანონიერი მემკვიდრე არ ეყოლა).

ეს მკვეთრ კონტრასტს ქმნიდა პურიტანული რესპუბლიკის „მაღალ ზნეობასთან“, როცა აკრძალული იყო მუსიკა, ცეკვა და თეატრალური წარმოდგენები, ხოლო *ჩარლზ* I-ის მიერ შეგროვებული სურათების ბრწყინვალე კოლექცია საზღვარგარეთ გაიყიდა, როგორც უსარგებლო რამ.

იმავე ხანაში მოღვაწეობდა ცნობილი ფილოსოფოსი *თომას ჰობსი* (*Thomas Hobbes,*1588-1679), *ფრანსის ბეკონის* მიმდევარი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე პოლიტიკურ ფილოსოფიას და პოლიტიკურ მეცნიერებას. თავის წიგნში „*ლევიათანი*“ (1651) მან ჩამოაყალიბა სოციალური კონტრაქტის თეორია, მომდევნო დასავლური პოლიტიკური ფილოსოფიის საფუძველი. თუმცა რაციონალური პოზიციიდან ჰობსი სუვერენის აბსოლუტიზმის დამცველი იყო, მან აგრეთვე ჩამოაყალიბა ევროპული ლიბერალური აზრის საფუძველიც, ისეთი, როგორიცაა, პიროვნების უფლებები, ადამიანთა ბუნებრივი თანასწორობა, პოლიტიკური წესრიგის ხელოვნური ხასიათი (რამაც შემდგომში მიგვიყვანა *სამოქალაქო საზოგადოებასა* და *სახელმწიფოს* შორის განსხვავების ჩამოყალიბებამდე). მას ეკუთვნის თვალსაზრისი, რომ ყველა კანონიერი პოლიტიკური ხელისუფლება „წარმომადგენლობითი“ უნდა იყოს და ხალხის თანხმობას ემყარებოდეს. ჰობსისეულია კანონის ლიბერალური ინტერპეტაცია, რომელიც გულისხმობს, რომ ***ადამიანებს შეუძლიათ გააკეთონ ყველაფერი, რასაც კანონი მკაფიოდ არ კრძალავს.***

ჰობსის უმცროსი თანამედროვე იყო ცნობილი განმანათლებელი, მატერიალისტური სენსუალიზმის ფუძემდებელი *ჯონ ლოკი* (*John Lock,* 1632-1704), რომელმაც ახალი დროის ფილოსოფიაში პირველად დაამუშავა შემეცნების თეორია და განავითარა მოძღვრება საპარლამენტო-კონსტიტუციური მონარქიული სახელმწიფოს შესახებ, რაც *ვიგების* დიდ მოწონებას იმსახურებდა.

თემა 8. თანამედროვე სახელმწიფოს ფორმირების ძირითადი ნიშანსვეტები (2): პოლიტიკური პარტიების ფორმირების დასაწყისი. „ჰაბეას კორპუს აქტი“. „სახელოვანი რევოლუცია“. გაერთიანებული სამეფოს შექმნა (1707 წ.).

ლიტერატურა: *გაერთ. სამ.* გვ. 187-197

სხვადასხვა დაჯგუფებების ინტერესები ინგლისის პარლამენტში ხშირად ეჯახებოდა ერთმანეთს და *ჩარლზ* II ცდილობდა, გამოეყენებინა ეს წინააღმდეგობა. ის ძირითადად ეყრდნობოდა საშუალო მიწათმფლობელებს – სკვაირებს, ანგლიკანური ეკლესიის უმაღლეს იერარქებს, კათოლიკურ უმცირესობას. *მთელ ამ „პარტიას“, რომელიც სტიუარტების თავგამოდებული მომხრე იყო, 1670-იანი წლებიდან მოწინააღმდეგეები აკერებდნენ “ტორი“-ს სახელს*, რომლითაც ჩვეულებრივ მოიხსენიებდნენ „ირლანდიელ ყაჩაღებს“, ბუნებრივია, კათოლიკეებს!

ეს დამამცირებელი მეტსახელი თანდათან თვითსახელად იქცა. XIX საუკუნეში ის მემკვიდრეობით მიიღო *კონსერვატიულმა პარტიამ*, რომლის წევრებიც სახელ „*ტორის*“ დღესაც არ თაკილობენ.

ტორის მეტოქე ჯგუფს „*ვიგებს*“ უწოდებდნენ, რაც მათი მოწინააღმდეგეების მიერ ასევე დასამცირებლად იყო შერქმეული: *whiggamor* შოტლანდიაში „ნახირის გადამრეკავს“ ნიშნავდა და ამ სახელს აკერებდნენ „უკიდურეს პრესბიტერიანებს“. სინამდვილეში, ისინი, ვისაც „ვიგებს“ უწოდებდნენ, სოციალური შემადგენლობით იყვნენ ვაჭრები, ფინანსისტები, ანგლიკანური სარწმუნოების მიმდევარი უმსხვილესი მიწათმფლობელები, რომლებიც კარგად გრძნობდნენ თავის ძალას და მონარქიის უფლებათა შეზღუდვის მომხრეები იყვნენ. ისინი საკმაოდ სკეპტიკურად იყვნენ განწყობილი სტიუარტების მიმართ.

ვიგები (*Whigs*) და *ტორიები (Tories*) ერთგვარი პროტოპარტიების სახელებად იქცა.

მეტსახელს „*whig*“ ბრიტანეთის *ლიბერალური პარტიის* წევრები თვითსახელად იყენებდნენ XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე. დღეისათვის ეს სახელი ანაქრონიზმადაა ქცეული და, „*tory*“-სგან განსხვავებით, პოლიტიკური პარტიის წევრის აღსანიშნავად აღარ გამოიყენება.

1660-79 წლებში ინგლისის პარლამენტში *ტორიები* დომინირებდნენ. 1679 წელს კი *ვიგებმა* პირველად მიაღწიეს ხანმოკლე წარმატებას და პარლამენტში უმრავლესობა შეადგინეს. მათ დაამტკიცეს კანონი „***Habeas Corpus Act”,*** რომელიც დღემდე ითვლება ბრიტანული დემოკრატიის ერთ-ერთ საფუძვლად.

ეს კანონი კრძალავს სისხლის სამართლის საქმეზე დაპატიმრებული პირების უკანონოდ ციხეში დაკავებას – მათ 24 საათში უნდა წარედგინოთ დასაბუთებული ბრალდება. კანონი დღემდე მოქმედებს. ფაქტობრივად, XVII საუკუნის ინგლისში ცნეს პიროვნების ხელშეუხებლობის უფლება, რაც სამართლებრივი

სახელმწიფოს შექმნის ძირითად პირობებს განეკუთვნება. „*Habeas Corpus*" სხვა დემოკრატიულ ქვეყნებშიც ერთ-ერთ ძირითად კანონად იქცა.

სახელმწიფო პოლიტიკა სულ უფრო ეწინააღმდეგებოდა ინგლისის გეოპოლიტიკურ ინტერესებს, როდესაც მეფე „მეგობარ სახელმწიფოდ" მიიჩნევდა საფრანგეთს. *ჩარლზ* II, რომლის დედაც საფრანგეთის მეფის *ლუი XIV*-ის მამიდა იყო, ფარულ ფინანსურ დახმარებას ღებულობდა საფრანგეთიდან. ის მოხერხებულად მალავდა ამ დახმარებას. მისი უმცროსი ძმა კი, ტახტის მემკვიდრე *ჯეიმზი,* არც მალავდა თავის კათოლიკობას და პროფრანგულ განწყობას. ინგლისელ ხალხში ჯეიმზი ძალიან არაპოპულარული იყო, რაც მეფე ჩარლზმა იცოდა. ამასთან დაკავშირებით, ისტორიამ შემოგვინახა ერთი დიალოგი ძმებს შორის. როდესაც ჯეიმზმა გააფრთხილა თავისი ძმა, *ლონდონში თავისუფლად დადიხარ და ეს საშიშიაო*, ჩარლზს სიცილით უთქვამს ტახტის მემკვიდრისათვის: *სანამ შენ ცოცხალი ხარ, ჩემი ქვეშევრდომებიდან ხელს არავინ დამაკარებს*ო!

ჩარლზ II-ის გარდაცვალების შემდეგ გამეფებულმა მისმა ძმამ, *ჯეიმზ* II-მ (1685-1688), ოპოზიციის დასათრგუნავად დაიწყო მუდმივი არმიის შექმნა.

1687 წელს *ჯეიმზ* II-ის მიერ გამოცემული რჯულშემწყნარებლობის კანონი (*Declaration of Indulgency*) ინგლისის მოსახლეობამ „*პაპიზმის აღორძინებად*" აღიქვა. მეფის ავტორიტეტი სრულად დაეცა. ამჯერად ტორი სკვაირებმაც, უმეტესად ანგლიკანური რწმენის ხალხმა, რომლებიც იქამდე *ჯეიმზ* II-ს უჭერდნენ მხარს, ზურგი აქციეს მას. ოპოზიციის ერთმა ნაწილმა გადაწყვიტა, ინგლისში მოეწვია მეფე *ჯეიმზ* II-ის პროტესტანტად აღზრდილი ასული *მერი,* რომელიც იყო ჰოლანდიის შტადტჰალტერ *ვილემ/უილიამ ორანელის* (*Willem van Oranje,* ინგლისურად – *William of Orange*) მეუღლე.

ფაქტობრივი სახელმწიფო გადატრიალების წარმატებისათვის გადამწყვეტი აღმოჩნდა სამეფო ჯარის ერთ-ერთი მეთაურის, *ჯონ ჩერჩილის* მოქნილობა რომელმაც ალღო აუღო გარემოებას და ერთგულება გამოუცხადა მერისა და უილიამს. ამას „ღალატი" არ დაერქვა იმის გამო, რომ ჩერჩილმა მხარე დაუჭირა საბოლოოდ გამარჯვებულს! სამხედრო ძალის გარეშე დარჩენილი *ჯეიმზ* II საფრანგეთში გაიქცა.

1688 წელს გავლენიანი ვიგების წარმომადგენლებმა შექმნეს *კონვენტი*, რომელმაც ვაკანტურად გამოაცხადა ინგლისის ტახტი და შესთავაზა ის *მერის* და მის მეუღლეს, რომლებიც ინგლისში გამეფდნენ *მერი* II-ის (1688-1694) და *უილიამ* III-ის სახელით (1688-1702). სამეფო წყვილი უშვილო დარჩა, შესაძლოა იმიტომ, რომ ახლონათესაური ქორწინება ჰქონდათ – ისინი ბიძაშვილ-მამიდაშვილი იყვნენ.

ამ სახელმწიფო გადატრიალებას „***სახელოვანი/უსისხლო რევოლუცია***" (*Glorious/Bloodless Revolution*) ეწოდა. ეს იყო ინგლისის ელიტის ხელსაყრელი კომპრომისი მონარქიასთან, რომელიც ფორმალურად გაფორმდა 1689 წლის 19 დეკემბერს „**უფლებათა ბილით**" (Bill of Rights), რომლის თანახმადაც **მონარქი სამუდამოდ იღებდა ხელს გადასახადების აკრეფაზე: ეს მხოლოდ და მხოლოდ პარლამენტის**

პრეროგატივად ცხადდებოდა; მონარქი ცნობდა პარლამენტში მიღებულ ყველა კანონს; მონარქი უარს აცხადებდა მშვიდობიანობის დროს ქვეყნის შიგნით რეგულარული არმიის შენახვაზე; პარლამენტი უნდა მოეწვიათ სამ წელიწადში ერთხელ მაინც და მისი უფლებამოსილება სამწლიანი გახდა[7].

ამიერიდან ***ინგლისი ნამდვილად იქცა კონსტიტუციურ მონარქიად***.

1696 წელს ცენზურის ფაქტობრივი გაუქმება ინგლისში დემოკრატიის დამკვიდრების დამატებითი აქტი იყო.

1701 წელს პარლამენტმა დაამტკიცა აქტი „***ტახტის მემკვიდრეობის შესახებ***“: დიდი ბრიტანეთის მეფე უნდა ყოფილიყო მხოლოდ პროტესტანტი, *ყველა პაპისტს* (ანუ კათოლიკეს) და *პაპისტზე დაქორწინებულ პირს სამუდამოდ ეკრძალებოდა დიდი ბრიტანეთის იმპერიული გვირგვინის ფლობა* (კანონი ფაქტობრივად იმეორებდა 1689 წლის „უფლებათა ბილის“ ერთ პუნქტს).

მხოლოდ სამი საუკუნის შემდეგ, 2013 წელს, გაუქმდა კათოლიკეზე ქორწინება, როგორც ბრიტანეთის ტახტზე ასვლის შემზღუდავი პირობა.

ჯეიმზ სტიუარტის მომხრეები, „*ჯეკობაიტები*“ (*Jacob* იგივეა, რაც *James*) აგრძელებდნენ ბრძოლას ახალ რეჟიმთან. ირლანდიაში მათ კათოლიკური მოსახლეობა მიიმხრეს, რომელსაც საკუთარი ეროვნული ინტერესები ჰქონდა.

1690 წლის ივნისში *უილიამ* III-მ მდინარე *ბოინის* პირას, ქალაქ დროჰედასთან, სასტიკად დაამარცხა ჯეკობაიტებისა და ირლანდიელი კათოლიკეების გაერთიანებული არმია (*Battle of Boyne*). ამას მოჰყვა ირლანდიელთა მიწების დამატებითი კონფისკაცია და მათი ჩაგვრის გაძლიერება.

ყოველწლიურად, 12 ივნისს, ჩრდილოირლანდიელი პროტესტანტები („ორანჯისტები“, *ვილემ ორანელის* სახელის მიხედვით) ხმაურით ზეიმობენ ამ გამარჯვებას. კათოლიკე ირლანდიელთა უმრავლესობისათვის კი ეს ეროვნული გლოვის დღეა.

1707 წელს ინგლისმა საბოლოოდ შემოიმტკიცა შოტლანდია. შოტლანდიელმა პოეტმა *რობერტ ბერნსმა* ედინბურგის პარლამენტის შესახებ, რომელიც დათანხმდა უესტმინსტერის პარლამენტთან შერწყმას, ტყუილად არ თქვა, რომ ის იყო „*ნაყიდი და გაყიდული ინგლისური ოქროთი*“ (*bought and sold for English gold*). კორუფცია ვერ იმალებოდა! გარიგებაში ჩართულებს კი თავის გასამართლებლად ის ჰქონდათ, რომ შოტლანდია მძიმე ეკონომიკურ კრიზისში იმყოფებოდა.

შოტლანდიამ 45 ადგილი მიიღო გაერთიანებული სამეფოს პარლამენტის თემთა პალატაში, სადაც უკვე იყო 513 წევრი, ხოლო 16 რჩეულ შოტლანდიელ ლორდს ზედა პალატაში მიეკუთვნა ადგილი, სადაც ისინი 190 ინგლისელ პერს შეუერთდნენ. 1707 წელს მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე ოფიციალურად გაჩნდა „***დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფო”.***

---

[7]1716 წელს პარლამენტის უფლებამოსილება შვიდ წლამდე გახანგრძლივდა, ხოლო 1911 წლიდან დღემდე ის ხუთი წლით განისაზღვრება.

შოტლანდია იქცა დიდი ბრიტანეთის ჩამორჩენილ პროვინციად, რომელიც ამარაგებდა უფრო განვითარებულ ინგლისს პირუტყვით – ძროხითა და ცხვრით. ამავე დროს, ნიჭიერმა შოტლანდიელებმა ბევრი რამ შესძინეს ინგლისურ ლიტერატურას და ტექნიკურ აზრს. შოტლანდიისათვის სამწუხაროდ, იმ დროს მართალი იყო XVIII საუკუნის ბრწყინვალე ლიტერატორი *სემუელ ჯონსონი* (1709-1784), როდესაც 1763 წელს ცოტა ცინიკურად ამბობდა: „*საუკეთესო პერსპექტივა, რომელსაც შოტლანდიელი ხედავს, ის შარაგზაა, ინგლისში რომ მიიყვანს*“.

ჯეიმზ II-ის პირდაპირმა მემკვიდრეებმა – კათოლიკე სტიუარტებმა (ვაჟმა და შვილიშვილმა) – 1715 და 1745 წლებში ორჯერ მოაწყვეს უშედეგო აჯანყება მათი მომხრე შოტლანდიელი მთიელი კლანების დახმარებით. მაგრამ ჯერ „მოხუცი“ და შემდეგ „ახალგაზრდა პრეტენდენტისათვის “ ამაო მხარდაჭერამ მთიელებს მხოლოდ რბევა და კლანობრივი სისტემის საბოლოო დაშლა მოუტანა. მთელ ბრიტანეთში დიდხანს მტრულად უყურებდნენ *კილტს* (შოტლანდიელი მამაკაცების ქვედატანს). აიკრძალა შოტლანდიური გუდასტვირიც კი, როგორც „სამხედრო იარაღი“.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან კლანების ბელადებმა, რომლებიც ამ დროისათვის ბრიტანელი ლორდები გახდნენ, შეძლებულმა ფერმერებმა და სხვადასხვა სპეკულანტებმა ისარგებლეს მთიელი შოტლანდიელების მიმართ მტრული საზოგადოებრივი განწყობით, აყარეს მთელი სოფლები (*Highland Clearences* – „მთიანეთის აყრა“), დაეპატრონნენ სათემო მიწას, რომელიც ცხვრის საძოვრად აქციეს. აყრის პროცესი 1820-იან წლებამდე გაგრძელდა. მთიელები წავიდნენ დიდ ქალაქებში, ბევრი გადასახლდა ჩრდილოეთ ამერიკაში, მოგვიანებით – ავსტრალიაში. აყრამ გადაშენების გზაზე დააყენა ჩრდილოეთ შოტლანდიაში იქამდე ფართოდ გავრცელებული გელური (*Gaelic*) ენა.

XVIII საუკუნის პირველ ნახევარში დიდ ბრიტანეთში ჯერ კიდევ იყო აზრთა სხვადასხვაობა იმის თაობაზე, თუ ვინ უნდა იჯდეს ტახტზე, თუმცა საზოგადოებრივ აზრს პოლიტიკოსებისათვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ეს ასახულია ერთ იმდროინდელ სხარტ ლექსში:

ღმერთმა დალოცოს ჩვენი მეფე, მცველი რწმენისა,
ღმერთმა დალოცოს პრეტენდენტი, ნურც მას შერისხავს.
მაგრამ ვინ არის ჩვენი მეფე, ვინ – პრეტენდენტი,
ეს ხომ სრულებით სხვა საქმეა! გვფარავდეს ღმერთი!

უილიამ III-ის გარდაცვალების შემდეგ ტახტზე ავიდა მისი ცოლისდა, დედოფალი *ენი* (1702-1714), *ჯეიმზ* II-ის კიდევ ერთი პროტესტანტი ასული. *ენი* უკანასკნელი სტიუარტი აღმოჩნდა ბრიტანეთის ტახტზე. პირდაპირი მემკვიდრე მასაც არ დარჩა. ამიტომ, მის შემდეგ დიდი ბრიტანეთის ტახტზე მოიწვიეს პროტესტანტი ხელმწიფე – *ჩარლზ I სტიუარტის* შვილთაშვილი, პატარა გერმანული

სამთავროს, ჰანოვერის, *ელექტორი გეორგი,* რომელიც ინგლისში *ჯორჯ* I-ის სახელით გამეფდა (1714-1727).

სამეფო დინასტია შეიცვალა: ტახტზე ავიდა ***ჰანოვერის*** საგვარეულო, რომელმაც თითქმის ორი საუკუნე იმეფა ინგლისში.

სემუელ ჯონსონმა ნახევარი საუკუნის შემდეგ *ჯორჯ* I-ზე თქვა, რომ მან „*არც არაფერი იცოდა და არც არაფრის ცოდნა უნდოდა; არც არაფერს აკეთებდა და არც არაფრის კეთება უნდოდა*“.

ჯორჯ I-მა ინგლისური ენა ვერ ისწავლა და თავის მინისტრებს ფრანგულად თუ აგებინებდა, რა სურდა. მისმა ვაჟმა *ჯორჯ* II-მ (1727-1760) ინგლისური ცოტა ისწავლა. ბრიტანეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე მეტად ორივე მათგანს პატარა ჰანოვერის ბედი უფრო აწუხებდა. სამაგიეროდ, ორივე პროტესტანტი იყო!

ბრიტანეთის პარლამენტმა გამონახა ისეთი მონარქები, რომლებიც „*მეფობენ, მაგრამ არ მართავენ*“. XVIII საუკუნიდან მეფეები, როგორც წესი, შედარებით მცირე როლს ასრულებდნენ ბრიტანეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

“ნამდვილი ინგლისელი“ გახდა მხოლოდ ***ჰანოვერთა დინასტიის*** მესამე მეფე – *ჯორჯ* III (1760-1820), *ჯორჯ* II-ის შვილიშვილი. ის დაიბადა და აღიზარდა ინგლისში და ქვეყნის მართვაში მონაწილეობაც კი განიზრახა, მაგრამ მის ჩარევას სახელმწიფო საქმეებში, კერძოდ ამერიკის კოლონიებთან დაკავშირებით, მხოლოდ უარყოფითი შედეგი მოჰყვა.

XVIII საუკუნეში, როდესაც დიდი ბრიტანეთი ნამდვილად გახდა კონსტიტუციური მონარქია და მისი ეკონომიკაც მომძლავრდა, ის განვითარების ახალ ფაზაში შევიდა – მზად იყო კოლონიური ექსპანსიისათვის.

XVIII საუკუნემ აქცია დიდი ბრიტანეთი მსოფლიო რანგის სახელმწიფოდ და მოამზადა მისი მსოფლიო ჰეგემონობა XIX საუკუნეში.

თემა 9. გაერთიანებული სამეფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკა XVIII **საუკუნეში.**

ლიტერატურა: გაერთ. სამ. გვ. 197-207

XVIII საუკუნეს, გარკვეული თვალსაზრისით, შეიძლება ეწოდოს „ბრიტანეთის საუკუნე“. 1770-იან წლებამდე საგარეო პოლიტიკაში წარმატება წარმატებას მოსდევდა. არანაკლები მიღწევები იყო ეკონომიკაში, კულტურაში, მეცნიერებაში, ხელოვნებასა და ლიტერატურაში.

საკუთრივ დიდი ბრიტანეთის შიდაპოლიტიკური ცხოვრება ამ პერიოდში თითქოს უსახური იყო, ისევე, როგორც ჰანოვერთა დინასტიის პირველ მეფეთა პიროვნებები. გარეგნულად, ქვეყანაში დიდი მოვლენები არ შეინიშნებოდა. იქამდე, სანამ ტორის *ჯეკობაიტობის* „ანტიპატრიოტული“ ელფერი დაჰკრავდა, ხანგრძლივი დროის განმავლობაში, სამოცზე მეტი წელი, ვიგები პარლამენტში უმრავლესობას წარმოადგენდნენ და, შესაბამისად, ქვეყანასაც ისინი მართავდნენ.

ვიგების მმართველობის დროს პირველად ჩამოყალიბდა „***კაბინეტი***“, როგორც სამეფო „საიდუმლო საბჭოს“ (*Privy Council*) ერთ-ერთი განყოფილება, რომელიც ***წარმოადგენდა და დღემდე წარმოადგენს ბრიტანეთის მთავრობას.***

კაბინეტს თავმჯდომარეობდა „მეფის პირველი მინისტრი“. მიჩნეულია, რომ რიგით პირველი *პრემიერ-მინისტრი* იყო ვიგების „პარტიის“ წევრი *რობერტ უოლპოლი* (*Robert Walpole*), რომელიც 1721-1742 წლებში რეალურად მართავდა ბრიტანეთს. ფორმალურად, *პრემიერ-მინისტრის* თანამდებობა მხოლოდ XIX საუკუნის დასაწყისიდან არსებობს.

ჯორჯ II-მ უოლპოლს აჩუქა შენობა დაუნინგ სტრიტზე. უოლპოლმა კი სახლი პირად საჩუქრად არ მიიღო და ის თითქმის სამი საუკუნეა წარმოადგენს ბრიტანეთის მოქმედი პრემიერ-მინისტრის რეზიდენციას.

1760-იანი წლების დასაწყისში *ჯორჯ* III-მ სახელმწიფოს სათავეში დააბრუნა ტორიები. ამის შემდეგ ვიგები და ტორიები მონაცვლეობით მართავდნენ ქვეყანას.

XIX საუკუნის ბოლო ათწლეულებამდე ბრიტანეთის პოლიტიკური პარტიები მყარად არ იყვნენ ჩამოყალიბებული. XVIII-XIX საუკუნეების პოლიტიკოსები ხშირად იცვლიდნენ პოზიციას, გადადიოდნენ ოპოზიციაში, ღებულობდნენ სხვა პარტიის ლიდერის მიერ შეთავაზებულ მინისტრის პოსტს, თავს მიიჩნევნენ ხან „ვიგად“, ხანაც „ტორიდ“. ხშირი იყო პრემიერ-მინისტრების ცვლა, რომლებიც გადადგებოდნენ ხოლმე და ცოტა ხნის შემდეგ მეფე მათვე სთხოვდა ახალი კაბინეტის შექმნას.

XVIII საუკუნეში მოღვაწეობდა ვიგების ერთ-ერთი გამორჩეული ლიდერი *უილიამ პიტი, უფროსი* (1708-1778, *William Pitt, the Elder).* მის სახელს დაუმატეს „უფროსი“ მას შემდეგ, რაც 1783 წელს პრემიერ-მინისტრი გახდა მისი ვაჟი *უილიამ*

პიტი, უმცროსი (*William Pitt, the Younger,* 1759-1806). *უილიამ პიტი, უფროსი* ბრიტანეთის პირველი „ნამდვილი იმპერიალისტი“ იყო: „შვიდწლიანი ომის“ დროს (1756-1763) მან დაგეგმა კანადისა და ინდოეთის დაპყრობა.

ამავე დროს, იგივე *უილიამ პიტი, უფროსი* ცდილობდა, მშვიდობიანად გადაეჭრა კონფლიქტი ამერიკის ინგლისურ კოლონიებთან და მათთან ომის დაწყებისთანავე განაცხადა, რომ ამ ომს ბრიტანეთი ვერ მოიგებდა. თუმცა, ასეთი თამამი განცხადების დროს ის აღარ ედგა სათავეში მთავრობას!

1784 წლიდან პოლიტიკურ ცხოვრებაში დამკვიდრდა პრეცედენტი: თუ პრემიერ-მინისტრი თემთა პალატაში კანონპროექტს ვერ გაიყვანს, ანუ ვერ მიიღებს „ნდობის ვოტუმს“, იგი ვალდებულია გადადგეს, ქვეყანაში კი ახალი საპარლამენტო არჩევნები უნდა დაინიშნოს. სწორედ იმ წელს ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრად მეფემ დანიშნა 24 წლის *უილიამ პიტი, უმცროსი.* ბევრს მიაჩნდა, რომ ის დროებითი ფიგურაა ამ პოსტზე, მან კი ქვეყანა ჯერ 17 წელი, 1801 წლამდე, უწყვეტად მართა და ხელახლა, 1804-1806 წლებშიც, გარდაცვალებამდე, მართავდა. პრემიერ-მინისტრის პოსტზე 17 წლის განმავლობაში ყოფნა ის რეკორდია, რომელსაც ბრიტანეთის ისტორიაში ჯერაც ვერავინ გადააჭარბა.

საკანონმდებლო დონეზე დემოკრატიის განვითარება თი თქმის არ იგრძნობოდა, რადგან საარჩევნო უფლებით უმნიშვნელო უმცირესობა სარგებლობდა. ბევრი ახალი ქალაქი მოკლებული იყო ადგილს თემთა პალატაში. სამრეწველო ბურჟუაზია საერთოდ არ იყო წარმოდგენილი პარლამენტში. პარლამენტის საარჩევნო სისტემის რეფორმას ბევრი მომხრე ჰყავდა, მათ შორის იყო თვით პრემიერ-მინისტრი *პიტი, უმცროსიც* კი. მაგრამ თემთა პალატა, სადაც მსხვილი მემამულეები და ფინანსური ოლიგარქია ბატონობდნენ, და, განსაკუთრებით, ტრადიციონალიზმის მომხრე ლორდთა პალატა, საპარლამენტო რეფორმის წინააღდეგ იყვნენ. საპარლამენტო რეფორმა XIX საუკუნისათვის გადაიდო.

სამთავრობო პარტიების ცვლა ქვეყნის სათავეში ნაკლებად მოქმედებდა ***საგარეო პოლიტიკაზე***, რომლის საკმაოდ მყარი ვექტორი XVIII საუკუნეში განსხვავდებოდა XVII საუკუნის ცვალებადი ვექტორებისგან.

ადრე, *ელიზაბეთ* I-დან *ჯეიმზ* II-მდე (ჩათვლით), საფრანგეთი და ინგლისი უფრო ხშირად მოკავშირენი იყვნენ, ხოლო მათ შორის არსებული სამხედრო კონფლიქტები შედარებით უმნიშვნელოდ უნდა მივიჩნიოთ. მაგრამ XVIII საუკუნეში, განსაკუთრებით მისი შუახანებიდან მოყოლებული, უკვე ნათელი გახდა, ვინ იქნებოდა დიდი ბრიტანეთის მთავარი მეტოქე კოლონიებისათვის ბრძოლაში.

1688 წლის „სახელოვანი რევოლუციიდან“ მოყოლებული 1815 წელს ნაპოლეონის საბოლოო დამარცხებამდე, ბრიტანეთი ჩაბმული იყო შვიდ *დიდ* ევროპულ და მსოფლიო მასშტაბის ომში (გარდა ამისა, მას ლოკალური ომებიც ჰქონდა). სადაც უნდა დაწყებულიყო ეს დიდი ომი, ვინც უნდა ყოფილიყო ბრიტანეთის მტერი თუ მოკავშირე, თავიდანვე, ან გადამწყვეტ მომენტში, ***ბრიტანეთის ძირითადი მოწინააღმდეგე ყოველთვის აღმოჩნდებოდა საფრანგეთი.*** ამ ომების უმეტესობა

საბოლოოდ ბრიტანეთმა მოიგო, რომლის უპირატესობას განაპირობებდა ეკონომიკის განვითარების მსოფლიოში უმაღლესი დონე.

ამ ომების დროს კონტინენტური ევროპის მონარქები საკუთარ ტერიტორიას აფართოებდნენ ან მტრებისგან იცავდნენ თავის სამფლობელოს. დიდ ბრიტანეთს კი, თავისი ხელსაყრელი მდებარეობის გამო, შეეძლო, მთელი ენერგია კოლონიურ ექსპანსიაზე გადაეტანა. ყველა ასეთ შემთხვევაში იგი ეჯახებოდა საფრანგეთს – სამხედრო თვალსაზრისით მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოს, რომელიც თვითონაც არანაკლებ იღვწოდა საკუთარი კოლონიური იმპერიის გაფართოებისათვის.

ბრიტანეთის სახმელეთო არმია XVIII საუკუნეში არ ბრწყინავდა, თუმცა ინგლისელები ცუდი მეომრები როდი იყვნენ. რეგულარული, ისიც მცირერიცხოვანი, არმია ბრიტანეთმა მხოლოდ *უილიამ* III-ის დროიდან, XVII საუკუნის ბოლოში, შექმნა.

XVIII საუკუნეში იშვიათი ინგლისელი მხედართმთავარი, რომლის წარმატებითაც ევროპის კონტინენტზე ჩატარებულ სამხედრო ოპერაციებში შეეძლოთ ეამაყათ მის თანამემამულეებს, იყო *ჯონ ჩერჩილი,* შემდგომში – *მალბოროს ჰერცოგი* (*John Churchill, Duke of Marlborough,* 1650-1722). XX საუკუნეში მოღვაწე *უინსტონ ჩერჩილი* მისი არაპირდაპირი შორეული შთამომავალი იყო.

მალბორომ რამდენიმე ბრძოლა მოუგო ფრანგებს და მათ მოკავშირეებს „ესპანეთის მემკვიდრეობისათვის ომის“ დროს (1701-1713). მათგან ყველაზე მნიშვნელოვნად მიჩნეულია გამარჯვება 1704 წელს ბავარიაში, *ბლინდჰაიმთან* (*ლინდჰეიმ:* ინგლისურად მას უწოდებენ *ლენჰეიმ*-ს, გამოითქმის *ბლენიმ*). იმავე ომის დროს ჩერჩილმა აგრეთვე მოიგო ბრძოლები *რამიისთან* (*Ramillies,*1706), *უდენარდთან* (*Oudenarde,*1708), *მალპლაკესთან* (*Malplaquet,* 1709).

ევროპულ ომებში ბრიტანეთი, ჩვეულებრივ, ამჯობინებდა სხვისი ხელით ნარის გლეჯას. საფრანგეთთან და მის მოკავშირეებთან საბრძოლველად თავის “ევროპელ ჯარისკაცს“ ის დასახმარებლად უგზავნიდა მხოლოდ მომცრო საექსპედიციო კორპუსს, უფრო ხშირად კი – ფულს, იარაღს, ტანსაცმელს. ეს „ჯარისკაცი“ ხან ჰოლანდია იყო, ხან ავსტრია, პორტუგალია, დანია, პრუსია. მაგალითად, „შვიდწლიანი ომის“ დროს პრუსიის მეფე *ფრიდრიხ დიდს,* ზემოხსენებული *უილიამ პიტი, უფროსის* დავალებით, ბრიტანეთის ხაზინა წლიურად 700 ათას პაუნდ სტერლინგს უგზავნიდა, რაც მაშინ ძალიან დიდი თანხა იყო.

ბრიტანეთის მოკავშირენი აბრკოლებდნენ საფრანგეთის ძირითად ძალებს ევროპაში. ბრიტანეთის სამხედრო ფლოტი კი ბატონობდა ოკეანეებზე და გადაჰყავდა არმია კოლონიებში საომრად. საფრანგეთის ძალები განუწყვეტლივ იქსაქსებოდა, მაშინ როცა ბრიტანეთს ძირითად მიზანზე – ზღვისგადაღმა კოლონიებზე – მიჰქონდა პირდაპირი იერიში.

საკუთრივ ევროპის კონტინენტზე იმ ომების დროს ბრიტანეთის მთავარი შენაძენი აღმოჩნდა ***გიბრალტარის*** კლდე, სტრატეგიული პუნქტი ატლანტის ოკე-

ანისა და ხმელთაშუა ზღვის შემაერთებელ სრუტესთან. ესპანეთის სამეფოს კუთვნილი ეს ტერიტორია (სულ 6 კვ. კმ) 1704 წელს დაიპყრო გაერთიანებულმა ბრიტანულ-ჰოლანდიურმა ფლოტმა ადმირალ *ჯონ რუკის* (*Sir John Rooke*) მეთაურობით. 1713 წლის *უტრეხტის* ზავით გიბრალტარი ბრიტანეთს დარჩა და სამასზე მეტი წელია მის ხელშია, თუმცა ესპანეთი პერიოდულად მოითხოვს ხოლმე „გიბრალტარის დეკოლონიზაციას“.

XVI საუკუნეში კოლონიებს მხოლოდ პორტუგალია და ესპანეთი ფლობდნენ. იმავე საუკუნის ბოლოს, უფრო კი XVII საუკუნიდან, კოლონიურ ასპარეზზე გამოჩნდნენ ჰოლანდია, საფრანგეთი და ინგლისი.

XVIII-XIX საუკუნეებში ევროპული ქვეყნები ომებს აწარმოებდნენ კოლონიების დასაპყრობად: მათი მიზანი იყო ნედლეულის წყაროებისა და გასაღების ბაზრების მოპოვება.

XVII საუკუნიდან რელიგიურმა მომენტმა საგარეო პოლიტიკაში დაკარგა მნიშვნელობა. მაგალითად, სავაჭრო სფეროების დაუფლების მიზნით, *პროტესტანტული ინგლისის რესპუბლიკა* ეომებოდა ასევე *პროტესტანტულ ჰოლანდიას.* დიად გამოჩნდა საგარეო პოლიტიკის *ეკონომიკური ინტერესები,* რომლებსაც შუა საუკუნეებში რელიგიური რიტორიკა ჩქმალავდა.

ინგლისმა და საფრანგეთმა ახალშენები დააარსეს ჩრდილოეთ ამერიკაში. ინგლისელებმა დაასახლეს *ახალი ინგლისის* კოლონიები – *კონეკტიკატი, მასაჩუზეტსი, ნიუ ჰემპშირი* და *როდ აილენდი,* აგრეთვე *პენსილვენია, მერილენდი, ვირჯინია, ნიუ ჯერზი, დელაუერი, ჩრდილოეთი* და *სამხრეთი კეროლაინა, ჯორჯია.*

ფრანგებმა დაასახლეს *კანადა* და *ლუიზიანა.* ამ უკანასკნელს ეს სახელი საფრანგეთის მეფე *ლუი* XIII-ის პატივსაცემად დაერქვა. მას ეკავა დიდი ტერიტორია მდ. *მისისიპის* ხეობიდან დასავლეთით *კლდოვან მთებამდე* (*Rocky Mountains*), სადაც ფრანგული დასახლებები მხოლოდ წერტილოვანი თუ იყო, ისიც კედლებით გარშემორტყმულ ფორტებში. ქ. *ნიუ ორლეანი* (*New Orleans*) მისისიპის დელტაში ფრანგების დაარსებულია, როგორც *La Nouvelle-Orleans.* ფრანგული *ლუიზიანას* არსებობა ინგლისურ კოლონიებს დასავლეთით გაფართოების საშუალებას უზღუდავდა. 1802 წელს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა იყიდა საფრანგეთისაგან ლუიზიანა.

1625 წელს ჰოლანდიელებმა კუნძულ მანჰეტენის სამხრეთ ნაწილში დააარსეს დასახლება *ნიუ ამსტერდამი* (*Nieuw-Amsterdam*). 40 წლის შემდეგ მათ გაუცვალეს მანჰეტენი ინგლისელებს ღღევანდელი ინდონეზიის ერთ პატარა კუნძულში, სადაც მაშინ ძალიან ძვირად ღირებული მუსკატის კაკალი ხარობდა. ინგლისის მეფის ძმის პატივსაცემად, რომელიც იორკის ჰერცოგი იყო, 1664 წლის 8 სექტემბერს *ნიუ ამსტერდამს* სახელი შეეცვალა და *ნიუ იორკი* (*New York*) დაერქვა. ჰოლანდიელი კოლონისტები იქვე დარჩნენ და მონაწილეობა მიიღეს ამერიკელი ერის ფორმირებაში.

უესტ-ინდოეთში ინგლისისა და საფრანგეთის სამფლობელოები მეზობელ კუნძულებზე მდებარეობდა და ისინი ებრძოდნენ კიდეც ერთიმეორეს.

ჰოლანდიელებთან და პორტუგალიელებთან კონფლიქტების მიუხედავად, ინდოეთის ოკეანის აუზში ძირითადი მეტოქეობა კვლავ ბრიტანეთსა და საფრანგეთს შორის მიმდინარეობდა.

„*შვიდწლიანი ომი*“ (1756-1763), გარკვეული თვალსაზრისით, „მსოფლიო ომი“ იყო, რადგან დიდ ბრიტანეთს, პრუსიას და პორტუგალიას დაუპირისპირდა საფრანგეთის, ესპანეთის, ავსტრიის, რუსეთისა და შვედეთის კოალიცია, ხოლო საბრძოლო მოქმედებები მიმდინარეობდა ევროპაში, ამერიკაში, აფრიკასა და ოკეანეთში.

„შვიდწლიანი ომის“ დროს *ლონდონმა მიზნად დაისახა ფრანგების გამოძევება ინდოეთიდან და ჩრდილო ამერიკიდან და ორივე შემთხვევაში წარმატებას მიაღწია.*

XVIII საუკუნის დასაწყისში ბრიტანელებს ინდოეთში გააჩნდათ მხოლოდ კერძო „*ისტ-ინდია კომპანის*“ რამდენიმე *ფაქტორია* (გამაგრებული სავაჭრო პუნქტი). ესენი იყო იმ დროს პატარა დასახლებები, რომლებიც ამჟამად მრავალმილიონიანი აგლომერაციებია – *ბომბეი* (*Bombay*, ახლა *Mumbay*) მაჰარაშტრას შტატში. ის მზითევში მოჰყვა პორტუგალიის ინფანტა *კატარინა დე ბრაგანსას*, როდესაც ის 1661 წელს მისთხოვდა ინგლისის მეფე *ჩარლზ* II-ს; *კალკუტა* (*Calcutta*) – ბენგალიაში; *მადრასი* (*Madras*, ახლა *Chennai*) – დღევანდელ თამილნადუს შტატში. ეს სამი ქალაქი ბრიტანელების მთავარი დასაყრდენი გახდა ინდოეთში მათი ბატონობის პირველ ასწლეულში.

ფრანგებს ინდოეთში მეტი ფაქტორიაც ჰქონდათ (მათ შორის უმთავრესი იყო მადრასიდან 100 მილზე მდებარე *პონდიშერი*) და ისინი აქტიურად თანამშრომლობდნენ ადგილობრივ *რაჯებთან, ნაბაბებთან და მაჰარაჯებთან*: ეს იქაური „მეფე-მთავარ-იმპერატორების“ ტიტულები იყო. ხაზგასასმელია, რომ ინდოეთში ინგლისელები/ბრიტანელები კერძო კომპანიით იყვნენ წარმოდგენილი, ფრანგებს კი ზურგს სახელმწიფო უმაგრებდა.

განუწყვეტელი ომების დროს, რომელთაც ფრანგები და ბრიტანელები ინდოეთში ეწეოდნენ, გამარჯვების სასწორი თითქოს საფრანგეთის მხარეს უნდა გადახრილიყო: 1746 წელს მათ ბრიტანელებს *მადრასი* წაართვეს, როგორც მერე გაირკვა – დროებით. საბოლოოდ კი ბრიტანელებმა გაიმარჯვეს. მათი შეიარაღებაც უკეთესი აღმოჩნდა და წმინდა ადამიანურმა ფაქტორმაც იმოქმედა – ბრიტანელებს უკეთ მომზადებული და მოტივირებული ორგანიზატორები ჰყავდათ.

„ისტ-ინდია კომპანის“ ერთი მოხელის (შემდგომში – ლორდის) *რობერტ კლაივის* (*Robert Clive*, 1725-1774) ინიციატივით, კომპანიამ შექმნა პატარა, მაგრამ ბრძოლისუნარიანი რეგულარული არმია, სადაც ბრიტანელი ოფიცრები და ადგილობრივი ჯარისკაცები მსახურობდნენ. არმია იბრძოდა ევროპული დისციპლინის დაცვითა და იმ დროისათვის მოწინავე შეიარაღებით. ბრიტანელების წარმატე-

ბისათვის გადამწყვეტი აღმოჩნდა კლაივის პირადი სიმამაცე, სიმტკიცე და სამხედრო ნიჭი, თუმცა მის თვისებებში ასახელებდნენ აგრეთვე მომხვეჭელობას, პატივმოყვარეობას, ორპირობას.

ინდოეთის ადგილობრივ ჯარისკაცებს „სიფოი“ (*sepoy*) ეწოდებოდათ, რაც სპარსულიდან შესული სიტყვაა: იქ *sepahi* ქვეით ჯარისკაცს ნიშნავს (ოსმალებთან *sipahi* ცხენოსანი იყო). სპარსულიდან ეს სიტყვა ქართულშიც შემოვიდა, როგორც „*სპა*“ (აქედანვეა „სპასალარი“).

გადამწყვეტი გამარჯვება ბრიტანელებმა მოიპოვეს 1757 წლის 23 იანვარს *პლესისთან* ბრძოლაში (*Plassey*, ადგილობრივი სახელია *Palashi).* „ისტ-ინდია კომპანის“ პატარა არმიამ 950 ევროპელითა და 2300 ადგილობრივი მებრძოლით, რომელსაც კლაივი სარდლობდა, დაამარცხა ბენგალიის *ნაბობის* (მთავრის) *სირაჯ ადდოულას* 68-ათასიანი ლაშქარი, რომელსაც ჰქონდა 53 ზარბაზანი, ჰყავდა საბრძოლო სპილოები და 50 ფრანგი მრჩეველი. ბენგალიელების სამხედრო წესრიგი და საბრძოლო სულისკვეთება ბრიტანელებთან შედარებით უფრო დაბალი აღმოჩნდა, თანაც ომის დროს მათ რიგებში ღალატს ჰქონდა ადგილი. ბრიტანეთს ხელში ჩაუვარდა აღმოსავლეთი ინდოეთი – ჯერ *ბენგალია*, შემდეგ – *ბიჰარი და ორისა*.

1763 წლის *პარიზის საზავო ხელშეკრულებით* ინდოეთის დიდ ნაწილზე „ისტ-ინდია კომპანიმ“ მიიღო ერთპიროვნული უფლებები, ფრანგებს კი მხოლოდ ხუთი სანაპირო ქალაქი შერჩათ.

ამ წარმატებამ საფუძველი შეუქმნა მთელ ინდოეთში ბრიტანეთის გაბატონებას. კომპანიის მიერ ინდოეთის ძარცვამ უზარმაზარი მასშტაბი მიიღო. კომპანიის უბრალო მოხელეებიც კი სიმდიდრეს იხვეჭდნენ, ხოლო მსხვილი ადმინისტრატორები ბრიტანეთში ბრუნდებოდნენ „*ნაბობებად*“ (*Nabob*: ინდოეთში მთავარს ნიშნავდა, ინგლისში კი 1612 წლიდან იქცა „ინდოეთში უსაშველოდ გამდიდრებულის“ მეტსახელად) გაჩნდა ჯერ კიდევ 1612 წელს) და შეეძლოთ “ეყიდათ” ადგილი პარლამენტში ან ლორდის ტიტული.

ჩრდილოეთ ამერიკაშიც თავდაპირველად თითქოს ფრანგების უპირატესობა აშკარა იყო. ინგლისური კოლონიები მკვეთრ ზეწოლას განიცდიდნენ ფრანგული კანადის მხრიდან. მაგრამ აქაც, საბოლოოდ, ბრიტანეთმა იმარჯვა.

„შვიდწლიანი ომის“ დროს ახალგაზრდა გენერალმა *ჯეიმზ უოლფმა* (*James Wolfe*) 1759 წელს იერიშით აიღო ქ. *კვებეკი* (*Quebec*): ის იმავე ბრძოლაში დაიღუპა. 1760 წ. ბრიტანელებმა ქ. *მონრეალიც* (*Montreal*) აიღეს. ფრანგებმა დაკარგეს კანადა, რომელიც ბრიტანულ კოლონიად იქცა.

თემა 10. სამრეწველო გადატრიალება, როგორც ბრიტანეთის მსოფლიო ჰეგემონობის საფუძველი. ადამ სმითის პოლიტიკური ეკონომია.

ლიტერატურა: გაერთ. სამ. გვ. 207-217

XVIII საუკუნის ომები, შუა საუკუნეებთან შედარებით, სახელმწიფოებს გაცილებით ძვირი უჯდებოდათ, მაგრამ, ფინანსური თვალსაზრისით, ბრიტანეთს ომი ერთგვარად გაუადვილდა.

შუა საუკუნეებში ინგლისის მეფე საჭირო სახსრებს ყოველი ომის წინ აგროვებდა: თუ პარლამენტი გაჯიუტდებოდა და საომრად საჭირო სუბსიდიის გაცემაზე უარს იტყოდა, ომის ბედს ასეთი შიდა ფაქტორი გადაწყვეტდა.

"სახელოვანი რევოლუციის" შემდეგ კი ომი ინგლისის პარლამენტის საქმედ იქცა. თემთა პალატა დამოუკიდებლად განაგებდა გადასახადების აკრეფის საქმეს. მთავრობა წყვეტდა ომის საკითხს და ყველა კონკრეტულ შემთხვევაში ნაღდი ფულის სწრაფად აკრეფა აღარ იყო საჭირო. სახელმწიფოს შეეძლო, აეღო სესხი „***ინგლისის ბანკში***" – კერძო დაწესებულებაში, რომელიც მეფისა და პარლამენტის თანხმობით შეიქმნა 1694 წელს საგანგებოდ იმ მიზნით, რომ წლიური 8-პროცენტიანი გრძელვადიანი სესხი მიეცა მთავრობისათვის. ბანკს მიენიჭა *ბანკნოტების* გამოშვების მონოპოლიური უფლება და მალე ქაღალდის ფული ლითონის ფულის თანასწორად ტრიალებდა ბრიტანეთში.

სახელმწიფო დაინტერესებული იყო „*ინგლისის ბანკის*" სიმტკიცით, ხოლო ფინანსურმა ოლიგარქიამ, რომლის სიძლიერის სიმბოლოდ იქცა ლონდონის *თრედნიდლ-სტრიტი* (*Threadneedle Street*), სადაც მდებარეობდა „ინგლისის ბანკი", დაიწყო წამყვანი როლის თამაში ბრიტანეთის ეკონომიკასა და პოლიტიკურ ცხოვრებაში, რასაც დღემდე ახორციელებს.

სახელმწიფო ვალმა კოლოსალური ტემპით დაიწყო ზრდა. თუ 1694 წელს ის 1,5 მილიონ პაუნდს შეადგენდა, 1775 წელს – 126 მილიონი გახდა, ხოლო ნაპოლეონთან ომების დამთავრებისათვის, 1815 წელს – 860 მილიონი პაუნდი. სახელმწიფო ვალის გასტუმრების აუცილებლობა იწვევდა პირდაპირი გადასახადებისა და *აქციზების* (არაპირდაპირი გადასახადი პირველადი მოხმარების საგნებზე) სწრაფ ზრდას. ამას შედეგად მოსდევდა მოსახლეობის ფენებს შორის მკვეთრი ქონებრივი უთანასწორობის წარმოშობა. კიდევ უფრო უწყობდა ხელს უთანასწორობის ზრდას ეკონომიკური განვითარება, რომელიც მთლიანობაში პროგრესულ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ, მაგრამ სოციალური სამართლიანობის დამყარებას იმ ეპოქაში ის სულაც არ მოასწავებდა.

XVIII საუკუნის ბრიტანეთში მოხდა მსოფლიოში პირველი „*ინდუსტრიული (სამრეწველო) რევოლუცია*", რამაც გამოიწვია მთელი საზოგადოების თვისობრივი შეცვლა.

ქვემოთ მომყავს ვრცელი ციტატა ინგლისელი ისტორიკოსის *არტურ ლ. მორტონის* წიგნიდან „ინგლისელი ხალხის ისტორია“, რომელიც კარგად განმარტავს (თუნდაც ერთგვარი გადახრით „კლასობრივი პოზიციისაკენ“), რა, როგორ მოხდა და რა შედეგები მოიტანა:

„მთელი ამ პერიოდის (1688 წლიდან XVIII საუკუნის შუაწლებამდე) ისტორიის აზრი შეიძლება გამოვხატოთ ორი სიტყვით: კაპიტალის დაგროვება... ამისათვის რამდენიმე გზა არსებობდა: უპირველეს ყოვლისა, ის ხორციელდებოდა სახელმწიფო ვალის ზრდით და, შესაბამისად, გადასახადების ზრდითაც. ამასთანავე, მსხვილი კაპიტალი გროვდებოდა ადამიანთა მცირერიცხოვანი ჯგუფის ხელში, რომელსაც შეეძლო მიეცა სახელმწიფოსათვის სახსრები ომის საწარმოებლად. მეორე – კაპიტალის დაგროვება ხდებოდა [საგარეო] *ვაჭრობის სწრაფი გაფართოების ხარჯზე, რაც უმთავრესად ემყარებოდა მონოპოლიურ ბატონობას კოლონიურ იმპერიაში. და მესამე – ეს იყო ინდოეთის პირდაპირი ძარცვის შედეგი... კაპიტალის დაგროვების კიდევ ერთი წყარო იყო სოფლად იომენების კლასის საბოლოო განადგურება და სოფლის მეურნეობის სრული გადასვლა კაპიტალისტური განვითარების გზაზე.*

მხოლოდ მოვლენათა ზედაპირს თუ შევხედავთ, ამ პერიოდს მკვეთრი ცვლილებები არ ახასიათებდა. საზოგადოება შედარებით სტაბილური იყო. არ ჩანდა გამოხატული ცვლილებები სხვადასხვა კლასების ურთიერთობაში, არ ხდებოდა რევოლუციები და ხალხის ფართო მასებიც აშკარა უკმაყოფილებას ნაკლებად ამჟღავნებდნენ. ეს იყო არსებული ხელისუფლების სრული აღიარების ხანა; სოფლად სკვაირისა და მღვდლის ბატონობის ხანა; საუკუნე, როდესაც ელეგანტურობა უფრო ფასობდა, ვიდრე ფართო ჰორიზონტი და როცა სიტყვა „ენთუზიაზმი“, რომელსაც „ფანატიზმად“ აღიქვამდნენ, ყოველთვის ზიზღით წარმოითქმოდა.

მაგრამ ამ ზედაპირს ქვემოთ, [ლონდონის] *სიტიში, ოქროს მდინარეები მიედინებოდა, მათი დონე წლიდან წლამდე მაღლა იწევდა და ბოლოს მათ ნაპირები გადმოლახეს და, რაღაც ჯადოსნური ძალით, ეს მდინარეები იქცნენ ფაბრიკებად, მადაროებად, მეტალურგიულ ქარხნებად. ამ მდინარემ დაფარა ნახევარი ინგლისი, საბოლოოდ დაასამარა ძველი ცხოვრება და წეს-ჩვეულებანი. ამ „წყალდიდობას“ ხალხმა „ინდუსტრიული რევოლუცია“ უწოდა.*

სინამდვილეში, რა თქმა უნდა, ეს რევოლუცია არ მომხდარა ასე უეცრად და დრამატულად, როგორც ამ აღწერიდან შეიძლება მოგეჩვენოთ. მე მხოლოდ ვცდილობდი ამეხსნა, რომ აქ ჩვენ გვაქვს უკიდურესად საოცარი მაგალითი რაოდენობრივი ცვლილებებისა, რომლებიც თვისებრივში გადავიდა: ომი უფრო ძვირი გახდა, კოლონიების ექსპლუატაცია – უფრო მომგებიანი, კაპიტალისტები – უფრო მდიდარი; და უპირატესად აგრარული ქვეყანა იქცა უპირატესად ინდუსტრიულად; ქვეყანა, რომლის ეკონომიკაში სავაჭრო კაპიტალი ბატონობდა, იქცა ქვეყნად, რომელსაც სამრეწველო კაპიტალი მართავს“.

ინდუსტრიულ რევოლუციას თან ახლდა „ტექნოლოგიური რევოლუციაც“. ***ბრიტანეთი იქცა მანქანური წარმოების სამშობლოდ***. ბევრი გამოგონება და ტექნიკური სიახლე პირველად სწორედ ამ კუნძულებზე გაჩნდა და წარმოებაში დაინერგა.

ეს იყო ეპოქა, რომელიც მოითხოვდა ტექნიკური აზრის დიდ მიღწევებს და ღებულობდა კიდეც მათ. ადამიანის ტვინი თვისებრივად კი არ გაუმჯობესდა, უბრალოდ, ის მომზადდა ახალი დატვირთვისათვის. გარდა ამისა, ტექნიკურ სიახლეს გაუჩნდა მომხმარებელი.

სხვა ქვეყნებში და სხვა დროსაც იყვნენ გენიალური შინგაზრდილი გამომგონებლები. არსებობს ცნობა, რომ ჯერ კიდევ XVI საუკუნეში ერთმა ესპანელმა გამოიგონა ორთქლის მანქანა, მაგრამ თითქმის არავის ახსოვს მისი სახელი. სამაგიეროდ ყველამ იცის, რომ ორთქლის მანქანა შექმნა შოტლანდიელმა *ჯეიმზ უოტმა* (*James Watt,* 1736-1819), რადგან მისი მანქანა, რომელზეც მან პატენტი აიღო 1769 წელს, სწორედ ეპოქისათვის იყო შექმნილი. სინამდვილეში, უოტმა მკვეთრად გააუმჯობესა უკვე არსებული ორთქლის მანქანა, როდესაც განცალკევებული კონდენსატორის კამერა დაუყენა მას. ორთქლის მანქანის მოქმედების პრინციპები კი უოტზე ადრეც იყო ცნობილი: უკვე XVIII საუკუნის დამდეგს *თომას ნიუკომენმა* შექმნა ორთქლის ძალაზე მომუშავე ტუმბო, მაგრამ პატენტი მასზე, როგორც ჩანს, არ აუღია.

ჯეიმზ უოტმა ასევე შექმნა *ცხენის ძალის* კონცეფცია.

ბრიტანეთის ინდუსტრიალიზაციის თავისებურება, ისევე როგორც ყველგან, სადაც ეკონომიკის მართვაში სახელმწიფო არ ერევა, იყო ის, რომ თავიდან ვითარდებოდა მსუბუქი მრეწველობა: მისი პროდუქციის უშუალო მომხმარებელი რიგითი ადამიანი იყო და დაბანდებული კაპიტალი შედარებით სწრაფად იძლეოდა მოგებას. ამის შემდეგ იწყებოდა უფრო კაპიტალტევადი მძიმე მრეწველობის განვითარება.

ბრიტანეთში დიდი ტექნიკური სიახლენი თავდაპირველად საფეიქრო მრეწველობაში დაინერგა. მათგან მხოლოდ რამდენიმეს დავასახელებ: *ჯონ კეის* „მფრინავმა მაქომ“ (1733 წ.) გაადვილა ქსოვის პროცესი; *ჯეიმზ ჰარგრივსის* მანქანა „ჯენიმ“ (1765 წ.) – რთვა; 1769 წელს *რიჩარდ არკრაიტმა* წყლის ენერგიის გამოყენების ბაზაზე შექმნილი მანქანით გააუმჯობესა რთვის ხარისხი; *სემუელ კრომპტონმა* 1779 წელს დააპატენტა სართავი დაზგა, რამაც დიდად დააჩქარა ქსოვილების წარმოება და ა.შ.

აქვე აღსანიშნავია, რომ ტექნოლოგიური ძვრები თავიდან შესამჩნევი იყო ბამბეულის წარმოებაში, რომელიც ბრიტანეთისათვის არატრადიციულ დარგს წარმოადგენდა და მუშაობდა შემოტანილ ნედლეულზე – ბამბაზე. იორკშირში და, განსაკუთრებით, სამხრეთ ლანკაშირში, ბამბეულის მრეწველობის წყალობით, ქალაქებად იქცა პატარა დასახლებული პუნქტები – *მანჩესტერი, უიგანი, ბლეკბერნი* და ბევრი სხვა.

ადგილობრივი მატყლის ნედლეულზე დაფუძნებული მაუდის (შალეულის) წარმოებაში კი დიდხანს რჩებოდა ტრადიციული ტიპის მანუფაქტურა, რომელსაც შუა საუკუნეებში დაწესებული გილდიური შეზღუდვები განვითარების საშუალებას უზღუდავდა. მემაუდეები მტრული თვალით უყურებდნენ ახალ მანქანებს, რომლებიც ხელით შრომას კონკურენციას უწევდნენ. მაუდის მრეწველობის ძველ ცენტრში – ისტ-ანგლიაში – ახალი საფეიქრო ტექნოლოგია დიდხანს ვერ დამკვიდრდა.

ახალი მანქანა-დანადგარების დანერგვა ძველ ხელოსნებს უჩენდა ეჭვს (ხშირად, არცთუ უსაფუძვლოს), რომ „მანქანები მათ სამუშაოს აკარგვინებენ“. XIX საუკუნის დასაწყისში, ძირითადად 1811-1816 წლებში, არსებობდა ე.წ. „*ლუდიტების მოძრაობა*“, რომელიც ახალ მანქანებს ანადგურებდა და მექარხნეებს ერჩოდა[8]. მათ წინააღმდეგ მთავრობამ არმიაც კი გამოიყენა.

იცვლებოდა მრეწველობის განლაგების განმსაზღვრელი ფაქტორები. ღადგან უოტის ორთქლის მანქანის დადგმა ყველგან შეიძლებოდა, *აღარ იყო აუცილებელი ქარხნის ან ფაბრიკის აშენება მდინარის ნაპირზე,* სადაც ადრე წყლის ენერგიას იყენებდნენ. *ეიბრეჰემ დარბის* (*Abraham Darby* I: ამ სახელით დარბის სამი თაობაა ცნობილი!) მიერ ქვანახშირის კოქსის მეშვეობით მაღალხარისხოვანი თუჯის მიღების ტექნოლოგიის შემუშავებამ *მეტალურგიული ქარხნები მოსწყვიტა ტყის სიახლოვეს,* რომლებიც ისედაც საკმაოდ გაიჩეხა „სამრეწველო რევოლუციის“ წინა პერიოდში, როდესაც ლითონს ხის ნახშირით ადნობდნენ. ორივე ზემოხსენებული ფაქტორის – მდინარისა და ტყის სიახლოვის – მოხსნა ხელს უწყობდა მრეწველობის ფართო გავრცელებას. *განლაგების ახალ ფაქტორებად* იქცეოდა ნედლეულის ან საწვავის წყარო, სატრანსპორტო მდებარეობა, გასაღების ბაზრის სიახლოვე და ა.შ. იაფი მუშახელის არსებობა მხოლოდ XX საუკუნის მეორე ნახევარში იქცევა მრეწველობის *განლაგების ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად.* XVIII საუკუნეში იაფ მუშახელს ბრიტანეთის სოფელი ჯერ კიდევ უზრუნველყოფდა.

მრეწველობის მიზიდულობის ცენტრებად იქცა ქვანახშირის ბუდობები სამხრეთ უელსში, შოტლანდიის დაბლობზე, ჩრდილო-აღმოსავლეთ ინგლისში და, განსაკუთრებით, უესტ მიდლენდსში: იქ ბევრი ქარხანა და მუშათა დასახლება გაჩნდა, რომლებიც მსხვილ ინდუსტიულ ქალაქებად იქცა: *ბირმინჰემი* და *მიდლენდსის* „შავი ქვეყანა“ აწარმოებდნენ ყველაფერს – ქინძისთავიდან ქვემეხამდე.

ეიბრეჰემ დარბი III-მ (შვილიშვილმა) თუჯის ხიდების მშენებლობა დაიწყო. 1824 წელს *ჯოზეფ ესპდინის* (*Joseph Aspdin*) მიერ პორტლენდ-ცემენტის მიღების დაპატენტებამ გააადვილა მშენებლობა, მათ შორის, შესაძლებელი გახადა მდ.

---

[8] თანამედროვე ტერმინოლოგიით „*ლუდიტს*“ (*Luddite*, გამოითქმის *ლადაიტ*) უწოდებენ ადამიანს, რომელიც უპირისპირდება ინდუსტრიალიზაციას, ავტომატიზაციას, კომპიუტერიზაციას, ზოგადად, ახალ ტექნოლოგიებს.

ტემზის ქვეშ გვირაბების გაყვანა, ლონდონის მიწისქვეშა რკინიგზის – მეტროს – მშენებლობა (ის 1863 წლიდან ამოქმედდა) და დიდი ქალაქების საკანალიზაციო სისტემების შექმნა.

ფოლადის მრეწველობა აღმავლობას განიცდიდა. შოტლანდიაში, *კერონის* ქარხნის მიერ წარმოებული მაღალხარისხოვანი მოკლე მანძილის, მაგრამ მძლავრი ქვემეხები (*Carronades*) იმ პერიოდის ბრიტანული სამხედრო-საზღვაო ძალების უპირატესობის მიზეზი გახდა, მათ შორის, გადამწყვეტ *ტრაფალგარის* ბრძოლაშიც (1805).

სწრაფად მზარდი საფეიქრო მრეწველობის უმსხვილესი დამკვეთიც იმ პერიოდში სამეფო სამხედრო-საზღვაო ფლოტი იყო: აფრიანი გემების ხანაში მათ სჭირდებოდათ დიდძალი ქსოვილი და ბაგირი.

იზრდებოდა ქვანახშირის მოპოვება. 1700 წელს ამოიღეს 2,6 მილიონი ტონა, 1750-ში – 4,8, ხოლო 1800 წელს – 10 მილიონი ტონა. თავიდან სწორედ შახტებიდან წყლის ამოტუმბვის მიზნით შეიქმნა ორთქლის ძალით მომუშავე *ნიუ-კომენის* მანქანა.

სატრანსპორტო ქსელის მდგომარეობა XVIII საუკუნის ინგლისში ცუდი იყო. ყველაზე კარგი ზედაპირის მქონე შარაგზებად ინგლისში მიიჩნეოდა რომაელების დროიდან შემორჩენილი ძალიან დანგრეული გზები – სხვა უარესი იყო!

XIX საუკუნის დასაწყისში შოტლანდიელი ინჟინრის *ჯონ მაკადამის* მიერ გამოგონილმა გზების მოკირწყვლის ახალმა მეთოდმა („მაკადამიზებამ“) მკვეთრად გააუმჯობესა შარაგზების ქსელი.

უფრო ადრე, XVIII საუკუნეში, ბრიტანეთში დაიწყო არხების მშენებლობის ბუმი. პირველი ქალაქი, რომელიც 1760-იან წლებში არხით დაუკავშირდა ზღვას, იყო *მანჩესტერი*. XVIII საუკუნის ბოლოს კი ქვეყანა უკვე დაქსელილი იყო რამდენიმე ათასი კილომეტრი სიგრძის არხებით. გაიზარდა ტვირთბრუნვა და ქვეყნის შუაგულში მდებარე სოფლები სანავსადგურო ქალაქებად იქცა.

მოდიფიცირებული სახით ორთქლის მანქანა სატრანსპორტო საშუალებებშიც გამოიყენეს: 1807 წელს ზღვაში გაიარა პირველმა „ორთქლის გემმა“ (ის ამერიკაში აიგო). 1825 წელს რელსებზე დადგა პირველი ორთქლმავალი: ინგლისელი *ჯორჯ სტივენსონის* მიერ შექმნილმა ლოკომოტივმა გაიარა ქალაქებს *სტოკტონსა* და *დარლინგტონს* შორის.

ძალიან მალე მთელი კუნძული რკინიგზის ლიანდაგებით დაიქსელა.

სხვადასხვა სახის ტრანსპორტი კონკურენციას უწევდა ერთიმეორეს. არხებს ეკონომიკური თვალსაზრისით აჯობა რკინიგზამ. მაგალითად, XIX საუკუნის პირველ ათწლეულებში დიდი დანახარჯით გაყვანილი *კალედონიის არხი*, რომელიც ჩრდილოეთ შოტლანდიას კვეთდა ატლანტის ოკეანისა და ჩრდილოეთი ზღვის დასაკავშირებლად (ლოხ-ნესის ტბის გავლით), უსარგებლო აღმოჩნდა, რადგან შოტლანდიის დასავლეთი და აღმოსავლეთი ნაპირები უფრო ეფექტიანად დააკავშირა რკინიგზამ.

ფინანსისტები დიდ თანხებს აბანდებდნენ რკინიგზის მშენებლობაში. რკინიგზები კერძო მფლობელობაში იყო და ზოგიერთ ქალაქებს (მაგალითად, ლონდონსა და ედინბურგს) ორი ან რამდენიმე კონკურენტი კომპანიის ხაზი აკავშირებდა.

1846 წელს ბრიტანეთში დაწესდა ***რკინიგზის ლიანდაგის სიგანის სტანდარტი*** – 4 ფუტი და 8,5 დიუმი, ანუ 1435 მილიმეტრი. სტანდარტი რომაული ფურგონების მოდელზე დაწესდა. ლიანდაგის ეს სტანდარტი საყოველთაოდაა გავრცელებული. ევროპაში მხოლოდ რუსეთის იმპერიამ არ მიიღო ის და დღემდე, ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, ლიანდაგის სიგანე თითქმის 10 სანტიმეტრით მეტია სტანდარტულზე.

XVIII საუკუნეში და XIX საუკუნის პირველ ნახევარში ბრიტანელ მეწარმეებს უცხოური კონკურენციის გარეშე შეეძლოთ განევითარებინათ შავი და ფერადი მეტალურგია, გემთმშენებლობა, ორთქლმავალმშენებლობა, ჩარხმშენებლობა.

„ინდუსტრიულმა რევოლუციამ“ მკვეთრად შეცვალა ბრიტანეთში ***საწარმოო ძალების განლაგება და მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა***. ახალი ქალაქები აღმოცენდა ინგლისის ჩრდილოეთ ნაწილში, დასავლეთ იორკშირში, სამხრეთ ლანკაშირში, მდინარეების ტაინისა და ტისის ხეობებში. სამხრეთ უელსი და შოტლანდიის დაბლობი, თავიანთი ქვანახშირის მადაროების წყალობით, ასევე იქცნენ ურბანიზებულ მხარეებად. აგრარული, ჩამორჩენილი მთიანი შოტლანდია და ირლანდია კი, პირიქით, მოსახლეობას კარგავდნენ.

ცნობილმა მწერალმა *დენიელ დეფომ* XVIII საუკუნის დასაწყისში ქალაქ *გლაზგოს,* სადაც მაშინ 12 ათასამდე ადამიანი ცხოვრობდა, უწოდა *„ყველაზე მშვენიერი და სუფთა, ლონდონის შემდეგ ყველაზე საუკეთესოდ ნაგები ქალაქი ბრიტანეთში“*. მაგრამ XIX საუკუნის გლაზგო აღარც პატარა იყო, აღარც სუფთა და აღარც მშვენიერი. ის გაჭვარტლა სამრეწველო კვამლმა და დაამახინჯა უსისტემო სამრეწველო მშენებლობამ. იგივე ხდებოდა სხვა ინდუსტრიულ ქალაქებშიც.

1801 წელს ბრიტანეთში ჩატარებული მოსახლეობის პირველი საყოველთაო აღწერის დროს გამოირკვა, რომ შვიდ ქალაქში – *მანჩესტერში, გლაზგოში, ბირმინჰემში, ლივერპულში, ლიდსში, ბრისტოლსა* და *ედინბურგში* – მოსახლეობა 50 ათასს აღემატებოდა. მათ შორის პირველი ხუთი „ინდუსტრიული რევოლუციის“ დროს იქცა ქალაქად. იმავე 1801 წელს *ლონდონის* მოსახლეობის რაოდენობა მილიონს გასცდა. ის უკვე XVIII საუკუნეში გახდა მსოფლიოს უდიდესი ქალაქი, სავაჭრო და ფინანსური ცენტრი. მრეწველობა იქ ნაკლებად იყო წარმოდგენილი.

სწრაფ ურბანიზაციასთან ერთად, იზრდებოდა მოთხოვნა სურსათზე. სოფლის მეურნეობაში ხდებოდა ეკონომიკური და აგროტექნიკური ძვრები. მყარი შიდა ბაზრის არსებობამ მომგებიანი გახადა სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია. ფერმერებმა გააუმჯობესეს თესლბრუნვა. დაიწყეს პირუტყვისათვის საკვები კულტურების თესვა, გაზარდეს მეცხოველეობის პროდუქტიულობა და გააუმჯობესეს

ჯიშობრივი შემადგენლობა. ინერგებოდა მეცნიერული მეთოდები და ახალი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, მაგალითად, ორთქლისძრავიანი ტრაქტორები.

1760-1815 წლებს შორის პარლამენტმა გაატარა 2800 კანონი *კერძო შემოღობვის* შესახებ. უფრო მეტი შემოღობვა მოხდა პირადი გარიგებით.

მთელი XVIII საუკუნის განმავლობაში სოფელ ადგილას განუხრელად მცირდებოდა გლეხობის აბსოლუტური რიცხვი, ხოლო XIX საუკუნეში იქამდე მრავალრიცხოვანი, საკუთარი მიწის მქონე, საშუალო გლეხობა (იომენები), როგორც სოციალური კლასი, პრაქტიკულად გაქრა. სამაგიეროდ, სოფლად მომრავლდნენ ფერმერები, ანუ საბაზრო ეკონომიკაზე ორიენტირებული მეწარმეები, რომლებიც დაქირავებული შრომის მეშვეობით გასაყიდად აწარმოებდნენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას. გაჩნდა საკუთრების არმქონე მოსახლეობის დიდი მასა, რომელიც მზად იყო, მცირე გასამრჯელოს ფასად ემუშავა ფერმებსა და ფაბრიკა-ქარხნებში.

მიუხედავად ქონებრივი უთანასწორობის ზრდისა (ან, ზოგიერთ შემთხვევაში, მისი წყალობით: იგულისხმება იაფი მუშახელის წარმოქმნა) XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ბრიტანეთი მსოფლიოს ყველაზე ინდუსტრიული და სამხედრო თვალსაზრისით უმძლავრესი ქვეყანა გახდა. მისი საქონელი მსოფლიოს ყველა კუთხეში იყიდებოდა და ყველა ზღვის ყველა ნავსადგურში შესული გემების ანძებზე ამაყად ფრიალებდა „*იუნიონ ჯეკი*“.

გასაკვირი არაა, რომ ეკონომიკურად სწრაფად განვითარებად ბრიტანეთში ჩაეყარა საფუძველი თანამედროვე *პოლიტიკურ ეკონომიას*: 1776 წელს გამოვიდა ედინბურგის უნივერსიტეტის პროფესორის *ადამ სმითის* (1723-1790) წიგნი „*გამოკვლევა სახელმწიფოთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ*“, სადაც ავტორმა კარგად გამოავლინა *მერკანტილისტური* პოლიტიკის, უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ქვეყანაში ოქროს დაგროვების, უსარგებლობა: „*თუ რომელიმე ქვეყანას შეუძლია მოგვაწოდოს საქონელი იმაზე იაფად, რაც ჩვენ დაგვიჯდება მისი დამზადება, ჯობს ვიყიდოთ ეს უცხოური საქონელი და მივაწოდოთ სხვა ქვეყნებს ის, რაც ჩვენ გვიჯდება იაფი*“. შრომის ასეთი საერთაშორისო დანაწილება მართლაც ძალიან ხელსაყრელი იყო ბრიტანეთისათვის, რადგან მისი განვითარებული მრეწველობა, სავაჭრო და სამხედრო ფლოტი, პოლიტიკური ბატონობა კოლონიებში მას დიდ უპირატესობას ანიჭებდა.

ადამ სმითის დამსახურებაა აგრეთვე ღირებულების შრომითი თეორიის შემუშავება. მან ფაქტობრივად განმარტა, რომ საგნის ღირებულებას განსაზღვრავს მასზე (შექმნაზე, მოპოვებაზე) დახარჯული შრომა.

ლონდონი მსოფლიოს უდიდესი კულტურული ცენტრი ხდებოდა. იქ მოღვაწეობდნენ ცნობილი მწერლები. დაარსდა წიგნის ბევრი გამომცემლობა. თუ ადრე ინფორმაციის ძირითადი წყარო პაბში მოსმენილი ჭორები იყო, 1785 წლიდან ყოველდღიური სიახლეების შეტყობა პრესის მეშვეობითაც გახდა შესაძლებელი. იმ წელს ლონდონში გამოსვლა დაიწყო გაზეთმა „*თაიმსმა*“ (*The Times*) და ის დღემდე, 230 წელზე მეტია, გამოდის.

თემა 11. გაერთიანებული სამეფოს საგარეო პოლიტიკა მე-19 საუკუნეში. კოლონიალიზმის ხანა. შედარება სხვა ქვეყნებთან.

ლიტერატურა: *გაერთ. სამ.* გვ. 221-235

XVIII საუკუნის ბოლოს ბრიტანეთს ისევ მოუხდა შებმა საფრანგეთთან. ომების სერიამ, რომელმაც „*ნაპოლეონური ომების*“ (*Napoleonic wars*) სახელი მიიღო, 1815 წლამდე გასტანა და ბრიტანელების გამარჯვებით დასრულდა. საბოლოო წერტილი ამ ხანგრძლივ ომებს ვატერლოოსთან (*Waterloo,* ინგლისურად გამოითქმის, როგორც „*უოტერლუ*“) დაუსვა *არტურ უელსლის*, იმავე *უელინგტონის ჰერცოგის* (*Sir Arthur Welsley, Duke of Wellington,* 1769-1852), მეთაურობით ბრიტანელთა გამარჯვებამ, რომელთაც დროულად მიიღეს პრუსიელთა არმიის ძალიან არსებითი დახმარება.

რევოლუციური საფრანგეთის წინააღმდეგ ომში ბრიტანეთი მხოლოდ 1793 წელს ჩაერთო, მაშინ როცა კონტინენტის მონარქები უკვე კარგა ხანია ებრძოდნენ „არეულობას საფრანგეთის სამეფოში“. იმ დროისათვის კუნძულზე უკვე ჩამოყალიბდა აზრი, რომ პარიზში სულაც არაა „ფრანგებისათვის ჩვეული ანარქია” და საფრანგეთის შესაძლო გაძლიერება ბრიტანეთს დააზარალებს.

მთავრობას აშინებდა ისიც, რომ ბრიტანეთსაც არ გადასდებოდა თავისუფლებისაკენ სწრაფვის ფრანგული მოდელი. 1794 წლიდან რვა წლით შეაჩერეს „*ჰაბეას კორპუს აქტის*“ მოქმედება. ხელისუფლება დევნიდა ყველას, ვინც თანაუგრძნობდა რევოლუციას კონტინენტზე.

დევნიდნენ *თომას პეინს* (*Thomas Paine,* 1737-1809), რომელიც თავის პამფლეტში „ადამიანის უფლებები“ (1791) მძაფრად დაუპირისპირდა ნიჭიერი მწერლისა და ორატორის, პარლამენტის ვიგი წევრის *ედმუნდ ბერკის* (*Edmund Burke,*1729-1797) მიერ დაწერილ ესეის „*მოსაზრებები რევოლუციის შესახებ საფრანგეთში*“ (1790). თავისი პამფლეტის გამოქვეყნების შემდეგ პეინს ინგლისიდან გაქცევა მოუხდა.

თომას პეინი იყო ანგლო-ამერიკელი პოლიტიკის თეორეტიკოსი და რევოლუციონერი. ის ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი „მამა-დამაარსებელია“. თავის მძაფრ, კარგად არგუმენტირებულ, ნათელი ენით დაწერილ პამფლეტებში *პეინი* უპირისპირდებოდა დესპოტიას, მემკვიდრეობით მონარქიას, არისტოკრატიას, ეკლესიას, თუმცა ათეისტი არ ყოფილა: ***ის ბრიტანული დეიზმის ტრადიციის მიმდევარი იყო, ანუ სწამდა ღმერთი, მაგრამ არა რელიგია***. პეინი ემხრობოდა წარმომადგენლობით დემოკრატიას, რესპუბლიკელობას, თავისუფალ ბაზარს, ზოგადად, ადამიანის თავისუფლებებს. ცრურწმენებისა და სასწაულების საპირისპიროდ საღი აზრისაკენ მის მოწოდებას დღემდე არ დაუკარგავს აქტუალობა.

თავის მხრივ, *ედმუნდ ბერკიც*, რომელიც კონსერვატიზმის ფილოსოფიურ დამფუძნებლადაა მიჩნეული, იცავდა თავისუფლებას ტირანიისაგან, რომელიც შეიძ-

ლებოდა განეხორციელებინა როგორც მონარქს, ისე კორუმპირებულ პარლამენტს ან სასამართლოს და, ასევე, ფანატიკოს რევოლუციონერებსაც (რომელთაც პეინი, არაპირდაპირ მაინც, მხარს უჭერდა). უესტმინსტერის პარლამენტის შენობაში, 12 ყველაზე გამოჩენილ წევრს შორის, XIX საუკუნის შუაწლებიდან დგას ედმუნდ ბერკის ძეგლიც.

მართალია, ბრიტანეთი ყველაზე გვიან შეუერთდა ევროპული ქვეყნების ანტიფრანგულ კოალიციას, მაგრამ ის ერთადერთი სახელმწიფო იყო, რომელიც უცვლელად ებრძოდა საფრანგეთს, მაშინ, როცა ომში ჩაბმულმა ყველა სხვა ევროპულმა სახელმწიფომ იმ პერიოდში, სულ ცოტა, ორჯერ მაინც შეიცვალა მოკავშირე: ხან საფრანგეთს ებრძოდა, ხანაც მის მხარეს გამოდიოდა, როგორც „სიტუაციური მოკავშირე“.

ლონდონში სავსებით სწორად აღიქვეს ნაპოლეონის შეჭრა ეგვიპტეში (1798 წ.) პირველ ნაბიჯად ინდოეთში სალაშქროდ, სადაც არსებობდა ანტიბრიტანული ძალები.

ნელსონის ფლოტმა ეგვიპტის ნაპირთან, *აბუქირის* ბრძოლაში (1 აგვისტო, 1798; ინგლისში მას "ნილოსის" ბრძოლას უწოდებენ), ჩაძირა ფრანგული ფლოტი, გადაუჭრა ფრანგულ საექსპედიციო კორპუსს ევროპიდან რაიმე დახმარების მიღების გზა და ჩაუშალა შორსმიმავალი განზრახვა ნაპოლეონს.

ერთდროულად ლონდონმა საფრანგეთსა და მის „სიტუაციურ მოკავშირეებს“ ზღვისგადაღმა კოლონიები წაართვა. ნაპოლეონური ომების დროს გადავიდა ბრიტანეთის ხელში *კეიპის კოლონია* სამხრეთ აფრიკაში (იქამდე მას ჰოლანდია ფლობდა), *გაიანა* – სამხრეთ ამერიკაში, *ცეილონი და მავრიტიუსის კუნძული* – ინდოეთის ოკეანეში, საგრძნობლად გაიზარდა ბრიტანული სამფლობელოები *ინდოსტანის* სუბკონტინენტზე.

ეგვიპტისაკენ მიმავალმა ნელსონმა გზად დაიპყრო ხმელთაშუა ზღვაში სტრატეგიულ ადგილზე მდებარე კუნძული *მალტა* და ის საუკუნე-ნახევრით იქცა ბრიტანეთის კოლონიად.

ყველა ეს გამარჯვება მოპოვებულ იქნა ზღვაზე დიდი უპირატესობის წყალობით. ბრიტანეთის ფლოტის წარმატებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალს: დაღუპული ხომალდის ნაცვლად, ლივერპულის, პლიმუთისა თუ გლაზგოს გემთსაშენებში სწრაფად შენდებოდა ახალი გემი და იარაღდებოდა კარგი ქვემეხებით.

მნიშვნელობა ჰქონდა ადამიანურ ფაქტორსაც: საზღვაო ოფიცრები ინგლისში, არცთუ იშვიათად, საშუალო ფენებიდან გამოდიოდნენ (*ნელსონი* უბრალო მღვდლის შვილი იყო) და საკუთარი ნიჭით იკაფავდნენ გზას. ფრანგი ან ესპანელი აზნაურიშვილები კი თავიდანვე ფლოტის ოფიცრებად ინიშნებოდნენ, სათანადო ცოდნისა და გამოცდილების გარეშე.

XIX საუკუნის დამდეგს, აფრიანი ხომალდების საუკუნის დასასრულს, ბრიტანეთის საზღვაო ძლიერების აღიარება მის ყველა მეტოქეს მოუხდა. იმ პერი-

ოდის სარდალი, ვიცე-ადმირალი *ნელსონი* (*Lord Horatio Nelson,* 1758-1805), ბრიტანეთის საზღვაო დიდების სიმბოლოდ იქცა. ნელსონს, გარდა კარგი ფლოტისა, გააჩნდა პირადი სიმამაცე და სიმტკიცე. ის მუდამ იდგა ცეცხლის ხაზზე, 1797 წელს სენტ-ვინსენტის კონცხთან საზღვაო ბრძოლისას ის პირადად მონაწილეობდა ესპანური ხომალდის აბორდაჟში. ბრძოლაში დაკარგა ნელსონმა ცალი თვალი, მარჯვენა ხელი, დაბოლოს – სიცოცხლეც.

მეზღვაურები აღმერთებდნენ მამაც ადმირალს და მას სრული უფლება ჰქონდა, *ტრაფალგარის ბრძოლის* წინ (1805 წ. 21 ოქტომბერი) საფლაგმანო ხომალდ „ვიქტორიადან“ ასეთი არასტანდარტული ბრძანებით მიემართა მეზღვაურებისათვის: „***ინგლისს სჯერა, რომ ყველა მოიხდის თავის ვალს***“. განსაცდელის ჟამს, განსაკუთრებით მსოფლიო ომების დროს, ნელსონის ამ სიტყვებს ბრიტანეთში ხშირად იყენებდნენ, როგორც პატრიოტულ მოწოდებას.

საკუთარი ვალი სამშობლოს წინაშე მოიხადა თვით ნელსონმაც: *ტრაფალგარის ბრძოლის* დროს, რომელშიც ფრანგულ-ესპანური ფლოტი განადგურდა, ადმირალი განგმირა ფრანგი სნაიპერის ნასროლმა ტყვიამ.

ლონდონში, ტრაფალგარის მოედანზე, ნელსონს დაუდგეს ძეგლი მაღალ სვეტზე, ისეთ სიმაღლეზე, საიდანაც კარგ ამინდში ზღვის დანახვა შეიძლება.

ტრაფალგართან მოპოვებულმა გამარჯვებამ უეჭველი გახადა, რომ ინგლისის სანაპიროზე დესანტის გადასხმას ნაპოლეონი ვერ მოახერხებდა.

1815 წელს ვატერლოოსთან, დღევანდელ ბელგიაში, ბრიტანელებმა გაუძლეს ნაპოლეონის უკანასკნელ თავგანწირულ გაბრძოლებას და, პრუსიელთა დახმარებით, საბოლოოდ დაამარცხეს იგი. მათ გაამართლეს ჩერჩილის მიერ საუკუნის შემდეგ ნათქვამი სიტყვები: „*თავისი ბრძოლებიდან ბრიტანეთი ყოველთვის იგებს ერთს – უკანასკნელს*“.

ნაპოლეონთან ომების დროს თვით ბრიტანეთში საკმაოდ მძიმე მდგომარეობა შეიქმნა. მართალია, ფლოტის იმედი ყველას ჰქონდა და მტრის დესანტს არავინ ელოდა, და სულ 40 ათასი ბრიტანელი დაეცა ბრძოლის ველზე რამდენიმე მილიონი სხვა ევროპელის გვერდით, მაგრამ ნაპოლეონის „კონტინენტურმა ბლოკადამ“ და ბრიტანეთის საპასუხო ღონისძიებებმა მკვეთრად შეამცირა საგარეო ვაჭრობა. ბრიტანული ექსპორტი ერთი მესამედით შემცირდა, რამაც მრეწველობა მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო.

ვითარება გაამწვავა ამერიკის შეერთებულ შტატებთან დაძაბულმა ურთიერთობამაც, რაც *1812-14 წლების ანგლო-ამერიკულ ომში გადაიზარდა.* ამერიკელებმა მას უწოდეს „მეორე ომი დამოუკიდებლობისათვის“, რადგან საბრძოლო მოქმედება მათ ტერიტორიაზე მიმდინარეობდა. 1814 წელს ბრიტანელებმა აიღეს ამერიკის დედაქალაქი ვაშინგტონი და გადაწვეს ის პრეზიდენტის სასახლესთან (“თეთრ სახლთან“) ერთად. იმავე წელს ომი დამთავრდა და აღდგა *status quo ante bellum,* ანუ ომამდელი მდგომარეობა. ამის შემდეგ ამერიკას და ბრიტანეთს ერთმა-

ნეთთან აღარ უომიათ. პირიქით, XX და XXI საუკუნეებში ისინი უახლოეს მოკავშირეებად გამოდიოდნენ და გამოდიან.

1798 წელს *ირლანდიაში* იფეთქა აჯანყებამ, მაგრამ ის სწრაფად ჩააქრეს. აჯანყების მიზეზი იყო ირლანდიის ვაჭრობისა და მიწათმოქმედების სრული დაქცევისაკენ მიმართული ინგლისის პოლიტიკა.

1800 წელს ირლანდიელი ლორდების აშკარა და უსირცხვილო მოსყიდვის შედეგად დუბლინში გაუქმდა პარლამენტი და ზურმუხტოვანი კუნძული „***დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს***“ ერთ-ერთ ნაწილად იქცა. გაერთიანებულ პარლამენტში ირლანდიას მისცეს 100 ადგილი თემთა პალატაში და 32 – ლორდთა პალატაში. ირლანდიის მოსახლეობის კათოლიკური უმრავლესობა მოკლებული იყო სამოქალაქო უფლებებს 1829 წლის „კათოლიკეთა ემანსიპაციის“ კანონის მიღებამდე.

კ ო ლ ო ნ ი ა ლ ი ზ მ ი ს ხ ა ნ ა

1837-1901 წლებში დიდ ბრიტანეთში 64 წლის განმავლობაში ზეობდა დედოფალი *ვიქტორია*. დედოფლის სახელი სიმბოლურად ეწოდა „***ვიქტორიას ეპოქას***“ – ბრიტანეთის ისტორიაში ყველაზე წარმატებულ პერიოდს, როდესაც ბრიტანეთმა მიაღწია თავისი პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო ძლიერების მწვერვალს. დედოფლის ძეგლები ამშვენებს ლონდონს და ბრიტანეთის პრაქტიკულად ყველა სხვა ქალაქს.

XIX საუკუნის უდიდესი ნაწილის განმავლობაში ბრიტანეთი იყო მსოფლიო აღიარებული ჰეგემონი. საფუძველი ამას, რასაკვირველია, წინა საუკუნეებში ჩაეყარა, მათ შორის, სამრეწველო რევოლუციის შედეგად.

ბრიტანეთი მსოფლიოში პირველ ადგილზე იყო ეკონომიკური მაჩვენებლებით 1870-იან წლებამდე, როდესაც მას ამერიკამ გადაუსწრო. მომდევნო ათწლეულებშიც ის ძალიან ანგარიშგასაწევი ძალა იყო. გარდა იმისა, რომ ლონდონი გახდა მსოფლიოს აღიარებული ფინანსური და სავაჭრო ცენტრი, მის მყუდრო კაბინეტებში წყდებოდა შორეული ქვეყნების ბედ-იღბალი, სახაზავის მეშვეობით დგინდებოდა კოლონიების ადმინისტრაციული საზღვრები, რომელთა საკმაო ნაწილი დღეს სახელმწიფო საზღვრებადაა ქცეული. სწორედ ლონდონში გავლებული ხაზები იქცა ადგილობრივი ელიტებისათვის „ისტორიულ, წმიდათაწმიდა და ხელშეუხებელ საზღვრებად“.

“ნაპოლეონური ომების“ ბრიტანეთისათვის წარმატებულად დამთავრების შემდეგ, მომდევნო ასი წლის განმავლობაში, პირველ მსოფლიო ომამდე, ანუ 1815-1914 წლებში, ლონდონს არ მოუწია ჩაბმა არც ერთ ისეთ სამხედრო კონფლიქტში, რომელიც მის ტერიტორიას რამენაირად დაემუქრებოდა.

ერთადერთი ძლიერი მეტოქე, რომელთანაც ბრიტანეთს იმ პერიოდში ჰქონდა სამხედრო კონფლიქტი, აღმოჩნდა რუსეთის იმპერია: 1854-1856 წლებში ამ ქვეყნებს ერთმანეთთან ჰქონდათ ისტორიაში ერთადერთი ომი. 1853 წელს რუსეთის

არმია ოსმალეთის იმპერიაში შემავალ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე შეიჭრა, იქ „მართლმადიდებლების დაცვის“ საბაბით, რაც დასავლეთ ევროპაში რუსულ ჰეგემონიზმად აღიქვეს. ამის გამო მოკავშირეებად იქცნენ დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთის იმპერია, რომელთაც მიემხრო სარდინიის სამეფო (მომავალი იტალიის სამეფოს ბირთვი). ეს სახელწიფოები ოსმალეთის მხარეს დადგნენ, რადგან მათში ეჭვს არ იწვევდა პეტერბურგის განზრახვა, გასულიყო ბოსფორის ნაპირებზე, რაც მკვეთრად დაარღვევდა დასავლეთ ევროპისათვის ხელსაყრელ გეოპოლიტიკურ წონასწორობას.

ორივე მხრიდან ცუდად ორგანიზებული და უამრავი შეცდომებით აღსავსე საბრძოლო მოქმედებები, რომლებიც მომავალში „გმირობად“ აღიარეს და სადიდებელი ოდები უძღვნეს, ძირითადად, ყირიმის ნახევარკუნძულზე მიმდინარეობდა (აქედან გაჩნდა სახელი – „*ყირიმის ომი*“). მოკავშირეებმა საბოლოოდ აიღეს *სევასტოპოლი,* რუსეთის უმთავრესი სამხედრო-საზღვაო ნავსადგური შავ ზღვაზე და აიძულეს რუსეთი, ეცნო დამარცხება.

1856 **წლ**ის საზავო ხელშეკრულებით მოხდა შავი ზღვის დემილიტარიზაცია: რუსეთის იმპერიას ეკრძალებოდა იქ სამხედრო-საზღვაო ფლოტის ყოლა, რომელსაც შეეძლო ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების გავლით ბრიტანეთის საზღვაო ჰეგემონობისათვის საფრთხის შექმნა. საზავო ხელშეკრულებით სევასტოპოლი რუსეთს დაუბრუნეს.

რუსეთი ერთხანს იძულებული იყო, ხელშეკრულება დაეცვა, მაგრამ 1871 წელს დაარღვია იგი და სწრაფად აღადგინა შავი ზღვის ფლოტი. პეტერბურგისათვის გადამწყვეტი აღმოჩნდა მხარდაჭერა ახალგაერთიანებული, ძლევამოსილი *გერმანიის* მხრიდან, რომელმაც 1870 წელს დაამარცხა რუსეთის მიმართ მტრულად განწყობილი საფრანგეთი. იმ ომში მორალური მხარდაჭერისათვის გერმანია რუსეთს ემადლიერებოდა.

რუსულ-გერმანულმა სტრატეგიულმა პარტნიორობამ სულ ორიოდე ათეული წელი გაძლო. 1890 წელს კანცლერ *ოტო ფონ ბისმარკის* პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ გერმანიისა და რუსეთის თბილი ურთიერთობა გაცივდა. საფრანგეთის რესპუბლიკამ კი გამონახა საერთო ენა რუსეთის იმპერიასთან და 1893 წელს ანტიგერმანული ალიანსი შეკრა მასთან.

XIX საუკუნის ბოლო ათწლეულებში შექმნილი ახალი გეოპოლიტიკური რეალობის გათვალისწინებით, ლონდონმა დაიწყო დაახლოება ყოფილ „მარადიულ მტერთან“ – საფრანგეთთან.

***

XIX საუკუნეში ბრიტანეთი მეთოდურად აფართოებდა თავის კოლონიურ იმპერიას, რისთვისაც აუცილებელი იყო ზღვებზე ბატონობა. ამას უზრუნველყოფდა მსოფლიოში უდიდესი და უძლიერესი *სამეფო სამხედრო-საზღვაო ფლოტი.*

იმავე დროს, ბრიტანეთისთვის საჭირო გახდა მთელ მსოფლიოში საიმედო ***საყრდენი პუნქტების*** დაარსება. საზღვაო ძლიერების განსამტკიცებლად იგი თანდათან დაეუფლა სტრატეგიულ ადგილებს მსოფლიო ოკეანეში. ხმელთაშუაზღვისპირეთში ეს იყო *გიბრალტარი* (1704 წლიდან), *მალტა* (1800 წლიდან), *სუეცის არხი* (1875 წლიდან). წითელი ზღვიდან ინდოეთის ოკეანეში მიმავალ გზას აკონტროლებდა *ადენი,* რომელსაც ბრიტანეთი 1839 წლიდან ფლობდა. XVIII საუკუნიდან მის ხელში იყო *ინდოეთისა და ცეილონის* ნავსადგურები. 1819 წლიდან ბრიტანეთმა კოლონიად აქცია იქამდე უდაბური კუნძული *სინგაპური,* რომელიც მალაკის სრუტეს უწევდა კონტროლს და იქ ჩინეთიდან და, აგრეთვე, ინდოეთიდან და მალაიიდან ჩაიყვანა მუშახელი, რომლებიც საბოლოოდ სინგაპურელებად იქცნენ.

1875 წელს *სუეცის არხის* კომპანიის საკონტროლო პაკეტი ბრიტანეთმა ჩაიგდო ხელში. 1882 წელს, *ეგვიპტის* ფაქტობრივი ოკუპაციის შემდეგ, ბრიტანეთმა გააძლიერა კონტროლი სუეცის არხზე, თუმცა ფორმალურად ეგვიპტე ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში რჩებოდა.

1878 წელს ლონდონმა ოსმალეთისგან სამართავად მიიღო კუნძული *კვიპროსი* და დააარსა იქ ორი სამხედრო ბაზა – *აკროტირი* და *დეკელია*, რომლებიც დღემდე რჩება ბრიტანეთის სუვერენულ საკუთრებად.

1857 წელს ინდოეთში აჯანყდა ადგილობრივი არმია, *სიფოები.* ლონდონის პოზიციიდან ეს იყო ამბოხება, ხოლო დღევანდელი ინდოელების პოზიციიდან – ეროვნულ-გამანთავისუფლებელი ომი. სიფოების აჯანყების სასტიკად ჩახშობის შემდეგ ბრიტანეთის მთავრობამ თავის ხელში აიღო მთელი ინდოსტანის ნახევარკუნძულის მართვა და 1858 წელს ოფიციალურად გააუქმა „*ისტ-ინდია კომპანი*“, რომელიც იქამდე ინდოეთის სხვადასხვა სამეფო-სამთავროების სიუზერენი იყო. ბრიტანეთს დაქვემდებარებული ინდოეთის ყველა *მაჰარაჯას, ნაბების, ნიზამის, რაჯას* (ეს ინდოეთის მეფე-მთავრების ტიტულებია) სამფლობელო 1877 წელს გაერთიანდა *ინდოეთის იმპერიაში,* რომლის იმპერატორად უესტმინსტერის პარლამენტმა გამოაცხადა დედოფალი *ვიქტორია.* ინდოეთის მეფე-მთავრები *ვიქტორიას* ვასალებად იქცნენ.

ინდოეთის იმპერია ბრიტანეთის ერთიან კოლონიად იქცა, რომელსაც მეფისნაცვალი (*vice-roy*) მართავდა. ისტორიაში პირველად, მთელი ინდოსტანის ნახევარკუნძული გაერთიანდა ერთი მთავრობის, თუნდაც ევროპაში მდებარის, ხელქვეით. იქამდე არსებულმა იმპერიებმა მთელი ნახევარკუნძულის ტერიტორიის სტაბილურად დამორჩილება ვერასოდეს მოახერხეს. ბრიტანულმა ბატონობამ განაპირობა, რომ შუა საუკუნეებიდან შემორჩენილი რამდენიმე ასეული სამეფო-სამთავროს ნაცვლად XX საუკუნეში ამ ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა სამი (თავიდან – ორი) სახელმწიფო.

1852-1853 წლებში ბრიტანეთმა დაიპყრო სამხრეთი ბირმა, რომელიც შემდგომში ინდოეთის იმპერიას დაექვემდებარა.

ჩინეთის უზარმაზარ ბაზარზე შეჭრის მიზნით, 1842 წელს ბრიტანეთმა დაიკავა თითქმის უკაცრიელი კუნძული *ჰონკონგი* (*სიანგანი*), რომელიც, პეკინთან შეთანხმებით, 1997 წლამდე ბრიტანეთის საკუთრება იქნებოდა. ბრიტანეთთან და საფრანგეთთან XIX საუკუნის შუაწლების „ოპიუმის ომებში“ მარცხმა ჩინეთი გადააქცია ფაქტობრივ *ნახევარკოლონიად*: ფორმალურად მისი დამოუკიდებლობა შენარჩუნდა, მაგრამ ევროპის ზესახელმწიფოების გავლენა მის მთავრობაზე უზომოდ გაიზარდა.

1880-1890-იან წლებში ბრიტანელებმა აფრიკაში თავის კოლონიებად აქციეს *სუდანი* (მაშინ მას *ანგლო-ეგვიპტურ სუდანს* უწოდებდნენ), *უგანდა, კენია, ჩრდილოეთი და სამხრეთი როდეზია* (დღევანდელი ზამბია და ზიმბაბვე) , *ნიასალენდი* (დღევანდელი *მალავი*), *ბეჩუანალენდი* (დღევანდელი ბოტსვანა), *ნიგერია, ოქროს ნაპირი* (დღევანდელი განა), *სიერა-ლეონე, გამბია.*

აფრიკასა და აზიაში სამხედრო შეხლა ბრიტანეთს მოუწია ცუდად შეიარაღებულ მეტოქეებთან, რომელთა დამარცხება მცირე ძალითაც ნაკლებად გაუჭირდა. კოლონიურ ექსპანსიას ახორციელებდნენ არცთუ დიდი, მაგრამ კარგად ორგანიზებული სამხედრო ნაწილები. კოლონიების ბრიტანული ადმინისტრაცია, ჩვეულებრივ, იმდენად კარგად იყო ჩამოყალიბებული და მოწესრიგებული, რომ ადგილობრივი მოსახლეობა მას ადვილად ეგუებოდა. ასობით მილიონი მოსახლეობის მქონე ინდოეთს სულ რამდენიმე ათასი ბრიტანელი მართავდა.

ყოფილ ბრიტანულ კოლონიებში ინგლისური ტიპის კანონმდებლობას დღემდე მეტწილად ინარჩუნებენ.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში ბრიტანელებმა თავის კოლონიად აქციეს და აითვისეს ქვის ხანაში ჩარჩენილი ტომებით მეჩხერად დასახლებული მთელი *ავსტრალიის კონტინენტი.* ნახევარი საუკუნის განმავლობაში ბრიტანეთიდან შორეულ ავსტრალიაში გადაასახლეს 150 ათასზე მეტი მსჯავრდებული, რომელთა დიდი ნაწილი მართლაც იყო სისხლის სამართლის დამნაშავე, ბევრი – საშიში რეციდივისტიც კი. სანაპირო რაიონებში იქმნებოდა კატორღელთა ბანაკები. სასჯელის მოხდის შემდეგ ციხიდან გამოსულებს ავსტრალიაში თავისუფლად ცხოვრების უფლება ეძლეოდათ, მაგრამ თავისუფლება არ ცვლიდა ამ ხალხის ფსიქოლოგიას და ქცევის წესებს, რამაც გარკვეული გავლენა იქონია XIX საუკუნის ავსტრალიელთა ფსიქოტიპის ჩამოყალიბებაზე. გარდა ამისა, 1851 წელს ავსტრალიაში ოქროს აღმოჩენამ მოიზიდა იოლად გამდიდრების მოყვარული მრავალი ავანტიურისტი ევროპიდან და ამერიკიდან, რომელთა მორალური სახე უმწიკვლო ნამდვილად არ ყოფილა.

XIX საუკუნის ბრიტანელის თვალში ავსტრალიელის სტერეოტიპად იქცა უხეში, თავხედი, ფიზიკურად ძლიერი, მაგრამ კულტურულად ჩამორჩენილი ადამიანი. რასაკვირველია, თანამედროვე ავსტრალიელ ერზე ეს სულაც არ ითქმის.

ახალი ზელანდიის კუნძულების დასაპყრობად ბრიტანეთს მოუხდა ადგილობრივი მოსახლეობის – პოლინეზიური წარმოშობის *მაორიელების* საკმაოდ სე-

რიოზული წინააღმდეგობის დაძლევა. ავსტრალიელი აბორიგენებისაგან განსხვავებით, *მაორიელებმა* გარკვეული პოლიტიკური და ეკონომიკური უფლებები მიიღეს ახალ ბრიტანულ კოლონიაში, რომელიც ინგლისელმა მოახალშენეებმა, ძირითადად – ფერმერებმა, დაასახლეს და მოახერხეს თანაარსებობა მაორიელებთან. ახალზელანდიელთა სოციალური ფსიქოლოგია ავსტრალიელებისაგან საკმაოდ განსხვავებულია.

ბრიტანეთმა დაიწყო განსხვავებული პოლიტიკის წარმოება თავის იმ კოლონიებში, რომლებიც ბრიტანელი (და სხვა ევროპელი) იმიგრანტების შთამომავლებით იყო დასახლებული. ამან ლონდონს ააცილა ისეთივე ომი, რომელიც საუკუნით ადრე მოუხდა ინგლისელებისვე დაარსებულ ჩრდილო ამერიკის კოლონიებთან. 1867 წელს ***კანადას*** მიენიჭა ფართო თვითმმართველობა ბრიტანეთის იმპერიის შემადგენლობაში და ის ***დომინიონად*** გამოცხადდა.

XIX საუკუნის ბოლო ათწლეულებში გამოიკვეთა, რომ ბრიტანეთის მთავარი მეტოქე აზიის კონტინენტზე კოლონიურ ექსპანსიაში ხდება სამხრეთისაკენ მისწრაფებული *რუსეთის იმპერია*, რომელმაც 1880-იან წლებში დაიპყრო მთელი ცენტრალური აზია და გავიდა ავღანეთის საზღვარზე. ავღანეთი კი იმდროინდელ ბრიტანეთის ინდოეთს (დღევანდელ პაკისტანს) ესაზღვრებოდა.

ლონდონს ძალიან აშფოთებდა პეტერბურგის ექსპანსიონიზმი, რომელიც აზიის ცენტრში მის საკუთარ ექსპანსიონიზმს ეჯახებოდა. რუსეთის იმპერიასა და დიდ ბრიტანეთს შორის დაიწყო ხანგრძლივი დიპლომატიური ბრძოლა, როდესაც ორივე მხარე ცდილობდა წარმატების მიღწევას ისე, რომ პირდაპირი სამხედრო კონფრონტაცია თავიდან აეცილებინა. ამას „*დიდი თამაში*“ (*Big game*) ეწოდა.

თემა 12. მე-19-20 საუკუნეების საპარლამენტო რეფორმები. ირლანდიის საკითხი. იდეოლოგიები. ლიბორისტული პარტიის წარმოშობა.

ლიტერატურა: გაერთ. სამ. გვ. 238-243, 255-257, 270-272

მსხვილი მიწათმფლობელების გავლენით, პარლამენტმა 1815 წელს დააწესა „ხორბლის კანონები“ (*Corn Laws*), რომლის ძალითაც იმპორტულ მარცვლეულს (ძირითადად, ხორბალს) დიდი ბაჟი დაედო და ბრიტანეთში პური ძალიან გაძვირდა. ეს კანონები ხელს აძლევდა მარცვლეულის მწარმოებელ მემამულეებს, რომლებიც უესტმინსტერის პარლამენტში ჭარბად იყვნენ წარმოდგენილი. უბრალო მოსახლეობა კი ძვირ პურს ჭამდა. პურის სიძვირე ურთულებდა საქმეს ფაბრიკანტებსაც: მათ თავისი მუშებისათვის იმდენი ხელფასი მაინც უნდა ეხადათ, რომ ის ლუკმაპურის საყიდლად ყოფილიყო სამყოფი.

1845 წელს მთელ ევროპაში გავრცელებულმა კარტოფილის დაავადებამ მთლიანად მოსპო მისი მოსავალი ირლანდიაში, პურის ყიდვა კი იქაურ მოსახლეობას არ შეეძლო. ლონდონი არ დაეხმარა ირლანდიელებს. დაიწყო შიმშილი, რომელიც 1852 წლამდე გაგრძელდა. ამის შედეგად ირლანდიის მოსახლეობა 20-25 პროცენტით შემცირდა: ერთი მილიონი გაწყდა, ერთი ამდენი ემიგრაციაში წავიდა. ეს იყო ირლანდიის უდიდესი ტრაგედია, რომელსაც იქ დღემდე ვერ ივიწყებენ.

შიმშილი ირლანდიაში გახდა იმის დამატებითი მიზეზი, რომ ბრიტანეთის პარლამენტს „ხორბლის კანონები“ გაეუქმებინა. კანონმდებლებში ამას ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა, რის გამოც ტორი პრემიერ-მინისტრს *რობერტ პილს* (*Robert Peel*, 1788-1850) მოუხდა საკუთარი პარტიის წინააღმდეგ წასვლა და ახალი კანონის გასაყვანად ოპოზიციის, *ვიგების*, დახმარების გამოყენება. „ხორბლის კანონების“ გაუქმების დღესვე, 1846 წლის 25 ივნისს, *პილი* გადადგა. თავის მომხრეებთან ერთად, იგი კონსერვატიული პარტიიდანაც გავიდა. 1859 წელს მისი მომხრეები, რომელთაც *პილაიტების* (*Peelites*) სახელით იცნობდნენ, *რადიკალური პარტიის* წევრებთან ერთად, შეუერთდნენ ვიგებს და *ლიბერალური პარტიის* შექმნას ჩაუყარეს საფუძველი. *პილაიტებს* შორის იყო შოტლანდიური წარმოშობის *უილიამ გლადსტონი* (*William Ewart Gladstone*, 1809-1898), შემდგომში ლიბერალური პარტიის ლიდერი და ოთხგზის პრემიერ-მინისტრი,.

XIX საუკუნის გაერთიანებული სამეფოს საშინაო პოლიტიკაში დიდ როლს თამაშობდა ლონდონის *ურთიერთობა ირლანდიასთან*, რომელიც 1800 წლიდან შევიდა გაერთიანებული სამეფოს შემადგენლობაში. ირლანდიის მოსახლეობის უმრავლესობა კათოლიკობას აღიარებდა. გაერთიანებულ სამეფოში კი კათოლიკეებს სამოქალაქო უფლებები მკვეთრად შეზღუდული ჰქონდათ. მათ არ შეეძლოთ პარლამენტში წევრის გაგზავნა, არ ჰქონდა სწავლის უფლება იმ დროის ინგლისის ორად ორ უნივერსიტეტში – ოქსფორდსა და კემბრიჯში.

რობერტ პილმა, როდესაც ის შინაგან საქმეთა მინისტრი იყო, 1829 წელს შექმნა ლონდონის თანამედროვე პოლიცია, *Metropolitan Police Force,* რომლის ოფიცრებს დღემდე უწოდებენ „*ბობის*“, მისი დამაარსებლის პატივსაცემად (*Bobby* არის *Robert*-ის შემოკლებული სახელი). ისინი ახლაც ატარებენ ისეთ ჩაჩქანს, როგორიც მათ ორი საუკუნის წინ შეუქმნეს. ლონდონის პოლიციის ანალოგიით შეიქმნა პოლიცია ბრიტანეთის სხვა ქალაქებშიც. ინგლისში პოლიციას ევალება მართლწესრიგის დაცვა, მაგრამ მას ეკრძალება იარაღის ტარება.

ირლანდიელი პატრიოტი *დენიელ ო'კონელი* (*Daniel O'Connell,* 1775-1847) ლეგალური მეთოდებით იბრძოდა *კათოლიკეთა ემანსიპაციისათვის*, ანუ სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებში რელიგიურად პროტესტანტ მოქალაქეებთან მათი გათანაბრებისათვის.

ბრიტანეთის პარლამენტმა, დიდი ვნებათაღელვისა და პოლიტიკური ბრძოლის შემდეგ, *1829 წელს მიიღო კათოლიკეთა ემანსიპაციის კანონი.* ამიერიდან კათოლიკეებს (მათი უმეტესობა ირლანდიური წარმოშობისა იყო) ისეთივე სამოქალაქო უფლებები მიეცათ, რაც პროტესტანტ ბრიტანელებს ჰქონდათ. შესაძლებელი გახდა კათოლიკეს არჩევა პარლამენტში (პირველი მათგანი 1831 წელს აირჩიეს), უნივერსიტეტსი სწავლა. ნება დართეს აეშენებინათ კათოლიკური ეკლესიების (იქამდე, XVI საუკუნიდან, ეს აკრძალული იყო),.

ო'კონელმა ვერ მიაღწია თავის ძირითად მიზანს – გაეუქმებინა 1800 წლის დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის გაერთიანების აქტი და აღედგინა ირლანდიის სამეფო, თუნდაც ისე, რომ მას ინგლისთან საზიარო მონარქი ჰყოლოდა. მაგრამ ის მაინც ითვლება „*ირლანდიის განმათავისუფლებლად*“ (*The Irish Liberator*) და მისი ძეგლი დუბლინის ცენტრში დგას.

1850-იან წლებში ირლანდიაში შეიქმნა საიდუმლო საზოგადოება – „*ირლანდიის რევოლუციური ძმობა*“, რომელიც „ფენიების“ (*Fenian*) სახელით უფროა ცნობილი. „ძმობაში“ შედიოდნენ საშუალო კლასების, დემოკრატიული ინტელიგენციის, მუშების წარმომადგენლები. ფენიებს ბევრი განყოფილება ჰქონდათ ამერიკასა და ინგლისში. ისინი ემზადებოდნენ შეიარაღებული აჯანყებისათვის და, პერიოდულად, ტერორისტულ აქტებსაც უწყობდნენ ბრიტანეთის ხელისუფლებას.

ამავე დროს, არსებობდა საკითხის მშვიდობიანი გზით გადაჭრის მომხრეთა დიდი ჯგუფიც. პროტესტანტი ანგლო-ირლანდიელი *ჩარლზ პარნელი* (*Charles Parnell,* 1845-1891) იყო ნაციონალისტი პოლიტიკური ლიდერი, რომელიც *ირლანდიის საპარლამენტო პარტიას* (*Irish Parliamentary Party*) ედგა სათავეში. პარტიის მთელი ენერგია 1870-80-იან წლებში მიმართული იყო ირლანდიისათვის „ჰოუმრულის“ (*Homerule,* თვითმმართველობა) უფლების მოპოვებისაკენ.

ჩარლზ პარნელის ღვაწლი ირლანდიამ არ დაივიწყა: პარნელის ძეგლი დგას დუბლინში, *კონელისა* და *პარნელის* ქუჩების გადაკვეთაზე.

ირლანდიის *ჰოუმრულის* პრობლემასთან დიდხანს იყო გადახლართული 1860-1880-იანი წლების ბრიტანეთის პარტიული პოლიტიკა: ლიბერალების უმრავლესობა, *გლადსტონის* ხელმძღვანელობით, მხარს უჭერდა *ირლანდიის ჰოუმრულს*,

კონსერვატორები კი ყოველთვის ეწინაა ღმდეგებოდნენ მას. 1886 წელს ლიბერალურ პარტიას გამოეყო დიდი ფრთა, რომელიც ჰოუმრულის წინააღმდეგი იყო („იუნიონისტები“) და მოგვიანებით კონსერვატორებს შეუერთდა. *იუნიონისტები* (დღეს ორ პარტიად გაყოფილნი) ახლაც არიან ჩრდილოეთ ირლანდიის ერთ-ერთი ძირითადი პოლიტიკური ძალა.

ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1833 წელს უესტმინსტერის პარლამენტის მიერ მიღებულ კანონს ბრიტანეთსა და მის კოლონიებში *მონობის აკრძალვის* შესახებ (*მონებით ვაჭრობა* უფრო ადრე, 1807 წელს, აიკრძალა). ბრიტანეთისათვის ეს ერთგვარად დაგვიანებულ გადაწყვეტილებად შეგვეძლო მიგვეჩნია, მაგრამ ამერიკის შეერთებულ შტატებში – მონობა, ხოლო რუსეთის იმპერიაში – ბატონყმობა, კიდევ უფრო გვიან, 1860-იან წლებში, გაუქმდა.

მონური შრომა ბრიტანეთში არც გამოიყენებოდა. მის სწრაფად მზარდ მრეწველობას სავსებით შეეძლო გამოეყენებინა თავისუფალი მუშახელი, რომელიც უხვად მოედინებოდა გაღატაკებული ირლანდიიდან და ბრიტანეთის სოფლებიდან.

შრომის კანონმდებლობა XIX საუკუნის პირველ ათწლეულებში არ არსებობდა. მუშები ცხოვრობდნენ ელემენტარულ კომუნალურ მომსახურებას მოკლებულ ჯურღმულებში, მუშაობდნენ დღეში 14-16 საათის განმავლობაში და, უკეთეს შემთხვევაში, საარსებო მინიმუმის ტოლფას ხელფასს ღებულობდნენ.

თანდათან სახელმწიფომ დაიწყო გარკვეული ზრუნვა მუშათა მდგომარეობაზე. 1802, 1819, 1833 წლებში პარლამენტმა მიიღო „საფაბრიკო კანონები“, რომლებითაც საფეიქრო მრეწველობაში შეიზღუდა ბავშვთა შრომის გამოყენება (სწორედ ამ დარგში იყო დასაქმებული ბევრი არასრულწლოვანი): ბავშვებს დღეში 12 საათზე მეტი არ უნდა ემუშავათ; შეიზღუდა მძიმე სამუშაოზე ქალთა შრომის გამოყენებაც. 1847 წელს შეიქმნა „საფაბრიკო ინსპექტორის“ ინსტიტუტი, რომელსაც თვალყური უნდა ედევნებინა მეწარმეების მიერ ამ კანონების შესრულებისათვის.

სოციალური დაცვის ასეთი მექანიზმები იმდენად ნელა მკვიდრდებოდა, რომ თანამედროვენი ვერც ამჩნევდნენ მათ გავლენას მუშათა ცხოვრებაზე. საზოგადოებაში გაჩნდა აზრი, რომ საჭირო იყო საპარლამენტო რეფორმა, რომელიც ხმის მიცემის უფლებას მიანიჭებდა რიგით მოქალაქეს, რაც პარლამენტში ხალხის ინტერესების დამცველი წევრების გაყვანის საშუალება უნდა ყოფილიყო.

უამრავი მხარდამჭერი ჰყავდა ***1832 წლის საპარლამენტო რეფორმას***, რომელიც გატარდა დიდი პოლიტიკური ინტრიგების, სახალხო დემონსტრაციებისა და მღელვარების შემდეგ. რეფორმის ინიციატივა ვიგების პარტიიდან მოდიოდა.

ამ რეფორმამ შუა საუკუნეების შემდეგ პირველად შეცვალა პარლამენტის საარჩევნო ოლქების ბადე. 56 „დამპალ ბოროს“ (იხ. ჩანართი) ინგლისსა და უელსში მთლიანად ჩამოერთვა პარლამენტში დეპუტატის გაგზავნის უფლება, ხოლო 30-ს ადგილების რაოდენობა გაუნახევრდა (ორის ნაცვლად მათ მხოლოდ

ერთი დეპუტატის ადგილი დარჩათ). გამოთავისუფლებული 143 ადგილი გადანაწილდა უფრო ხალხმრავალ საგრაფოებსა და ახალ სამრეწველო ქალაქებზე.

ეკონომიკურმა განვითარებამ XVIII საუკუნეში გამოიწვია დიდი ძვრები მოსახლეობის განსახლებაში, მაგრამ ახალ სამრეწველო ქალაქებს პარლამენტის წევრის ადგილი არ ეკუთვნოდათ, მაშინ როცა ქვეყანაში მრავლად იყო „დამპალი ბოროები“.

“დამპალ ბოროებს“ (*rotten boroughs*) XVIII საუკუნიდან უწოდებდნენ იმ ქალაქებს ან სხვა საარჩევნო ოლქებს, რომელთაც შუა საუკუნეებში მიენიჭათ პარლამენტში წევრის არჩევის უფლება, მაგრამ შემდეგში ისინი მოსახლეობისაგან თითქმის დაიცალა. ვინაიდან საარჩევნო ოლქების ბადე საუკუნეების განმავლობაში უცვლელი რჩებოდა, ასეთი ადგილის მფლობელს ადვილად შეეძლო გაეგზავნა თავისი ნება-სურვილის შემსრულებელი კაცი პარლამენტის თემთა პალატაში ან „მიეყიდა“ ეს უფლება რომელიმე პარტიისათვის. ასეთ ლენდლორდს „ჯიბეში ჰქონდა“ რამდენიმე ადგილი თემთა პარლამენტში, რომელთაც „ჯიბის ბოროებსაც“ (*pocket boroughs*) უწოდებდნენ. სწორედ ამ უკანასკნელთა უდიდესი ნაწილი გააუქმა 1832 წლის საპარლამენტო რეფორმამ.

რეფორმის წყალობით, ამომრჩეველთა რიცხვი თითქმის გაოთხმაგდა – 220 ათასიდან 813 ათასამდე, თუმცა ეს სულაც არ გამხდარა „საყოველთაო ხმის მიცემის“ საწინდარი: ბრიტანეთის მთელი მოსახლეობა მაშინ 14 მილიონს შეადგენდა.

1832 წლის საპარლამენტო რეფორმა სრულფასოვანი არ ყოფილა. საარჩევნო სისტემამ შეინარჩუნა დიდი ქონებრივი ცენზი – ამომრჩეველს უნდა ჰქონოდა, სულ ცოტა, 10 გირვანქის ღირებულების უძრავი ქონება, რაც მაშინ არცთუ მცირე თანხა იყო. ამის გამო, არჩევნებში მონაწილეობის უფლება, მიწათმფლობელებისა და ძველი ქალაქების მოქალაქეების (ძირითადად, მდიდარი ვაჭრების) გარდა, დამატებით მიენიჭა მხოლოდ ახალი სამრეწველო ქალაქების იმ მცხოვრებთ, რომლებიც ქონებრივ ცენზს აკმაყოფილებდნენ, სხვანაირად – საშუალო კლასს, ისიც მხოლოდ მამაკაცებს! მაგრამ რაც მაშინ გაკეთდა, ისიც დიდი მიღწევა იყო იმ სასტიკი წინააღმდეგობის ფონზე, რომელსაც იმავე *დამპალ ბოროებში* „არჩეული“ თემთა პალატის წევრები და, განსაკუთრებით, ლორდთა პალატა უწევდნენ რეფორმის მომხრეებს.

მდიდარი ბურჟუაზიისათვის „საპარლამენტო რეფორმამ მიზანს მიაღწია“. წვრილი ბურჟუაზიის წარმომადგენლები კი, ზოგი მათგანი – საკმაო განათლებული, მიიჩნევდნენ, რომ საპარლამენტო რეფორმისათვის მხარდაჭერამ პირადად მათ არაფერი მოუტანა.

მუშებიც იბრძოდნენ საკუთარი უფლებებისათვის. ამ ბრძოლის ერთ-ერთი ფორმა ***ჩარტისტული მოძრაობა*** გახდა. 1837 წელს „ლონდონის მუშათა ასოცია-

ციის“ მიტინგზე ექვს პუნქტად ჩამოაყალიბეს საარჩევნო სისტემის დემოკრატიული პრინციპით რეორგანიზაციის ქარტია (*Charter*) – აქედან „*ჩარტიზმი*“.

ჩარტისტების მოთხოვნები ასეთი იყო: *ყოველწლიური არჩევნები პარლამენტში; თანაბარი საარჩევნო ოლქები; საყოველთაო საარჩევნო უფლება მამაკაცებისათვის; ქონებრივი ცენზის გაუქმება; ფარული კენჭისყრა; პარლამენტის წევრებისათვის გასამრჯელოს გადახდა.*

ეს მოთხოვნები შევიდა 1838 წელს შედგენილ ჩარტისტების პირველ ეროვნულ პეტიციაში, რომელიც 1,250 მილიონი კაცის ხელმოწერით 1839 წელს წარუდგინეს პარლამენტს. პარლამენტმა უარყო ეს პეტიცია, ისევე, როგორც 1842 და 1848 წლებში წარმოდგენილი ორი მომდევნოც.

ჩარტისტებს შორის იყვნენ აჯანყების მომხრენიც, მაგრამ საქმე გაფიცვებს არ გასცილებია.

აღსანიშნავია, რომ მომდევნო 80 წლის განმავლობაში ჩარტისტების მიერ მოთხოვნილი ხუთი პუნქტი შესრულდა, ზოგი გადაჭარბებითაც კი, მაგალითად, არჩევნებში მონაწილეობის უფლება მიეცათ არა მარტო მამაკაცებს, არამედ ქალებსაც (1918 წლიდან). არ შესრულდა მხოლოდ ყოველწლიურად პარლამენტის მოწვევის მოთხოვნა, რაც ისედაც არაპრაქტიკული რამ იქნებოდა.

XIX საუკუნის შუა წლებიდან, ბრიტანეთის ეკონომიკურ აღმავლობასთან ერთად, ჩარტისტების რევოლუციური სულისკვეთება გაქრა.

გარდა ამისა, სოციალურ კონფლიქტს ბრიტანეთში ერთგვარად არბილებდა ემიგრაცია. XIX საუკუნის მეორე ნახევარში ყოველწლიურად საშუალოდ 50 ათასამდე ბრიტანელი სამუდამოდ მიდიოდა ჩრდილოეთ ამერიკაში, ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში.

„სამრეწველო რევოლუციის“ საწყის ეტაპებზე და XIX საუკუნის დიდ პერიოდს ეკონომიკური განვითარება ბრიტანეთში და ევროპის სხვა დიდ სახელმწიფოებში მშრომელი მასების სასტიკი ექსპლუატაციის ხარჯზე ხდებოდა. კლასობრივი დაპირისპირება მართლაც სერიოზული იყო. სწორედ ამან შეუქმნა პრაქტიკული ნიადაგი *მარქსიზმის* წარმოშობას, რომელიც იმ ეპოქაზე იყო მორგებული. გერმანული წარმოშობის *კარლ მარქსი* (ის მონათლული ებრაელი იყო) და *ფრიდრიხ ენგელსი,* ძირითადად, ინგლისში მოღვაწეობდნენ და უპირატესად ამ ქვეყნის მაგალითზე ქმნიდნენ თავიანთ მოძღვრებას. ენგელსი ერთხანს საფეიქრო ფაბრიკასაც კი ფლობდა მანჩესტერში, რომელიც მამისაგან მემკვიდრეობით მიიღო, ანუ კაპიტალისტი იყო, თუმცა ეს ხელს არ უშლიდა ანტი-კაპიტალისტური შრომები ეწერა!

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ბრიტანეთის მმართველი კლასებისთვისაც ნათელი შეიქნა მოსახლეობის ფართო ფენების ცხოვრების პირობების გაუმჯობესების საჭიროება. დიდი ბრიტანეთის ეკონომიკური მდგომარეობა ამის საშუალებას იძლეოდა. სამრეწველო საწარმოების რიცხვის ზრდა ამცირებდა უმუშევრობას. სამუშაო პირობები თანდათანობით უმჯობესდებოდა. მუშათა *პროფკავ-*

შრეები (*trade-unions*) იქმნებოდა კვალიფიციური მუშების მიერ, რომლებიც ეკონომიკურ მოთხოვნებს უყენებდნენ მეწარმეებს. დასაბუთებული მოთხოვნების ნაწილი კმაყოფილდებოდა კიდეც.

მუშებისა და, ზოგადად, მოსახლეობის ცხოვრების დონე რეალურად მაღლდებოდა და ფართოვდებოდა ის ფენა, რომელიც დაინტერესებული იყო ქვეყანაში პოლიტიკური სტაბილურობით. პირიქით, მცირდებოდა ის ბაზა, რომელზეც მემარცხენე-რადიკალური, მათ შორის, მარქსისტული პროპაგანდა იქონიებდა ზეგავლენას. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები კი, რომლებიც უფრო გვიან დაადგნენ კაპიტალისტური განვითარების გზას, სწორედ XIX საუკუნის მეორე ნახევარში გადიოდნენ იმ სტადიას, რომელიც ბრიტანეთმა საუკუნით ადრე განვლო.

ამიტომაც, ძირითადად ბრიტანეთის მაგალითზე შობილი მარქსისტული იდეები უფრო ჩამორჩენილ ქვეყნებში დაინერგა: XIX საუკუნეში – რუსეთში, XX საუკუნეში – ჩინეთში, კუბაზე და ა.შ. ბრიტანეთი მარქსიზმის ფართო გავრცელებას გადაურჩა!

XIX საუკუნის ბრიტანეთისათვის დამახასიათებელი გახდა ეკონომიკური ლიბერალიზმი. ქვეყანას, რომლის ეკონომიკაც მსოფლიოში უდიდესი იყო, შეეძლო შემოეღო საგარეო ვაჭრობის სრული განთავისუფლება ბაჟისაგან, ქვეყნის შიგნით განეხორციელებინა ცალკეული რეფორმები და ცვლილებანი.

1867 წელს ტორიების კაბინეტი, პრემიერ-მინისტრ *ბენჯამენ დიზრაელის* მეთაურობით, შევიდა ***პარლამენტის მეორე რეფორმის*** კანონპროექტით. საარჩევნო უფლების მოთხოვნა იმდენად დიდი იყო, რომ მთავრობას დასჭირდა ქონებრივი ცენზის საგრძნობი შემცირება. საარჩევნო უფლება 2,5 მილიონ კაცს მიენიჭა.

1870 წელს საბოლოოდ გაფორმდა *კონსერვატიული პარტია*, რომელმაც ტორიების პოლიტიკური მემკვიდრეობა ჩაიბარა.

1877 წელს გაფორმდა *ლიბერალური პარტია.* ამ პარტიამ, *უილიამ გლადსტონის* მეთაურობით, 1884 წელს ჩაატარა ***მესამე საპარლამენტო რეფორმა*** და უკვე 5,3 მილიონ მოქალაქეს, მათ შორის ირლანდიელ ფერმერებსაც, მიანიჭა საარჩევნო უფლება.

აღსანიშნავია, რომ, 1872 წელს მიღებული კანონით, საპარლამენტო და ადგილობრივი არჩევნები ***ფარული კენჭისყრით*** უნდა ჩატარებულიყო. ამან მკვეთრად შეამცირა იქამდე ფართოდ გავრცელებული კორუფცია, რასაც აადვილებდა ღია კენჭისყრა. არჩევნების დროს კორუფციის საბოლოოდ მოსპობას დიდ ბრიტანეთში კიდევ რამდენიმე ათწლეული დასჭირდა.

ხელისუფლება, განსაკუთრებით ლიბერალური პარტია, *პროფკავშირების* მიმართ სხვადასხვა დათმობებზე მიდიოდა. რევოლუციური მოძრაობა და რადიკალური სოციალისტური იდეების ფართო გავრცელება ბრიტანეთში არ მომცხდარა.

მე-19 და მე-20 საუკუნეთა მიჯნაზე ბრიტანეთის ტრადიციულ ორპარტიულ სისტემაში შემოიჭრა მესამე ძალა. განსხვავებით კონსერვატიული და ლიბერალური პარტიებისაგან, რომლებიც მაღალი და საშუალო კლასების ინტერესებს გამო-

ხატავდნენ, 1900 წლის თებერვალში ბრიტანეთის *პროფკავშირების კონგრესის* ინიციატივით შექმნილი *ლეიბორისტული* პარტია (*Labour Party*, „შრომის პარტია“ – ოფიციალურად ეს სახელი მან 1906 წელს მიიღო) მშრომელი კლასების ინტერესების დამცველი უნდა ყოფილიყო. პარტიის ლიდერებმა ძირითად მიზნად დაისახეს პარლამენტში მუშათა წარმომადგენლების გაყვანა. პარტიის პროგრამაში მხოლოდ 1918 წლიდან შევიდა „სოციალისტური გარდაქმნები“.

თავიდან *ლეიბორისტულ პარტიაში* მხოლოდ კოლექტიური წევრობა შეიძლებოდა. მასში შედიოდნენ პროფკავშირები, „ფაბიანელთა საზოგადოება“, „მუშათა დამოუკიდებელი პარტია“, „სოციალურ-დემოკრატიული ფედერაცია“. ამ კოლექტიურ წევრებს უკვე 1904 წელს მილიონამდე საკუთარი წევრი ჰყავდათ. 1918 წლიდან შემოიღეს უშუალოდ ლეიბორისტული პარტიის ინდივიდუალური წევრობაც.

XX საუკუნის პირველ ორ ათწლეულში ლეიბორისტები პოლიტიკურ ასპარეზზე ნაკლებად ჩანდნენ და ლიბერალური პარტიის აჩრდილს თუ წარმოადგენდნენ. მათი პროგრამული მოთხოვნების თითქმის ანალოგიურ რეფორმებს ხელისუფლებაში მყოფი ლიბერალები ახორციელებდნენ.

1906 წელს ლიბერალურმა პარტიამ დიდი უპირატესობით მოიგო საპარლამენტო არჩევნები: მის 397 წევრს 156 კონსერვატორი უპირისპირდებოდა. 1910 წელს არჩევნები ორჯერ გაიმართა – იანვარსა და დეკემბერში. ამ არჩევნებში გამარჯვებული პარტია ვერ გამოვლინდა, მაგრამ ირლანდიელი ნაციონალისტებისა და ლეიბორისტების მხარდაჭერით, მთავრობა ლიბერალმა *ჰერბერტ ასკუითმა* (*Herbert Henry Asquith*, 1852-1928) შექმნა, რომელიც მთავრობას ხელმძღვანელობდა 1908-1916 წლებში.

ლიბერალებმა გაატარეს რამდენიმე სერიოზული სოციალური რეფორმა. 1906 წელს პარლამენტმა აღადგინა გაფიცვის სრული უფლება და მიიღო „კანონი კომპენსაციების შესახებ“ სამრეწველო ტრავმების შემთხვევაში. დაწესდა 8-საათიანი სამუშაო დღე მაღაროელებისათვის; 1909 წელს დაარსდა შრომის ბირჟები; 1911 წელს დაკანონდა სახელმწიფო სოციალური დაზღვევა ავადმყოფობის, ინვალიდობის ან უმუშევრობის შემთხვევაში.

1909 წლის 1 იანვრიდან, პირველად მსოფლიოში, ბრიტანეთის სახელმწიფომ დაიწყო მცირე ***პენსიის გადახდა*** 70 წელს გადაცილებული მოხუცებისათვის. ამ კანონის მიღებას ხალხი ფეიერვერკებით შეხვდა!

1911 წელს ლიბერალებმა ძალიან მნიშვნელოვანი საპარლამენტო რეფორმა განახორციელეს: ***ლორდთა პალატას ჩამოერთვა თითქმის ყველა უფლება და მის ვეტოს*** (ისიც მხოლოდ არაფინანსურ კანონპროექტებზე) ***მხოლოდ ორჯერ შეეძლო, გაეჭიანურებინა კანონის მიღების პროცედურა.*** დამკვიდრდა პრეცედენტი, რომ ***პრემიერ-მინისტრი არ შეიძლებოდა, ლორდი ყოფილიყო***, ანდა ლორდს უარი უნდა ეთქვა ტიტულზე, რათა ეს პოსტი დაეკავებინა (ასე მოიქცა, მაგალითად, *სერ ელეკ დაგლას-ჰიუმი* 1963 წელს).

თემა 13. პირველი მსოფლიო ომისწინა ვითარება. ომის გავლენა მსოფლიო პოლიტიკურ გეოგრაფიაზე და პოლიტიკურ განვითარებაზე.

ლიტერატურა: გაერთ. სამ. გვ. 257-270, 275-276

XX საუკუნის დამდეგს ბრიტანეთის იმპერია განაგებდა მსოფლიოს ხმელეთის თითქმის მეოთხედს საერთო ფართობით 33 მლნ. კვ. კმ. მას 368 მილიონი ქვეშევრდომი ჰყავდა მსოფლიოს ყველა კონტინენტზე. ბრიტანული კოლონიებისა და დომინიონების საერთო ფართობი 109-ჯერ (!) სჭარბობდა მეტროპოლიის – ბრიტანეთის კუნძულების – ფართობს.

იმავდროულად, მსოფლიოში სხვა იმპერიებიც გაძლიერდნენ, რომლებიც ერთმანეთთან მეტოქეობდნენ.

გავლენიან ბრიტანელ ლიბერალ მოღვაწეს *ჯოზეფ ჩემბერლენს* (*Joseph Chamberlain*, 1836-1914) 1904 წელს შეეძლო ეთქვა: „*პატარა სახელმწიფოების დრო დიდი ხანია გავიდა. ახლა იმპერიების დრო დადგა*“.

ამ სიტყვების წარმოთქმისას ევროპაში *დამოუკიდებელი* იყო სულ 23 სახელმწიფო, მათ შორის “დიდ სახელმწიფოდ” (Superpower) მიჩნეული იყო შვიდი ქვეყანა -- ბრიტანეთის, გერმანიის, ავსტრია-უნგრეთის, რუსეთის, ოსმალეთის იმპერიები, იტალიის სამეფო და კოლონიური იმპერიის მქონე საფრანგეთის რესპუბლიკა. ამერიკის ორივე კონტინენტზე მაშინ იყო 20 რესპუბლიკა, აზიაში – შვიდი მონარქია, ხოლო აფრიკაში – ერთი მონარქია (ეთიოპია) და ერთიც რესპუბლიკა (ლიბერია). დანარჩენი მსოფლიო ევროპულ იმპერიებს ჰქონდათ დანაწილებული.

1904 წელს ჩემბერლენი ვერც წარმოიდგენდა, რომ სულ 14 წლის შემდეგ გაქრებოდა ოთხი იმპერია (გერმანია, ავსტრია-უნგრეთი, რუსეთი და ოსმალეთი), ნახევარი საუკუნის შემდეგ აღარ იარსებებდა ბრიტანეთის იმპერია და ასი წლის შემდეგ მსოფლიოში 200-ზე მეტი აღიარებული სახელმწიფო იქნებოდა!

XX საუკუნეს ბრიტანეთი შეხვდა უკვე დაწყებული ომით (1899-1902) სამხრეთაფრიკელი *ბურების* – პროტესტანტი ჰოლანდიელი და ფრანგი იმიგრანტების შთამომავლების მიერ დაარსებული ორი სახელმწიფოს, *ტრანსვაალისა* და *ორანჯის რესპუბლიკის* – წინააღმდეგ. რეალური მიზეზი მარტივია: ბურების ტერიტორიაზე, *ვიტვატერსრანდში*, აღმოჩნდა ოქროს დიდი საბადო! ომის ფორმალური საბაბი კი იყო ბურების მიერ ბრიტანეთის იმ მოთხოვნის შეუსრულებლობა, რომ მოქალაქეობის უფლება მიენიჭებინათ მათ ტერიტორიაზე მრავლად შესული ოქროს მაძიებელი“*უიტლანდერებისათვის*“ (*uitlander*, ჰოლანდიურად „უცხოელი“). ბურებს მშვენივრად ესმოდათ, რომ *უიტლანდერები* მათ რიცხობრივად მალე გადააჭარბებდნენ და „მშვიდობიანად შეიყვანდნენ“ ბრიტანეთის იმპერიაში მათ რესპუბლიკებს!

1880-1881 წლებში ბურების რესპუბლიკებთან წაგებულმა ომმა ერთგვარი გამოცდილება შესძინა ბრიტანულ არმიას: მისი ჯარისკაცების ტრადიციული წითე-

ლი ტანსაცმელი და წინა საუკუნეებიდან შემორჩენილი ოფიცრის მუნდირის ბრჭყვიალა ჯინჯილები შესანიშნავი სამიზნე იყო სნაიპერებისათვის. ამიტომ ბრიტანული არმია გადავიდა ხაკისფერ ფორმაზე, რომელსაც დღემდე იყენებს.

ბრიტანეთის მთავრობას მაინცდამაინც არ უნდოდა ახალი ომი ბურებთან, მაგრამ სამხედროებმა დაარწმუნეს მთავრობა სწრაფ გამარჯვებაში. მცირერიცხოვანმა ბურებმა კი მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს ძლიერ მტერს. სამწლიან ომში გამარჯვება ბრიტანეთს დაუჯდა 22 ათას დახოცილ ჯარისკაცად, 270 მილიონ პაუნდ სტერლინგად და საერთაშორისო პრესტიჟის შელახვად.

ბევრი ბრიტანელის თვალშიც *„ბურების ომი“* არ იყო სამართლიანი. კუნძულებზე ისიც აშკარად იგრძნეს, რომ მსოფლიოში მათ არავინ უჭერს მხარს.

მოსალოდნელი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომების გათვალისწინება იყო იმის მიზეზი, რომ XX საუკუნის დასაწყისში ლონდონმა *დომინიონის* სტატუსი მიანიჭა „თეთრკანიან“ კოლონიებს – ავსტრალიის კავშირს (1900), ახალ ზელანდიას (1907) და სამხრეთ აფრიკის კავშირს (1910). ამ უკანასკნელში თეთრკანიანები მმართველი ფენა იყვნენ, მაგრამ იმ დროს შავ- და ფერადკანიანები მათ რაოდენობრივად დიდად არ სჭარბობდნენ. *სამხრეთ აფრიკის კავშირში* გაერთიანდნენ რამდენიმე წლის წინანდელი მტრები: ბრიტანული კოლონიები – *ნატალი* და *კეიპი* და ბურების ყოფილი რესპუბლიკები – *ტრანსვაალი* და *ორანჯის თავისუფალი სახელმწიფო*. დომინიონებს ფართო თვითმმართველობის უფლება მიენიჭათ.

უკვე XIX საუკუნის ბოლოს გამოჩნდა, რომ ბრიტანეთის განვითარების შენელების ფონზე ძლიერდებიან სხვა სახელმწიფოები – აშშ, გერმანია, იაპონია.

უზარმაზარი კოლონიური ბაზრის არსებობა ბრიტანეთის მრეწველობის დივერსიფიკაციას აფერხებდა. სუსტად განვითარებულ კოლონიებში მეტროპოლიიდან გატანილ სამომხმარებლო საქონელს დიდი მოგება მოჰქონდა, რაც ამცირებდა ბრიტანეთში ახალი დარგების, მათ შორის, ახალი მანქანა-დანადგარების, ჩარხების წარმოების ეკონომიკურ სტიმულს.

გერმანიის იმპერია, რომელიც 1871 წელს გაერთიანდა პრუსიის ირგვლივ, უფრო დიდ ტერიტორიას, ბუნებრივ რესურსებსა და მოსახლეობას ფლობდა, ვიდრე საკუთრივ გაერთიანებული სამეფო. გერმანიის შრომითი რესურსები კი არანაკლებ მომზადებული და უფრო დისციპლინირებული იყო, ვიდრე ბრიტანეთისა.

გერმანიის მრეწველობის აღმავლობისათვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ის, რომ მის ახალდაარსებულ სამრეწველო საწარმოებს შეეძლოთ, დაუყოვნებლივ გამოეყენებინათ ის დიდი ტექნიკური მიღწევები, რომელთა შექმნასაც ბრიტანელები მთელ საუკუნეს მოუნდნენ. გერმანულ ქარხნებში უახლესი მანქანა-დანადგარები დადგეს, ბრიტანეთის უკვე მოძველებულ ქარხნებში კი, რომელთაგან ზოგიერთი XVIII საუკუნისა იყო, მოწყობილობის განახლების პროცესი ნელა მიდიოდა.

XX საუკუნის დამდეგს ბრიტანელებმა გაკვირვებითა და აღშფოთებით აღმოაჩინეს თავის „კანონიერ ბაზრებზე“ მოულოდნელად გაჩენილი საქონელი, რომელსაც ჰქონდა წარწერა „დამზადებულია გერმანიაში“.

1898 წელს გერმანიის იმპერიამ დაიწყო სამხედრო-საზღვაო ფლოტის გაფართოებისა და გადაიარაღების პოლიტიკის გატარება. „ზღვათა მპყრობელი“ ბრიტანეთისათვის ეს პირდაპირ გამოწვევას წარმოადგენდა.

ბერლინს უკვე ზღვისგადაღმა კოლონიებზეც ეჭირა თვალი. XIX საუკუნის ბოლოს, XX საუკუნის დასაწყისში გერმანიის ახალი კოლონიური სამფლობელოები აფრიკაში – *ტოგო, კამერუნი, სამხრეთ-დასავლეთი აფრიკა* (მომავალი *ნამიბია*), *ტანგანიკა* – ინგლისურ კოლონიებს დაუმეზობლდა.

XIX საუკუნეში, „ბრწყინვალე იზოლაციის“ ხანაში, ბრიტანეთს შეეძლო, მშვიდად ეცქირა ევროპული კონფლიქტებისათვის და ემოქმედა, როგორც არბიტრს. მუდმივი მოკავშირე მას არ ესაჭიროებოდა.

XX საუკუნის დასაწყისშივე *გეოპოლიტიკური ვითარება* შეიცვალა: ბრიტანეთს დასჭირდა მოკავშირე. მან დაიწყო დაახლოება საფრანგეთთან, რადგან ორივე ძველმა მეტოქემ კარგად იგრძნო უფრო სახიფათო საერთო მტრის გამოჩენა.

1904 წელს ამ ორ სახელმწიფოს შორის დაიდო *„გულითადი შეთანხმება“ (Entente cordial),* რომელიც გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის წინააღმდეგ იყო მიმართული. “*ანტანტა*“ სერიოზული გეოპოლიტიკური ფაქტორი გახდა მომდევნო ორიოდე ათეული წლის განმავლობაში.

ლონდონმა დაიწყო ერთგვარი დაახლოება პეტერბურგთანაც, რომელთანაც მთელი XIX საუკუნის განმავლობაში საკმაოდ ცივი ურთიერთობა ჰქონდა. 1907 წელს მათ ბოლო დაუდეს ახლო აღმოსავლეთში, ცენტრალურ აზიასა და ტიბეტში ხანგრძლივ მეტოქეობას, რომელიც დიპლომატიის ისტორიაში შევიდა „დიდი თამაშის“ (*Great Game*) სახელით. ამ სახელს პოპულარობა შესძინა ცნობილმა მწერალმა *რედიარდ კიპლინგმა* (*Rudyard Kipling*, 1865-1936. ჩვენში ის ყველაზე მეტად ცნობილია, როგორც „ჯუნგლების წიგნის“ ავტორი).

1907 წლის ხელშეკრულებით, *პეტერბურგმა და ლონდონმა გავლენის სფეროებად გაიყვეს სპარსეთი*, ბუნებრივია, თეირანის დაუკითხავად! რუსეთს ერგო სპარსეთის თითქმის ნახევარი, ყველაზე უკეთ ათვისებული ჩრდილოეთი ნაწილი; ბრიტანეთი დაკმაყოფილდა სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე სპარსეთის უდაბური და შედარებით მომცრო ნაწილით, რომელიც სტრატეგიულად იყო მნიშვნელოვანი მისთვის: ის ესაზღვრებოდა ბრიტანულ ინდოეთს (დღევანდელი პაკისტანის ტერიტორიას). იმ მიზნით, რომ ერთმანეთის უშუალო მეზობლობა გამოერიცხათ, ორმა იმპერიალისტმა სპარსეთის მესამედზე მეტი „ნეიტრალურ ზონად“ გამოაცხადა.

სამხრეთ სპარსეთში დატოვებულ „ნეიტრალურ ზონაში“, *მასჯედ-ე სოლეიმანთან*, ბრიტანელმა გეოლოგებმა 1908 წელს აღმოაჩინეს ნავთობის დიდი მარაგი, რამაც დაუყოვნებლივ *შეცვალა გეოპოლიტიკური ვითარება ახლო აღმოსავლეთის რეგიონში.* ეს ნავთობმომცემი რაიონი და მდინარე *შატ-ალ არაბის* მარცხენა ნაპირზე, სპარსეთის ქალაქ *აბადანში,* 1913 წელს გახსნილი მსოფლიოში უდიდესი ნავთობგადასამუშავებელი ქარხანა ლონდონისათვის უძვირფასესი შენაძენი იყო, რომელსაც თვალისჩინივით დაცვა ესაჭიროებოდა. ამიტომაც ახლო აღმოსავლეთს

ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკაში განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა. ნავთობის მოპოვებისა და გადამუშავების მიზნით 1908 წელს დაარსებული კერძო „*ანგლო-სპარსული ნავთობის კომპანიის*“ (მომავალი „ბრიტიშ პეტროლიუმის“) აქციების საკონტროლო პაკეტს 1913 წელს დაეუფლა ბრიტანეთის მთავრობა. ეს იმდროინდელი საზღვაო მინისტრის *უინსტონ ჩერჩილის* ინიციატივით გაკეთდა.

***

1914 წელს ევროპაში დაიწყო ომი, რომელმაც მალე გლობალური ხასიათი შეიძინა. ასეთი მასშტაბის ომი დედამიწას იქამდე არ უნახავს.

“დიდი ომი“, „ყველა ომის დამამთავრებელი ომი“, „იმპერიალისტური ომი“ და სხვა ეპითეტებით შემკული სისხლისმღვრელი შეხლა, უპირველესად, ევროპელებისა ერთმანეთთან, ***შემობრუნების პუნქტად იქცა ევროპული ცივილიზაციის განვითარებაში***: მისი იქამდე ძირითადად ევოლუციური, ნარნარი განვითარება მკვეთრად შეიცვალა.

ომს აქვს ტენდენცია, დააჩქაროს ტექნიკური პროგრესი. ინგლისური ანდაზა ამბობს: „*საჭიროება გამოგონების დედაა*“. ომის დროს კი, ან მისთვის გამალებული მზადების დროს, *საჭიროება* უზარმაზარია და სასწრაფო.

პირველი მსოფლიო ომის დროს დაინერგა იარაღის ახალი, გამანადგურებელი სახეობები. პირველად გამოიყენეს მომწამლავი ქიმიური პრეპარატები, რომელიც თავიდან გერმანულმა არმიამ გაუშვა, თუმცა მალე ანტანტასაც გაუჩნდა მასობრივი განადგურების ეს იარაღი. ომის დროს ქიმიურმა შეტევებმა 90 ათასამდე ადამიანი იმსხვერპლა. ბრიტანელმა ოფიცერმა *ედვარდ ჰარისონმა* ქიმიურ შეტევას თავისი გამოგონება – *აირწინაღი* – დაუპირისპირა.

ომის დროს გაჩნდა საბრძოლო ავიაცია, რომელმაც მთლიანად შეცვალა სამხედრო სტრატეგია. ბრიტანეთს აღარ შეეძლო თავის გადაულახავ სამხრეთ საზღვრად მიეჩნია „*დუვრის თეთრი კლდეები*“, რომელთა მისადგომებს მისი სამხედრო-საზღვაო ფლოტი საიმედოდ დაიცავდა. უკვე პირველი მსოფლიო დროს მისი ტერიტორია იბომბებოდა გერმანული თვითმფრინავებისა და დირიჟაბლების მეშვეობით, თუმცა მაშინდელი მსხვერპლი და ნგრევა დიდი არ ყოფილა.

ომის დროს ინგლისური სამხედრო გემი *HMS Ark Royal* ავიამზიდის პროტოტიპად იქცა, მას თვითმფრინავის ასაფრენი ზოლი დაუმონტაჟეს.

1916 წელს ბრიტანელებმა ფრონტზე გამოიყვანეს პირველი მუხლუხებიანი შეჯავშნული მანქანები. ტრანსპორტირებისას მათ შესანიღბად გადაფარებულ ბრეზენტზე ეწერა *თანკს* (ინგლისურად „*ცისტერნები*“). ამ საბრძოლო მანქანას სახელად შერჩა „*ტანკი*“.

ომის დროს ადამიანის სიცოცხლე უფასურდება ხოლმე. ომის ოთხი წლის განმავლობაში ყოველდღე საშუალოდ 6 ათასი ჯარისკაცი იღუპებოდა, სულ კი 9 მილიონი მებრძოლი და 7 მილიონზე მეტი სამოქალაქო პირი დაიღუპა.

მსოფლიო ომი კი ასე იწყებოდა.

1914 წლის 28 ივნისს ქ. სარაევოში ბოსნიელი სერბი ტერორისტის მიერ ავსტრია-უნგრეთის ტახტის მემკვიდრის, *ერცჰერცოგ ფრანც ფერდინანდის*, მკვლელობას მოჰყვა ვენის უმკაცრესი ულტიმატუმი სერბიის მთავრობის მიმართ. რუსეთის იმპერია დაუყოვნებლივ გამოენთო „ერთმორწმუნე, მოძმე სერბების“ დასაცავად.

ახდა *ოტო ფონ ბისმარკის* მიერ 1896 წელს გამოთქმული წინასწარმეტყველება: ***„ერთ დღეს დიდი ევროპული ომი დაიწყება რაღაც წყეული სისულელის გამო ბალკანეთში“.***

ევროპაში დაიწყო წინასაომარი ციებ-ცხელება, როდესაც პოლიტიკოსები და გენერლები ერთად აჩქარებდნენ ომის დაწყებას.

1914 წლის ზაფხულში ლონდონს ჰქონდა საშუალება, ემოქმედა, როგორც მსოფლიოში ყველაზე გავლენიან სახელმწიფოსა და უდიდესი კოლონიური იმპერიის მფლობელს, თუკი მას არ სურდა ომი ევროპაში. მაგრამ მისმა მთავრობამ კარგა ხანს ამჯობინა ისეთი ნეიტრალიტეტის დაცვა, რომელიც ომს გარდაუვალს გახდიდა.

28 ივლისს ავსტრია-უნგრეთმა გამოუცხადა ომი სერბიას, 30 ივლისს რუსეთმა – ავსტრია-უნგრეთს, 1 აგვისტოს გერმანიამ – რუსეთსა და საფრანგეთს.

ბერლინში შეექმნათ, როგორც მალე გაირკვა – მცდარი, შთაბეჭდილება, თითქოს ბრიტანეთი არ აპირებდა ომს და გადაწყვიტეს, სასწრაფოდ აემოქმედებინათ გერმანიის არმიის გენერალურ შტაბში ჯერ კიდევ 1904 წელს შემუშავებული „*შლიფენის გეგმა*“ – საფრანგეთის დამარცხება ელვისებურ ომში და შემდეგ შეტევა რუსეთის წინააღმდეგ. ამ გეგმის ვარაუდით, გერმანიას მხოლოდ ორი მოწინააღმდეგე ეყოლებოდა – საფრანგეთი და რუსეთი.

მაგრამ ბერლინს არ გაუმართლდა ომში ბრიტანეთის ჩაურევლობის მოლოდინი. როდესაც ბელგიის მთავრობამ არ დართო ნება გერმანიის ჯარებს, გაევლოთ მის ტერიტორიაზე საფრანგეთის წინააღმდეგ შეტევის განსახორციელებლად, გერმანული არმია დაუკითხავად შევიდა ბელგიაში, რომლის ნეიტრალიტეტის გარანტი იყო დიდი ბრიტანეთი. ამიტომ 4 აგვისტოს ბრიტანეთმა გამოუცხადა ომი გერმანიას.

ანტანტის, ანუ ბრიტანეთის, საფრანგეთისა და რუსეთის იმპერიის მხარეს, ომში ჩაერთო ბრიტანეთის ყველა დომინიონი და კოლონია. ანტანტას თანდათან შეუერთდნენ იაპონია, იტალია, აშშ, საბერძნეთი, რუმინეთი, პორტუგალია, ბრაზილია და სხვ. ჯამში 23 სახელმწიფო დაუპირისპირდა ოთხ „*ცენტრალურ სახელმწიფოს*“ – გერმანიას, ავსტრია-უნგრეთს, ოსმალეთსა და ბულგარეთს.

მობილიზაცია ბრიტანეთის მთავრობას 1916 წლამდე არ გამოუცხადებია, რადგან მოხალისეების ნაკლებობა თავიდან არ იგრძნობოდა: ომში მოხალისედ წასვლა ინგლისელი ჯენტლმენის ღირსების საქმე იყო.

“*შლიფენის გეგმა*“ ჩაიშალა იმავე 1914 წლის სექტემბერში, როდესაც გერმანიამ ვერ დაამარცხა საფრანგეთისა და ბრიტანეთის გაერთიანებული ძალები

პარიზის ახლოს, მდ. *მარნაზე*. ამის შემდეგ ორივე მხარე სანგრებში ჩაჯდა და დასავლეთის ფრონტზე დაიწყო ხანგრძლივი პოზიციური ომი მტრის გამოფიტვის მიზნით, შედარებით იშვიათი, მაგრამ ძალიან სისხლიანი ბრძოლებით.

ბრიტანეთის კოლონიური იმპერიის ულევი რესურსები გაჭიანურებულ ომში ანტანტას აძლევდა უპირატესობას, მაშინ როცა გერმანიას და მის მოკავშირეებს მოწინააღმდეგემ საზღვაო ბლოკადა დაუწესა. „ცენტრალური სახელმწიფოების“ მოსახლეობამ მალე იგრძნო ეკონომიკური ბლოკადის მძიმე სუსხი.

ბრიტანეთი დაინტერესებული იყო, შეენარჩუნებინა თავისი პოზიციები ახლო აღმოსავლეთში და არ დაეშვა იქ გერმანიისა და მისი მოკავშირის, ოსმალეთის, წარმატება. ამ უკანასკნელის ომში ჩართვისთანავე (1914 წლის ნოემბერი) ბრიტანულ-ინდური არმიის ნაწილები შევიდნენ სამხრეთ ერაყში, რომელიც მაშინ ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა, რათა არ დაეშვათ სამხრეთ სპარსეთში მდებარე ბრიტანეთის *კუთვნილი აბადანის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის* ოკუპაცია ოსმალურ-გერმანული ძალების მიერ. აბადანში წარმოებულ ნავთობპროდუქტებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ბრიტანეთის ფლოტისა და სახმელეთო არმიის მოტორიზებული ნაწილების ბრძოლისუნარიანობისათვის. გერმანიას კი საწვავი ძალიან უჭირდა.

წარუმატებელი გამოდგა ბრიტანულ-ფრანგული ფლოტის მცდელობა, გასულიყო *დარდანელის სრუტით* და სტამბოლზე მიეტანა პირდაპირი იერიში.

გერმანელი ინსტრუქტორების მიერ გაწვრთნილმა და გერმანული იარაღით აღჭურვილმა ოსმალებმა წარმატებით გამოიყენეს წყალქვეშა ნაღმები, ტორპედოები, სანაპირო არტილერია და მოკავშირეებს დარდანელის ვიწრო სრუტეში ჩაუძირეს სამი დიდი ჯავშნოსანი გემი. ეს 1915 წლის მარტში მოხდა. ამის შემდეგ *ანტანტის* სამხედრო ხელმძღვანელობამ, სადაც ერთ-ერთ წამყვან როლს ასრულებდა ბრიტანეთის საზღვაო მინისტრი *უინსტონ ჩერჩილი* (*Sir Winston Leonard Spenser-Churchil,*1874-1965), მიიღო გადაწყვეტილება, დაეკავებინა დარდანელის სრუტის დასავლეთით მდებარე *გალიპოლის* ნახევარკუნძული.

გალიპოლის ოპერაციაში დაიხოცა ბრიტანეთისა და მისი დომინიონების 58 ათასი ჯარისკაცი. დაღუპულთა შორის იყო 8,7 ათასი ავსტრალიელი და 2,7 ათასი ახალზელანდიელი, რაც ამ დომინიონების მაშინდელი მცირე მოსახლეობისათვის უზომო დანაკარგს წარმოადგენდა და, ცხადია, იქ დიდი აღშფოთება და ვნებათაღელვა გამოიწვია. 1916 წლის დასაწყისში ანტანტამ გაიყვანა ჯარი გალიპოლიდან. უინსტონ ჩერჩილი მინისტრის პოსტიდან გადადგა.

ომის დროს მსგავსი ოპერაცია ბევრი იყო, ჯარისკაციც არანაკლები რაოდენობით დაღუპულა. *გალიპოლის ოპერაციაზე* კი ყურადღება იმიტომ შევაჩერე, რომ მის შედეგს მსოფლიო ომის გახანგრძლივებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭა. ამ ოპერაციაში ანტანტის ძალების წარმატება უეჭველად გამოიწვევდა ოსმალეთის დედაქალაქის – სტამბოლის – ოკუპაციას ანტანტის ჯარების მიერ, ოსმა-

ლეთის გამოთიშვას ომიდან და „ცენტრალური სახელმწიფოების“ წინააღმდეგ აღმოსავლეთიდან ანტანტის შეტევას.

რეალურად კი, გალიპოლიში ანტანტის მარცხის შედეგად ოსმალეთის იმპერიამ გააგრძელა ომში მონაწილეობა. შავი ზღვის სრუტეები ჩაკეტილი დარჩა რუსეთის იმპერიისათვის, რომელიც 1915-1916 წლებში ცენტრალურ ევროპაში სერიოზულ მარცხს განიცდიდა ბრძოლაში გერმანიასთან, თუმცა, თავის მხრივ, ამარცხებდა ავსტრიელებს. შავი ზღვის გზით რუსეთმა ვერ მიიღო დახმარება ბრიტანეთისა და საფრანგეთისაგან. ამანაც შეუწყო ხელი რუსეთის იმპერიაში დაწყებული პოლიტიკური კრიზისის გაღრმავებას, რასაც მოჰყვა 1917 წლის რევოლუციები პეტროგრადში და მსოფლიო ომიდან რუსეთის სეპარატული გამოთიშვა.

1916 წელს ბრიტანულმა დიპლომატიამ მოახერხა დაერწმუნებინა არაბეთის ნახევარკუნძულზე, ჰიჯაზში მდებარე ისლამის წმინდა ქალაქის – *მექის* – მმართველი, რომ ოსმალეთის წინააღმდეგ აჯანყების ფასად, ერთიანი არაბული სამეფოს შექმნაში დაეხმარებოდა მას. არაბები მართლაც აუჯანყდნენ ოსმალეთს. ამან გაუადვილა გენერალ *ალენბის* (*Sir Edmund Allenby,* 1861-1936) 1917 წლის 9 ნოემბერს აეღო *იერუსალიმი.* 1918 წელს ბრიტანელებმა აიღეს *ბაღდადი, დამასკო, ალეპო.*

რუსეთის ბოლშევიკური მთავრობის მიერ გერმანიასთან და მის მოკავშირეებთან 1918 წლის 3 მარტს სეპარატული საზავო ხელშეკრულების (“*ბრესტის ზავი*“) დადების შემდეგ გერმანიას 50 დივიზია გამოუთავისუფლდა დასავლეთის ფრონტზე საომრად. ალენბის მოუწია 60 ათასი ჯარისკაცის მოხსნა ახლო აღმოსავლეთის ფრონტიდან და ევროპაში ძირითადი ძალებისათვის მიშველება.

1918 წელს ანგლო-ფრანგულმა კოალიციამ, რომელსაც დიდი დახმარება აღმოუჩინეს შეერთებულმა შტატებმა, აჯობა გამოფიტულ გერმანიას და მის მოკავშირეებს. 1918 წლის 11 ნოემბერს გერმანიამ ბრძოლა შეწყვიტა.

დღემდე, ყოველი წლის 11 ნოემბერს ბრიტანელები *წითელი ყაყაჩოებით* აღნიშნავენ *ორივე* მსოფლიო ომის დასრულებას. ეს ტრადიცია პირველი მსოფლიო ომის შემდეგ დაიბადა და ერთ პატარა ლექსთანაა დაკავშირებული (იხ. ჩანართი).

> მსოფლიო ომის მონაწილე კანადელი ექიმისა და პოეტის, მაიორ პირველი *ჯონ მაკრეის* (*John McCrae,* 1872-1918) სულისაღმძვრელი ლექსის – *In Flanders Fields* – წყალობით, *წითელი ყაყაჩო* ომში დაცემულთა სიმბოლოდ იქცა. მაკრეიმ სამსტროფიანი ლექსი დაწერა 1915 წელს და მიუძღვნა ფლანდიაში, ქალაქ *იპრთან,* დაღუპულ თავის საბრძოლო ამხანაგებს. ამ ლექსის ნაწილის თარგმანის ცდა:
>
> ფლანდრიის ველზე ყაყაჩო ყვავის,
> ჯვრებს შორის ჩვენი ადგილის მცველი.
> ტოროლას გუნდის ჟრიამულს ცაში
> ფარავს ქვემეხის გრიალი მწველი.
> ჩვენ აქ ვართ – მკვდრები. ცოტა ხნის წინათ
> ვცხოვრობდით, ვჭვრეტდით განთიადს, დაისს.
> სიყვარულს ვგრძნობდით. ახლა კი გვძინავს
> ფლანდრიის ველზე...

ამ ომის შედეგად დაიშალა ოთხი იმპერია – რუსეთის, ავსტრია-უნგრეთის, ოსმალეთის და გერმანიისა; ომის შედეგი იყო 1917 წლის რევოლუციური კატაკლიზმები რუსეთში: ბოლშევიკური რევოლუციის შემდეგ რუსეთმა სოციალიზმის მშენებლობა დაიწყო და მძაფრად დაუპირისპირდა „კაპიტალისტურ სამყაროს“; 1919 წელს გერმანიისათვის თავსმოხვეულმა უმძიმესმა *ვერსალის ხელშეკრულებამ* განავითარა „*ვერსალის სინდრომი*“, როდესაც მთელი ერი თავს მიიჩნევს დამცირებულად და უსამართლოდ დაჩაგრულად. ამას შედეგად მოჰყვა ნაციზმის წარმატება 1930-იან წლებში.

მსოფლიო ომის შედეგები *ბრიტანულმა ელიტამ* მწვავედ იგრძნო: ცოცხალი ძალის დანაკარგში საგრძნობი იყო არისტოკრატიის წარმომადგენელთა, ოქსფორდისა და კემბრიჯის უნივერსიტეტების კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა ხვედრითი წილი. მათი მშობლები, დები, მეგობრები კი საზოგადოებრივი აზრის ძირითადი შემქმნელები იყვნენ. ბრიტანეთის ქალაქებსა და სოფლებში უამრავი მემორიალია, რომელზეც ამოკვეთილია პირველ მსოფლიო ომში დაღუპული მათი მრავალრიცხოვანი თანამოქალაქის გვარები. მაგალითად, ინგლისის პარლამენტში მთელი კედელი უჭირავს პარლამენტის იმდროინდელი წევრებისა და მათი ვაჟიშვილების ჩამონათვალს, რომლებიც პირველ მსოფლიო ომში დაიღუპნენ. არავის უნდოდა ომისდროინდელი უბედურების ხელახალი გადატანა. ამის გამო ბრიტანეთსა და ომში მონაწილე დასავლეთევროპულ ქვეყნებში პოპულარული გახდა *პაციფიზმი*, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა მომდევნო ორი ათწლეულის პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაზე.

ბრიტანული საზოგადოების მზარდმა პაციფიზმმა ხელი ვერ შეუშალა იმპერიის მშენებლებს, დაჰპატრონებოდნენ ომის ნაალაფევს. ომის შედეგად ყველაზე დიდი ტერიტორიული შენაძენი ბრიტანეთის იმპერიას ხვდა წილად. მის ხელში გადავიდა გერმანიის ყოფილი კოლონიები.



ბრიტანეთის იმპერიის ტერიტორია 1921 წელს **(მონიშნულია)**

აღსრულდა ბრიტანელი იმპერიალისტების დიდი ხნის ოცნება – აფრიკის კონტინენტის აღმოსავლეთ ნაწილში ბრიტანული სამფლობელოები უწყვეტ ზოლს ქმნიდნენ ჩრდილოეთით – ალექსანდრიიდან და სუეცის არხიდან, სამხრეთით – კეიპტაუნამდე.

1920 წელს შექმნილ „*ერთა ლიგაში*“, შტაბ-ბინით ჟენევაში (შვეიცარია), რომელიც მოწოდებული იყო, დაეცვა მშვიდობა მსოფლიოში, უზრუნველეყო კოლექტიური უსაფრთხოება და განიარაღება, წამყვან როლს ასრულებდნენ ომში გამარჯვებული სახელმწიფოები – დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია და იაპონია. ამერიკამ არ ისურვა „*ერთა ლიგის*“ წევრობა. დამარცხებული გერმანია და ბოლშევიკური რუსეთი „*ერთა ლიგაში*“ თავიდან არ მიიღეს: გერმანია 1926 წელს შევიდა *ლიგაში* და 1933 წელს გამოვიდა იქიდან; საბჭოთა კავშირი 1934 წელს შევიდა „*ერთა ლიგაში*“ , 1939 წელს კი ის იქიდან გარიცხეს ფინეთზე არაპროვოცირებული თავდასხმის გამო.

არსებობის პირველ წლებში „*ერთა ლიგაში*“ დომინირებდნენ დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი. სწორედ ამ ქვეყნებმა მიიღეს ადრე ოსმალეთის იმპერიაში შემავალი არაბული მიწების მართვაზე“*ერთა ლიგის*“ *მანდატი*: ბრიტანეთის სამანდატო ტერიტორიებად იქცნენ ერაყი, პალესტინა და ტრანსიორდანია, საფრანგეთისა – სირია და ლიბანი.

მსოფლიო ომის დროს და უშუალოდ მის შემდეგ ბრიტანეთში ისევ მწვავედ დადგა ***ირლანდიის საკითხი.***

ირლანდიის სრული დამოუკიდებლობის მოთხოვნას აყენებდა 1905 წელს შექმნილი პარტია – *შინ ფეინი* (*Sinn Fein*, ირლანდიურად – „*ჩვენ თვითონ*“). 1912 წელს ლორდთა პალატამ არ დაამტკიცა ლიბერალური პარტიის მიერ თემთა პალატაში გაყვანილი ბილი *ირლანდიის ჰოუმრულის* შესახებ: ლორდთა პალატამ გამოიყენა თავისი დროებითი ვეტოს უფლება და ორი წელი კანონპროექტი უესტმინსტერის პარლამენტიდან გარეთ არ გამოუშვა. ამასობაში კი მსოფლიო ომი დაიწყო და *ჰოუმრულის* კანონის აღსრულება გადაიდო.

ირლანდიელთა მოთმინების ფიალა აივსო. 1916 წელს დუბლინში აჯანყდნენ ირლანდიელი პატრიოტები. აჯანყება ერთ კვირაში ჩაახშვეს. 1918 წლის საპარლამენტო არჩევნებში *შინ ფეინმა* 73 დეპუტატი გაიყვანა (უმეტესობა დაპატიმრებული იყო), რომლებიც თეორიულად უესტმინსტერში უნდა გამგზავრებულიყვნენ. ამის ნაცვლად, 27 *შინფეინერი*, რომელიც იმ დროს ციხეში არ იჯდა, 1919 წლის 21 იანვარს შეიკრიბა დუბლინში და გამოაცხადა დამოუკიდებელი ირლანდიის ასამბლეის (*Dáil Éreann*) შექმნა. ამას მოჰყვა ომი ლონდონთან.

ბრიტანულმა არმიამ ვერ გატეხა ირლანდიელთა საბრძოლო სულისკვეთება. 1921 წელს „ზურმუხტოვანი კუნძულის“ 26 საგრაფოს ლონდონმა მიანიჭა დამოუკიდებლობა „*ირლანდიის თავისუფალი სახელმწიფოს*“ (*Irish Free State*) სახელით, დიდი ბრიტანეთის დომინიონის უფლებით. 1949 წელს „ირლანდიის თავისუ-

ფალმა სახელმწიფომ“ უარი თქვა დომინიონის სტატუსზე და თავი გამოაცხადა „ეირეს რესპუბლიკად“.

ულსტერის (ჩრდილოეთ ირლანდიის) ექვს საგრაფოში მოსახლეობის პროტესტანტულმა უმრავლესობამ კი გაერთიანებულ სამეფოში დარჩენა გადაწყვიტა და კათოლიკე ირლანდიელებთან ხანმოკლე სამოქალაქო ომში წარმატებას მიაღწია. კუნძულის ეს ნაწილი 1922 წლიდან დღემდე რჩება გაერთიანებული სამეფოს შემადგენლობაში *ჩრდილოეთ ირლანდიის* სახელით.

***

პირველი მსოფლიო ომი ერთგვარი **კულტურული წყალგამყოფი** აღმოჩნდა XIX და XX საუკუნეებს შორის. ომამდე ბატონობდა იგივე კულტურული და მორალური ფასეულობები, რაც XIX საუკუნეში.

დედოფალ ვიქტორიას დიდი გავლენა ჰქონდა ევროპული ელიტის საზოგადოებრივ აზრზე, რომელიც განსაზღვავდა ქცევის წესებს. პირმოთნეობას მიჩვეული მაღალი საზოგადოება შეუწყნარებელი იყო ყველაფრის მიმართ, რაც „ამორალურად“ მიაჩნდა: მაგალითად, იგმობოდა ქალის სექსუალობის ოდნავი გამოვლინებაც კი. „ვიქტორიანული მორალი“ ვიქტორიას გარდაცვალების შემდეგაც ბატონობდა.

მსოფლიო ომის შემდეგ კი მკვეთრი “მორალური გარდატეხა” მოხდა როგორც ბრიტანეთში, ისე დანარჩენ ევროპაში. შეიცვალა ზნეობრივი კრიტერიუმები მათი მოთხოვნების შემცირების მიმართულებით.

შეიცვალა ტანსაცმლის მოდაც კი. ქალის კაბა დამოკლდა. ფრაკისა და ქვაბურა ქუდის ტარება მხოლოდ არისტოკრატებს თუ შემორჩათ, უმრავლესობა გადაერთო დღესაც გავრცელებულ ტანსაცმელზე.

ომისშემდგომმა ფართო ავტომობილიზაციამ შეცვალა ცხოვრების რიტმი და განსახლების ხასიათი; ელექტროფიკაციის ფართო დანერგვამ ყოფა-ცხოვრებაში შეცვალა ოჯახური ცხოვრების წესი, კინემატოგრაფის გავრცელებამ – დასვენების ხასიათი. ამერიკასთან მჭიდრო ურთიერთობამ ომის დროს და ომის შემდგომ წლებში ამერიკული მუსიკის და ჰოლივუდის ფილმების მოდა შექმნა. შეიმჩნეოდა ევროპული და ამერიკული ქვეყნების კულტურის ნიველირების ტენდენცია. ფართოდ ინერგებოდა „მასობრივი კულტურა“ – დეტექტიური და ეროტიკული ხასიათის მხატვრული ლიტერატურა, კინო და სხვა სანახაობა, ჯაზური მუსიკა. კომერციული გამომცემლობები, თეატრები, ბულვარული პრესა დასპეციალდნენ საშუალო ადამიანის გართობაზე და ამით გვარიან შემოსავალს ღებულობდნენ.

1918 წელს შემოღებულ იქნა 14 წლის ასაკამდე ბაშვების აუცილებელი უფასო განათლება. ეს მოსახლეობის ფართო ფენების კულტურული ზრდის საწინდარი იყო.

ბრიტანეთის **საშინაო პოლიტიკის** უმნიშვნელოვანეს მოვლენად იქცა **1918 წლის საპარლამენტო რეფორმა.**

ბრიტანეთის მმართველი წრეებისათვის ნათელი გახდა, რომ ფრონტიდან დაბრუნებული მილიონობით ჯარისკაცის დატოვება საარჩევნო უფლების გარეშე

პოლიტიკურად სახიფათო იქნებოდა. ჯერ კიდევ ომის დროს, 1918 წლის თებერვალში, კოალიციურმა მთავრობამ პარლამენტში დაუბრკოლებლად გაიყვანა „*სახალხო წარმომადგენლობის აქტი*“ (*Representation of People Act,* 1918), რომლის ძალითაც საერთოდ გაუქმდა ქონებრივი ცენზი არჩევნების დროს და 21 წელზე უფროს ყველა მამაკაცს და 30 წელს გადაცილებული ქალების უმრავლესობას მიენიჭა საარჩევნო უფლება. ამის შედეგად ბრიტანეთში ელექტორატი გასამმაგდა: 1910 წელს არჩევნებში მონაწილეობის უფლება ჰქონდა 7,7 მილიონ ბრიტანელს, 1918 წლის ბოლოს კი – 21,4 მილიონს.

1928 წლის საპარლამენტო რეფორმით, არჩევნებში მონაწილე ქალები კაცებს გაუთანაბრეს ასაკობრივი ცენზითაც, ანუ ორივე სქესის ყველა მოქალაქეს მიეცა არჩევნებში მონაწილეობის უფლება 21 წლის ასაკიდან. საარჩევნო ასაკმა 18 წლამდე დაიწია მხოლოდ 1969 წელს.

პირველი მსოფლიო ომის დროს ინგლისში ერთგვარი პოლიტიკური კონსენსუსი არსებობდა. კოალიციურ მთავრობას, რომელიც 1915 წელს შეიქმნა, 1916 წელს სათავეში ჩაუდგა პრემიერ-მინისტრი *დევიდ ლოიდ-ჯორჯი* (*David Lloyd George,* 1863-1945). მის კაბინეტში შედიოდნენ ლიბერალი, კონსერვატორი და ლეიბორისტი მინისტრები. ომის შემდეგ კოალიცია ერთხანს შენარჩუნდა, მაგრამ შიდა განხეთქილებამ მკვეთრად დაასუსტა ლიბერალური პარტია.

დევიდ ლოიდ ჯორჯი იყო ბრიტანეთის უკანასკნელი პრემიერ-მინისტრი ლიბერალური პარტიიდან. მის შემდეგ განვლილ საუკუნეში პრემიერ-მინისტრი ყოველთვის წარმოადგენდა ან კონსერვატიულ ან ლეიბორისტულ პარტიას.

ენერგიული პოლიტიკოსი *ლოიდ ჯორჯი* (მისი გვარი უელსური წარმოშობისაა) სათავეში ედგა მრავალ სოციალურ რეფორმას, რომლებმაც ბრიტანეთის "საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს" ჩაუყარეს საფუძველი. პირველი მსოფლიო ომისა და უშუალოდ ომისშემდგომ წლებში ის ხელმძღვანელობდა ბრიტანეთის მთავრობას და აქტიურად მონაწილეობდა ევროპისა და მსოფლიოს ახალი პოლიტიკური რუკის ფორმირებაში 1919 წლის პარიზის კონფერენციაზე. მის დროსვე, 1921 წელს, მოხდა ირლანდიის სამხრეთ ნაწილის გამოყოფა გაერთიანებული სამეფოდან.

1918-1945 წლებში კონსერვატიული პარტია ხელისუფლებაში იყო 24 წლის განმავლობაში (სამთავრობო კოალიციების ჩათვლით), ხოლო ოპოზიციაში – სულ სამი წლის მანძილზე, როდესაც მათ ლეიბორისტებს დაუთმეს პირველობა.

ლეიბორისტები, რომლებმაც ლიბერალების ადგილი დაიკავეს ბრიტანულ ორპარტიულ სისტემაში, დაემორჩილნენ კონსტიტუციით დაწესებულ „თამაშის წესებს“. მათი თავდაპირველი რადიკალიზმი თანდათან შემცირდა და შედარებით ზომიერი რეფორმების მოთხოვნებამდე დავიდა.

ლიბერალური პარტია კი წელში ვეღარ გაიმართა, მის მომხრეთა ხმები ლეიბორისტებთან და, ნაწილობრივ, კონსერვატორებთან გადავიდა.

1924 წელს ლეიბორისტებმა პირველად შექმნეს უმცირესობის მთავრობა, რომელიც პარლამენტის ლიბერალი წევრების მხარდაჭერას ეყრდნობოდა. ამ მთავ-

რობამ სულ ცხრა თვე იარსება. ის კონსერვატორებმა შეცვალეს, რომელთაც მოუხდათ დაპირისპირება1926 წლის გრანდიოზულ ***საყოველთაო გაფიცვასთან.*** ასეთი მასშტაბის გაფიცვა არც ადრე და არც მას შემდეგ ბრიტანეთს არ განუცდია.

1929 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად ლეიბორისტებს პირველად აღმოაჩნდათ ყველაზე დიდი ფრაქცია (287 ადგილი), თუმცა უმრავლესობა მაინც ვერ შეადგინეს და მთავრობის შესაქმნელად ლიბერალების მხარდაჭერა დასჭირდათ. პრემიერ-მინისტრმა *რემზი მაკდონალდმა* (*Ramsay MacDonald*, 1866-1937) ბრიტანეთში პირველად კაბინეტის ერთ-ერთ წევრად დანიშნა *ქალი მინისტრი.* ლეიბორისტების მეორე მთავრობამ გაიყვანა „მოხუცებულთა პენსიის აქტი“, გააუმჯობესა ხელფასებისა და სამუშაო პირობების მდგომარეობა ქვანახშირის მრეწველობაში.

მაგრამ სწორედ ამ მთავრობის დროს, 1929 წელს, ამერიკაში დაიწყო ეკონომიკური კრიზისი, რომელმაც მალე მსოფლიო მასშტაბი შეიძინა. უკვე 1930 წელს ბრიტანეთში უმუშევართა რაოდენობამ 2,5 მილიონს გადააჭარბა. კრიზისის დასაძლევად *მაკდონალდს* არაპოპულარული ნაბიჯების გადადგმა უხდებოდა, რამაც მისი მთავრობის რღვევა გამოიწვია. 1931 წლის ზაფხულში მაკდონალდი, საკუთარი პარტიის წამყვანი წევრების მხრიდან წინააღმდეგობის მიუხედავად, დათანხმა მეფე *ჯორჯ* V-ის რჩევას, შეექმნა „*ეროვნული მთავრობა*“, რომელშიც კონსერვატორებიცა და ლიბერალებიც შევიდნენ. ლეიბორისტულმა პარტიამ თავისი ლიდერის ეს ნაბიჯი დაგმო და მაკდონალდი თავისი რიგებიდან გარიცხა.

1931 წელს ჩატარებული საპარლამენტო არჩევნები დიდი უპირატესობით მოიგო კონსერვატიულმა პარტიამ (470 ადგილი 598-დან). მაგრამ კონსერვატორებმა მაინც ამჯობინეს „ეროვნული მთავრობის“ შენარჩუნება, რომლის მეთაური 1935 წლამდე ისევ მაკდონალდი იყო. 1935 წელს ის კონსერვატორმა *სტენლი ბოლდუინმა* (*Stanley Badwin,* 1867-1947) შეცვალა, რომელიც იქამდე ორჯერ უკვე იყო პრემიერ-მინისტრი (1923-24 და 1924-29 წლებში).

1936 წელს სამეფო ოჯახში მოხდა დინასტიური სკანდალი. იმ წლის 20 იანვარს, *ჯორჯ V*-ის გარდაცვალების შემდეგ ტახტზე ავიდა მისი უფროსი ვაჟი *ედვარდ VIII.* მაგრამ იმავე წლის 11 დეკემბერს მან უარი თქვა გვირგვინზე და გადადგა. ედვარდმა გადაწყვიტა, ცოლად შეერთო ამერიკელი ქალი, რომელიც გაყრილი იყო ერთ ქმართან და იმ პერიოდში მეორე ქმარს ეყრებოდა. პრემიერ-მინისტრმა ბოლდუინმა ედვარდს განუცხადა, რომ მეფისათვის დაუშვებელია ქორწინება ასეთ ქალთან, რომელიც დედოფალი უნდა გახდეს და საზოგადოებისათვის სამაგალითო უნდა იყოსო. ედვარდმა ტახტზე უარის თქმა არჩია.

ტახტზე ავიდა მისი უმცროსი ძმა ალბერტი, რომელმაც სახელად *ჯორჯ VI* (1937-1952) დაირქვა. ამ უკანასკნელის ქალიშვილია *ელიზაბეთ* II.

დიდძალი ახალი კოლონიური შენაძენისა და თავისი უძლიერესი მეტოქის – გერმანიის – დამარცხების მიუხედავად, პირველი ***მსოფლიო ომიდან დიდი ბრიტანეთი დასუსტებული გამოვიდა***. მას დაედო საზღვარგარეთის ქვეყნების, ძირითადად, ამერიკის შეერთებული შტატების, 850 მილიონი პაუნდის ვალი (2015

წლის ფასებით, ეს 37 მილიარდი პაუნდის ტოლია), რაც იყო სამხედრო და სასურსათო დახმარების ფასი. ათჯერ გაიზარდა ბრიტანეთის საშინაო ვალი. პაუნდ სტერლინგის მსყიდველობითუნარიანობა განახევრდა და მხოლოდ 1925 წელს აღდგა მისი ომამდელი კურსი დოლარის მიმართ. ნათელი გახდა ბრიტანეთის ტექნოლოგიური ჩამორჩენა ამერიკასთან შედარებით.

კრიზისმა განსაკუთრებით დააზარალა *ინდუსტრიული რევოლუციის* პირველ პერიოდში წარმოქმნილი ბრიტანეთის „ძველი სამრეწველო დარგები", კერძოდ ქვანახშირის, გემთმშენებელი, მეტალურგიული, საფეიქრო მრეწველობა, რომელთა წარმადობა მკვეთრად დაეცა. უამრავი ადამიანი უმუშევარი და უხელფასო დარჩა. კრიზისმა მოიცვა „ძველი დარგების" გავრცელების ძირითადი რაიონები – ჩრდილოეთი ინგლისი (ტაინსაიდი და ლანკაშირი), სამხრეთი უელსი, ცენტრალური შოტლანდია, ჩრდილო ირლანდია. ისინი დიდი ხნით იქცნენ *„დეპრესიულ რაიონებად"* – უმუშევრობისა და ღრმა სოციალური კონფლიქტების მხარეებად.

მთავრობა ცდილობდა, საგანგებო შეღავათებით მიეზიდა კაპიტალი „დეპრესიულ რაიონებში", მაგრამ არსებით წარმატებას XX საუკუნის ბოლომდე ვერ მიაღწია. მრეწველობის „ძველი დარგების" კრიზისის ფონზე სწრაფად ვითარდებოდა მრეწველობის „ახალი დარგები" – საავტომობილო, ელექტროტექნიკური, საავიაციო, ქიმიური, რომლებიც ელექტროენერგიაზე მუშაობდნენ. ეს დარგების, ძირითადად, ინგლისის სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონებში განვითარდა, რომლებსაც ადრე უპირატესად აგრარული ხასიათი ჰქონდათ.

მკვეთრად მცირდებოდა ოქროს მარაგი ინგლისის ბანკში და ამიტომ *1931 წლიდან ოფიციალურად აიკრძალა პაუნდ სტერლინგის ბანკნოტების გადაცვლა ოქროზე.* ამის გამო სტერლინგის კურსმა სწრაფად დაიწყო დაცემა. მაგრამ მსოფლიო ვალუტის სტატუსი ბრიტანულმა ვალუტამ მაინც შეინარჩუნა.

1931 წლის „***უესტმინსტერის სტატუსის***" შესაბამისად, ბრიტანეთმა ***სრული სუვერენიტეტი მიანიჭა თავის დომინიონებს*** – კანადას, ავსტრალიას, ახალ ზელანდიას, სამხრეთ აფრიკის კავშირს. მათთვის აუცილებელი აღარ იყო ბრიტანეთის კანონები, მათ კანონებს კი ლონდონი აღარ ამტკიცებდა. ბრიტანეთმა და დომინიონებმა დააწესეს „იმპერიული პრეფერენციები" ურთიერთვაჭრობისათვის: მთელი ბრიტანეთის იმპერიის ბაზარი გახსნილი იყო ამ ქვეყნების საქონლისათვის (უბაჟოდ ან ძალიან მცირე ბაჟით), მაშინ როცა სხვა ქვეყნებისათვის – შეზღუდული მაღალი საბაჟო ბარიერებით.

სულ უფრო ხშირად *„ბრიტანეთის იმპერიის"* პარალელურად მეტროპოლიისა და პრაქტიკულად თანასწორუფლებიან დომინიონთა საერთო სახელად იყენებენ ტერმინს „***ბრიტანეთის ერთა თანამეგობრობა***". მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ტერმინი შემოკლდა და ბრიტანეთის ყოფილ კოლონიებს, დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ, შეეძლოთ დარჩენა „***თანამეგობრობაში***" (*Commonwealth*).

თემა 14. მეორე მსოფლიო ომი, როგორც პირველი მსოფლიო ომის გაგრძელება. ბრიტანეთის როლი ნაციზმის დამარცხებაში. ომისშემდგომი გეოპოლიტიკური ვითარება.

ლიტერატურა: გაერთ. სამ. გვ. 283-295

როდესაც 1919 წელს ვერსალის ხელშეკრულების დამდები გამარჯვებული სახელმწიფოები პოლიტიკურად ამცირებდნენ და ეკონომიკურად აღარიბებდნენ დამარცხებულ გერმანიას, მათ უნდა გაეთვალათ, რომ დაჩოქებული გერმანია მათთვის ძალიან საშიში ხდებოდა. სხვათა შორის, ბრიტანეთის ლიდერები ფრანგ კოლეგებს ზომიერების დაცვისკენ მოუწოდებდნენ, მაგრამ ამ უკანასკნელთ სჯეროდათ, რომ სამუდამოდ დააცლიდნენ კბილებს გერმანულ ჰეგემონიზმს, თუკი დაიბრუნებდნენ ნახევარი საუკუნის წინათ დაკარგულ ალზასსა და ლორენს, განახორციელებდნენ გერმანიის დასავლეთი ნაწილების დემილიტარიზაციას, შეაწერდნენ ბერლინს გიგანტურ რეპარაციებს (რომლის გადახდა მხოლოდ XX საუკუნის მეორე ნახევარში დასრულდა). სამწუხაროდ, ეს არასწორი გათვლა აღმოჩნდა.

შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ვერსალში ითესებოდა ახალი მსოფლიო ომის თესლი. ვერსალის ხელშეკრულების ტექსტის გაცნობამ მისცა საბაბი ბრიტანელ ოფიცერს, შემდგომში ფელდმარშალსა და ინდოეთის ვიცე-მეფეს, *არჩიბალდ უეიველს* (Archibald Wavell, 1883-1950), წარმოეთქვა წინასწარმეტყველური ფრაზა: ***„ომების დამამთავრებელი ომის შემდეგ პარიზში, მგონი, საკმაო წარმატებით დაამყარეს მშვიდობის დამამთავრებელი მშვიდობა“.***

მისი სიტყვები გამართლდა. ვერსალის სისტემამ მოსპო ევროპაში მშვიდობის დამყარების შანსი. ოცი წლის შემდეგ დაიწყო მეორე მსოფლიო ომი.

II მსოფლიო ომი, რეალურად, I მსოფლიო ომის გაგრძელება იყო – ორივე ომში ერთი და იგივე ძირითადი დაპირისპირებული სახელმწიფოები მონაწილეობდნენ.

1930-იანი წლების შუაწლებიდან დასავლეთის დემოკრატიები ხედავდნენ, რომ ჰიტლერის სახით საქმე აქვთ თავხედ აგრესორთან. გაჩნდა გარდაუვალი ახალი ომის წინათგრძნობა. ამიტომაც ბრიტანეთის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი, რომელიც 1920-იან წლებში თითქმის უმოქმედო იყო, ამოძრავდა. უკვე 1936 წლიდან დაიწყო საომარი ვითარებისათვის შესაფერისი სამთავრობო ბუნკერის მშენებლობა ლონდონში. ზღვის ნაპირის გასწვრივ დაიწყეს სარადარო მოწყობილობის დადგმა. 1938 წელს ბრიტანეთში დაიწყო ავიაგამანადგურებელ *სპიტფაირის* სერიული გამოშვება, რომელსაც ძალიან მოკლე დროის შემდეგ მოუხდა შებმა გერმანურ *მესერშმიტებთან* და *იუნკერსებთან.* სხვათა შორის, ბრიტანული თვითმფრინავი, ტექნიკური მახასიათებლებითა და შეიარაღებით, ტოლს არ უდებდა გერმანულ მანქანებს და ზოგი პარამეტრით სჯობდა კიდეც მათ.

გამჭრიახი ბრიტანელი პოლიტიკოსების მცირე ნაწილი მიხვდა, რომ მათ ქვეყანას ბრძოლა მოუწევს სამ ფრონტზე – *ევროპაში* (უშუალოდ გერმანიასთან),

ხმელთაშუაზღვისპირეთში (ფაშისტურმა იტალიამ 1936 წელს დაიპყრო ეთიოპია, ახლომახლო კი იყო ინგლისური კოლონიები და სუეცის არხი) და *შორეულ აღმოსავლეთში* (იაპონიამ 1937 წელს ჩინეთის დაპყრობას მიჰყო ხელი, ახლომახლო კი იყო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ინგლისური კოლონიები, მათ შორის, ჰონკონგი და სინგაპური).

ამავე დროს ლონდონის (ნაკლებად – პარიზის) პოლიტიკოსების საკმაო ნაწილმა თავი დაიჯერა სახიფათო ილუზიით, რომ ჰიტლერი შეიძლებოდა დაკმაყოფილებულიყო ცენტრალური ევროპის გერმანულენოვანი მოსახლეობის ტერიტორიების შეერთებით. თანაც, კომუნისტური რუსეთის სახით დასავლეთის დემოკრატიებს *სხვა აგრესორი* ეგულებოდათ, რომელიც გერმანიაზე არანაკლებ საშიში ჩანდა.

ლონდონსა და პარიზში ადვილი იყო თვალის დახუჭვა ნაცისტური გერმანიის მიერ ავსტრიის შეერთებაზე (*ანშლიუსზე*) 1938 წლის გაზაფხულზე: ავსტრიის მოსახლეობა ხომ გერმანულენოვანი იყო, ხოლო თვითონ ჰიტლერი – წარმოშობით ავსტრიელი?! ლონდონი შემოიფარგლა დიპლომატიური "შეშფოთების გამოხატვით".

1938 წლის სექტემბრის ბოლოს *ქ. მიუნხენში* ჩატარებულ კონფერენციაზე, ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებმა, იტალიის ფაშისტურ მთავრობასთან ერთად, უფლება მისცეს ჰიტლერს, მოეწყვიტა ჩეხოსლოვაკიისაგან *სუდეტების ოლქი*. საბაბად ის გამოიყენეს, რომ პირველ მსოფლიო ომამდე ეს ოლქი ავსტრია-უნგრეთის იმპერიის ნაწილი იყო და ეთნიკური გერმანელები იქ ყოველთვის წარმოადგენდნენ აბსოლუტურ უმრავლესობას. ეს გარიგება თითქოს "ევროპაში მშვიდობის დასამყარებლად" შედგა.

ბრიტანეთის იმდროინდელ პრემიერ-მინისტრ *ნევილ ჩემბერლენს* (1869-1940) ეკუთვნის ცინიკური სიტყვები ჩეხოსლოვაკიის შესახებ – "*შორეული ქვეყანა, რომელზეც არაფერი ვიცით*". გეოგრაფიული უვიცობა წამყვანი პოლიტიკოსების სენია. მაგრამ ეს სენი სახიფათოა იმავე პოლიტიკოსთა ქვეყნებისათვის.

ამიერიდან **"მიუნხენი" სხვა ქვეყნის ხარჯზე სამარცხვინო პოლიტიკური გარიგების აღმნიშვნელ ტერმინად იქცა.**

იმდროინდელ ბრიტანეთში კი *ჩემბერლენის* მიერ მიუნხენიდან „ჩამოტანილ მშვიდობას" ლამის საყოველთაო ტაშისცემით შეხვდნენ. 1938 წლის 3 ოქტომბერს პარლამენტში „მიუნხენის შეთანხმების" განხილვისას მას სრული მხარდაჭერა ხვდა წილად. წინააღმდეგი მხოლოდ უინსტონ ჩერჩილი და სამიოდე სხვა წევრი წავიდა. ჩერჩილს ეკუთვნის იმ დღეს ნათქვამი სიტყვები: „***ინგლისს შესთავაზეს არჩევანი ომსა და სირცხვილს შორის. მან სირცხვილი აირჩია და მიიღებს ომს***".

1939 წლის მარტში ჰიტლერმა პატარა და სუსტ ლიტვას ჩამოართვა ერთადერთი გასასვლელი ზღვაზე – *მემელის* (კლაიპედას) რაიონი, რაც იმით გაამართლა, რომ პირველ მსოფლიო ომამდე ეს ტერიტორია გერმანიის იმპერიას ეკუთვნოდა.

1939 წელს დასავლეთის დემოკრატიები, თავიანთი არაშორსმჭვრეტელი პოლიტიკის წყალობით, თვითონვე აღმოჩნდნენ ნაცისტური აგრესიის წინაშე.

ჰიტლერი არ დაკმაყოფილდა ლონდონისა და პარიზის ზემოხსენებული დიპლომატიური მსხვერპლშეწირვებით. მან მალე გამონახა თანამზრახველი, თუნდაც დროებითი, რომელიც რუსეთის იმპერიის ძველი საზღვრების აღდგენის სურვილით იყო ანთებული და, მასთან ერთად, 1939 წლის სექტემბერში პოლონეთი დაიპყრო და გაინაწილა.

ჰიტლერის მიერ მოსკოვში მოსალაპარაკებლად 1939 წლის 22-23 აგვისტოს გამოგზავნილ გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრ *იოახიმ ფონ რიბენტროპს* საბჭოთა ლიდერმა *იოსებ სტალინმა* თვითონ შესთავაზა აღმოსავლეთ ევროპის გაყოფის სქემა: სტალინმა მოითხოვა, ხოლო ჰიტლერმა მას „დაუთმო“ აღმოსავლეთ ბალტიისპირეთის ოთხი სახელმწიფო (ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, ფინეთი)[9] და რუმინეთის ნაწილი – ბესარაბია. მტაცებლები მორიგდნენ პოლონეთის შუაზე გაყოფაზეც. ამ ხელშეკრულებას “*მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტი*“ ეწოდა მასზე ხელმომწერი საგარეო საქმეთა მინისტრების გვარების მიხედვით. რასაკვირველია, ეს გარიგება მაშინ სრულიად საიდუმლო იყო.

სტალინის მიერ მოთხოვნილი ტერიტორიების დიდი ნაწილი 1917 წლამდე მართლაც შედიოდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, მაგრამ 1939 წელს იქ ოცზე მეტი წელი იყო, რაც არსებობდა დამოუკიდებელი სახელმწიფოები, რომლებსაც საბჭოთა კავშირი ოფიციალურად ცნობდა და მათ დედაქალაქებში საელჩოები ჰქონდა გახსნილი.

აღსანიშნავია ისიც, რომ 1943 წლის თეირანის კონფერენციაზე და 1945 წლის იალტის კონფერენციაზე აშშ-ის პრეზიდენტმა *ფრანკლინ დელანო რუზველტმა* და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა *უინსტონ ჩერჩილმა* ვერ გაუძლეს სტალინის დაჟინებას და დათანხმდნენ, რომ საბჭოთა კავშირის დასავლეთი საზღვარი ზუსტად ისეთი ყოფილიყო, როგორზეც ის გაურიგდა ნაცისტურ გერმანიას პოლონეთისა და რუმინეთის ტერიტორიების ხარჯზე. მაგრამ ამერიკას არასოდეს უცვნია ბალტიის ქვეყნების ანექსია.

სტალინთან გარიგების შემდეგ ჰიტლერს ხელი გაეხსნა აგრესიისათვის და 1939 წლის 1 სექტემბერს იგი თავს დაესხა პოლონეთს. ჰიტლერთან შეთანხმების თანახმად, 17 სექტემბერს პოლონეთს აღმოსავლეთიდან შეუტია საბჭოთა კავშირმაც.

დიდი ბრიტანეთი, რომელიც საფრანგეთთან ერთად პოლონეთის დამოუკიდებლობის გარანტი იყო, იძულებული გახდა, 3 სექტემბერს ომი გამოეცხადებინა

---

[9] ჰიტლერმა „დაუთმო” ლიტვა სტალინს 1939 წლის სექტემბრის ბოლოს; საბჭოთა კავშირმა ფინეთის მხოლოდ ნაწილის დაპყრობა შეძლო.

გერმანიისათვის. მაგრამ არასაკმარისად მომზადებული ბრიტანულ-ფრანგული ძალების გაუბედავი მოქმედება გერმანიისათვის თითქმის შეუმჩნეველი დარჩა.

1939 წლის 1 სექტემბერი მიჩნეულია II მსოფლიო ომის დაწყების თარიღად.

ტოტალიტარულ სახელმწიფოებს, როგორებიც იყვნენ ნაცისტური გერმანია და კომუნისტური საბჭოთა კავშირი, სადაც სწრაფ გადაწყვეტილებას ერთი ლიდერი ("ფიურერი" ან "ბელადი") ღებულობდა, ომის დროს უპირატესობა ჰქონდათ იმ სახელმწიფოებთან შედარებით, სადაც დიდი დრო მიჰქონდა დემოკრატიულ პროცედურებს – საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე პარლამენტში მსჯელობას, საზოგადოებრივი აზრის შემობრუნებას, მასმედიის დარწმუნებას. მაგრამ ერთპიროვნული ლიდერის "ეფექტიანობა" არასწორი გადაწყვეტილების მიღების დიდ რისკსაც შეიცავს.

ჰიტლერმა ისარგებლა თავისი დემოკრატიული მეტოქეების ზემოხსენებული სისუსტით, რომელთა პოლიტიკური გადაწყვეტილების მექანიზმი ნელა ირჯებოდა. მას შემდეგ, რაც ნაცისტურმა გერმანიამ 1939 წლის სექტემბერში დაიკავა პოლონეთის ნახევარი, 1940 წლის აპრილ-მაისში მანვე მოულოდნელი შეტევით ერთ დღეში დაიპყრო დანია და ორიოდე თვეში – ნორვეგია, რითაც შეინარჩუნა შვედეთიდან გერმანიაში რკინის მადნის სტაბილურად მოწოდების გარანტია.

მხოლოდ მაშინ, როდესაც რეალური კატასტროფის მოახლოება იგრძნო, ბრიტანეთის პარლამენტმა მოსთხოვა *ნევილ ჩემბერლენს* პრემიერ-მინისტრის პოსტიდან გადადგომა. 1940 წლის 10 მაისს ენერგიული *უინსტონ ჩერჩილი* ჩაუდგა სათავეში კოალიციურ მთავრობას, რომელშიც კონსერვატორებთან ერთად ლეიბორისტი მინისტრებიც შევიდნენ. ჩემბერლენისაგან განსხვავებით, ჩერჩილი სამხედრო გამოცდილებასაც ფლობდა და გადაწყვეტილების მიღებაც ხელეწიფებოდა.

მაგრამ საქმე უკვე წაგებული ჩანდა. იმავე 10 მაისს, როდესაც ჩერჩილი ბრიტანეთს ჩაუდგა სათავეში, გერმანულმა *ვერმახტმა* (*Wehrmacht* – ნაცისტების *არმიის* სახელი) ჰოლანდიისა და ბელგიის ტერიტორიების გავლით დაიწყო შეტევა საფრანგეთში მყოფ მოკავშირეთა არმიებზე და სწრაფად დაამარცხა ისინი. 1940 წლის მაისის ბოლოს საფრანგეთის სანაპირო ქალაქ *დიუნკერკთან* მიმწყვდეული აღმოჩნდა ბრიტანული საექსპედიციო კორპუსი. ჰიტლერის მიერ ვერმახტის სატანკო შეტევის დღემდე აუხსნელმა შეჩერებამ საშუალება მისცა ბრიტანეთს, 27 მაისიდან 4 ივნისამდე კუნძულზე გადაეყვანა და გადაერჩინა 338 ათასზე მეტი ბრიტანელი და მოკავშირე ჯარისკაცი. ეს შესაძლებელი გახდა რიგითი ბრიტანელების დიდი თავდადებისა და სამეფო საჰაერო ძალების მოქმედების შედეგად. მობილიზაცია გაუკეთდა ყველანაირ მცურავ საშუალებას (ჯამში, 800-ზე მეტს), სათევზაო გემებსა და სასეირნო ნავებსაც კი. *ლუფტვაფე* (ნაცისტების *სამხედრო ავიაციის* სახელი) მათ ბომბავდა და თითქმის მეოთხედი ჩაძირა კიდეც, მაგრამ სამჯერ მეტი გემი გადარჩა. საფრანგეთში ადრე გადასროლილი ბრიტანული საბრძოლო ტექნიკა, მათ შორის 445 ტანკი, გერმანელებს დარჩათ.

მალე ლონდონმა დაკარგა უკანასკნელი მოკავშირე ევროპაში. 1940 წლის 14 ივნისს დაეცა პარიზი, ხოლო 22 ივნისს საფრანგეთმა კაპიტულაცია გამოაცხადა. მისმა ახალმა მთავრობამ, რომელიც საფრანგეთის სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ ნაწილებს აკონტროლებდა, გერმანელებთან *კოლაბორაცია* (თანამშრომლობა) გადაწყვიტა. კოლაბორაციონისტული მთავრობა, *მარშალ პეტენის* ხელმძღვანელობით, საფრანგეთის საკურორტო ქალაქ *ვიშ*-ში განთავსდა და ამიტომ მის მომხრეებს „*ვიშისტებად*“ იცნობდნენ.

ბერლინმა შეგნებულად არ დაამძიმა თავისი საოკუპაციო რეჟიმი საფრანგეთში ისეთ დონემდე, როგორიც გერმანიამ დაამყარა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში. სხვათა შორის, გერმანელებთან თანამშრომლობდა ძალიან ბევრი ფრანგი ინტელექტუალი და, საერთოდაც, საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრი 1940-1944 წლებში საკმაოდ ანტიბრიტანულად იყო განწყობილი: საკუთარი ქვეყნის დამარცხებას ისინი ბრიტანეთის „ვერაგობას“ აბრალებდნენ.

იმისათვის, რომ დამარცხებული საფრანგეთის სამხედრო ხომალდები ნაცისტების ხელში არ მოხვედრილიყო, ჩერჩილმა ბრძანა ფრანგული ფლოტის ნეიტრალიზაცია, რაც, ფაქტობრივად, მის განადგურებას ნიშნავდა. ალჟირში, რომელიც მაშინ საფრანგეთის კოლონია იყო, *მერს-ელ-ქებირის* სამხედრო-საზღვაო ბაზაში მყოფ ფრანგულ სამხედრო ფლოტს 1940 წლის 3 ივლისს ბრიტანელებმა დანებება მოსთხოვეს, ძალიან მოკლე დრო მისცეს ულტიმატუმის განსახილველად და მალევე გაუხსნეს ცეცხლი. ბრიტანულმა ჯავშნოსნებმა ჩაძირეს ან ძალიან დააზიანეს ფრანგული გემების დიდი ნაწილი. დაიღუპა 1300-მდე ფრანგი მეზღვაური. ახლა ამ ოპერაციას საკმაოდ წინააღმდეგობრივ ნაბიჯად მიიჩნევენ, მაგრამ ფაქტია, რომ ფრანგული საბრძოლო ხომალდები ნაცისტებმა ვერ გამოიყენეს.

ჰიტლერს ომის წინ ჰქონდა ილუზია, რომ შეძლებდა ბრიტანელებთან საერთო ენის გამონახვას. ბრიტანეთის სამეფო ოჯახშიც კი იყვნენ ჰიტლერთან გარიგების მომხრენი. მაგალითად, ასეთად მიიჩნევენ მეფე *ედვარდ* VIII-ს, რომელიც ტახტზე უარის თქმის შემდეგ, 1937 წელს, ესტუმრა ბერლინს, როგორც *უინძორის ჰერცოგი* და პირადად შეხვდა ჰიტლერს. პარიზის აღების შემდეგაც ჰიტლერს ერთხანს ჰქონდა იმედი, რომ უმოკავშირეოდ დარჩენილ ლონდონს ზავზე დაითანხმებდა. მაგრამ ჩერჩილმა გამოიჩინა სიმტკიცე და უარი განაცხადა ნაცისტებთან რაიმე სახის გარიგებაზე, თუნდაც ბრიტანეთს მარტოდმარტო ეომა იმ დროს მსოფლიოს უძლიერეს სახმელეთო და საჰაერო არმიასთან.

ბრიტანეთის დასაპყრობად *ვერმახტის* გენერალურმა შტაბმა მოამზადა ოპერაცია „*ზღვის ლომი*“ (*Unternehme Seelöwe*), მაგრამ კუნძულზე დესანტირება ძნელი ჩანდა: ბრიტანული ფლოტი გერმანულზე ბევრად ძლიერი იყო. ამიტომაც ბერლინში გადაწყვიტეს საჰაერო დარტყმებით ბრიტანეთის საბრძოლო პოტენციალის დასუსტება და, უპირველესად, *სამეფო საჰაერო ძალებისა* (*Royal Air Force, RAF*) და ბრიტანეთის ნავსადგურების განადგურება.

1940 წლის 10 ივლისიდან 31 ოქტომბრამდე *ლუფტვაფე* სისტემურად ბომბავდა ბრიტანეთს. მძიმედ დაიბომბა თითქმის ყველა ნავსადგური – *პორტსმუთი, საუთჰემპტონი, პლიმუთი, ბოსტონი, ლივერპული, ჰალი, გლაზგო, სუონსი, კარდიფი* და ინდუსტრიული ცენტრები – *ბირმინგემი, კოვენტრი, მანჩესტერი* და სხვ. გერმანულმა ყუმბარებმა საერთოდ მიწასთან გაასწორა მსხვილი სამრეწველო ცენტრი *კოვენტრი.* ძალიან დაინგრა *ლონდონი*, განსაკუთრებით, მისი ფინანსური ცენტრი, *სიტი,* სადაც სასწაულებრივად გადარჩა *სენტ პოლის* კათედრალი. დაინგრა პარლამენტის ის ნაწილი, სადაც თემთა პალატა იყო განლაგებული.

ბრიტანელმა მფრინავებმა, რომლებთან ერთადაც იყვნენ პოლონელი, ახალზელანდიელი, კანადელი, ჩეხოსლოვაკი, ირლანდიელი და სხვა ეროვნების მფრინავები, უმაგალითო გმირობა გამოამჟღავნეს *ბრიტანეთისათვის ბრძოლის* დროს, ხოლო სამოქალაქო პირები პანიკის გარეშე მუშაობდნენ ფრონტისათვის.

ბრიტანეთს ძალიან გამოადგა კუნძულის ნაპირების გასწვრივ დროულად, 1936 წლიდან, აშენებული და საიდუმლოდ შენახული ადრეული შეტყობინების *სარადარო სადგურები. რადარი* ახალი გამოგონება იყო, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იყო მტრის ავიაციის ფრენის შორეული მონიტორინგი. ამის გამო ბრიტანული ავიაგამანადგურებლები ახერხებდნენ, ჰაერშივე დახვედროდნენ გერმანულ ბომბდამშენებს.

ნაციზმის დამარცხებაში თავისი წვლილი შეიტანეს ბრიტანელმა მეცნიერებმაც. მათ შორის უდიდესი დამსახურება მიუძღვის ახალგაზრდა მათემატიკოსს *ალან ტიურინგს* (*Alan Turing*, 1912-1954): მან შეძლო გაეშიფრა გერმანული საიდუმლო კოდი, რომლითაც ვერმახტის სარდლობა „*ენიგმას*“ მანქანებით გადასცემდა ბრძანებებს. ტიურინგის მიღწევამ საშუალება მისცა ანგლოამერიკულ ძალებს, მოესმინათ მტრის საიდუმლო კომუნიკაცია ბრძოლის ველზე, აღმოეჩინათ და ჩაეძირათ გერმანული წყალქვეშა ნავები.

ბირთვულ ფიზიკოსებს ბრიტანეთში სერიოზული მიღწევები ჰქონდათ ატომური ბომბის დაპროექტებაში, რომლის საიდუმლო ინფორმაცია მთავრობის დავალებით გადაეცა აშშ-ს, სადაც ერთობლივი „მანჰეტენის პროექტი“ მუშავდებოდა.ამერიკამ 1945 წელს გამოიყენა ბირთვული იარაღი იაპონიის ქალაქების წინააღმდეგ. ამავე დროს, უსაფრთხოების დაცვის საბაბით, ამერიკამ არ გადასცა ატომური ბომბის დოკუმენტაცია ბრიტანეთს. ბრიტანელებს დამოუკიდებლად მოუხდათ ბირთვული იარაღის შექმნა, რომელიც 1952 წელს გამოსცადეს.

მოწინააღმდეგის დემორალიზაციის ნაცვლად, ჰიტლერმა უკუეფექტი მიიღო – ნაციზმის მიმართ სიძულვილი აათმაგებდა ყველა ბრიტანელის ძალას, პატრიოტულ გრძნობასა და თვითდისციპლინას. მიუხედავად ომის სიმძიმისა და სასურსათო მდგომარეობის მკვეთრი გაუარესებისა, ქვეყანაში დიდი სულიერი აღმავლობა სუფევდა.

ბრიტანეთის ხელმძღვანელობა სიმამაცის მაგალითს იძლეოდა: მეფე *ჯორჯ* VI-მ და დედოფალმა *ელიზაბეთმა* უარი განაცხადეს კანადაში ევაკუაციაზე. სამეფო ოჯახი ლონდონის ბუკინგემის სასახლეში დარჩა, ხანდახან კი ახლომდებარე უინძორის ციხე-დარბაზში იმყოფებოდა. მეფე და დედოფალი თავიანთ ორ ქა-

ლიშვილთან ერთად (უფროსი მათგანი იყო ტახტის მემკვიდრე *ელიზაბეთი* – მას დედის სახელი ერქვა!) მონაწილეობდნენ ნანგრევების გაწმენდასა და დაჭრილთა გამოყვანაში, სტუმრობდნენ ჯარებსა და სამხედრო ჰოსპიტლებს, რაც ამშვიდებდა და საბოლოო გამარჯვების რწმენას განუმტკიცებდა რიგით მოქალაქეებს.

პრემიერ-მინისტრმა უინსტონ ჩერჩილმაც არ დატოვა ლონდონი. ქვეყანას ის მართავდა *დაუნინგ-სტრიტის* რეზიდენციის ახლოს მომზადებული მიწისქვეშა ბუნკერიდან, რომელიც ვერ გაუძლებდა საავიაციო ბომბის პირდაპირ დაცემას. ბედად, ეს არ მომხდარა. ბუკინგემის სასახლეს მოხვედრილმა გერმანულმა ბომბებმა კი მხოლოდ ნაწილობრივ დააზიანა ის. იქ მყოფი სამეფო ოჯახი გადარჩა.

ისტორიკოს *რიჩარდ ოვერის* გამოთვლით, „ბრიტანეთისათვის ბრძოლის“ პერიოდში *RAF*-მა 1733 გერმანული თვითმფრინავი ჩამოაგდო, რასაც 2500-ზე მეტი გერმანელი მფრინავი და სხვა პერსონალი ემსხვერპლა, ხოლო ათასამდე ტყვედ ჩავარდა: მათი ცეცხლმოდებული თვითმფრინავები, საიდანაც ზოგმა პარაშუტით უშველა თავს, ძირითადად ბრიტანეთის კუნძულებზე ჩამოცვივდა. *RAF*-ის დანაკარგი აღმოჩნდა 915 თვითმფრინავი და 544 დაღუპული მფრინავი.

ბრიტანული ქალაქების დაბომბვისას იქ 40 ათასზე მეტი სამოქალაქო პირი დაიღუპა და ბევრად მეტი დაიჭრა. დაინგრა უამრავი საწარმო, ნავსადგური, განადგურდა მილიონამდე საცხოვრებელი.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ იმავე პერიოდში ბრიტანული ბომბდამშენებიც ცდილობდნენ გერმანიის სამხედრო-სამრეწველო პოტენციალის განადგურებას. ცნობილია, რომ ბრიტანეთის სამოქალაქო ობიექტებისა და ქ. ლონდონის განადგურების ბრძანება ჰიტლერმა გასცა მას შემდეგ, რაც 1940 წლის 25 აგვისტოს 95-მა ბრიტანულმა ბომბდამშენმა ღამით მასიურად დაბომბა გერმანიის დედაქალაქი ბერლინი. იმ ჯერზე ბრიტანულ ავიაციას მტრისათვის დიდი სამხედრო ზარალი არ მიუყენებია, მაგრამ საცხოვრებელი უბნები დაანგრია. მსხვერპლი საკმაო იყო.

ბრიტანეთის დაბომბვა 1940 წლის ოქტომბრის ბოლოდან შენელდა. იმავე წლის ნოემბერში ჰიტლერმა უვადოდ გადადო ოპერაცია „ზღვის ლომი“, ანუ, ფაქტობრივად, აღიარა ბრიტანეთის დამარცხების შეუძლებლობა. თანაც *ლუფტვაფე* შესუსტდა, განსაკუთრებით იმის გამო, რომ კვალიფიციური სამხედრო მფრინავების საგრძნობი ნაწილი ბრიტანელებთან ბრძოლაში დაკარგა.

ჰიტლერმა საბედისწერო გადაწყვეტილება მიიღო, როდესაც საბჭოთა კავშირზე თავდასხმით გერმანიისათვის აღმოსავლეთის ფრონტიც შექმნა, მაშინ როცა დასავლეთის ფრონტზე ბრიტანეთი დაუმარცხებელი რჩებოდა. ისტორიკოსების ნაწილი იხრება აზრისაკენ, რომ 1941 წლის 22 ივნისს საბჭოთა კავშირზე გერმანიის თავდასხმა წინმსწრები აქცია იყო, წინააღმდეგ შემთხვევაში, დასავლეთით შეტევას წითელი არმია განახორციელებდა. დადასტურებული ფაქტია, რომ წითელი არმია განუწყვეტლივ ძლიერდებოდა და პოლონეთის გაყოფის შედეგად წარმოშობილი ახალი საბჭოთა-გერმანული საზღვრის გასწვრივ საბჭოთა სატანკო დივი-

ზიების, ავიაციის დიდი კონცენტრაცია ხდებოდა. არსებობს სხვა აზრიც, რომ ჰიტ-ლერი თავიდანვე გეგმავდა საბჭოთა კავშირის ტერიტორიის დაპყრობას.

გერმანია-საბჭოთა კავშირის ომმა და ევროპაში აღმოსავლეთის ფრონტის წარმოშობამ ფარდობითად შეუმსუბუქა მდგომარეობა ბრიტანეთს.

1941 წლის ბოლოს დიდი ბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირის მხარეს ნა-ცისტური გერმანიის წინააღმდეგ ომში ოფიციალურად ჩაერთო ამერიკის შეერთე-ბული შტატებიც, რომელთა სამხედრო-საზღვაო ძალების ბაზას ჰავაის კუნძულებ-ზე, *პერლ-ჰარბორში,* 7 დეკემბერს მოულოდნელად თავს დაესხა გერმანიის მოკავ-შირე იაპონია. 11 დეკემბერს გერმანიამ ომი გამოუცხადა აშშ-ს.

მძიმე საერთაშორისო ვითარებამ გამოიწვია მოკავშირეთა საკმაოდ უც-ნაური ჯგუფის შექმნა, რომელშიც დემოკრატიულ ქვეყნებთან – დიდ ბრიტანეთთან და შეერთებულ შტატებთან – ერთად შედიოდა ტოტალიტარული სახელმწიფო – საბჭოთა კავშირი.

ლენდ-ლიზის პროგრამამ, რომლითაც აშშ დიდ სამხედრო-ეკონომიკურ დახმარებას უწევდა ბრიტანეთს და საბჭოთა კავშირს, დიდად განაპირობა მოკავ-შირეების საბოლოო გამარჯვება.

ბრიტანეთის არმიამ წარმატებით იბრძოლა ჩრდილოეთ აფრიკის ფრონტზე, სადაც 1942 წლის ნოემბერში *ელ-ალამეინთან* (ეგვიპტე) ბრძოლაში გენერალმა *მონტგომერიმ* (*Bernard Law Montgomery,* 1887-1976) დაამარცხა ფელდმარშალ *ერვინ რომელის* (*Erwin Rommel*) არმია. ეს იყო ვერმახტის მიერ მსოფლიო ომში განცდილი პირველი დიდი მარცხი და მან არსებითად შეცვალა ომის მიმდინარეობა.

იმ ბრძოლაში *ფელდმარშალ რომელის* თეორიულად შესაძლო გამარჯვე-ბას უეჭველად მოჰყვებოდა გერმანიის მიერ სუეცის არხის გადაკეტვა, რაც ბრიტა-ნეთისათვის დიდი დარტყმა იქნებოდა. ამავე დროს, დასავლეთ აზიის ზოგ სახელმ-წიფოში (მაგალითად, ერაყსა და ირანში) არსებობდა მძაფრი ანტიბრიტანული გან-წყობა, ხოლო საფრანგეთის ვიშისტურ მთავრობას, ანუ ჰიტლერის იმდროინდელ მოკავშირეს, იმ დროს ექვემდებარებოდა სირია. საბჭოთა და ბრიტანული ჯარების მიერ ოკუპირებული ირანის გზით ხორციელდებოდა საბჭოთა კავშირის მომარაგე-ბა ამერიკული „ლენდ-ლიზის“ პროგრამით. თუ *ფელდმარშალი რომელი* მიაღწევდა ირანს, სადაც ანტიბრიტანული და ანტისაბჭოთა განწყობა დომინირებდა, გერმანია დაბლოკავდა ამ გზას.

რეალურად კი ყველაფერი პირიქით მოხდა. ელ-ალამეინთან გამარჯვების შემდეგ ჩრდილოეთ აფრიკაში ბრიტანული ძალები ეგვიპტიდან დასავლეთისაკენ დაიძრნენ, შეიჭრნენ თუნისში და, ამერიკელების დახმარებით, 1943 წლის მაისში იქ დაატყვევეს 250-ათასიანი გერმანულ-იტალიური არმია.

1944 წლის ივნისში ინგლისის სამხრეთ სანაპიროდან განხორციელდა ოპერაცია „***ოვერლორდი***“. ბრიტანული, ამერიკული და კანადური დივიზიები ჩრდი-ლოეთ საფრანგეთში გადასხდნენ და დასავლეთის ფრონტი გაუხსნეს გერმანიას, რაც მისთვის დამარცხების მომასწავებელი აღმოჩნდა. ევროპაში ორ სრულფასოვან

ფრონტზე ბრძოლა გერმანიის ძალებს აღემატებოდა. მიუხედავად ამისა, გერმანიამ კიდევ ათი თვე იომა.

ომის ბოლო პერიოდში უკვე მოკავშირეთა ავიაცია ბომბავდა გერმანიის ქალაქებს. ქ. კოვენტრის საშინელი დაბომბვისათვის სამაგიეროს გადახდის საბაბით, 1945 წლის აპრილში, როდესაც ომის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო, ბრიტანულ-ამერიკულმა ავიაციამ ერთ დამეში მიწასთან გაასწორა გერმანიის დიდი კულტურული ცენტრი *დრეზდენი*, სადაც სამხედრო მრეწველობა არ იყო. დაიღუპა 30 ათასამდე სამოქალაქო პირი. დაბომბვას რაიმე სამხედრო მიზანი არ გააჩნდა და მხოლოდ „ბოროტი შურისძიების“ მაგალითად შეიძლება განვიხილოთ. ბედად, მოესწრო “*დრეზდენის გალერეის*“ – მსოფლიოში ერთ-ერთი უმდიდრესი ნახატების კოლექციის – გადარჩენა.

ომისდროინდელი ჭრილობები ევროპაში თანდათან მოშუშდა და დრეზდენის დაბომბვიდან 70 წლის შემდეგ, 2015 წელს, ლონდონის „*ბრიტანეთის მუზეუმის*“ დირექტორად პირველად დაინიშნა უცხოელი – „*დრეზდენის სახელმწიფო სამხატვრო კოლექციების*“ ყოფილი ხელმძღვანელი *ჰარტვიგ ფიშერი.*

აზიის ფრონტებზე ბრიტანეთმა თავიდან დიდი მარცხი განიცადა. იაპონელებმა სწრაფად დაიკავეს მისი კოლონიები – ჰონკონგი, სინგაპური, მალაია, ბირმა. საფრთხე შეექმნა ინდოეთს, სადაც ძალას იკრეფდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და არსებობდა ისეთი ძალებიც კი, ვინც იაპონელებს მიიჩნევდა განმათავისუფლებლად „თეთრი ადამიანის უღლისაგან“. მხოლოდ 1944 წლიდან დაიწყეს ბრიტანელებმა კონტრშეტევა და 1945 წელს განდევნეს იაპონელები სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიიდან. მაგრამ ევროპელი კოლონიზატორების უკან დაბრუნება პრაქტიკულად შეუძლებელი აღმოჩნდა.

1945 წელს მეორე მსოფლიო ომი დამთავრდა. 7 მაისს უპირობო კაპიტულაციას ხელი მოაწერა ნაცისტურმა გერმანიამ, 2 სექტემბერს კი – იაპონიამ: მან მწვავედ იწვნია ამერიკის სამხედრო უპირატესობის ძალა, როდესაც ატომურმა იარაღმა პირწმინდად გაანადგურა მისი ორი ქალაქი – *ჰიროშიმა* და *ნაგასაკი.*

იმავე 1945 წლის 28 ოქტომბერს, აშშ-ის, დიდი ბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირის ინიციატივით, დაარსდა „*გაერთიანებული ერების ორგანიზაცია*“, რომლის *უშიშროების საბჭოში* ვეტოს უფლება მიენიჭა ამ სამ სახელმწიფოს და მათთან ერთად, აგრეთვე, ჩინეთსა და საფრანგეთს.

მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების მიუხედავად, ბრიტანეთი ფარდობითად დასუსტდა. მას სერიოზული ეკონომიკური პრობლემები გაუჩნდა. იმპერიამ რღვევა დაიწყო. ჭკვიანმა იმპერიალისტებმა ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინეს – დამოუკიდებლობა მიანიჭეს კოლონიურ სამფლობელოებს. ამით მათ დაზოგეს მრავალი ბრიტანელის სისხლი და გადასახადის გადამხდელთა სახსრები.

თემა 15. ომისშემდგომი რეფორმების მიღწევები და პრობლემები. „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს“ შექმნისაკენ. გაერთიანებული სამეფოს დაახლოება კონტინენტურ ევროპასთან.

ლიტერატურა: გაერთ. სამ. გვ. 295-298, 302-306

ომმა დიდად დააზარალა ბრიტანეთი. დაიღუპა ან უგზო-უკვლოდ დაიკარგა 400 ათასზე მეტი ჯარისკაცი და სამოქალაქო პირი. დაინგრა ბევრი ქალაქი. ომი 25 მილიარდ პაუნდ სტერლინგად დაუჯდა ბრიტანეთს. გაიზარდა მისი საგარეო ვალი: განსაკუთრებით ბევრი ემართა ამერიკის შეერთებული შტატებისა, რომლისგანაც ომის წლებში დიდძალი სამხედრო მასალა და სურსათი მიიღო. საბჭოთა კავშირისაგან განსხვავებით, ბრიტანეთმა დაუბრუნა „ლენდ-ლიზის“ ვალი ამერიკას.

ომის შემდგომ წლებში ბრიტანეთში კიდევ კარგა ხანს გრძელდებოდა „ქამრების შემოჭერის“ პოლიტიკა. ომისდროინდელი საბარათო სისტემა გაგრძელდა და პურსაც კი ბარათით არიგებდნენ. დანგრეულ ქალაქებში საბინაო პირობები უმძიმეს მდგომარეობაში იყო. ამავე დროს, უმუშევრობა არ გაზრდილა და დემობილიზებულთა საგრძნობ ნაწილს მოენახა სამუშაო.

ომის გამო 1940 წელს ბრიტანეთში ვერ ჩატარდა მორიგი საპარლამენტო არჩევნები. 1935-1945 წლებში ქვეყანას მართავდა კონსერვატიული პარტია, რომელმაც 1940 წელს ლეიბორისტებთან სამთავრობო კოალიცია შექმნა.

ნაცისტური გერმანიის დამარცხების შემდეგ ინგლისის პრემიერ-მინისტრ *უინსტონ ჩერჩილს*, რომლის ავტორიტეტიც ქვეყანაში იმ დროს უდიდესი იყო, სურდა შეენარჩუნებინა კოალიციური მთავრობა, მაგრამ ბოლოს დათანხმდა საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას.

ჩერჩილს იმდენად სჯეროდა თავისი ავტორიტეტისა, რომ ხეირიანი საარჩევნო კამპანია არც წარუმართავს. საარჩევნო პლაკატებზე ეწერა „*ახლა მოვიგოთ მშვიდობა!*“

ჩერჩილისგან განსხვავებით, ლეიბორისტთა ლიდერი *კლემენტ ეტლი* მთელ ბრიტანეთში დადიოდა, ხვდებოდა ხალხს პაბებშიც კი.

1945 წლის 25 ივლისის არჩევნებში კონსერვატორები სასტიკად დამარცხდნენ. ბრიტანელმა ამომრჩეველმა აღარ გაუგრძელა მათ ნდობის მანდატი და უპირატესობა მიანიჭა ლეიბორისტებს, რომელთაც 393 წევრი გაიყვანეს პარლამენტში, კონსერვატორებმა კი – სულ 197.

ომის ნამდვილმა გმირმა უინსტონ ჩერჩილმა ოპოზიციაში გადაინაცვლა. მას მიაწერენ ფილოსოფიურ შენიშვნას: „*ბოლოს და ბოლოს, ეს სწორედ ის დემოკრატიაა, რომლისთვისაც ვიბრძოლეთ*“.

ლეიბორისტებმა, რომელთა ლიდერი *კლიმენტ ეტლი* (*Clement Attlee,* 1883-1967) პრემიერ-მინისტრი გახდა, თავიანთი „სოციალისტური გარდაქმნების“ დაპირებების შესაბამისად განახორციელეს მეურნეობის ცალკეული დარგის **ნაციონალიზაცია** და გაატარეს **სოციალური რეფორმები**. დიდი კომპენსაციის

საფასურად, 1946-1948 წლებში სახელმწიფომ განახორციელა ქვანახშირის, გაზის, ელექტროენერგეტიკული მრეწველობის, სარკინიგზო, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, „ინგლისის ბანკის“ ნაციონალიზაცია. 1948 წლისათვის მრეწველობის 20 პროცენტს სახელმწიფო აკონტროლებდა.

ბრიტანეთში შეიქმნა შერეული ეკონომიკა, სადაც უზრუნველყოფილი იყო კერძო მეწარმეობის თავისუფლებაც და სოციალური გარანტიებიც.

რეალურად, ბრიტანელმა ლეიბორისტებმა ჩაუყარეს საფუძველი „**საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს**“ შექმნას:

- ✓ შემოღებულ იქნა უფასო სამედიცინო დახმარება, რისთვისაც 1946 წელს შეიქმნა დღემდე მოქმედი *ჯანდაცვის ეროვნული სამსახური* (*National Health Service, NHS*);
- ✓ განხორციელდა საავადმყოფოების ნაციონალიზაცია;
- ✓ 1946 წელს ჩამოყალიბდა სოციალური დაზღვევის ახალი სისტემა;
- ✓ დაბალი კლასების წარმომადგენლებს სახელმწიფო სტიპენდიების მეშვეობით პირველად მიეცათ საშუალება, ესწავლათ უნივერსიტეტებში, მათ შორის, პრესტიჟულ ოქსფორდსა და კემბრიჯში;
- ✓ შეიქმნა ეროვნული თეატრი;
- ✓ ჩამოყალიბდა ეროვნული კინოკორპორაცია ბრიტანული კინოსტუდიებისა და პროდიუსერების დასაფინანსებლად;
- ✓ დიდი საქალაქო აგლომერაციების განტვირთვის მიზნით, დაიწყო „ახალი ქალაქების“ მშენებლობა, სადაც გამოცდას გადიოდნენ ახალი არქიტექტურული სტილები და ა.შ.

1948 წელს ბრიტანეთი დათანხმდა მიეღო ამერიკული დახმარება „მარშალის გეგმის“ შესაბამისად.

ყველაფერმა ზემოჩამოთვლილმა დროებით შეასუსტა სოციალური კონფლიქტები ბრიტანეთში.

ამავე დროს, ქვეყანას აკლდა სახსრები, ნაციონალიზებული დარგების მოდერნიზაციისათვის. საბიუჯეტო ხარჯების ზრდა გარდაუვალად იწვევდა გადასახადების მატებას და ხელფასის გაყინვას, რაც დიდ უკმაყოფილებას ბადებდა. შესამჩნევი გახდა ფასების ზრდა. პროფკავშირები კი მთავრობისგან დამატებით დათმობებს მოითხოვდნენ.

1949 წლის სექტემბერში პაუნდის დევალვაციის შემდეგ ის 2,8 ამერიკულ დოლარში იცვლებოდა, მაშინ როცა 1940 წელს 1 პაუნდი ღირდა 4 დოლარი, ხოლო 1925 წელს – 5 დოლარიც კი.

1950 წლის არჩევნებში ლეიბორისტებმა ძლივძლივობით გაიმარჯვეს: მეტოქეებთან შედარებით, მათ სულ 6 მანდატის უპირატესობა მიიღეს. 1951 წლის ბოლოს კი მთავრობა იძულებული გახდა, წასულიყო რიგგარეშე არჩევნებზე. ლეიბორისტები დამარცხდნენ, მათ 295 ადგილი მიიღეს, მაშინ როცა კონსერვატორებმა, რომელთაც ისევ *უინსტონ ჩერჩილი* ედგა სათავეში, – 302 მანდატი. განსხვავება

ისევ მცირე იყო, მაგრამ დამატებით არჩევნებში კონსერვატორებმა თავისი უპირატესობა გაზარდეს.

მათ მომდევნო არჩევნებშიც გაიმარჯვეს. 13 წლის განმავლობაში, 1951-დან 1964 წლამდე, ქვეყანას კონსერვატიული მთავრობა ედგა სათავეში. 1955 წლამდე პრემიერ-მინისტრის პოსტს ისევ *უინსტონ ჩერჩილი* ინარჩუნებდა, რომელმაც ქვეყნის სადავეები გადასცა *ენტონი იდენს* (*Sir Anthony Eden,* 1897-1977). იდენი 1957 წლამდე მეთაურობდა ბრიტანეთს. 1957-1963 წლებში პრემიერ-მინისტრი იყო *ჰაროლდ მაკმილანი* (*Harold McMillan,* 1894-1986), რომელსაც გადადგომა მოუწია საბჭოთა ჯაშუშების საქმიანობის მრავალი, იქამდე უცნობი, ფაქტის საჯაროდ გამომზეურების გამო. 1963-64 წლებში მთავრობას ხელმძღვანელობდა კონსერვატორი *ელეკ დაგლას-ჰიუმი* (*Sir Alec Douglass-Home,* 1903-1995).

აღსანიშნავია, რომ კონსერვატორებმა მკვეთრად არ შეცვალეს ლეიბორისტების დროს აღებული ეკონომიკური კურსი: ნაციონალიზებული საწარმოების პრივატიზაცია არ განხორციელებულა (ამას მხოლოდ 1979 წლიდან დაიწყებს მარგარეთ თეთჩერი), საზოგადოების სოციალური მონაპოვარი არ გაუქმებულა.

1940-იანი წლების მეორე ნახევარში ნათელი გახდა ბრიტანეთის საგარეოპოლიტიკური სისუსტე. მალე გაქრა მისი კოლონიური იმპერია, რასაც მოჰყვა მკვეთრი ცვლილებები მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე. როდესაც ყოფილი ბრიტანული (აგრეთვე, ფრანგული, ჰოლანდიური, ბელგიური, ესპანური, პორტუგალიური) კოლონიები დამოუკიდებლები გახდნენ, ევროპის დედაქალაქებში, ***ძირითადად, ლონდონსა და პარიზში, დახაზული კოლონიური საზღვრები*** სახელმწიფო საზღვრებად გადაიქცა.

II მსოფლიო ომის დროს ბრიტანეთის ეკონომიკური კავშირები თავის კოლონიურ იმპერიასთან შესუსტდა. ინდოეთში, რომელსაც ადრე უდიდესი შემოსავალი მოჰქონდა მეტროპოლიისათვის, ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ იმძლავრა. იმავე მოძრაობაში მკვეთრად გაღრმავდა დაპირისპირება მუსლიმურ და ინდურ ფრთებს შორის. ლონდონს აღარ სურდა არც ამ დაპირისპირებაში ჩარევა და არც ძალისმიერი მეთოდებით ინდოეთის იმპერიის, როგორც კოლონიის, შენარჩუნება.

1947 წელს ინდოეთს დამოუკიდებლობა მიენიჭა და ის მაშინვე გაიყო ორ სახელმწიფოდ: *ინდოეთად* (1950 წლიდან – *ინდოეთის რესპუბლიკა*) და მუსლიმებით დასახლებულ *პაკისტანად*. ეს უკანასკნელი ორი დაშორებული ნაწილისაგან შედგებოდა და მოგვიანებით, 1972 წლის ომის შედეგად, რომელშიც ინდოეთი ჩაერთო, ისიც ორად გაიყო – *ისლამურ რესპუბლიკა პაკისტანად* და *ბანგლადეშის დემოკრატიულ რესპუბლიკად*.

1946 წელს ლონდონმა დაასრულა თავისი მანდატი *ტრანსიორდანიაზე*, რომელიც დამოუკიდებელი გახდა და *იორდანია* დაირქვა სახელად. 1947 წლის თებერვალში ბრიტანეთმა უარი განაცხადა პალესტინის მართვის მანდატზე, სადაც უკვე 1920-იანი წლებიდან არსებობდა უმძიმესი კონფლიქტი ებრაელებსა და

არაბებს შორის. მათი ტერიტორიული დავის მოგვარება ბრიტანეთმა ახალშექმნილ ***გაეროს*** გადაულოცა. 1948 წლის მაისში ბრიტანული არმია გავიდა პალესტინიდან, სადაც ებრაელებმა 14 მაისს გამოაცხადეს თავისი სახელმწიფოს – *ისრაელის* – შექმნა. მომდევნო ომები არაბულ ქვეყნებსა და ისრაელს შორის ბრიტანეთს პირდაპირ აღარ ეხებოდა, თუმცა 1948-1949 წლის ომში ის არაფორმალურად იორდანიას და ეგვიპტეს ეხმარებოდა.

1948 წელს დამოუკიდებელი გახდა ბრიტანული კოლონიები – *ბირმა* (ამჟამად – *მიანმა*) და *ცეილონი* (ამჟამად – *შრი ლანკა*). 1957 წელს ასევე დამოუკიდებელი გახდა პირველი ბრიტანული კოლონია აფრიკაში – *გოლდ კოსტმა* ("ოქროს ნაპირმა") სახელად *განა* დაირქვა.

1950-1960-იან წლებში ბრიტანეთის თითქმის ყველა სხვა კოლონიასაც მიენიჭა პოლიტიკური სუვერენიტეტი და ისინი გაეროს სრულუფლებიანი წევრები გახდნენ.

ბრიტანეთის ყოფილმა კოლონიებმა დამოუკიდებლობა თითქმის უბრძოლველად მოიპოვეს და ლონდონმა ისინი იოლად დათმო იმიტომაც, რომ იქ მიღებული შემოსავალი მათივე ადმინისტრაციის შენახვის ხარჯებს ვეღარ ფარავდა.

ყოფილი ბრიტანული კოლონიების აბსოლუტური უმრავლესობა შევიდა „ბრიტანეთის ერთა თანამეგობრობაში", რომელსაც 1949 წლიდან, უბრალოდ, „თანამეგობრობა" (*The Commonwealth*) დაერქვა.

1954 წელს ბრიტანულმა ნაწილებმა დატოვეს სუეცის არხის ზონა, თუმცა არხის აქციების საკონტროლო პაკეტი ბრიტანეთის მთავრობას დარჩა.

1956 წელს ეგვიპტის ნაციონალისტმა ლიდერმა *გამალ-აბდელ ნასერმა* ცალმხრივი აქტით განახორციელა სუეცის არხის ნაციონალიზაცია. ამის პასუხად, იმავე წლის ოქტომბერ-ნოემბერში ლონდონი შეეცადა, ისტორიის ჩარხი უკან შემოებრუნებინა, როგორც მალე გაირკვა – წარუმატებლად.

კოლონიალიზმის ეპოქაში ბრიტანეთი და საფრანგეთი ადვილად „მოიყვანდნენ ჭკუაზე" ნასერს. მაგრამ გეპოლიტიკური ვითარება იმ დროისათვის უკვე შეცვლილი იყო. საბჭოთა კავშირმა ეგვიპტის სასარგებლოდ მკვეთრი დემარში მოაწყო და ბირთვული იარაღის გამოყენებითაც კი დაიმუქრა. არც ამერიკამ დაუჭირა მხარი საკუთარ სტრატეგიულ მოკავშირეებს, რომელთაც არ შეუთანხმეს თავიანთი მოქმედება თეთრ სახლს.

ინტერვენტები იძულებული გახდნენ, ეგვიპტე დაეტოვებინათ. ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი *სერ ენტონი იდენი* 1957 წელს გადადგა, ფორმალურად – „ავადმყოფობის გამო".

"სუეცის კრიზისმა" ნათლად აჩვენა, რომ დიდი ბრიტანეთის, როგორც მსოფლიო ჰეგემონის, როლი ამოიწურა. აშშ-ისა და საბჭოთა კავშირის სახით, იმჟამინდელ მსოფლიოს ორი, ერთმანეთთან დაპირისპირებული, ჰეგემონი გაუჩნდა. მსოფლიოს ქვეყნებს გეოპოლიტიკური არჩევანი, არსებითად, სულ ორი ჰქონდათ: ორიენტაცია ან *თეთრ სახლზე,* ან *კრემლზე.* საუკუნეზე მეტ ხანს მსოფლიოს

მართვის ფაქტობრივი ცენტრის – *„დაუნინგ სტრიტის 10“*-ის (ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის რეზიდენციის) – როლი საგრძნობლად დაკნინდა.

1961 წელს დამოუკიდებლობა მიიღო *ქუვეითმა*. 1971 წელს დამოუკიდებელი გახდა სპარსეთის ყურის ბრიტანული პროტექტორატები – *ბაჰრეინი, კატარი, გაერთიანებული არაბული საამიროები* (ყოფილი „ხელშეკრულებითი ომანი“).

1971 წელს სუეცის აღმოსავლეთით დასრულდა *Pax Brtitannica*, ანუ ბრიტანეთის დომინაციის ხანა. იქ *Pax Americana*-ს დრო დადგა. ინდოეთის ოკეანეში გაბატონდა ამერიკის ფლოტი. *კუნძულ დიეგო გარსიაზე* დაარსდა დიდი ამერიკულ-ბრიტანული სამხედრო ბაზა სტრატეგიული დანიშნულების აეროდრომითურთ.

„ცივი ომის“ დაწყებისთანავე დიდი ბრიტანეთის ადგილი, ბუნებრივია, ევროატლანტურ ბანაკში იყო. 1949 წელს ის NATO-ს (“ჩრდილო ატლანტიკის შეთანხმების ორგანიზაციის“) ერთ-ერთი დამფუძნებელი წევრი გახდა. II მსოფლიო ომში დამარცხებულ გერმანიაში მას ცალკე საოკუპაციო ზონა ჰქონდა გამოყოფილი.

„ცივი ომის“ დროს (1946-1989) მძაფრი იდეოლოგიური კონფრონტაცია დასავლეთის დემოკრატიულ სახელმწიფოებსა და „სოციალისტურ ბანაკს“ (არსებითად, საბჭოთა კავშირს) შორის განუწყვეტლივ ქმნიდა ომის საფრთხეს. მაგრამ იგი არ იწყებოდა, ვინაიდან არსებობდა „შიშის ბალანსი“ – ორივე მხარეს გააჩნდა მომაკვდინებელი ბირთვული იარაღი. ბრიტანეთი დიდ სახრებს ხარჯავდა ბირთვული შემაკავებლის სრულყოფაზე.

* * *

1965 წლის 24 მაისს ბრიტანეთის მთავრობამ გამოაცხადა ***მეტრულ სისტემაზე*** გადასვლის განზრახვა, მაგრამ გადასვლა დღემდე არ დასრულებულა (იხ. ჩანართი).

მეტრულ სისტემაზე გადასვლა ბრიტანეთში ბოლომდე არაა მიყვანილი. თუმცა, მოცულობის ერთეულად ლიტრი, ანუ 1000 კუბური სანტიმეტრი გამოცხადდა, ლუდსა და რძეს ბრიტანეთში დღემდე *პინტებში* (*pint*) ყიდიან; ტემპერატურას, ძირითადად, ცელსიუსის 100-გრადუსიანი სკალით ზომავენ, მაგრამ იქვე ფარენჰაიტის (*Fahrenheit*) სკალის მონაცემსაც უთითებენ (ამ სკალით, წყალი +32 გრადუსზე იყინება). ფართობს ჰექტარში იძლევიან და იქვე აზუსტებენ, თუ რამდენი *აკრია* (*acre*) ეს; ავტოსტრადაზე დიდ ბანერებზე მილებშია (*miles*) მითითებული დარჩენილი მანძილი მომდევნო ქალაქამდე, მაგრამ გზისპირა პატარა ბოძებზე ავტოსტრადის მანძილს კილომეტრებში უთითებენ და ამით ევროკავშირის მოთხოვნას აკმაყოფილებენ; ადამიანის სიმაღლეს დღემდე *ფუტებსა* და *დიუმებში* (*foot/feet, inch*) ზომავენ, მაგრამ ახალდაბადებულისას – *სანტიმეტრებში*, ახალდაბადებული ბავშვის წონას კილოგრამებში უთითებენ, მოზრდილი ადამიანისას კი – *სტოუნებსა* და *გირვანქებში* (*stone, pound*); მანქანის ძრავის მოცულობა კუბურ სანტიმეტრებში იზომება (არავის მოსვლია აზრად, ის კუბურ დიუმებში გაზომოს!), მაგრამ მანქანის სიჩქარე – ისევ მილი/საათში; და ა.შ. ბრიტანელები ასეთ არევ-დარევას, როგორც ჩანს, ადვილად ეგუებიან!

მაშინ როცა კონტინენტურ ევროპაში XIX საუკუნიდან საყოველთაოდ მკვიდრდებოდა ადვილად გასაგები მეტრული სისტემა, ბრიტანეთი ინარჩუნებდა *იმპერიული* ზომა-წონის ერთეულებს, ზოგს, ჯერ კიდევ რომის იმპერიის დროინდელს – მილებს, იარდებს, ფუტებს, აკრებს, გალონებს, პინტებს, სტოუნებს, გირვანქებს, უნციებს, ფარენჰაიტის სკალას და ბევრ სხვა ძნელად დასამახსოვრებელ ერთეულს. ადამიანს საგანგებოდ უნდა დაემახსოვრებინა, რომ, მაგალითად, ერთი აკრი – ესაა 4840 კვადრატული იარდი, იარდი სამი ფუტია, კვადრატულ მილში 640 აკრია, სტატუტური (კანონით დადგენილ) მილი 5280 ფუტია და ა.შ. ასეთი რამის დამახსოვრება ბრიტანელებს ნაწილობრივ ახლაც სჭირდებათ. აშშ-ში კი მეტრულ სისტემაზე გადასვლა დაგეგმილიც არაა.

ის, რაც ნამდვილად გაკეთდა, იყო ბრიტანული ფულის რეფორმა. 1971 წლის 1 იანვრიდან პაუნდი იყოფა 100 პენსად. იქამდე კი პაუნდში 20 *შილინგი* (*shilling*) შედიოდა, ხოლო შილინგი 12 *პენისაგან* (*penny*) შედგებოდა. გამოიყენებოდა, აგრეთვე, *ნახევარპენი* (*halfpenny*) და 1960 წლამდე – *ფართინგი* (*farthing*, მეოთხედი პენი).

დიდი ბრიტანეთი თანდათანობით დგებოდა დასავლეთევროპულ სახელმწიფოთა რიგებში და თანდათან უხდებოდა უარის თქმა თავის „განსაკუთრებულობაზე“, თუმცა დღესაც კი ბოლომდე არ დაუთმია იგი.

1960-იანი წლების ბოლოს ***ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებაში, ანუ „***საერთო ბაზარში“ შესვლა (რომელიც 1992 წელს გარდაიქმნა ***ევროპულ კავშირად***) ლეიბორისტული პარტიის ხელმძღვანელობის იდეა იყო, მაშინ როცა იმავე პარტიის მემარცხენე წევრები და პროფკავშირები ეწინააღმდეგებოდნენ „კაპიტალისტთა კლუბში“ შესვლას.

1970 წელს ლეიბორისტებმა წააგეს არჩევნები, მთავრობა შეიცვალა, და 1973 წლის იანვარში, კონსერვატორი *ედუარდ ჰითის* პრემიერ-მინისტრობის დროს, ბრიტანეთი შეუერთდა „საერთო ბაზარს“.

1974 წელს მთავრობა ისევ შეიცვალა. 1975 წელს მმართველმა ლეიბორისტულმა პარტიამ, *ჰაროლდ უილსონის* ხელმძღვანელობით, ბრიტანეთში ჩაატარა რეფერენდუმი *ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებაში* ყოფნის შესახებ. ბრიტანელების უმრავლესობამ (67,2 პროცენტმა) „ევროპაში დარჩენა“ არჩია.

1973 წლის „სანავთობო კრიზისმა“, როდესაც არაბულმა ნავთობმომპოვებელმა ქვეყნებმა ემბარგო დაადეს ამ ნედლეულის ექსპორტს, ძალიან დააზარალა დასავლეთ ევროპის ქვეყნები. ემბარგოთი ყველაზე მეტად ისარგებლეს ტრანსნაციონალურმა სანავთობო კომპანიებმა და გააძვირეს ნავთობპროდუქტების საცალო ფასები. ნედლი ნავთობის ფასის მკვეთრმა ზრდამ ხელი შეუწყო, ძირითადად, აბსოლუტური მონარქიებისა და დიქტატორული რეჟიმების მქონე ნავთობმომპოვებელი ქვეყნების მმართველი წრეების გამდიდრებას და მათი რეპრესიული რეჟიმების განმტკიცებას. „ნავთობდოლარებმა“ მოსპო ლიბერალიზაციის და

პოლიტიკური რეფორმირების მოტივაცია, მაგალითად, სპარსეთის ყურის ნავთობ-მომპოვებელ მონარქიებში და საბჭოთა კავშირში.

1973 წლიდან ბრიტანეთის ეკონომიკურმა მდგომარეობამ გაუარესება დაიწყო და ეს მედიის მხრიდან მუდმივი მსჯელობის საგანი გახდა. მართლაც, ეს ვითარება მხოლოდ „სანავთობო კრიზისმა“ არ წარმოქმნა, ადგილი ჰქონდა ცუდ მენეჯმენტსაც. შედეგად, იზრდებოდა უმუშევრობა, ხდებოდა პაუნდის თანდათანობითი დევალვაცია, ქვეყნის რეგიონების განვითარებაში მკვეთრი დისპროპორცია მატულობდა, მოსახლეობის ცხოვრების დონე ფარდობითად ეცემოდა. მძვინვარებდა ინფლაცია, 1979 წელს მან წლიურ 20 პროცენტს მიაღწია. დასავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის ბრიტანეთის ეკონომიკური განვითარების ტემპი ერთ-ერთი უდაბლესი გახდა.

1970-იანი წლების მთავრობების ძირითადი პრობლემები იყო საგადამხდელო ბალანსის შემცირებისათვის ბრძოლა, საბიუჯეტო დეფიციტის დაძლევა, პროფკავშირებთან კონფლიქტების მოგვარება. ეკონომიკური აქტივობა ერთხანს იმდენად შემცირდა, რომ *ჰითის* მთავრობა იძულებული იყო, დროებით დაეწესებინა „სამდღიანი სამუშაო კვირა“.

ქვეყანაში, არსებითად, ***სტაგნაცია*** მეფობდა.

ჩრდილოეთ ირლანდიაში გრძელდებოდა სექტარული კონფლიქტი პროტესტანტებსა და კათოლიკეებს შორის. 1974 წლიდან კათოლიკე ირლანდიელთა არალეგალურმა ორგანიზაციამ – „ირლანდიის *დროებითმა* რესპუბლიკურმა არმიამ“ (*Provisional Irish Republican Army: IRA*) – თავისი ტერორისტული საქმიანობა გადაიტანა საკუთრივ ინგლისში, სადაც ხალხმრავალ ადგილებში აწყობდა აფეთქებებს.

განუწყვეტელი გაფიცვები პოლიტიკურ არასტაბილურობას უწყობდა ხელს. სერიოზულ პრობლემად იქცა ქვანახშირის მადაროელთა პროფკავშირის „ტრადიციული“ გაფიცვა ზამთრის პერიოდში, როდესაც ქვეყანაში მცირდებოდა ხოლმე ძირითად საწვავად გამოყენებული ქვანახშირის მარაგი. გაფიცვის დროს იქმნებოდა სერიოზული საფრთხე, რომ მოსახლეობას არ ექნებოდა გათბობა სახლში, შეფერხდებოდა ელექტროენერგიის წარმოება. კუთხეში მიმწყვდეული მთავრობა იძულებული ხდებოდა, დაეკმაყოფილებინა მადაროელთა მოთხოვნები, რასაც სხვა საბიუჯეტო პრობლემები მოჰყვებოდა.

თემა 16. კონსერვატიული პარტია მარგარეთ თეტჩერის ხელმძღვანელობის ქვეშ. „მაასტრიხტის ხელშეკრულება“ (1992).
ლეიბორისტული პარტია ტონი ბლერის ხელმძღვანელობის ქვეშ.

ლიტერატურა: გაერთ. სამ. გვ. 306-316

1975 წელს, იმ დროს ოპოზიციაში მყოფი კონსერვატიული პარტიის ლიდერის არჩევნებისას, ყოფილ პრემიერ-მინისტრ *ედვარდ ჰითს* და სხვა ბობოლა კონსერვატორებს საკმაოდ მოულოდნელად აჯობა *მარგარეტ თეთჩერმა* (*Margaret Thatcher,* ქალიშვილობისას *Roberts;* 1925-2013), განათლების ყოფილმა მინისტრმა ჰითის მთავრობაში. *ედვარდ ჰითი* ძალიან გაანაწყენა საკუთარი პარტიის მხრიდან ზურგის შექცევამ და მან პარტიის ახალი ლიდერის მუდმივი კრიტიკოსების გუნდში გადაინაცვლა.

1979 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ თეთჩერი კონსერვატორების სახელით ჰპირდებოდა ამომრჩეველს კერძო მეწარმეობაში ჩაურევლობას და ბიზნესის წახალისებას, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების შენახვის ხარჯების შემცირებას, პროფკავშირების თავნებობის შეზღუდვას. ამომრჩეველი, რომელიც დაიღალა წინა მთავრობების უუნარობით მიეღოთ მტკიცე გადაწყვეტილება, ენდო კონსერვატორების გზავნილს.

1979 წლის საპარლამენტო არჩევნები კონსერვატორებმა დიდი უპირატესობით მოიგეს: მათ 339 წევრი გაიყვანეს თემთა პალატაში, მაშინ როცა ლეიბორისტებმა – 269. პირველად ბრიტანეთის ისტორიაში მთავრობას სათავეში ჩაუდგა ქალი – *მარგარეტ თეთჩერი,* რომელიც ძლიერი ფიგურა გამოდგა. ერთმა საბჭოთა გაზეთმა, თითქოსდა დასამცირებლად, მას „*რკინის ლედი*“ უწოდა. მაგრამ ეს მეტსახელი თეთჩერს უფრო პოზიტიური მნიშვნელობით შერჩა.

თეთჩერის პოლიტიკური ფილოსოფია და ეკონომიკური პოლიტიკა გულისხმობდა სახელმწიფოს კუთვნილებაში მყოფი იმ კომპანიების პრივატიზაციას, რომელთა შენახვა სახელმწიფოს ძვირი უჯდებოდა, ხოლო ეკონომიკური ეფექტი მათგან მცირე იყო; ფინანსური სექტორისათვის სრული უფლებების გადაცემას და პროფკავშირების გავლენის შემცირებას.

პრივატიზაცია მართლაც გატარდა: მრეწველობაში სახელმწიფო სექტორის წილი 1989 წლისათვის 45 პროცენტით შემცირდა; კერძო სექტორს შეზღუდვები მოეხსნა; პროფკავშირებს კანონით შეეზღუდათ ისეთი გაფიცვების მოწყობა, რომლებიც საზოგადოებას აზარალებდა; ადმინისტაციული ხარჯები შემცირდა; იმავდროულად შემცირდა სოციალური სამსახურების დაფინანსებაც.

ყველაფერმა ამან დაუყოვნებელი ეფექტი ვერ მოიტანა. ეკონომიკური წინსვლა სწრაფად არ დაწყებულა, უმუშევრობა გაიზარდა. 1982 წლის დასაწყისში თეთჩერის პოპულარობის მაჩვენებელი 25 პროცენტამდე დაეცა.

მაგრამ ერთმა საგარეო ფაქტორმა მკვეთრად შემოაბრუნა კონსერვატიული პარტიისა და მისი ლიდერის ბედი.

არგენტინის გენერლების ხუნტამ, რომელიც 1976 წლის სამხედრო გადატრიალების შედეგად ჩაუდგა სათავეში ქვეყანას, გადაწყვიტა, აემაღლებინა საკუთარი წყალშეყენებული ავტორიტეტი „პატარა ძლევამოსილი ომის“ მეშვეობით, მაგრამ შედეგად ზუსტად საწინააღმდეგო მიიღო.

სამხედრო ხუნტამ განიზრახა, ძალით „დაებრუნებინა არგენტინის შემადგენლობაში“ სამხრეთ ატლანტიკაში, ნაპირიდან 500 კილომეტრის დაშორებით მდებარე 1833 წლიდან ბრიტანეთის კონტროლქვეშ მყოფი *ფოლკლენდის კუნძულები.* არგენტინაში მათ „*მალვინის კუნძულებს*“ (*Islas Malvinas*) უწოდებენ და XIX საუკუნიდან ედავებიან ბრიტანეთს. რეალურად, კუნძულებს ყოველთვის ფლობდა ბრიტანეთი და იქ ბრიტანელები ცხოვრობდნენ.

1982 წლის 2 აპრილს არგენტინის არმიამ მოულოდნელად განახორციელა სამხედრო დაცვის გარეშე მყოფი *ფოლკლენდის*, ხოლო 3 აპრილს – პრაქტიკულად უკაცრიელი *საუთ ჯორჯიისა და საუთ ჰებრიდის კუნძულების* ოკუპაცია.

ბრიტანეთის საჩივრის საფუძველზე, *გაეროს უშიშროების საბჭომ* დაგმო არგენტინის ეს ქმედება და მოსთხოვა მას არმიის გამოყვანა კუნძულებიდან. არგენტინამ ყურიც არ ათხოვა გაეროს მოთხოვნას. უშიშროების საბჭოში ვეტოს უფლების მქონე საბჭოთა კავშირმა კენჭისყრისას თავი შეიკავა. კრემლში ვერ გადაწყვიტეს, ვისთვის დაეჭირათ მხარი: ერთ მხარეს იყო *ცივი ომის* პირობებში მისი მოწინააღმდეგე ბრიტანეთი, მეორე მხარეს კი – არგენტინის სამხედრო (“ანტიხალხური“, „პირსისხლიანი“) ხუნტა, რომელსაც საბჭოთა კავშირი იდეოლოგიურად უპირისპირდებოდა. ამერიკამ კი დიდი დიპლომატიური დახმარება აღმოუჩინა ბრიტანეთს და კოსმოსური თანამგზავრებიდან მიღებული სადაზვერვო ინფორმაციაც მიაწოდა მას.

არგენტინის სამხედრო ხუნტამ, როგორც ჩანს, დაივიწყა ერთი ცინიკური ლათინური გამოთქმა: *Quod licet Jovi, non licet bovi* (*რაც ნებადართულია იუპიტერისათვის, არაა ნებადართული ხარისათვის*). ეს ანდაზა კარგად ასახავს პოლიტიკაში ორმაგი სტანდარტების გამოყენებას. კოლონიალიზმის ეპოქაში და, სამწუხაროდ, მომდევნო პერიოდშიც, სხვისი ტერიტორიის გამოგონილი საბაბით დაპყრობა ზესახელმწიფოებს ადვილად გასდიოდათ. თავის დროზე ბრიტანეთის იმპერიაც ხალისით იპყრობდა ყველაფერს, რაც მოუნდებოდა. მაშინ ეს „ნორმალური პროცესი“ იყო. მაგრამ ზესახელმწიფოსთან, თუნდაც ყოფილთან, ურთიერთობაში, სუსტ და თუნდაც საშუალო სიძლიერის სახელმწიფოს „თავხედობა არ ეპატიება“.

იმ ვითარებაში, როდესაც ყოფილ მსოფლიო ჰეგემონს საჯაროდ ამცირებდნენ, მარგარეტ თეთჩერმა გამოამჟღავნა დიდი სიმტკიცე. სამხრეთ ატლანტიკაში დაუყოვნებლივ გაიგზავნა ფლოტი და საექსპედიციო კორპუსი, რომელმაც დაამარცხა არგენტინის არმია და ტყვედ აიყვანა 10 ათასზე მეტი ჯარისკაცი. დაიღუპა 900 სამხედრო მოსამსახურე, უმეტესობა – არგენტინელი.

„პატარა ძლევამოსილი ომი“ ბუენოს-აირესს კი არა, ლონდონს გამოუვიდა!

არგენტინისათვის ასეთ კატასტროფულ შედეგს ბუნებრივად მოჰყვა სამხედრო ხუნტის დაცემა. 1983 წელს არგენტინის სათავეში სამოქალაქო მთავრობა მოვიდა და დემოკრატია აღდგა. სამართალში მისცეს უპასუხისმგებლო გენერლები, რომელთაც გაუხსენეს ადამიანის უფლებების ხელყოფა და მასობრივი რეპრესიები საკუთარ ქვეყანაში. თუმცა, არგენტინის სამოქალაქო ხელისუფლებამ იმ ჯერზე საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანა – მალე გენერლებს ამნისტია შეეხო!

ბრიტანეთში კი, გამარჯვებას სამართლიან ომში, როგორადაც იგი აღიქვეს, არნახული ენთუზიაზმით შეხვდნენ. თეთჩერის ავტორიტეტი საოცრად ამაღლდა. პატრიოტულ ტალღაზე 1983 წლის ივნისის საპარლამენტო არჩევნებში კონსერვატიულმა პარტიამ ხელახლა გაიმარჯვა.

წარმატება ხვდა მას წილად 1987 წლის არჩევნებზეც. მარგარეთ თეთჩერი აღმოჩნდა XX საუკუნეში პრემიერ-მინისტრის პოსტზე ყველაზე ხანგრძლივად (11 წლის განმავლობაში) მყოფი ბრიტანელი პოლიტიკოსი – ის 1979 წლიდან 1990 წლამდე ხელმძღვანელობდა ქვეყანას.

თეთჩერის დროს პრაქტიკულად დამთავრდა „ცივი ომი“, რაც ბრიტანეთისთვისაც შვება იყო, ამან სამხედრო ხარჯების შემცირების საშუალება შექმნა.

თეთჩერის წარმატებას *შიდა ფაქტორებმაც* შეუწყო ხელი.

1980 წლიდან საბიუჯეტო შემოსავალი გაზარდა ჩრდილოეთის ზღვის დიდი ბრიტანეთის კუთვნილ სექტორში ნავთობისა და გაზის დიდი ბუდობების ექსპლუატაციის დაწყებამ, რამაც შეამცირა ქვეყნის საიმპორტო ხარჯები ენერგორესურსებზე.

მრეწველობაში მიმდინარეობდა ტექნიკური გადაიარაღება, ახალი დარგების განვითარება. უმუშევრობამ იკლო. მოსახლეობის ცხოვრების დონე რეალურად ამაღლდა. ქალაქის საბჭოების კუთვნილი ბინების პრივატიზაციის შესახებ გამოცემულმა კანონმა საშუალება მისცა მოსახლეობის საგრძნობ ნაწილს, გამხდარიყო საკუთარი საცხოვრებლის მფლობელი. ბევრმა ყოჩაღმა ადამიანმა მოგება ნახა სახელმწიფო საწარმოების პრივატიზაციის შედეგად: 1987 წლიდან ჯამში 21 მილიარდ პაუნდად გაიყიდა სახელმწიფო კომპანიების *British Telecom*-ის (კავშირგაბმულობა), *British Gas*-ის (გაზმომარაგება), *British Petroleum*-ის (ნავთობის მოპოვება-გადამუშავება), *British Airways*-ის (მთავარი ავიაკომპანია), საავიაციო ძრავების მწარმოებელი *Rolls-Royce*-ისა და სხვა კომპანიების აქციები.

1980-იანი წლების შუაგულში დაიწყო ორ მილიარდ პაუნდად ღირებული „საქალაქო რეგენერაციის“ პროგრამის განხორციელება და დიდი ქალაქების ცენტრების გარდაქმნა, სადაც ყველაზე ფართოდ იყო წარმოდგენილი ღარიბი ფენები და, შესაბამისად, ლეიბორისტულ პარტიას მეტი მომხრე გააჩნდა. ამ პროგრამის შესაბამისად, მაგალითად, ლონდონის *დოკლენდის* (ძველი ნავსადგურის) რაიონში მოხდა საქალაქო ლანდშაფტის სრული განახლება: ამორტიზებული დოკები დაიხურა, საწყობები ოფისებად გარდაიქმნა. პარალელურად, მთლიანად შეიც-

ვალა მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა: დოკლენდის ზონაში ადრე მცხოვრები დარიბი, ნახევრად კრიმინალური ელემენტი გაიფანტა და მათ ნაცვლად იქ დასახლდნენ საშუალო კლასების წარმომადგენლები, რომლებმაც ახალაგებული ბინები შეიძინეს.

1986 წელს თეთჩერის მთავრობამ გააუქმა „დიდი ლონდონის საბჭო“ და ექვსი სხვა მეტროპოლიტენური ქაუნთის საბჭოები, სადაც ლეიბორისტები დომინირებდნენ და თავიანთი გავლენით პარლამენტს ერთგვარ კონკურენციას უწევდნენ. მათ ნაცვლად შეიქმნა უფრო მცირე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ადგილობრივი მმართველობის ორგანოები.

60 პროცენტიდან 40 პროცენტამდე შემცირდა გადასახადი ზემაღალ შემოსავალზე. მაგრამ გაიზარდა არაპირდაპირი გადასახადები, რასაც რიგითი მოქალაქე მწვავედ გრძნობდა. 1988 წელს შემოიღეს ე.წ. „*სათემო მოსაკრებელი*“ (*Community Charge*, რაც მედიამ „სულადობრივ გადასახადად“ მონათლა). ექსპერიმენტის სახით ამ მოსაკრებლის აკრეფა შოტლანდიაში დაიწყო, რასაც დიდი პროტესტი მოჰყვა.

კონსერვატორების სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა მძაფრი კრიტიკის ობიექტი გახდა. იზდუდებოდა მნიშვნელოვანი სოციალური მონაპოვარი – *ჯანდაცვის ეროვნული სამსახური.* თეთჩერის პოლიტიკის შედეგად სერიოზულად დაზარალდა უმაღლესი განათლება, რომელსაც, „ქამრების შემოჭერის“ საბაბით, მკვეთრად შეუმცირდა სახელმწიფო დაფინანსება. ოქსფორდის უნივერსიტეტმა უარი თქვა, მიენიჭებინა მარგარეთ თეთჩერისათვის საპატიო დოქტორის ტიტული, რომელსაც ყოველთვის ანიჭებდა ოქსფორდში განათლებამიღებულ ყველა პრემიერ-მინისტრს: *თეთჩერს* ბაკალავრის ხარისხი ამ უნივერსიტეტში ჰქონდა მიღებული, სადაც ის ქიმიას სწავლობდა.

მწარე ენის პატრონი და „ანტიინტელექტუალი“ *თეთჩერი* უკიდურესად არაპოპულარული იყო ინტელიგენციის წრეებში. მას დღემდე ვერ დაუვიწყეს გამონათქვამი –„*არ არსებობს ასეთი რამ* [როგორიცაა საზოგადოება]“ (“*there is no such thing* [as society]“), რომელსაც კონტექსტიდან ამოგლეჯილს იმეორებენ ხოლმე. სინამდვილეში, თეთჩერი 1987 წელს სატელევიზიო ინტერვიუს დროს მოუწოდებდა ადამიანებს, რომ თვითონ ეზრუნათ საკუთარ თავზე და არ მოეთხოვათ მათი პირადი პრობლემების გადაჭრა მთავრობისა და, მისი აზრით, „არარსებული“ საზოგადოების მიერ.

პრემიერ-მინისტრის პოპულარობა ეცემოდა: 1990 წელს საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვები აჩვენებდა, რომ მას ბევრად ნაკლები მხარდაჭერა ჰქონდა ხალხში, ვიდრე მისივე პარტიას. კონსერვატიულ პარტიაში თეთჩერს განხეთქილება ელოდა. ასეთ ფონზე 1990 წლის ნოემბერში *მარგარეთ თეთჩერმა* ამჯობინა, გადამდგარიყო პარტიის ლიდერისა და პრემიერ-მინისტრის პოსტებიდან.

პარტიამ ახალ ლიდერად აირჩია თეთჩერის მიერვე მხარდაჭერილი ***ჯონ მეიჯორი*** (*Sir John Major*, 1943-), რომლის მეთაურობით კონსერვატორებმა ზედიზედ მეოთხედ მოიგეს საპარლამენტო არჩევნები 1992 წლის 19 აპრილს. მაგრამ

კონსერვატორები სულ 21 დეპუტატით სჭარბობდნენ ლეიბორისტებს და 1996 წლის ბოლომდე ეს რიცხობრივი უპირატესობაც დაკარგეს სხვა პარტიებში გადასულ წევრთა და შუალედური არჩევნების წაგების ხარჯზე.

მეიჯორის პრემიერ-მინისტრობის ხანას დაემთხვა დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო მოვლენები.

1991 წლის იანვარ-თებერვალში ოპერაცია „*უდაბნოს ქარიშხალში*“, რომელიც ერაყის მიერ ოკუპირებული ქუვეითის განთავისუფლებას ისახავდა მიზნად, აშშ-თან ერთად, კოალიციაში დიდი ბრიტანეთიც აქტიურად ჩაერთო. ამავე დროს, მეიჯორი ყოველთვის არ მისდევდა კუდში *თეთრი სახლის* პოლიტიკას: 1994 წელს მან არ დაუჭირა მხარი ბოსნია-ჰერცეგოვინაში მიმდინარე სამოქალაქო ომში ბრიტანეთის ჩარევას, რასაც მას სთხოვდა აშშ-ის პრეზიდენტი *ბილ კლინტონი.*

1991 წლის ბოლოს დაიშალა საბჭოთა კავშირი. ბრიტანეთმა აღიარა მის ნანგრევებზე წარმოშობილი 15 ახალი სახელმწიფოს დამოუკიდებლობა.1992 წელს ლონდონმა დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა საქართველოს რესპუბლიკასთან და თბილისში თავისი საელჩო გახსნა.

1992 წლის 7 თებერვალს ბრიტანეთმა მონაწილეობა მიიღო *მაასტრიხტის შეთანხმების* (*Maastricht Treaty)* ხელმოწერაში, რომლითაც შეიქმნა ***ევროპული კავშირი*** (ევროკავშირი) თავისი ზეეროვნული საყრდენი სტრუქტურებით. იმავე დღეს დადგინდა ერთიანი ევროპული ვალუტის შექმნა.1995 წელს ამ ვალუტას ოფიციალურად ეწოდა *ევრო* (*euro*) და ის ფიზიკურ მიმოქცევაში შევიდა 2002 წლის 1 იანვრიდან. ბრიტანეთს არ შემოუღია ევრო, ის ინარჩუნებს საკუთარ ვალუტას – პაუნდ სტერლინგს.

მაასტრიხტის შეთანხმების რატიფიკაცია ბრიტანეთის პარლამენტში დიდ წინააღმდეგობას წააწყდა: მის სოციალურ პროგრამას არ ეთანხმებოდნენ ლეიბორისტები და ლიბერალ-დემოკრატები, ხოლო მთლიანად შეთანხმებას – მმართველი კონსერვატიული პარტიის 20-ზე მეტი „ევროსკეპტიკოსი“ წევრი, რომელთაც მხარს უჭერდა იმ დროისათვის ლორდთა პალატაში სამუდამო პერად დანიშნული *ბარონესა მარგარეტ თეთჩერი.*

ჯონ მეიჯორს დიდი ჯაფა დაადგა, რათა თემთა პალატაში მცირე უპირატესობით გაეყვანა *მაასტრიხტის შეთანხმების* რატიფიკაციის კანონი და თავიდან აეცილებინა კენჭისყრა მთავრობისთვის ნდობის ვოტუმის გამოცხადების შესახებ. სახალხო რეფერენდუმზე *მაასტრიხტის შეთანხმების* რატიფიკაციის საკითხი არც გაუტანიათ.

ჯონ მეიჯორის მმართველობის დროს ბრიტანეთი გამოვიდა რეცესიიდან და უმუშევრობა ქვეყანაში შემცირდა.

თავისი არაკონფლიქტური პიროვნული თვისებების გამო, მეიჯორი თეთჩერთან შედარებით ნაკლებ გაღიზიანებას იწვევდა ინტელექტუალურ წრეებში. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიც თავიდან მის მიმართ ნაკლებაგრესიულად იყვნენ განწყობილნი, მაგრამ მეიჯორი ვერ გამოდგა ქარიზმატული ლიდერი.

ამავე დროს, ლეიბორისტულმა პარტიამ ასეთი ლიდერი იპოვა **ტონი ბლერის** (*Anthony Charles Lynton Blair,* 1953-) სახით, რომელიც პარტიამ ხელმძღვანელად აირჩია 1994 წლის ივლისში.

1997 წლის 1 მაისის საპარლამენტო არჩევნებში კონსერვატიულმა პარტიამ თავისი ოფიციალური დაარსების დღიდან უმძიმესი მარცხი განიცადა: მან სულ 165 წევრი გაიყვანა თემთა პალატაში, მაშინ როცა ლეიბორისტებმა – 418. ლიბერალ-დემოკრატებს 46 ადგილი შეხვდათ. 179 კონსერვატორმა კანდიდატმა, რომელთაგან ბევრს იქამდე ორ-სამჯერ ჰქონდა მოგებული არჩევნები იმავე საარჩევნო ოლქში, წააგო ლეიბორისტთან (იშვიათად, ლიბერალ-დემოკრატთან). შოტლანდიისა და უელსის საარჩევნო ოლქებში კონსერვატორებმა კანდიდატი საერთოდ ვერ გაიყვანეს.

ის, რაც კონსერვატორებისათვის უდიდესი მარცხი იყო, ლეიბორისტებისათვის უდიდესი გამარჯვება აღმოჩნდა: მათ არასოდეს ჰყოლიათ პარლამენტში 418 წევრი.

წინა 18 წლის განმავლობაში, 1979 წლიდან, ბრიტანეთს კონსერვატორები მართავდნენ. ხალხი დაიღალა ტელეეკრანზე ერთი და იმავე სახეების ყურებით, ერთი და იმავე დაპირებების მოსმენით და ცვლილებას დაუჭირა მხარი.

1997 წელს ბლერი 43 წლისა იყო, იმ დროს ბრიტანეთის ყველაზე ახალგაზრდა პრემიერ-მინისტრი 1812 წელს იმავე პოსტზე დანიშნული *ლორდ ლივერპულის* შემდეგ. ენერგიული, მჭევრმეტყველი, სანდომიანი ტონი ბლერი ნამდვილი ხსნა აღმოჩნდა ლეიბორისტული პარტიისათვის, რომელმაც იქამდე ვერ მონახა ისეთი ლიდერი, რომელიც მას არჩევნებში გამარჯვებას მოუტანდა.

ბლერმა შემოიტანა ტერმინი „*ახალი ლეიბორისტები*“ (*ეწ აბოურ*), რითაც აღნიშნავდა შემობრუნებას ცენტრისაკენ და ნაწილობრივი უარის თქმას პარტიის ტრადიციულ სოციალისტურ იდეოლოგიაზე, რომელიც აღარ აკმაყოფილებდა ბრიტანულ საზოგადოებას. ეს არ ნიშნავდა სოციალური საკითხების უგულებელყოფას. ბლერი აღიარებდა ინდივიდების სოციალურ ურთიერთდამოკიდებულებას, სოციალური სამართლიანობის დამყარების, მოქალაქეებისათვის თანაბარი შესაძლებლობების შექმნის აუცილებლობას.

ბევრი კრიტიკოსი ბლერს გაუჩნდა საკუთარ, ლეიბორისტულ პარტიაში, რომლებიც უკიჟინებდნენ, რომ ის კაპიტალიზმის მომხრეა და პარტია მისი მეთაურობით ღალატობს „ჭეშმარიტ სოციალიზმს“.

მაგრამ დოგმატურ მემარცხენე პლატფორმაზე დარჩენა ლეიბორისტულ პარტიას მუდმივად ოპოზიციაში ყოფნას უქადდა. ბლერი ადვილად უღებდა ალღოს ცვლილებებს საზოგადოების განწყობაში. ეს ჩანს ქვემოთ მოყვანილ ეპიზოდში.

იმავე 1997 წელს ავტოავარიაში დაიღუპა უელსის პრინცესა *დაიანა*, ბრიტანეთის ტახტის მემკვიდრის ყოფილი მეუღლე. მაშინ როცა სამეფო კარმა მეტისმეტი თავშეკავება გამოიჩინა ოჯახის ყოფილი წევრის ტრაგიკული აღსასრულის აღნიშვნისას, ტონი ბლერის თანაგრძნობამ და პრინცესას დაკრძალვის ორგა-

ნიზაციაში აქტიურმა მონაწილეობამ მკვეთრად გაზარდა მისი მხარდაჭერა საზოგადოების მხრიდან. ზოგმა შეიძლება ბლერის ქცევა პოპულიზმად შეაფასოს, მაგრამ დემოკრატიულ ქვეყანაში პოლიტიკოსი ხშირად არის იძულებული, პოპულისტურად მოიქცეს.

> უელსის პრინც ჩარლზის მეუღლე, გარეგნობით გამორჩეული *დაიანა* (ქალიშვილობაში *სპენსერი*), ქველმოქმედებით იყო დაკავებული და დიდი პოპულარობა მოიხვეჭა. ამავე დროს, მას შეექმნა რთული ურთიერთობა ქმართან და სამეფო ოჯახთან, რაც ბრიტანულმა პრესამ მაქსიმალურად გაბუქა. 1995 წელს დაიანა გაეყარა ქმარს და მალე დაუახლოვდა ერთი ეგვიპტელი მილიონერის ვაჟს, რაც სამეფო ოჯახის დიდი უკმაყოფილების საბაბი გახდა. ორი წლის შემდეგ დაიანა და მისი მეგობარი დაიღუპნენ ავტოკატასტროფაში ქ. პარიზში.

1997-2002 წლებში, ბლერის მთავრობის წინადადებით, პარლამენტმა შემოიღო მინიმალური ანაზღაურება დაქირავებული პირებისათვის; მიიღო „ადამიანის უფლებათა აქტი“ და „ინფორმაციის თავისუფლების აქტი“. 1997 წელს, ბრიტანეთის „შიდა ქვეყნებში“ ჩატარებული რეფერენდუმების საფუძველზე მომდევნო წელს მიღებულ იქნა *დევოლუციის კანონი*, რომლის ძალითაც 1998 წლიდან შეიქმნა შოტლანდიის პარლამენტი, უელსის ნაციონალური ასამბლეა და ჩრდილოეთ ირლანდიის ასამბლეა.

ყველაფერი ზემოჩამოთვლილი ეწერა ლეიბორისტების საარჩევნო პროგრამაში და მათ დაპირება შეასრულეს კიდეც. ამის გამო 2002 წელს ლეიბორისტებმა ისევ დიდი უპირატესობით გაიმარჯვეს საპარლამენტო არჩევნებში: მათ მიიღეს 412 დეპუტატის ადგილი კონსერვატორების 166-ის წინააღმდეგ.

ტონი ბლერმა დაასრულა ჯერ კიდევ მისი წინამორბედი *ჯონ მეიჯორის* დროს დაწყებული ურთიერთობათა ნორმალიზაცია ირლანდიაში. 1998 წლის 10 აპრილს ბელფასტში გაერთიანებული სამეფოსა და ირლანდიის რესპუბლიკის ხელმძღვანელებმა და ჩრდილოეთ ირლანდიაში დაპირისპირებული მხარეების წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს დოკუმენტს, რომლითაც იურიდიულად გვარდებოდა ხანგრძლივი კონფლიქტი ჩრდილოეთ ირლანდიაში (იხ. თემა 23).

ჩრდილოეთ ირლანდიამ მიიღო ფართო ავტონომიური უფლებები და იქ მშვიდობიანი განვითარების საფუძველი შეიქმნა. XX-XXI საუკუნეების მიჯნიდან ირლანდიელი კათოლიკეების მატერიალური კეთილდღეობის დონემ ამაღლება დაიწყო, ბევრი მათგანი ახლა საშუალო კლასს მიეკუთვნება, მაშინ როცა იქამდე, საუკუნეების განმავლობაში, კათოლიკეები ჩაგრული, ღარიბ-ღატაკი მოსახლეობა იყო, რომელთა შორისაც ყოველთვის მოიძებნებოდა ტერორისტული აქტებისათვის მზად მყოფი პირები.

***

XXI საუკუნე დასავლეთის სამყაროსათვის რთულად დაიწყო. 2001 წლის 11 სექტემბერს ამერიკის უმნიშვნელოვანეს ქალაქებზე – ნიუ-იორკსა და ვაშინგტონზე – ისლამისტურმა ტერორისტულმა ორგანიზაცია „*ალ-კაიდამ*“ თავდასხმა

განახორციელა, რასაც სამი ათასზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა. ამის პასუხად თეთრმა სახლმა ომი გამოუცხადა ტერორიზმს (*War on Terror*) და ცივილიზებულ სამყაროს დახმარებისაკენ მოუწოდა.

2003 წელს პრემიერ-მინისტრი ბლერი უფრო სერიოზული გამოცდის წინაშე აღმოჩნდა. მან მხარი დაუჭირა ამერიკის პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის (უმცროსის) ძალიან წინააღმდეგობრივ გადაწყვეტილებას ერა ყში შეჭრის შესახებ.

დიდი ბრიტანეთი დაუყოვნებლივ ჩაერთო ამერიკის მიერ შექმნილ კოალიციაში ავღანეთში თავშეფარებული *„ალ-ყაიდას“* ლიდერებისა და მათი მფარველი *თალიბების*[10] რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში. როგორც ბევრად გვიან გაირკვა, ბლერი უკვე 2002 წლის ივლისში წერდა აშშ პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს (უმცროსს) „მე თქვენთან ერთად ვიქნები, რაც უნდა იყოს“ (*I wll be with you, whatever*), რითაც ძალიან წაახალისა ერაყში ომის დაწყება.

ამავე დროს, ლონდონში, ისევე, როგორც ევროპის სხვა დედაქალაქებში, იმართებოდა მილიონიანი დემონსტრაციები ერაყში შეჭრის წინააღმდეგ არა იმიტომ, რომ ხალხს ერაყში არსებული დიქტატურა მოსწონდა, არამედ იმის გამო, რომ არ უნდოდა ომის ახალი კერის გაჩენა. უხვად იყო ექსპერტების გამაფრთხილებელი ანალიზიც, რომელიც ერაყში შეჭრისაგან ახლო აღმოსავლეთში „დემოკრატიის დაფუძნებას“ კი არ ელოდა, არამედ ვითარების მკვეთრ გაუარესებას. ძალიან პრობლემატური იყო ერაყის წინააღმდეგ საერთაშორისო ოპერაციის წამოწყების საბაბი – იქ მასობრივი განადგურების იარაღის არსებობა. ეჭვგარეშეა, რომ როგორც ბუშს, ისე ბლერს სპეცსამსახურები არაზუსტ სადაზვერვო ინფორმაციას აწვდიდნენ.

მთავრობის მეთაურის ვალია, გადაამოწმოს დიდმნიშვნელოვანი ინფორმაცია იქამდე, სანამ სერიოზულ გადაწყვეტილებას მიიღებს. იმ დროს კი მთელმა მსოფლიომ იცოდა, რომ „სადაზვერვო ინფორმაცია“ ყალბი იყო: ერაყში შეჭრამდე ეს დაამტკიცეს საერთაშორისო ექსპერტებმა, ხოლო ორი წლის შემდეგ ამერიკის სპეცსამსახურებმაც აღიარეს, რომ ერაყს არ ჰქონდა მასობრივი განადგურების იარაღი.

ინგლისელმა პუბლიცისტმა ენტონი სემპსონმა 2005 წელს დაწერა: „2004 წელს *ტონი ბლერმა ნაწილობრივ მოიხადა ბოდიში იმ ყალბი ინფორმაციისათვის, რომელმაც ერაყში ომი გამოიწვია, მაგრამ იჟინებდა, რომ ერაყი ბრძოლის ველად ტერორისტებმა აირჩიეს. სინამდვილეში კი ეს ამერიკელები და ბრიტანელები იყვნენ, ვინც ბრძოლის ველად გადააქციეს ერაყი*“.

ტონი ბლერის პოლიტიკური მემკვიდრეობის შეფასებისას მისთვის მთავარი შავი ლაქაა ბრიტანეთის მონაწილეობა ერაყის ომში. არ არის გამორიცხული, რომ

---

[10] *თალიბი* (არაბულად სიტყვასიტყვით – სტუდენტი, მოსწავლე) – ავღანეთის რადიკალური ისლამისტური ორგანიზაციის წევრი. სპარსულად, რომელიც სალაპარაკო ენაა ქაბულში, *თალიბის* მრავლობითი არის *თალიბან.*

ამ ომში ჩართვის რეაქციას წარმოადგენდა 2005 წლის 7 ივლისს ლონდონში განხორციელებული ტერორისტული აქტების სერია, რასაც 52 ადამიანი შეეწირა.

2009 წელს, ბრიტანეთის მთავრობის გადაწყვეტილებით (მაშინ მას *გორდონ ბრაუნი* მეთაურობდა), შეიქმნა საგანგებო კომისია *ჯონ ჩილკოტის* (*Sir John Chilkot*) ხელმძღვანელობით, რომელსაც უნდა გამოეძიებინა ბრიტანეთის ერაყის ომში ჩართვის მიზეზები. გამოძიება შვიდ წელს გაგრძელდა და მისი 12-ტომიანი შედეგები მხოლოდ 2016 წლის 6 ივლისს გამოქვეყნდა. კომისიამ აღინიშნა, რომ ბრიტანეთის, ისევე, როგორც აშშ-ის ხელისუფლება ეყრდნობოდა გაყალბებულ სადაზვერვო ინფორმაციას იმისათვის, რომ გაემართლებინა ერაყში შეჭრა; ერაყი არ წარმოადგენდა უშუალო საფრთხეს ბრიტანეთის ეროვნული უშიშროებისათვის; მოკავშირეებმა დაიწყეს სამხედრო მოქმედება იქამდე, სანამ ამოიწურებოდა ყველა დიპლომატური მეთოდი სადამ ჰუსეინის დიქტატორული რეჟიმის წინააღმდეგ; არ არსებობდა გეგმა, თუ რა უნდა გაკეთებულიყო ერაყში, მას შემდეგ, რად დიქტატორს ხელისუფლებას ჩამოაშორებდნენ. სწორედ ამის შედეგია ერაყში დღემდე არსებული არასტაბილურობა და შიდა დაპირისპირება, რასაც მეოთხედ მილიონზე მეტი ერაყელის სიცოცხლე შეეწირა.

2005 წელს სპეციალისტებისათვის ეს ყველაფერი უკვე ნათელი იყო, მაგრამ ფართო საზოგადოებისათვის – უცნობი. იმ წლის საპარლამენტო არჩევნებში ლეიბორისტებმა ტონი ბლერის ხელმძღვანელობით ისევ გაიმარჯვეს, თუმცა მათ 54 საარჩევნო ოლქი დაკარგეს 2001 წლის არჩევნებთან შედარებით. 10 ადგილით მეტი მოიპოვეს ლიბერალ-დემოკრატებმა.

ტონი ბლერს საკუთარ პარტიაში გაუჩნდა ოპოზიცია, რომელიც დაუპირისპირდა მის ლიბერალურ ეკონომიკურ პოლიტიკას. მოქმედებდა სუბიექტური ფაქტორებიც. ამიტომაც 2007 წლის ივნისში ბლერი იძულებული გახდა, გადამდგარიყო პრემიერ-მინისტრისა და პარტიის ლიდერის პოსტებიდან. მის ადგილზე პარტიამ აირჩია წინა ათი წლის განმავლობაში ფინანსთა მინისტრი (ხაზინის კანცლერი) *გორდონ ბრაუნი* (*Gordon Brown,* 1951).

ბრაუნი გახდა პირველი შოტლანდიელი, ვინც დაიკავა ბრიტანბეთის პრემიერ-მინისტრის პოსტი 1964 წელს იმავე თანამდებობაზე დანიშნული კონსერვატორი *სერ ელეკ დაგლას-ჰიუმის* შემდეგ.

ბრაუნს 2007 წელსვე შეეძლო განემტკიცებინა თავისი უპირატესობა რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების ჩატარებით, რადგან თავიდან ის ხალხში საკმაოდ პოპულარული იყო. მაგრამ ბრაუნმა ხელიდან გაუშვა ეს შანსი. ერთი წლის შემდეგ კი, 2008 წელს, მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა დიდად დააზარალა ბრიტანეთი. მთავრობა იძულებული გახდა, დიდძალი სახსრები გაეღო წამყვანი ბანკების და, შესაბამისად, ფინანსური სტაბილურობის, გადასარჩენად.

როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, ეკონომიკური პრობლემები მთლიანად მთავრობას დაებრალდა. ამავე დროს, ბრაუნის მთავრობის კრიტიკით პოლიტიკურ ქულებს აგროვებდა კონსერვატიული პარტია.

თემა 17. კონსერვატიულ-ლიბერალური კოალიცია გაერთიანებული სამეფოს სათავეში. რეფერენდუმები შოტლანდიის დამოუკიდებლობისა და ევროპული კავშირის დატოვების შესახებ.

ლიტერატურა: *გაერთ. სამ.* გვ. 319-331

2010 წლის 6 მაისის საპარლამენტო არჩევნებმა ერთი გამარჯვებული პარტია ვერ გამოავლინა. კონსერვატორების 306 წევრს უპირისპირდებოდა 258 ლეიბორისტი და 57 ლიბერალ-დემოკრატი. შეიქმნა ე.წ. „დაკიდული პარლამენტი“, რომელშიც პირველ ან მეორე ადგილზე გასულ პარტიას ესაჭიროებოდა მესამე პარტიის მხარდაჭერა მთავრობის შესაქმნელად. მაგრამ მეორე და მესამე პარტიამ საერთო ენა ვერ გამონახა.

10 მაისს *გორდონ ბრაუნი* გადადგა პრემიერ-მინისტრის პოსტიდან და დედოფალს ურჩია, მთავრობის შექმნა დაევალებინა კონსერვატორების ლიდერ *დევიდ კამერონისათვის* (*David Cameron,* დაბ. 1966 წ.), რომელიც ბლერზე უფრო ახალგაზრდა პრემიერ-მინისტრი გახდა. 12 მაისს კონსერვატორებმა შექმნეს სამთავრობო კოალიცია ლიბერალ-დემოკრატებთან ერთად, რომელთა ლიდერი *ნიკ კლეგი (Nick Clegg,* დაბ. 1967 წ.) ვიცე-პრემიერად დაინიშნა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პირველად ბრიტანეთში შეიქმნა კოალიციური მთავრობა. საერთო ჯამში, ლიბერალ-დემოკრატებმა შედარებით მცირე გავლენა მოახდინეს კოალიციური მთავრობის პოლიტიკაზე.

კონსერვატორების ახალგაზრდა ხელმძღვანელობა მიხვდა, რომ მათსა და გამარჯვებას შორის იდგა პარტიის ტრადიციული იმიჯი და გადაწყვიტა, მოწინააღმდეგე მისივე ხერხით დაემარცხებინა. კონსერვატორებმა აითვისეს „ახალი ლეიბორისტების“ იდეები, რომლებიც ტონი ბლერის წასვლის შემდეგ დავიწყებას მიეცა და ლიბერალური რიტორიკის გამოყენება დაიწყეს.

მაშინ, როდესაც 1990-იანი წლებში *ტონი ბლერმა* პოლიტიკური სპექტრის მარცხენა მხრიდან ცენტრისაკენ გადასწია ლეიბორისტული პარტია, ანუ სოციალისტური იდეების მნიშვნელობა დააკნინა, კამერონმა კონსერვატიული პარტია მარჯვნიდან ცენტრისაკენ შეაბრუნა. ის იყენებდა ლიბერალური იდეოლოგიის ტერმინოლოგიას, რითაც ლიბერალ-დემოკრატებს „ართმევდა იდეოლოგიას“.

ფაქტია, რომ არც უკიდურესი მემარჯვენეობა და არც უკიდურესი მემარცხენეობა თანამედროვე, მაძღარ, კეთილდღეობაში მყოფ ბრიტანეთში პოპულარული არაა: იგულისხმება მოსახლეობის უდიდესი ნაწილის განწყობა, რომელიც საშუალო კლასებს განეკუთვნება. არსებობს ძალიან მცირე უმდიდრესი ნაწილიც და არცთუ მცირე უკმაყოფილო, ღარიბი მოსახლეობაც. ტერმინი „ღარიბი “ პირობითია: მსოფლიოს ფონზე „ღარიბი ბრიტანელი“ საკმაოდ შეძლებულია.

კონსერვატორების ძირითადი იდეა, რომელსაც კამერონი აჟღერებდა, იყო ის, რომ „სახელმწიფო ხელისშემშლელია პიროვნებისათვის და სამთავრობო აპა-

რატი უნდა შემცირდეს 1930-იანი წლების ზომამდე“, „ბაზარი წყვეტს ყველა პრობლემას“, „ინდივიდუალიზმი ჯაბნის კოლექტივიზმს“, „გადასახადები უნდა შემცირდეს“. ეს ყველაფერი წმინდა კონსერვატიული პოზიციაა, მაგრამ ის მოსახლეობის საგრძნობი ნაწილისათვის მისაღები აღმოჩნდა.

2008-2010 წლების მსოფლიო კრიზისმა სახელმწიფო ფინანსების დიდი დეფიციტი წარმოშვა. ფინანსური მდგომარეობის გასაჯანსაღებლად კამერონის მთავრობამ შემოიღო მკაცრი ეკონომიის ზომები. „ქამრების შემოჭერა“ სოციალურ სფეროს მალე დაეტყო. თავისი პოლიტიკური ფილოსოფიის შესაბამისად, მთავრობამ შეამცირა ან გაყინა კეთილდღეობისათვის გაღებული ხარჯები; ადგილობრივ საბჭოებს დაფინანსება მესამედით შეუმცირდათ.

ყველაფერ ამას, ბუნებრივია, უკმაყოფილება სდევდა თან, მაგრამ არა ისეთი ზომისა, რომელიც მმართველი პარტიის პოზიციას შეარყევდა. თანაც, 2010 წლის შემდეგ ეკონომიკური აქტივობა გაიზარდა. უმუშევრობამ იკლო დაახლოებით 5,3 პროცენტამდე. ინფლაცია შემცირდა და 2014-15 წლებში საერთოდ ნულამდე დავიდა.

მთავრობამ რამდენიმე რეფერენდუმი ჩაატარა და ყველა მათგანში, უკანასკნელის გარდა, პრემიერ-მინისტრისათვის მისაღები შედეგები დაფიქსირდა.

2011 წლის ***რეფერენდუმი საარჩევნო სისტემის შეცვლას*** ეხებოდა და მასში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 42,2 პროცენტმა: ორმა მესამედმა ხმა მისცა არსებული მაჟორიტარული სისტემის შენარჩუნებას.

2013 წელს წელს ***ფოლკლენდის კუნძულებზე ჩატარდა რეფერენდუმი*** და მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ ისურვა ბრიტანეთის ზღვისგადაღმა ტერიტორიის სტატუსის შენარჩუნება.

2014 წლის 17 სექტემბერს შოტლანდიაში ჩატარდა ***რეფერენდუმი შოტლანდიის დამოუკიდებლობის*** შესახებ. თუ შოტლანდიელები დამოუკიდებლობას მისცემდნენ ხმას, უესტმინსტერის პარლამენტი და მთავრობა, წინასწარი შეთანხმებისამებრ, არ გაუწევდნენ წინააღმდეგობას ამ ქვეყნის გასვლას *დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს* შემადგენლობიდან. ასეთ შემთხვევაში აზრს დაკარგავდა ტერმინი – „გაერთიანებული სამეფო “, რომელიც არსებობს 1707 წლიდან.

ლონდონმა დაუთმო *შოტლანდიის ნაციონალური პარტიის* დაჟინებულ თხოვნას და რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება მიეცათ 16 წლის მოქალაქეებს. 16-17 წლის ბავშვები, ბუნებრივია, უფრო მეტად ხელმძღვანელობენ პატრიოტული ემოციებით, ვიდრე ეკონომიკური მიზანშეწონილობით.

საკმაოდ სანდო სოციოლოგიური გამოკვლევები აჩვენებდა, რომ შოტლანდიის დამოუკიდებლობის მომხრეების რაოდენობა ნაკლები იყო სამეფოს ერთიანობის მომხრეებთან შედარებით. მაგრამ განსხვავება მათ შორის განუწყვეტლივ მცირდებოდა, რამაც ლონდონში და, შეიძლება ითქვას, მსოფლიოს საგრძნობ ნაწილშიც ერთგვარი პანიკის საფუძველი შექმნა: თუკი ევროპის ერთ-ერთ დიდ სა-

ხელმწიფოს ელოდა ლეგალური დაშლა, ეს აუცილებლად წარმოშობდა ეკონომიკურ და პოლიტიკურ პრობლემებს საერთაშორისო მასშტაბით და პრეცედენტს შექმნიდა გამოყოფის მიდრეკილების მქონე რეგიონებისთვის სხვაგანაც. მაგალითად, ამ რეფერენდუმის ჩატარებამაც კი, შედეგის მიუხედავად, წაახალისა კატალონიის სწრაფვა ესპანეთისაგან გამოსაყოფად.

ბრიტანეთის სამთავრობო კოალიციაში შემავალი კონსერვატიული და ლიბერალ-დემოკრატიული პარტიებისა და ოპოზიციური ლეიბორისტული პარტიის ლიდერებმა ეროვნული ინტერესები ვიწროპარტიულ ინტერესებზე მაღლა დააყენეს და ერთხმად მოუწოდეს შოტლანდიელ ამომრჩეველს, ხმა მიეცათ ქვეყნის დაშლის წინააღმდეგ. მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლებმა არაორაზროვნად მიუთითეს, რომ ისინი არ გააგრძელებდნენ საქმიანობას დამოუკიდებელ შოტლანდიაში.

როგორც ჩანს, ყველაფერმა ამან იმოქმედა შოტლანდიის იმ ამომრჩეველთა თითქმის ათ პროცენტზე, რომელიც იქამდე არ გამოხატავდა მკაფიო პოზიციას რეფერენდუმის კითხვის მიმართ. სწორედ ამ „მერყევი ელემენტის“ არჩევანმა გადაწყვიტა რეფერენდუმის ბედი: შოტლანდიელების უმრავლესობაში, დედაქალაქ *ედინბურგშიც* კი, ემოციურ-რომანტიკული გრძნობები დასძლია პრაგმატულმა მიდგომამ.

დამოუკიდებლობას მხარი დაუჭირა რეფერენდუმში მონაწილე შოტლანდიელთა 46 პროცენტმა, დიდი ბრიტანეთის შემადგენლობაში დარჩენა კი 54 პროცენტმა ამჯობინა. დამოუკიდებლობის მომხრეები, ანუ ზემოხსენებული „46 პროცენტი“, და რეფერენდუმის ინიციატორის – *შოტლანდიის ნაციონალური პარტიის* – იმედგაცრუებული პოლიტიკური ლიდერები დაემორჩილნენ, უმრავლესობის ნებას.

***

კიდევ ერთი რეფერენდუმი – **ევროკავშირის შემადგენლობაში ქვეყნის დარჩენა-არდარჩენასთან დაკავშირებით**, რომლის ჩატარებაც პრემიერ-მინისტრმა კამერონმა 2013 წელს შესთავაზა ბრიტანელ ხალხს, არც თუ სახარბიელო შედეგების მომტანი აღმოჩნდა მისი ინიციატორისათვის და, როგორც ჩანს, არც ბრიტანეთისათვის.

2016 წლის თებერვალში კამერონმა, რომელიც პირადად მხარს უჭერდა ბრიტანეთის დარჩენას ევროკავშირში, მიიჩნია, რომ გარკვეული დათმობები ევროკავშირში ბრიტანეთის განსაკუთრებული სტატუსისათვის, რომელზეც ევროკავშირი მზად იყო წასულიყო, საკმარისი იქნებოდა მისთვის დადებითი შედეგის მისაღწევად და რეფერენდუმის ჩატარების თარიღად 2016 წლის 23 ივნისი დაასახელა.

როდესაც ევროკავშირის სხვა ქვეყნების მასმედია და პოლიტიკური ლიდერები მსჯელობდნენ რეფერენდუმის მოსალოდნელ შედეგებზე, ძირითადი თვალსაზრისი იყო, რომ *„საღი აზრი გაიმარჯვებს! ბრიტანელები არ იტყვიან უარს იმ ეკონომიკურ და სოციალურ სიკეთეზე, რაც მოაქვს ევროკავშირში მათი ქვეყნის ყოფნას“*.

გარდა მემარჯვენე-პოპულისტური *„გაერთიანებული სამეფოს დამოუკიდებლობის პარტიისა"* (*გსდპ*) და *კონსერვატიული პარტიის* წევრთა ერთი ნაწილისა, ბრიტანეთის ყველა სხვა პოლიტიკური პარტია მხარს უჭერდა ქვეყნის დარჩენას ევროკავშირში. მეცნიერთა, ხელოვნების მოღვაწეთა, საქმიანი წრეების წარმომადგენელთა, გონიერ პოლიტიკოსთა უმრავლესობა აფრთხილებდა ბრიტანეთის მოსახლეობას ევროკავშირიდან გასვლის შემთხვევაში ქვეყნისათვის მოსალოდნელი პრობლემების შესახებ.

ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა, კონსერვატორმა *სერ ჯონ მეიჯორმა* 2015 წლის 16 დეკემბერს *ბი-ბი-სი*-სთან ინტერვიუში განაცხადა, რომ ევროკავშირიდან გასვლა ბრიტანეთს „ბრწყინვალე იზოლაციაში" მოაქცევდა. კონკრეტულად მან თქვა:

"*მე არა ვარ თვალანთებული ევროპელი. მე ვთქვი უარი ევროს შემოღებაზე ადრეულ 1990-იან წლებში. მე ვთქვი უარი 1996 წელს შენგენის ზონასთან მიერთებაზე. მაგრამ ფლირტი* [ევროკავშირის] *დატოვებასთან იმ დროს, როდესაც მთელი მსოფლიო ერთიანდება, ძალიან სახიფათოდ და ჩვენი ხანგრძლივვადიანი ინტერესების საწინააღმდეგოდ მეჩვენება*".

23 ივნისს რეფერენდუმი ჩატარდა და მომდევნო დილით ცნობილი გახდა მისი შედეგები (იხ. ცხრილი). გაერთიანებულ სამეფოში (და აგრეთვე გიბრალტარში) კენჭისყრაში მონაწილე 33 მილიონზე მეტი მოქალაქიდან, რაც ამომრჩეველთა 72 პროცენტს შეადგენდა, სამეფოს გასვლას ევროკავშირიდან ხმა მისცა 51,9 პროცენტმა, ხოლო დარჩენას – 48,1 პროცენტმა.

2016 წლის რეფერენდუმის შედეგები გაერთიანებული სამეფოს ევროკავშირში დარჩენის/არდარჩენი შესახებ ძირითადი ტერიტორიული ერთეულების მიხედვით

ტერიტორიული ერთეულები	გასვლის მომხრე (%)	დარჩენის მომხრე (%)
ინგლისი (დიდ ლონდონთან ერთად)	53,4	46,6
დიდი ლონდონი (ცალკე)	40,1	59,9
შოტლანდია	38,0	62,0
უელსი	52,5	47,5
ჩრდ. ირლანდია	44,2	55,8
გიბრალტარი	4,3	95,7

ქვეყანა გახლეჩილი აღმოჩნდა. გაერთიანებული სამეფოს ევროკავშირიდან გასვლას მხარი დაუჭირეს ინგლისმა და უელსმა. კავშირში დარჩენის მომხრეები აღმოჩნდნენ შოტლანდია, ჩრდილო ირლანდია და ზღვისგადაღმა ტერიტორია – გიბრალტარი. სამეფოს დედაქალაქის მოსახლეობის უმრავლესობაც ევროკავშირში დარჩენას მიემხრო. **რეფერენდუმის ბედი გადაწყვიტა ყველაზე ხალხმრავალმა**

„შიდა ქვეყანამ" – ინგლისმა. ინგლისელებმა – უბრალო ხალხმა, მუშებმა, უფროსი ასაკის მოსახლეობამ – მიიჩნიეს, რომ „*Brexit*"-ი მათ ქვეყანას წაადგება.

უფრო მაღალი განათლების მქონე მოსახლეობამ, ახალგაზრდობამ ევროკავშირში დარჩენას დაუჭირეს მხარი, მაგრამ ისინი უმცირესობაში აღმოჩნდნენ.

პორტმენტო ***Brexit*** შეიქმნა სიტყვებიდან *Britain's exit,* რაც „ევროკავშირიდან ბრიტანეთის გასვლას" გულისხმობს.

საკმაოდ ბევრი ადამიანი, პოტენციურ ამომრჩეველთა თითქმის 28 პროცენტი, მათ შორის უმეტესობა – ახალგაზრდა, საარჩევნო ყუთებთან არ მივიდა. მაგრამ რეფერენდუმში 72 პროცენტის მონაწილეობა მაინც დიდი მაჩვენებელია. არავის შეუტანია ეჭვი არჩევნების დემოკრატიულად ჩატარებაში.

კანონის თანახმად, რეფერენდუმზე მიღებული გადაწყვეტილება არაა აუცილებლად შესასრულებელი. ბრიტანელი იურისტების დიდი ნაწილი მიიჩნევდა, რომ რეფერენდუმს მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათი ჰქონდა და საბოლოო გადაწყვეტილება პარლამენტმა უნდა მიეღო. მაგრამ პარლამენტის წევრების უმრავლესობა ხალხის ნების წინააღმდეგ არ წავიდა.

24 ივნისს პრემიერ-მინისტრმა *დევიდ კამერონმა* განაცხადა გადადგომის შესახებ. 12 სექტემბერს ის პარლამენტიდანაც წავიდა.

კონსერვატიული პარტიის საპარლამენტო ფრაქციამ პარტიის ხელმძღვანელის პოსტზე აირჩია შინაგან საქმეთა სახელმწიფო მდივანი თირიზა *მეი.* პარტიის ახალ ლიდერს დედოფალმა, წესისამებრ, დაავალა ახალი მთავრობის შექმნა.

2016 წლის 13 ივლისს ბრიტანეთის ახალი პრემიერ-მინისტრი გახდა *თირიზა მეი* (*Teresa May,* ქალიშვილობისას *Brasier*; დაბ. 1956 წ.), რომელიც ბრიტანეთის ევროკავშირში დარჩენის მომხრე იყო, თუმცა კამპანიის დროს არ აქტიურობდა. მარგარეტ თეთჩერის შემდეგ ის მეორე ქალია ამ თანამდებობაზე. მან გამორიცხა ახალი საპარლამენტო არჩევნების ან ახალი რეფერენდუმის ჩატარება და განაცხადა, რომ ვალდებულია აღასრულოს ხალხის ნება: „*Brexit is Brexit!*"

2016 წლის ივლისის დასაწყისში ლეიბორისტული პარტიის საპარლამენტო ფრაქციამ უნდობლობა გამოუცხადა თავის ლიდერს *ჯერემი კორბინს,* რომელსაც ბრალი დასდო საბოტაჟში რეფერენდუმის დროს. ფრაქციამ მიიჩნია, რომ ევროსკეპტიკოსი *კორბინი* ძალიან უხალისოდ მოქმედებდა ევროკავშირში გაერთიანებული სამეფოს დასარჩენად, მაშინ როცა ლეიბორისტების დიდი უმრავლესობა დარჩენას უჭერდა მხარს. პარტიამ ლიდერის ახალი არჩევნები დანიშნა. მაგრამ კორბინმა ისევ გაიმარჯვა.

"*Brexit*"-ს არ მოჰყოლია დაუყოვნებელი უარყოფითი ეფექტი ეკონომიკაზე, თუმცა პაუნდის კურსი აშშ დოლართან და ევროსთან შეფარდებაში რეფერენდუმის მომდევნო დღეებში 10-11 პროცენტით დაეცა და ამ დონეზე დარჩა. სამრეწველო საქონლის ფიზიკურმა ექსპორტმა მოიმატა კიდეც, რადგან გაიაფებული პაუნდის გამო სხვა ვალუტით ბრიტანული ნაწარმის ყიდვა მომგებიანი გახდა. მაგრამ

ეკონომისტების აზრით ასეთი ტენდენცია დიდხანს ვერ გაგრძელდება. მშრომელ მოსახლეობას, რომელიც პოპულისტმა პოლიტიკოსებმა დააჯერეს, რომ „*უნდა დავტოვოთ ევროკავშირი, რომელიც მხოლოდ მდიდრებზე ზრუნავს*", მალე დაემუქრება მზარდი უმუშევრობა, ფასების ზრდა, სოციალური მომსახურების შეკვეცა. ყველგან, სოფლის მეურნეობიდან უნივერსიტეტებამდე, საერთაშორისო ურთიერთობებიდან პიროვნულ ურთიერთობებამდე ბრიტანეთს მოელის დიდი და, ხშირად, მტკივნეული ცვლილებები. საერთაშორისო ინვესტორებმა უკვე განაცხადეს სხვა ბაზრების ძიების დაწყების შესახებ.

რამ განაპირობა რეფერენდუმის დამდგარი შედეგი?

მიზეზი მრავლად შეიძლება დასახელდეს, ორი მათგანი კი მთავარი იყო: პოლიტიკურ ელიტას ყველაზე მეტად აწუხებდა „ბრიუსელის ბიუროკრატია", ხოლო უბრალო ადამიანებს – იმიგრაცია.

"ევროსკეპტიკოსები", ანუ ისინი, ვინც ეწინააღმდეგებიან კონტინენტურ ევროპასთან მჭიდრო ურთიერთობას, ბრიტანეთში მრავლად იყვნენ 1970-იანი წლებიდანვე, როდესაც ბრიტანეთი შეუერთდა „ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებას". ისინი ყოველთვის გამოხატავდნენ უკმაყოფილებას "*ბრიუსელის ბიუროკრატიის უღლით*" (ბრიუსელი ევროკავშირის დედაქალაქია): „*ნორმატიული ქაღალდების ნაკადი ბრიუსელიდან ლონდონში არ მცირდება!*"

ბრიუსელის უზარმაზარი და საკმაოდ მოუქნელი ბიუროკრატიული აპარატი ევროკავშირის ბევრ სხვა ქვეყანაშიც იწვევს გაღიზიანებას, თუმცა, ნათელია, რომ ერთიანი წესები, საბოლოოდ, ევროპის ქვეყნებს წაადგა.

დიდ ბრიტანეთში კი, რომლის სახელმწიფოებრიობა და თავისებური წესები საუკუნეებია არსებობს, მწვავედ აღიქვამდნენ კანონების შეცვლის აუცილებლობას გარედან კარნახით. განსაკუთრებით ბევრი ევროსკეპტიკოსი გაჩნდა *კონსერვატიულ პარტიაში.*

რაც შეეხება *იმიგრაციის* საკითხს, ის ბრიტანეთში მწვავედ დადგა XXI საუკუნის პირველ ათწლეულებში. განსხვავებით დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებისაგან, სადაც მიგრაციის პრობლემას სიმწვავეს მატებენ შრომითი მიგრანტები და ლტოლვილები აზიიდან და აფრიკიდან, ბრიტანეთში გარკვეულ პრობლემად იქცა იმიგრაცია ევროპული კავშირის ქვეყნებიდან.

2016 წელს ბრიტანეთში მცხოვრები 3 მილიონი ადამიანი, ანუ მთელი მოსახლეობის 4,7 პროცენტი, დაბადებული იყო ევროკავშირის სხვა ქვეყნებში, მათ შორის 2,3 პროცენტი – ევროკავშირის „ძველ ქვეყნებში" (ექვს დამფუძნებელ და 1995 წლამდე მიღებული რვა ქვეყანაში: ბრიტანეთი მეცხრეა!), ხოლო 2,4 პროცენტი – „ახალ ქვეყნებში" (ესენია ევროკავშირში 2004-2007 წლებში მიღებული ბულგარეთი, ესტონეთი, კვიპროსი, ლატვია, ლიტვა, მალტა, პოლონეთი, რუმინეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, უნგრეთი, ჩეხეთი და 2013 წელს მიღებული ხორვატია). თავის მხრივ, ევროკავშირის ქვეყნებში მუდმივად ცხოვრობს ბრიტანეთის რამდენიმე მი-

ლიონი მოქალაქე, მათი საგრძნობი ნაწილი – პენსიონერი, მაგრამ ბევრი – მომუშავე.

მოსახლეობისა და, მათ შორის, მუშაძალის თავისუფალი გადაადგილების უფლება ევროპული კავშირის ერთ-ერთი ფუძემდებლური პრინციპია და მას ბევრი ადამიანი წარმატებით იყენებს. რეალურად, მიგრანტები (ორივე მხარეს, როგორც კონტინენტური ევროპიდან ბრიტანეთში, ისე ბრიტანეთიდან ევროპაში) პოზიტიური ფაქტორია ქვეყნების ეკონომიკური განვითარებისათვის.

ბრიტანეთს უშუალოდ არ შეეხო 2015 წლიდან დაწყებული მიგრაციული კრიზისი: ახლო აღმოსავლეთიდან და აფრიკიდან წამოსული ლტოლვილებისა და შრომითი მიგრანტების მრავალმილიონიანი ტალღა ძირითადად თავს დაატყდა გერმანიას და კონტინენტური ევროპის სხვა ქვეყნებს.

მაგრამ ბრიტანულმა „ყვითელმა პრესამ", რომელსაც რიგითი ადამიანები კითხულობენ, და მემარჯვენე-პოპულისტმა პოლიტიკოსებმა, განსაკუთრებით *გსდპ*-დან და კონსერვატიული პარტიიდან, გაბუქეს მიგრანტების პრობლემა, გააზვიადეს ევროპელი იმიგრანტებისაგან მომავალი საფრთხე, რომლებთანაც კონკურენციას თითქოს ვერ უძლებენ ბრიტანელი მუშები, ჩააგონეს ნაკლებად გაცნობიერებულ ხალხს, რომ *„ევროპელი მიგრანტები მხოლოდ სოციალური დახმარების მისაღებად მოდიან"*, დაიწყეს თამაში პატრიოტულ გრძნობებზე, რომლებიც, სამწუხაროდ, ახლოსაა ქსენოფობიასთან.

სწორედ ზემოხსენებული საზოგადოებრივი განწყობისა და თავისი პარტიიის ევროსკეპტიკოსი წევრებისათვის დათმობის სახით ჯერ კიდევ 2013 წელს გამოაცხადა პრემიერ-მინისტრმა *დევიდ კამერონმა* რეფერენდუმის ჩატარება გაერთიანებული სამეფოს ევროკავშირში დარჩენა-არ დარჩენის შესახებ. მას და მის მრჩევლებს, ალბათ, სჯეროდათ, რომ „ამით კონსერვატიული პარტია არჩევნებზე დამატებით ხმებს მიიღებს, რეფერენდუმი კი მაინც ჩავარდება". როგორც გაირკვა, ორივე ეს დაშვება მცდარი აღმოჩნდა.

ახლა ბრიტანეთის მთავრობას უხდება რთული მოლაპარაკების წარმოება ევროკავშირის ხელმძღვანელობასთან.

2019 წლის მარტის ბოლოს გაერთიანებული სამეფო დატოვებს ევროპულ კავშირს. მაგრამ ბევრი საკითხე გაურკვეველი რჩება. მათ შორის ერთ-ერთი უმთავრესია **ირლანდიის საზღვარი.** ამჟამად ირლანდიის რესპუბლიკასა და ჩრდილოეთ ირლანდიას შორის საზღვარი მხოლოდ რუკაზეა, ზედაპირზე ის საერთოდ არ ჩანს. მაგრამ ირლანდიის რსპუბლიკა ევროკავშირის წევრია, ხოლო ჩრდილოეთ ირლანდია ამ კავშირიდან გამოვა დანარჩენ გაერთიანებულ სამეფოსთან ერთად. არც ერთ მხარეს არ უნდა ამ საზღვარზე საბაჟოს დაყენება. დია საზღვარი კი ვერ შეაჩერებს ვერც საქონლის და ვერც მიგრანტების მოძრაობას. ეს *Brexit*-ს უბრალო ფიქციად აქცევს!

თემა 18. გაერთიანებული სამეფოს ხელისუფლება და მართვის სისტემა (1): ზოგადი პოლიტიკური ჩარჩო. კონსტიტუცია. მონარქია.

ლიტერატურა: გაერთ. სამ. გვ. 387-398

ზ ო გ ა დ ი პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ჩ ა რ ჩ ო

„სახელმწიფო არსებობს იქ, სადაც არის პოლიტიკური აპარატი (სამთავრობო ინსტიტუტები, მაგალითად, სამეფო კარი, პარლამენტი ან კონგრესი, აგრეთვე, სახელმწიფო მოხელეები), რომელიც გარკვეულ ტერიტორიას მართავს, რომლის ძალაუფლებას ზურგს უმაგრებს სამართლებრივი სისტემა და უნარი – გამოიყენოს ძალა თავისი პოლიტიკის გასატარებლად“, წერს თანამედროვე ინგლისელი სოციოლოგი *ენტონი გიდენსი.*

ამ დეფინიციიდან გამომდინარე, ბრიტანეთის სახელმწიფო დიდი ხანია არსებობს, რადგან ყველაფერი, რაც გიდენსმა ჩამოთვალა, ბრიტანეთს აქვს და, რაც მთავარია, აქვს დიდი ხანია.

ბრიტანეთის პოლიტიკური განვითარების პროცესი არის ***თანამედროვე სახელმწიფოს თანდათანობით ჩამოყალიბების კლასიკური მაგალითი***. მ ართალია, განვითარების ბრიტანული მოდელი მთლიანად არსად განმეორებულა – და ეს შეუძლებელიც იქნებოდა მსოფლიოს მრავალფეროვნების გათვალისწინებით – მაგრამ ამ მოდელის მრავალი ელემენტი ბევრგან გამხდარა მისაბაძი, მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის შემუშავებისას.

ბრიტანულ პოლიტიკურ სტრუქტურაში ახალი ელემენტები თანდათანობით ერთვებოდა ისე, რომ ძველი ელემენტების მთლიანად უკუგდება არ ხდებოდა. ასეთი განვითარება შესაძლებელი გახდა ***პოლიტიკური კულტურის*** თავისებურებების გამო, რომელთა შორის ძირითადია ***კომპრომისი და ზომიერება***. ისტორიულმა გამოცდილებამ ბევრი რამ ასწავლა ბრიტანელებს, მათ შორის, საკუთარ შეცდომებზეც და, ამიტომ, XVII საუკუნის ბოლოდან ქვეყნის პოლიტიკურ ინსტიტუტებს დიდი სიფრთხილით აყალიბებდნენ.

დასავლეთ ევროპის ქვეყნებში XVII-XIX საუკუნეების რევოლუციურმა მოვლენებმა მყარი საფუძველი შეუქმნა ევროპული ***დემოკრატიის*** ჩამოყალიბებას. ინგლისში ეს პროცესი უფრო ადრე დაიწყო, ვიდრე, მაგალითად, ახლომდებარე საფრანგეთში.

საინტერესო შედარებას წავაწყდი ერთ სტატიაში: XIX საუკუნის ბოლოს ფრანგ ქალბატონს ინგლისელი ჯენტლმენისათვის ასეთი კითხვა დაუსვამს: „*რატომ არის ბრიტანული პოლიტიკური ინსტიტუტები უფრო ეფექტიანი ფრანგულ ინსტიტუტებთან შედარებით?*“ რაზეც ინგლისელ ჯენტლმენს ცოტა ცინიკურად მიუგია: „*ეს იმიტომაა, ქალბატონი, რომ, თქვენთან შედარებით, ჩვენ საუკუნე-ნახევრით ადრე მოვკვეთეთ თავი ჩვენს მეფეს!*“

რასაკვირველია, მეფეთა თავების ადრეული ცვენა ყოველთვის არ ქმნის

მოქმედ პოლიტიკურ ინსტიტუტებს, მით უმეტეს – დემოკრატიას. მაგრამ ერთ რამეში ინგლისელი ჯენტლმენი სწორი იყო: თანამედროვე სახელმწიფოს ჩამოყალიბება მის ქვეყანაში, ბევრ სხვა ევროპულ ქვეყანასთან შედარებით, ადრე დაიწყო. ერთგვარი პარადოქსია, რომ *„მაგნა კარტას“* ტექსტს ადგენდნენ და ინგლისის პარლამენტს XIII საუკუნეში ქმნიდნენ ბარონები, რომელთა დიდი უმრავლესობა წარმოშობით ფრანგი იყო. მათ მიერ შექმნილი კანონები და ინსტიტუტები კი ინგლისს გამოადგა!

სხვა საქმეა, რომ არც ერთი დემოკრატია სრულყოფილი არ არის. *უინსტონ ჩერჩილს* ერთხელ უთქვამს: *„არავინ ამტკიცებს, რომ დემოკრატია სრულყოფილია ან სრულიად გონივრული. მართლაც, ამბობენ, რომ დემოკრატია მმართველობის ყველაზე ცუდი ფორმაა, თუ არ ჩავთვლით ყველა სხვა ფორმას, რომელთაც დროდადრო სცდიდნენ“*.

წარმომადგენლობით დემოკრატიაში ხალხის შემადგენელი *ყველა* ერთეული, სხვაგვარად – ცალკეული ადამიანი, თანაბრად ბედნიერად შეიძლება ვერ გრძნობდეს თავს. მაგრამ, ბევრი ნაკლის მიუხედავად, დემოკრატიაზე უკეთესი ჯერ არაფერი შექმნილა.

* * *

გაერთიანებული სამეფო იმართება მრავალდონიანი მმართველობის (*multi-level governance*) მოდელით, სადაც ყველა დონეს სპეციფიკური ფუნქცია გააჩნია.

1973 წლიდან გაერთიანებული სამეფო *ევროპული კავშირის* წევრი იყო (1992 წლამდე მას *ევროპის ეკონომიკური გაერთიანება* ერქვა). 1992 წელს ბრიტანეთი შეეუერთდა *მაასტრიხტის შეთანხმებას* და ის ცნობდა ევროპული კავშირის კანონების უზენაესობას საკუთარ კანონებზე.

სხვათა შორის, სწორედ ეს იყო „ევროსკეპტიკოსების“, მათ შორის, ამჟამად მმართველი კონსერვატიული პარტიის გავლენიანი წევრების, განუწყვეტელი უკმაყოფილების მიზეზი. მათი მიზანი იყო „ბრიუსელის ბიუროკრატიის უღლის შესუსტება“, რაც ბრიტანული საზოგადოების საგრძნობი ნაწილის ძირითადი მოთხოვნაც ყოფილა: ეს დაადასტურა 2016 წლის რეფერენდუმმა.

შიდა პოლიტიკა ხორციელდება სამ დონეზე. ესენია:

- *ეროვნული* (სახელმწიფო) დონე, სადაც გადამწყვეტი სიტყვა ეთქმის უესტმინსტერში მდებარე ბრიტანეთის პარლამენტს, კერძოდ, მის არჩევით თემთა პალატას;
- *დევოლვირებული* დონე, სადაც მათთვის გადაცემული უფლებამოსილების ფარგლებში მართვას ახორციელებენ შოტლანდიის პარლამენტი, უელსის ასამბლეა და ჩრდილოეთ ირლანდიის ასამბლეა და, აგრეთვე, დიდი ლონდონის საბჭო. ამისათვის ისინი ქმნიან საკუთარ რეგიონულ მთავრობებს; იმავე დონის ცალკე პარლამენტი **ინგლისს არა აქვს**;

- *ადგილობრივი თვითმმართველობის დონე,* სადაც ადგილობრივი საბჭოები წყვეტენ იმ საკითხებს, რომლებიც მათ საგამგებლო ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობას ეხება.

საკანონმდებლო ხელისუფლებას მთელი ქვეყნის მასშტაბით ახორციელებს ბრიტანეთის პარლამენტი, ხოლო დევოლვირებულ მხარეებში (შოტლანდია, უელსი, ჩრდილო ირლანდია) – ადგილობრივი პარლამენტი და ასამბლეები.

აღმასრულებელ ხელისუფლებას ფორმალურად ხელმძღვანელობს მონარქი, ფაქტობრივად კი – მთავრობა პრემიერ-მინისტრით სათავეში. დევოლვირებულ მხარეებში ანალოგიურ ფუნქციას ადგილობრივი მთავრობები ახორციელენ.

სასამართლო სისტემა ბრიტანეთში უნივერსალური არ არის: ინგლისსა და უელსში მოქმედებს „ინგლისური სამართალი“ (*English Law*), რომელიც ეყრდნობა პრეცედენტზე დაფუძნებულ „საერთო სამართალს“ (*Common Law*), ჩრდილოეთ ირლანდიაშიც, პრაქტიკულად, ინგლისურის ანალოგიური, მაგრამ ცალკე სასამართლო სისტემაა. შოტლანდიის სამართალი (*Scots Law*) კი სრულებით განსხვავებულია, რადგან ის ეფუძნება „რომაულ სამართალს“ (*Roman law*). საერთოა მხოლოდ ის, რომ ბრიტანეთის ყველა მხარეში სასამართლო სრულებით დამოუკიდებელია აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებისაგან.

დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო კონსტიტუციური მონარქიაა, სადაც სახელმწიფოს მეთაურია მეფე. მონარქია მემკვიდრეობითია.

მთავრობისა და მონარქის უფლებები და ფუნქციები განსაზღვრულია **კონსტიტუციით.** კონსტიტუცია არის *ფუნდამენტური პრინციპები,* რომლებითაც იმართება სახელმწიფო, და *მეთოდები, ინსტიტუტები და პროცედურები,* რომლებიც ამ პრინციპებს ქმედითობას ანიჭებენ.

ამავე დროს, **გაერთიანებულ სამეფოს არ გააჩნია კონსტიტუციის ერთიანი ტექსტი** – არაა რაიმე ერთიანი დოკუმენტი, რომელსაც „კონსტიტუცია“ შეიძლება ეწოდოს.

ბრიტანული კონსტიტუცია – ესაა კანონების, პრეცედენტების და ტრადიციების ერთობლიობა, რომელიც, დროის განმავლობაში ცვლილებების მიუხედავად, ყოველ მიმდინარე მომენტში მოქმედია და შეესაბამება თავის დროს.

კონსტიტუციის პრინციპები და მათი პრაქტიკული რეალიზაციის გზები ჩამოყალიბებულია საპარლამენტო კანონებში, დეკლარაციებსა და მანიფესტებში, ზოგიც – საერთო სამართალში.

კონსტიტუციაში შედის 1215 წლის „*მაგნა კარტას*“ ზოგიერთი მუხლი, 1679 წლის „*ჰაბეას კორპუს აქტი*“, 1689 წლის „*ბილი უფლებათა შესახებ*“ (რომელმაც, სხვათა შორის, საუკუნის შემდეგ შთააგონა ამერიკელი კანონმდებლები, მიეღოთ „*შეერთებული შტატების ბილი უფლებათა შესახებ*“), 1832 წლის „*საპარლამენტო რეფორმის ბილი*“, 1911 და 1949 წლის „*საპარლამენტო აქტები*“ და ა.შ.

კონსტიტუციის ზოგიერთი ნაწილი მოძველდა და მათი ფაქტობრივი იგნორირება ხდება, უმრავლესობა კი ცოცხლობს და მოქმედებს.

ბრიტანული კონსტიტუცია, ფაქტობრივად, განუწყვეტლივ იცვლება პარლამენტის საქმიანობის დროს, რომელსაც თეორიულად შეუძლია, ყველა კანონი შეცვალოს, მაგრამ პრაქტიკულად ყოველთვის ქმნის მხოლოდ ისეთ კანონებს, რომლებიც *ბრიტანული კონსტიტუციის* ძირითად სულისკვეთებას არ დაარღვევს.

***

თანამედროვე გაერთიანებულ სამეფოში **ძალაუფლება ხალხს ეკუთვნის და მონარქი არის მნიშვნელოვანი ნაწილი იმ მექანიზმისა, რომელიც შექმნილია ხალხის ნება-სურვილის გამოსახატავად.**

ფორმალურად, **მონარქი** ერდროულად არის სახელმწიფოს მეთაურიც, საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ხელმძღვანელიც, ანგლიკანური ეკლესიის მეთაურიც და შეიარაღებული ძალების მთავარსარდალიც. მთავრობის მინისტრები და სახელმწიფო მოხელეები „მონარქის მსახურებად“ ითვლებიან. სახელმწიფო თანამდებობის დაკავებისას ყველა ვალდებულია, მეფისადმი (ამჟამად – დედოფლისადმი) ერთგულების ფიცი დადოს. ბრიტანეთის სახელმწიფო ჰიმნი არის ერთგვარი „ოდა მეფისადმი“. ის იწყება სიტყვებით „*God save our gracious Queen*” (“*ღმერთო, დაიფარე ჩვენი კეთილი დედოფალი*“. როდესაც ტახტზე მამაკაცია, მაშინ ჰიმნში „მეფეს“ ახსენებენ).

რეალურად კი, მონარქს მოეთხოვება, იყოს პოლიტიკურად ნეიტრალური, ანუ არც ერთი პარტიის მიმართ სიმპათია-ანტიპათიას არ უნდა გამოხატავდეს. ბრიტანეთის მონარქს არ შეუძლია დახარჯოს სახელმწიფო სახსრები, გამოსცეს კანონი. მონარქი მოქმედებს „თავისი მინისტრების“ რჩევით. კონსტიტუციის თანახმად, მონარქს არ შეუძლია, უარყოს ეს რჩევა.

მონარქი მეფობს, მაგრამ არ მართავს!

პრემიერ-მინისტრი ყოველკვირეულად ხვდება მონარქს და მას ყველა პოლიტიკური მოვლენის საქმის კურსში აყენებს. ამიტომ მონარქს საშუალება აქვს, საჭიროების შემთხვევაში, ინფორმაცია გაუზიაროს მომდევნო პრემიერ-მინისტრს. ეს ყოველკვირეული აუდიენცია ფორმალურად მიჩნეულია, როგორც მონარქის მიერ მინიჭებული პრივილეგია. სინამდვილეში კი, ეს არის დათმობა ბრიტანეთის მთავარი აღმასრულებლის – პრემიერ-მინისტრის, მხრიდან. მას სავსებით შეუძლია მონარქისგან დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება, მაგრამ ემორჩილება საუკუნოვან ტრადიციას, რომელსაც ბრიტანელების დიდი უმრავლესობა შეეჩვია.

მონარქია არის ბრიტანეთის პოლიტიკურ სისტემის *მუდმივი ნაწილი*, მაშინ როცა პოლიტიკოსები, მათ შორის პრემიერ-მინისტრები, *დროებითი ნაწილებია*. მაგალითად, *ელიზაბეთ* II-*ის* ხანგრძლივი მეფობის დროს ბრიტანეთში შეიცვალა 13 პრემიერ-მინისტრი (ერთი მათგანი ორჯერ იყო ამ პოსტზე) .

მონარქის ფუნქციებში შედის პარლამენტის დათხოვნა, მოწვევა და მისი გახსნა; თემთა და ლორდთა პალატის მიერ დამტკიცებული კანონის ასამოქ-

მედებლად აუცილებელია მასზე მონარქის ხელის მოწერა (სამი საუკუნეა, რაც არც ერთ მეფეს უთქვამს უარი კანონის ხელმოწერაზე!); ოფიციალურად მონარქი ნიშნავს მინისტრებს, ანიჭებს წოდებებსა და ორდენებს, ნიშნავს ლორდებს, აძლევს სახელმწიფო ჯილდოებს. ეს ყველაფერი კეთდება, რასაკვირველია, „პრემიერ-მინისტრის რჩევით“, ანუ ***რეალურად გადაწყვეტილებას პრემიერ-მინისტრი ღებულობს.***

მონარქი ატარებს *საიდუმლო საბჭოს* სხდომებს. ის ახორციელებს წარმომადგენლობით ფუნქციას საერთაშორისო დონეზე, ანუ ხვდება სხვა სახელმწიფოების მეთაურებს, ნიშნავს ელჩებს და ღებულობს რწმუნებათა სიგელებს *სენტ ჯეიმზის კართან* (*the Court of St. James*: ეს ბრიტანეთის სამეფო კარის ოფიციალური სახელია) აკრედიტებული უცხოელი ელჩებისაგან.

მონარქის უფლებაა, შეარჩიოს და დანიშნოს გაერთიანებული სამეფოს პრემიერ-მინისტრი. დაუწერელი შეთანხმებით, პრემიერ-მინისტრი უნდა იყოს თემთა პალატაში წევრთა უმრავლესობის მქონე პარტიის ლიდერი. მაგრამ თუ ვერც ერთმა პარტიამ მოიპოვა უმრავლესობა, ანუ შეიქმნა ე.წ. „დაკიდული პარლამენტი“, ან ორმა პარტიამ ზუსტად თანაბარი რაოდენობის წევრი გაიყვანა თემთა პალატაში (რაც თეორიულად შესაძლებელია), მონარქს უჩნდება პრემიერ-მინისტრის შერჩევის უფლება, თუმცა, ასეთი რამ XX-XXI საუკუნეებში პრაქტიკულად არ მომხდარა.

სახელმწიფოს ამჟამინდელი მეთაურია დედოფალი *ელიზაბეთ II უინძორი* (*Elizabeth* II, 1926), რომელიც 1952 წელს, 26 წლის ასაკში, ავიდა ტახტზე მამამისის, *ჯორჯ* VI-ის, გარდაცვალების შემდეგ. 2015 წლის სექტემბერში მან მოხსნა „ბრიტანეთში ყველაზე დიდი ხნის მეფობის რეკორდი“, რომელიც იქამდე ეკუთვნოდა 64 წლის განმავლობაში ტახტზე მყოფ დედოფალ ვიქტორიას.

ბრიტანელების უმრავლესობა მონარქიის მიმართ პოზიტიურადაა განწყობილი. ეს, ძირითადად, დედოფალ *ელიზაბეთის* დამსახურებაა, რომელიც მაღალი ზნეობრიობის მაგალითს აძლევს თავის ხალხს. ის არ ერევა პოლიტიკაში, იმ თვალსაზრისით, რომ არც ერთ პოლიტიკურ ძალას ანიჭებს უპირატესობას. ის ღირსეულად წარმოადგენს ბრიტანეთის გვირგვინს „*თანამეგობრობის*“ 53 ქვეყანაში, რომელთაგან 15-ში იგი აღიარებულია „სახელმწიფოს მეთაურად“ – *ელიზაბეთი* არის, მაგალითად, კანადის, ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის დედოფალი.

ბრიტანეთის სახელმწიფო 38-40 მილიონი პაუნდის ოდენობის ყოველწლიურ გრანტს აძლევს მონარქს, რომლითაც ის ინახავს სასახლეებს, სამეფო კარის მომსახურე პერსონალს, სამეფო ოჯახის საკმაოდ მრავალრიცხოვან წევრებს, იხდის კომუნალურ გადასახადებს.

რეალურად, ამ მილიონებს ბრიტანელი გადასახადის გადამხდელები არ იხდიან. 1760 წელს ტახტზე ახალასულმა მეფე *ჯორჯ* III-მ სახელმწიფო ხაზინას გადასცა თავისი უძრავი ქონების დიდი ნაწილი, რომელსაც „გვირგვინის ქონება“ (*Crown Estate*) ეწოდა. „გვირგვინის ქონება“ დღემდე იმართება ხაზინის მიერ და მასვე მიაქვს მისი შემოსავალი. „გვირგვინის ქონების“ კუთვნილი მიწის მრავალ

ნაკვეთთა შორისაა ამჟამინდელი ცენტრალური ლონდონის ერთ-ერთი უმდიდრესი უბანი *რიჯენტ სტრითის* ირგვლივ, რომლის ფართობიც მრავალწლიანი იჯარით აქვთ აღებული იქ განლაგებულ სავაჭრო დაწესებულებებისა და საცხოვრებელი სახლების მფლობელებს, მიწის იჯარას ისინი სახელმწიფო ხაზინას უხდიან. ასევე ქირავდება სხვა უძრავი ქონება.

ჯორჯ III-ისა და მთავრობის გარიგების თანახმად, რომელიც დღემდე ძალაშია, სანაცვლოდ ჩამოიწერა მეფის წინამორბედების მიერ აღებული პირადი ვალები, მონარქი განთავისუფლდა პასუხისმგებლობისაგან სახელმწიფო ვალზე და მთავრობის შენახვაზე. მონარქს მიეცა ყოველწლიური გრანტი ხაზინიდან. 2011 წელს ადრე დადგენილი წესი გადაიხედა და იქიდან მოყოლებული მონარქს „სუვერენის გრანტის“ (*Sovereign grant*) სახით ერიცხება “გვირგვინის ქონების“ შემოსავლის 15 პროცენტი. 2014 წელს „სუვერენის გრანტმა“ შეადგინა 38 მილიონი პაუნდი.

შოტლანდიაში მდებარე *ბალმორალის* მამული მონარქის პირადი საკუთრებაა, რადგან 1852 წელს დედოფალმა ვიქტორიამ ის 32 ათას პაუნდად იყიდა თავისი მეუღლის, პრინც ალბერტის, სახელზე. ეს მამული, იქ მდებარე სასახლესთან ერთად, მემკვიდრეობით გადადის ყოველ მომდევნო მონარქზე. ბალმორალში ყოფნა დედოფალს განსაკუთრებით უყვარს.

დედოფალს ასევე ეკუთვნის სასახლეები ლონდონში, უინძორში, სანდრინგემში (ისტ-ანგლია) და სხვაგან. ყველა მათგანის შენახვა საკმაოდ ძვირი ჯდება და „სუვერენის გრანტი“ ამას ვერ გასწვდება. ამიტომ ბევრი სასახლე ტურისტულ ატრაქციონად იქცა, იქ შესვლა და ნახატების შესანიშნავი კოლექციების დათვალიერება ფასიანია. მაგალითად, ლონდონის სამეფო რეზიდენციაში – ბუკინგემის სასახლეში, სადაც დედოფალი წლის ნახევარს ატარებს ხოლმე, ყოველი წლის ივლის-სექტემბერში, როდესაც დედოფალი შოტლანდიაში მიემგზავრება, ტურისტების უწყვეტი ნაკადი შედის – რიგი ნახევარ კილომეტრზე იჭიმება, ბილეთი კი არცთუ იაფია!

„სუვერენის გრანტის“ გარდა, დედოფლის შემოსავალს შეადგენს მის პირად საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების იჯარით გაცემისგან მიღებული თანხა. შემოსავალი მონარქის მამულებიდან და სასახლეებიდან ხაზინაში არ მიდის, ის მონარქის პირადი შემოსავალია და იბეგრება საშემოსავლო გადასახადით ზუსტად ისე, როგორც ბრიტანეთის ნებისმიერი მოქალაქის შემოსავალი.

საერთო ჯამში, ბრიტანეთის დედოფალი მსოფლიოს მონარქებს შორის უმდიდრესადაა მიჩნეული. მის ქონებას – სასახლეებს, ძვირფასი ნახატების კოლექციებს, გვირგვინებს და სხვა ძვირფასეულობას – 90 მილიარდ აშშ დოლარად აფასებენ. რასაკვირველია, ეს არ ნიშნავს, რომ დედოფალს ასეთი თანხის განკარგვის საშუალება და უფლება აქვს!

ბრიტანეთის ტახტის მემკვიდრეა დედოფლის უფროსი ვაჟი, უელსის პრინცი *ჩარლზი* (დაბ. 1947 წელს). ტახტის მემკვიდრეობის რიგში მეორეა ჩარლზის

უფროსი ვაჟი, კორნუოლის ჰერცოგი *უილიამი* (დაბ. 1985 წელს), ხოლო მესამე – უილიამის ვაჟი *ჯორჯი* (დაბ. 2013 წელს).

იმის გამო, რომ დედოფალი ხანში შევიდა (2016 წლის 21 აპრილს მას 90 წელი შეუსრულდა) ტახტის მემკვიდრე *ჩარლზი* ხშირად ასრულებს ოფიციალურ ფუნქციებს როგორც ბუკინგემის სასახლეში, ისე საზღვარგარეთ ოფიციალური ვიზიტებისას.

სამეფო ოჯახის ცხოვრება ბრიტანელების ცხოველი ინტერესის საგანია. შესაბამისად, ტაბლოიდი გაზეთები ცდილობენ, მონარქიასთან დაკავშირებული მასალა მოიპოვონ. მათი „განსაკუთრებული მიღწევაა“, თუკი რაიმე სკანდალურს აღმოაჩენენ.

მონარქიას ბრიტანეთში ჰყავს კრიტიკოსები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ თანამედროვე პირობებში სახელმწიფოს აურჩეველი მეთაურის არსებობა ანაქრონიზმია. მონარქიის არსებობა არადემოკრატიულია, ის დაკავშირებულია არისტოკრატიულ პრივილეგიებთან, ხელს უწყობს კლასობრივ გამიჯვნას და საზოგადოებაში მკაცრი იერარქიის შენარჩუნებას. შოტლანდიაში ფიქრობენ, რომ მონარქია უფრო ინგლისურია, ვიდრე ზოგადბრიტანული. რესპუბლიკელები, რომლებიც ჯერჯერობით უმცირესობაა, აღნიშნავენ, რომ მონარქის ფუნქციები წმინდა ცერემონიულია და უმჯობესია, მონარქია შეიცვალოს არჩევითი და ნაკლებხარჯიანი საპრეზიდენტო ინსტიტუტით, რომელსაც არ ექნება აღმასრულებელი ფუნქცია.

მონარქიის შენარჩუნების მომხრეების არგუმენტაცია კი ის არის, რომ მონარქია პოპულარულია, მან მოახერხა შეგუება თანამედროვე მოთხოვნებთან; ის არის ეროვნული ერთიანობის სიმბოლო და კონსტიტუციის მცველი; მონარქი სტაბილურობისა და უწყვეტობის სიმბოლოა, ის პოლიტიკოსებს მეტ პრესტიჟულობას ანიჭებს; ის არ არის პოლიტიკური მანიპულაციის ობიექტი; როდესაც საერთაშორისო დონეზე ბრიტანეთს წარმოადგენს მონარქი, ის ხელს უწყობს ბრიტანეთის ძმური ურთიერთობის შენარჩუნებას იმ 14 ქვეყანასთან, სადაც ბრიტანეთის მონარქი სახელმწიფოს ფორმალური მეთაურია.

საერთო ჯამში, როგორც საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვები ადასტურებს, მონარქიას ბრიტანეთში XXI საუკუნის მეორე ათწლეულში მეტი მომხრე ჰყავდა, ვიდრე მოწინააღმდეგე.

თემა 19. გაერთიანებული სამეფოს ხელისუფლება და მართვის სისტემა (2): პარლამენტი და საკანონმდებლო პროცესი.

ლიტერატურა: გაერთ. *სამ.* გვ. 398-410

გაერთიანებული სამეფოს უზენაესი საკანონმდებლო ორგანოა ორპალატიანი პარლამენტი. ოფიციალურად, "*პარლამენტი შედგება მონარქისა და ორი პალატისაგან*". პალატებიდან ერთი არჩევითი თემთა პალატაა, მეორე – აურჩეველი ლორდთა პალატა.

პარლამენტში ძირითად როლს ასრულებს ***თემთა პალატა*** (*House of Commons*). 1911 წელს მიღებული აქტით, თემთა პალატას ირჩევენ ხუთი წლის ვადით. ეს ვადა იყოფა ხუთ „*სესიო წლად*".

როდესაც პარლამენტში მკაფიო უმრავლესობა არ არის ან ვერ ხერხდება მყარი კოალიციის შექმნა, შეიძლება დაინიშნოს ხელახალი არჩევნები, ხანდახან, წინა არჩევნებიდან სულ რამდენიმე თვის შემდეგაც კი.

2014 წელს დადგინდა, რომ საპარლამენტო და ადგილობრივი არჩევნებისთვის რეგისტრაცია მოქალაქის პირადი პასუხისმგებლობაა. მოქალაქე, რომელიც სულ ცოტა, ექვსი თვეა ცხოვრობს ერთსა და იმავე მისამართზე, უფლებამოსილია, დარეგისტრირდეს საარჩევნო სიაში. რეგისტრაციის დაწყებას ბრიტანეთში მცხოვრებ ყველა ადამიანს წერილობით შეახსენებს ხოლმე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, სადაც წერია: „*რეგისტრაცია გაძლევთ უფლებას, მიიღოთ მონაწილეობა არჩევნებში და გაიუმჯობესოთ საკრედიტო რეიტინგი*". ადამიანი თვითონ უნდა დარეგისტრირდეს, თუკი არჩევნებში მონაწილეობა სურს. მოქალაქეთა ორ მესამედზე მეტი ასეთ სურვილს ამჟღავნებს ხოლმე და მიდის საარჩევნო უბანში, სადაც სიაში თავისი თავი უკვე დაარეგისტრირა. სხვათა შორის, რაიმე პირადობის დამადასტურებლის წარდგენა ამომრჩეველს არ მოეთხოვება – პატიოსან სიტყვას ენდობიან! ბრიტანეთში *ჯერაც არ შემოუღიათ პირადობის მოწმობა.*

საზღვარგარეთ საარჩევნო უბნები არ იხსნება.

1969 წლიდან არჩევნებში აქტიური და პასიური მონაწილეობის უფლებით სარგებლობს 18 წლის ასაკს მიღწეული ბრიტანეთის ყველა მოქალაქე. ეს ნიშნავს, რომ პარლამენტში, თეორიულად, 18-19 წლის „თინეიჯერის" არჩევაც კი შეიძლება. 2015 წელს პარლამენტში აირჩიეს 20 წლის შოტლანდიელი სტუდენტი გოგონა.

თემთა პალატის არჩევნებში მონაწილეობა აგრეთვე შეუძლია *თანამეგობრობის* ყველა ქვეყნისა და ირლანდიის რესპუბლიკის იმ მოქალაქეს, რომელიც არჩევნების დღეს გაერთიანებულ სამეფოში იმყოფება და მოასწრო არჩევნებისათვის დარეგისტრირება. ბრიტანეთში მცხოვრებ ევროპული კავშირის წევრი ქვეყნების მოქალაქეებს ბრიტანეთის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის უფლება

არა აქვთ, თუმცა ადგილობრივ არჩევნებში შეუძლიათ მისცენ ხმა (იქამდე, სანამ ბრიტანეთი დატოვებს ევროკავშირს).

1603-1950 წლებში ინგლისის/გაერთიანებული სამეფოს პარლამენტის თემთა პალატაში ორ-ორი ადგილი გამოყოფილი იყო ოქსფორდისა და კემბრიჯის უნივერსიტეტებისათვის. ეს წესი მეფე *ჯეიმზ I სტიუარტმა* შოტლანდიიდან ჩამოიტანა, სადაც ოთხი ძველი უნივერსიტეტი (XV-XVI საუკუნეებში დაარსებული *სენტ-ენდრიუსის, გლაზგოს, აბერდინის, ედინბურგის* უნივერსიტეტები) თავის წარმომადგენლებს ირჩევდა შოტლანდიის პარლამენტში. იმ პერიოდში ამას გამართლება ჰქონდა – პარლამენტში ავტორიტეტული მეცნიერები ისხდნენ.

საუნივერსიტეტო საარჩევნო ოლქებს წარმოადგენდა ბევრი ცნობილი პოლიტიკოსი, მათ შორის, პრემიერ-მინისტრები *უილიამ პიტი უმცროსი* და *ლორდი პალმერსტონი* კემბრიჯის უნივერსიტეტის დეპუტატები იყვნენ, *რობერტ პილი* და *უილიამ გლადსტონი* – ოქსფორდის უნივერსიტეტისა (გარკვეული პერიოდის მანძილზე).

1950 წელს ლეიბორისტულმა მთავრობამ ეს წესი გააუქმა, რადგან ის ამომრჩეველთა ნაწილს ორი ხმის მიცემის უფლებას აძლევდა – საერთო არჩევნებში და უნივერსიტეტშიც.

2010, 2015 და 2017 წლების თემთა პალატის არჩევნებისათვის მთელი გაერთიანებული სამეფოს მასშტაბით არსებობდა 650 *საარჩევნო ოლქი* (*constituencies*) – იმდენი, რამდენი წევრიცაა უესტმინსტერის პარლამენტში; 533 ოლქი იყო ინგლისში, 59 – შოტლანდიაში, 40 – უელსში და 18 – ჩრდილოეთ ირლანდიაში. საარჩევნო ოლქების სიდიდეს ამომრჩეველთა რაოდენობა განსაზღვრავს – ეს საშუალოდ 60-65 ათასია, თუმცა უმცირესში (შოტლანდიაში შემავალ *შეტლანდის* კუნძულებზე) – 22 ათასი ამომრჩეველია, ხოლო უდიდესში – 111 ათასი (ეს არის ინგლისში შემავალი კუნძული *უაიტი*).

2016 წლიდან მუშავდება კანონპროექტი ქვეყნის 650 საარჩევნო ოლქის 600-მდე შემცირებისა და მათი საზღვრების გადახედვის შესახებ ისე, რომ საარჩევნო ოლქები სიდიდით მეტ-ნაკლებად თანაბარი გახდეს. ეს, უპირველესად, შეამცირებს ოლქების რაოდენობას შოტლანდიაში, სადაც ახლა ნაკლებად დასახლებული ბევრი ოლქია.

თემთა პალატის ყველა წევრს ირჩევენ ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში მარტივი მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით, ანუ არჩეულად ითვლება დეპუტატობის ის კანდიდატი, რომელიც სხვებზე მეტ ხმას დააგროვებს. ასეთი საარჩევნო სისტემა, რომელსაც ინგლისურად ჰქვია *first-past-the-post* (შემოკლებით *FPTP*), განაპირობებს იმას, რომ გამარჯვებულის გარდა სხვა კანდიდატებისათვის მიცემული ხმები იკარგება.

XX და XXI საუკუნეებში გამარჯვებულ პარტიას, რომელმაც მთავრობა შექმნა, არასოდეს მიუღია ამომრჩეველთა ხმების ნახევარიც კი. 2015 წლის არჩევნების დროს კონსერვატიულ პარტიას ქვეყნის მასშტაბით სულ 36-მა პროცენტმა დაუჭირა მხარი, რაც გამარჯვებისათვის საკმარისი აღმოჩნდა.

ყოფილა შემთხვევები, როცა გამარჯვებულმა პარტიამ მეორე ადგილზე გასულთან შედარებით ნაკლები ხმა დააგროვა, მაგრამ ჯამში მეტი მანდატი მიიღო, ვიდრე მისმა მეტოქემ . არჩევნების არსებულ სისტემაში ხმების საერთო დიდი რაოდენობა არ იძლევა პარლამენტში უმრავლესობის მიღების გარანტიას. მაგალითად, 1945 წელს ლეიბორისტულმა პარტიამ ხმების 47,7 პროცენტი მიიღო და პარლამენტში 393 წევრი გაიყვანა, 1951 წლის არჩევნებში კი, უფრო მეტი მხარდაჭერის მიუხედავად (48,8 პროცენტი), მხოლოდ 295 წევრის გაყვანა მოახერხა და პარლამენტში უმრავლესობა დაუთმო კონსერვატიულ პარტიას, რომელმაც ხმების ნაკლები რაოდენობით, 44,3 პროცენტით, 302 ადგილი მოიპოვა.

> არჩევნების მაჟორიტარული სისტემით ყველაზე მეტად ზარალდება ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია, რომელიც ხმების 10-15 პროცენტს ღებულობს ხოლმე, მაგრამ ძალიან ცოტა ადგილს – პარლამენტში. სწორედ ამ პარტიის ინიციატივით, რომელიც 2010-15 წლებში სამთავრობო კოალიციაში შედიოდა, 2011 წლის 5 მაისს ჩატარდა რეფერენდუმი „ალტერნატიული ხმის მიცემის“ სისტემაზე გადასვლის და, შესაბამისად, FPTP-ის გაუქმების შესახებ. მაშინ, როცა ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია ცვლილების მომხრე იყო, სამთავრობო კოალიციის ძირითადი წევრი, კონსერვატიული პარტია, ცვლილებას აქტიურად ეწინააღმდეგებოდა.
>
> რეფერენდუმში ბრიტანეთის ამომრჩეველთა სულ 42 პროცენტმა მიიღო მონაწილეობა და მათგან ორმა მესამედმა ისევ ძველი სისტემა ამჯობინა.

მონარქმა უნდა დანიშნოს პრემიერ-მინისტრად არჩევნებში გამარჯვებული პარტიის ლიდერი. ეს უკანასკნელი ქმნის „მისი უდიდებულესობის მთავრობას“, ხოლო მეორე პარტია ქმნის „მისი უდიდებულესობის ოპოზიციას“. თუ მთავრობამ პარლამენტში დაკარგა უმრავლესობა, პრემიერ-მინისტრმა მონარქს ახალი არჩევნების დანიშვნა უნდა სთხოვოს. ყველაფერი ხდება მონარქის სახელით, თუმცა რეალურად მას არა აქვს უფლება, ჩაერიოს თემთა პალატის საქმეებში. თუ რიგგარეშე არჩევნების ჩატარება გარდაუვალი აღმოჩნდა, ის ახალი მოწვევის პარლამენტად ჩაითვლება.

2017 წლის პარლამენტი რიგით 57-ე მოწვევისაა (1832 წლიდან).

2011 წლამდე მთავრობას შეეძლო დაენიშნა ვადამდელი არჩევნები, თუკი მიიჩნევდა, რომ თავისი საკუთარი პოზიციის განსამტკიცებლად სწორედ მაშინ იყო მისთვის ხელსაყრელი ახალი არჩევნების ჩატარება. 2011 წლის კანონით (*Fixed-term Parliaments Act*) პარლამენტმა თვითონ აკრძალა ასეთი „ეგოისტური“ საბაბის გამოყენება რიგგარეშე არჩევნების ჩასატარებლად. მიუხედავად ამისა, 2017 წელს *თერეზა მეიმ* “აუცილებლობის” საბაბით დანიშნა რიგგარეშე არჩევნები, რომელშიც, სხვათა შორის, მისმა კონსერვატიულმა პარტიამ უმრავლესობა ვერ მოიპოვა.

თემთა პალატა წელიწადში საშუალოდ 160 დღის განმავლობაში ატარებს სხდომებს. მას თავმჯდომარეობს სპიკერი, რომელიც ვალდებულია, ნეიტრალური იყოს, ე.ი. არ დაუჭიროს მხარი რომელიმე პარტიას. სპიკერის საცხოვრებელი რეზიდენცია პარლამენტის შენობათა კომპლექსში შედის.

საპარლამენტო პროცედურა, ისევე, როგორც „ბრიტანული კონსტიტუცია“, განისაზღვრება წესებითა და ტრადიციებით, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში გროვდებოდა. ზოგი რამ ანაქრონიზმად აღიქმება, რეალურად კი, ისიც ცოცხალი პოლიტიკური პროცედურის ელემენტია.

თემთა პალატაში სპიკერის ხელმარჯვნივ პირველ რიგში სხედან მთავრობის წევრები, ხელმარცხნივ, პირველ რიგში კი – ე.წ. „*ჩრდილოვანი მთავრობა*“, ძირითადი ოპოზიციური პარტიის ხელმძღვანელები. არც ერთ წევრს არა აქვს მუდმივი ადგილი ან მაგიდა – ჩანაწერებს ისინი მუხლზე დადებულ ფურცლებზე აკეთებენ! ორივე მხარეს განლაგებულ ოთხ-ოთხი უკანა რიგის გრძელ სავარძლებზე სხედან *ბეკბენჩერები* (*backbenchers,* სიტყვასიტყვით – „*უკანასკამლები*“), რომლებიც არ შედიან მოქმედ ან „ჩრდილოვან მთავრობაში“.

თემთა პალატის სხდომა ყოველი სასესიო კვირის ორშაბათიდან ხუთშაბათამდე იწყება დღის 2 საათსა და 30 წუთზე (პარასკეობით – დილის ათის ნახევარზე). სხდომამ შეიძლება გვიანობამდე გასტანოს. კვირაში ორჯერ ოპოზიციის ლიდერი უსვამს პრემიერ-მინისტრს ზეპირ კითხვებს, რომლებსაც პასუხი იქვე უნდა გაეცეს. მკაცრადაა განსაზღვრული პარლამენტის წევრების ქცევის, მათ შორის ურთიერთმიმართვის, წესები. არაეთიკური ქცევა და ტაშის დაკვრაც კი დაუშვებელია.

კენჭისყრა თემთა პალატაში ფარული არაა და არც არავითარი ელექტროპულტებია დამონტაჟებული. თუ სპიკერის მიერ გამოტანილ დასკვნას (“უმრავლესობა ემხრობა/არ ემხრობა წინადადებას“) რომელიმე მხარე არ ეთანხმება ან საკითხის დაყენებისთანავე მოითხოვა კენჭისყრა „გაყოფით“ (ამას ეწოდება *division*), ის ტარდება კანონპროექტის მომხრეებისა და მოწინააღმდეგეების სხვადასხვა კარში გასვლით და მათი სათითაოდ აღრიცხვით. კენჭისყრისათვის პარტიები სასწრაფოდ კრებენ თავიანთ წევრებს, რაც ყოველი პარტიის მთავარი *უიპის* (*Whip,* სიტყვასიტყვით – შოლტი!) და სხვა *უიპების* ფუნქციაში შედის.

პარლამენტის ახალი სესიის *სახელმწიფო გახსნამდე* (*შტატე პენინგ*) არც ერთ პალატას არ შეუძლია კანონშემოქმედებითი საქმიანობის დაწყება.

ახალ პარლამენტს და მის ყოველწლიურ სესიას მოკლე სიტყვით ხსნის მონარქი, რომელიც ლაპარაკობს პირველ პირში „თავისი მთავრობისათვის“ მიცემულ დავალებებზე. რიტუალის ნაწილია პრემიერ-მინისტრის წინასწარ ნათქვამი სიტყვები: „*წარმოდგენა არა მაქვს, რას დაგვავალებს დედოფალი*“. თუმცა ყველამ იცის, რომ მონარქის გამოსვლის ტექსტი დაწერა თვითონ პრემიერ-მინისტრმა, მთავრობის წევრებთან ერთად.

პარლამენტის ყოველწლიური სესიის გახსნა (*Opening of Parliament*) მონარქს უხდება ლორდთა პალატაში და არა თემთა პალატაში, სადაც შესვლა მონარქს ეკრძალება, ეს „თემთა პალატის პრივილეგიაა!“ ლორდთა პალატაში იწვევენ თემთა პალატის წევრებს – პრემიერ-მინისტრს, კაბინეტის წევრებს და ოპოზიციის ჩრდილოვანი მთავრობის წევრებს – ისინი ლორდთა პალატის შესასვლელში

ფეხზე მდგარი უსმენენ მონარქს. მონარქის სიტყვაში ჩამოყალიბებულია მომდევნო სასესიო წლის სამთავრობო პროგრამა. სიტყვის ბოლოს მონარქმა უნდა თქვას: „*სხვა საკითხებიც დაისმება თქვენ წინაშე*“, რაც ფორმალურ უფლებას აძლევს მთავრობას, წარმოადგინოს კანონპროექტები სხვა საკითხებზეც, რომლებიც პროგრამაში არ შეუტანიათ.

მონარქის ყოველწლიური რიტუალური შესვლა ლორდთა პალატაში საპარლამენტო სესიის გასახსნელად დიდი სანახაობაა: შუა საუკუნეების წითელ უნიფორმებში გამოწყობილ გვარდიელებს შემოაქვთ იმპერიული სკიპტრა, სახელმწიფოს დიდი მახვილი, ჩუგლუგი და სხვა სიმბოლოები; დედოფალს თავზე ადგას სამეფო გვირგვინი; მისი შინდისფერი შლეიფი ოთხ პაჟს უჭირავს; მის მეუღლეს ორდენები ამშვენებს; მას მოჰყვება ტახტის მემკვიდრე მეუღლითურთ; ლორდებს წითელი მანტიები აქვთ წამოსხმული და თავზე თეთრი პარიკები ადევთ.

ტრადიციული რიტუალის ნაწილია ის, რომ ლორდთა პალატიდან თემთა პალატაში იგზავნება მაცნე (*The Gentleman Usher of the Black Rod*), იქ კი მას ცხვირწინ უხურავენ კარს და უღებენ მხოლოდ შავი ჯოხით (ესაა *Black Rod!*) სამი დაკაკუნების შემდეგ. ასევე ტრადიციაა, რომ *დიდი ბრიტანეთის ლორდი უმაღლესი კანცლერი* (*The Lord High Chancellor of Great Britain*) მუხლმოდრეკილი აწვდის ტახტზე მჯდომ დედოფალს მის სიტყვას და ა.შ.

ტრადიციულია თემთა პალატის დარბაზის ზომა.

1834 წლის 16 ოქტომბერს ხანძარმა გაანადგურა ძველი *უესტმინსტერის სასახლე* (*Westminster Palace,* იგივეა, რაც *Houses of Parliament*), რომლისგანაც გადარჩა მხოლოდ შუა საუკუნეების *უესტმინსტერ ჰოლი.* დამწვარი შენობის ადგილზე არქიტექტორ *ჩარლზ ბარის* (*Sir Charles Barry,* 1795-1860) პროექტით ნეო-გოთიკურ სტილში აიგო ახალი შენობა და ის 1852 წელს გაიხსნა. საზოგადოება ახლა სწორედ ამ შენობას ხედავს, *ოგასტეს პიუჯინის* (*Augustus Pugin,* 1812-1842) შედეგრთან – *საათის კოშკთან* ერთად (მას მეტსახელად შერჩა „*ბიგ ბენ*“, თუმცა 2012 წლიდან ოფიციალურად „*ელიზაბეთის კოშკი*“ ეწოდება). თემთა პალატაში მაშინ 437 დასაჯდომი ადგილი იყო.

II მსოფლიო ომის დროს ნაცისტურმა ავიაციამ დაბომბა პარლამენტი და დაანგრია შენობის ის ნაწილი, სადაც თემთა პალატაა განლაგებული. დარბაზის აღდგენამდე თემთა პალატა ლორდთა პალატის სივრცეს იყენებდა, ხოლო ლორდთა პალატა იჯდა ტემზის მოპირდაპირე ნაპირზე მდებარე ლამბეთის სასახლეში – კენტერბერის არქიეპისკოპოსის რეზიდენციაში. ომის შემდეგ, 1950 წლისათვის, პარლამენტის თემთა პალატა პირვანდელი სახით აღადგინეს და იქ კვლავ 437 ადგილი დატოვეს, მაშინ როცა პალატაში 600-ზე მეტი წევრი იყო (ახლა 650-ია). მნიშვნელოვან საკითხზე კენჭისყრისას პარლამენტის წევრების ნაწილი ფეხზე დგას.

თემთა პალატაში „ადგილების ეკონომიას“ ერთგვარი გამართლება მოეპოვება: ჩვეულებრივ, დებატებს ესწრებიან ის წევრები, რომელთაც კონკრეტულ საკითხზე აქვთ მოსაზრება (მხარდამჭერი ან საწინააღმდეგო), დანარჩენი წევრები კი

კაბინეტებში სხედან, შეხვედრებს ან სხდომებს ატარებენ. კენჭისყრის დაწყებას ყველგან დამონტაჟებული ტელეეკრანებით და ზარით აუწყებენ ხოლმე. აი, მაშინ ამოქმედდება ძირითადი პარტიების მთავარი *უიპების* აპარატები! თემთა პალატის წევრებმა ყველა სხვა საქმე უნდა გადადონ და სხდომათა დარბაზში მივიდნენ.

უინსტონ ჩერჩილმა, ნახევარ საუკუნეზე მეტხანს პარლამენტის წევრმა და ორგზის პრემიერ-მინისტრმა, თემთა პალატაში ადგილების ნაკლებობის გასამართლებლად თქვა: „კენჭისყრის *დროს პალატაში ხალხმრავლობისა და ნამდვილად გადაუდებელი საქმის გრძნობა ისადგურებს ხოლმე!*“

უესტმინსტერის სასახლის განტვირთვის მიზნით, „ბიგ ბენის“ პირდაპირ, ვიქტორიას სანაპიროსა და ბრიჯ სტრიტის კუთხეში, 2001 წელს აიგო პარლამენტის დამატებითი შენობა – „*პორტკალის ჰაუსი*“ (*Portcullis House*), რომელმაც სამუშაო ოთახებით უზრუნველყო თემთა პალატის 213 წევრი და რამდენიმე კომიტეტი.

აქვე უნდა ითქვას, რომ 170 წლის წინათ აგებული პარლამენტის შენობის კაპიტალური რემონტის დაწყება გადაწყვეტილი საქმეა, რის გამოც თემთა და ლორდთა პალატებს საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში (არანაკლებ ხუთი წლისა) სხვა შენობებში მუშაობა მოუწევთ.

ლორდთა პალატა (*House of Lords*), ტრადიციულად, კონსერვატორების ბუდე იყო: 1945 წელს, როდესაც ლეიბორისტებმა თემთა პალატაში პირველად მოიპოვეს დიდი უმრავლესობა, ლეიბორისტი ლორდი სულ 16 იყო, რამდენიმე ასეულ კონსერვატორთან ერთად. ესეც იყო ერთ-ერთი მიზეზი, რომ ლეიბორისტების პარტიულ პროგრამაში თავიდან შეტანილი იყო ლორდთა პალატის გაუქმების მოთხოვნა. 1992 წელს ლეიბორისტულმა პარტიამ შეცვალა ეს პუნქტი და, გაუქმების ნაცვლად, ლორდთა პალატის რეფორმირებას მოითხოვა.

1997 წელს, როდესაც მთავრობა ისევ ლეიბორისტებმა შექმნეს, კონსერვატიულმა ლორდთა პალატამ 38-ჯერ არ დაამტკიცა თემთა პალატაში მიღებული კანონები. ბუნებრივია, ხალხის მიერ არჩეულმა თემთა პალატამ მიიღო ზომები აურჩეველი ლორდთა პალატის მიმართ. თუ 1999 წლამდე 1330 პერი (ლორდი) იყო, 1999 წლის „*ლორდთა პალატის აქტის*“ შესაბამისად, მათი რაოდენობა 669-მდე შემცირდა. თანაც ამ რაოდენობაში შევიდა მრავალი სამუდამო პერი, რომელიც ლეიბორისტულ პარტიას ეკუთვნოდა. ლეიბორისტებმა გაზარდეს თავისი პარტიული წარმომადგენლობა ლორდთა პალატაში და ამით დასძლიეს მისი ოპოზიცია. იქიდან მოყოლებული უმრავლესობას ლორდთა პალატაში ქმნიან ლეიბორისტები და ლიბერალ-დემოკრატები.

2015 წლის დასაწყისში ლორდთა პალატაში 769 წევრი ირიცხებოდა. მათ შორის მხოლოდ 92 იყო მემკვიდრეობითი ლორდი, რომლებიც ჰერცოგებმა, მარკიზებმა, გრაფებმა, ვიკონტებმა, ბარონებმა თავიანთი წრიდან აირჩიეს. ანგლიკანურ ეკლესიას პალატაში ყოველთვის წარმოადგენს 26 წევრი, რომელთაც „სასულიერო ლორდები“ ეწოდებათ: მათგან ორი მთავარეპისკოპოსია (კენტერბერისა და

იორკის) და 24 ეპისკოპოსი, რომელთა შორის ერთი – გლოსტერის ეპისკოპოსი – ქალია.

ლორდთა პალატის წევრების უმეტესობა *სამუდამო პერია* (*Life peers*), რომელთაც *ლორდის, ლედის* ან *ბარონესას* ტიტული მიენიჭათ სახელმწიფოსათვის გაწეული განსაკუთრებული სამსახურისათვის. კანონი სამუდამო პერების დანიშვნის შესახებ 1958 წელს მიიღეს *(Life Peerages Act*). სამუდამო პერები სიკვდილამდე ინარჩუნებენ ტიტულს, მაგრამ მემკვიდრეობით მას ვერ გადასცემენ.

ლორდთა პალატის წევრებს ხელფასი არ ეძლევათ, მაგრამ პალატის სხდომაზე დასწრების (სიტყვით გამოსვლა აუცილებელი არაა) ყოველი დღისათვის მათ უფლება აქვთ, 300 პაუნდი მოითხოვონ სატრანსპორტო და სხვა ხარჯებისათვის. ბევრი ლორდი ამ უფლებას არ იყენებს, რადგან მიაჩნია, რომ ისედაც უზრუნველყოფილია.

ყოველი მთავრობა ცდილობს, ლორდების რაოდენობა გაზარდოს საკუთარი პარტიის მომხრეთა ხარჯზე. უკანასკნელი შევსება ლორდთა პალატამ მიიღო 2015 წლის სექტემბერში, როდესაც დედოფალმა, პრემიერ-მინისტრის წარდგინებით, 45 ახალი სამუდამო პერი დანიშნა, მათგან 22 კონსერვატორი, 13 – ლიბერალ-დემოკრატი და 8 – ლეიბორისტი.

2009 წლამდე ლორდთა პალატის წევრები იყვნენ „აპელაციის ლორდები“, რომელთაც, მთავრობის წარდგინებით, მონარქი სამუდამოდ ნიშნავდა სამართლებრივი საქმეების წარსამართად. ისინი მართლაც პროფესიონალი იურისტები იყვნენ. როდესაც 2009 წელს შეიქმნა *გაერთიანებული სამეფოს უზენაესი სასამართლო*, ლორდთა პალატამ დაკარგა სასამართლო ფუნქცია და აპელაციის თორმეტივე ლორდმა უზენაეს სასამართლოში გადაინაცვლა.

ლორდთა პალატის სპიკერია *ლორდ-კანცლერი.* შუა საუკუნეებში ეს მეფის მთავარი მინისტრის ტიტული იყო, ახლა კი ცერემონიული ფუნქცია ეკისრება. ტრადიციულად, ის ზის მატყლით გატენილ ტომარაზე.

ლორდთა პალატის უფლებები შეზღუდულია: მას შეუძლია ერთხანს გააჭიანუროს თემთა პალატის მიერ შემუშავებული კანონის დამტკიცება, ისიც არაფინანსურ კანონებზე. პარლამენტის ხანგრძლივობის განმსაზღვრელ კანონს თემთა პალატა საერთოდ არ უთანხმებს ლორდთა პალატას.

თუ ლორდთა პალატამ ერთხელ უარყო თემთა პალატის მიერ მიღებული კანონი, მაგრამ თემთა პალატამ ის ხელმეორედ დაამტკიცა, მაშინ ეს კანონი აღარც შეაქვთ ლორდთა პალატაში. ლორდთა პალატას შენარჩუნებული აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება ზოგიერთ არასაფინანსო საკითხზე, მაგრამ ის ამ უფლებით ნაკლებად სარგებლობს.

ლორდთა პალატის „სამუდამო პერებად“, ჩვეულებრივ, ინიშნებიან ხოლმე გამოცდილი პოლიტიკოსები ან საზოგადო მოღვაწეები, რომელთა რჩევა და კომენტარი ღირებულია და მთავრობა მათ ხანდახან ყურს უგდებს.

თემა 20. გაერთიანებული სამეფოს ხელისუფლება და მართვის სისტემა (3): კაბინეტი.

ლიტერატურა: *გაერთ. სამ.* გვ. 411-415

მონარქთან არსებული ***საიდუმლო საბჭო*** (*Privy Council*) ჯერ კიდევ ადრეული ნორმანი მეფეების დროს გაჩნდა, თითქმის ცხრაასი წლის წინ. თავიდან ის იყო *მართვის* ერთ-ერთი ძირითადი ინსტრუმენტი მონარქისათვის, მაგრამ მან ისევე განიცადა ტრანსფორმაცია, როგორც თვით მონარქიამ. მაგალითად, XVII საუკუნის დასაწყისში *საიდუმლო საბჭო* ამართლებდა სტიუარტების პრეტენზიას „ღვთიურ უფლებაზე“ (*divine right*), რაც თითქოს აკანონებდა სახელმწიფოს მართვას აბსოლუტური ძალაუფლებით (*ჩარლზ* I სტიუარტისათვის ეს ცუდად დამთავრდა: მას თავი მოჰკვეთეს!). მაგრამ იმავე XVII საუკუნის ბოლოს *საიდუმლო საბჭო* ეთანხმებოდა პარლამენტს, რომ მონარქიის ძალაუფლება უნდა შეზღუდულიყო „ბილით უფლებათა შესახებ“.

ტრადიციაა, რომ *საიდუმლო საბჭოს* წევრები ვალდებული არიან, დადონ ფიცი – არ გაიტანონ ინფორმაცია გარეთ, მუხლი მოიყარონ დედოფლის წინაშე და ხელზე ეამბორონ მას. 2015 წელს ასეთ ცერემონიაზე უარი განაცხადა ლეიბორისტული პარტიის ახალარჩეულმა ლიდერმა, თავგამოდებულმა რესპუბლიკელმა *ჯერემი კორბინმა*, რომელიც, არსებული წესის თანახმად, *საიდუმლო საბჭოს* წევრი უნდა გახდეს, როგორც „მისი უდიდებულესობის ლოიალური ოპოზიციის“ ლიდერი. იქამდე, სანამ კორბინი არ დაემორჩილება წესს, ის ვერ გახდება *საიდუმლო საბჭოს* წევრი, სადაც ოპოზიციის ლიდერი უნდა იჯდეს იმისათვის, რომ ინფორმირებული იყოს სახელმწიფოს საქმეების შესახებ იმ შემთხვევისათვის, თუკი მთავრობა შეიცვლება და მას მოუწევს სახელმწიფო პოლიტიკის გატარება. ამ პოლიტიკას, რასაკვირველია, ყოველ მიმდინარე მომენტში მოქმედი მთავრობა ადგენს.

საიდუმლო საბჭოს, როგორც მონარქის სათათბირო ორგანოს, ამჟამინდელი ფუნქციები, ძირითადად, ცერემონიული გახდა. მასზე ბევრად მეტ ძალაუფლებას ფორმალურად ფლობს მისივე ერთ-ერთი დანაყოფი – *კაბინეტი*, რომელსაც მართავს პრემიერ-მინისტრი.

ოფიციალურად, **„გაერთიანებული სამეფოს კაბინეტი“** არის კოლექტიური გადაწყვეტილების მიმღები ორგანო „*მისი უდიდებულესობის მთავრობაში*“. კაბინეტში შედიან პრემიერ-მინისტრი და 21 „*კაბინეტის მინისტრი*“, რომლებიც წამყვან სამინისტროებს ხელმძღვანელობენ.

ბრიტანეთის თანამედროვე კაბინეტის მუშაობის სისტემა და სტრუქტურა ჩამოაყალიბა პრემიერ-მინისტრმა *დევიდ ლოიდ-ჯორჯმა* პირველი მსოფლიო ომის დროს, როდესაც აუცილებელი იყო სწრაფი გადაწყვეტილებების მიღება და ეფექტიანი კოორდინაცია მთავრობის შიგნით. ლოიდ-ჯორჯიდან მოყოლებული პრემიერ-

მინისტრი კაბინეტის დომინანტი ფიგურაა – მას თითქმის „საპრეზიდენტო ძალაუფლება“ გააჩნია.

ტერმინი „*კაბინეტი*“ XVI-XVII საუკუნეებიდან ჩნდება და თავიდან ის მართლაც აღნიშნავდა სამუშაო ოთახს (კაბინეტს), სადაც მეფის მრჩევლები ვიწრო წრეში მეფესთან და ერთმანეთთან მსჯელობდნენ და ღებულობდნენ გადაწყვეტილებებს. *კაბინეტს* განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა XVIII საუკუნის პირველი ნახევრიდან, ჰანოვერთა დინასტიის პირველი მეფეების – *ჯორჯ* I-ისა და *ჯორჯ* II-ის დროს, რადგან მათ არ იცოდნენ ან ცუდად ესმოდათ ინგლისური ენა, ვერ ერკვეოდნენ ადგილობრივ პოლიტიკაში და იძულებული იყვნენ, დაყრდნობოდნენ მრჩევლების/თანაშემწეების რჩეულ ჯგუფს, რომლებიც „*მინისტრებად*“ იქცნენ. ინგლისურად *to minister* ნიშნავს *მსახურებას, დახმარების აღმოჩენას.*

ტერმინი „მინისტრთა კაბინეტი“ ბრიტანეთიდან სხვა ქვეყნებშიც გავრცელდა.

კაბინეტს აქვს სამდივნო, კომიტეტები და უამრავი ქვეკომიტეტი, სადაც შესაბამისი საჯარო მოხელეები ატარებენ რუტინულ მუშაობას და ამზადებენ გადაწყვეტილებათა პროექტებს. კაბინეტი იკრიბება ყოველკვირეულად – ხუთშაბათობით – და, ჩვეულებრივ, ამტკიცებს ხოლმე წინასწარ შეთანხმებულ რეზოლუციებს.

კაბინეტი წარმოადგენს აღმასრულებელ ხელისუფლებას და ის ანგარიშვალდებულია საკანონმდებლო ხელისუფლების, ანუ პარლამენტის, წინაშე. ამასთან, ბრიტანეთის მართვის სისტემა მკვეთრად არ მიჯნავს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას, რადგან პრემიერ-მინისტრი და კაბინეტის მინისტრების უმეტესობა, ამავდროულად, პარლამენტის წევრიცაა.

პრემიერ-მინისტრის რეზიდენცია XVIII საუკუნიდან მდებარეობს უაიტ-ჰოლის ქუჩის ერთ ჩიხში, *დაუნინგ სტრიტის* 10-ში (*10 Downing Street*), საიდანაც, ტრადიციულად, იმართებოდა ბრიტანეთის იმპერია. შენობა გარედან უსახურია, შიგნით კი 100-ზე მეტი ოთახია. ყველა პრემიერ-მინისტრი 1902 წლიდან ამ შენობის სამუშაო კაბინეტებს იყენებს და იქვე ცხოვრობს. გვერდით მდებარე *დაუნინგ სტრიტის* 11-ში ცხოვრობს ხაზინის კანცლერი (ფინანსთა მინისტრი), რომელიც პრემიერ-მინისტრის შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურაა კაბინეტში.

მთავრობის წევრები ინიშნებიან პრემიერ-მინისტრის მიერ, რომელიც ძირითადად არჩევს მათ, განსაკუთრებით „კაბინეტის მინისტრებს“, თემთა პალატის წევრებიდან და იშვიათად – ლორდთა პალატის წევრებიდან. კაბინეტის მინისტრები *საიდუმლო საბჭოს* წევრებიც არიან. თუ მინისტრი არაა არც ერთი პალატის წევრი, პრემიერ-მინისტრს უფლება აქვს, ის სამუდამო ლორდად დაანიშნოს მონარქს.

მმართველი პარტიის გავლენიანი წევრები ინაწილებენ ფუნქციებს (ღებულობენ „პორტფელს“), როგორც *სახელმწიფო მდივნები,* და პასუხს აგებენ ცალკეული სამთავრობო დეპარტამენტის მუშაობაზე. მინისტრების უმეტესობას

ბრიტანეთის მთავრობაში „სახელმწიფო *მდივნის*“ რანგი აქვს (მაგალითად, *Secretary of State for the Home Department* – შინაგან საქმეთა მინისტრი, *Secretary of State for Justice* – იუსტიციის მინისტრი, *Secretary of State for Health* – ჯანდაცვის მინისტრი და ა.შ.).

ყველა სახელმწიფო მდივანს კაბინეტში თანაბარი უფლება აქვს. თუ კაბინეტის წევრი კატეგორიულად არ ეთანხმება პრემიერ-მინისტრს, ის უნდა გადადგეს. თუმცა დასაშვებია გამონაკლისებიც, მაგალითად, ევროკავშირში დარჩენის საკითხზე 2016 წლის 23 ივნისის რეფერენდუმის წინ პრემიერ-მინისტრმა დართო ნება კაბინეტის მინისტრებს, დამოუკიდებლად ემოქმედათ და თავისი შეხედულებისამებრ ეწარმოებინათ კამპანია ევროკავშირში ბრიტანეთის დარჩენის ან იქიდან გამოსვლისათვის.

სახელმწიფო მდივანს („კაბინეტის მინისტრს“) ეხმარება ერთი-ორი „სახელმწიფო საპარლამენტო ქვემდივანი“ (*Parliamentary Under-Secratary of State*), რომელიც მასავით პოლიტიკური ფიგურაა, ანუ პარლამენტის წევრია. სახელმწიფო მდივანს, აგრეთვე, ექვემდებარება ერთი ან რამდენიმე *სახელმწიფო მინისტრი* (“უმცროსი მინისტრი“), რომელიც არ არის პარლამენტის წევრი.

მაგალითად, ბრიტანეთის საგარეო და თანამეგობრობის საქმეთა სამინისტროს (*ორეიგნ ანდ ჩომმონწეალტჰ ფფიცე*, შემოკლებით – „ფორინ ოფისი“) მართავს მინისტრი, რომლის რანგია „*სახელმწიფო მდივანი*“. მას ექვემდებარება ხუთი *სახელმწიფო მინისტრი*, რომელთაც მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონის საკითხებისათვის „გადაეცათ პორტფელი“. საქართველოს საკითხები ეხება „ევროპისა და ნატოს საკითხების მინისტრს“ (2010-2016 წლებში ეს იყო *დეკიდ ლიდინგტონი*).

მათ გარდა, იმავე *ფორინ ოფისში* არის ორი „სახელმწიფო საპარლამენტო ქვემდივანი“, ორივე პარლამენტის წევრი.

ყველა რანგის მინისტრისა და სახელმწიფო საპარლამენტო ქვემდივნის ტიტულატურას წინ ემატება მიმართვ ა „დიდად პატივცემული“ (*the Right Honourable*, შემოკლებით – *the Rt. Hon.*).

ყველა სამინისტროში ძალიან მნიშვნელოვანი ფიგურაა „მუდმივი ქვემდივანი“ (*permanent undersecratary*) – პროფესიონალი საჯარო მოხელე, რომელიც სახელწიფო მდივნის შეცვლასთან ერთად არ იცვლება. საჯარო მოხელეები ინარჩუნებენ მუშაობის დადგენილ წესს და გადაწყვეტილებათა მემკვიდრეობითობას, თუნდაც მმართველი პარტია იცვლებოდეს.

თემა 21. პოლიტიკური იდეოლოგიები და პოლიტიკური პარტიები. მმართველობის „პოლიტიკური ციკლები“.

ლიტერატურა: გაერთ. სამ. გვ. 415-424

პოლიტიკური პარტია შეიძლება განისაზღვროს, როგორც საარჩევნო პროცესის მეშვეობით მმართველობაზე კანონიერი კონტროლის მიღწევისათვის დაარსებული ორგანიზაცია.

XIX საუკუნემდე ინგლისური/ბრიტანული „პოლიტიკური პარტიები“ სინამდვილეში იყო პარლამენტის წევრთა დროებითი გაერთიანება, რომლის წევრებიც რომელიმე ლიდერის ირგვლივ ერთიანდებოდნენ. არავითარი იდეური ერთიანობა ასეთ „პარტიებს“ არ ჰქონდათ. ასეთი გაერთიანების მოტივაცია ხშირად იყო ეგოისტური და არცთუ მაღალზნეობრივი (თუმცა პოლიტიკოსების ერთი ნაწილის „მაღალ ზნეობაზე“ ახლაც ძნელია სერიოზული ლაპარაკი და ეს არ ეხება მხოლოდ ბრიტანეთს). ლიდერობის უნარის მქონე ადამიანს შეეძლო პარლამენტში თავისი მომხრეების უმრავლესობა შეექმნა და ეზრუნა მორიგი არჩევნების დროს თავისი მომხრეების გაყვანაზე დეპუტატებად. სხვა ლიდერი კი ქმნიდა საწინააღმდეგო ჯგუფს („პარტიას“).

XVII-XVIII საუკუნეებში ჩასახული ვიგებისა და ტორიების „პარტიები“ თავიდან წარმოადგენდნენ სტიუარტების დინასტიის კათოლიკური განშტოების მოწინააღმდეგეებს ან მომხრეებს პარლამენტში. ინგლისში ორპარტიული სისტემის საფუძველი სწორედ ამ დაპირისპირებამ შექმნა.

ინგლისის ზოგ ყოფილ კოლონიაში, სადაც არჩევნები მაჟორიტარული წესით ტარდება, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებში, ბრიტანეთის ანალოგიური ორპარტიული სისტემა შეიქმნა. ასეთი სისტემა უფრო დამახასიათებელია *ანგლოსაქსური ქვეყნებისათვის*, მაშინ, როცა კონტინენტური ევროპის დემოკრატიულ ქვეყნებში ძირითადად მრავალპარტიული სისტემა გაბატონდა არჩევნების პროპორციული ან შერეული წესით.

XIX საუკუნეში ბრიტანული პოლიტიკური პარტიები უფრო სტაბილურ ორგანიზაციებად იქცა, თუმცა კვლავინდებურად ფასობდა პარტიის ლიდერის პირადი ერთგულება, რადგან არჩევნებში გამარჯვებული პრემიერ-მინისტრი თავის ერთგულ ხალხს „კარგ ადგილზე“ ნიშნავდა. იმხანად კორუფცია ბრიტანეთის მმართველი წრეების სენიც იყო!

კონსერვატორები თავიანთი პარტიის დაარსების თარიღად ხშირად ასახელებენ 1834 წელს, როდესაც *სერ რობერტ პილმა* „ტორიების“ პარალელურად თავისი პარტიის სახელად პირველად გამოიყენა სიტყვა *„კონსერვატიული“* (*conservative*). რეალურად კი პარტია, როგორც ასეთი, ოფიციალურად გაფორმდა 1870 წელს და მას შერჩა ტორიების (*tories*) მეტსახელი.

1877 წელს გაფორმდა *ლიბერალების* (ყოფილი ვიგების) პარტია.

1920-იანი წლებიდან ლიბერალური პარტიის ადგილი ბრიტანეთის ორ-პარტიულ სისტემაში დაიკავა ამჟამინდელი სახით 1906 წელს გაფორმებულმა *ლეიბორისტულმა* პარტიამ.

ბრიტანეთში რეგისტრირებულია მრავალი პოლიტიკური პარტია. მაგრამ საპარლამენტო არჩევნების დროს რეალურ კონკურენციას დღესაც ვერავინ უწევს ორ მთავარ პარტიას – კონსერვატიულს და ლეიბორისტულს. საშუალო ბრიტანელი ტრადიციულად მიიჩნევს, რომ თავისი ქვეყნის ბედი უნდა ანდოს ორიდან ერთ ძლიერ პოლიტიკურ პარტიას. თუ ერთმა ძლიერმა პარტიამ იმედი არ გაუმართლა, ის მოწინააღმდეგე ძლიერ პარტიას მისცემს ხმას. როდესაც ერთი და იგივე პარტია რამდენჯერმე ზედიზედ იმარჯვებს არჩევნებზე, ეს ბრიტანელებში ერთგვარ შეშფოთებას იწვევს. მმართველი პარტიის პერიოდული შეცვლა ბრიტანული პოლიტიკური კულტურის ერთ-ერთ დამახასიათებელ მოვლენად იქცა.

XXI საუკუნის დასაწყისში მხოლოდ შოტლანდიაში აღინიშნა სხვა პარტიის – „შოტლანდიის ნაციონალური პარტიის“ – დიდი წარმატება.

პარტიების იდეოლოგიური სხვაობები მნიშვნელოვანია. ამომრჩეველთა დიდი ნაწილი თავის არჩევანს აკეთებს პარტიის ლიდერის (ე.ი. მომავალი პრემიერ-მინისტრის) მიმართ თავისი ნდობის/სიმპათიის მიხედვით. ამომრჩეველს უპირველესად აინტერესებს, თუ რა სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკას განახორციელებს პარტიის ლიდერი. ამიტომაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება წინასაარჩევნო კამპანიას და მაშინ გაცემულ დაპირებებს, რომლების შესრულებასაც გამარჯვებული პარტია მართლაც ცდილობს ხოლმე.

მაგალითად, 1994 წელს, როდესაც ლეიბორისტულმა პარტიამ თავის ლიდერად *ტონი ბლერი* აირჩია, მან ბევრი ისეთი ადამიანი მოხიბლა, ვინც ტრადიციულად კონსერვატორებს უჭერდა მხარს. ლეიბორისტული პარტიის უდიდესი გამარჯვება 1997 წელს ბლერის პირადმა ქარიზმამაც განაპირობა. თანაც ლეიბორისტებმა თავიანთი წინასაარჩევნო დაპირებები შეასრულეს და ამიტომ მომდევნო არჩევნებიც მოიგეს!

კონსერვატიული პარტია (ოფიციალური სახელია „კონსერვატიული და იუნიონისტური პარტია“) არის მემარჯვენე-ცენტრისტული პარტია, რომლის იდეოლოგიის თანახმად უნდა შენარჩუნდეს მეფის ინსტიტუტი და ბრიტანეთის კონსტიტუცია; უნდა წახალისდეს პირადი პასუხისმგებლობა და კერძო საკუთრების უფრო ფართო გავრცელება; საჭოროა დახმარება მათთვის, ვისაც ყველაზე მეტად უჭირს; უნდა უზრუნველყოფილი იქნეს წესრიგი და კანონის პატივისცემა; ასასაწევია განათლების დონე და მშობლებს უნდა ჰქონდეთ არჩევანი – მისცენ თავიანთ შვილებს ისეთი განათლება, რომელიც მათ საჭიროდ მიაჩნიათ; გასაძლიერებელია ბრიტანეთის თავდაცვისუნარიანობა, უნდა შენარჩუნდეს მისი ინტერესები საზღვარგარეთ და გაიზარდოს იქ ბრიტანული გავლენა.

ბოლო პერიოდში პარტიის რიგებში გაიზარდა ე.წ. „ევროსკეპტიკოსების“ რიცხვი, რომელთაც მიაჩნიათ, რომ ბრიტანეთი *„მეტს აძლევს დანარჩენ ევროპას, ვიდრე სარგებელს ნახულობს ევროკავშირში წევრობისაგან“*.

კონსერვატიული პარტიის ლიდერი 2005-2016 წლებში იყო *დევიდ კამერონი* (*David Cameron,* დაბ. 1966 წ.), კარგი ორატორი, მაგრამ, როგორც გაირკვა, არც თუ წინდახედული ლიდერი. კამერონმა დანიშნა 2016 წლის 23 ივნისის რეფერენდუმი ევროკავშირში გაერთიანებული სამეფოს დარჩენის შესახებ, მიიღო თავისი სურვილის საწინააღმდეგო შედეგი და იძულებული გახდა გადამდგარიყო. 2016 წლის ივლისიდან პარტიას ხელმძღვანელობს ქ-ნი თირიზა *მეი* (*Teresa May,* დაბ. 1956 წ.)

ლეიბორისტული პარტია არის დემოკრატიულ-სოციალისტური პარტია, რომელიც შედის *„სოციალისტურ ინტერნაციონალში“* და რომლის ცენტრალური იდეაა ადამიანთა ძმობა; პარტიის იდეოლოგია უარყოფს რაიმე ნიშნით დისკრიმინაციას, მხარს უჭერს ადამიანის უფლებების საერთაშორისო ნორმებს; იცავს სოციალურ სამართლიანობას; მხარს უჭერს დემოკრატიას მეურნეობის სფეროში და საზოგადოებრივი საკუთრების გაფართოებას. ლეიბორისტული პარტია მტკიცედ უჭერს მხარს ევროკავშირის შემადგენლობაში ბრიტანეთის დარჩენას.

2015 წელს პარტიის რიგითმა წევრებმა თავის ლიდერად აირჩიეს *ჯერემი კორბინი* (*Jeremy Corbyn,* დაბ.1949 წ.) – პარლამენტის წევრი 1983 წლიდან. 2016 წლის ივნის-ივლისში ლეიბორისტული პარტიის საპარლამენტო ფრაქციამ უნდობლობა გამოუცხადა კორბინს მისი შედარებით პასიური პოლიტიკის გამო *რეხიტ*თან დაკავშირებული რეფერენდუმის დროს. 2016 წელს პარტიამ ხელახლა ჩაატარა ლიდერის არჩევნები და კორბინმა ისევ გაიმარჯვა, თანაც მზარდი უპირატესობით. კორბინი სოციალისტური და რესპუბლიკური იდეების მომხრეა, ახლოსაა უბრალო ხალხთან, არ იყენებს პრივილეგიებს, რომლებიც მაღალი რანგის პოლიტიკოსებს ხშირად ხიბლავს ხოლმე; არ ფლობს ავტომობილს და ველოსიპედით ან საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილდება. კორბინი სრული პაციფისტი არაა, მაგრამ საგარეო პოლიტიკის სერიოზულ გადასინჯვას მოითხოვს. ის ემხრობა ირლანდიის გაერთიანებას ერთ სახელმწიფოდ. განსაკუთრებით ეწინააღმდეგება ბრიტანეთის ჩართულობას სამხედრო ოპერაციებში ახლო აღმოსავლეთის რეგიონში. ის ნატო-ს „როლის შეზღუდვის” მომხრეა და „შეცდომად” მიიჩნევს ყოფილი სოციალისტური ქვეყნების ნატო-ში მიღებას.

ამავე დროს, ლეიბორისტული პარტია კარგა ხანია მორგებულია ბრიტანეთის პოლიტიკურ სისტემას, სადაც მემარცხენე გადახრა ნაკლები პოპულარობით სარგებლობს. *ტონი ბლერის* პარტიული კურსი, რომელსაც „ *ენ აბოურ*“ (ახალი ლეიბორისტები) დაერქვა, ითვალისწინებდა ასეთ საზოგადოებრივ განწყობას და ლეიბორისტულმა პარტიამ იდეოლოგიურად მარცხნიდან ოდნავ ცენტრისაკენ გადაიწია. ეს მოსაწონი აღმოჩნდა ამორჩეველთა დიდი ნაწილისათვის, რასაც მოწმობდა პარტიის დიდი წარმატება 1997, 2001 და 2005 წლების არჩევნებში.

ბლერის მემკვიდრეებმა ლიდერის პოსტზე – *გორდონ ბრაუნმა* და *ედ მილიბენდმა* – არ გააგრძელეს „ახალი ლეიბორისტების“ კურსი და პარტია ზედიზედ ორ არჩევნებში, 2010 და 2015 წელს, დამარცხდა. აღსანიშნავია ისიც, რომ არც ერთი ამ ლიდერებიდან, კორბინისაგან განსხვავებით, არ აპირებდა ბრიტანეთის ტრადიციული საგარეო პოლიტიკის შეცვლას.

ბევრი ბრიტანელი ექსპერტი მიიჩნევს, რომ *ჯერემი კორბინის* ლიდერობის პირობებში ლეიბორისტული პარტიის გამარჯვება 2020 წლის საპარლამენტო არ-ჩევნებში ნაკლებმოსალოდნელია. თუმცა, ვინ იცის?

სხვა პარტიებს შორის შედარებით მეტი მხარდამჭერი ჰყავს ***ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიას*** (“*ლიბ-დემებს*“). ის შეიქმნა 1988 წელს, როდესაც ძველი ლიბერალური პარტია შეუერთდა ლეიბორისტული პარტიისაგან 1981 წელს გამოყოფილ სოციალურ-დემოკრატიულ პარტიას. ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია შედის 1947 წლიდან არსებულ „*ლიბერალურ ინტერნაციონალში*“. ის ემხრობა ევროკავშირის შემადგენლობაში ბრიტანეთის დარჩენას.

ლიბერალიზმი თავის ზოგად პრინციპებად აცხადებს ადამიანის უფ-ლებების დაცვას, თავისუფალ და სამართლიან არჩევნებს და მრავალპარტიულ დემოკრატიას, სოციალურ სამართლიანობას, ტოლერანტობას, სოციალურ საბაზრო ეკონომიკას, თავისუფალ ვაჭრობას, გარემოს მდგრადობას, საერთაშორისო სოლი-დარობის მტკიცე გრძნობას.

რეალურად, ლიბერალური პრინციპების უმეტესობას ბრიტანეთის ორი წამყვანი პარტიაც იზიარებს. ამიტომაც ამ ცენტრისტულ პარტიას უჭირს თავისი „განსაკუთრებულობის“ წარმოჩენა.

ლიბერალურ პარტიას აქვს სახელოვანი ისტორია, როდესაც მისი ხელმ-ძღვანელები იყვნენ *გლადსტონი, ასქუიტი, ლოიდ-ჯორჯი.* მათ დროს პარტიამ გაატარა ლიბერალური რეფორმები, რამაც საფუძველი ჩაუყარა ბრიტანეთში *საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს* ჩამოყალიბებას.

მაგრამ წარსული ვერ ეხმარება თანამედროვე პარტიას. „ლიბ-დემებმა“ ვერ მოახერხეს პარლამენტში 62-ზე მეტი დეპუტატის გაყვანა (ამ მაქსიმუმს 2005 წელს მიაღწიეს), რაც ბრიტანეთში გამოყენებული მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის ბრალიცაა.

ლიბერალ-დემოკრატიულ პარტიას 2015 წელს სათავეში ჩაუდგა *ტიმ ფერონი* (*Tim Farron,* დაბ. 1970 წ.).

XX საუკუნის პირველ ათწლეულებში ბრიტანეთის მოსახლეობის საგრძ-ნობი ნაწილი ემხრობოდა 1991 წელს დაარსებული ***გაერთიანებული სამეფოს და-მოუკიდებლობის პარტიას*** (*United Kingdom Independence Party, UKIP, გსდპ*), რომელიც ევროკავშირიდან დიდი ბრიტანეთის უპირობო გამოსვლის მომხრეა. მიაჩნიათ, რომ ამ პარტიის ევროსკეპტიციზმმა გარკვეულწილად განაპირობა 2016 წლის რეფერენ-დუმის შედეგები ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლის შესახებ.

საკმაოდ პოპულარულია ***მწვანეების*** საერთო-ბრიტანული პარტია.

არჩევნების დროს ხმების უმნიშვნელო რაოდენობას ღებულობენ ***კომუ-ნისტური*** და სხვა მარგინალური პარტიები.

შოტლანდიაში და ჩრდილოეთ ირლანდიაში ადგილობრივი ლეიბორისტუ-ლი და კონსერვატიული პარტიებია, რომლებიც თავიანთ კონფერენციებს ცალკე მართავენ, მაგრამ რეალურად ისინი საერთო-ბრიტანული პარტიების რეგიონულ განყოფილებებს წარმოადგენენ. მათი პროგრამები ინგლისის ანალოგიური პარტიების იდენტურია. ჩრდილოეთ ირლანდიაში, შოტლანდიაში, უელსში არსებობს ადგილობრივი პარტიებიც.

გაერთიანებულ სამეფოში ჩრდილოეთ ირლანდიის დარჩენის მომხრე პარტიებია ***დემოკრატიული იუნიონისტები და ოლსტერის იუნიონისტები,*** რომლებიც 1970-იან წლებამდე ერთ პარტიას ქმნიდნენ. მათი მეტოქეა ირლანდიის რესპუბლიკასთან გაერთიანების მომხრე ნაციონალისტური პარტია ***შინ ფეინი*** (*Sinn Fein,* ირლანდიურად *„ჩვენ თვითონ“*), რომლის ხაზით არჩეული დეპუტატები პრინციპულად არ ჩამოდიან უესტმინსტერის პარლამენტში, რათა „არ ანვენონ თა-ვიანთი ლოიალობა ლონდონისადმი“.

შოტლანდიის ნაციონალური პარტია (*შკოტტისჰ ატიონალ არტყ*) დაარსდა 1934 წელს. ის შოტლანდიის დამოუკიდებლობისათვის იბრძვის. 2010-იან წლებში მისი გავლენა შოტლანდიაში გაიზარდა. მართალია, შოტლანდიის დამო-უკიდებლობის შესახებ პარტიის მიერ ინიცირებულ რეფერენდუმში, 2014 წლის სექ-ტემბერში, მოსახლეობის უმეტესობამ (54 პროცენტმა) არ დაუჭირა მხარი შოტლანდიის გამოყოფას გაერთიანებული სამეფოდან, მაგრამ 2015 წლის ბრიტანეთის პარლამენტის არჩევნებში შოტლანდიის მასშტაბით პარტიამ ძალიან შთამბეჭდავი გამარჯვება მოიპოვა. პარტიის ლიდერია ქ-ნი *ნიკოლა სტარჯენი* (*Nicola Sturgeon*, დაბ.1970 წ.)

უელსური პარტია (*Plaid Cymru,* გამოითქმის *„პლაიდ კამრი“*) დაარსებულია 1925 წელს. ის იცავს უელსის ეროვნულ ინტერესებს და ისიც ესწრაფვის დამოუკიდებლობას „ევროპული კავშირის შიგნით“.

აღსანიშნავია, რომ სეპარატისტული პარტიები ბრძოლის მხოლოდ მშვიდობიან, საპარლამენტო ხერხებს იყენებენ. თუ რომელიმე ამ პარტიებიდან შოტლანდიის, უელსის ან ჩრდილო ირლანდიის მოსახლეობის უმრავლესობას მიიმხრობს, მას შეუძლია დააყენოს საკითხი ამ პროვინციების პოლიტიკური სტატუსის შეცვლის შესახებ და ბრიტანული პოლიტიკური კულტურა არ დაუშვებს მათი აზრის უგულებელყოფას.

საერთო ჯამში, ბრიტანეთის მოქალაქეს პოლიტიკური არჩევანის სრული სპექტრი აქვს, მაგრამ უმრავლესობა მაინც ორი ძირითადი პარტიიდან ერთ-ერთს ანიჭებს ხოლმე უპირატესობას.

***

ფორმალური **პოლიტიკური ციკლი** – პერიოდი საპარლამენტო არჩევნებს შორის – ბრიტანეთში ხუთწლიანია (შედარებისათვის, ამერიკაში – ოთხწლიანი). ამ ციკლს ეყრდნობა მთავრობის პოლიტიკა, რომლის ძირითად პოსტულატებს ამომრჩეველი გებულობს ტელევიზიიდან და პრესიდან. გაზეთებისა და ტელევიზიის ინფორმაცია ხშირად ზედაპირულია (ზოგჯერ – ტენდენციური კომენტარები თ) და მხოლოდ მასზე დაყრდნობით ამომრჩევლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება დაშორებული იყოს ქვეყნის რეალურ საჭიროებას. თუმცა, ფაქტია, რომ ბრიტანელ ამომრჩეველს აქვს თავისუფალი არჩევანის საშუალება.

დემოკრატიულ სახელმწიფოში ხალხს აქვს იმის უფლება, რომ შეცვალოს მთავრობა. სხვა საკითხია, მოვლენ თუ არა ახალ მთავრობაში ის ადამიანები, ვინც ხალხის იმედს გაამართლებს?

ჩვეულებრივ, ხალხი თითქმის ყოველთვის იმედგაცრუებულად მიიჩნევს თავს და იძულებულია, გამოიყენოს თავისი კონსტიტუციური უფლება – თავიდან მოიშორის ის მთავრობა, რომელსაც ცოტა ხნის წინ დიდი ენთუზიაზმით უჭერდა მხარს. ეს არის დემოკრატია!

1952 წლიდან, დედოფალ *ელიზაბეთ* II-ის ტახტზე ასვლიდან, 2016 წლამდე ბრიტანეთში შეიცვალა 13 პრემიერ-მინისტრი (*ჰაროლდ უილსონი* ორჯერ იყო ამ პოსტზე), მათ შორის, 1979 წლამდე, ანუ პირველი 27 წლის განმავლობაში, ქვეყანას რვა პრემიერ-მინისტრი მართავდა. იმ დროს მთავრობების ცვლილება საკ-მაოდ ხშირი მოვლენა იყო.

1979 წლიდან კი ბრიტანეთის პოლიტიკური ლანდშაფტის რადიკალური ცვლილების ციკლი გახანგრძლივდა და 13-18 წელიწადი გახდა. 1979-2015 წლებში ჩატარებული არჩევნების შედეგები ნათლად მეტყვ ელებს ამაზე (იხ. ცხრილი 5.1). ბოლო 37 წლის განმავლობაში ბრიტანეთში სულ ექვსი პრემიერ-მინისტრი გამოიცვალა: კონსერვატორები – *მარგარეთ თეთ ჩერი, ჯონ მეიჯორი, დევიდ კამერონი* და თირიზა *მეი;* ლეიბორისტები – *ტონი ბლერი* და *გორდონ ბრაუნი.*

1979-1992 წლებში კონსერვატორებმა ოთხჯერ ზედიზედ მოიგეს არჩევნები (მათ შორის სამი პირველი – *მარგარეთ თეთჩერის* ხელმძღვანელობით).

1997-2005 წლებში ლეიბორისტებმა ზედიზედ სამჯერ გაიმარჯვეს, თანაც კონსერვატორებზე ძალიან დიდი უპირატესობით. სამჯერვე მათ *ტონი ბლერი* ხელმძღვანელობდა.

2010 და 2015 წლების არჩევნებში კონსერვატორების გამარჯვება ისე დამაჯერებელი არ ყოფილა, როგორც 1979-1992 წლებში. განსაკუთრებით ეს ითქმის 2010 წლის არჩევნებზე, რომლის შემდეგაც მათ შეძლეს კოალიციური მთავრობის შექმნა მხოლოდ ლიბერალ-დემოკრატებთან კავშირში.

თემთა პალატაში ძირითადი პარტიებიდან არჩეული წევრების რაოდენობა (1979-2015)

არჩევნების წელი	კონსერვა-ტორები	ლეიბო-რისტები	ლიბერალ - დემოკრატები
1979	339	269	11
1983	397	209	23
1987	376	229	22
1992	336	271	20
1997	165	418	46
2001	166	412	52
2005	198	358	62
2010	306	258	57
2015	331	232	8

აქვე უნდა ითქვას, რომ პარტიის ლიდერის ნამდვილი გამომცდელი არის ***დრო***. თანამედროვეებს უჭირთ ხოლმე პოლიტიკოსის რეალური შეფასება. ისტორიულ რეტროსპექტივაში ეს უფრო ადვილია. მაგალითად, ლეიბორისტი პრემიერ-მინისტრის *კლიმენტ ეტლის* (1945-1951) მემკვიდრეობა – საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს, ჯანდაცვის ეროვნული სამსახურის შექმნა – დაფასდა მხოლოდ მაშინ, როდესაც კონსერვატორმა პრემიერ-მინისტრმა *ჰაროლდ მაკმილანმა* 1950-იან წლებში აღიარა წინამორბედის დამსახურება. კონსერვატორი პრემიერ-მინისტრის *მარგარეთ თეთჩერის* (1979-1990) მემკვიდრეობა – პრივატიზაცია და პროფკავშირების რეფორმა – დაფასდა ლეიბორისტი პრემიერ-მინისტრების *ტონი ბლერისა* და *გორდონ ბრაუნის* მმართველობის პერიოდში, როდესაც მათ, ფაქტობრივად, აღიარეს წინამორბედის დროს მიღებული კანონების ღირსება. ანალოგიურად დაფასდება (დადებითად ან უარყოფითად) ყველა მომდევნო ლიდერის მემკვიდრეობა.

თემა 22. ელექტორალური გეოგრაფია: 2015 წლის თემთა პალატის არჩევნების მაგალითი.

ლიტერატურა: გაერთ. სამ. გვ. 424-435

ამ თემაში მოცემულია არჩევნების შედეგების ანალიზის მაგალითი.

2015 წლის 7 მაისს დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში ჩატარდა საყოველთაო არჩევნები, როდესაც მოსახლეობას უნდა აერჩია პარლამენტის 650 წევრი და რამდენიმე ათასი წევრი ადგილობრივ საბჭოებში. ძირითადი ყურადღება, ბუნებრივია, მიპყრობილი იყო საპარლამენტო არჩევნებისკენ.

საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა მიიღო წინასწარ რეგისტრირებულმა 30,5 მილიონმა ადამიანმა, რაც პოტენციური ელექტორატის 67,1 პროცენტს შეადგენს. ეს მეტია, ვიდრე XXI საუკუნეში ჩატარებული სხვა არჩევნების (2001, 2005, 2010 წწ.) დროს, თუმცა ნაკლებია XX საუკუნის მეორე ნახევარში ჩატარებულ ყველა არჩევნებთან შედარებით, როდესაც მონაწილეობის მაჩვენებელი ელექტორატის 72-83 პროცენტს შორის მერყეობდა.

ყველა კვლევითი ცენტრი წინასწარმეტყველებდა პარლამენტის „დაკიდულ“ მდგომარეობას (*hung parliament*), ანუ, მათი პროგნოზით, ვერც ერთი პარტია ვერ მოიპოვებდა აბსოლუტურ უმრავლესობას და საჭირო გახდებოდა ორი ან რამდენიმე პარტიის მიერ კოალიციური მთავრობის შექმნა.

როგორც გაირკვა, კვლევითი ცენტრები ცდებოდნენ.

არჩევნების მომდევნო დღეს, 8 მაისს, ცნობილი გახდა მისი საბოლოო შედეგები (იხ. ცხრილი და ნახაზი).

არჩევნებმა, ფაქტობრივად, ორი გამარჯვებული გამოავლინა – ***კონსერვატიული პარტია,*** რომელმაც მოიგო ადგილების უმეტესობა ინგლისსა და უელსში და ***შოტლანდიის ნაციონალური პარტია*** (*შნპ*), რომელმაც აბსოლუტური გამარჯვება მოიპოვა შოტლანდიაში.

ბუნებრივია, ამ ორი პარტიის წონა პარლამენტში თანაბარი ვერ იქნება: *შნპ*-ს ოპოზიციას კონსერვატორები ადვილად დასძლევენ, მაგრამ მისთვის ანგარიშის გაწევა მოუწევთ.

კონსერვატიულმა პარტიამ 1992 წლის შემდეგ პირველად მოიპოვა ერთპიროვნული გამარჯვება. 2010 წლის *„დაკიდულ პარლამენტში“* კონსერვატორებს აბსოლუტური უმრავლესობა არ ჰქონდათ და მათი მთავრობა ხუთი წლის განმავლობაში შენარჩუნდა მხოლოდ ლიბერალ-დემოკრატებთან კოალიციაში ყოფნით.

წესისამებრ, პარტიის ლიდერი ***დევიდ კამერონი*** ეახლა დედოფალს, რომელმაც მას დაავალა ახალი მთავრობის შექმნა. წამყვან თანამდებობებზე იგივე პირები დაინიშნენ, ვინც იქამდეც იყვნენ მთავრობაში, ლიბერალ-დემოკრატების ყოფილი მინისტრების გარეშე. თავიანთ ადგილებზე დარჩნენ საკვანძო სფეროების

ხელმძღვანელები. მიუხედავად არჩევნებში გამარჯვებისა, კამერონმა განაცხადა, რომ 2020 წლამდე გადადგებოდა და გზას დაუთმობდა პარტიის ახალ ხელმძღვანელობას. რეალურად, ამის გაკეთება მას 2016 წელს მოუწია.

ბრიტანეთის საპარლამენტო არჩევნების (2015 წლის 7 მაისი) სტატისტიკური შედეგები

პარტია	დეპუ-ტატი 2015 წელს	დეპუტატი (+/-) 2010 წელთან შედარებით	2015 წელს მიღებული ხმები (მლნ)	2015 წელს მიღებული ხმები (%)	მიღებული ხმები (+/- პროცენტ-ული პუნქტი) 2010 წელ. შედარებით
კონსერვატორები	331	+24	11,335	36,9	+ 0,8
ლეიბორისტები	232	-26	9,347	30,4	+ 1,5
ლიბერალ-დემოკრატები	8	-48	2,416	7,9	-15,2
შნპ	56	+50	1,454	4,7	+ 3,1
დემოკრატიული იუნიონისტები	8	0	0,184	0,6	0,0
შინ ფეინი	4	-1	0,176	0,6	0,0
სოციალ-დემოკრატები	3	0	0,100	0,3	0,0
ოლსტერის იუნიონისტები	2	+2	0,115	0,4	0,0
პლაიდ კამრი	3	0	0,182	0,6	0,0
გსდპ	1	+1	3,881	12,6	+9,6
მწვანეები	1	0	1,255	3,8	+2,8
დამოუკიდებელი	1	0	0, 350	1,2	-0,3

კონსერვატორების წარმატება სრული იყო აღმოსავლეთ ინგლისში – 52 ადგილი 56 შესაძლებლიდან. მათვე გაიმარჯვეს სამხრეთ და სამხრეთ- დასავლეთ ინგლისში, ანუ ყველაზე ხალხმრავალ რეგიონებში.

ამასთან ერთად, პარტიის უპირატესობა თემთა პალატაში მინიმალურია. უმრავლესობას იძლევა 326 მანდატი (იმის გათვალისწინებით, რომ „*შინ ფეინის*“ ოთხი დეპუტატი არ ცხადდება უესტმინსტერში, სტატისტიკური უმრავლესობა 323-ია). კონსერვატორებს თემთა პალატაში 331 ადგილი აქვთ. მაგრამ იმის გათვალის-

წინებით, რომ ზოგიერთი დეპუტატი არ ემორჩილება პარტიულ დისციპლინას და შეუძლია მთავრობის წინააღმდეგ მისცეს ხმა, ეს არ არის მდგრადი უპირატესობა.

ეს ძალიან მალე დამტკიცდა კიდეც. 2015 წლის 3 დეკემბერს, თემთა პალატაში კენჭისყრისას იმ საკითხზე, რომელიც ეხებოდა სირიაში ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ „სამეფო საჰაერო ძალების“ დარტყმების განხორციელებას, 30-ზე მეტმა კონსერვატორმა არ დაუჭირა მხარი მთავრობის კანონპროექტს. კანონპროექტი გავიდა მხოლოდ ოპოზიციური პარტიების ნაწილის, მათ შორის, ლეიბორისტული პარტიის 66 დეპუტატის, მხარდაჭერის წყალობით.

არჩევნებში სერიოზული მარცხი განიცადა ***ლეიბორისტულმა პარტიამ.*** იმავე საარჩევნო სისტემამ, რომელმაც *შნპ*-ს მოუტანა წარმატება, საერთო ჯამში აზარალა ლეიბორისტები. 2015 წელს მათ 1,4 პროცენტული პუნქტით მეტი ხმა მიიღეს, ვიდრე 2010 წელს, როდესაც 258 დეპუტატი გაიყვანეს პარლამენტში. 2015 წელს კი, ხმების გაზრდილი რაოდენობის მიუხედავად, მათ 26 დეპუტატით ნაკლები ჰყავთ.

ლეიბორისტებმა ტრადიციულად გაიმარჯვეს ჩრდილოეთ ინგლისის ინდუსტრიულ რაიონებში, სადაც მუშათა კლასი მათ ყოველთვის უჭერს მხარს, და დედაქალაქში.

73 საპარლამენტო ადგილის მქონე დიდი ლონდონის ისეთ *ბოროებში*, სადაც მშრომელი მოსახლეობა და ეთნიკური უმცირესობები მეტად ემხრობიან ლეობორისტებს, მათ 45 ადგილი მოიპოვეს, ანუ 7 დეპუტატით მეტი ეყოლებათ, ვიდრე 2010 წელს. ეს ადგილები ლეიბორისტებმა ძირითადად წაართვეს ლიბერალ-დემოკრატებს, რომელთაც დედაქალაქში სულ ერთი დეპუტატი გაიყვანეს, მაშინ როცა 2010 წელს 7 დეპუტატი ჰყავდათ.

ლონდონის უფრო მდიდარ *ბოროებში*, საკუთარ სახლებში მცხოვრებმა მოსახლეობამ კონსერვატორებს დაუჭირა მხარი, რომელთაც დედაქალაქის 73 დეპუტატის ადგილიდან 27 მოიპოვეს.

ლეიბორისტული პარტიის საარჩევნო კამპანია წინააღმდეგობრივი აღმოჩნდა. ბოლო წლებში დიდი ბრიტანეთის საკმაოდ კარგი ეკონომიკური მაჩვენებლების, ნულოვანი ინფლაციის, უმუშევრობის შემცირების, *მშპ*-ის სწრაფი ზრდის ფონზე, ლეიბორისტები ჰპირდებოდნენ ამომრჩეველს მდიდარი მოსახლეობის დამატებით დაბეგვრას, დროებითი დასაქმების სისტემის მუდმივი დასაქმებით შეცვლას, საზოგადოებრივ ჯანდაცვაზე ხარჯების გაზრდას, მაგრამ ვერ ასაბუთებდნენ, რითი გაზრდიდნენ სოციალურ ხარჯებს.

პარტიის ლიდერის, *ედ მილიბენდის* (*დ ილიბანდ*), „თეორია“ იყო ის, რომ გლობალიზებული ეკონომიკის 2008 წლის კატასტროფულმა კრიზისმა წარმოქმნა დიდი უთანასწორობა საზოგადოებაში და გამოიკვეთა „ხალხის რისხვა“. ამიტომ 2015 წლის საპარლამენტო არჩევნებს „დიდი ცვლილებები“ უნდა მოეტანა ბრიტანეთში, ისე, როგორც მოხდა 1945, 1979 და 1997 წლებში. თავის წინასაარჩევ-

ნო გამოსვლებში მილიბენდი თავს ესხმოდა „პრივილეგირებულ კლასებს“, ამათრახებდა „უსამართლობას ქვეყანაში“.



ბრიტანეთის საპარლამენტო არჩევნების შედეგები (2015 წლის 7 მაისი)

ამ თეზისებს ამომრჩეველთა მემარცხენე ნაწილი იწონებდა. მაგრამ არჩევნებმა აჩვენა, რომ მემარცხენეები ბრიტანეთის ელექტორატის უმრავლესობას არ შეადგენდნენ.

არჩევნების დროს დაპირისპირების ერთ-ერთი ასპექტი ნაციონალიზმიც იყო. შოტლანდიაში, სადაც ლეიბორისტულმა პარტიამ დაკარგა ერთის გარდა ყველა სადეპუტატო ადგილი, მას დაუპირისპირდა არა „პრივილეგირებული კლასები“, არამედ ნაციონალისტური ტალღა, რომელმაც წალეკა ლეიბორისტების ძველი ბასტიონები.

„შოტლანდიის პრობლემა“ უხილავად დასტრიალებდა თავს საარჩევნო კამპანიას. *ედ მილიბენდი* კატეგორიულად აცხადებდა, რომ ლეიბორისტები არ შევიდოდნენ კოალიციურ კავშირში შოტლანდიელ ნაციონალისტებთან, რასაც *შნპ* მათ არჩევნების წინ საჯაროდ სთავაზობდა. მაგრამ ამ შეთავაზებამ გაუფუჭა საქმე ლეიბორისტებს, რადგან მედია ისე დიდხანს მსჯელობდა ლეიბორისტებსა და შოტლანდიელ ნაციონალისტებს შორის თეორიულად შესაძლო ალიანსზე, რომ ზოგიერთ მერყევ ინგლისელ ამომრჩეველს გადააწყვეტინა, „არაპატრიოტი“ ლეიბორისტების ნაცვლად, რომლებიც „სეპარატისტებს შეიძლება გაურიგდნენო“, აერჩია „პატრიოტი“ კონსერვატორები. ესეც იყო ერთ-ერთი მიზეზი, რის შედეგადაც ე.წ. „მარგინალურ“ საარჩევნო ოლქებში, სადაც წინასწარი გამოკითხვების თანახმად გამოკვეთილი უპირატესობა არც ერთ პარტიას არ ჰქონდა, ლეიბორისტები მცირე განსხვავებით დამარცხდნენ კონსერვატორებთან.

ამავე დროს, სწორი არ იყო არჩევნებში პარტიის დამარცხების ახსნა მხოლოდ „შოტლანდიური ნაციონალიზმის აღმავლობით“, რასაც არჩევნების მომდევნო დღეს ცდილობდა მილიბენდი. ლეიბორისტებს რომც მოეგოთ ის 41 დეპუტატის ადგილი, რაც 2010 წლიდან ჰქონდათ შოტლანდიაში, ეს მაინც ვერ მისცემდა მათ უპირატესობას, რადგან მათ ინგლისშიც სერიოზულად წააგეს.

ედ მილიბენდმა აღიარა დამარცხება და არჩევნების მომდევნო დღესვე გადადგა პოსტიდან. ეს ბრიტანული ტრადიციაა – დამარცხებული პარტიის ლიდერი დიდ პოლიტიკურ სარბიელს ტოვებს ხოლმე. მილიბენდი პარლამენტის რიგით წევრად რჩება.

ყველაზე დიდი ელექტორალური ცვლილება (მედია იყენებდა მეტაფორებს – *მეწყერი, ზვავი, ტექტონიკური ძვრა*) აღინიშნა შოტლანდიაში, სადაც ***შოტლანდიის ნაციონალურმა პარტიამ*** მოიგო 56 ადგილი 59-დან. შოტლანდიაში მხოლოდ თითო-თითო ადგილი შენარჩუნეს ლეიბორისტებმა, კონსერვატორებმა და ლიბერალ-დემოკრატებმა. ყველაზე მძიმე იყო მარცხი ლეიბორისტებისათვის, რომლებმაც 2010 წელს შოტლანდიის 41 ოლქში გაიმარჯვეს, 2015 წელს – მხოლოდ 1-ში.

შოტლანდიაში აღინიშნა არჩევნებში მონაწილეობის უმაღლესი მაჩვენებელი „შიდა ქვეყნებს შორის – 71,1 პროცენტი ოთხი მილიონი ამომრჩევლიდან.

შნპ-ის წარმატება განაპირობა არჩევნების მაჟორიტარულმა სისტემამ. *შნპ*-ის კანდიდატებს ჯამში ხმა მისცა შოტლანდიაში არჩევნების მონაწილეთა

ნახევარზე ცოტა მეტმა (1,454 მლნ), რითაც პარტიამ ქვეყნის თითქმის ყველა საარჩევნო ოლქში მოიგო. ამომრჩეველთა თითქმის ნახევრის ხმები (ლეიბორისტებს 707 ათასი მხარდამჭერი ჰყავდა, კონსერვატორებს – 434 ათასი, ლიბერალ-დემოკრატებს – 220 ათასი), პრაქტიკულად, დაიკარგა.

თუ წმინდა არითმეტიკულად მივუდგებით, 2014 წლის 17 სექტემბრის რეფერენდუმიდან 2015 წლის 7 მაისის არჩევნებამდე *შნპ*-მ მხოლოდ 4 პროცენტული პუნქტით გაზარდა მხარდამჭერთა რაოდენობა. მაგრამ, შესაძლოა, ეს არ იყოს შეზღუდვა შოტლანდიის დამოუკიდებლობის მომხრეებისათვის, თუკი ლონდონი საბოლოოდ გააფორმებს „*Brexit*“-ს (იხ. თემა 27).

არჩევნების შედეგების გამოცხადებისთანავე *შნპ*-ს ლიდერს, ქ-ნ *ნიკოლა სტარჯენს ბი-ბი-სი*-მ დაუსვა შეკითხვა, „*არის თუ არა ეს შედეგი* [ინგლისისა და შოტლანდიის] *კავშირის დასასრული?*“, რაზეც სტარჯენმა მტკიცედ უპასუხა „არა“. მისმა პასუხმა ბრიტანული მედიის დიდი სკეპტიციზმი გამოიწვია: „*იქნებ მისი პასუხი უნდა გავიგოთ, როგორც „ჯერ არა?*“

სრული ფიასკო განიცადეს ***ლიბერალ-დემოკრატებმა***, რომელთა წარმომადგენლობა პარლამენტში შემცირდა 57-დან 8-მდე. სოციოლოგიური კვლევები მათ უწინასწარმეტყველებდა დეპუტატთა რიცხვის განახევრებას 30-32-მდე, მაგრამ არა ასეთ დამამცირებელ დამარცხებას.

ლიბერალ-დემოკრატთა ლიდერმა ნიკ კლეგმა (*იცკ ჩლაგგ*) დაუყოვნებლივ დატოვა თანამდებობა.

ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის დამარცხების თვალნათელი მიზეზი ისაა, რომ ლიბერალური მსოფლმხედველობის ამომრჩევლებმა ზურგი აქციეს პარტიას იმის გამო, რომ 2010 წელს მისი ხელმძღვანელობა შევიდა სამთავრობო კოალიციაში კონსერვატიული მსოფლმხედველობის მქონე პარტიასთან და ხშირად იყო იძულებული, წასულიყო საკუთარი იდეალების წინააღმდეგ. 2015 წელს ლიბერალური ელექტორატის ნაწილმა ამჯობინა, ან ლეიბორისტებისთვის მიეცა ხმა, ან საერთოდ არ წასულიყო არჩევნებზე. მიუხედავად ამისა, 2,5 მილიონმა ამომრჩეველმა (15 პროცენტით ნაკლებმა, ვიდრე 2010 წელს) მაინც ხმა მისცა ლიბერალ-დემოკრატიულ პარტიას, რაც მას ეყო მხოლოდ 8 სადეპუტატო ადგილისათვის.

რასაკვირველია, ლიბერალიზმის იდეები ბრიტანეთში არ მოკვდება. უფრო მეტიც, ლიბერალიზმის იდეები „ისესხეს“ როგორც ლეიბორისტებმა, ისე კონსერვატორებმა. მაგრამ ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის დაბრუნება დიდ პოლიტიკაში უახლოეს ათწლეულში ნაკლებმოსალოდნელია.

ბრიტანელებმა საკმაო მხარდაჭერა გამოხატეს ***გაერთიანებული სამეფოს დამოუკიდებლობის პარტიის*** (*გსდპ*) მიმართ, რომლის მთავარი იდეა იყო ევროკავშირიდან ბრიტანეთის გამოყვანა და იმიგრაციის შეზღუდვა. *გსდპ*-ის „ევროპოფო-

ბია“ უფრო მკვეთრად იყო გამოხატული, ვიდრე კონსერვატიული პარტიის ნაწილის „ევროსკეპტიციზმი“.

ამომრჩეველთა ხმების 12,5 პროცენტის აღების მიუხედავად, *გსდპ*-მ მხოლოდ ერთი წევრი გაიყვანა პარლამენტში.

რაც შეეხება არჩევნების შედეგებს გაერთიანებული სამეფოს ორ „შიდა ქვეყანაში“ – *უელსსა და ჩრდილოეთ ირლანდიაში*, იქ ტრადიციულად საქმე გვაქვს განსხვავებულ ელექტორალურ ქცევასთან.

უელსი თითქმის იმეორებს ინგლისურ მოდელს, ანუ მისი საარჩევნო შედეგები წააგავს ჩრდილოეთ ინგლისის რომელიმე რეგიონისას, სადაც ლეიბორისტების მომხრეები ჭარბობენ. 2015 წლის პარლამენტში უელსის 40 დეპუტატიდან 25 ლეიბორისტია. 11 ადგილი მოიპოვა კონსერვატიულმა პარტიამ, რაც უელსში მის დიდ წარმატებად მიიჩნიეს: 2010 წელს უელსში 7 კონსერვატორი აირჩიეს, 2015 წელს კი მათ დამატებით 2-2 ადგილი წაართვეს ლეიბორისტებსა და ლიბერალ-დემოკრატებს. ამ უკანასკნელებს უელსში მხოლოდ ერთი დეპუტატის ადგილი ერგოთ.

საერთო-ბრიტანული პარტიების გარდა, უელსში წარმოდგენილია ადგილობრივი ნაციონალისტური პარტია „*პლაიდ კამრი*“, რომელიც ყოველთვის იმარჯვებს ხოლმე დასავლეთ უელსის მეჩხრად დასახლებულ სასოფლო საარჩევნო ოლქებში, სადაც უელსურად ლაპარაკობენ. მან მოიგო თავისი ტრადიციული მომხრეების სამი ოლქი (40-დან), ანუ იმდენივე, როგორც წინა რამდენიმე არჩევნების დროს.

ჩრდილოეთ ირლანდიაში კი, ჩვეულებრივ, ხმების სულ სხვანაირი განაწილებაა. იქ არჩევნებში საერთოდ არ მონაწილეობენ ლიბერალ-დემოკრატები; ადგილობრივი ლეიბორისტები სოციალ-დემოკრატებთან არიან გაერთიანებული; ადგილობრივ კონსერვატორთა კანდიდატები ღებულობენ ძალიან მცირე რაოდენობის ხმებს, სულ 1-2 პროცენტის ფარგლებში.

ჩრდილოეთ ირლანდიის 19 საარჩევნო ოლქის უმეტესობაში გაიმარჯვეს გაერთიანებულ სამეფოში ამ მხარის დარჩენის მომხრეებმა – 8 ადგილი მიიღო *დემოკრატიულმა იუნიონისტურმა პარტიამ* და ორი ადგილი – *ოლსტერის იუნიონისტურმა პარტიამ* (ადრე ეს ორი პარტია ერთიანი იყო). სამ ოლქში მოიგო *სოციალ-დემოკრატიულმა და ლეიბორისტულმა პარტიამ*, რომელიც ასევე ემხრობა ბრიტანეთთან კავშირის შენარჩუნებას. მხოლოდ ოთხი ადგილი (ერთით ნაკლები, ვიდრე 2010 წლის არჩევნებისას) მიიღო ირლანდიურმა ნაციონალისტურმა პარტია „*შინ ფეინმა*“, რომელიც ორი ირლანდიის გაერთიანების მომხრეა. ერთი ადგილი მიიღო ცენტრისტულმა *ჩრდილოეთ ირლანდიის ალიანსის პარტიამ.* ერთადერთი დამოუკიდებელი კანდიდატი ასევე ჩრდილოეთ ირლანდიაში აირჩიეს.

ნათელია, რომ არჩევნების შედეგებზე დიდი გავლენა აქვს ბრიტანულ საარჩევნო სისტემას, რომელიც მხოლოდ მაჟორიტარულია. ეს სისტემა განსაკუთ-

რებით უსამართლოდ მიაჩნიათ *ლიბერალ-დემოკრატებს, მწვანეებს, გსდპ*-ს. 2015 წლის არჩევნების დროს ამ სამ პარტიას ჯამში თითქმის შვიდმა მილიონმა ამომრჩეველმა დაუჭირა მხარი, რაც ხმების 20 პროცენტზე მეტია, მაგრამ სამივე პარტიამ ერთად სულ ათი სადეპუტატო მანდატის მოპოვება შეძლო.

როგორც აღინიშნა, 2011 წელს ქვეყანაში ჩატარდა რეფერენდუმი საარჩევნო სისტემის შეცვლის შესახებ, მაგრამ ბრიტანელებმა ცვლილება არ მოისურვეს.

პარლამენტის თემთა პალატაში 2015 წლის არჩევნების პროპორციული სისტემით ჩატარების შემთხვევაში პარტიების მიერ მოპოვებული ადგილები სულ სხვანაირად განაწილდებოდა (იხ. ცხრილი).

ცხრილი

თეორიულად შესაძლებელი სადეპუტატო ადგილების რაოდენობა, რომლებიც პოლიტიკურ პარტიებს შეეძლოთ მიეღოთ 2015 წლის არჩევნების პროპორციული სისტემით ჩატარების შემთხვევაში

პარტია	მიღებული ხმების პროცენტი	თეორიულად შესაძლებელი სადეპუტატო ადგილი	რეალურად მოპოვებული სადეპუტატო ადგილი
კონსერვატორები	36,9	244	331
ლეიბორისტები	30,4	201	232
გსდპ	12,6	83	1
ლიბერალ-დემოკრატები	7,9	52	8
შნპ	4,7	31	56
მწვანეები	3,8	25	1
დემოკრატიული იუნიონისტები	0,6	3	8
პლაიდ კამრი	0,6	3	3
შინ ფეინი	0,6	3	4
ოლსტერის იუნიონისტები	0,4	2	2
სოციალ-დემოკრატები	0,3	2	3
დამოუკიდებელი	1,2	1	1

ბუნებრივია, ცხრილში მოტანილია ჰიპოთეტური ვარიანტი, აგებული ყველა მოპოვებული ხმის პროპორციულ განაწილებაზე, რომელიც ვერ გაითვალისწინებდა ვერც შესაძლო საარჩევნო ბარიერს და ვერც „შიდა ქვეყნებში“ არჩევნების ცალ-ცალკე ჩატარებას.

თემა 23. გაერთიანებული სამეფოს დევოლუციის გეოგრაფია. ირლანდიური, შოტლანდიური, უელსური ნაციონალიზმის თავისებურებები.

ლიტერატურა: გაერთ. სამ. გვ. 436- 442

გაერთიანებულ სამეფოში „***დევოლუცია***“ ნიშნავს ძალაუფლების გარკვეული ნაწილის გადაცემას უესტმინსტერის პარლამენტიდან *შოტლანდიის პარლამენტისათვის, უელსის ეროვნული ასამბლეისათვის, ჩრდილოეთ ირლანდიის ასამბლეისა* და *ლონდონის საბჭოსათვის* და შესაბამისი აღმასრულებელი ორგანოებისათვის.

როგორც წინა თავებში აღინიშნა, გაერთიანებული სამეფო შეიქმნა ინგლისის დაპყრობითი პოლიტიკის შედეგად, როდესაც მან უელსისა და ირლანდიის დაპყრობისა და შოტლანდიისათვის თავსმოხვეული შეთანხმების საფუძველზე შემოიერთა ორივე კუნძულზე არსებული ყველა სახელმწიფო წარმონაქმნი და შექმნა *გაერთიანებული სამეფო.*

ეს არ ყოფილა რაღაც განსაკუთრებული „ინგლისური ექსპანსიონისტური ფენომენი“. ბევრი თანამედროვე ევროპული ერი-სახელმწიფო შუა საუკუნეებიდან მოყოლებული ანალოგიური გზით ყალიბდებოდა.

გაერთიანებული სამეფოს თავისებურება უფრო ისაა, რომ მიუხედავად ინგლისური ენის ფართო გავრცელებისა ბრიტანეთის კუნძულებზე, არაინგლისური „შიდა ქვეყნების“ ეთნიკური ხასიათი ბოლომდე არ დათრგუნულა. ბრიტანეთი ვერ გახდა „ერი-სახელმწიფო“, ისეთი, როგორიცაა, მაგალითად, პრაქტიკულად მონოეთნიკური უნგრეთი ან საბერძნეთი. შოტლანდიელები, ირლანდიელები, უელსელები მთლიანად არ გაითქვიფნენ ინგლისელებში. მათ შეინარჩუნეს საკუთარი კულტურა, ხოლო შოტლანდიამ – მრავალი ინსტიტუტი, რომლითაც ის განსხვავდება ინგლისისაგან.

XX საუკუნის ბოლოს განხორციელდა „შიდა ქვეყნებისათვის“ სახელმწიფო ძალაუფლების გარკვეული ნაწილის გადანაწილება – *დევოლუცია.* რეგიონულ საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას დაექვემდებარა ჯანდაცვა, განათლება, კულტურა, პოლიცია, ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის უდიდესი ნაწილი.

შოტლანდიასა და ჩრდილოეთ ირლანდიაში სასამართლოცა და პენიტენციარული სისტემაც ადგილობრივ კომპეტენციას ექვემდებარება, მაშინ როცა უელსში ეს ჯერ არ მომხდარა.

ამავე დროს, იურიდიულად არც ერთი „შიდა ქვეყანა“ და არც ქ. ლონდონი ავტონომიით არ სარგებლობს და ***გაერთიანებული სამეფო უნიტარულ სახელმწიფოდ რჩება***. კანონმდებლობა, რომლითაც უესტმინსტერის პარლამენტმა დევოლვირებული შოტლანდიის პარლამენტი და უელსისა და ჩრდილო ირლანდიის

ასამბლეები დააარსა, იმავე უესტმინსტერის პარლამენტს შეუძლია გააუქმოს. ***საგარეო და თავდაცვითი პოლიტიკა, სახელმწიფო გადასახადების აკრეფა და სოციალური პოლიტიკის ზოგიერთი საკითხი ცენტრალური მთავრობის სრულ კომპეტენციაში რჩება.***

***.

უკვე XIX საუკუნეში გაერთიანებულ სამეფოში იყო დევოლუციის არაერთი მცდელობა. პასუხისმგებლობის მქონე ბრიტანელი პოლიტიკოსები, ძირითადად – ლიბერალური პარტიიდან, 1886-1912 წლებში ამაოდ ცდილობდნენ, *ჰუმრულის* (თვითმმართველობის) მინიჭებით განემუხტათ დაძაბულობა ირლანდიაში, სადაც ბრიტანეთის კუნძულებიდან ყველაზე რთული პოლიტიკური ვითარება იყო, რასაც XVI საუკუნიდან ამძაფრებდა მოსახლეობის ნაწილების რელიგიური კუთვნილება პროტესტანტებისა და კათოლიკეებისადმი, ხოლო XVII საუკუნიდან – კათოლიკეების დისკრიმინაცია და მათი ქონების ექსპროპრიაცია (იხ. მე-2 თავი). *ჰუმრულის* მინიჭებას ბლოკავდნენ ლორდთა და თემთა პალატის კონსერვატორი წევრები.

1921 წელს ლონდონს მაინც მოუხდა დათანხმება ირლანდიის გაყოფაზე. კუნძულის უდიდესი ნაწილი საბოლოოდ დამოუკიდებელი გახდა, ხოლო ჩრდილოეთი ნაწილი, *ულსტერი*, გაერთიანებული სამეფოს შემადგენლობაში დარჩა, რადგან იქ კათოლიკეებს რაოდენობრივად სჭარბობენ *პროტესტანტი იუნიონისტები* (კავშირში, ანუ გაერთიანებულ სამეფოში, დარჩენის მომხრენი), XVII-XVIII საუკუნეების ინგლისელი და შოტლანდიელი კოლონისტების შთამომავლები.

1969-1997 წლებში დაპირისპირებამ ***ჩრდილოეთ ირლანდიაში*** კულმინაციას მიაღწია და ძალიან სისხლიანი ხასიათი მიიღო: კათოლიკე ირლანდიელთა ტერორისტული ორგანიზაციის აქტებს და მათთან ბრძოლას 3,7 ათასი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. 1998 წელს ამ ტრაგიკულ ვითარებას ბოლო ეღებოდა. იმ წლის 10 აპრილს, პარასკევ დღეს, ბელფასტში ხელმოწერილი იქნა დოკუმენტი, რომელსაც მეტსახელად შერჩა „*წითელი პარასკევის შეთანხმება*“ (*Good Friday*[11] *Agreement*).

„*შეთანხმების*“ მონაწილენი – გაერთიანებული სამეფოსა და ირლანდიის რესპუბლიკის მთავრობები და ჩრდილოეთ ირლანდიის რვა პოლიტიკური პარტია და გაერთიანება – თანხმდებოდნენ იმაზე, რომ (1) *ჩრდილოეთ ირლანდიის მოსახლეობის უმრავლესობას სურს გაერთიანებული სამეფოს შემადგენლობაში დარჩენა* და (2) *ჩრდილოეთ ირლანდიის მცხოვრებთა საგრძნობ ნაწილს, ისევე, როგორც მთელი ირლანდიის კუნძულის მოსახლეობის უმრავლესობას, სურს ირლანდიის გაერთიანება.* ორივე ეს თვალსაზრისი კანონიერად იქნა ცნობილი. ჩრდილოეთი

[11] *Good Friday*-ის ეტიმოლოგია (სიტყვასიტყვით – „კარგი პარასკევი”, რაც ქრისტეს ჯვარცმის დღისათვის ძალიან უცნაური სახელია) სადავოა. ზოგ ლინგვისტს მიაჩნია, რომ *Good* არის *God*-ის (ღმერთი) სახეცვლილება, ხოლო სხვები უთითებენ სიტყვის ძველ მნიშვნელობაზე, როდესაც ის „წმინდას” აღნიშნავდა.

ირლანდია რჩებოდა გაერთიანებული სამეფოს ნაწილად იქამდე, სანამ მისი მოსახლეობის უმრავლესობა სხვაგვარ სურვილს არ დააფიქსირებდა.

ირლანდიის ორივე ნაწილში ჩატარებულ რეფერენდუმებზე მოსახლეობა დაეთანხმა შეთანხმებას. ირლანდიის რესპუბლიკამ ამოიღო კონსტიტუციიდან ჩრდილოეთ ირლანდიის მიმართ ტერიტორიული პრეტენზიის შემცველი მუხლები. ჩრდილოეთ ირლანდიის თითოეულ მცხოვრებს მიეცა უფლება, „*მიეჩნია თავი ირლანდიელად ან ბრიტანელად, ან ორივედ*“ და ჰქონოდა „*ბრიტანული ან ირლანდიური მოქალაქეობა, ან ორივე*“. 1999 წლის 2 დეკემბრიდან შეთანხმება ძალაში შევიდა.

ლონდონმა უარი თქვა ჩრდილოეთ ირლანდიის პირდაპირ მართვაზე და მას ფართო თვითმმართველობა მიანიჭა. ბელფასტში აღდგა 1972 წლიდან უმოქმედო ადგილობრივი ასამბლეა, რომელშიც „იუნიონისტები“ და „სეპარატისტები“ ახლა ერთად სხედან და მეტ-ნაკლებად თანამშრომლობენ. თუმცა გაუგებრობა ისევ იჩენს ხოლმე თავს და ასამბლეის მუშაობა პერიოდულად ფერხდება, მაგრამ ტერორიზმი შეწყდა.

შოტლანდია დამოუკიდებელი სამეფო იყო 1707 წლამდე, როდესაც მისი პარლამენტი ინგლისისას შეერწყა. შოტლანდიელები ინგლისელებთან ერთად მონაწილეობდნენ ბრიტანეთის იმპერიის შექმნაში. ამასთან, ისინი პერიოდულად ითხოვდნენ ხოლმე თვითმმართველობას. 1913 წელს უესტმინსტერის პარლამენტში მსჯელობდნენ შოტლანდიისათვის *ჰუმრულის* მინიჭების შესახებ, მაგრამ მსოფლიო ომმა ეს პროცესი ჩაშალა.

1920-იანი წლებიდან შოტლანდიურმა ნაციონალიზმმა გააქტიურება დაიწყო.1934 წელს შეიქმნა *შოტლანდიის ნაციონალური პარტია*, რომელიც თავიდან მხოლოდ ავტონომიურ პარლამენტს მოითხოვდა, მაგრამ მოგვიანებით მიზნად დაისახა შოტლანდიის სრული დამოუკიდებლობის მიღწევა.

1970-იან წლებში ლონდონში განიხილებოდა ედინბურგში შოტლანდიის ასამბლეის შექმნის საკითხი, თუმცა კონსერვატორების 18-წლიანი მმართველობის პერიოდში (1979-1997) საქმე წინ არ წასულა.

1997 წლის ბოლოს ლეიბორისტულმა მთავრობამ ტონი ბლერის მეთაურობით, თავისი წინასაარჩევნო დაპირების შესაბამისად, ჩაატარა რეფერენდუმი შოტლანდიაში, რომლის დროსაც მოსახლეობის დიდმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა ადგილობრივი პარლამენტისა და მთავრობის შექმნას.

1998 წელს უესტმინსტერში მიღებული „*შოტლანდიის აქტის*“ თანახმად, ედინბურგში დაარსდა პარლამენტი და მას მიენიჭა საკმაოდ ბევრი საკანონმდებლო უფლებამოსილება. დევოლუციის პოლიტიკის შედეგად შოტლანდიის მთავრობას ლონდონიდან დელეგირებული აქვს თითქმის ყველა ტიპის საკანონმდებლო უფლება, გარდა თავდაცვისა, საერთაშორისო ურთიერთობისა, საპენსიო უზრუნველყოფისა, სამაუწყებლო პოლიტიკისა და სახელმწიფო (არაადგილობრივი) გადასახადების აკრეფისა.

აქვე უნდა ითქვას, რომ საპენსიო უზრუნველყოფა ბრიტანეთის ერთიანი ბიუჯეტიდან ხორციელდება; ბრიტანული არმია საკონტრაქტო საფუძველზეა აგებული და გაწვევა არ ხდება; ადგილობრივი ბი-ბი-სის მიმართ შოტლანდიაში პრეტენზია არა აქვთ; ლონდონი შოტლანდიას დოტაციას აძლევს უფრო მდიდარი ინგლისის ხარჯზე.

სასამართლო სისტემა და კოდექსები, ადგილობრივი ადმინისტრაცია, არჩევნების ჩატარება, პოლიცია, სასჯელაღსრულების სისტემა, ჯანდაცვა, განათლება, კულტურა, სპორტი, ეკონომიკა შოტლანდიის მთავრობის სრულ კომპეტენციას განეკუთვნება. *Royal Bank of Scotland* ("შოტლანდიის სამეფო ბანკი") ბეჭდავს პაუნდ სტერლინგის ბანკნოტებს შოტლანდიური სიმბოლიკით.

ის, რაც შოტლანდიას სრული სუვერენიტეტისათვის აკლია, არის არმია და დიპლომატიური წარმომადგენლობები საზღვარგარეთ.

2014 წლის 17 სექტემბერს შოტლანდიაში ჩატარდა რეფერენდუმი დამოუკიდებლობის საკითხზე. 54 პროცენტით 46-ის წინააღმდეგ, შოტლანდიელებმა ამჯობინეს გაერთიანებულ სამეფოში დარჩენა. რეფერენდუმის ინიციატორი *SNP* ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობის გარანტად აცხადებდა იმ დროს ჯერ კიდევ ძვირად ღირებულ ნავთობსა და გაზს, რაც ჩრდილოეთის ზღვის შოტლანდიურ სექტორში დაყენებული პლატფორმებიდან მოიპოვება. შოტლანდიის მთავრობა მოელოდა ნავთობის ფასის ზრდას 113 დოლარამდე ერთი ბარელისათვის, მაგრამ 2018 წლის დასაწყისში ნავთობის ფასი 70 დოლარზე დაბალი იყო.

გაერთიანებული სამეფოს პარლამენტის 2015 წლის არჩევნებში *SNP*-ის კანდიდატებმა შოტლანდიაში აბსოლუტურად გაიმარჯვეს. *SNP* ფლობს ადგილების უმეტესობას შოტლანდიის პარლამენტში. ეს პოლიტიკური ტენდენციის გარკვეული მაჩვენებელია.

ამავე დროს, შოტლანდიის მოსახლეობის უმეტესობა საკმაოდაა ინტეგრირებული საერთო-ბრიტანულ სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. მხოლოდ განსაკუთრებულმა ეკონომიკურმა უპირატესობამ შეიძლება აიძულოს შოტლანდიელების უმრავლესობა, დათანხმდეს ინგლისთან 300-წლოვანი კავშირის გაწყვეტაზე. მაგრამ ეს უპირატესობა ახლა აღარ არსებობს – დამტკიცდა, რომ ჩრდილოეთის ზღვის ნავთობისა და გაზის მარაგი იწურება; შემოსავალი ნავთობის მოპოვებიდან მკვეთრი კლების ტენდენციას ამჟღავნებს; კომპანიები *BP, Shell, Chevron* უკვე ამცირებენ ნავთობმოპოვებაში დასაქმებული პერსონალის ცხოვნობას. გარდა ამისა, ბევრი მუშახელის დამსაქმებელი შოტლანდიის თავდაცვითი მრეწველობა სრულ კოოპერაციაშია ინგლისში განლაგებულ საწარმოებთან.

შოტლანდიის მოსახლეობის დიდ უმრავლესობას ევროკავშირში ყოფნა ურჩევნია და ეს 2016 წლის რეფერენდუმის შედეგმაც აჩვენა, რომლის დროსაც შოტლანდიელთა 62 პროცენტმა გაერთიანებული სამეფოს ევროკავშირში დარჩენას დაუჭირა მხარი. მაგრამ ხელახალი რეფერენდუმის ჩატარება შოტლანდიის დამოუ-

კიდებლობის შესახებ სულაც არ იძლევა გარანტიას, რომ მას დაუყოვნებლივ მიიღებენ ევროკავშირში.

უელსი 1534-1542 წლებში მიღებული საპარლამენტო აქტებით იურიდიულად იქცა ინგლისის ნაწილად. მოსახლეობის ანგლიზაციამ ფართო მასშტაბი მიიღო, თუმცა უელსური თვითმყოფადობა მთლიანად არ მოსპობილა.

XIX საუკუნის ბოლოს გარკვეულწილად აღორძინდა უელსური ნაციონალური იდეა, რომელიც ჯერ ენისა და კულტურის გადარჩენას გულისხმობდა, შემდგომში კი პოლიტიკური ავტონომიის მოპოვებას. 1925 წელს დაარსდა *პლაიდ კამრი* (*უელსური პარტია*), რომელსაც ახლა პოლიტიკურ დამოუკიდებლობაზეც აქვს აღებული გეზი. მაგრამ ამ პარტიას არა აქვს ისეთი მხარდაჭერა, როგორიც *SNP*-ს – შოტლანდიაში. მაგალითად, ბრიტანეთის პარლამენტში უელსიდან არჩეულ 40 დეპუტატს შორის სტაბილურად სულ სამი ადამიანი წარმოადგენს ხოლმე *პლაიდ კამრის.* როდესაც 1979 წელს ბრიტანეთის ლეიბორისტულმა მთავრობამ წამოაყენა უელსის ასამბლეის დაარსების იდეა და ამ საკითხზე ჩაატარა რეფერენდუმი, უელსის მოსახლეობის დიდმა უმრავლესობამ უარი განაცხადა ამაზე.

1997 წელს ახალმა ლეიბორისტულმა მთავრობამ შეასრულა თავისი დაპირება უელსის დევოლვირებული ასამბლეის შექმნის შესახებ. ახალ რეფერენდუმზე უელსის მოსახლეობამ მცირე უპირატესობით (51:49) მხარი დაუჭირა ამ აზრს. წინააღმდეგი იყვნენ ინგლისის მოსაზღვრე რაიონები, ქალაქი კარდიფი და პემბრუკშირის „ცერემონიული საგრაფო“, სადაც ინგლისთან ინტეგრაცია ყველაზე თვალსაჩინოა.

1998 წლის „უელსის მთავრობის აქტის“ შესაბამისად, კარდიფში შეიქმნა *უელსის ეროვნული ასამბლეა*, რომელსაც აქვს უფლებამოსილება განსაზღვროს, თუ როგორ უნდა დაიხარჯოს ბიუჯეტი. მთავარი აღმასრულებელი ორგანოა უელსის მთავრობა.

უესტმინსტერის პარლამენტი აპირებს გააგრძელოს საკანონმდებლო პროცესი მეტი ძალაუფლების დევოლვირებისათვის ჩრდილოეთ ირლანდიის, შოტლანდიისა და უელსისათვის.

ამავდროულად, დევოლუციამ, განსაკუთრებით კი შოტლანდიის „სეპარატისტულმა ქცევამ“, ისევ წამოატივტივა ე.წ. „*უესტ ლოთიანის საკითხი*“ (*West Lothian question*), რაც არის პირობითი სახელი იმ ჩივილისა, რომელსაც ზოგიერთი ინგლისელი კანონმდებელი ბოლო 10-15 წელია გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ შოტლანდიაში, უელსსა და ჩრდილოეთ ირლანდიაში არჩეული დეპუტატები მონაწილეობენ კენჭისყრაში უესტმინსტერის პარლამენტში იმ საკითხებზე, რომლებიც მხოლოდ ინგლისს ეხება, მაშინ როცა ანალოგიურ საკითხებზე ედინბურგში, კარდიფსა და ბელფასტში დამოუკიდებლად (ანუ ინგლისში არჩეული დეპუტატების გარეშე) მსჯელობენ.

ამიტომაც გაისმის ხმები ცალკე ინგლისის პარლამენტის შექმნის შესახებ. ამის კონტრარგუმენტად მოაქვთ ის, რომ ოთხივე „შიდა ქვეყანაში“ საკუთარი

პარლამენტის არსებობა ქვეყნის ჯერ ფედერალურად გარდაქმნისა და შემდგომში მისი დაშლის საწინდარი იქნება.

თემა 24. მოსახლეობის მიგრაცია და მულტიკულტურალიზმის პოლიტიკა გაერთიანებულ სამეფოში.

ლიტერატურა: *გაერთ. სამ.* გვ. 341-348, 362-369

XIX საუკუნიდან მოყოლებული XX საუკუნის ბოლო ათწლეულებამდე ბრიტანეთი ემიგრაციის კლასიკური ქვეყანა იყო. 1971-1981 წლებშიც კი ბრიტანეთი წლიურად საშუალოდ 26 ათას ადამიანს კარგავდა: ქვეყნიდან სამუდამოდ გადასახლებულები (ემიგრანტები) სჭარბობდნენ ქვეყანაში გადმოსახლებულებს (იმიგრანტებს), ანუ *მიგრაციას უარყოფითი სალდო* ახასიათებდა.

XVIII-XIX საუკუნეებში გაერთიანებული სამეფოდან ზღვისგადაღმა საცხოვრებლად მიდიოდნენ გადატაკებული ირლანდიელი და შოტლანდიელი გლეხები, მანქანური მრეწველობის მიერ გამოდევნილი ინგლისელი ხელოსნები. XX და XXI საუკუნეებში კი ბრიტანელ ემიგრანტთა შორის უმეტესობა განათლების მაღალი დონით გამოირჩევა: ის რაიმე დარგის სპეციალისტია, რომელიც თავისი სამუშაოსათვის ბევრად უკეთეს გასამრჯელოს ელოდება ოკეანის გაღმა. მაღალგანათლებული ადამიანების გადასახლების პროცესს „ *რაინ დრაინ*“ (ტვინის გადინება) უწოდეს. ამჟამად ბრიტანეთს გარეთ, ძირითადად, ევროკავშირის ქვეყნებში, მუდმივად ცხოვრობს 4 მილიონამდე ბრიტანეთის მოქალაქე.

ბრიტანეთში ცივი და წვიმიანი ზამთრის გატარების ნაცვლად, საკმაოდ ბევრი ბრიტანელი პენსიონერი ამჯობინებს ცხოვრებას თბილ სამხრეთ საფრანგეთში (სადაც ბრიტანელებმა უკვე იყიდეს ნახევარი მილიონი სახლი!) ან ესპანეთში (სადაც ისინი ორ მილიონ სახლს ფლობენ!). სიცოცხლის ხანგრძლივობის განუხრელი ზრდის გამო, ამ პენსიონერებს, ალბათ, ათწლეულების გატარება შეეძლებათ თბილ მხარეებში.

XX საუკუნის ბოლო ათწლეულიდან მიგრაციული ტენდენცია შეიცვალა. 1991-2001 წლებში გაერთიანებულ სამეფოში წლიურად საშუალოდ 61 ათასით მეტი ადამიანი შემოდიოდა გასულებთან შედარებით, ხოლო 2001-2011 წლებში – 191 ათასით მეტი. ეს ტენდენცია გრძელდება და ძლიერდება კიდეც. 2000-იან წლებში გაერთიანებული სამეფოდან საზღვარგარეთ საცხოვრებლად საშუალოდ წლიურად მიდიოდა 300-350 ათასი ადამიანი, ხოლო ბრიტანეთში საცხოვრებლად ან სასწავლად შემოდიოდა 550-650 ათასი. მაგალითად, 2014 წლის მარტიდან 2015 წლის მარტამდე, ქვეყნიდან გასულებთან შედარებით, გაერთიანებულ სამეფოში შემოვიდა და დასახლდა 330 ათასით მეტი ადამიანი.

2011 წლის აღწერამ აღრიცხა 7,5 მილიონი ადამიანი, რომელიც *ბრიტანეთის გარეთ დაიბადა*, ახლა კი ინგლისსა და უელსში ცხოვრობს. მათ შორის 2,7 მილიონი – ევროპული ქვეყნებიდანაა, 2,6 მილიონი – აზიისა და ახლო აღმო-

სავლეთის ქვეყნებიდან, ხოლო 1,3 მილიონი – „შავი" აფრიკიდან და კარიბის ზღვის აუზის ქვეყნებიდან.

იმავე აღწერამ შოტლანდიის 5,3 მილიონ მცხოვრებში ბრიტანეთს გარეთ დაბადებული 347 ათასი ადამიანი აღრიცხა (მთელი მოსახლეობის 6,5 პროცენტი), მათგან 209 ათასი ევროკავშირის ქვეყნებს გარედან აა შემოსული. წინა აღწერის მონაცემებთან შედარებით, აზიელი იმიგრანტების რაოდენობა შოტლანდიაში გაორმაგდა.

2015 წლის ბოლოს ბრიტანეთის გარეთ დაბადებულთა რაოდენობამ ინგლისსა და უელსში 8 მილიონ ადამიანს გადააჭარბა.

გაერთიანებულ სამეფოში შემოდიან, ძირითადად, დაბალი ან საშუალო კვალიფიკაციის იმიგრანტები, უპირატესად, „თანამეგობრობის" ქვეყნებიდან (ინდოეთი, პაკისტანი, ბანგლადეში, კენია, უგანდა, იამაიკა და ა.შ.) და, ბოლო პერიოდში, *სავსებით კანონიერ საფუძველზე* – საკმაოდ კვალიფიციური მოქალაქეები *ევროპული კავშირიდან*, განსაკუთრებით, ცენტრალური ევროპის ყოფილი „სოციალისტური ბანაკის" ბრიტანეთთან შედარებით ღარიბი ქვეყნებიდან (პოლონეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, უნგრეთი, სლოვაკია, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი).

იმიგრაცია ევროკავშირის ქვეყნებიდან ცოტა გადაჭარბებული შეშფოთების მიზეზია ზოგიერთი ბრიტანელი პოლიტიკოსისათვის. ყბადაღებულ კლიშედ იქცა „პოლონელი სანტექნიკოსი" (*ოლისპ პლუმბერ*), რომელიც თურმე „სამუშაოს აკარგვინებს" ბრიტანელ ოსტატებს.

რეალურად, ბრიტანელების დიდ ნაწილს არც უნდა იმ სამუშაოს შესრულება, რომელზეც იმიგრანტები ხალისით თანხმდებიან. პრესაში ხშირად იწერება მექანიკოს-ინჟინრების, საშუალო სამედიცინო პერსონალის, მშენებელი მუშების, კალატოზების, სანტექნიკოსების, პარიკმახერების, შეფ-მზარეულების და სხვა დარგის სპეციალისტების, აგრეთვე ძიძების, დამლაგებლების, მეეზოვეების, მენაგვეების ნაკლებობაზე. იმიგრანტები მზად არიან, ნაწილობრივ შეავსონ ეს ნიშა, სადაც ანაზღაურება საშუალო ბრიტანულზე ნაკლებია, მაგრამ ბევრად სჭარბობს იმას, რაც მათივე ქვეყანაში შეეძლოთ მიეღოთ.

სერიოზული ეკონომისტები ასაბუთებენ, რომ ბრიტანეთის ეკონომიკას შემდგომი წარმატებისათვის ესაჭიროება ნიჭიერი და მაღალკვალიციური ადამიანები, თუნდაც იმიგრანტები.

შემოსულებს შორის არცთუ მცირე ნაწილს შეადგენენ უცხოელი სტუდენტები (წლიურად 250 ათასამდე), რომელთაც იზიდავს ბრიტანული საუნივერსიტეტო განათლების მაღალი დონე. მათი ნაწილი სწავლის შემდეგ ბრიტანეთში სამუშაოდ დარჩენას ახერხებდა, მაგრამ 2014 წლიდან კონტროლი გამკაცრდა და მათ დიდ უმრავლესობას სწავლის შემდეგ სახლში დაბრუნებას მოსთხოვენ (თუ ის ევროკავშირის მოქალაქე არაა, იქამდე, სანამ ბრიტანეთი ამ კავშირში რჩება).

ბრიტანეთის კერძო საშუალო სკოლებში, რომლებიც სწავლების მაღალი ხარისხით გამოირჩევიან, განუწყვეტლივ მატულობს სწავლის ფასი, რისი

გადახდაც მდიდარ უცხოელებს უფრო ადვილად შეუძლიათ, ვიდრე საშუალო შეძლების ბრიტანელებს. 2015 წელს ასეთი სკოლების მოსწავლეთა 38,5 პროცენტი უცხოელი იყო. არაბრიტანელ მოსწავლეთა შორის 21 პროცენტი ჩინეთიდან იყო, 17,6 პროცენტი – ჰონკონგიდან (ანუ ისევ ჩინელები!), ხოლო 10,3 პროცენტი – რუსეთიდან.

ბრიტანეთი არის სასურველი საცხოვრებელი ადგილი მდიდარი იმიგრანტებისათვის.

Forbes Magazine-ის გამოთვლით, 2015 წელს ბრიტანეთში ცხოვრობდა 117 ადამიანი, რომლის ქონებაც აჭარბებდა ერთ მილიარდს (აშშ დოლარში გადათვლით). მილიარდერების, სხვანაირად – „ზემდიდრების“ (*super-rich*), რაოდენობით ბრიტანეთს მხოლოდ აშშ და ჩინეთი უსწრებდნენ (იმავე 2015 წელს, შესაბამისად, 536 და 213), მაგრამ მოსახლეობის რაოდენობასთან მილიარდერების შეფარდებით, ბრიტანეთი მსოფლიოში პირველ ადგილზეა.

თუ XX საუკუნის დამდეგს, და უფრო ადრეც, ბრიტანეთში ეკონომიკურად დომინირებდნენ მიწათმფლობელი ინგლისური და შოტლანდიური არისტოკრატია, ადგილობრივი ბანკირები და მსხვილი ფაბრიკანტები, XXI საუკუნეში ქვეყნის სოციალური ლანდშაფტის ნაკლებხილულ, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვან ფიგურებს მილიარდერები წარმოადგენენ. მათი დიდი ნაწილი ბრიტანეთს გარეთაა დაბადებული. 2014 წელს ბრიტანეთში მცხოვრებ უმდიდრესთა შორის პირველ ადგილზე აღმოჩნდა რუსეთში დაბადებული ებრაელი *ლენ ბლავატნიკი.* მილიარდერთა პირველ ათეულში სულ ორი იყო ინგლისელი.

ამ მცირერიცხოვან ეკონომიკურ ელიტაში ბევრია ჩამოსული ნავთობით მდიდარი ქვეყნებიდან (რუსეთი, სპარსეთის ყურის არაბული ქვეყნები) და ჩინეთიდან, სადაც მათ დააგროვეს ქონება და შემდეგ კაპიტალი გადაიტანეს „მშვიდ ნავსაყუდელში“ დასახარჯად. ეს „ნავსაყუდელი“ კი ძალიან ბევრისათვის ბრიტანეთი აღმოჩნდა – საიმედო ქვეყანა, სადაც იშვიათად თუ ეკითხებიან დიდი ქონების წარმოშობის წყაროს.

ბოლო დრომდე ბრიტანეთში ორი მილიონი პაუნდის ინვესტიციის შემომტანი უცხოელი ავტომატურად ღებულობდა ე.წ. „ინვესტორის ვიზას“. ხუთი წლის ცხოვრების შემდეგ მას შეეძლო მოეთხოვა მუდმივი ბინადრობის უფლება, ხოლო კიდევ ერთი წლის შემდეგ – ბრიტანეთის მოქალაქეობა. თუ ინვესტიცია ხუთ მილიონ პაუნდს აღემატებოდა, ბინადრობის უფლებას ასეთი პიროვნება სამი წლის შემდეგ მიიღებდა, ხოლო 10 მილიონის ინვესტორი – ორ წელიწადში. იგეგმება ასეთი შეღავათების გადასინჯვა ერთგვარი გამკაცრების მიმართულებით.

განსაკუთრებით იზიდავს იმიგრანტებს *ლონდონი.* 2011 წლის მოსახლეობის აღწერამ აჩვენა, რომ პირველად აღწერების ჩატარების 210-წლიან ისტორიაში, დედაქალაქის მოსახლეობაში სხვა ქვეყნებში დაბადებულთა წილმა (55 პროცენტი) გადააჭარბა ბრიტანეთში დაბადებულთა წილს (45 პროცენტი). ბოლო აღწერამ ისიც აჩვენა, რომ ლონდონში მეტყველებენ 300-ზე მეტ ენაზე. ბევრი

იმიგრანტი ცხოვრობს ქ. ბირმინჰემში. უესტ მიდლენდსში, რომლის ცენტრიცაა ეს ქალაქი, ისინი 30 პროცენტს შეადგენენ. ასევე ბევრია იმიგრანტი გლაზგოში, მანჩესტერში, ბრედფორდში, სხვა დიდ ქალაქებში.

ბრიტანეთს გარეთ დაბადებულები თანდათანობით ინგლისისა და უელსის მოსახლეობის სულ უფრო მზარდ სეგმენტს ქმნიან: 2011 წელს ისინი 13 პროცენტს შეადგენდნენ, 20-30 წლის შემდეგ კი ეს ადამიანები (თავიანთ, უკვე ბრიტანეთში დაბადებულ, შთამომავლობასთან ერთად) 28-30 პროცენტი იქნებიან. ეჭვგარეშეა, რომ მათი ნაწილი სრულ აკულტურაციას გაივლის და მათი შვილები მაინც ნამდვილი ბრიტანელები გახდებიან. ეს უპირველესად ეხება აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპიდან შემოსულებს, რომელთაც ძლიერი ბრიტანული (ინგლისური, შოტლანდიური) კულტურა ადვილად შეისრუტავს. ისინი სწავლობენ ინგლისურს და ცდილობენ, შეითვისონ ბრიტანული ფასეულობები და ცხოვრების წესი.

მაგრამ არცთუ უმნიშვნელო ნაწილისათვის ტრადიციული ბრიტანული კულტურა მაინც უცხოდ რჩება. ეს აიხსნება იმიგრანტების ეთნიკური და რელიგიური შემადგენლობით. ბევრ რიგით ბრიტანელს უკვე აწუხებს ის პერსპექტივა, რაც მის ცივილიზაციას ემუქრება 40-50 წლის შემდეგ, როდესაც საკუთრივ ბრიტანელები თავის ქვეყანაშივე უმცირესობაში შეიძლება აღმოჩნდნენ. მართალია, ამ საკითხზე ხმამაღალი საუბარი ლიბერალურ და დემოკრატიულ დიდ ბრიტანეთში „პოლიტკორექტულობის“ დარღვევადაა მიჩნეული, მაგრამ კონტინენტური ევროპის ქვეყნებში მომრავლებული მემარჯვენე-ნაციონალისტური პარტიების ანტიიმიგრაციული რიტორიკა ბრიტანეთსაც ედება.

საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვებში ბრიტანელები 2015 წელს პირველ ადგილზე იმიგრაციის პრობლემას აყენებდნენ. ეს, როგორც ჩანს, იყო ახლო აღმოსავლეთის და აფრიკის ქვეყნებიდან პოლიტიკური ლტოლვილებისა და ეკონომიკური მიგრანტების ევროპის ქვეყნებში მასობრივი შემოსვლის გამოძახილი, რასაც ბრიტანული მედია ფართოდ აშუქებდა.

XXI საუკუნის მეორე ათწლეულში არალეგალური მიგრაციის მკვეთრი ზრდა ევროპის ქვეყნებისაკენ განაპირობა ლტოლვილების ნაკადმა, რაც წარმოშვა ომებმა *ერაყში, სირიაში* და იქ ე.წ. „ისლამური სახელმწიფოს“ ბოგინმა; *ლიბიაში* კადაფის რეჟიმის დამხობამ, რასაც მოჰყვა სრული ქაოსი ადრე აფრიკაში ერთ-ერთ უმდიდრეს სახელმწიფოში; *ავღანეთში* საქმეების აწეწვამ. ყველა ზემოხსენებულ ქვეყანაში არეულობა, სამოქალაქო ომებიც კი, არცთუ მცირე ზომით, იქ დასავლეთის ქვეყნების პოლიტიკურად გაუმართლებელი ინტერვენციის შედეგი იყო, რამაც იქიდან წამოსული მიგრანტები გაამრავლა. ევროპისაკენ მიგრაციას ზრდის მზარდი სიდუხჭირე აფრიკაში, სადაც ძალიან მაღალია შობადობა.

2015 წელს ხმელთაშუა და ეგეოსის ზღვების გადალახვით, ხშირად, სიცოცხლის რისკის ფასად, ევროპის მდიდარ ქვეყნებში მილიონზე მეტი ლტოლვილი შევიდა, ყველაზე მეტად – გერმანიაში, რომლის მთავრობამ *უსაფრთხოებაზე წინ დააყენა ჰუმანიტარული პრინციპები* და ხელგაშლილი შეხვდა მიგრანტებს

ისლამური და აფრიკული ქვეყნებიდან. მაგრამ, როგორც ჩანს, საკმაოდ მალე გერმანიამ ინანა და ახლა მიგრანტების ძალიან რთული აკულტურაცია ან ბევრად უფრო მტკივნეული დეპორტაცია აქვს განსახორციელებელი.

„მიგრანტთა/ლტოლვილთა კრიზისმა“ *შენგენის ზონის* შიგნით დიდი უთანხმოების შექმნის საწინდარი შექმნა: ზოგიერთმა ქვეყანამ ადრე გამჭვირვალე საზღვრის დახურვა დაიწყო. ცენტრალური ევროპის ქვეყნებს, განსაკუთრებით უნგრეთს, სლოვაკეთს, პოლონეთს, ჩეხეთს, არ სურთ გაინაწილონ მიგრანტების მიღების ტვირთი, რომელიც ყველაზე მეტად გერმანიას, შვედეთს, იტალიას, საბერძნეთს დააწვა. საზღვრების კონტროლის გაძლიერება თვით „შენგენის ზონის“ არსებობას უქმნის საფრთხეს.

თავის კუნძულზე თითქოს შედარებით დაცულად უნდა გრძნობდეს თავს გაერთიანებული სამეფო, რომელიც დიდად სასურველი საბოლოო ნავსაყუდელია აზიისა და აფრიკის ქვეყნებიდან წამოსული ახალგაზრდა მამაკაცებისა და ქალებისათვის. *„იქ არაა საჭირო ქადალდები, განსხვავებით საფრანგეთისგან, იტალიისგან, გერმანიისგან; იქ უფასო სამედიცინო დახმარებაა; უმუშევრებს სოციალურ დახმარებას აძლევენ“*... ასე იციან იმიგრაციის მსურველებმა, თუმცა ეს სინამდვილეს არ შეესაბამება.

გაერთიანებული სამეფოს ხელისუფლება მკაცრად ცდილობს, აღკვეთოს უკანონო იმიგრაცია. 2014 წელს მან 49 ათასი იმიგრანტი გააძევა, რაც ევროპულ კავშირის ქვეყნებში ყველაზე დიდი რიცხვია. დეპორტირებულთა შორის 6 ათასი პაკისტანელი იყო, 2 ათასი – ნიგერიელი და ა.შ.

შუამავალთა ბანდები ახერხებენ, მოითბონ ხელი უკანონო მიგრანტების ბრიტანეთში შეპარებითა და მათი „შრომათმოწყობით“.

ბრიტანეთში კანონიერი გზით შესულთა შორის ძალიან დიდია ოჯახის გაერთიანების საბაბით შემოსულთა წილი. მაგალითად, ბანგლადეშიდან, პაკისტანიდან, ავღანეთიდან, არაბული ქვეყნებიდან ბრიტანეთში შემოსული ადამიანი მოქალაქეობის მიღებისთანავე აუცილებლად ჩამოიყვანს თავისი ოჯახის მრავალრიცხოვან წევრებს. XXI საუკუნის დასაწყისში ბრიტანეთში შემოსულთა ორი მესამედი ევროკავშირის გარეთ მდებარე ქვეყნებიდანაა მოსული. ლონდონის ბევრ ქუჩასა და მაღაზიაში, ინგლისურზე მეტად, სხვა ენებზე საუბარს უფრო გაიგონებთ.

ბევრად მეტი იმიგრანტი კი ქუჩაში არ ჩანს. ისინი მუშაობენ! არალეგალური გზით შემოსული ლტოლვილები (რომლებიც აღწერამ ვერც აღრიცხა) ხშირად არიან ჩართული „ჩრდილოვან ეკონომიკაში“, როდესაც დამსაქმებელი, კანონის დარღვევით, უხდის მათ სტანდარტულზე ნაკლებ ხელფასს. ასეთი მუშები ვერ ისარგებლებენ სოციალური დაცვით, სამედიცინო მომსახურებით, ვერ მოაწყობენ გაფიცვას.

მულტიკულტურალიზმი, ანუ მრავალი კულტურის თანასწორი თანაარსებობა, ბრიტანეთში არ არის ფუჭი სიტყვა. ის, რომ მრავალი კულტურის წარმომადგენლის თანაცხოვრება რეალობაა, ჩანს ქუჩაშიც და პოლიტიკური

ელიტის შემადგენლობაშიც, რომელიც სულ უფრო მრავალფეროვანი ხდება. მაგალითად, დიდი ლონდონის მერის 2016 წლის არჩევნებში ლეიბორისტულმა პარტიამ კანდიდატად წამოაყენა *სადიკ ხანი* წარმოშობით პაკისტანელი და რელიგიით მუსლიმი (მამამისი ავტობუსის მძღოლი იყო, დედა – მკერავი), ხოლო კონსერვატიულმა პარტიამ – მილიონერი *ზაკ გოლდსმითი,* მამით ებრაელი – მილიარდერ სერ ჯეიმზ გოლდსმითის ვაჟი. მაგრამ რელიგიურ განსხვავებას არავითარი (ან, თითქმის არავითარი) მნიშვნელობა არ ჰქონია მერის არჩევნების შედეგებზე, რომელშიც გამარჯვება წილად ხვდა სადიკ ხანს.

განსხვავებით მკაცრად სეკულარული საფრანგეთისაგან, სადაც *ნიკაბით* ან *ბურკით* მოარულ ქალს იშვიათად თუ შეხვდებით, რადგან 2010 წელს მიღებული ფრანგული კანონი კრძალავს საზოგადოებრივ სივრცეში სახის დაფარვას, ბრიტანეთის ქალაქებში ხშირად ნახავთ თხემით ტერფამდე შავად შემოსილ, თვალებისათვის ვიწრო ჭრილდატოვებული თავსაბურავის მქონე ქალბატონებს. მათ მიმართ ბრიტანულ საზოგადოებას ლოიალური დამოკიდებულება აქვს. თავშეკავებული ბრიტანელები არ იმჩნევენ, რომ მათ გვერდით დადიან მათი ტრადიციული კულტურისათვის შეუსაბამოდ მოსილი ადამიანები. ეს ბრიტანული მულტიკულტურალიზმის პოლიტიკის შედეგია!

საზოგადოებაში ქცევის წესები, თეორიულად, ბრიტანული უნდა იყოს, თუმცა, პრაქტიკულად, ასე აღარაა. რასაკვირველია, *ლინგუა ფრანცა* (ერთაშორისი ურთიერთობის ენა) ყველგან ინგლისურია: თუკი იმიგრანტს ბრიტანეთში წარმატების მიღწევა სურს, ის ინგლისურს უნდა ფლობდეს და, ადრე თუ გვიან, აკულტურაცია უნდა განიცადოს, ანუ, კულტურის თვალსაზრისით, ბრიტანელი გახდეს. ეს შედარებით უფრო ძნელია რელიგიურად განსხვავებული ადამიანისათვის (განსაკუთრებით – მუსლიმისათვის), ვიდრე არათეორკანიანისათვის.

ფაქტია, რომ „ძველი, კარგი ინგლისი“ (“*Old Good England*”), როგორიც ის გვახსოვს კლასიკური ინგლისური ლიტერატურიდან, პრაქტიკულად, აღარ არსებობს. ბოლო ათწლეულებში ბრიტანეთი მკვეთრად შეიცვალა. უამრავ ენაზე მეტყველი, რასობრივად და რელიგიურად ჭრელი მოსახლეობა ახლა ბრიტანეთის ყველა ქალაქისათვისაა დამახასიათებელი. მხოლოდ სასოფლო თემები (ისიც სულ უფრო ნაკლები) შეიძლება იყოს მონოკულტურული, ანუ ინგლისური, შოტლანდიური, უელსური ან ირლანდიული.

2011 წლის მოსახლეობის აღწერის დეტალურმა ანალიზმა აჩვენა, რომ ბრიტანეთის ეთნიკური უმცირესობები არანაკლებად და, ზოგიერთ შემთხვევაში მეტადაც კი, ახერხებენ დაეუფლონ ელიტურ პროფესიულ და ხელმძღვანელ თანამდებობებს, ვიდრე ძირძველი ბრიტანელები.

აღწერის მასალების მიხედვით, 2011 წელს ეთნიკური უმცირესობების 10,3 პროცენტს ჰქონდა „პირველი კლასის“ სამსახური, ანუ იყო უმაღლესი დონის პროფესიონალი ან მენეჯერი და ხელმძღვანელობდა სხვადასხვა დონის ადმინისტრაციას. ადგილობრივ ბრიტანელებში ანალოგიური თანამდებობები 9,8 პროცენტს

ეკავა. აბსოლუტურ მაჩვენებელზე გადაყვანისას, ძირძველ ბრიტანელთა „9,8 პროცენტი“ ათჯერ მეტ ადა მიანს მოიცავს, ვიდრე უმცირესობათა „10,3 პროცენტი“. მაგრამ ტენდენცია ნათელია: დისკრიმინაცია ზედაპირზე არ ჩანს, თუმცა უთანასწორობა არსებობს.

ეს უთანასწორობა ჩანს ეთნიკურ უმცირესობებს შორისაც, რაც განპირობებულია არა რაიმე იურიდიული შეზღუდვით, არამედ ქცევითი სხვაობებით, რომლებიც გამოიხატება დამოკიდებულებაში შრომის მიმართ, ლტოლვაში განათლების მიღებისაკენ, მიღებული ცოდნის გამოყენებაში.

მაგალითად, ინდური წარმოშობის ბრიტანელთა შორის 15,4 პროცენტს „პირველი კლასის“ სამსახური აქვს, ჩინური წარმოშობის ბრიტანელებს შორის – 12,8 პროცენტს, ხოლო ბანგლადეშური წარმოშობის ადამიანებს შორის – მხოლოდ 4,2 პროცენტს. ბანგლადეშელ მამაკაცთა ნახევარი რესტორნებსა და კაფეებში მუშაობს, ხოლო პაკისტანელ მამაკაცთა მეოთხედი ტაქსის მძღოლია. სხვათა შორის, დასაქმების ორივე ეს სახეობა, თუნდაც „ნაკლებპრესტიჟული“, კარგად ნაზღაურდება.

უმცირესობები განსაკუთრებით ფართოდ არიან წარმოდგენილი ჯანდაცვის სფეროში, სადაც ექიმების 41 პროცენტი მიეკუთვნება „თეთრკანიან ბრიტანელთაგან“ განსხვავებულ ჯგუფებს. ექიმებს შორის განსაკუთრებით ბევრია წარმოშობით ინდოელი. ვისაც კონტაქტი ჰქონია ბრიტანულ ჯანდაცვის სისტემასთან, აუცილებლად შეხვდებოდა ინდოელ ექიმს.

სოლისიტორებს (იურისკონსულტებს) შორის მეხუთედზე მეტი არაა თეთრკანიანი ბრიტანელი, ბარისტერებს (ადვოკატებს) შორის – 10,9 პროცენტი. ლონდონის სიტიში (ანუ საფინანსო სექტორში) დასაქმებულთა შორის მესამედზე მეტი უმცირესობებს განეკუთვნება, მათგან 12,3 პროცენტი წარმოშობით ინდოეთიდანაა, 3,6 პროცენტი ჩინელია, თუმცა ამ ადამიან თაგან ძალიან ცოტას უჭირავს მართლაც მაღალი პოსტი.

პროფესიული ბრიტანეთის არმიის პირად შემადგენლობაში 7,1 პროცენტი უმცირესობებს განეკუთვნება, მაგრამ ოფიცრებს შორის მათი მაჩვენებელი ბევრა დ ნაკლებია – სულ 2,4 პროცენტი. ოფიცერთა კორპუსი მაინც ძირძველი ბრიტანელებით კომპლექტდება.

უმცირესობათა მაღალგანათლებული წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ, *„თუ გინდა მიაღწიო რაიმეს, შეგიძლია, შეისრულო წადილი, მიუხედავად სისტემაში არსებული ბარიერებისა“*. აქ სიტყვა *„მაღალგანათლებული“* საგანგებოდაა გამოყენებული: არა მარტო ეთნიკური იმიგრანტის შვილი, არამედ თეთრკანიანი ბრიტანელიც კი შესაბამისი განათლების გარეშე ხეირიანს ვერაფერს მიაღწევს. *„ბარიერებიც“* ტყუილად არაა ნახსენები. მულტიკულტურალიზმის პოლიტიკის მიუხედავად, ბრიტანეთში არსებობს ქცევის დაუწერელი წესები, რომლებიც რასობრივად განსხვავებულ არაბრიტანელს არაფორმალურ შეზღუდვებს უქმნის, თუმცა რასიზმის გამოვლინება ბრიტანეთში კანონით ისჯება.

არაფორმალური შეზღუდვებიც თანდათან სუსტდება, *სოციალური მობილობა* ეთნიკურ უმცირესობებსაც ეხება.

არაბრიტანული „ეთნიკური“ ჯგუფების ადამიანები დიდ ბრიტანეთში ყველგან გვხვდებიან, ცალკეულ საქალაქო უბნებში კი მათი დიდი კონცენტრაცია შეიმჩნევა. ბრიტანეთში შემოსული იმიგრანტების გარკვეულ ჯგუფებს, მაგალითად, ბანგლადეშელებს, პაკისტანელებს, არაბებს, *ხარედიმ* (ულტრაორთოდოქს) ებრაელებს ერთად დასახლების და ცხოვრების (ე.წ. „გეტოიზაციის“) მისწრაფება აქვთ. ისინი იმ უბანში მეჩეთის ან სინაგოგის აშენების ნებართვასაც მიიღებენ. ორი ან მეტი თემის თანაცხოვრება, ჩვეულებრივ, მშვიდობიანია. მაგრამ სხვა თემის მიერ ერთი თემის განსახლების არეალში საცხოვრებლად შესვლა („გეტოში შეჭრა“) ხანდახან მაინც არის ხოლმე ეთნო-რასობრივ ნიადაგზე კონფლიქტების წარმოშობის ხელშემწყობი ფაქტორი.

სოციალური მობილობა, რომელიც საკმაოდ იშვიათი რამ იყო XX საუკუნის პირველი ნახევრის, მით უმეტეს, XIX საუკუნისა და უფრო ადრეულ კონსერვატიულ, მონარქიულ ბრიტანეთში, დღეს ფართოდაა წარმოდგენილი. ეს ნიშნავს, რომ საკმაოდ ბევრი ადამიანი, რომელიც დაბალი სოციალური კლასის ოჯახში დაიბადა, ახერხებს მაღლა ასვლას სოციალურ კიბეზე (არსებობს უკუპროცესიც!). თუ ადრე პოლიტიკურ ელიტას მთლიანად ქმნიდნენ პრესტიჟული კერძო სკოლების (იტონი, ჰარლოუ, უინჩესტერი და სხვ.) და ოქსფორდისა და კემბრიჯის უნივერსიტეტების კურსდამთავრებული არისტოკრატიისა და მდიდარი ბურჟუაზიის წარმომადგენლები, ახლა ეს შედარებით ნაკლებად იგრძნობა. კონსერვატიული პარტიის წევრი ზოგიერთი პრემიერ-მინისტრიც კი „სოციალური მობილობის პროდუქტია“. მაგალითად, *მარგარეთ თეთჩერი* დაიბადა წვრილი მედუქნის ოჯახში, ხოლო მის მემკვიდრეს იმავე პოსტზე, *ჯონ მეიჯორს*, არც პრესტიჟულ სკოლაში უსწავლია და უმაღლესი განათლება საერთოდ არ მიუღია. თანამედროვე ლორდთა პალატის სამუდამო პერების საკმაო ნაწილი უბრალო წარმოშობისაა. სოციოლოგიური კვლევები აჩვენებს, რომ სოციალური მობილობის მაჩვენებლებით თანამედროვე ბრიტანეთი სჭარბობს გერმანიას, საფრა ნგეთს, ნიდერლანდებს, თუმცა ჩამორჩება შვედეთს, აშშ-ს, იაპონიას, ავსტრალიას.

ბრიტანეთში თავისუფლად შეუძლიათ არსებობა რელიგიურ სკოლებს. სახელმწიფოს ერთადერთი მოთხოვნაა, აზიარონ მათი მოსწავლეები ბრიტანულ ლიბერალურ ფასეულობებს, მათ შორის, ტოლერანტობას, გენდერულ თანასწორობას. მაგრამ მედიაში იყო არაერთი ცნობა, რომ ისლამურ და იუდაისტურ სკოლებში ადგილი აქვს სქესის მიხედვით ბავშვების სეგრეგაციას, არასაკმარისად ან საერთოდ არ ინერგება ბრიტანული ფასეულობები.

ბრიტანეთში არსებობს გარკვეული *საქალაქო სეგრეგაცია*, როდესაც ეთნიკური უმცირესობა და თეთრი ბრიტანელები თვითგამიჯნულ უბნებში ცხოვრობენ. ერთი გამოკვლევით, *კემბრიჯი* ყველაზე ნაკლებსეგრეგირებულ ქალაქად წარმოჩინდა. ყველაზე მკვეთრად სეგრეგირებული კი აღმოჩნდა დიდი მანჩესტერის აგლომერაციაში შემავალი ქალაქი *ოლდემი* (*Oldham*), სადაც 2001 წელს ეთნიკური დაპირისპირების ნიადაგზე დიდი არეულობაც კი აღინიშნა.

რომელიმე „ეთნიკური“ ჯგუფის სიმრავლეს უბანში ადვილად დაადგენთ სხვადასხვა რელიგიური კულტის შენობით, არაინგლისური წარწერებით რესტორნებზე, სპეციალიზებული მაღაზიებითა და კვების პროდუქტების ასორტიმენტით. მაგალითად, ინდოელების განსახლების უბანში *ბასმატის* ტიპის ბრინჯს ექნება რეკლამა; უბანში, სადაც მრავლადაა მუსლიმი არაბი, სასურსათო მაღაზიები უთითებენ სიტყვას „*Halal*", რაც იმას მოწმობს, რომ გასაყიდად გამოტანილი ხორცი მოდის პირუტყვისაგან, რომელიც მუსლიმური წესით დაიკლა და ხორცი „ალალია"; ებრაულ უბანში პროდუქცია იყიდება წარწერით „*Kosher*", ანუ დაცულია *ქაშრუთი* და მორწმუნე ებრაელს შეუძლია დარწმუნებული იყოს, რომ არაფერია დამზადებული ღორის ქონზე!

მართალია, ბრიტანეთის წამყვანი პოლიტიკური პარტიები ერთხმად უჭერენ მხარს მულტიკულტურალიზმს, მაგრამ ბოლო ხანებში ოფიციალურ პირებს არაპირდაპირ უხდებათ იმის აღიარება, რომ ***მულტიკულტურალიზმის პოლიტიკას ერთგვარი ბზარი გაუჩნდა***.

ამის დასტურად გამოდგება ერთ რადიოინტერვიუში ბრიტანეთის უშიშროების სამსახურის (I5) გენერალური დირექტორის *ენდრიუ პარკერის* მიერ მუსლიმი რადიკალების შესახებ ნათქვამი სიტყვები, რომლებიც გამოაქვეყნა გაზეთმა „თაიმსმა" 2015 წლის 18 სექტემბერს: „*მათი უმრავლესობა, ვინც ცდილობს, ჩვენს ქვეყანაში ტერორისტულ ქმედებაში ჩაერთოს, ის ხალხია, ვინც დაიბადა და აღიზარდა აქ, გაიარა ჩვენი საგანმანათლებლო სისტემის საფეხურები და, მიუხედავად ამისა, დაასკვნა, რომ ეს ქვეყანა – მათი მშობლიური ქვეყანა, სადაც ისინი დაიბადნენ – მათი მტერია* ".

ამ ინტერვიუს დროს პარკერი იყო 106 წლის განმავლობაში არსებული I5-ის პირველი ხელმძღვანელი, ვინც მასმედიაში გამოჩნდა. ის აღნიშნავდა, რომ ბრიტანეთის უშიშროების სამსახურს სამ ათასამდე ბრიტანელ მუსლიმზე აქვს ეჭვი, რომ ისინი „ჯიჰადისტურ" აქციებს გეგმავენ. მისი ინფორმაციით, ათასამდე ბრიტანელი შეუერ თდა სირიასა და ერაყში 2014 წლიდან არსებულ ე.წ. „ისლამურ სახელმწიფოს", რომელმაც თავი გამოიჩინა ბარბაროსული ქცევით არამუსლიმებისა და არალოიალური მუსლიმების მიმართ, მაგალითად, მათთვის საჯაროდ თავის მოკვეთით, უძვირფასესი ისტორიული ძეგლების ვანდალურად განადგურებით.

ფაქტია, რომ ზოგიერთი მეჩეთის იმამი ("მოძღვარი"), მათ შორის ლონდონშიც, ხელს უწყობს ახალგაზრდა მუსლიმების რადიკალიზაციას და განაწყობს მათ „ურწმუნოების", ანუ არამუსლიმების, წინააღმდეგ. სტატისტიკურად, იქნებ, უმნიშვნელოა, მაგრამ პოლიტიკურად ძალიან რეზონანსულია ათასამდე ბრიტანელი მუსლიმის სირიაში წასვლა *ჯიჰადში* (საღვთო ომში) მონაწილეობის მისაღებად. 2015 წელს ბრიტანეთში ჩატარებული რამდენიმე სოციოლოგიური გამოკვლევა აჩვენებდა, რომ იქ მცხოვრებ მუსლიმთა შორის 20-25 პროცენტი თანაუგრძნობდა იმ ახალგაზრდა მუსლიმებს, რომლებიც „ისლამური სახელმწიფოს" მხარეს იბრძოდნენ.

თემა 25. თანამედროვე გაერთიანებული სამეფოს საგარეო და თავდაცვის პოლიტიკა.

ლიტერატურა: *გაერთ. სამ.* გვ.443-449

თუ ავიღებთ ქვეყნის საგარეო პოლიტიკას იმ დროიდან, რაც ის „დიდი ბრიტანეთის“ სახელს ატარებს, ანუ XVIII საუკუნის პირველი ათწლეულიდან, ნათლად დავინახავთ, რომ ამ პოლიტიკაში ყოველთვის *აბსოლუტურად დომინირებდა პრაგმატიზმი.* ბოლო სამი საუკუნის მანძილზე ბრიტანეთის ყველა მთავრობა საგარეო ასპარეზზე მოქმედებდა ისე, რომ მეტი ეკონომიკური და პოლიტიკური სარგებელი მოეტანა ქვეყნისათვის.

უფრო ადრე, შუა საუკუნეებში კი იყო შემთხვევები, როდესაც მეფეების საგარეო პოლიტიკას ამოძრავებდა რელიგიური ან პირადი ინტერესები.

ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს რომელიმე სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკაში სხვა რამ დომინირებს, გარდა პრაგმატიზმისა. მაგრამ ბრიტანეთის შემთხვევაში ეს განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს.

ჰენრი პალმერსტონმა (*Henry John Temple, 3rd Viscount Palmerstone,* 1784-1865), ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მ ინისტრმა (შემდგომში, ორგზის პრემიერ-მინისტრმა), რომელმაც თავისი ხანგრძლივი პოლიტიკური კარიერა დაიწყო, როგორც ტორიმ, და დაამ თავრა, როგორც ლიბერალმა, 1848 წლის 1 მარტს თემთა პალატაში გამოსვლისას მკაფიოდ ჩამოაყალიბა თავისი ქვეყნის (და, მგონი, უნივერსალური?) საგარეო-პოლიტიკური პრინციპი: „***ჩვენ არა გვყავს მარადიული მტრები და არც მუდმივი მეგობრები. ჩვენი ინტერესებია მარადიული და მუდმივი.***“

რეალურად, ამ პრინციპს ბრიტანეთი მისდევდა იქამდეც, სანამ პალმერსტონი თავის მოხდენილ ფორმულას ჩამოაყალიბებდა, განსაკუთრებით, XVIII საუკუნიდან.

პოლიტიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა, მსოფლიოში უძლიერესი ეკონომიკა და სამხედრო–საზღვაო ფლოტი ორი საუკუნის განმავლობაში აძლევდა საშუალებას ლონდონს, თვითონ შეერჩია მტრები და მეგობრები და თავის სასარგებლოდ გადაეწყვიტა კონფლიქტები როგორც დიპლომატიური, ისე სამხედრო გზით.

„ომი საგარეო პოლიტიკის გაგრძელებაა სხვა მეთოდებით“, ასე ამბობს *კარლ კლაუზევიცი,* სამხედრო თეორიის მამამთავარი. ისტორიულად, ომების აბსოლუტური უმეტესობა პრაქტიკული მიზნით წარმოებდა – უპირველესად, მიწისა და იქ მდებარე ბუნებრივი ან იქ მყოფი ადამიანური რესურსების დასაუფლებლად/დასამორჩილებლად. ის, ვის მიწასაც იპყრობდნენ, რასაკვირველია, თავდაცვით, ანუ სამართლიან ომს ეწეოდა, მაგრამ მხოლოდ იქამდე, სანამ მომხდურს დაამარცხებდა და თვითონ შეიჭრებოდა მტრის მიწაზე.

მეოცე საუკუნის დამდეგიდან უაიტჰოლის დიპლომატიას მოუწია *პალმერსტონის პრინციპის* ერთგვარი გადახედვა. იმ საუკუნის პირველ ნახევარში

ბრიტანეთს მტრის თავისუფლად არჩევის საშუალება აღარ მიეცა და მოკავშირეებიც მოულოდნელი გაუჩნდა, მაგალითად, საბჭოთა კავშირი მეორე მსოფლიო ომის დაწყებიდან ორი წლის შემდეგ. ის ომი ბრიტანეთისათვის თავდაცვითი იყო – ის აგრესიული ნაციზმისაგან იცავდა თავს.

XX საუკუნის შუაწლებიდან კი მისი „მუდმივი და მარადიული მეგობარი“ გახდა ატლანტის ოკეანესგაღმელი ოდესღაც ყოფილი კოლონია – ამერიკის შეერთებული შტატები.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მთელ მსოფლიოში ომამდელისაგან ძალიან განსხვავებული სიტუაცია შეიქმნა. ბრიტანეთის იმპერიამ რღვევა დაიწყო და სამი საუკუნის განმავლობაში ნაშენები კოლონიური იმპერია მეოთხედ საუკუნეზე ნაკლებ დროში ჩაჰბარდა წარსულს.

იმპერიის კიდევ უფრო სწრაფი დაშლა თანამედროვე პერიოდში რუსეთს დაატყდა თავს, მაგრამ, რუსეთისაგან განსხვავებით, ბრიტანეთში იმპერიას არავინ მისტირის. ბრიტანელები იმპერიის გარეშე უკეთესადაც ცხოვრობენ და საგარეო პოლიტიკაშიც მეტი არჩევანის საშუალება გაუჩნდათ.

ბრიტანეთის ყოფილი კოლონიების უდიდესი ნაწილი გაერთიანდა არცოუ მჭიდრო „*თანამეგობრობაში*“, რომელიც უფრო ისტორიულ-კულტურულ ფასეულობებზეა აგებული, ვიდრე საერთო პოლიტიკურ ან ეკონომიკურ ინტერესებზე.

ინსტიტუციურ დონეზე არ გაფორმებულა „***ანგლოსფერო***“ – ავსტრალია, ახალი ზელანდია, დიდი ბრიტანეთი, კანადა, შეერთებული შტატები – სადაც ინგლისურია ძირითადი ენა. მაგრამ ურთიერთობა მათ შორის უფრო ღრმა და ყოვლისმომცველია, ვიდრე სხვა ქვეყნებთან, თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ ეს ხუთი ქვეყანა ერთმანეთს სადაზვერვო ინფორმაციის საკმაო ნაწილს უზიარებს.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შექმნილ ბიპოლარულ სამყაროში, რომელშიც ერთ მხარეს იყო ტოტალიტარული სახელმწიფო – საბჭოთა კავშირი, გარშემორტყმული თავისი იძულებითი სატელიტებით, და მეორე მხარეს – დასავლეთის დემოკრატიული ქვეყნები, ბრიტანეთის ადგილი, რასაკვირველია, დემოკრატიულ სახელმწიფოთა ბლოკში იყო.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ნათელი გახდა, რომ ბირთვული იარაღის გარეშე ბრიტანეთს არ ექნებოდა საშუალება, დარჩენილიყო დიდ სახელმწიფოთა რიგში. ამიტომაც მან შექმნა ასეთი *შემაკავებელი* (*deterent*) იარაღი.

ბირთვულმა იარაღმა, რომელიც მძაფრად დაპირისპირებულ ორივე მხარეს ჰქონდა, მართლაც ითამაშა *შემაკავებლის* როლი და საქმე ცხელ ომამდე არ მისულა. მაგრამ 1946 წელს დაიწყო „ცივი ომი“.

„ცივი ომის“ დროს, 1949 წელს, ჩამოყალიბდა ევროატლანტიკური ალიანსი – *ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაცია*, ანუ *ნატო*, რომლის ერთ-ერთი წამყვანი წევრია დიდი ბრიტანეთი. მას განსაკუთრებული ურთიერთობა აქვს ამ სამხედრო ბლოკის და, საერთოდ, მსოფლიოს, უძლიერეს სახელმწიფოსთან – ამერიკის შეერთებულ შტატებთან.

„ცივი ომის“ დასრულების შემდეგ, 1989 წლიდან, შეიქმნა ილუზია, რომ *ნატოს* აღარ დარჩა ფუნქცია, რადგან მისი მოწინააღმდეგე ბანაკი დაიშალა და საფრთხეს აღარ წარმოადგენდა.

ეს ილუზია საკმაოდ სწრაფად გაიფანტა, როდესაც ცხადი გახდა, რომ დასავლეთისათვის საფრთხე სხვა მხრიდანაც შეიძლება წამოსულიყო: ეს აღმოჩნდა *საერთაშორისო ტერორიზმი*, რომლის წარმოშობას, გარკვეულწილად, კოლონიალიზმის ეპოქამ და დასავლეთის დიდი ქვეყნების არცთუ ყოველთვის რაციონალურმა საგარეო პოლიტიკამაც შეუწყო ხელი.

საერთაშორისო ტერორიზმს ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკა სერიოზულ საფრთხედ განიხილავს და ყურადღებას უთმობს ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკას, სადაც არსებობს ტერორიზმის წარმოშობის წინაპირობები.

გარდა ამისა, რუსეთმა ორიოდე ათეულ წელში შეძლო, აღედგინა და გაეზარდა თავისი სამხედრო პოტენციალი, რის პარალელურადაც აღორძინდა მისი საგარეო პოლიტიკური ამბიციები. მოსკოვში ამას „მუხლებიდან წამოდგომას“ უწოდებენ. ცენტრალური ევროპის იმ ქვეყნებისათვის კი, რომლებიც XXI საუკუნის დასაწყისში შეუერთდა ნატოს, რუსეთის პოლიტიკა გარკვეულ საფრთხეს შეიცავს. დიდ ბრიტანეთს, როგორც ნატოს წევრ სახელმწიფოს, პასუხისმგებლობა აკისრია მოკავშირეების დაცვისათვის.

თანდათანობით ფართოვდება ჩინეთის გლობალური საგარეო-პოლიტიკური ინტერესები. სამხრეთ ჩინეთის ზღვაში, კონტინენტიდან დიდი დაშორებით, პეკინმა 2014 წელს დაიწყო ხელოვნური კუნძულის შექმნა და მასზე დიდი სამხედრო აეროდრომის განთავსება, რაც უკვე არის შეშფოთების მიზეზი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის მეზობელ ქვეყნებში და ვაშინგტონში. ადრე თუ გვიან, ეს ლონდონის რეაქციასაც გამოიწვევს.

ამავე დროს, „ცივი ომის“ დასრულებამ ბრიტანეთში, ისევე, როგორც დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში, ხელი შეუწყო საზოგადოებაში პაციფისტური განწყობის გაბატონებას. ასეთი საზოგადოებრივი განწყობის გათვალისწინებით, ევროპის სახელმწიფოების მთავრობებმა, მათ შორის ბრიტანეთშიც, დაიწყეს თავდაცვის ხარჯების შემცირება. ამის გამო 1982 წლიდან 2015 წლამდე ბრიტანეთის არმიისა და ფლოტის პერსონალი შემცირდა 320 ათასიდან 159 ათას კაცამდე.

იყო მოლოდინი, რომ ბრიტანეთის თავდაცვის ხარჯები შეიძლებოდა ჩამოსულიყო *მშპ*-ის 2 პროცენტზე დაბლა, რაც ეწინააღმდეგება *ნატოს* სამხედრო დოქტრინას. კონსერვატიულმა მთავრობამ 2015 წელს გადაჭრით განაცხადა, რომ ბიუჯეტი გაითვალისწინებს ამ „ორპროცენტიან ვალდებულებას“.
ამ თვალსაზრისით, ბრიტანეთი *ნატოს* სანიმუშო წევრია.

2015 წლის ნოემბერში ბრიტანეთის მთავრობამ პარლამენტს წარუდგინა „***ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის, სტრატეგიული თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმოხილვა***“, სადაც მკაფიოდ ჩამოყალიბდა ხედვა, თუ რა არის

სახელმწიფოს პრიორიტეტები. ქვემოთ მოკლედაა მოცემული ამ „მიმოხილვის“ ზოგიერთი დებულება:

✓ სავსებით ნათელია, რომ ეროვნული უსაფრთხოება დამოკიდებულია ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე და პირიქით – ეროვნული უსაფრთხოება უზრუნველყოფს ეკონომიკურ უსაფრთხოებას. ამიტომ ბრიტანეთის მთავრობა ზრუნავს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე, რაც თავდაცვის ბიუჯეტის გარანტირებული შენარჩუნების საწინდარია.

✓ ბრიტანეთის მიმდინარე საფრთხეებად მიჩნეულია ე.წ. „ისლამური სახელმწიფოს“ აღმასვლა ახლო აღმოსავლეთში და იქიდან მომდინარე ტერორიზმის საფრთხე, ზოგადი არასტაბილურობა იმავე რეგიონში, უკრაინის კრიზისი, *კიბერთავდასხმების* გახშირება.

✓ გაერთიანებული სამეფო გეგმავს თავისი შეიარაღებული ძალების გადაიარაღებას, რისთვისაც სახელმწიფო კომპანია *BAE Systems Maritime* შოტლანდიაში, მდ. კლაიდზე მდებარე როსაითის (*Rosyth*) გემსაშენში აშენებს ორ თანამედროვე ავიამზიდს სახელად „*Queen Elizabeth II*“ და “*Prince of Wales*“.

✓ ბრიტანული წარმოების *თუპპოონ*-ის ტიპის მრავალფუნქციურ ავიაგამანადგურებლებს დაემატება უახლესი ამერიკული *35 Lightning*-ის ტიპის თვითმფრინავების ორი ესკადრილია – 24 ცალი, რომლებიც 2023 წლისათვის განლაგდება ახალ ავიამზიდებზე. შოტლანდიაში განთავსებულ წყალქვეშა ბაზირების ბირთვულ შემაკავებელს, *Trident*-ის სისტემას, დაიცავს ამერიკული წარმოების ცხრა ახალი საზღვაო საპატრულო თვითმფრინავი *Boeing P8*. იგეგმება ბირთვული იარაღის მატარებელი ოთხი წყალქვეშა ნავის ახლებით შეცვლა, რისთვისაც 31 მილიარდი პაუნდი გამოიყოფა (*თუმცა, თავიდანვე ნათელია, რომ ეს თანხა საკმარისი არ იქნება*.).

✓ უშიშროებისა და სადაზვერვო სააგენტოების დასაფინანსებლად მთავრობა დამატებით გამოყოფს 2,5 მილიარდ პაუნდს. ამ სააგენტოების მოქმედების მთავარ არეალებად დასახელებულია ახლო აღმოსავლეთი, აფრიკა, სამხრეთ აზია. კონტრტერორიზმი კვლავაც რჩება ძირითად საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტად.

უესტმინსტერ სიტიში (ლონდონი) შტაბ-ბინის მქონე მულტინაციონალური კომპანია *BAE Systems* აწარმოებს თავდაცვის და უსაფრთხოების სისტემების დიდ ნაწილს. ის აშენებს ავიამზიდებს, წყალქვეშა ნავებს და წყალზედა სამხედრო გემებს, თვითმფრინავებს, ჯავშანმანქანებს, ქვემეხებს და ა.შ. ის არის მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი კონტრაქტორი თავდაცვის სფეროში, ხოლო ბრიტანეთში სიდიდით მეორე კომპანიაა. მთავრობა ფლობს *BAE Systems*-ის „ოქროს წილს“. კანონით, არც ერთ უცხოელს ან უცხოელთ ჯგუფს არა აქვს უფლება, ფლობდეს კომპანიის აქციების 15 პროცენტზე მეტს, ხოლო მთავარი აღმასრულებელი და ბორდის თავმჯდომარე მხოლოდ ბრიტანეთის მოქალაქე შეიძლება იყოს.

✓ ხისტი ძალის გაძლიერებასთან ერთად, ბრიტანეთი დიდ როლს ანიჭებს საგარეო პოლიტიკაში „რბილი ძალის“ (*Soft power*, ეს ტერმინი 1990 წელს გაჩნდა) გამოყენებას. გარდა ტრადიციული და ეფექტიანი დიპლომატიური საქმიანობისა (ბრიტანეთს კი მსოფლიოს ქვეყნების 85 პროცენტში აქვს საელჩოები), „რბილი ძალის“ გამოვლინებაა *ბრიტანული ფასეულობების* გლობალურ დონეზე წარმოჩენა და გავრცელება.

✓ ბრიტანული ფასეულობებია სამოქალაქო უფლებები, კანონის უზენაესობა, სიტყვის თავისუფლება, საკუთრების უფლება, თანაბარი შესაძლებლობა ყველასათვის, პასუხისმგებელი ხელისუფლება. (*ყველაფერი ეს ამჟამად ვეღარ ჩაითვლება მხოლოდ „ბრიტანულ ფასეულობებად“: თუმცა ფაქტია, რომ თავიდან ისინი ბრიტანეთში ჩამოყალიბდნენ, ახლა ისინი ამჟღავნებენ ტენდენციას, გადაიქცნენ ზოგადევროპულ და ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებადაც კი*: ავტ.).

✓ ბრიტანული „რბილი ძალის“ გამტარებლებია *ბი-ბი-სი* და „*ბრიტანული საბჭო*“. იმავე მიზნით, ბრიტანეთი საგრძნობ დახმარებას უწევს განვითარებად ქვეყნებს, რასაც „*ზღვისგადაღმა განვითარებას*“ უწოდებს – ამ მიზნით იხარჯება მთლიანი შიდა შემოსავლის (*Gross National Income*) 0,7 პროცენტი, რაც რამდენიმე მილიარდ პაუნდს შეადგენს.

მომდევნო ქვეთავებში სხვადასხვა დონის დეტალიზაციითა და სხვადასხვა კუთხით განხილულია ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკის რამდენიმე მაგალითი – ურთიერთობა აშშ-თან, ევროკავშირთან, რუსეთთან, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან და საქართველოსთან.

თემა 26. გაერთიანებული სამეფოსა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობა.

ლიტერატურა: *გაერთ. სამ.* გვ.449-453

XIX საუკუნეში ურთიერთობა ბრიტანეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ერთგვაროვანი არ ყოფილა. ყოფილი მეტროპოლია ეჭვით უყურებდა ყოფილი კოლონიის სწრაფ განვითარებას. ამერიკის სამოქალაქო ომის დროს (1861-1865) ლონდონი უფრო სამხრეთის შტატების კონფედერაციას თანაუგრძნობდა, თუმცა უშუალო სამხედრო დახმარება მისთვის არ აღმოუჩენია.

ამავე დროს, გაერთიანებული სამეფოდან აშშ-ში შესული იმიგრანტები კვალიფიციური შრომითი რესურსების ძალიან მნიშვნელოვან კომპონენტს ქმნიდნენ თავის ახალ საცხოვრისში. ერთი ენა და მსგავსი კულტურა მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ორი ხალხის სიახლოვეში. ცნობილია, რომ XIX საუკუნეში ახალგამდიდრებული ამერიკელი მილიონერები ოცნებობდნენ თავიანთი ქალიშვილები ცოლად გაეყოლებინათ ბრიტანელი არისტოკრატებისათვის (ამ უკანასკნელებსაც ძალიან იზიდავდა კარგი მზითევი!). ასეთი ქორწინების მრავალი ფაქტი არსებობს. მაგალითად, *ჯენი ჯერომი,* ამერიკელი მილიონერის ქალიშვილი გახდა მალბოროს ჰერცოგის შთამომავალი *უინსტონ ჩერჩილის* დედა.

პირველ მსოფლიო ომში აშშ-ის ჩართვა ანტანტის მხარეს გადამწყვეტი აღმოჩნდა ამ უკანასკნელის გამარჯვებისათვის. მაგრამ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ აშშ დაუბრუნდა იზოლაციონიზმის პოლიტიკას, ის არც „*ერთა ლიგის*“ წევრი გახდა და არც ევროპის საქმეებში ჩარეულა და ვერ შეუშალა ხელი გერმანიაში რევანშიზმისა და აგრესიული ნაციზმის წარმოშობას.

თანამედროვე ბრიტანულ-ამერიკული ურთიერთობები რეალურად გამოიჭედა *მეორე მსოფლიო ომის* დროს, თუმცა, ევროპაში 1939 წელს დაწყებულ ომში ამერიკა თავიდან არ ჩაბმულა. პრეზიდენტ *ფრანკლინ დელანო რუზველტს* უხდებოდა ამერიკელების ანტისაომარი საზოგადოებრივი განწყობის გათვალისწინება, რომელიც დაახლოებით ასეთი იყო: „რატომ უნდა შევწიროთ ჩვენი ბიჭების სიცოცხლე ევროპელი იმპერიალისტების ერთმანეთში დავას?“

როდესაც 1940 წლის ივნისში საფრანგეთი დანებდა ჰიტლერს და ნაცისტები მალევე შეუდგნენ ბრიტანეთის დაბომბვას, პრეზიდენტ რუზველტის ადმინისტრაციაში ნათლად დაინახეს, თუ რა რისკს შეიცავდა ბრიტანეთის დამარცხება ამერიკისათვის. მაშინ, ალბათ, იმასაც უშვებდნენ, რომ, ლონდონის დაცემის შემთხვევაში, იქ საფრანგეთის ვიშისტური რეჟიმის მსგავსი კოლაბორაციონისტული მთავრობა შეიქმნებოდა, ხოლო ბრიტანული სამეფო ფლოტი, ფრანგულ ფლოტთან ერთად, ნაცისტების განკარგულებაში გადავიდოდა. იმ დროს არსებული ამერიკული საზღვაო ძალა კი გერმანიის მიერ გაერთიანებული ევროპის ფლოტს ვერც ატლანტისა და ვერც წყნარ ოკეანეში გაუმკლავდებოდა. ამდენად, ბრიტა-

ნეთის საბრძოლო პოტენციალის შენარჩუნება ამერიკისთვის აუცილებელი იყო. არ დაგვავიწყდეს, რომ იმ დროს აშშ-ს ბირთვული იარაღი ჯერ არ ჰქონდა.

ამერიკამ დაუწყო დიდი სამხედრო, ფინანსური და სასურსათო დახმარების აღმოჩენა ბრიტანეთს წლინახევრით ადრე, იქამდე სანამ იაპონელთა თავდასხმა *პერლ-ჰარბორის* სამხედრო-საზღვაო ბაზაზე (1941 წლის 7 დეკემბერი) მსოფლიო ომში პირდაპირ ჩაითრევდა მას.

უნდა ითქვას ისიც, რომ მსოფლიო ომის დროს, გარეგნული გულითადობის მიუხედავად, ურთიერთობა ამერიკელ და ბრიტანელ პოლიტიკოსებს შორის მარტივი არ ყოფილა. მაგალითად, ჩრდილოეთ აფრიკაში სამხედრო ოპერაციების დაგეგმვისას ამერიკელებს უჩნდებოდათ საკვლევი ლოგიკური კითხვა: რა არის პრიორიტეტული ბრიტანეთისათვის – ნაციზმის დამარცხება, თუ იმპერიული ინტერესები ახლო აღმოსავლეთში? ომის ბოლოს უინსტონ ჩერჩილი ოცნებობდა მსოფლიოზე აშშ-ისა და ბრიტანეთის დომინირებით, ხოლო რუზველტს ეწადა „მსოფლიო იმპერიების გარეშე“. ის ღიად აცხადებდა, რომ საფრანგეთს უნდა ჩამოერთვას კოლონიები, რომლებსაც ის ვერ მართავს. იქნებ რუზველტი იმავეს ფიქრობდა ბრიტანული კოლონიური იმპერიის შესახებაც?

ჩერჩილი რუზველტზე უფრო ნათლად ხედავდა, თუ რა საფრთხეს უქმნიდა საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმი დანარჩენ ევროპას და მეზობელ ქვეყნებს. 1945 წლის თებერვალში იალტის კონფერენციაზე ჩერჩილმა ვერ დაიყოლია რუზველტი უფრო მტკიცე პოზიციის გამოხატვაზე ევროპაში საბჭოთა გავლენის სფეროს მოსაპოვებლად სტალინის მიმწოლი პოლიტიკის მიმართ. იმავე 1945 წლის აპრილში რუზველტი გარდაიცვალა, ხოლო ივლისში ბრიტანელმა ამომრჩეველმა საერთოდ ჩამოაშორა ჩერჩილი ომისშემდგომი საკითხების მოგვარებას.

“ცივი ომის“ დროს ბრიტანეთის სტრატეგიული პარტნიორობა ამერიკასთან მისი საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედი გახდა და ასეთად რჩება დღემდე. ზოგიერთ შემთხვევაში ამას ხელს უწყობდა ლიდერების გულითადი ურთიერთობა პიროვნულ დონეზე, რომელიც ჩამოყალიბდა, მაგალითად, 1980-იან წლებში – *მარგარეთ თეთჩერსა* და *რონალდ რეიგანს* შორის, XXI საუკუნის დასაწყისში – *ტონი ბლერსა* და *ჯორჯ ბუშს* (უმცროსს) შორის.

ბრიტანულ-ამერიკული სტრატეგიული პარტნიორობა განსაკუთრებით გამოვლინდა მათ კოორდინირებულ მოქმედებაში ახლო და შუა აღმოსავლეთში – 1991 წლის ოპერაცია „უდაბნოს ქარიშხალში“ (ქუვეითის გასათავისუფლებლად), 2001 წლიდან – ავღანეთში და 2003 წლიდან – ერაყში. სხვა საქმეა, რამდენად კარგად იყო გააზრებული ამ ოპერაციების შესაძლო შორსმიმავალი შედეგები, რომლებიც, სამწუხაროდ, არცთუ დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა. ეს საკითხი განხილულია ქვეთავში „ბრიტანეთი ახლო აღმოსავლეთში“.

ამერიკელი და ბრიტანელი ოფიციალური პირები, უმაღლესი დონიდან მოყოლებული ყველა სხვა დონეზე, ატარებენ ხშირ და სიღრმისეულ კონსულტაციებს გლობალური საკითხების შესახებ. საერთაშორისო ორგანიზაციებში ან

კრიზისული მოვლენებისას ორი ქვეყნის დიპლომატები, უპირველესად, ერთიმეორეს მიმართავენ, რასაც, რასაკვირველია, ხელს უწყობს საერთო ენა, კულტურული მსგავსება და თანამშრომლობის ხანგრძლივი ტრადიცია. თავდაცვით მრეწველობაში კოოპერაციისა და იარაღით ვაჭრობის სფეროებში, დაზვერვით საქმიანობაში, კონტრტერორისტულ აქციებში ორი ქვეყანა უმთავრესი პარტნიორია ერთიმეორისათვის.

დიდია ეკონომიკური კავშირებიც. ამერიკულმა პირდაპირმა ინვესტიციებმა დიდ ბრიტანეთში 2013 წელს 571 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინეს, ხოლო ჯამური ამერიკული კორპორაციული აქტივები 5 ტრილიონ დოლარს აჭარბებდა, რაც ამერიკის მთელი საზღვარგარეთული აქტივების 22 პროცენტი იყო. იმავე წელს ბრიტანული პირდაპირი ინვესტიციები აშშ-ში 518,6 მილიარდი დოლარი იყო, ხოლო ამერიკაში ბრიტანული კორპორაციული აქტივების მოცულობა 2,4 ტრილიონ დოლარს აღწევდა. ბრიტანული ფირმები ამერიკაში ერთ მილიონამდე ადამიანს ასაქმებდნენ, ხოლო ამერიკული ფირმები ბრიტანეთში – 1,27 მილიონს.

„განსაკუთრებული ურთიერთობა“ (*special relationship*) ყველაზე ხშირად გამოყენებული ტერმინია ამ ორი ქვეყნის თანამშრომლობისათვის საერთაშორისო არენაზე. შეიძლება ითქვას, რომ ბრიტანულ-ამერიკულ განსაკუთრებულ ურთიერთობას გარკვეული მასტაბილიზებელი გავლენა აქვს საერთაშორისო ვითარებაზე მსოფლიო მასშტაბით.

აღსანიშნავია, რომ აშშ დაინტერესებული იყო, რომ გაერთიანებული სამეფო ევროპულ კავშირში დარჩენილიყო, რადგან მისი ევროკავშირიდან გასვლა შეასუსტებდა ამერიკის გავლენას ევროპაში. ასეთ შემთხვევაში დანარჩენი ევროკავშირი, ბრიტანეთის გარეშე, ნაკლებსანდო პარტნიორი იქნებოდა ამერიკისათვის უშიშროებისა და თავდაცვის საკითხებში.

თემა 27. გაერთიანებული სამეფოსა და ევროპული კავშირის ურთიერთობა. Brexit-ის გამო შექმნილი პრობლემები.

ლიტერატურა: გაერთ. სამ. გვ.453-461

კოლონიური იმპერიის დაშლის შემდეგ ბრიტანეთის მთავარი სავაჭრო პარტნიორები თანდათან გახდნენ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები.

ევროპის ექვსმა ქვეყანამ – გერმანიამ, საფრანგეთმა, იტალიამ, ნიდერლანდებმა, ბელგიამ და ლუქსემბურგმა – 1957 წლის 25 მარტს რომში დადეს ხელშეკრულება, რომლითაც შეიქმნა *ევროპული ეკონომიკური გაერთიანება* (*ეეგ*). ბრიტანეთის თავდაპირველ მცდელობას – შეერთებოდა *ეეგ*-ს 1961 წელს ვეტო დაადო საფრანგეთის იმდროინდელმა პრეზიდენტმა *შარლ დე გოლმა*.

ბრიტანეთი (დანიასთან და ირლანდიის რესპუბლიკასთან ერთად) *ეეგ*-ში მიიღეს მხოლოდ 1973 წლის 1 იანვარს.

კონტინენტური ევროპის ქვეყნებში ახსოვდათ, რა საშინელი ნგრევა მოუტანა მათ XX საუკუნის ორმა მსოფლიო ომმა. *ეეგ*-ის დამფუძნებელი ქვეყნები (და ყველა თანარჩენი, ვინც მოგვიანებით შეუერთდა მას და მის მემკვიდრე *ევროკავშირს*) მჭიდრო ალიანსში უპირველესად ხედავდა თავშესაფარს – ევროპაში ახალი ომების თავიდან აცილების საუკეთესო საშუალებას.

ბრიტანელებისათვის კი, რომლების ნაწილს, განსაკუთრებით უფროს თაობებს, 1960-1970-იან წლებში ჯერ არ ჰქონდა დავიწყებული, რომ ცოტა ხნის წინ დიდ იმპერიას ფლობდნენ, ფსიქოლოგიურად ძნელი იყო იმის აღქმა, რომ კონტინენტურ ევროპასთან კავშირში შესვლა სუვერენიტეტის გარკვეულ დათმობას გულისხმობდა. საკმაოდ ბევრი ბრიტანელისათვის *ეეგ*-ში შესვლა სულაც არ იყო რაღაც „დამამშვიდებელი პრიზი" იმპერიის დაკარგვის შემდეგ. ბრიტანეთში თავიდანვე გაჩნდნენ *ევროსკეპტიკოსები*.

ასეთი საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით 1975 წელს იმდროინდელმა ლეიბორისტულმა მთავრობამ ჩაატარა ქვეყნის ისტორიაში პირველი რეფერენდუმი ბრიტანეთის *ეეგ*-ში დარჩენა-არდარჩენის შესახებ. იმ ჯერზე უმრავლესობამ მხარი დაუჭირა კონტინენტურ ევროპასთან ერთად ყოფნას.

1992 წლის მაასტრიხტის ხელშეკრულებით *ეეგ* გარდაიქმნა ***ევროპულ კავშირად***, რომელშიც ბრიტანეთიც შევიდა. იმ დროისათვის გაერთიანება უკვე გაზრდილი იყო კიდევ სამი ქვეყნით: 1981-1986 წლებში მასში შევიდნენ საბერძნეთი, ესპანეთი და პორტუგალია. შემდგომში ევროპული კავშირი კიდევ უფრო გაფართოვდა და 2013 წლისათვის 28 ქვეყანას ითვლიდა.

ევროკავშირის შემადგენლობაში ყოფნამ დადებითად იმოქმედა ბრიტანეთის ეკონომიკაზე. მან სერიოზული მოდერნიზაცია განიცადა, სწრაფად განვითარდა, განამტკიცა კოოპერაციული კავშირები კონტინენტურ ევროპასთან, სადაც იყიდება ბრიტანული პროდუქციის ნახევარი.

მართალია, ბრიტანეთის შენატანი ევროკავშირის საერთო ხაზინაში დიდი იყო, მაგრამ ის ნაკლები იყო გერმანიისა და საფრანგეთის შენატანზე, ხოლო ერთ სულზე გადათვლით კიდევ რამდენიმე ქვეყანას ჩამორჩებოდა. ამავე დროს, ბრიტანეთის დეპრესიული რეგიონები და ქალაქები, სადაც ძველი სამრეწველო ობიექტები დაიხურა და უმუშევრობამ იმატა, მაგალითად, სამხრეთ უელსში, ჩრდილოეთ ინგლისში, სარგებლობდნენ ევროკავშირის საერთო ხაზინის არც თუ მცირე დახმარებით.

აქვე უნდა ითქვას, რომ კიდევ უფრო კეთილისმყოფელი შედეგი მოუტანა ევროკავშირში წევრობამ ირლანდიის რესპუბლიკას, რომელიც ევროპის ყველაზე ჩამორჩენილი ქვეყნიდან ერთ-ერთ ყველაზე მოწინავედ იქცა.

ბრიტანეთმა მოითხოვა და მიიღო განსაკუთრებული პირობები ევროკავშირში: ის არ შეუერთდა "შენგენის ზონას"[12] , არ შემოიღო ერთიანი ევროპული ვალუტა – ევრო, რომელიც 2016 წლისათვის ევროპის 19 ქვეყანაში ტრიალებდა. 2014 წელს იმდროინდელმა შინაგან საქმეთა მინისტრმა *თერეზა მეიმ* მიაღწია იმას, რომ ბრიტანეთზე არ გავრცელებულიყო ევროკავშირის სამართლებრივი და შინაგან საქმეთა პოლიტიკის საკმაო ნაწილი.

მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის 28 წევრი-სახელმწიფოს მოსახლეობამ შეინარჩუნა და არ აპირებს დათმოს საკუთარი ეროვნული მემკვიდრეობა და ტრადიციები, გაჩნდა გარკვეული დონის „საერთოევროპული იდენტობაც", განსაკუთრებით ევროკავშირის დამაარსებელ წევრ-სახელმწიფოებში. მაგრამ ბრიტანელების დიდი ნაწილი „ასეთ ევროპელად" თავს არ მიიჩნევდა. ბრიტანელი კონსერვატორებისათვის განსაკუთრებით მიუღებელი იყო ევროკავშირის ძირითადი ამოცანა – *ევროპის ხალხების სულ უფრო მჭიდრო კავშირის შექმნა.*

როგორც აღინიშნა მე-3 თავში, „ევროსკეპტიკოსების" აქტივობამ იმატა კონსერვატიული პარტიის მმართველობის პერიოდში XXI საუკუნის მეორე ათწლეულში. 2016 წლის 23 ივნისს ბრიტანეთში ჩატარდა რეფერენდუმი ევროკავშირში დარჩენის შესახებ და მასში მონაწილეთა უმრავლესობამ ევროკავშირიდან ქვეყნის გასვლას მისცა ხმა.

რეფერენდუმის შემდეგ, სულ სამ კვირაში, ბრიტანეთში შეიქმნა ახალი მთავრობა, რომლის მეთაური, *თერეზა მეი*, რეფერენდუმის დროს ევროკავშირში დარჩენას ემხრობოდა. მაგრამ ქ-ნ *მეის* ახალი კაბინეტის შემადგენლობა ეჭვს არ ტოვებს, რომ *Brexit*-ი მალე, შეიძლება, რეალობად იქცეს. საგარეო და თანამეგობრობის საქმეთა სახელმწიფო მდივნად (ანუ საგარეო საქმეთა მინისტრად) *მეიმ* დანიშნა ევროკავშირიდან გასვლის კამპანიის აქტიური ხელმძღვანელი *ბორის ჯონსონი*; კაბინეტში შეიქმნა ევროკავშირიდან გასვლის სახელმწიფო მდივნის

[12] „შენგენის ზონა" მოიცავს *ევროპული კავშირის* წევრი ქვეყნების დიდ ჯგუფს, სადაც არსებობს ერთიანი ვიზით შესვლის საშუალება. ბრიტანეთში შესასვლელად ცალკე ვიზაა საჭირო.

ახალი პოსტი, რომელზეც ვეტერანი ევროსკეპტიკოსი *დევიდ დევისი* დაინიშნა; თავგამოდებული ევროსკეპტიკოსი *ლიამ ფოქსი* საერთაშორისო ვაჭრობის სახელმწიფო მდივანი გახდა: ეს პოსტიც ახალშექმნილია.

თერეზა მეიმ განაცხადა, რომ ვალდებულია აღასრულოს ხალხის ნება, რაც სახელმწიფოს ევროპული კავშირიდან გასვლას გულისხმობს.

რა პროცედურები იქნება ამისათვის გასავლელი და რა პოტენციური შედეგები შეიძლება მოიტანოს *Brexit*-მა ბრიტანეთისათვის და ევროპული კავშირისათვის?

ევროკავშირის ქვეყნების 2009 წლის „ლისაბონის ხელშეკრულებაში" პირველად გაიწერა კავშირიდან წევრი-სახელმწიფოს გასვლის ფორმალური წესები (მუხლი 50). ამ მუხლის შესაბამისად საკმარისია სახელმწიფოს მხრიდან გასვლის შესახებ განცხადების გაკეთება, რომ დაიწყოს გასვლის პროცედურა, რომლის შესახებ მოლაპარაკება შეიძლება გაგრძელდეს ორი წლის განმავლობაში. შეთანხმებას დებენ გასვლის მოსურნე სახელმწიფო და ევროპული კავშირის საბჭო, რომელსაც საბოლოო ხელმოწერისათვის ესაჭიროება ევროპული პარლამენტის თანხმობა. ევროპარლამენტის წევრებს გამსვლელი სახელმწიფოდან (ამ შემთხვევაში, 74 წევრს დიდი ბრიტანეთიდან) უფლება აქვთ მიიღონ მონაწილეობა კენჭისყრაში შეთანხმების დასამტკიცებლად.

თუ ორწლიან პერიოდში მოლაპარაკება შეთანხმებით ვერ დამთავრდება და მოლაპარაკების ვადა ყველა ქვეყნის თანხმობით არ გაგრძელდება, განმცხადებელი სახელმწიფო ავტომატურად დატოვებს ევროკავშირს.

ორი წლის ათვლა იწყება იმ დღიდან, როდესაც სახელმწიფოს მეთაური, ან მისი მთავრობის მეთაური ფორმალურ შეტყობინებას გაუგზავნის ევროკავშირის ხელმძღვანელობას.

ბრიტანეთის მთავრობამ 50-ე მუხლის აამოქმედა 2017 წლის მარტში.

ევროკავშირიდან გასვლის შემდეგ ბრიტანეთში აღარ იმოქმედებს ევროკავშირის საკანონმდებლო აქტები და ხელშეკრულებები. ყველა ასეთი რეგულაცია (მათი რაოდენობა კი 12 ათასს აჭარბებს!), რომელიც ბრიტანეთმა მიიღო ევროკავშირის ადრეული გადაწყვეტილებების შესასრულებლად, მისმა პარლამენტმა თავად უნდა გააუქმოს ან შეასწოროს. ამის კოორდინაცია ევროკავშირიდან გასვლის სახელმწიფო მდივნის ფუნქცია იქნება.

გაერთიანებული სამეფოსათვის განსაკუთრებით საჩოთირო იქნება ის, რომ მას მოუხდება ევროკავშირის ბევრი რეგულაციის ძალაში დატოვება, თუკი მას სურს შეინარჩუნოს მასთან *თავისუფალი ვაჭრობის* უფლება.

ბრიტანეთის ყველა პოლიტიკოსი, რომელიც *რეხიტ*-ისაკენ მოუწოდებდა ამომრჩევლებს, რეფერენდუმის წინ პირდებოდა მათ, რომ შენარჩუნდება ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობით მიღებულ ყველა სიკეთე და, ამავე დროს, შეიზღუდება იმიგრაცია კონტინენტური ევროპიდან.

რა იყო ეს ლიტონი განცხადებები – მიზანმიმართული სიცრუე, თუ „სათავისო ფიქრები"? ორივე შემთხვევაში *Brexit*-ის მომხრე პოლიტიკოსები კარგად არ გამოიყურებიან. მაგრამ ბრიტანელი (ძირითადად, ინგლისელი) ხალხის უმეტესობამ მათ დაუჯერა.

როდესაც ბრიტანეთის მთავრობა დაიწყებს რეალურ მოლაპარაკებას ევროკავშირის ხელმძღვანელ ორგანოებთან, ლონდონი აუცილებლად წააწყდება ევროკავშირის 27 წევრი-სახელმწიფოს წინააღმდეგობას. უკვე 2016 წლის 29 ივნისს ევროკავშირის საბჭოს სამიტზე შეკრებილმა 27 ქვეყნის ლიდერმა, რომლებსაც, ჩვეულებრივ, განსხვავებული თვალსაზრისი აქვთ ხოლმე მრავალ საკითხზე, ამჯერად მალე მიაღწიეს საერთო აზრს. სამიტმა მიაწოდა მტკიცე გზავნილი ბრიტანეთს, რომ თუ მას სურს კვლავაც დარჩეს ევროპის საერთო ბაზრის წევრად, მან უნდა აღიაროს და მიიღოს **ევროკავშირის ოთხივე თავისუფლება – საქონლის, კაპიტალის, ადამიანებისა და მომსახურების თავისუფალი გადაადგილების თავისუფლება.**

ასეთი აღიარება კი *Brexit*-ის მომხრეების მოლოდინს და პოლიტიკოსების დაპირებებს მთლიანად გააუფასურებს.

სწორედ ამას გულისხმობდა ბრიტანელი პოლიტიკური მიმომხილველი *მარკ მერდელი* (*Mark Mardell*), როდესაც რეფერენდუმის შემდეგ დაწერა:

"ჩვენ თავი განსხვავებულად მიგვაჩნია და, ამიტომაც, ცოტა ხანში ჩამოვშორდებით იმ საბჭოებსა და კომისიებს, რომლებიც ჯერაც განსაზღვრავენ ევროპის კონტინენტის სვე-ბედს. ვინმემ ბრიუსელში იქნება ნიშნის მოგებით გაგვახსენოს ჯონ გონტის სიტყვები შექსპირის 'რიჩარდ II'-დან:

ინგლისი, ადრე სხვათა ქვეყნის პყრობის მსურველი,
საკუთარ თავის სამარცხვინო მპყრობლად ქცეულა".

ცნობისათვის: მეფე *რიჩარდ* II წარუმატებლად მეფობდა XIV საუკუნის ინგლისში და ის ტახტიდან გადააყენეს.

ევროპელ ლიდერებს არ შეუძლიათ რაღაც პრივილეგია მიანიჭონ გასვლის მსურველ ქვეყანას, თუნდაც იმიტომ, რომ არ წაახალისონ სხვა ქვეყნებშიც არსებული ევროსკეპტიკოსები. ამ უკანასკნელებმა უკვე წამოყვეს თავი, მაგალითად, საფრანგეთში, ნიდერლანდებში, ჩეხეთში. ისინი სხვა ქვეყნებშიც არიან.

ევროკავშირიდან გაერთიანებული სამეფოს გასვლის შემთხვევაში კავშირი დაკარგავს მოსახლეობის 13 პროცენტს და მთლიანი შიდა პროდუქტის (*მშპ*) 17 პროცენტს. მართალია, ასეთ შემთხვევაში გერმანია და საფრანგეთი ევროკავშირის ეკონომიკის დომინანტები გახდებიან *მშპ*-ის 25 და 18 პროცენტით, მაგრამ მათაც ურჩევნიათ, რომ მათი უახლოესი ეკონომიკური და პოლიტიკური პარტნიორი – ბრიტანეთი – რჩებოდეს კავშირის შემადგენლობაში.

Brexit-ის მოთავეები ამომრჩეველს უმტკიცებდნენ, რომ ევროკავშირიდან გასვლის შემთხვევაში ბრიტანეთის მოქალაქეები უკეთ იცხოვრებენ. რეალობა კი

ისაა, რომ უცხოელი ინვესტორები დაელოდებიან შექმნილი გაურკვეველი ვითარების დაძლევას იქამდე, სანამ ბრიტანეთის ეკონომიკაში კაპიტალს დაა-ბანდებენ. არსებული კომპანიებიც, რომლებიც ასაქმებენ უამრავ ადამიანს, ორჯერ გაზომავენ უღირთ თუ არა საქმიანობის გაგრძელება „ევროპისაგან იზოლირებულ სახელმწიფოში".

მსხვილი მულტინაციონალური კომპანიებისა და ბანკების მესვეურები რეფერენდუმამდეც არ გამორიცხავდნენ შტაბ-ბინების გადატანას სხვა ქვეყნების ქალაქებში ლონდონის *სიტიდან* და *კენერი უორფიდან* (ლონდონის უბანი, სადაც ასევე განლაგებულია დიდი ფინანსური ორგანიზაციების შტაბ-ბინები), თუკი ბრიტანეთი ევროკავშირიდან გასვლას გადაწყვეტდა. ეს კი ქვეყნის ეკონომიკას საგრძნობ ზარალს უქადდა.

რეფერენდუმის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ პარიზი, დუბლინი, ლუქ-სემბურგი, ფრანკფურტი, ამსტერდამი უკვე ეცილებიან ერთმანეთს ლონდონიდან პოტენციურად წამსვლელი ფინანსური ორგანიზაციების მოწვევაში.

როდესაც 2012 წელს პრეზიდენტ *ფრანსუა ოლანდის* ინიციატივით საფ-რანგეთმა დიდ ბიზნესს დაუწესა მოგების უზარმაზარი, 75 პროცენტიანი, გა-დასახადი, ლონდონის იმდროინდელი მერი *ბორის ჯონსონი* ტკბილად მოუწო-დებდა ფრანგულ კომპანიებს „*Venez à Londres, mes amis*!" (*მოდით ლონდონში, ჩემო მეგობრებო*). ზოგი კომპანია მართლაც მოვიდა: ლონდონში გადასახადის ნორმა ბევრად ნაკლები იყო, ვიდრე პარიზში. ახლა კი საფრანგეთის ხელისუფლება ცდი-ლობს გამოიყენოს ბრიტანეთში შექმნილი სირთულეები და დიდ საგადასახადო შედავათებს პირდება ლონდონში ბაზირებულ კომპანიებს, თუკი ისინი პარიზში დაიდებენ ბინას.

ბუნებრივია, სიტიდან და ზოგადად ბრიტანეთიდან უცხოური კომპანიების წასვლა დაუყოვნებლივ არ მოხდება. ეს პროცესი დროში გაიჭიმება, მაგრამ როდესაც ბრიტანეთი გავა ევროკავშირიდან, პროცესი აუცილებლად დაჩქარდება და მოსახლეობა ამას ბოლოს და ბოლოს იგრძნობს.

ბრიტანეთში გაისმის გარკვეული ოპტიმისტური ნოტებიც: „*ქვეყანა ევროკავშირის გარეშეც გაძლებს*!". მიუხედავად იმისა, რომ რეფერენდუმის შედეგე-ბი შოტლანდიაში ინგლისისაგან განსხვავებული იყო (შოტლანდიაში 62 პროცენტმა ევროკავშირში დარჩენას დაუჭირა მხარი), გაერთიანებული სამეფოს დაშლა ადვილი საქმე არ იქნება: შოტლანდიელებსაც, ალბათ, ესმით, რომ მათი ქვეყანა ავტომატურად ვერ გახდება ევროკავშირის წევრი.

ევროკავშირიც გაძლებს ბრიტანეთის გარეშე. მაგრამ ევროკავშირი, სა-ერთო ჯამში, ისევე დაზარალდება კავშირში ბრიტანეთის არყოფნით, როგორც ბრიტანეთი ევროკავშირის გარეთ. რასაკვირველია, ევროკავშირს ურჩევნია მის შემადგენლობაში იყოს ევროპაში სიდიდით მეორე ეკონომიკის მქონე, გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი ბრიტანეთი. ევროკავშირს კიდევ მრავალი სხვა თავსატეხიც აქვს, რომელთა შორისაა უკანონო იმიგრაცია ახლო აღმო-

სავლეთიდან და აფრიკიდან, ცალკეული ქვეყნების გიგანტური საბიუჯეტო დეფიციტი, არაერთი ქვეყნის უმაყოფილება ბრიუსელის ბიუროკრატიული მანქანის მუშაობის სტილის გამო და სხვ.

2016 წლის 16 სექტემბერს გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა პირდაპირ განაცხადა, რომ ევროპული კავშირი *„კრიტიკულ სიტუაციაშია"* და ევროპელმა ლიდერებმა უნდა აჩვენონ, რომ შეუძლიათ გაზარდონ თანამშრომლობა უსაფრთხოების, სამხედრო და ეკონომიკურ საკითხებში. მაგრამ ევროპელ ლიდერებს ხშირად აქვთ განსხვავებული თვალსაზრისი ასეთ თანამშრომლობაზე.

ცენტრალური ევროპის ზოგი ქვეყნის (მაგალითად, სლოვაკეთისა და უნგრეთის) ხელმძღვანელობა აცხადებს მზადყოფნას ვეტო დაადოს ისეთ ხელშეკრულებას, რომელიც შეზღუდავს ბრიტანეთში მყოფი მათი მოქალაქეების უფლებებს და მათი გადაადგილების თავისუფლებას თუკი, ერთდროულად, ევროკავშირი სავაჭრო შეღავათებს მიანიჭებს დიდ ბრიტანეთს.

ორივე მხარე – დიდი ბრიტანეთიცა და ევროკავშირის ხელმძღვანელობა – შეეცდება კრიტიკული სიტუაციიდან საუკეთესო გამოსავალი გამონახოს. თუმცა, ჯერჯერობით არ ჩანს გზა, თუ როგორ უნდა მიაღწიოს ლონდონმა *Brexit*-ის დასახულ მიზნებს – შეზღუდოს ევროკავშირის სხვა ქვეყნებიდან მოსახლეობის თავისუფალი შემოსვლა, არსებითად შეკვეცოს მათი სოციალური უფლებები ბრიტანეთში და, ერთდროულად, შეინარჩუნოს თავისუფალი ვაჭრობა ევროკავშირთან.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირში რეალური *lingua franca* (შუამავალი ენა) დღემდე არის ინგლისური ენა და ის შემდგომშიც, ალბათ, შეასრულებს ამ როლს. ამასთან უცნობია, *Brexit*-ის შემდეგ ვინ დააფინანსებს ევროკავშირის ქვეყნების 24 ენაზე შექმნილი დოკუმენტების ინგლისურად თარგმნას ევროკავშირის ბრიუსელის შტაბ-ბინაში. ახლა ამის ხარჯების 91 პროცენტს დიდი ბრიტანეთი იხდის (დანარჩენს – ირლანდიის რესპუბლიკა).

****

ბრექზითის თემაზე იხ. ბმული

Brexit: All you need to know about the UK leaving the EU. bbc.com/news-politics-32810887

თემა 28. გაერთიანებული სამეფოსა და რუსეთის ურთიერთობა.

ლიტერატურა: *გაერთ. სამ.* გვ. 461-466

რამდენადაც რუსეთის ფედერაცია თავს მიიჩნევს საბჭოთა კავშირისა და რუსეთის იმპერიის სამართალმემკვიდრედ, უპრიანია, *დიდი ბრიტანეთის ურთიერთობა რუსეთთან* XIX-XXI საუკუნეების დინამიკაში განიხილებოდეს, თუნდაც ზოგადი მიმოხილვის სახით.

საერთო ჯამში, ბრიტანეთის იმპერიისა და რუსეთის იმპერიის ურთიერთობას მეგობრულს ვერ ვუწოდებთ და ის ვერც იქნებოდა ასეთი, რადგან ლონდონი და პეტერბურგი ერთმანეთთან მსოფლიო ჰეგემონობისათვის მეტოქეობდნენ. ამასთან, მათ ურთიერთობაში უფრო მეტ როლს თამაშობდა დიპლომატია და/ან სამხედრო ძალის დემონსტრაცია, ვიდრე რეალური სამხედრო მოქმედება.

მთელი ისტორიის მანძილზე ამ ქვეყნებმა მხოლოდ ერთხელ იომეს ერთმანეთთან, ისიც 160-ზე მეტი წლის წინ, როდესაც ანგლო-ფრანგულ-ოსმალურმა კოალიციამ ყირიმში დაამარცხა რუსეთის იმპერიის არმია და დროებით ქ. სევასტოპოლიც კი აიღო.

1904-1905 წლების რუსეთ-იაპონიის ომის დროს *დიდი ბრიტანეთი იაპონიას ემხრობოდა*, თუმცა არ გაუწევია მისთვის უშუალო სამხედრო დახმარება.

1907 წელს *ბრიტანულ-რუსული შეთანხმება* (იხ. თავი 3), რომელმაც ბოლო დაუდო იქამდე წარმოებულ „დიდ თამაშს“ ცენტრალურ აზიაში ჰეგემონობისათვის, *მესამე ძალის* ფაქტორით იყო განპირობებული. გერმანული იმპერიალიზმის საფრთხის ზრდის ფონზე, ორივე მხარე კომპრომისზე მიდიოდა – ამ შეთანხმებით ბრიტანეთი თავს იზღვევდა რუსეთის იმპერიის სამხრეთისაკენ სავსებ ით მოსალოდნელ ექსპანსიიისაგან, ხოლო იაპონიასთან დამარცხებული რუსეთის იმპერია თავს იზღვევდა ნაკლებად მოსალოდნელი, მაგრამ თეორიულად შესაძლებელი ბრიტანული ექსპანსიისაგან ცენტრალურ აზიასა და კავკასიაში.

1917 წლის რუსეთის რევოლუციების შემდეგ ამ შეთანხმებამ აზრი დაკარგა, თუმცა II მსოფლიო ომის დროს საბჭოთა კავშირმა და ბრიტანეთმა ირანის დროებითი ოკუპაცია განახორციელეს დაახლოებით 1907 წლის შეთანხმების სქემით, ანუ ჩრდილოეთ ირანში საბჭოთა არმია ჩადგა, სამხრეთში – ბრიტანული.

არცთუ იშვიათად, ბრიტანეთსა და რუსეთს მოიხსენიებენ, როგორც *XX საუკუნის მსოფლიო ომების დროინდელ მოკავშირეებს*, როდესაც ორივე მათგანისათვის საერთო მტერს წარმოადგენდა გერმანია, ჯერ კაიზერის, შემდეგ კი - ჰიტლერისა.

პირველ მსოფლიო ომში რუსულ-ბრიტანული მოკავშირეობა დროებითი მოვლენა აღმოჩნდა. მსოფლიო ომის დამთავრებამდე, 1918 წლის დასაწყისში, რუსეთის სათავეში რევოლუციის გზით მოსულმა ბოლშევიკურმა ხელმძღვანელო-

ბამ გერმანიასთან სეპარატული „ბრესტის ზავის“ დადებით უარი განაცხადა მოკავშირეობაზე *ანტანტასთან* (რომლის წევრიც იყო ბრიტანეთი), რითაც საგრძნობლად გაურთულა ომი ამ უკანასკნელს.

მეორე მსოფლიო ომში რუსულ-ბრიტანული მოკავშირეობა სიტუაციური იყო. მსოფლიო ომის დაწყებიდან თითქმის ორი წლის შემდეგ ჰიტლერმა თავისი ერთადერთი დაუმარცხებელი მტრის – დიდი ბრიტანეთის – „მოკავშირედ აქცია“ საბჭოთა კავშირი, მას შემდეგ, რაც 1941 წლის 22 ივნისს თავს დაესხა ამ უკანასკნელს. იქამდე კი საბჭოთა კავშირი იცავდა ნეიტრალიტეტს ევროპული ქვეყნების ომში და, 1939 წლის „მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტისა“ და თანამდევი ეკონომიკური შეთანხმების თანახმად, სტრატეგიულ ნედლეულსაც კი აწვდიდა ნაცისტურ გერმანიას: ნაწილობრივ, ამ ნედლეულის გამოყენებითაც ებრძოდა ეს უკანასკნელი დიდ ბრიტანეთს.

საბჭოთა კავშირზე გერმანიის თავდასხმისთანავე ჩერჩილმა დაუყოვნებლივ შესთავაზა მოკავშირეობა სტალინს, თუმცა ის დემოკრატიის დაუძინებელ მტრად მიაჩნდა. 1950 წელს გამოცემულ თავის წიგნში „***მეორე მსოფლიო ომი***“ (მე-3 ტომი) ჩერჩილმა ასე გაამართლა თავისი ნაბიჯი: “ *ჰიტლერი ჯოჯოხეთს რომ შესეოდა, თემთა პალატაში გამოსვლისას მე, სულ ცოტა, კეთილგანწყობით მოვიხსენიებდი ეშმაკს“.*

თავის მხრივ, სტალინი, რომელსაც ჩერჩილი ისეთივე მტრად მიაჩნდა, როგორც ყველა სხვა „კაპიტალისტი და იმპერიალისტი“, დათანხმდა ბრიტანეთთან მოკავშირეობას, რადგან გერმანელების პირველი შეტევა შეუჩერებელი ჩანდა. 1941 წლის ოქტომბერში ისინი მოსკოვს მიადგნენ და ვერ აიღეს ის ძირითადად იმის გამო, რომ იმ წლის შემოდგომა-ზამთარში რუსეთისთვისაც კი უჩვეულოდ ძლიერი ყინვა დაიჭირა – ტემპერატურა - 40^{0}ჩ-მდე დაეცა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაწყებულ „ცივ ომში“ საბჭოთა კავშირი და დიდი ბრიტანეთი მოწინააღმდეგე ბანაკებში აღმოჩნდნენ. „ცივი ომის“ საწყის ეტაპზე, 1945-1946 წლებში, სწორედ ლონდონის დიპლომატიამ დააჯერა ამერიკის პრეზიდენტი ჰარი ტრუმენი არ დაეშვა საბერძნეთის სამოქალაქო ომში კომუნისტების გამარჯვება და თურქეთის გამგებლობაში მყოფ შავი ზღვის სრუტეებში საბჭოთა ჰეგემონიის დამკვიდრება, რადგან ორივე ეს შედეგი გამოიწვევდა საბჭოთა კავშირის პირდაპირ გასვლას ხმელთაშუა ზღვაზე.

თავის მხრივ, *კრემლი* (იმ დროს ეს *სტალინის* ევფემიზმი იყო) 1945-1953 წლებში თავის მთავარ მტრად, ამერიკასთან ერთად, დიდ ბრიტანეთსაც მიიჩნევდა. კრემლის დავალებით, საბჭოთა დიპლომატია მუდმივად კრიჭაში ედგა უაიტჰოლის დიპლომატიას. მაგალითად, 1948 წელს საბჭოთა კავშირმა იმიტომ კი არ დაუჭირა აქტიურად მხარი ისრაელის სახელმწიფოს შექმნას, რომ კრემლში „იუდოფილური განწყობა“ სუფევდა, არამედ იმის გამო, რომ ამით ფიქრობდა ახლო აღმოსავლეთში დიდი ბრიტანეთისათვის პრობლემის შექმნას.

მას შემდეგ, რაც ბრიტანეთმა საკუთარ იმპერიაზე უარი თქვა და მსოფლიო ჰეგემონობა, შეიძლება ითქვას „დაუთმო ოკეანისგაღმელ ანგლოსაქსებს“, თვითონ კი „ევროპელ გრანდებში“ ყოფნას დასჯერდა, საბჭოთა კავშირს/რუსეთს შეეძლო ეფიქრა, რომ მისი ერთ-ერთი მთავარი მეტოქე ასპარეზობიდან მოიხსნა. მაგრამ მეტოქეობა გაგრძელდა.

საბჭოთა კავშირი ბოროტად იყენებდა 1970-იან წლებამდე ბრიტანეთში არსებულ ძალიან ლიბერალურ კანონმდებლობას, როდესაც იქ მცხოვრებ ან ჩასულ ადამიანს არ ევალებოდა პოლიციაში რეგისტრაცია (პირადობის მოწმობა ბრიტანეთში დღემდე არ შემოუღიათ), და თავისი საჯაშუშო ქსელის ძირითად ცენტრად აქცია ქ. ლონდონი. ბრიტანეთიდან პერიოდულად აძევებდნენ საბჭოთა მზვერავებს, რომლებიც იქ დიპლომატების ან ჟურნალისტების სახით მოქმედებდნენ. კრემლი ადეკვატურ ზომებს ღებულობდა და აძევებდა ბრიტანელი მზვერავების და დიპლომატებისა თითქმის თანაბარ რაოდენობას.

უკანასკნელ საბჭოთა ლიდერს, *მიხაილ გორბაჩოვს*, კარგი ურთიერთობა ჩამოუყალიბდა ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ *მარგარეთ თეთჩერთან.* სწორედ თეთჩერმა მიიჩნია, რომ „*ამ კაცთან მუშაობა შეიძლება*“ და უთხრა ეს ამერიკის პრეზიდენტ რონალდ რეიგანს.

„ცივი ომის“ უკანასკნელი აკორდი იყო 1990 წელს გერმანიის გაერთიანებისათვის ნებართვის მიცემა მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებული ქვეყნების, მათ შორის დიდი ბრიტანეთის, მიერ. სხვათა შორის, ახლა განსაიდუმლოებული საარქივო მასალა მოწმობს, რომ *მარგარეტ თეთჩერი* ბევრად უფრო სკეპტიკურად იყო განწყობილი გერმანიის გაერთიანების მიმართ, ვიდრე იმდროინდელი საბჭოთა კავშირის მმართველი *პოლიტბიურო*, სადაც ყველაზე ავტორიტეტული იყო საგარეო საქმეთა მინისტრის *ედუარდ შევარდნაძის* ხმა, რომელმაც გერმანიის გაერთიანებას მწვანე შუქი აუნთო.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ბრიტანულმა ფირმებმა დიდი ინვესტიციები განახორციელეს საბაზრო ეკონომიკასთან დაბრუნებულ რუსეთის ფედერაციაში.

XXI საუკუნის დასაწყისიდან ურთიერთობა შეიცვალა, უფრო სწორად, დაუბრუნდა თავის „ ბუნებრივ მდგომარეობას“, რაც, რეალურად, ურთიერთდაპირისპირებაა.

ლონდონი აძლევს თავშესაფარს ბევრ პოლიტიკურ ლტოლვილს რუსეთიდან. მაგალითად, მან შეიკედლა გაქცეული რუსი ჯაშუში *ალექსანდრ ლიტვინენკო*, რომელმაც რუსეთის დაზვერვის საიდუმლოებანი გასცა. 2006 წელს ის ლონდონში მოწამლეს რუსმა აგენტებმა, რასაც ბრიტანეთის მთავრობა მიიჩნევს მისი კანონმდებლობის აბუჩად აგდებად, საერთაშორისო სამართლისა და ქცევის წესების დარღვევად.

თავის მხრივ, მოსკოვმა შეიკედლა *ედვარდ სნოუდენი*, ამერიკელი, რომელმაც აშშ-ისა და, ზოგადად, დასავლეთის საიდუმლოებანი გასცა.

2014 წელს რუსულ აგრესიას აღმოსავლეთ უკრაინაში და ყირიმის ანექსიას ერთ-ერთი ყველაზე მწვავე რეაქცია დიდ ბრიტანეთში მოჰყვა: იქაური მასმედია რუსეთის კრიტიკით იყო სავსე. პოლიტიკოსები ცხარე განცხადებებს აკეთებდნენ.

2014-2016 წლებში ბრიტანეთის სამხედრო ავიაციას არაერთხელ უხდებოდა რუსული სტრატეგიული ბომბდამშენების დახვედრა ბრიტანეთის საჰაერო სივრცის სიახლოვეს, ჯერჯერობით კონფლიქტის გარეშე.

რეალურად, ბრიტანეთს მხოლოდ ეკონომიკური მეთოდების გამოყენება შეუძლია რუსული აგრესიული პოლიტიკის წინააღმდეგ, ისიც, დასავლეთის ქვეყნებთან ერთად და არა დამოუკიდებლად. ეს მისმა მთავრობამ იცის და, ამიტომ ცდილობს, „არ გადასცდეს სიფრთხილის კიდეს“ (ეს სიტყვები *ჰაფეზის* ერთი ლექსის ვახუშტი კოტეტიშვილისეული თარგმანიდანაა).

რაც შეეხება ბრიტანეთის გადაწყვეტილებას ევროკავშირიდან გასვლის შესახებ, რუსეთის ხელისუფლებას ოფიციალურად არ გამოუთქვამს თავისი შეფასება ამის თაობაზე. მაგრამ ბრიტანეთში არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ კრემლი გულში ხარობს იმის გამო, რომ „ევროკავშირს შლის რუსეთის მთავარი ოპონენტი – ინგლისი!“ ასეთ გრძნობას ინგლისურ ენაში გერმანულიდან ნასესხები სიტყვით აღნიშნავენ *შადენფრეუდე*, რაც „*ბოროტ კმაყოფილებად*“ შეიძლება ითარგმნოს.

ამავე დროს, ლონდონი წარმოადგენს მთავარ ნავსაყუდელს „ახალი რუსებისათვის“, რომელთაც საეჭვო სისწრაფით შეიძინეს მილიარდიანი სიმდიდრე რუსეთში. ერთ-ერთი მათგანი ლონდონის საფეხბურთო კლუბ „ჩელსის“ მფლობელი გახდა, ასეულობით მილიონი დაახარჯა და მრავალგზის ჩემპიონად აქცია იგი.

შეფასებით, ლონდონში ოცი ათასზე მეტი რუსი ცხოვრობს, უმეტესობა – შეძლებული ადამიანი. რუსული ისტებლიშმენტის გავლენიან წევრებს, როგორც ეკონომიკურ, ისე პოლიტიკურ ელიტას, ურჩევნია ინგლისის სკოლებსა და უნივერსიტეტებში მისცეს განათლება თავიანთ შვილებს და ბრიტანულ ბანკებში შეინახონ ქონება.

მიუხედავად ამისა, იმავე ელიტის წარმომადგენლები არ იშურებენ ანტიდასავლურ რიტორიკას. ყოველ შემთხვევაში, მოსკოვიდან ასე ისმის; რას ფიქრობენ გულში – უცნობია.

უკრაინაში უკანონო ქმედების გამო დასავლეთის მიერ რუსეთისათვის დაწესებული ეკონომიკური სანქციების მიუხედავად, მსხვილი ბრიტანული კომპანიები, მაგალითად, „ბრიტიშ პეტროლიუმი“, განაგრძობენ თანამშრომლობას რუსულ კომპანიებთან.

გრძელდება კულტურული თანამშრომლობაც, გამოფენების გაცვლა. რუსეთსა და ბრიტანეთს შორის არსებობს გარკვეული კულტურული მიზიდულობა. მაგალითად, კლასიკური ინგლისური ლიტერატურა ძალიან პოპულარულია რუსეთში, რუსული კლასიკური მუსიკა – ბრიტანეთში.

თემა 29. გაერთიანებული სამეფოს პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში.

ლიტერატურა: გაერთ. სამ. გვ. 466-477

იქამდე, სანამ ახლო აღმოსავლეთის რეგიონში აღმოჩნდებოდა ნავთობი (1908 წ.), ახლო აღმოსავლეთს ლონდონისათვის ჰქონდა მხოლოდ გეოპოლიტიკური მნიშვნელობა – ის იყო „*ბრიტანული ინდოეთის ფარი*“. სამხრეთისაკენ მისწრაფებული რუსეთის იმპერიის ბარიერად ლონდონს ესაჭიროებოდა XIX საუკუნეში მისუსტების სტადიაზე მყოფი ოსმალეთისა და სპარსეთის შენარჩუნება. ლონდონს ძლიერი კონკურენტის გამოჩენა არც ხმელთაშუაზღვისპირეთში სურდა და არც ინდოეთის ოკეანეში. ამიტომაც ორივე აღმოსავლურ იმპერიას, ოსმალეთს და, ნაკლებად, ირანს, ბრიტანეთი გარკვეულ დახმარებას უწევდა. დიპლომატიური ხერხებით (1829 და 1878 წლებში), და ერთხელ, სამხედრო გზითაც (1853-1856 წლების „ყირიმის ომი“), ის არ აძლევდა საშუალებას რუსეთს, სრულად დაემარცხებინა ოსმალეთი და აეღო სტამბოლი.

ბრიტანული ინდოეთის დაცვას ემსახურებოდა არაბეთის ნახევარკუნძულის სამხრეთ სანაპიროზე, ***ადენის*** ყურეში, ინგლისური სამხედრო-საზღვაო ბაზის დაფუძნება 1839 წელს. ინდოეთისაკენ მიმავალი გზის კონტროლის მიზნით, ბრიტანეთის მთავრობამ 1875 წელს შეიძინა ***სუეცის არხის*** აქციების საკონტროლო პაკეტი, რის შემდეგაც გარდაუვალი იყო იქვე მისი პოლიტიკური ინტერესების დაფიქსირება: 1882 წელს ბრიტანულმა არმიამ ***ეგვიპტის*** ფაქტობრივი ოკუპაცია განახორციელა. სუეცის არხის დაცვის მიზნით, 1878 წელს ბრიტანეთმა ოსმალეთის იმპერიას დაათმობინა ***კვიპროსი*** (ნომინალურად ეს კუნძული, ისევე, როგორც ეგვიპტე, 1914 წლამდე ოსმალეთის იმპერიის ნაწილად რჩებოდა). კვიპროსში ბრიტანეთმა დააარსა და დღემდე ინარჩუნებს ორ დიდ სამხედრო ბაზას – *აკროტირისა და დეკელიას.*

XIX საუკუნის მიწურულში დიდ ბრიტანეთს ახლო აღმოსავლეთში გ ამოუჩნდა კიდევ ერთი, ინდუსტრიულად მასზე მძლავრი და დიპლომატიურად უფრო მოქნილი, კონკურენტი – გერმანიის იმპერია. ბერლინმა სწრაფად მოახერხა უფრო გულთბილი ურთიერთობის დამყარება სტამბოლთან და თეირანთან, ვიდრე ამას ახერხებდნენ უაიტჰოლიდან მოვლენილი გოროზი ინგლისელი დიპლომატები. უშუალოდ კაიზერ *ვილჰელმ* II-ის ჩარევით, გერმანულმა კაპიტალმა ოსმალეთის სულტნისაგან მიიღო „ბერლინ-ბაღდადის“ რკინიგზის მშენებლობის კონცესია.

ლონდონში მიხვდნენ, რომ მალე ბერლინი ეგზისტენციურ საფრთხეს შეუქმნიდა ბრიტანეთის მონოპოლიურ ბატონობას ინდოსტანის ნახევარკუნძულზე, რადგან რამდენიმე წლის შემდეგ „ბერლინ-ბაღდადის“ რკინიგზის გაგრძელებას შეეძლო მიეღწია ინდოეთის ოკეანემდე.

გერმანული ინტერესების წინმსწრები გაბათილების მიზნით, სპარსეთის ყურის ჩრდილო ნაწილში, ქუვეითის ღრმა უბეში, ინგლისური კრეისერები 1899

წლიდანვე დადგნენ და ***ქუვეითის*** შეიხმა თავის პროტექტორად ცნო დედოფალი ვიქტორია.

ჯერ კიდევ იქამდე ბრიტანეთის მფარველობაში შევიდა *ბაჰრეინის* შეიხი. ოფიციალურად ეს 1868 წელს მოხდა, თუმცა ახლა „ბაჰრეინ-ბრიტანეთის მეგობრობას“ 1816 წლიდან ითვლიან. ბრიტანული პროტექტორატი შეიხისათვის შვება იყო: ამჟამინდელი ბაჰრეინის მეფის წინაპრის სამფლობელოზე პრეტენზია ჰქონდა (და დღემდე აქვს) ირანს, რომელიც XIX საუკუნემდე ორასიოდე წელი ფლობდა ან აკონტროლებდა ამ კუნძულს, სადაც მოსახლეობის უმრავლესობაა ირანული წარმოშობის შიიტები.

სპარსეთისა და ომანის ყურეების ნაპირებთან მდებარე ***კატარი***, შვიდი პატარა საშეიხო, რომელთაც ***შეთანხმებითი ომანი*** ეწოდა (ამჟამინდელი *გაერთიანებული არაბული საამიროები*), ***ომანი და მასკატი*** ასევე იქცნენ ბრიტანულ პროტექტორატებად. სამხრეთ იემენი „***ადენის კოლონიის***“ სახელით უშუალოდ დაექვემდებარა ლონდონს.

ყველა ეს პროტექტორატი და კოლონია 1961-1971 წლებში დამოუკიდებელ სახელმწიფოდ იქცა.

იმის წყალობით, რომ თითქმის ყველა მათგანს აღმოაჩნდა ნავთობის და გაზის დიდი რესურსები, ისინი მსოფლიოს უმდიდრესი ქვეყნების რიცხვში მოხვდნენ.

მას შემდეგ, რაც ახლო აღმოსავლეთში აღმოჩნდა ნავთობისა და გაზის ულევი რესურსები, რეგიონს მიენიჭა დიდი *ეკონომიკური მნიშვნელობა* როგორც ბრიტანეთისათვის, ისე დანარჩენი მსოფლიოსათვის.

პირველი მსოფლიო ომის პერიოდში და მის მერე ბრიტანეთის მიერ ახლო აღმოსავლეთში გატარებული პოლიტიკა წინააღმდეგობრივი იყო და მომავალში სერიოზული გართულების საფუძველი შექმნა. მნიშვნელოვანწილად, იმ პერიოდის პოლიტიკის შედეგია ამ რეგიონის თანამედროვე პოლიტიკური რუკა. კერძოდ, აღსანიშნავია შემდეგი:

- 1915 წელს დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი შეჰპირდნენ რუსეთის იმპერიას, რომ ომში გამარჯვების შე მდეგ გადასცემდნენ მას *კონსტანტინოპოლს* (სტამბოლს) და *შავი ზღვის სრუტეებს,* რაც მკვეთრად შეცვლიდა გეოპოლიტიკურ სიტუაციას მსოფლიოში. ეს პირობა არ შესრულდა იმის გამო, რომ რუს ეთის მონარქია დაემხო, ხოლო მის ადგილზე წარმოქმნილი ბოლშევიკური რუსეთი, 1918 წლის 3 მარტს გერმანიასთან დადებული საზავო ხელშეკრულებით, სეპარატულად გამოეთიშა ომს;
- ბრიტანელი აგენტების წაქეზებით და მექის მმართველის *ჰუსაინ ბინ ალი ალ-ჰაშიმის* თანხმობით, 1916 წელს არაბები აუჯანყდნენ ოსმალეთის იმპერიას. ეგვიპტეში დიდი ბრიტანეთის უმაღლესი კომისრის *ჰენრი მაკმაჰონის* მიერ 1915-1916 წლებში ჰუსაინ ბინ-ალისათვის მიცემული დაპირების თანახმად, ლონდონს უნდა

გაეწია დახმარება დიდი არაბული სახელმწიფოს შექმნაში, რაც რეალურად არ გაკეთებულა;

- 1916 წლის ბრიტანულ-ფრანგული ფარული გარიგებით („*საიქს-პიკოს შეთანხმება*“), ჯერ ისევ ოსმალეთის შემადგენლობაში მყოფი არაბული მიწები ევროპულმა ზესახელმწიფოებმა გაინაწილეს. ომის შემდეგ ამ ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა ბრიტანეთის სამი (ერაყი, პალესტინა, ტრანსიორდანია) და საფრანგეთის ორი (სირია და ლიბანი) სამანდატო ტერიტორია;
- ბრიტანეთის მთავრობის დია თანხმობით (1917 წლის 2 ნოემბრის „*ბალ-ფურის დეკლარაცია*“), დაიწყო პალესტინის ებრაული კოლონიზაცია. ლონდონმა ძალიან შეუწყო ხელი ებრაული პროტოსახელმწიფოს შექმნას იმ ტერიტორიაზე, სადაც საბოლოოდ ისრაელი ჩამოყალიბდა. „ბალფურის დეკლარაცია“ ეწინააღმდეგებოდა *მაკმაჰონის* მიერ *ჰუსაინ ბინ-ალისათვის* მიცემულ ზემოაღნიშნულ დაპირებას, რომლითაც ისე ჩანდა, რომ ქ. იერუსალიმი არაბული სახელმწიფოს ნაწილი უნდა გამხდარიყო;
- 1924 წელს ლონდონმა არ შეუშალა ხელი *ნაჯდის* მფლობელს *აბდულ-აზიზ ას-საუდს,* დაეპყრო *ჰიჯაზი* და იქიდან გაეძევებინა *ჰუსაინ ბინ-ალი,* რომელსაც იქამდე ბრიტანეთი და იმდროინდელი „ერთა ლიგა“ კანონიერ მონარქად ცნობდა. ნაჯდისა და ჰიჯაზის გაერთიანების შემდეგ, 1932 წელს, *აბდულაზიზ ას-საუდმა* შექმნა ტერიტორიულად უზარმაზარი სამეფო – საუდის არაბეთი.

მეორე მსოფლიო ომის დროს და მის შემდგომ პერიოდში დიდი ბრიტანეთის მოქმედებას და, ხანდახან, უმოქმედობას, უკავშირდება ახლო აღმოსავლეთში განვითარებული მნიშვნელოვანი მოვლენები.

- გაეროს რეზოლუციის შესრულება ***პალესტინაში ორი სახელმწიფოს*** შექმნის შესახებ ვერ მოხერხდა, რაშიც ბრალი, ნაწილობრივ მაინც, მიუძღვის ბრიტანეთის იმდროინდელი ლეიბორისტული მთავრობის პოლიტიკას. ამას მოჰყვა ომი ისრაელსა და არაბულ ქვეყნებს შორის და, სულ ცოტა, ნახევარი მილიონი პალესტინელი ლტოლვილის გაჩენა; დღემდე ვერ მოხერხდა პალესტინის მიმართ დიდი ბრიტანეთის პოლიტიკის მკაფიოდ განსაზღვრა, თუმცა, ბრიტანეთი, ისევე, როგორც ამერიკა, ამ შემთხვევაში შეზღუდულია თავისი მჭიდრო ურთიერთობით ისრაელთან.
- არაბებით დასახლებული სამანდატო ტერიტორიები და ბრიტანული პროტექტორატები ცალკე დამოუკიდებელი სახელმწიფოები გახდა და *პანარაბიზმის* მომხრეები ლონდონს ადანაშაულებენ იმაში, რომ ვერ მოხერხდა ერთიანი არაბული სახელმწიფოს შექმნა;
- 1953 წელს ბრიტანულმა და ამერიკულმა სპეცსამსახურებმა სახელმწიფო გადატრიალება მოაწყვეს ირანში და გადააყენეს დემოკრატიულად არჩეული პრემიერ-მინისტრი *მოჰამედ მოსადეყი,* რომელიც ცდილობდა, ირანში მოპოვებული ნავთობის შემოსავალი სახელმწიფო ხაზინაში მიემართა;

- 1956 წელს ბრიტანულ-ფრანგულმა კოალიციამ, ისრაელის მხარდაჭერით, განახორციელა ინტერვენცია ეგვიპტეში, რომლის მთავრობამ ცალმხრივი აქტით განახორციელა სუეცის არხის ნაციონალიზაცია. საბოლოოდ ინტერვენტებს მოუხდათ ეგვიპტიდან გასვლა, რამაც მკვეთრად დასცა ბრიტანეთისა და საფრანგეთის ავტორიტეტი ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში.

1956 წელი ერთგვარი წყალგამყოფია ახლო აღმოსავლეთში ბრიტანეთის აქტიურ პოლიტიკასა და, ძირითადად, ეკონომიკური ინტერესებით განპირობებულ მომდევნო პოლიტიკას შორის.

1971 წელს, მას შემდეგ, რაც ყველა ყოფილი ბრიტანული სამფლობელო დამოუკიდებელი გახდა, *ბრიტანეთმა დასრულებულად გამოაცხადა თავისი საგარეო პოლიტიკა „სუეცის აღმოსავლეთით“* – მას იქ აღარ დარჩა სამხედრო ბაზები და გეოპოლიტიკური ინტერესები.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ბრიტანული არმიის მონაწილეობა ახლო აღმოსავლეთის ომებში.

1991 წლის ოპერაცია „უდაბნოს ქარიშხალი“ ჩატარდა ერაყის, რომლის პრეზიდენტი იყო სადამ ჰუსეინი, მიერ დაპყრობილი ქუვეითის გასათავისუფლებლად. თუმცა ისიც ნათელია, რომ აშშ-ის მიერ შექმნილი კოალიცია, რომელშიც ბრიტანულ სამხედრო ძალებს სერიოზული როლი ეკისრებოდათ, უფრო იმიტომ ატარებდა ოპერაციას, რომ არ დაეშვა სადამ ჰუსეინის მომდევნო ექსპანსია ნავთობით მდიდარ არაბეთის ნახევარკუნძულზე.

საგრძნობლად მეტი იყო ბრიტანეთის როლი „სპარსეთის ყურის მეორე ომში“, რომელიც სადამ ჰუსეინის რეჟიმის დასამხობად 2003 წელს წამოიწყო შეერთებული შტატების ადმინისტრაციამ. არსებითად, *ტონი ბლერის* მხარდაჭერამ განაპირობა პრეზიდენტ *ჯორჯ ბუშის* (უმცროსის) გადაწყვეტილება გაეროს რეზოლუციის გარეშე ერაყში შეჭრის შესახებ, რაც არასწორ სადაზვერვო ინფორმაციას ეყრდნობოდა.

დიდი ბრიტანეთი ჩაება მორალურად ძნელად გასამართლებელ ხანგრძლივ ომში, როდესაც მის არმიას საქმე ჰქონდა პარტიზანულ მოქმედებასთან და მძაფრ სექტარულ დაპირისპირებასთან. 2003 წლიდან 2011 წლამდე, როდესაც ბრიტანული ნაწილები საბოლოოდ გამოვიდნენ ერაყიდან, მათ დაკარგეს 179 სამხედრო მოსამსახურე მოკლულის, ავადმყოფობით გარდაცვლილისა და უგზოუკვლოდ დაკარგულის სახით. ძალიან ბევრი დაიჭრა. ამ ოპერაციის ჩასატარებლად ბრიტანეთმა 8,257 მილიარდი პაუნდი დახარჯა.

მაგრამ მატერიალური დანაკარგი, რომელიც ბრიტანეთს შეხვდა ერაყის ომში მონაწილეობისას, არაფერია იმ მორალურ-პოლიტიკურ დანაკარგთან შედარებით, რაც ბრიტანეთმა და, ზოგადად, დასავლეთმა განიცადა.

ახლო აღმოსავლეთში და ჩრდილოეთ აფრიკაში დასავლეთის მიერ გატარებული არათანმიმდევრული პოლიტიკა ექსპერტების მიერ განიხილება, როგორც

ერთ-ერთი ფაქტორი ძალიან სახიფათო მოვლენის – საერთაშორისო ტერორიზმის – წარმოშობისათვის, რომლის შედეგებსაც დედამიწა XXI საუკუნეში იმკის.

2011 წელს ლიბიაში მუამარ კადაფის დიქტატურის დამხობას, რაც ნაწილობრივ ბრიტანული ავიაციისა და სპეცსამსახურების მოქმედების შედეგიც იყო, მოჰყვა ლიბიის პოლიტიკური და ეკონომიკური კოლაფსი, სადაც ახლა ბოგინობენ შეიარაღებული ჯგუფები. სწორედ ქაოსში მყოფი ლიბიიდან მოემართება აფრიკელ ეკონომიკურ მიგრანტთა ერთ-ერთი უდიდესი ნაკადი ევროპაში. 2016 წლის 14 სექტემბერს ბრიტანეთის თემთა პალატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა დაადგინა, რო ბრიტანეთის [და საფრანგეთის] ინტერვენცია ლიბიის კონფლიქტში ეფუძნებოდა მცდარ დაშვებებს, ქვეყანაში არსებული სიტუაციის არცოდნას. პოლიტიკური შეცდომებისათვის პასუხისმგებლობა პრემიერ-მინისტრ კამერონს ეკისრება.

2011 წელს სირიაში დაწყებული სამოქალაქო ომის დაწყებასა და გახანგრძლივებაში დასავლეთი, მათ შორის დიდი ბრიტანეთი, თურქეთთან და ფუნდამენტალისტურ სუნიტურ ქვეყნებთან, უპირველესად, საუდის არაბეთთან და კატართან ერთად, ადანაშაულებენ დამასკოს მართლაც რეპრესიულ რეჟიმს *ბაშარ ალ-ასადის* ხელმძღვანელობით. ამავე დროს, ასადის წინააღმდეგ მოქმედებს ძალიან ჭრელი ოპოზიცია, მათ შორის, საერთაშორისო დონეზე ტერორისტულად აღიარებული ორგანიზაციებიც, რომლებსაც დასავლეთი (უპირველესად, აშშ და, მასთან ერთად, ბრიტანეთიც) ფაქტობრივად მხარს უჭერს. შექმნილი არეულობით 2015 წელს ისარგებლა რუსეთმა, რომელიც ჩაერთო სირიის კონფლიქტში და სამხედრო და სამხედრო-საზღვაო ბაზები დააფუძნა იქ.

ბევრ ექსპერტს მიაჩნია, რომ 2014 წელს *„ერაყისა და სირიის ისლამური სახელმწიფოს“*, ანუ *„დაიშ“*-ის (*Dai'ish*[13]), ტერორისტული წარმონაქმნის გაჩენა განაპირობა დასავლური კოალიციის მიერ ერაყში დაშვებულმა სტრატეგიულმა შეცდომებმა. ამ ექსპერტების აზრით, სადამ ჰუსეინის არმიის დაშლამ გააჩინა ბევრი უმუშევრად დარჩენილი, გაბოროტებული ოფიცერი და სამხედრო სპეციალისტი, რომლებიც დაეხმარნენ ფანატიკოს ისლამისტებს. *„დაიშ“*-მა დაიპყრო ერაყისა და სირიის ტერიტორიების საგრძნობი ნაწილი და, რაც უფრო სახიფათოა დიდი ბრიტანეთისა და ზოგადად ევროპისათვის, მოახერხა, თავის სასარგებლოდ განეწყო დასავლეთში მცხოვრები მუსლიმი ახალგაზრდობის ნაწილი. ევროპის დედაქალაქებში ჩადენილი ტერორისტული აქტები ხშირად ამ ადამიანების ნახელავია.

---

[13] *Dai'ish* (“*დაიშ*”) არის ამ ტერორისტული წარმონაქმნის არაბული სახელის „*Dawlat al-Islamiah f"al Iraq wa al-Sham*”-ის აბრევიატურა, რომელსაც იყენებენ ახლო აღმოსავლეთში და 2015 წლიდან – ევროპის მრავალ ქვეყანაში. ISIS/ISIL არის ამავე ტერმინის ინგლისური თარგმანის „*Islamic State of Iraq and al-Sham/Levant*” აბრევიატურა. „შამი” (*al-Sham*) მოიცავს დასავლეთ სირიას და ლიბანს, ანუ იმას, რასაც ევროპულ გეოგრაფიულ ლიტერატურაში უწოდებენ *Levant*-ს.

XXI საუკუნის დასაწყისში ახლო აღმოსავლეთში დაშვებული სტრატეგიული შეცდომები აისახა თანამედროვე პოლიტიკურ ვითარებაზე და საზოგადოებრივ განწყობაზე, მათ შორის ბრიტანეთშიც.

ათასზე მეტი ბრიტანელი მუსლიმი იბრძოდა ან იბრძვის „*დაიშ*“-ის მხარეს და ბრიტანულ მასმედიაში არ წყდება ინფორმაციის ნაკადი ბრიტანეთის მოქალაქე ახალგაზრდა მუსლიმი კაცების (და გოგონებისაც კი) სირიაში ისლამისტების მხარეს საბრძოლველად წასვლის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ ევროპის ქვეყნებს შორის ბრიტანეთი ფინანსურად ყველაზე მეტად ეხმარება სამოქალაქო ომის განსაცდელში ჩავარდნილ სირიელ მოსახლეობას, მაგრამ ეს სირიის პრობლემას ვერ მოაგვარებს.

ახლო აღმოსავლეთში ბოლო პერიოდში განვითარებულმა სერიოზულმა მოვლენებმა საკმაო კორექტივები შეიტანა და მომავალშიც უნდა შეიტანოს ბრიტანეთის ***პოლიტიკურ ინტერესებში.***

როგორც ცნობილია, 1979 წელს ირანში მომხდარი ისლამური რევოლუციის და იქ ძალაუფლებაში მოსული ფუნდამენტალისტი აიათოლების მიერ დაწყებულმა ანტიდასავლურმა პოლიტიკამ მესამედ საუკუნეზე მეტი ხნით აქცია ირანი მარგინალურ ქვეყნად. 2015 წელს, ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ, გაეროს უშიშროების საბჭოს ხუთი მუდმივი წევრისა და გერმანიის მიერ ირანთან მიღწეულ იქნა შეთანხმება ამ უკანასკნელის ბირთვული პროგრამის შეკვეცის სანაცვლოდ, დასავლეთის მხრიდან სანქციების მოხსნის შესახებ, რაც 2016 წელს შესრულდა კიდეც. ირანის მიმართ დასავლური სანქციების გაუქმებას მოჰყვა *ურთიერთობის ნორმალიზაციის პროცესი.*

ლონდონს, რომელსაც თეირანთან ურთიერთობის დიდი ტრადიცია აქვს (თუმცა არცოუ ყოველთვის პოზიტიური შედეგის მქონე!), გაეხსნა ამ რეგიონულ ზესახელმწიფოსთან ეკონომიკური და პოლიტიკური კონტაქტების გაცხოველების პერსპექტივა. უკვე დაფიქსირდა მსხვილი ბრიტანული კომპანიების წარმომადგენელთა ვიზიტები ირანში. 2015 წელს ირანმა დანიშნა საქმეთა დროებითი რწმუნებული ლონდონში, ხოლო 2016 წლის სექტემბერში ბრიტანეთმა თეირანში – საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი.

ყველა ამ და ზოგმა სხვა მოვლენამ გამოაცოცხლა დიდი ბრიტანეთის პოლიტიკური ინტერესი ახლო აღმოსავლეთის მიმართ და იქმნება შთაბეჭდილება, რომ ბრიტანეთი შეიძლება უფრო მეტად ჩაერთოს ამ რეგიონის საქმეებში.

განახლებული ინტერესის ერთგვარ მაჩვენებლად შეიძლება მივიჩნიოთ ის, რომ 2015 წლის 31 ოქტომბერს გაერთიანებული სამეფოს საგარეო საქმეთა და თანამეგობრობის მდივანმა (საგარეო საქმეთა მინისტრმა) *ფილიპ ჰემონდმა* ბაჰრეინის *მინა სალმანის ნავსადგურში* საზეიმოდ გახსნა დიდი ბრიტანეთის მუდმივმოქმედი სამხედრო-საზღვაო ბაზა. ეს არის ნიშანი, რომ ბრიტანეთი ბრუნდება „სუეცის აღმოსავლეთით“, საიდანაც ის 1971 წელს გავიდა.

ეკონომიკური თვალსაზრისით, ახლო აღმოსავლეთის, კერძოდ, არაბეთის ნახევარკუნძულის, ნავთობითა და გაზით მდიდარი ქვეყნები და, აგრეთვე, ერაყი და ირანი, მნიშვნელოვანია ბრიტანეთისათვის, ერთი მხრივ, როგორც ნახშირწყალბადიანი რესურსების სტაბილური მომწოდებელი, და, მეორე მხრივ, როგორც ბრიტანული სამხედრო მრეწველობის პროდუქციის ბაზარი.

ახლო აღმოსავლეთში ბრიტანულ სამხედრო დანიშნულების ნაწარმზე მყარი მოთხოვნის არსებობა უნარჩუნებს დიდ შეკვეთებს ბრიტანეთის თავდაცვით მრეწველობას. ეს კი ემსახურება ბრიტანეთის ნებისმიერი პარტიის მთავრობის საშინაო პოლიტიკას – უზრუნველყოს დასაქმება და ბიუჯეტის შევსება კომპანიების შემოსავლის დაბეგვრის გზით.

ბრიტანული საბრძოლო ტექნიკისა და შეიარაღების დიდ ბაზარს ქმნიან არაბეთის ნახევარკუნძულის მდიდარი სახელმწიფოები – საუდის არაბეთი, კატარი, გაერთიანებული არაბული საამიროები, ქუვეითი, ბაჰრეინი, ომანი – რომლებიც ყიდულობენ ათობით მილიარდი დოლარის ღირებულების ბრიტანულ თვითმფრინავებს, სამხედრო გემებს, ჯავშანმანქანებს, საარტილერიო დანადგარებს, ყუმბარებს, რაკეტებს და სხვა შეიარაღებას. ნავთობისა და გაზის ექსპორტით მიღებული გიგანტური შემოსავალი უზრუნველყოფს ახლო აღმოსავლეთის მზარდ მილიტარიზაციას.

არაბულ აღმოსავლეთში ძალიან ფასობს ყველაფერი *ბრიტანული*: ლუქსკლასის ავტომობილების – *როლს-როისის, ბენტლის, ასტონ მარტინის, რეინჯროვერის* – მთავარ მომხმარებელთა შორის არიან იმავე ქვეყნების მდიდარი შეიხები.

მეორე მხრივ, ახლო აღმოსავლეთის რეგიონიდან ბრიტანეთში შემოდის დიდძალი ინვესტიციები, მათ შორის, დაბანდებული ლონდონის უძრავ ქონებაში. ლონდონის ბანკების სეიფებში ინახება აღნიშნული ქვეყნების ოქროსა და ვალუტის მარაგის საგრძნობი ნაწილი.

მაღალგანვითარებული ქვეყნების (აშშ, ევროკავშირი, აზია-წყნარი ოკეანის რეგიონი) ეკონომიკაში კაპიტალდაბანდებებით, *სპარსეთის ყურის ნავთობმომპოვებელი ქვეყნების მმართველი წრეები* ცდილობენ, დაიცვან თავიანთი უზარმაზარი ქონება, რომელიც ნავთობსა და გაზზე ადრე არსებულმა მაღალმა ფასებმა შექმნა. ინვესტიციების ერთ-ერთი მთავარი ობიექტი ამ ქვეყნებისათვის არის ბრიტანეთი. შესაბამისად, დიდია მათ მიერ ბრიტანეთში მიღებული მოგებაც.

მაგალითად, პატარა *კატარი*, რომლის ეკონომიკაც ნახევარი საუკუნის წინ ზღვის ფსკერზე მარგალიტის მოპოვებას ეფუძნებოდა და ძლივს ირჩენდა თავს, საოცრად გამდიდრდა ბუნებრივი გაზის მოპოვების ხარჯზე. *კატარის საინვესტიციო სამმართველომ* (Qatar Investment Authority) 30 მილიარდი პაუნდის ინვესტირება მოახდინა ყოფილი მეტროპოლიის – ბრიტანეთის – ეკონომიკაში. ის ფლობს, მაგალითად, პრესტიჟულ სავაჭრო სახლ *არროდს*-ს, თანამფლობელია ლონდონში აშენებული, ევროპაში ყველაზე მაღალი, 310 მეტრი სიმაღლის

ექსტრავაგანტური ცათამბჯენისა, სახელად *The Shard* (რაც ნიშნავს „მინის/ლითონის ნამსხვევს“) და ა.შ. ბრიტანეთში მოხმარებული გაზის 20 პროცენტი გათხევადებული სახით მოდის კატარიდან.

გაერთიანებული არაბული საამიროების *აბუ-დაბის საინვესტიციო სამმართველო* (*Abu Dhabi Investment Authority*) მსოფლიოში ერთ-ერთი უმდიდრესია. მას, შეფასებით, 800 მილიარდი აშშ დოლარის კაპიტალი აქვს. იგი ფლობს სასტუმროების ქსელებს ბრიტანეთში, ლონდონის ავანპორტს და ა.შ.

საუდის არაბეთი ბრიტანული წარმოების სამხედრო შეიარაღების უმთავრესი მყიდველია.

სწორედ ასეთი ეკონომიკური კავშირები ზღუდავს ბრიტანეთის მთავრობის აქტიურ რეაგირებას *შარიათის* წესების გამოყენებით ***ადამიანის უფლებათა დარღვევის*** მრავალრიცხოვან ფაქტზე ახლო აღმოსავლეთში. მართალია, ადამიანის უფლებათა დარღვევის ზოგიერთ ფაქტზე, რომელიც ძალიან გახმაურდება, მთავრობას ხანდახან აქვს ხოლმე რეაქცია (მაგალითად, 2015 წლის შემოდგომაზე ლონდონმა გააუქმა მცირე მოცულობის, სულ 5,9 მილიონი პაუნდის ღირებულების, კონტრაქტი საუდის არაბეთის ციხეებში საკონსულტაციო სამუშაოების ჩასატარებლად), მაგრამ, საპასუხოდ, ის იძულებულია მოუსმინოს საუდის არაბეთის ხელისუფლების დემაგოგიურ ნოტაციებს და წააწყდეს მორიგ შანტაჟს – *„მაშინ, ჩვენ არ შევიძენთ თქვენს შეიარაღებას!“*

ასეთ შემთხვევაში უაიტჰოლს, ჩვეულებრივ, ავიწყდება „ბრიტანული ფასეულობები“ და უკან იხევს ხოლმე. ასე იყო *მარგარეტ თეთჩერის* დროსაც 1980-იან წლებში, როდესაც ის დიპლომატიურ დონეზე ზღუდავდა საუდის არაბეთის რეჟიმის ოდნავ კრიტიკასაც კი. ასეა XXI საუკუნეშიც.

სამაგიეროდ, ასეთი „პოლიტკორექტულობით“ არ იზღუდავენ თავს უფლებადამცველი ორგანიზაციები და ბრიტანეთის თავისუფალი პრესა, ძალიან კრიტიკულად უყურებენ საუდის არაბეთის, გას-ის, კატარის, ირანის და სხვა ისლამურ-ფუნდამენტალისტური ქვეყნების *შარიათის* წესით სასამართლო აღსრულების თანამედროვეობისათვის შეუფერებელ, აღმაშფოთებელ პრაქტიკას (გაშოლტვას, თავის მოკვეთას, ქვით ჩაქოლვას და სხვ.). ისინი მძაფრად აკრიტიკებენ საკუთარ მთავრობას ასეთი საკითხებისადმი წაყრუების გამო.

მედიისა და ადამიანის უფლებათა დამცველების მხრიდან კრიტიკას გავლენა აქვს საზოგადოებაზე. 2016 წლის დამდეგს სოციოლოგიური ცენტრის *YouGov*-ის მიერ ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის თანახმად, ბრიტანელების 80 პროცენტმა მიიჩნია, რომ საუდის არაბეთში ძალიან ირღვევა ადამიანის უფლებები. ირანის შემთხვევაში იმავე აზრისა იყო ბრიტანელების 78 პროცენტი, თურქეთის შემთხვევაში – 57 პროცენტი, ისრაელის შემთხვევაში – 53 პროცენტი.

თემა 30. ბრიტანულ-ქართული ურთიერთობები: 1918-1921 წლები და 1991 წლის შემდეგ.

ლიტერატურა: გაერთ. სამ. გვ. 276-283, 478-480

ბ რ ი ტ ა ნ უ ლ-რ უ ს უ ლ ი უ რ თ ი ე რ თ ო ბ ე ბ ი დ ა 1918-1921 წ ლ ე ბ ი ს ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

1917 წლის ბოლოს რუსეთის სათავეში მოსული ბოლშევიკური მთავრობის მიმართ ბრიტანეთი ატარებდა პრაგმატულ პოლიტიკას, რომელიც უპრინციპოდ შეიძლება მივიჩნიოთ. ეს იყო ტიპური „*realpolitik*“, როდესაც საკუთარი ეკონომიკური და გეოპოლიტიკური ინტერესები „ფასეულობით პრინციპებზე“ მაღლა დგება ხოლმე.

რუსეთში მიმდინარე სამოქალაქო ომის (1918-1920) საწყის ეტაპზე ბრიტანეთის მთავრობა მხარს უჭერდა და აფინანსებდა ანტიბოლშევიკურ ძალებს, ე.წ. „თეთრ მოძრაობას“. რუსეთში მცირე ზომის ბრიტანული სამხედრო ძალებიც კი გაიგზავნა. მაგრამ ბრიტანული მხარდაჭერა ანტიბოლშევიკური წინააღმდეგობისათვის ატარებდა უფრო სიმბოლურ, ვიდრე რეალურ ხასიათს.

მალე დამოკიდებულება შეიცვალა. 1919 წელს ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა *ლოიდ ჯორჯმა*, პირველმა ანტანტის სახელმწიფოთა მეთაურებს შორის, კონტაქტი დაამყარა რუსეთის ბოლშევიკურ მთავრობასთან. 1920 წლის იანვარში ბრიტანეთმა ოფიციალურად შეწყვიტა საბჭოთა რუსეთის ეკონომიკური ბლოკადა, ხოლო 1920 წლის აგვისტოში *ლოიდ ჯორჯმა* პარლამენტში საჯაროდ განაცხადა, რომ ბრიტანეთი არ აპირებს ბრძოლას საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, რომლის *წითელი არმია* უკვე ვარშავას უახლოვდებოდა. ძალების უკიდურესი დაძაბვით, საგარეო დახმარების გარეშე, პოლონელებმა მაინც მოახერხეს ძველი დამპყრობლის დამარცხება და თავისი ახალაღორძინებული სახელმწიფოს იმჯერად გადარჩენა.

სამხრეთ კავკასიასთან და, კერძოდ, 1918 წლიდან ***დამოუკიდებელ საქართველოსთან ურთიერთობა*** იმდროინდელი ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკისათვის თითქმის შეუმჩნეველი ეპიზოდი აღმოჩნდა. მაგრამ საქართველოს პოზიციიდან ამ ურთიერთობას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა.

1919 წელს ამიერკავკასიაში დიდი ბრიტანეთის მთავარ კომისრად (*Chief Comissioner*) დანიშნული *ოლივერ უორდროპის* (*Sir Oliver Wardrop,* 1864-1948) დიდი ძალისხმევით, რომელიც იყო ქართველოლოგი და საქართველოს მეგობარი, 1920 წლის 10 იანვარს ბრიტანეთმა *de facto* ცნო ***საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა,*** ხოლო 1921 წლის იანვარში *de jure* (იურიდიულად) აღიარა იგი.

საქართველოს აღიარებას მხარს უჭერდა საგარეო საქმეთა მინისტრი *ლორდი კერზონი* (*Lord George Nathaniel Curzon,* 1859-1925), წინააღმდეგი კი იყვნენ იმდროინდელი სამხედრო მინისტრი *უინსტონ ჩერჩილი* და იმპერიული გენერა-

ლური შტაბის ხელმძღვანელი ფელდმარშალი *ჰენრი უილსონი* (*Sir Henry Wilson*, 1864-1922). როგორც ჩანს, ამ უკანასკნელთა პოზიციამაც განსაზღვრა ბრიტანეთის მთავრობის პოლიტიკა – საქართველოს რეალური დახმარება ევროპიდან არ მიუღია.

პოლიტიკას საქართველოს მიმართ რამდენიმე ბრიტანელი სახელმწიფო მოღვაწის სუბიექტურ განწყობას ვერ მივაწერთ. ლონდონის პოლიტიკურ გადაწყვეტილებას სავსებით პრაგმატული გათვლა ედო საფუძვლად: ***კავკასია, ისევე, როგორც ცენტრალური აზია, ძალიან მცირე ზომით თუ შედიოდა ომისშემდგომი ბრიტანეთის პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების სფეროში***.

1918-1920/21 წლებში, როდესაც კავკასიაში დამოუკიდებელი რესპუბლიკები არსებობდა, დიდ ბრიტანეთს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლო აქტიურად ემოქმედა და გამოსულიყო ბოლშევიკური რუსეთის საპირწონედ, თუკი სერიოზული ეკონომიკური და/ან გეოპოლიტიკური ინტერესი ექნებოდა რეგიონის მიმართ.

მაგრამ ლონდონს არც ეკონომიკური ინტერესი აღმოაჩნდა და არც გეოპოლიტიკური, უპირველესად იმის გამო, რომ აღარ სჭირდებოდა ბაქოს ნავთობი: მისი ალტერნატივა ახლო აღმოსავლეთში მოინახა. XX საუკუნის დამდეგს აფშერონის ნახევარკუნძულზე, სადაც მდებარეობს ბაქო, თავმოყრილი იყო მსოფლიოში უდიდესი ნავთობის საბადოები და იქ მოპოვებული და გადამუშავებული ნავთობი მსოფლიო ექსპორტის ნახევარზე მეტს შეადგენდა. მაგრამ სულ რამდენიმე წლის შემდეგ ახლო აღმოსავლეთში აღმოჩენილი ნავთობის მარაგმა ბაქოსას გადააჭარბა. 1908 წელს სამხრეთ სპარსეთში და, ოდნავ მოგვიანებით, მესოპოტამიაში (დღევანდელ ერაყში) ნავთობის დიდი საბადოების აღმოჩენამ დრამატულად იმოქმედა ბრიტანეთის დაინტერესებაზე ბაქოს ნავთობით.

„ანგლო-სპარსული სანავთობო კომპანიისათვის“ სპარსეთის *მასჯიდე-ე სოლეიმანის* საბადოს ექსპლუატაცია და იქ მოპოვებული ნავთობის ტრანსპორტირება სპარსეთის ყურისა და სუეცის არხის გზით უფრო ადვილი და საიმედო იყო, ვიდრე იქნებოდა ბაქოს ნავთობსარეწებიდან ბათუმში გადაზიდული ნავთობპროდუქტების შავი ზღვის ვიწრო სრუტეებით გატანა.

ერთი სიტყვით, ბაქოს გულისთვის ბოლშევიკურ რუსეთთან ჭიდილი ლონდონს აღარ უღირდა. საქართველოში კი ნავთობი საერთოდ არ იყო!

სამხრეთი კავკასია არც გეოპოლიტიკური თვალსაზრისით იყო მნიშვნელოვანი ლონდონისათვის, რომელიც, უპირველესად, ზრუნავდა ინდოეთის იმპერიის დაცვაზე შესაძლო რუსული აგრესიისაგან. ამიტომაც, უაიტჰოლზე უმჯობესად მიიჩნიეს საბჭოთა რუსეთთან გეოპოლიტიკური გარიგება.

სამხრეთ კავკასიის საქმეებში ბრიტანეთის (ან საფრანგეთის, ან აშშ-ის) პირდაპირი და ქმედითი ჩარევის გარეშე (ჩარევას შეიძლებოდა მიეღო პროტექტორატის ან მართვის მანდატის აღების, ან რაიმე სხვა ფორმა), იქ აღმოცენებული რესპუბლიკები – საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი – დამოუკიდებლობას ვერ

შეინარჩუნებდნენ. მსოფლიო ომში დამარცხებული გერმანია კავკასიის პოლიტიკას ჩამოშორდა.

რაც შეეხება იმ დროისათვის უძლიერესი ეკონომიკის მქონე *ამერიკის შეერთებული შტატებს,* პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ის ტრადიციული იზოლაციონიზმის პოლიტიკას დაუბრუნდა და ხელი აიღო ევროპასა და აზიაში რაიმე პრაქტიკული პოლიტიკის გატარებაზე.

1920 წელს აშშ-ის სენატმა გადაჭრით უარყო პრეზიდენტ *ვუდრო უილსონის* მცდელობა, მიეღო ამერიკული მანდატი სომხეთის რესპუბლიკის მფარველობაზე. საქართველოსათვის დახმარების ხელის გაწვდაზე ვაშინგტონში მაშინ კრინტიც არ დაძრულა.

ამდენად, ამერიკის პოზიციას კავკასიის მიმართ საბჭოთა რუსეთისათვის იმ დროს არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა.

რეალური დაინტერესება სამხრეთ კავკასიის მიმართ დასავლეთის სახელმწიფოებს არ გამოუჩენიათ. ასეთ დაინტერესებად ვერ ჩაითვლება 1920 წელს დასავლეთევროპელი მემარცხენეების, „სოციალისტური ინტერნაციონალის“ ლიდერების (მათ შორის იყო ბრიტანეთის ლეიბორისტების ხელმძღვანელი, შემდგომში – პრემიერ-მინისტრი *რემზი მაკდონალდი*) ვიზიტი საქართველოში, სადაც მათ ზრდილობიანად მოიწონეს ქართველ სოციალ-დემოკრატთა საქმიანობა.

კავკასიის ირგვლივ გეოპოლიტიკურ თამაშში ყველაზე მნიშვნელოვან მოქმედ პირებად იქცნენ საბჭოთა რუსეთი და ქემალისტური თურქეთი.

ამის შედეგი იყო ის პოლიტიკური განვითარება, რომელმაც მომდევნო სამი მეოთხედი საუკუნის გეოპოლიტიკაზე იქონია გავლენა: სამხრეთ კავკასიაში დაბრუნდა და დამკვიდრდა რუსეთი, იმჯერად – საბჭოთა. ფაქტობრივად, 1920-1921 წლებში განისაზღვრა საქართველოს და მთელი სამხრეთ კავკასიის მომდევნო 70 წლის ისტორია.

1920-1921 წლებში კრემლიდან ყურადღებით აკვირდებოდნენ მხოლოდ დიდი ბრიტანეთის, იმ დროს მსოფლიო ჰეგემონის, პოზიციას საქართველოს მიმართ, რადგან „ინგლისური იმპერიალიზმის“ რიდი იმ დროს ჯერ კიდევ ჰქონდათ.

კრემლს გაუმართლა:

✓ 1920 წლის განმავლობაში საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის მიერ აზერბაიჯანისა და სომხეთის დაკავებას ლონდონის მხრიდან სერიოზული რეაქცია არ მოჰყოლია. ის კი არა, იმავე წელს ლონდონმა არ გაუწია რაიმე დახმარება ბოლშევიკურ რუსეთთან საბედისწერო ომში ჩაბმულ, ევროპაში მდებარე პოლონეთსაც კი. საბჭოთა რუსეთს კი ძალიან ესაჭიროებოდა ბაქოს ნავთობი.

✓ საქართველოში მყოფი უკანასკნელი ბრიტანული სამხედრო ნაწილები ბათუმიდან გაემგზავრნენ 1920 წლის 9 ივლისს.

✓ იმავე წლის 16 დეკემბერს დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა, ფაქტობრივად, დაბლოკეს *ერთა ლიგაში* საქართველოს მიღება. ზესახელმწიფოების პოზიციამ იმოქმედა ერთა ლიგის სხვა წევრებზეც და საქართველოს მიღებას ამ

საერთაშორისო ორგანიზაციაში ხმა მისცა სულ ათმა ქვეყანამ, მაშინ როცა გვესაჭიროებოდა, სულ ცოტა, 16 ქვეყნის ხმა. უაიტჰოლის დიპლომატია *ერთა ლიგაში* თავის პოზიციას ამართლებდა საქართველოს სიშორით და მისი დაცვის შეუძლებლობით. დაცვა კი სამხრეთ კავკასიაში იმ დროს დარჩენილ ერთადერთ დამოუკიდებელ სახელმწიფოს (რომლის დამოუკიდებლობას, სხვათა შორის, 1920 წლის 7 მაისის *მოსკოვის ხელშეკრულებით* ფორმალურად ცნობდა ყოფილი მეტროპოლია, რუსეთი) მართლაც ესაჭიროებოდა: *საქართველოს დიდ საფრთხეს უქმნიდა როგორც ბოლშევიკური რუსეთი, ისე ქემალისტური თურქეთი,* რომლებიც მაშინ დროებით იქცნენ ერთმანეთის „სიტუაციურ მოკავშირეებად“.

✓ 1920 წლის ბოლოდან კრემლის ემისრები ლონდონში აწარმოებდნენ მოლაპარაკებას *ანგლო-საბჭოთა საგაჭრო ხელშეკრულების* დასადებად, რომელსაც საბოლოოდ 1921 წლის 16 მარტს მოეწერა ხელი. ეს საბოლოოდ ნიშნავდა საბჭოთა რუსეთის *de facto* აღიარებას ლონდონის მიერ. ხელმოწერამდე რამდენიმე კვირით ადრე საბჭოთა მთავრობისათვის უკვე ცნობილი იყო გარიგების ტექსტი, რომელიც ხელშეკრულების საბოლოო ტექსტში ჩაიწერა კიდეც: რუსეთის მხრიდან ინდოეთისა და ავღანეთის საქმეებში ჩაურევლობის ვალდებულების აღების სანაცვლოდ, „*ბრიტანეთის მთავრობა იღებს ასეთსავე განსაკუთრებულ ვალდებულებას რუსეთის საბჭოთა მთავრობის წინაშე იმ ქვეყნებთან დაკავშირებით, რომლებიც წარმოადგენდნენ ყოფილი რუსეთის იმპერიის ნაწილებს და ახლა დამოუკიდებლები გახდნენ*“[14].

ეს გარიგება საქართველოსაც ეხებოდა, რომელიც გეოპოლიტიკურ საჭადრაკო დაფაზე პაიკივით გაიცვალა! მცირე სახელმწიფოებისათვის სამწუხაროდ, ასეთი გეოპოლიტიკური გაცვლები დიდ სახელმწიფოებს შორის იმ დროს (და შემდგომშიც) ჩვეულებრივი ამბავი იყო.

ბრიტანეთი საბჭოთა რუსეთს, ფაქტობრივად, *ცნობდა რუსეთის იმპერიის სამართალმემკვიდრედ* და გულგრილად შეჰყურებდა მის ხელახალ ექსპანსიას კრემლის მიერვე მოხაზულ გავლენის სფეროში. ლონდონის პასიურობამ სრული შესაძლებლობა მისცა რუსეთს, 1920-21 წლებში აღედგინა თავისი ძველი სამფლობელოები სამხრეთ კავკასიაში იქაური დამოუკიდებელი რესპუბლიკების ანექსირების გზით.

როდესაც რუსეთის მთავრობა საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ლონდონი თითსაც არ გაანძრევს შორეული საქართველოს დასაცავად, 1921 წლის თებერვალში საბჭოთა რუსეთის მე-11 არმიას კრემლიდან ებრძანა თბილისის აღება, სხვათა შორის, პირადად *იოსებ სტალინის* მიერ, რასაკვირველია, ლენინთან შეთანხმებით.

1924 წლის 2 თებერვალს ბრიტანეთის ლეიბორისტულმა მთავრობამ, პირველმა ანტანტის დიდ სახელმწიფოებს შორის, დაამყარა დიპლომატიური ურ-

[14] `The British Government gives a similar particular undertaking to the Russian Soviet Government in respect of the countries which formed part of the former Russian Empire and which have now become independent” (Ulmann R. H. *The Anglo-Soviet Accord*. Princeton University Press, 1972, p. 474)

თიერთობა საბჭოთა კავშირთან, ანუ *de jure* ცნო ის და საელჩოები გაცვალა მასთან. იმავე წელს საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა საფრანგეთმა.

რაც შეეხება ბრიტანული ბანკებისათვის რუსეთის იმპერიის დროინდელი ვალების გადახდას და საბჭოთა მთავრობის მიერ ნაციონალიზებული ბრიტანეთის ქვეშევრდომთა ქონების დაბრუნებას ან კომპენსირებას, აქ ლონდონმა კრემლთან დავისას ვერაფერს მიაღწია.

აგრესიული ბოლშევიზმის წინააღმდეგ დათმობების პოლიტიკამ წარმატება ვერ მოუტანა ლონდონს. საბჭოთა რუსეთი თავისი კომუნისტური აგენტურის მეშვეობით განუწყვეტლივ ერეოდა ბრიტანეთის საშინაო საქმეებში. მუშათა მოძრაობის წახალისებით, იგი ბრიტანეთის მთავრობის გადაწყვეტილებებს ბლოკავდა და, „მსოფლიო რევოლუციის“ საბაბით, ხელს უწყობდა დესტაბილიზაციას ქვეყანაში.

ბრიტანელი კომუნისტები, შესაძლოა, მართლაც გულწრფელად წუხდნენ მუშათა კლასის მძიმე მდგომარეობის გამო, მაგრამ მათ რიგებში მყოფი ბევრი პროსაბჭოთა მწერალი თუ მეცნიერი ანტიბრიტანულ როლს ასრულებდა: მათზე ზედგამოჭრილი იყო ლენინის მიერ ცინიკურად წოდებული სახელი „*სასარგებლო იდიოტები*“! სწორედ ამ კომუნისტურად იდეოლოგიზებულ ინტელექტუალურ წრეებში ნახულობდა საბჭოთა დაზვერვა თავისთვის საჭირო აგენტურას.

როდესაც საბჭოთა პროვოკაციები აუტანელი გახდა, 1927 წლის 27 მაისს ბრიტანეთის კონსერვატიულმა მთავრობამ დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა საბჭოთა კავშირთან, თუმცა მას მხარი არ აუბეს ევროპის სხვა დემოკრატიულმა ქვეყნებმა, სადაც კარგად ახსოვდათ ლონდონის არცთუ დიდი ხნის წინანდელი „სეპარატული კეთილგანწყობა“ რუსეთის ბოლშევიკური რეჟიმის მიმართ.

1929 წელს ბრიტანეთის ლეიბორისტულმა მთავრობამ აღადგინა დიპლომატიური ურთიერთობა მოსკოვთან.

თანამედროვე ბრიტანეთი და საქართველო

დიდი ბრიტანეთი იყო ქვეყნების პირველ ხუთეულში, ვინც აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა 1992 წელს და სრული დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა მასთან. იმავე წელს თბილისში გაიხსნა დიდი ბრიტანეთის საელჩო. მოგვიანებით საქართველოს საელჩო გაიხსნა ლონდონში.

საქართველოში არ დავიწყებიათ ბრიტანეთის როლი პირველი ქართული რესპუბლიკის (1918-1921) აღიარების საქმეში. 2015 წელს თბილისში ძეგლი დაუდგეს პირველ ბრიტანელ დიპლომატს თბილისში – *სერ ოლივერ უორდროპს* და მის დას, *მარჯორის*, „ვეფხისტყაოსნის“ პირველ მთარგმნელს ინგლისურ ენაზე.

თუ XIX საუკუნეში პირველი ევროპული უცხო ენა განათლებული ქართველისათვის ფრანგული იყო, უკვე 1930-იანი წლებიდან მისი ჩანაცვლება ინგლისურმა დაიწყო. ზოგადად კი, პირველ უცხო ენად რუსული რჩებოდა.

1991 წელს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ქართველებისათვის პირველი უცხო ენა ინგლისური ხდება, რაც საშუალებას აძლევს მათ, ეზიარონ მსოფლიო კულტურას და ჩაერთონ გლობალურ ეკონომიკურ პროცესებში

დიდი ბრიტანეთის მთავრობა ეხმარება საქართველოს დემოკრატიული და ინსტიტუციური რეფორმების განხორციელებაში, აგრეთვე, შეიარაღებული ძალების აღმშენებლობის საქმეში. საკმარისია ითქვას, რომ საქართველოს არმიის რეფორმირების სტრატეგიული დოკუმენტი 1990-იანი წლების ბოლოს მომზადდა ბრიტანელი გენერლის *სერ გერი ჯონსონის* მიერ. ქართული სამხედრო კონტინგენტი ბრიტანელი ჯარისკაცების მხარდამხარ მოქმედებდა ერაყსა და ავღანეთში.

ევროატლანტური და ევროპული ინტეგრაციის საქმეში დიდი ბრიტანეთი აქტიურად უჭერს მხარს საქართველოს, თანამშრომლობს ადგილობრივ და საერთაშორისო მონაწილეებთან საქართველოს შიდა კონფლიქტების მშვიდობიანად დარეგულირების საკითხში. ბრიტანელები აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოში ევროპული კავშირის მინიტორინგის მისიის საქმიანობაში.

ბრიტანეთი ცნობს საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში და ერთგულია რუსეთის მიერ 2008 წელს დამოუკიდებლად ცნობილი აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის „არაღიარების პოლიტიკისა“. ის მაქსიმალურ დახმარებას უწევს ქართულ დიპლომატიას საერთაშორისო არენაზე.

XX საუკუნის მიწურულში სერიოზული სატრანზიტო მნიშვნელობა მიენიჭა კასპიის აუზის ჰიდროკარბონული რესურსების დასავლეთის მიმართულებით ექსპორტირებას საქართველოს ტერიტორიის გავლით. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და ბაქო-თბილისი-ერზურუმის გაზსადენის მშენებლობაში და ამ მარშრუტით რესურსების გადატანაში წამყვან როლს ასრულებდა და ასრულებს ლონდონში ბაზირებული მულტინაციონალური კომპანია „*ბრიტიშ პეტროლიუმი*“, რომელიც საქართველოში უმსხვილესი უცხოელი ინვესტორი აღმოჩნდა.

ამავე დროს, ეკონომიკური კონტაქტები ორ ქვეყანას შორის ჯერჯერობით არასაკმარისია. ეს ჩამორჩენა არ არის გამოწვეული რაიმე სუბიექტური ფაქტორით. ობიექტურად, საქართველოს ბაზარი ბრიტანეთის მსხვილი ფირმებისათვის ძალიან მცირეა, საქართველოს საექსპორტო პოტენციალი კი შეზღუდულია. ბრიტანეთში ქართული ღვინის ექსპორტი მატულობს, მაგრამ მისი მოცულობა შედარებით მცირეა, რადგან ბრიტანული ბაზარი გაჯერებულია მსოფლიოს მრავალი სხვა ქვეყნიდან შემოსული ღვინით, რომელსაც კარგი რეკლამა აქვს.

საქართველოში ბრიტანული ტურიზმის გაფართოებისათვის აუცილებელია საქართველოს ცნობადობის გაზრდა, რაც ბრიტანეთში ნელა, მაგრამ მატულობს.

მართალია, საქართველო ჯერ არ გამხდარა დიდი ბრიტანეთის მნიშვნელოვანი პარტნიორი და არც საქართველოსათვის არის ის ასეთი, მაგრამ ორივე მიზნის მიღწევის გარკვეული პოტენციალი არსებობს